პოლიტიკური ანთროპოლოგია:

შესავალი

ტედ ლეველენი

2003

თავი I

პოლიტიკური ანთროპოლოგიის განვითარება

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

კანონის დამცველები რევოლუციურ მექსიკაში. ჭეშმარიტი რევოლუციები, რომელთა მიზანი თავად პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ცვლილებები იქნებოდა, ლათინურ ამერიკაში ძალიან იშვიათია (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

პოლიტიკური ანთროპოლოგია, როგორც სოციალური ანთროპოლოგიის ფარგლებში არსებული ვიწრო სპეციალიზაცია 1940-იან წლებამდე არ არსებობდა და, რეალურად, მეორე მსოფლიო ომამდე არც ჩამოყალიბებულა. იგივე შეიძლება ითქვას ანთროპოლოგიის თითქმის ყველა საგნობრივ სპეციალიზაციაზეც. გვიან მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის შუა პერიოდამდე, როდესაც პოლიტიკური ანთროპოლოგია ჩამოყალიბდა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ანთროპოლოგია შედარებით ერთიანი იყო. ადრეული ევოლუციონისტები შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებისას არანაირ საზღვრებს არ სცნობდნენ. ისინი არხეინად მოგზაურობდნენ დროსა და სივრცეში. მოიცავდნენ როგორც თანამედროვე პერიოდის მთელ მსოფლიოს, ასევე უშორეს ისტორიულ წარსულსაც კი და სწავლობდნენ ნებისმიერ საგანს, რაც კი თვალში მოხვდებოდათ. ფრანც ბოასი, ამერიკული ანთროპოლოგიის ფუძემდებელი, თანაბრად მზად იყო შეესწავლა როგორც ესკიმოსები, ასევე კვაკიუტლის ეკონომიკა ან იმიგრანტების თავის ქალები. ავლებდნენ თეორიულ საზღვრებს: მეცნიერი შეიძლებოდა ყოფილიყო ევოლუციური, ისტორიულ-პარტიკულარისტური ან სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიების მომხრე, მაგრამ ნაკლებად იყო იმის აღქმა, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო პოლიტიკური ანთროპოლოგი, ეთნოლინგვისტი ან ეკოლოგიის ანთროპოლოგი. ჰოლისტური ანთროპოლოგიის იდეალის მსხვრევა მხოლოდ 1940-იანი წლებიდან იწყება, როდესაც თანდათანობით გაიზარდა მონაცემთა რაოდენობა და სულ უფრო და უფრო მეტმა პროფესიონალმა ანთროპოლოგმა გაუსვა ხაზი სპეციალიზაციის აუცილებლობას.

პოლიტიკური ანთროპოლოგიის განვითარება ამ საერთო პროცესის ნაწილი იყო. ეს პროცესი - ანთროპოლოგიაში უფრო ვიწრო სუბდისციპლინების გამოყოფა – დღესაც გრძელდება. მიუხედავად ამისა, "პრიმიტიულ" საზოგადოებებში პოლიტიკის შედარებითი შესწავლა ანთროპოლოგიის ჩამოყალიბების პერიოდიდანვე იწყება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კულტურული ანთროპოლოგიის (ისევე როგორც ბიოლოგიის) განვითარებაში დარვინის ზეგავლენა დომინირებდა. ამ პერიოდში წარმოქმნილი ევოლუციური თეორიების უმეტესობა ნაწილი ისეთივე პრიმიტიული იყო, როგორც თავად საზოგადოებები, რომლებსაც ეს თეორიები ეხებოდა, ხოლო ევოლუციის სქემები კი უხეში, ხისტი და მარტივი. მიმდინარეობდა დაუსრულებელი კამათი იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ადრინდელი საზოგადოებები - მატრიარქალური თუ პატრიარქალური; გავრცელებული იყო ეთნოცენტრისტული დამოკიდებულება, რამდენადაც ქრისტიანობა და არიელები განიხილებოდნენ, როგორც კაცობრიობის პროგრესის მწვერვალი; სხვადასხვა საზოგადოების ადათ-წესები მათ კულტურულ კონტექსტს მოწყვიტეს და ერთმანეთს განურჩევლად შეადარეს სკამებში მოკალათებულმა ანთროპოლოგებმა, რომლებსაც თვალით არასდროს ენახათ მათი კვლევის საგნად ქცეული ველური ტომები. ალბათ, ადვილია ამ ტიპის ბევრი კვლევის შემეცნებითი მნიშვნელობის გაკრიტიკება. თუმცა, მიუხედავად მათი ნაკლოვანებებისა, ევოლუციონისტებმა საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე სამეცნიერო ანთროპოლოგიას.

უფრო ადრე, ტრადიცია, რომელიც პლატონიდან იღებს სათავეს და მოიცავს არისტოტელეს, ჰობსს, რუსოს და პოლიტიკის ფილოსოფოსთა უდიდეს ნაწილს მარქსამდე (მაგრამ არა მისი ჩათვლით) მიიჩნევდა, რომ მთავრობა და პოლიტიკა ცივილიზაციის პროდუქტია და განვითარების უფრო დაბალი საფეხურებისთვის დამახასიათებელი იყო ანარქია. ერთ-ერთი პირველი, ვინც შეეცადა ამ შეხედულების აშკარად შეცვლას, სერ ჰენრი მაინი იყო, რომელმაც "ანტიკურ სამართალში" (Ancient Law, 1861) განაცხადა, რომ პრიმიტიული საზოგადოებები გვაროვნული ხაზის მიხედვით იყო ორგანიზებული, ატარებდა პატრიარქალურ ხასიათს და საკრალური წესების მიხედვით წესრიგდებოდა. ევოლუცია მიმდინარეობდა სეკულარიზაციის და ორგანიზების იმგვარი ფორმის შექმნის მიმართულებით, რომელიც გვაროვნული პრინციპების ნაცვლად ტერიტორიულობის – "ლოკალური სიახლოვის" - პრინციპზე იქნებოდა დაფუძნებული. ამან, საბოლოო ჯამში, საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ მოქმედებებს.

მაინის მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნათესაობა შესაძლოა ყოფილიყო პირველადი სოციალური სტრუქტურა, განავითარა ლუის ჰენრი მორგანმა

თავის ნაშრომში “ანტიკური საზოგადოება” (Ancient Society, 1877). მორგანმა თავად შეისწავლა ნიუ იორკის შტატის იროკეზელი ინდიელები და აღმოაჩინა, რომ ამ ტომებში არსებული ნათესაობის გამომხატველი ტერმინოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში გამოყენებული ტერმინოლოგიისგან (თუმცა წააგავდა მსოფლიოს სხვა დანარჩენ ნაწილებში გავრცელებულ ტერმინოლოგიას). ნათესაური სისტემის მისეული აღწერა და კატეგორიებად დაყოფა, თავისთავად, მორგანის მიერ ანთროპოლოგიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი იყო; თუმცა, ამ ღვაწლის აღიარება მოგვიანებით მოხდა. მანამდე კი, ისიც იძულებული იყო იმ პერიოდში გავრცელებული და პოპულარული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ჩამჯდარიყო. მორგანმა არსებობის საშუალებების ტიპებზე დამყარებული ევოლუციური თანმიმდევრობის თეორია განავითარა, რომლის საფეხურებსაც მან ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია უწოდა. ამ ტერმინებს, ალბათ, უმჯობესია თანამედროვე შესატყვისები მოვარგოთ - მონადირეობა - შემგროვებლობაზე, მებაღეობაზე და განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოებები. მორგანმა, მისი თანამედროვეების მსგავსად, მსჯელობა კაცობრიობის გონებრივი ერთიანობის პოსტულირებით დაიწყო, რაც ადამიანების წარმოშობის საერთო ფესვებისა და განვითარების პროცესის მთელი მსოფლიოს მასშტაბით პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობის რწმენას გულისხმობს. თუმცა, მან ვერ შესძლო ბოლომდე გაჰყოლოდა მის მიერვე გამოთქმულ არსებითად ანტირასისტულ იდეებს. ამის ნაცვლად მორგანი ამტკიცებდა, რომ არიელები ბუნებრივად იყვნენ “კაცობრიობის პროგრესის წარმმართველი ძალა” (Morgan 1877: 533).

ნათესაობის მნიშვნელოვნად გართულებული ანალიზის ფონზე, მორგანმა შეძლო განევითარებინა მაინის მიერ რუდიმენტულ დონეზე შემუშავებული იდეები. სოციალურ ორგანიზებას ნათესაობის პრინციპით გაერთიანებული სხვადასხვა ჯგუფით ეყრება საფუძველი; ეს ჯგუფები ორგანიზებული იყო სქესობრივი ხაზით, რაც გულისხმობდა მამაკაც დედ-მამიშვილებსა და ქალ დედ-მამიშვილებს შორის ქორწინებათა ქსელს (აქ შესაძლებელია შემდგომში გავრცელებული ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის ქორწინების ადრეული ნიშნები დავინახოთ). ეგზოგამიის როლის ხაზგასმით მორგანი მიუახლოვდა იმ კონცეფციას, რომელიც ქადაგებს სხვადასხვა ჯგუფის წევრებს შორის ქორწინების გზით დამყარებული კავშირის იდეას. ეს თეორია მოგვიანებით, სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ფრანგი სტრუქტურალისტების საერთო თეორიად იქცა. ქორწინების პარტნიორების მზარდმა შეზღუდვამ შედეგად მოიტანა კლანების განვითარება, რომლებიც შემდგომში სულ უფრო და უფრო მზარდი კავშირების შექმნის მიზნით გაერთიანდნენ.

საბოლოო ჯამში კი შეიქმნა ტომთა კონფედერაციებიც. მოცემულ დონეზე სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა ეგალიტარულია და ეფუძნება პიროვნებათაშორის ურთიერთობების მთელ ქსელს (გამონაკლისი მხოლოდ "შერეული ჯგუფებია". ეს ტერმინი მშვენივრად ახასიათებს იროკეზების კონფედერაციას, თუმცა, ნაკლებად გამართლებულია მისი განვრცობა ევოლუციის უნივერსალურ პროცესზე). პოლიტიკური სფეროს გამოყოფა არ მომხდარა მანამ, სანამ მცენარეების კულტივირებას და ცხოველების სრულად მოშინაურებას საკმარისი ნამატი არ მოჰყვა, რამაც შედეგად ურბანიზება და კერძო საკუთრება მოიტანა.

მომდევნო თაობების მიერ ევოლუციონისტების კრიტიკის უმთავრესი ობიექტი სწორედ მორგანია (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვებისგან განსხვავებით, იგი არ განეკუთვნებოდა სავარძელში მოკალათებულ ანთროპოლოგთა რიგებს - იროკეზები მან თავად შეისწავლა). თუმცა, მორგანის ნააზრევის დიდი ნაწილი თანამედროვე ანთროპოლოგიას შეერწყა და შეეთვისა, განსაკუთრებით პოლიტიკასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოლოგები ერთმანეთისგან აღარ განასხვავებენ გვაროვნულ და ტერიტორიულ საფუძველზე შექმნილ ჯგუფებს, მორგანის მიერ განვითარების მონადირეობა - შემგროვებლურ და მებაღეობის საფეხურებზე მსჯელობისას, ნათესაობაზე, როგორც პოლიტიკური არტიკულაციის საწყის საშუალებაზე ხაზგასმა, მართებული აღმოჩნდა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მორგანის მიერ კლანებზე, როგორც კორპორატიულ ნათესაობაზე ყურადღების გამახვილება, სადაც გადაწყვეტილების მიღება იზღუდებოდა ჯგუფის ფარგლებით და მისდევდა საერთო წარმოშობის პრინციპს. მნიშვნელობა არ აქვს ეს საერთო წარმოშობა ვისი ხაზიდან იქნებოდა – ქალის თუ მამაკაცის. მორგანის კიდევ ერთი მოსაზრება, რასაც დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა გავლენა, იყო მის მიერ პრიმიტიული საზოგადოების ეგალიტარიზმის და ამ საზოგადოებებში კერძო საკუთრების კონცეფციის არ არსებობის აღიარება. მორგანის ამ უკანასკნელმა იდეებმა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომზე "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლები" (1891, 1972) და ასევე, კაპიტალიზმის ევოლუციის შესახებ მარქსისეული ხედვის ჩამოყალიბებაზე. ეს მორგანის იდეების მიერ მოხდენილი ზეგავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევაა.

რეაქცია

მეოცე საუკუნის დასაწყისში ანთროპოლოგიას ახასიათებდა ორი ფუნდამენტური ცვლილება: ევოლუციური თეორიის და მეთოდოლოგიის უარყოფა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლის-საფრანგეთის ანთროპოლოგებს შორის არსებული დაშორების ზრდა. ბოლო ორ ქვეყანაში ევოლუციონიზმზე უარის თქმა შედარებით რბილად განხორციელდა, თუმცა ძალიან მკვეთრად მოხდა გადახრა ახალი მიმართულებებისკენ. ამ გადახრას ბიძგი მისცა ემილ დიურკჰაიმის ნაშრომმა, რომელმაც საფრანგეთში კოგნიტური სტრუქტურალიზმის თანდათანობით გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამ პროცესმა კულმინაციას კლოდ ლევი სტროსის შრომებში მიაღწია. ინგლისში სოციალურ ფაქტებზე ყურადღების გამახვილების, თეორიული მიდგომების და ასევე კულტურის ფსიქოლოგიური ასპექტებისადმი შედარებითი უპატივცემულობის ფონზე, ფუნქციებისა და სტრუქტურების იდეები დომინირებდა. დიურკჰაიმმა ნაკლები ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაზე, სადაც ფრანც ბოასის ისტორიული პარტიკულარიზმი დომინირებდა. ბოასი რადიკალურად და ცალსახად უარყოფდა შედარებით მეთოდს და მისგან წარმოქმნილ უამრავ განზოგადებას. ის ხაზს უსვამდა კონკრეტული, კერძო კულტურების დეტალურ აღწერილობით შესწავლას. მართალია თეორია მთლიანად არ გამქრალა, თუმცა იმგვარმა მიმართულებებმა, როგორიცაა მაგალითად, დიფუზიონიზმი, ძალიან კონკრეტიზირებული სახე მიიღო. მისი შესწავლის საგანი ანთროპოლოგების მიერ წლების მანძილზე ყოველდღიური ცხოვრების სულ უმცირესი დეტალების შეგროვება და მათი უსასრულო სიებში შეყვანა გახდა (შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მსგავსი კვლევები აშკარად მოსაწყენ სახეს იღებს). ინგლისელი ანთროპოლოგები სულ უფრო და უფრო მეტად იხრებოდნენ მსგავსებების შესწავლისკენ, მაგრამ პოლიტიკური განზომილების კუთხით ბევრი ვერაფერი იქნა მიღწეული, თუ არ ჩავთვლით დურკჰაიმის მექანიკური და ორგანული სოლიდარობის იდეის იშვიათ გამოყენებას. აშშ-ში კი თეორიის პოლიტიკისგან განცალკევება ნაკლებად შესაძლებელი იყო.

უმთავრესი გამონაკლისი იყო რობერტ ლოვიეს “სახელმწიფოს წარმოშობა” (The Origin of the State, 1927, 1962). იმისათვის, რომ მოეძებნა ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა პოლიტიკასთან დაკავშირებული თემების შესწავლას, ლოვიე უკან, მოდიდან გადასულ ევოლუციურ თეორიას დაუბრუნდა. მან საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყო წინამორბედების მიერ მოწონებული ცალხაზოვანი ევოლუციის იდეის უარყოფა. არ არსებობდა არანაირი აშკარა დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ყველა საზოგადოებამ განვითარების ერთი და იგივე საფეხური განვლო. ასევე,

უარყოფილ იქნა მაინისა და მორგანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პრიმიტიული პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნება მხოლოდ პიროვნული ურთიერთობების გზით ხორციელდებოდა. თუმცა, ტერიტორიასთან კავშირი, რომელსაც მორგანი ცივილიზაციის ნიშნად განიხილავდა, ყველასთვის დამახასიათებელი იყო და, შესაბამისად, გასდო კიდეც ხიდი პრიმიტიულ პოლიტიკურ ორგანიზებასა და სახელმწიფოს შორის. უფრო ადრე დაწერილ ნაშრომში "პრიმიტიული საზოგადოება" (Primitive Society, 1920), ლოვიემ სხვადასხვა გაფანტული ჯგუფის გაერთიანების პროცესში ასოციაციების პოლიტიკური როლი გააცნობიერა. იმის გამო, რომ ასოციაციებმა ნათესაობაზე დამყარებული ჯგუფების სისხლისმიერი კავშირების შესუსტება გამოიწვია, მან ამ მოვლენაში სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძველი დაინახა. ლოვიემ ეს ხედვა თავის ნაშრომში განაახლა და გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლებოდა ასოციაციები ისევე "სეპარატისტული" ყოფილიყო, როგორც ნათესაობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. ამგვარად, ასოციაციები, რომლებიც თავიანთი არსით არც ცენტრალიზაციის და არც გათიშვის მომტანნი არ არიან, ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის მისაღწევად კარგად ორგანიზებულ ხელისუფლებას საჭიროებენ.

ჟორჟ ბალანდიეს მოსაზრება (1970), რომ სპეციფიური, აშკარა პოლიტიკური ანთროპოლოგია 1920-იან წლებშივე განვითარდა, მხოლოდ გარკვეული კუთხით არის მართებული. ლოვიეს ნაშრომში ჩვენ გვხვდება ცალკეული შორსმჭვრეტელური ხედვები: მაგალითად, რომ აღიარებული ტერიტორიის მქონე ყველა საზოგადოება, რომლის მოსახლეობა იზრდება და აქვს კონფლიქტები – აუცილებლად ქმნის სახელმწიფოს; რომ კლასობრივი სტრატიფიკაცია გადამწყვეტი ელემენტია სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით არსებულ ევოლუციურ კიბეზე და რომ სახელმწიფო უცილობლად გულისხმობს იძულებით ძალაუფლებაზე მონოპოლიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფციები სისტემურ კაუზალურ მოდელად არ ჩამოყალიბებულა, ლოვიემ ნათელი მოჰფინა გარკვეულ საკითხებს, დასვა უმნიშვნელოვანესი კითხვები და ანთროპოლოგიის საინტერესო გამოწვევები წარმოგვიჩინა.

სამწუხაროდ, გამოწვევა არ იქნა მიღებული. ლოვიეს ნაშრომის ევულუციური თემატიკა (მიუხედავად მის მიერ ცალხაზოვანი განვითარების უარყოფისა) თანამედროვეთა მიერ, რომლებიც თვლიდნენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაასრულეს ამ ევოლუციურ უაზრობაზე საუბარი, ანაქრონიზმად იქნა მიჩნეული. პოლიტიკური ანთროპოლოგიის დასაწყისი ამავდროულად მისი დასასრულიც აღმოჩნდა და ასე გაგრძელდა 1940-იან წლებამდე.

ბრიტანული ფუნქციონალიზმი

1930-იანი წლების მანძილზე ინგლისში დომინირების მოსაპოვებლად ფუნქციონალიზმის ორი მიმართულება ექიშპებოდა ერთმანეთს: ბრონისლავ მალინოვსკის ფსიქობიოლოგიური ფუნქციონალიზმი და ა. რ. რედკლიფ-ბრაუნის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი. მალინოვსკის, მის მიერ ტრობრიანდის კუნძულებზე ინტენსიური კვლევების ჩატარების გამო (ამ კვლევებში იგი ცდილობდა კულტურული ინსტიტუტები გარკვეული ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოქმნილად განეხილა) ხშირად მიიჩნევენ თანამედროვე საველე მუშაობის ფუძემდებლად. მართალია, კონკრეტულად პოლიტიკური ანთროპოლოგიის განვითარების კუთხით მას ნაკლები წვლილი მიუძღვის, მაგრამ ისტორიისა და საზოგადოების ნაცვლად მის მიერ სამართლის, ეკონომიკის და რელიგიის შესწავლამ გზა გაუხსნა სპეციფიცირების იმ სახეობას, რაც მოგვიანებით საყოველთაოდ გავრცელებულ მეთოდად იქცა. მალინოვსკის მიერ გამოყენებული მონაწილე-დაკვირვების მეთოდი ბრიტანელი ველზე მომუშავეების მთელი თაობებისთვის მოდელად იქცა. სწორედ მათ მიერ აფრიკული საზოგადოებების ინტენსიურმა შესწავლამ პოლიტიკური ანთროპოლოგია მომავალში სრულიად ლეგიტიმურ სუბდისციპლინად დაამკვიდრა. თუმცა, საბოლოოდ, ინგლისში როგორც სუბდისციპლინა, დომინანტურად რედკლიფ-ბრაუნის ფუნქციონალიზმის სტრუქტურული მიმართულება იქცა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ოქსფორდის, ლონდონის თუ მანჩესტერის აკადემიურ წრეებში თეორიული ხედვები უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. რედკლიფ-ბრაუნი საზოგადოებას განიხილავდა, როგორც წონასწორობის სისტემას, სადაც თითოეული ნაწილის ფუნქციონირება მთლიანობის შენარჩუნებას ემსახურებოდა (აშკარა მსგავსება ორგანიციზმის იდეასთან ვერ იქნა თავიდან აცილებული). ამგვარად, იქმნებოდა იმის განცდა, რომ საზოგადოების შემადგენელი ელემენტების მოქმედების გაგებისთვის საზოგადოებების განხილვა ზემოდან-ქვევით მიმართულებით უნდა მომხდარიყო. როგორც ვნახავთ, ეს მიდგომა უფრო მეტად დროის მიღმა არსებულია, ვიდრე სტატიკური. რეალურად, ის ქადაგებდა არა უცვლელი ან უკონფლიქტო საზოგადოების იდეას, არამედ ყურადღებას ამახვილებდა იმ ნორმებზე, ღირებულებებზე და იდეალურ სტრუქტურებზე, რომლებიც წარმოქმნიდნენ ჩარჩოს, სადაც მოქმედება ხდებოდა.

სწორედ ამ თეორიულ ორიენტაციაზე კონცენტრირდებოდა ბრიტანული კვლევები კოლონიურ აფრიკაში. მსგავსი კვლევების ძირითადი მიზანი იყო კოლონიური

ხელისუფლებისთვის მათ კონტროლქვეშ მყოფი სოციალური სისტემის შესახებ ცოდნის გაღრმავება. ეს ზეგავლენას ახდენდა სოციალური ანთროპოლოგიის როგორც იმიჯზე, ასევე მის ძირითად აქცენტებზე. ერთის მხრივ, ნაკლებად ხდებოდა იმის გაცნობიერება, რომ ის საზოგადოებები, რომელთა შესწავლაც მიმდინარეობდა, დიდად იყო შეცვლილი კოლონიალიზმის და ინგლისური იარაღის ძალით დამყარებული "ბრიტანული მშვიდობის" (*pan britanica*) შედეგად. მეორეს მხრივ, არსებობდა იმ ტომების და სახელმწიფო სისტემების შესწავლის ტენდენციაც, რომელთა ნაწილმა, ზულუს ტომების მსგავსად, ბრიტანული საფრთხის საპასუხოდ ნაწილობრივი გაერთიანება მოახერხა.

ეს ორი მიმართულება, სტრუქტურული ფუნქციონალიზმი და აფრიკული გამოცდილება, გაერთიანდა 1940 წელს დაწერილ ნაშრომში, რომელმაც ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფუძველი დაუდო თანამედროვე პოლიტიკურ ანთროპოლოგიას. საუბარია მეიერ ფორტესის და ე. ე. ევანს-პრიტჩარდის ავტორობით გამოცემულ ნაშრომზე "აფრიკული პოლიტიკური სისტემები" (*African Political Systems*). ავტორები წინასიტყვაობაში განასხვავებენ აფრიკული პოლიტიკური სისტემების ორ ტიპს: სისტემებს ცენტრალიზებული ხელისუფლებითა და სასამართლო ინსტიტუტებით (პრიმიტიული სახელმწიფოები) და სისტემებს მსგავსი ხელისუფლებისა და ინსტიტუტების გარეშე (სახელმწიფოებრიობის არმქონე საზოგადოებები). ამ ორ ტიპს შორის უმთავრესი განმასხვავებელია ნათესაური კავშირების როლი. გაერთიანება და გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოებრიობის არ მქონე საზოგადოებებში ყველაზე დაბალ დონეზე ორმხრივი (ბილატერალური) ოჯახების/რაზმების ჯგუფებს ეფუძნება, ხოლო უფრო მაღალ დონეებზე კი ცალმხრივი სანათესაო ხაზით კორპორირებულ ჯგუფებს. სახელმწიფოებრიობის მქონე სისტემებს ის საზოგადოებები მიეკუთვნება, სადაც მსგავსი ტიპის ჯგუფებს, როგორც პოლიტიკური სტრუქტურის პერმანენტულ საფუძველს, გადაფარავს ან აერთიანებს ადმინისტრაციული ტიპის ორგანიზაცია. ეს ტიპოლოგია მოგვიანებით გააკრიტიკეს, როგორც მეტისმეტად გამარტივებული, მაგრამ დეტალური აღწერა იმისა, თუ რამდენად მყარი იყო ზოგიერთ სპეციფიურ საზოგადოებაში პოლიტიკური კუთხით ფუნქციონირებადი ნათესაობის ხაზი. სოციალური წონასწორობა დადგენილ იქნა. ასე რომ, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა იმის ჩვენება, თუ მრავალფეროვანი კონფლიქტების და ინტერესთა ჯგუფების ფონზე როგორ ხერხდებოდა ძალთა ბალანსის შენარჩუნება, რაც საბოლოო ჯამში, შედეგად იძლეოდა სტაბილურ, სიცოცხლისუნარიან სოციალურ სტრუქტურას. ასევე, აღნიშნულ იქნა რელიგიისა და სიმბოლოების გამაერთიანებელი

ძალაც, განსაკუთრებით რიტუალების როლი ჯგუფის ღირებულებების განმტკიცებასა და კონსოლიდირებაში.

“აფრიკული პოლიტიკური სისტემების” შესავალმა და რვა ეთნოგრაფიულმა სტატიამ საფუძველი ჩაუყარა იმ პრობლემებს, თეორიულ საფუძვლებს, მეთოდოლოგიას და განსხვავებულ ხედვებს, რაც მთელი შემდგომი ათწლეულის მანძილზე წინარეინდუსტრიული საზოგადოებების პოლიტიკის კვლევების ბაზისად იქცა. საწყისი ტიპოლოგია სულ უფრო და უფრო დაიხვეწა. ა. ლ. საუტჰოლმა თავის “ალურის საზოგადოებაში” (*Alur Society, 1953*) გადახედა დებულებას იმის შესახებ, რომ ის სეგმენტირებული საზოგადოებები, სადაც ხელისუფლება მრავალრიცხოვან ჯგუფებს შორის იყო გადანაწილებული, ყოველთვის არაცენტრალიზებულნი იყვნენ. მან გვიჩვენა იმგვარი საზოგადოების მაგალითი, სადაც ერთმანეთის გვერდით არსებობდა სეგმენტირებულ ნათესაობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია და ცენტრალიზებული სახელმწიფო. ზოგიერთი მეცნიერი, იქიდან გამომდინარე, რომ თვით ცენტრალიზებული ხელისუფლებებიც კი სეგმენტირებულია, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ზოგადად სეგმენტირებას, როგორც კლასიფიკაციის ფაქტორს. ასევე, არ შეიძლება ნათესაური კავშირი ედოს საფუძვლად სახელმწიფოებრიობის არ მქონე ყველა საზოგადოებას, რადგან ასაკობრივი ჯგუფები, საიდუმლო გაერთიანებები და რიტუალური ჯგუფები პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხშირად უგულვებელყოფენ ნათესაობრივ დაყოფებს. ფორტესისა და ევანს-პრიტჩარდის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიიდან მოყოლებული (ეს ორი ავტორი სულაც არ ფიქრობდა, რომ მათ მიერ შემუშავებული ტიპოლოგია უნივერსალური ან თუნდაც, ძალიან მნიშვნელოვანი იყო), კლასიფიკაციები სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა, სანამ პოლიტიკური ტაქსონომია აშკარად არ იქცა კვლევის დამოუკიდებელ სფეროდ. სტატიკური სტრუქტურულ- ფუნქციონალისტური პარადიგმა ისეთი კვლევების მეშვეობით, რომელთა ავტორებიც ამ მიდგომის ძველი დამცველები იყვნენ – ევანს-პრიტჩარდი, რაიმონდ ფირსი, დარილ ფორდე და მეიერ ფორტესი – ბრიტანული ანთროპოლოგიის აკადემიურ წრეებში წამყვან პოზიციებს (ერთდროულად თუ მონაცვლეობით) ინარჩუნებდა. ვერ ვიტყვით, რომ თავად სიტუაცია უცვლელი იყო. მუდმივად არსებობდა რაღაც გამაღიზიანებელი, რაც სტატიკურობას არღვევდა. მალინოვსკისეული ან რედკლიფ-ბრაუნისეული ხედვების უარყოფის შემდეგ თავი იჩინეს კონფლიქტებმა და ცვლილებებმა, რასაც მოჰყვა აფრიკული კოლონიალიზმის სწრაფი ტემპებით უარყოფა.

ტრანზიცია

1950–იანი წლებისთვის, ათწლიანი თანდათანობითი გადახრის შედეგად, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის საფუძველს ბზარები გაუჩნდა. ამ დროისთვის, მართალია, მოცემული პარადიგმის სრული უარყოფა არ მომხდარა, მაგრამ ფუნდამენტური ცვლილებები ნამდვილად განხორციელდა.

ამ კუთხით ძირითადი დამსახურება მიუძღვის ედმუნდ ლიჩის "ბირმის მთიანი მხარის პოლიტიკურ სისტემებს" (*Political Systems of Highland Burma*, 1954), რომელიც პროცესზე ორიენტირებული, ანალიზის უფრო დინამიური ფორმის დაწყების მომასწავლებელი იყო. ბირმის კაჰინის მთიანეთის ზოლში ლიჩმა აღმოაჩინა არა ერთი, არამედ სამი განსხვავებული პოლიტიკური სისტემა: აშკარად ანარქიული ტრადიციული სისტემა, არასტაბილური და შუალედური სისტემა და მცირე ზომის ცენტრალიზებული სახელმწიფო. ტრადიციული სისტემა და სახელმწიფო მეტნაკლებად გამოკვეთილი თემები იყო. ისინი შედგებოდნენ ბევრი ლინგვისტური, კულტურული და პოლიტიკური ქვეჯგუფისგან, რომლებიც ჯამში, როგორღაც ახერხებდნენ ურთიერდაკავშირებული მთლიანობის წარმოქმნას. აღნიშნული მთლიანობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წონასწორობაში მყოფი სისტემა. მოცემული ქვეჯგუფების შიგნით და მათ შორისაც მუდმივი დაძაბულობა არსებობდა. ამ ყოველივეს ახსნის მიზნით, ლიჩმა აუცილებლად ჩათვალა "მოექცია ეს ფაქტები შეზღუდულ ფორმაში, სადაც დაშვებული იქნებოდა კონცეფციებისგან შემდგარი იდეების სისტემის ერთ გაწონასწორებულ სისტემად განხილვა" (Leach 1954: IX). მსგავს რამეს ადამიანები თავადვე აკეთებდნენ, იმდენად, რამდენადაც მათ ჰქონდათ იდეალური წარმოსახვითი მოდელი იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი საზოგადოება, რაც რიტუალებსა და სიმბოლოებშიც ჰპოვებდა ასახვას. ადამიანებს უჭირდათ შეესრულებინათ არა ანთროპოლოგების მიერ შემუშავებული ალბათობითი ქცევის კონცეფცია, არამედ საკუთარი ქცევის ნორმები. ეს იდეები წააგავს კლოდ ლევი სტროსის (რომლის ნააზრევის ინგლისურენოვან ანთროპოლოგიაში წარდგენა მოგვიანებით სწორედ ლიჩის დახმარებით მოხდა) კოგნიტურ სტრუქტურალიზმს. მასში არის შემეცნებითი რუკის მოხაზვის მცდელობა, რამაც მოგვიანებით ამერიკულ ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. თუმცა, პოლიტიკის შესწავლა აბსტრაქტული პოლიტიკური სტრუქტურისა და რეალობაზე დაფუძნებული პოლიტიკის ერთმანეთისგან მკვეთრ გამიჯვნას გულისხმობდა. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ლიჩმა საბოლოოდ ჩამოაშორა პოლიტიკური ანთროპოლოგია აფრიკის შესწავლას და გაათავისუფლა იგი შედარებით

შეზღუდული, მხოლოდ ერთენოვანი საზოგადოებების კვლევებისგან, რომელზეც იგი იყო მიბმული.

ამავდროულად, ახალ საფუძვლებს ქმნიდა მაქს გლუკმენიც. "აფრიკულ პოლიტიკურ სისტემებში" ზულუს შესახებ დაწერილ თავში, "ჩვეულება და კონფლიქტი აფრიკაში" *(Custom and Conflict in Africa*, 1956) და, ასევე, ნაშრომში, "წესრიგი და ჯანყი ტრაიბალურ აფრიკაში" (*Order and Rebellion in Tribal Africa*, 1960), გლუკმენმა განავითარა აზრი იმის თაობაზე, რომ წონასწორობა არ არის არც სტატიკური და არც სტაბილური. იგი წარმოიქმნება მიმდინარე დიალექტიკური პროცესისგან, სადაც ურთიერთობათა გარკვეული ქსელის ფარგლებში კონფლიქტების აბსორბირება და მათი ურთიერთობათა სხვა ქსელში გაერთიანება ხდება. ლოიალობის ტენდენციის მახასიათებელია ის, რომ უფრო ფართო საზოგადოება ლოკალურ ჯგუფებს შორის არსებული ხანგრძლივი მტრობის მოგვარების მიზნით ერთიანდება. ჯადოქრობაში ბრალდება ჯგუფის შიგნით არსებულ დაპირისპირებას ისე აგვარებს, რომ საფრთხეს არ უქმნის მთელ სისტემას. აპარტეიდმა სამხრეთ აფრიკაში, რადიკალურად გამიჯნა რა ერთმანეთისგან შავკანიანები და თეთრკანიანები, საბოლოო ჯამში, ორივე ჯგუფი საკუთარ ფარგლებში გააერთიანა. რომაელების მაქსიმა "დაყავი და იბატონე" უფრო გონივრულ პრინციპად გადაკეთდა - "დაყავი და შეაკავშირე". პოლიტიკურად ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს აჯანყების აფრიკულ რიტუალებში, სადაც მეფე პერიოდულად მათხოვარივით უნდა შეიმოსოს ან ჯამბაზივით მოიქცეს. სიმბოლურად, ის ან კვდება, ან საკუთარი ხალხის მხრიდან ზიზღისა და ლანძღვის ობიექტი ხდება. გლუკმენისთვის მსგავსი რიტუალები მხოლოდ კათარზისის აღმნიშვნელი არაა. ესაა ცალკეულ ინდივიდზე სისტემის, ხოლო კონკრეტულ მეფეზე - ზოგადად სამეფო ხელისუფლების უპირატესობის სიმბოლური განმტკიცება.

წონასწორობის თეორიის დასაცავად ჩამოაყალიბეს რა ბევრად უფრო გონივრული არგუმენტები, ორივე მეცნიერი – ლიჩიც და გლუკმენიც მოცემულ საფეხურზე გარდამავალი ფიგურები იყვნენ (თუმცა, მათი ფესვები კვლავ 1930-იანი და 1940-იანი წლების სტრუქტურულ ფუნქციონალიზმში ძევს). ამასთანავე, მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს ახალი პარადიგმისკენ. გლუკმენის იდეებს, რომელიც მანჩესტერის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის განყოფილების დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო, ინტენსიურად ამუშავებდნენ მისივე სტუდენტები. ისინი ცნობილი არიან კოლექტიური სახელით – მანჩესტერის სკოლა. ამ ტერმინით გამოიხატება ის ახალი მიმართულება, რომელიც წარმოადგენს არა საზოგადოების სტრუქტურებსა და ფუნქციებზე, არამედ პროცესსა და კონფლიქტზე ორიენტირებულ კვლევას.

ნეოევოლუციონისტები

ეჭვსგარეშეა, რომ პირველი ორი ათწლეულის მანძილზე პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში დომინირებული და წამყვანი პოზიცია ინგლისს ეკავა. ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პოლიტიკური ანთროპოლოგია ძირითადად ბოასისეული კაცობრიობის შესწავლის ედიქტით იყო შეზღუდული, ლესლი უაითის და ჯულიან სტიუარტის ნაშრომებით ნელი და ნაკლებად დაფასებული გამოცოცხლება იწყება. უაითმა (1943, 1959) განავითარა კომპლექსური თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას შედეგად მოჰქონდა კერძო საკუთრება, სპეციალიზაცია, კლასობრივი სტრატიფიკაცია და ბოლოს, პოლიტიკური ცენტრალიზაცია. ბევრი რამ იმდენად ზოგად დონეზე იყო ახსნილი, რომ სრულიად შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის ცალხაზოვანი თეორიის იდეებთან მისი დაკავშირება. ხოლო სტიუარტის (1965) მიერ საკუთარი თეორიის აღმნიშვნელად მრავალხაზოვანი ევოლუციის ტერმინის გამოყენებამ მხოლოდ და მხოლოდ კიდევ უფრო განამტკიცა უსარგებლო დიქოტომია. რეალურად, ჭეშმარიტად ცალხაზოვანი თეორია არასდროს არცერთ სერიოზულ ევოლუციონისტს არ გაუზიარებია (Harris 1968: 171-73). მიუხედავად ამისა, სიტუაციამ სიცხადე მანამდე ვერ შეიძინა, სანამ ერთმხრივი/მრავალმხრივი დიქოტომია ზოგადი და სპეციფიური ევოლუციის კონცეფციებით არ ჩანაცვლდა, სანამ არ გახშირდა ევოლუციის პროცესების გამოყენება (ისეთების, როგორიცაა მაგალითად მზარდი სპეციალიზაცია ან წარმოების ინტენსიფიცირება), ხოლო ფორმების ისტორიული თანმიმდევრობის კონცეფციის გამოყენების ხარისხმა კი იკლო (Sahlins and Service, 1960). ამან აშკარა გახადა, რომ ევოლუციურ ანთროპოლოგიას შეეძლო განვითარება, რომ იგი გათავისუფლდა უფრო სემანტიკური, ვიდრე არსებითი სირთულეების მძიმე ტვირთისგან.

ამგვარად, თავიანთი ინგლისელი კოლეგებისგან განსხვავებით, ამერიკელმა პოლიტიკურმა ანთროპოლოგებმა ფუნდამენტურად ეკოლოგიურ და მატერიალისტურ კონტექსტში დაიწყეს განვითარების პანორამულ შკალაზე ცვლილების იდეის შესწავლა. უაითი ევოლუციას ენერგიის ეფექტურობის ტერმინებით ზომავდა და უპირველეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა ტექნოლოგიას. სტიუარტის კულტურული ეკოლოგია ყურადღებას ამახვილებდა კულტურაზე, არსებობის საშუალებებზე და ეკონომიკურ მოწყობაზე, რაც დიდად განსაზღვრავდა სოციალურ სტრუქტურასა და იდეოლოგიას. განსხვავება ბრიტანულ და ამერიკულ ანთროპოლოგიებს შორის მართალია დიდი იყო, მაგრამ ზოგჯერ ამ სხვაობაზე საუბარი გადაჭარბებულადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, ერთ-ერთი ადრეული ამერიკელი პოლიტიკური ეთნოგრაფის ე. ადამსონ

ჰოებელის მიერ 1940 წელს კომანჩის ინდიელების შესწავლა არ იყო არც ევოლუციური და არც მატერიალისტური ტიპის. 1940-1950-იან ასევე 1960-იან წლებშიც აშშ-ში მეტად გავრცელებული იყო სტრუქტურული ფუნქციონალიზმი. მიუხედავად ამისა, ის, რაც იყო წმინდა ამერიკული, საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რაც იყო წმინდა ბრიტანული და როგორც წესი, ამის მიზეზი ამ ორი ქვეყნის ანთროპოლოგებს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია იყო.

პოლიტიკური ევოლუცია ლამის პოლიტიკური კლასიფიკაციის სინონიმად იქცა. მოცემული პერიოდის ორი უმთავრესი ევოლუციური ტიპის ნაშრომი – ელმან სერვისის "პრიმიტიული სოციალური ორგანიზაცია" (*Primitive Social Organization, 1962*) და მორტონ ფრიდის "პოლიტიკური საზოგადოების ევოლუცია" (*The Evolution of Political Society, 1967)* უფრო მეტად ტაქსონომიური და აღწერილობითი (დესკრიფციული) ხასიათის იყო, ვიდრე კაუზალური (მიზეზობრივი). ყურადღება მახვილდებოდა სოციო-კულტურული ინტეგრაციის სხვადასხვა დონის მახასიათებლებზე და არა იმ ფაქტორების გამოყოფაზე, რამაც ევოლუციის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე გადასვლა გამოიწვია. ბევრმა სახელგანთქმულმა არქეოლოგმა მიუძღვნა საკუთარი კარიერა იმ პროცესების შესწავლას, რომელიც თან ახლდა სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებების ევოლუციას. ეს ორი მიმართულება – არქეოლოგიური და კულტურული, რომლებიც პარალელურად არსებობდნენ და ვითარდებოდნენ, გაერთიანდა სერვისის ნაშრომში "სახელმწიფოსა და ცივილიზაციის წარმოშობა" (*Origins of the State and Civilization, 1975*). მართალია პოლიტიკური ევოლუცია კვლავ რჩებოდა შესწავლის საგნად, მაგრამ მან მალე დაკარგა ის წამყვანი პოზიციები, რომელიც ამერიკულ პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში ეკავა. მიმართულება, რომელიც პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე ამახვილებდა ყურადღებას ინგლისიდან სწრაფად გავრცელდა ატლანტიკის ოკეანის გადაღმა.

პროცესები და გადაწყვეტილების მიღება

ჯგუფურ ნორმებსა და სოციალურ სტრუქტურებზე ჩვეულებრივი ეთნოგრაფიული ფოკუსირებისგან განსხვავებით, მაქს გლუკმენი ექსპერიმენტირებდა იმ "სიტუაციების" ანალიზით, რომლებშიც ჩართული იყვნენ ინდივიდები. ამ ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვიქტორ ტურნერმა თავის ნაშრომში "სქიზმა და განგრძობითობა აფრიკულ საზოგადოებაში" (*Schism and Continuity in an African Society, 1957*) ცალკეული ინდივიდი სხვადასხვა სოციალურ დრამაში შეისწავლა, სადაც ნორმებით და ღირებულებებით პერსონალური და თემური მანიპულირება სრულიად შეუნიღბავად ხდებოდა. გლუკმენისა და ლიჩის მიერ პროცესსა და კონფლიქტზე ყურადღების გამახვილებას

დაემატა ახალი ელემენტი: კრიზისულ სიტუაციებში ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე დაკვირვება.

დაგვიანებით აღმოჩენილი ფაქტი, რომ მოძრაობაში მყოფი მსოფლიო სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უარყოფის ტენდენციისკენ მიდის, დაახლოებით იგივე იყო, რაც საუკუნის დასაწყისში ევოლუციონიზმზე დროებით უარის თქმა. სტრუქტურა და ფუნქცია მოდიდან გადასულ ტერმინებად იქცა და ჩანაცვლდა პროცესით, კონფლიქტით, განხეთქილებით, ბრძოლით და მანიპულაციური სტრატეგიით. როგორც ჯანეტ ბურჯამ მართებულად შენიშნა (1973, 43), "ადრეული ფუნქციონალისტების დაშვებით სოციალური ერთობა ნორმალური ფაქტი იყო, მაშინ როცა კონფლიქტი პრობლემატურ სიტუაციად განიხილებოდა, რომელიც ადვილად ვერ ჯდებოდა მათ თეორიულ ჩარჩოში. პოლიტიკური ქცევის უფრო თანამედროვე შესწავლებმა აჩვენა, რომ სწორედ კონფლიქტი წარმოადგენს ნორმას, ხოლო სოციალური ერთობა კი უფრო რთული ასახსენლია". ფაქტი, რომ კონფლიქტი და თანხმობა, გაერთიანება და დაშლა, შესაძლოა ერთი მონეტის ორი მხარე იყო (როგორც ამას გლუკმენი აღნიშნავდა), დროებით დაივიწყეს.

სტრუქტურული თეორიის პროცესუალური თეორიით ჩანაცვლება და აფრიკაში კოლონიალიზმის ფსევდო-სტაბილურობის ნგრევა ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მყოფი ფაქტებია. პოსტკოლონიური ერი-სახელმწიფოების წარმოქმნასა და ტრაიბალური საზოგადოებების უფრო ფართო პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებასთან ერთად, ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი. ამიერიდან "პრიმიტიული" პოლიტიკა ვეღარ განიხილებოდა, როგორც მხოლოდ დახურულ სისტემაში არსებული. ფართო სოციო-პოლიტიკურმა სფერომ ჩაანაცვლა პოლიტიკური სისტემის უფრო შეზღუდული კონცეფცია. მეორე მხრივ, კონკრეტული სიტუაციების ინტენსიურმა შესწავლამ განაპირობა პოლიტიკური არენის უფრო ვიწრო კონცეფციის წარმოქმნა, რომელშიც ინდივიდები და პოლიტიკური გუნდები ძალაუფლებისა და ლიდერობისთვის იბრძოდნენ.

მართალია ამ იდეების დიდი ნაწილი გაერთიანებული იყო შვარცის, ტურნერის და ტუდენის რედაქტორობით გამოსული ნაშრომის "პოლიტიკური ანთროპოლოგია" *(Political Anthropology, 1966)* შესავალ ნაწილში, ასევე ჯორჯ ბალანდიეს ამავე დასახელების ნაშრომში (1970), მაინც შეცდომა იქნებოდა პროცესუალური მიდგომა თანმიმდევრულ თეორიად განგვეხილა. ბევრი ეთნოგრაფი, რომლებიც პროცესებს აკვირდებოდა, ფოკუსირებას კვლავაც ნორმებისა და ინსტიტუციების დონეზე განაგრძობდა. გადაწყვეტილების მიღებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელსაც ხშირად განიხილავდნენ, როგორც მოქმედების თეორიას, პროცესზე ორიენტაციის ნაკლებად თანმიმდევრული თეორიის გარკვეულად დამოუკიდებელ ქვეგანაყოფს წარმოადგენდა.

პროცესუალურმა თეორიამ გზა გაუხსნა ტრანსატლანტიკიური დიალოგის დაწყებას, რომელიც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის პერიოდში შეწყვეტილი იყო. ამერიკული პოლიტიკური ანთროპოლოგიის ისეთი წამყვანი სპეციალისტები, როგორებიც არიან მარკ შვარცი და რონალდ კოენი, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ევოლუციითა და ევოლუციური ტიპოლოგიებით, შეუერთდნენ ბრიტანელ მეცნიერებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ანთროპოლოგიის ჭეშმარიტად საერთაშორისო მიმართულება წარმოქმნა.

ქალები, მსოფლიო სისტემები და სუსტების იარაღი

მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადრეული თეორიული მიდგომები და პერსპექტივები 1980-იანებსა და 1990-იანებშიც კი ვრცელდებოდა, გამოიკვეთა სამი ახალი მიმართულება. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ცალსახად ფემინისტური ანთროპოლოგიის წარმოშობა იყო. მოცემულ დარგში მოღვაწე ყველა მეცნიერი სწავლობდა ქალების შედარებით ძალაუფლებას (თუმცა, არა კონკრეტულად პოლიტიკურ ძალაუფლებას). არა მხოლოდ მამაკაცთა უნივერსალური დომინირების ხედვა შეიცვალა, არამედ ასევე სხვა ანთროპოლოგიური დაშვებებიც, მაგალითად მამაკაცი - მონადირის ფიზიკური ევოლუციის მოდელი. ამასთან ერთად, მოსალოდნელ კროსკულტურულ სტატისტიკურ შედარებებთან ერთად, ფემინისტური ანთროპოლოგიის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი თეორიული სკოლაც განვითარდა. ერთი მათგანი აანალიზირებდა გენდერის კულტურულ კონსტრუირებას; ხოლო მეორე, მარქსისტულ თეორიაზე დაფუძნებული, სწავლობდა გენდერული სტრატიფიკაციის ისტორიულ განვითარებას. უფრო თანამედროვე პერიოდში, პოსტმოდერნული ზეგავლენის შედეგად, ფემინისტური კვლევების ყურადღება მამაკაცთა დომინირების თემიდან იდენტობის ანალიზზე იქნა გადატანილი; ასევე, იმ გზებისა და მეთოდების შესწავლაზე, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლება კულტურისა და დისკურსის ყველა ასპექტში უმტკივნეულოდ ახერხებს გავრცელებას.

ერიკ ვოლფის ნაშრომმა "ევროპა და ადამიანები ისტორიის გარეშე" *(Europe and the People Without History, 1982)* მსოფლიო სისტემის პერსპექტივა და ეგრეთ წოდებული დამოკიდებულების თეორია ანთროპოლოგიის ძირითად მიმართულებად აქცია. ვოლფი ამტკიცებდა, რომ ყველა, ან თითქმის ყველა კულტურის სრულფასოვნად გააზრება მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ევროპული კაპიტალიზმის გავრცელების ჭრილშია შესაძლებელი. ანალოგიურად, ბევრმა მკვლევარმა დაიწყო იმ მიდგომის უარყოფა, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას მსხვერპლად განიხილავდა და დასავლური ცივილიზაციების გავრცელების შედეგად ტრაიბალური

კულტურების მსხვრევაზე ფოკუსირდებოდა. ამ შესწავლაში სიახლე იყო დომინანტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მკვიდრი მოსახლეობის ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავდა საკუთარი ჯგუფური იდენტობის შენარჩუნებას ან იმ ნიშის შექმნას, სადაც დაცული იქნებოდა მათი დამოუკიდებლობა და სიამაყის განცდა. პოლიტიკურმა მეცნიერმა ჯეიმს სკოტმა ნაშრომში, "სუსტების იარაღი" (*Weapons of the Weak, 1985*), დაგვანახა ფართომასშტაბიანი კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის პირობებში ხმების დაყრის, ცილისწამების, უმნიშვნელო ხანძრების გაჩენის და ქურდობის გზით თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას გლეხები მარგინალიზაციას.

პოსტმოდერნიზმი და გლობალიზაცია

1980-იანი და 1990-იანი წლები პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში გაურკვევლობის პერიოდი იყო. გარკვეულწილად, ეს შეგვიძლია "გამოხატვის კრიზისად" განვიხილოთ. კრიტიკულად განწყობილმა თეორეტიკოსებმა შეარყიეს იმ დაშვებების და მტკიცებულებების დიდი ნაწილი, რასაც ანთროპოლოგიური კვლევები და ნაშრომები ემყარებოდა. ბოასის, მალინოვსკის, რედკლიფ-ბრაუნის კლასიკური ნაშრომები ინტენსიური და მეტისმეტად დეტალური გადამოწმების ქვეშ მოექცა და მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, როგორც გაუცნობიერებული სუბიექტივიზმით, კოლონიალიზმითა და დასავლეთისადმი მიდრეკილებით გაჟღენთილი შრომები. ამავდროულად, პოსტმოდერნიზმმა უარყო ანთროპოლოგიის განმანათლებლობის ხანის დაშვებები და ღირებულებები, ყველა ცნობილი თეორია, ისევე როგორც ანთროპოლოგიის სამეცნიერო პრეტენზიები. პოსტმოდერნი, რომლის ბიძგის მიმცემი და მასაზრდოებელი ფრანგული ფილოსოფია და ლიტერატურული სწავლებები იყო, შეეცადა დაებრუნებინა და განეახლებინა მარგინალიზებული "დაქვემდებარებული სხვის" დისკურსი. პოსტმოდერნსა და ტრადიციულ ანთროპოლოგებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია პროფესიების ორად გაყოფა, აკადემიური დეპრტამენტების გახლეჩა და, საბოლოო ჯამში, შედეგად მოიტანა დაპირისპირებები წამყვანი სამეცნიერო ჟურნალების რედაქციებშიც კი. ახალი საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა გარკვეული სინთეზი, სადაც გამორჩეული პოსტმოდერნული ხედვები მძლავრ ემპირიულ ჩარჩოში მოექცა. რაც შეეხება პოლიტიკურ ანთროპოლოგიას, მიშელ ფუკოს და სხვათა მიერ ძალაუფლების ბუნების ხელახალი გადააზრება კვლევისა და ანალიზის ახალ მეთოდებს საჭიროებს.

გლობალიზაციას (მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოლოგია ჯერაც რუდიმენტულ დონეზე შეისწავლის მას), შესაძლოა, უფრო დიდი ზეგავლენა ჰქონდეს, ვიდრე პოსტმოდერნიზმს. ვაჭრობის, ფინანსების, კულტურის, იდეების და ადამიანების სულ უფრო მზარდი ნაკადი, რაც გამოწვეულია კომუნიკაციის გამარტივებული და ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით, მოგზაურობებით და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ფართო გავრცელებით - კულტურის, ლოკალურობის, თემის და იდენტობის ანთროპოლოგიური კონცეფციების რადიკალური გადახედვისკენ გვიბიძგებს. ამ ნაკადებისადმი ლოკალური და რეგიონალური შეგუება და მათდამი დაპირისპირება უკვე იქცა ახალი პოლიტიკური ანთროპოლოგიის საგნად. გლობალიზებულ სამყაროში ძალაუფლება უფრო გაფანტულიც არის და ამავდროულად, ლოკალურად კონცენტრირებულიც, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება თანაბრად მოიცავს სახელმწიფოს, მულტინაციონალური ტიპის კორპორაციებისა თუ მსოფლიო ბანკის მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციის დონეებს.

მომავლის გამოწვევები ყურადსაღები უნდა იყოს ანთროპოლოგიისთვის. თუმცა, იმედი მაქვს ამ წიგნით შევძლებ გაჩვენოთ, რომ სუბდისციპლინა სუბსტანციურ ბაზისზე დაფუძნებით მოქმედებს.

რეკომენდებული ლიტერატურა

Kurtz, Donald V. Political Anthropology: Paradigms of Power (Boulder, Colo.: Westview, 2001). ავტორი იყენებს ტერმინ „პარადიგმას“, რათა აღნიშნოს საკვლევი თემის მოცემული კონკრეტულ დროის მონაკვეთისთვის გამოყენებული ზოგადი საკითხები და სტრატეგიები. მოცემული მიმოხილვა არის პარადიგმული მიდგომა პოლიტიკური ანთროპოლოგიისადმი. იგი მოიცავს სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს, პროცესუალურ მიდგომას, პოლიტიკურ ეკონომიკას, პოლიტიკურ ევოლუციას და პოსტმოდერნიზმს.

McGlynn, Frank, and Arthur Tuden, eds. Anthropologiical Approaches to Political Behavior (Pittsburg, Pa. University of Pittsburgh Press, 1991). ჟურნალ „ეთნოლოგიაში“ გამოქვეყნებული მოცემული 16 ესესგან შემდგარი სტატიების კრებული წარმოადგენს სტუდენტებისთვის განკუთვნილ დამატებით საკითხავ მასალას. ესეები ეხება პოლიტიკური ანთროპოლოგიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს და მასში კულტურათა ფართო სპექტრია ასახული.

Vincent, Joan. Anthropology and Politics: Visions, Traditions and Trends (Tucson: Univerity of Arizona Press, 1990). პოლიტიკური ანთროპოლოგიის ამომწურავი და მრავლისმომცველი ისტორია დაწყებული მეცხრამეტე საუკუნიდან, დამთავრებული 1990 წლით. ვინსენტი უარყოფს დისციპლინის კვლევის გენეოლოგიურ მეთოდს, როგორც ეთნოცენტრისტულს. იგი ცდილობს მოიცვას ფაქტობრივად ყველა,

ვისაც კი ოდესმე დაუწერია ამ თემაზე. შედეგად მიღებული კვლევა შთამბეჭდავი და ზოგჯერ საკმაოდ რთულიცაა.

Vincent, Joan, ed. The Antropolgy of Politics: A Reader in Ethnography, Theory and Critique (Malden, Mass: Blackwell, 2002). გამომცემელი იწყებს განმანათლებლობის შესახებ დაწერილი ესეთი, სადაც განმანათლებლობა განხილულია, როგორც დასავლური აზრის ჰეგემონური სისტემა, რომლითაც აღსავსე იყო პოლიტიკური ანთროპოლოგიის განვითარების ეტაპები. შესაბამისად, პირველი ნაწილი მთლიანად განმანთლებლობის ხანის ავტორებს ეხება. 35 ესე დაჯგუფებულია შემდეგი სისტემით: კლასიკა, იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის კვლევები და „კოსმოპოლიტიკის“ თანამედროვე პერიოდი.

Wolf, Eric. Pathways of Power: Building an Anthropology of the Modern Word (Berkeley: University of California Press, 2001). ერიკ ვოლფი, რომელიც 1999 წელს გარდაიცვალა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო. კვლევების და სამეცნიერო ნაშრომების წერის დახლოებით 40 წლიანი გამოცდილების პერიოდში მისი უმთავრესი ყურადღების საგანი კულტურასა და ძალაუფლებას შორის კავშირის განსაზღვრა იყო. მოცემული კრებული, რომელიც ვოლფის ნაშრომების დიდ ნაწილს მოიცავს, კარგად წარმოაჩენს მისი იდეების ევოლუციას.

თავი 2

წინარეინდუსტრიული პოლიტიკური სისტემების ტიპები

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ტრადიციული ესკიმოსების საზოგადოება შედგებოდა ოჯახებისა და ეგალიტარულ პრინციპზე დამყარებული რაზმებისგან. მათი ზომები იზრდებოდა საკვების სეზონური ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

არცერთი ანთროპოლოგი არ აყენებს საკუთარ თავს უფრო მეტად ბონგო-ბონგოიზმში დადანაშაულების საფრთხის ქვეშ, ვიდრე ის, ვინც გარისკავს და კლასიფიკაციას მოახდენს. როგორი განზოგადებაც არ უნდა გაკეთდეს, რომელიმე მკვლევარს მაინც შეეძლება თქვას ”მაგრამ ბონგო ბონგოს ტომში ხომ სხვაგვარად აკეთებენ ამას”. უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური სისტემების ტიპოლოგიზაციისას მსგავსი ტიპის ტომები უამრავია. ბრიტანელმა ანთროპოლოგმა ედმუნდ ლიჩმა (1961) ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ყველა მცდელობა თავისი არსით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პეპლების კოლექცირებამდე დაიყვანა. იგი ამოდიოდა შეხედულებიდან, რომ სოციალური სისტემების კლასიფიკაციის შედეგად მიღებული ტიპოლოგიები არანაირად არ იყო უფრო მეტის მომცემი და ღირებული, ვიდრე ვთქვათ, ყველა ლურჯი პეპლის ერთად დაჯგუფება. თანამედროვე პოსტმოდერნული თეორია კიდევ უფრო მტრულადაა განწყობილი კლასიფიკაციისადმი, რასაც ის განიხილავს რაციონალისტური განმანათლებლობიდან წამოსულ იძულებად – სამეცნიერო კლასიფიკაცია მოუძებნოს ყველაფერს. ამგვარი მიდგომის საწინააღმდეგო უამრავი ლიტერატურა დაიწერა, რომელიც უარყოფდა კლასიფიკაციას, როგორც გაბატონებული დასავლეთის მიერ გარკვეული ჯგუფებისთვის საკუთარი ძალაუფლების თავის მოხვევის საშუალებას. ამასთანავე, გლობალიზაციის თეორიის თანამედროვე ტენდენციებიც საკმაოდ უარყოფითადაა განწყობილი ტრადიციული ტიპოლოგიების მიმართ. კლასიფიკაციის სისტემებით ახლა ხაზგასმა ხდება არა სტატიკურ, უცვლელ სტრუქტურებზე, არამედ მერყეობაზე, ჰიბრიდულობაზე და ცვლილებებზე.

*გრაფიკული გამოსახულება **2.1***

წინარეინდუსტრიული პოლიტიკური სისტემები



წყარო: აიზენშტატი 1959; ფრიდი 1967; სერვისი 1971

კლასიფიკაცია, პოლიტიკური ანთროპოლოგიის ადრეული ეტაპებიდან მოყოლებული, კვლევის ძირითადი თემა იყო. მართლაც, ფორტესისა და ევანს-პრიტჩარდის ფუნდამენტური ნაშრომი "აფრიკული პოლიტიკური სისტემები" *(African Political Systems, 1940*) ტიპოლოგიით იწყება. კულტურულ ანთროპოლოგიაში შესავალი სახის სახელმძღვანელოების უდიდესი ნაწილი კვლავაც აგრძელებს კლასიკურ ტიპოლოგიას: რაზმი – ტომი – საბელადო - სახელმწიფო. ყველა ამგვარი დაჯგუფების მეტისმეტად ზოგადი ტერმინების - "ეთნიკური" და "ნაციის" ფარგლებში მოქცევა დღეისათვის პოლიტიკურად უფრო მართებულადაა მიღებული, მაგრამ საკითხავი ისაა, არის ეს უკეთესობისკენ სვლა?

რეალობა კი ისაა, რომ არ აქვს მნიშვნელობა რა მიმართულებებები და დიფერენცირებები იქნება გამოყენებული, უმრავლესობა მაინც უკმაყოფილო დარჩება. ეს დაახლოებით იგივეა, მაგალითად, ისტორიულად უნიკალური საზოგადოებების შესახებ რაიმე მკაცრი, კონკრეტული და შეზღუდული კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ. მიუხედავად ამისა, 1940-1980-იან წლებში შექმნილმა კლასიფიკაციის სისტემამ მოიპოვა რა საერთო ტერმინოლოგიური გავრცელება, შექმნა პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის საერთო ლექსიკა. ეს კლასიფიკაცია, რომელიც ნაჩვენებია 2.1 გრაფიკულ გამოსახულებაში, გარკვეულწილად კროსკულტურული ტესტირებით არის გამყარებული და დამტკიცებული. იგი ეფუძნება პოლიტიკური ინტეგრაციის საშუალებებს, ლიდერობაზე ხელმისაწვდომობას და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს. ალენ ჯონსონმა და ტიმოტი ერლიმ (2000: 36) ახლახანს განავითარეს განსხვავებული და ბევრ ასპექტში უკეთესი კლასიფიკაცია, რომელიც ადგენს ისეთ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ დონეებს, როგორიცაა ოჯახური დაჯგუფებები, ლოკალური ჯგუფები და რეგიონული პოლიტი. თითოეულ კლასს, თავის მხრივ, საკუთარი ქვეკატეგორია აქვს – აკეფალური ლოკალური ჯგუფი, ბიგ მენის კოლექტიურობა, ბელადობა. თუმცა, თვით ამ უახლეს ტიპოლოგიაშიც კი საკმაო დოზით გვხვდება აქ მოყვანილი კლასიკური ტიპოლოგიის ელემენტები.

კლასიფიკაცია შესაძლებელია, რადგანაც საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდების ნაკრები, როგორც მაგალითად, სახლი წარმოადგენს აგურის, ლურსმნების და სხვადასხვა საგნის ჯამს. განსხვავებული მასალით, მაგრამ ერთი და იმავე პროექტით ნაგები ორი სახლი გარეგნულად ბევრად უფრო მსგავსი იქნება, ვიდრე ერთნაირი მასალით, მაგრამ სრულიად განსხვავებული პროექტით აშენებული ორი სახლი (მაგალითად, ქალაქის სახლი და აგარაკის სახლი). ანალოგიურად, ჩვენ არ უნდა ველოდეთ რომ ერთი და იმავე არქიტექტურას ვნახავთ არქტიკაში და ტროპიკებში, ან სასოფლო ტიპის აფრიკულ ნუერების ტომში და თანამედროვე

ინდუსტრიულ შვედეთში. მოკლედ რომ ვთქვათ, სახლი განისაზღვრება მისი სისტემური თვისებების მხრივ და არა მისი ინდივიდუალური კომპონენტებიდან გამომდინარე. ხოლო სისტემაზე ზეგავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც იგი მდებარეობს და იმ ადამიანთა ტექნოლოგიური განვითარების დონე, რომლებმაც ეს სახლი დააპროექტეს.

მოცემული ანალოგია ადვილად შეიძლება იქნეს დამახინჯებული, მაგრამ ნებისმიერი ტიპის ანთროპოლოგიური კლასიფიცირება გარკვეული წარმოდგენების შექმნაში გვეხმარება. თუკი აფრიკის კალაჰარის უდაბნოში მცხოვრებ ტრადიციულ ბუშმენს მოვათავსებთ იმავე პოლიტიკურ კატეგორიაში, რაშიც მეცხრამეტე საუკუნის უტაში მცხოვრებ შოშონ ინდიელებს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ მონადირეობა-შემგროვებლობისადმი ადაპტაცია მკაცრ გარემო პირობებში გარკვეულ სოციალურ მახასიათებლებს წარმოქმნის, ისეთებს, როგორიცაა მაგალითად, ეგალიტარული ჯგუფები ფორმალური ლიდერის გარეშე და გაზიარებაზე დაფუძნებული ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლის სისტემა. ურთიერთობები უცილობლად კაუზალურია, თუმცა ბევრად უფრო რთულია განსაზღვრო, თუ რა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სისტემის ერთი ელემენტი მეორესთან, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. იწვევს თუ არა მშრალი გარემო და, შესაბამისად, საკვებისა და წყლის გარკვეული სიმწირე მოსახლეობის სიმწირესაც და შედეგად, იძლევა თუ არა სოციალური ორგანიზაციის მოქნილ, მცირერიცხოვანი ჯგუფების ტიპს? შესაძლოა ეს ასეცაა. თუმცა, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ რომ მიზეზი თავისთავად აქტიური და მოქმედია, მაშინ როდესაც გარემო პირობები პასიურთა რანგს განეკუთვნება. ამასთან ერთად, საზოგადოებასა და გარემო პირობებს შორის ურთიერთობა მუდმივი უკუკავშირია. ადამიანები არა მარტო ეგუებიან გარემო პირობებს, არამედ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, საკუთარ ფიზიკურ და სოციალურ სამყაროსაც კი იცვლიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური სისტემების კლასიფიცირებისას, ხშირად, უფრო შედეგიანია სტრუქტურული ურთიერთობების კუთხით მსჯელობა, რაც გულისხმობს იმის დაშვებას, რომ ერთი ელემენტი ლოგიკურად მოიცავს მეორე ელემენტსაც. ამგვარად, გამოსადეგი ტიპოლოგია ის იქნება, რომელიც მოახდენს სისტემების, ანუ იმგვარი კავშირების გამოკვეთას, სადაც ნაწილები სტრუქტურულად იმდენად ურთიერთდკავშირებულია, რომ ერთი ელემენტის სპეციფიცირებით შეიძლება წინასწარ იქნეს ნავარაუდები სხვა ელემენტებიც.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ცალსახად იმის მტკიცება, რომ სოციალური შტრიხების ურთიერთკავშირი, მაგალითად საბელადოები ცალხაზოვანი ნათესაობითი სისტემით, მხოლოდ სტატისტიკური ალბათობაა. რომ დავუბრუნდეთ სახლის ანალოგიას, შესაძლებელია ერთად

დავაჯგუფოთ რანჩოს ტიპის სახლები, თუმცა, სავარაუდოდ, საერთო სტილის კლასიფიკაციის ფარგლებშიც კი უამრავი ნაირსახეობა შეგვხვდება. კულტურის მკაცრად მატერიალისტური თეორიებისგან განსხვავებით, გარემო პირობები და ტექნოლოგიები იმდენად სოციალური სტრუქტურებისა და იდეოლოგიების განმსაზღვრელად არ გვევლინება, რამდენადაც ზღუდავს ალბათობათა რაოდენობას.

2.1. ცხრილში ნაჩვენებია ზოგიერთი სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლები, რაც სრულიად მართებულად შეიძლება ასოცირდეს ყველა ძირითად პოლიტიკურ ტიპთან. მსგავსი ტიპის ნებისმიერ ცხრილს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. პირველ რიგში, ვერცერთი საზოგადოება ვერ ასახავს მისი ტიპის ყველა მახასიათებელს. ეს დაახლოებით იგივეა, რომ მოვინდომოთ მოვძებნოთ მაგალითად, საშუალო ამერიკელი, 5 ფუტი სიმაღლის, 39 წლის, დაქორწინებული, გარკვეული ტიპის კოლეჯის დონის განათლებით, თუმცა ხარისხის გარეშე, რომელიც გამოიმუშავებს წლიურად 37 057 დოლარს (აშშ სტატისტიკის ბიურო, 2002). მეორე, რასაც ეს ცხრილი რეალურად გვიჩვენებს, ესაა კულტურული კომპლექსურობა. შესაბამისად, არ არის მართებული იმის მტკიცება, რომ პოლიტიკა არის პირველადი განმსაზღვრელი მხოლოდ იმიტომ, რომ სათაურებში უმთავრესად საუბარია ტომებზე, საბელადოებზე, რაზმებზე და სახელმწიფოზე. მოცემული ნაშრომი ნათესაური კავშირების შესახებ რომ იყოს, სათაურები შეიძლებოდა ყოფილიყო შემდეგი სახის: მრავალხაზოვანი, პატრიარქატის ხაზის, მატრიარქატის ხაზის ან მონათესავე. მესამე, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მახასიათებელი თანაბრად კარგი მაჩვენებელი არაა. სტატისტიკურად, ყველაზე ძლიერი მაჩვენებელი მოსახლეობის სიმჭიდროვეა. ეს კომპონენტი აქ არაა მოყვანილი, რადგან რაზმებიდან სახელმწიფომდე მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა ისედაც სავარაუდებელია. მეოთხე, ამ ტიპის ცხრილი გულისხმობს, რომ ტიპოლოგიის ყოველი შემადგენელი ნაწილი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. რეალურად კი, ისინი ერთი გრძელი ჯაჭვის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგნენ. მეხუთე, არ შეიძლება არც იმის დაშვება, რომ ყველა უფრო დაბალი განვითარების დონის უკან კულტურული კომპლექსურობის უფრო მაღალი დონე დგას (ურთიერთქმედება ყველა საზოგადოებაში გაცვლის მნიშვნელოვანი საშუალებაა) და არც იმის დაშვებაა მართებული, რომ კულტურული კომპლექსურობა უბრალოდ დამატებითი ფაქტორია (ნათესაური კავშირების ორმხრივი სისტემები შეინიშნება როგორც ყველაზე მარტივ, ასევე ყველაზე რთულ დონეებზე, თუმცა, ზოგჯერ ხდება მათი ჩანაცვლებაც ცალმხრივი ნათესაობითი კავშირებით.

არაცენტრალიზებული სისტემები

იმ ჯგუფების დიდ ნაწილს, რომლებსაც ანთროპოლოგები სწავლობენ, ნაკლებად გააჩნიათ ის, რისთვისაც შეიძლებოდა მთავრობა გვეწოდებინა. არ არსებობს არც მუდმივი პოლიტიკური ელიტა. არასახელმწიფო სისტემების უდიდეს ნაწილში ძალაუფლება ფრაგმენტირებული და დროებითია, გაფანტულია ოჯახებს, რაზმებს, გვარებსა და მრავალრიცხოვან გაერთიანებებს შორის. უფრო ფართო პოლიტიკური ჯგუფები შესაძლოა შექმნილიყო დროებით, კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, მეზობლებთან ომისთვის), მაგრამ ეს ჯგუფები პრობლემის დაძლევასთან ერთად იშლებოდა. ამგვარად, ამ პოლიტიკური სისტემების განხილვა უმჯობესია არა როგორც პერმანენტული, ცენტრალიზებულად ორგანიზებული საზოგადოებების, არამედ, როგორც დროებითი ჯგუფების, რომლებიც მოკლე ან შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე, ზოგჯერ სეზონურადაც, ერთიანდებიან დიდ ტომობრივ გაერთიანებებში, რომლებიც შემდგომში უფრო პატარა კავშირებად იშლება. ეს კავშირები, თავისთავად, შესაძლოა კიდევ დაიყოს. მართალია, ამგვარ საზოგადოებებში პოლიტიკა მუდმივად არსებობს - ინდივიდები ცდილობენ მოიპოვონ მხარდაჭერა ლიდერობის მისაღწევად, საზოგადოება ღებულობს გადაწყვეტილებებს, ტერიტორია კი განსაზღვრულია, მაგრამ მაინც არ არსებობს არც მონოპოლია ძალაუფლებაზე და არც გადასახადებსა თუ ხარკზე დაფუძნებული ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა. ინდივიდუალური სტატუსების კუთხით ბევრი განსხვავება შეიძლება არსებობდეს, თუმცა, ეს ნაკლებად ეხება კლასების სტრატიფიცირებას. ამგვარად, ასეთი სისტემები, მიუხედავად იმისა, რომ განვითარების მხოლოდ ყველაზე დაბალ დონეზე (მაგალითად, მონადირეობა - შემგროვებლობა) არიან ეგალიტარულები, გადაწყვეტილებების მიღების და ლიდერობაზე ხელმისაწვდომობის კუთხით ცენტრალიზებულ სისტემებთან შედარებით უფრო მეტად დემოკრატიულნი არიან.

რაზმები

1965 წელს რაზმების ორგანიზების თემატიკისადმი მიძღვნილი კონფერენციიდან მიღებული უმთავრესი დასკვნა იყო ის, რომ ტერმინი “რაზმი”, რომელიც ჯერაც გამოსადეგია, ჩვეულებრივ, გამოიყენება როგორც 25 კაციანი, ასევე 400-500 წევრიანი გაერთიანებების მიმართაც, რაც ტერმინს, რეალურად, უაზრობად აქცევს. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ რაზმების ზოგადი განმსაზღვრელი თვისებები – სეზონური გაერთიანებები, ცენტრალიზებული ხელისუფლების

ნაკლებობა და მონადირეობა - შემგროვებლობაზე დაფუძნებული ეკონომიკა – არ იძლეოდა საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ ეს გაერთიანებები ავტომატურად შეგვედარებინა ერთმანეთისთვის (Damas 1968). ერთმანეთისგან იმდენად დაშორებული ჯგუფების, ისეთების როგორიცაა ვთქვათ, კანადელი ესკიმოსები და ავსტრალიელი აბორიგენები, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების მსგავსებები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ველურ საკვებზე დამოკიდებულება, ამის შედეგად მიღებული მომთაბარეობა და მოსახლეობის სეზონური გადანაწილება შედარებით შეზღუდულ საზღვრებში ადაპტაციის შესაძლებლობებს წარმოქმნიდა. ამის გამო პალეოლითურ ხანაში რაზმებს შეეძლოთ ჰქონოდათ სოციალური ორგანიზების ნორმალური მოდელი. რაზმების ტიპი დღესდღეობით უკიდურესად იშვიათი მოვლენაა. აქედან გამომდინარე, მოცემული კლასიფიკაცია უფრო ისტორიული ხასიათისაა, ვიდრე თანამედროვე რეალობის ამსახველი.

რაზმები, როგორც წესი, ესაა მცირე, დაახლოებით 25-დან 150-მდე ინდივიდისგან შემდგარი გაერთიანება, რომელთა ბირთვს ოჯახები შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ასაკისა და სქესის მიხედვით შრომის დანაწილება, როგორც ჩანს, არ არსებობდა უნარების მიხედვით სპეციალიზაცია.

უფრო ფართო ჯგუფები, ემილ დურკჰაიმის სიტყვებით რომ ვთქვათ, "მექანიკური" ხასიათის იყო და ჩვეულებებს, ტრადიციებს, საერთო ღირებულებებსა და სიმბოლოებს უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე სპეციალიზირებული ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულებას. რაზმში მიღებული ეგზოგამიის მკაცრი წესები ხელს უწყობდა ქორწინების გზით სხვა რაზმებთან დაკავშირებას და ეს უფრო ფართო ჯგუფები, როგორც წესი, ასევე ერთიანდებოდა ორმხრივი ნათესაობით (ნათესაობა ორივე მშობლის ხაზით გადადიოდა). ნათესაობა, რაშიც ვგულისხმობთ გარკვეულ ტერიტორიაზე უფლების მქონე ერთიანი წარმომავლობის მქონე ჯგუფებს, ვერ იქნებოდა იმდენად მოქნილი, რომ წარმატებულად გაეძლო შემგროვებლობა - მონადირეობაზე დაფუძნებული საზოგადოებების მუდმივი მერყეობებისა და არამდგრადობისთვის.

ამგვარი ჯგუფები მორტონ ფრიდმა (1967) ეკონომიკური, სოციალური ორგანიზების და პოლიტიკური სტრუქტურის კუთხით ეგალიტარული ჯგუფების კატეგორიაში გაიყვანა. საკვებისა და სხვა საჭირო მოხმარების საგნების ერთმანეთს შორის გადანაწილება უმარტივეს დონეზეა. რაზმის შიგნით და რაზმებს შორის კავშირები დამყარებულია მიმდინარე ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე. პოლიტიკური ორგანიზაციაც ეგალიტარულია იმ კუთხით, რომ გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, ჯგუფური პროცესია და ლიდერის პოზიციებზე ხელი

გარკვეული ასაკობრივი ცენზის მქონე ყველა მამაკაცს მიუწვდება. ლიდეროზა, რომელიც დროებითია და იცვლება სიტუაციიდან გამომდინარე, ემყარება პიროვნების პერსონალურ თვისებებს და ნებისმიერი იძულებითი ძალაუფლების ნაკლებობას განიცდის. მონადირეებში ლიდერს ან მეთაურს არ შეუძლია მიუთითოს ვინმეს რა გააკეთოს. მან ჯგუფში უნდა იმოქმედოს, როგორც არბიტრმა ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, ჯგუფის წევრებს რჩევები მისცეს.

ეს ყველაზე მარტივი პოლიტიკური სტრუქტურები შემდგომში შეიძლება პატრილოკალურ, შერეულ და ნორმიდან ამოვარდნილი ტიპის ქვეგანაყოფებად დაიყოს. პატრილოკალური ტიპი დაფუძნებულია რაზმის ეგზოგამურობაზე და ქორწინების წესზე, რომელიც გულისხმობს, რომ ქალი თანაცხოვრობს თავისი მეუღლის რაზმთან. ეს ტიპი იმდენად გავრცელებული იყო, რომ ელმან სერვისმა (1962: 97) მას "ორგანიზების თითქმის გარდაუვალი ტიპი" უწოდა. მართლაც, მისი უპირატესობა ის იყო, რომ იგი ხელს უწყობდა რაზმის სტაბილურობას, რადგან თითოეულ ჯგუფში პერიოდულად გარედან მოსული წევრების მეშვეობით მუდმივი შევსება მიმდინარეობდა; ამასთანავე, პატრილოკალურ ტიპს შესწევდა უნარი - ქორწინებების გზით შეექმნა გაფართოებული ალიანსები და იყო მნიშვნელოვნად მოქნილი. შერეული რაზმები სერვისის მიერ განხილულ იქნა, როგორც იმ პატრილოკალური სტრუქტურების კოლაფსის შედეგი, რომელთა მოსახლეობაც ავადმყოფობების და ცივილიზაციასთან კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი ომების გამო სწრაფად შემცირდა. ეს არის ჯგუფი, რომელსაც აკლია როგორც რაზმისთვის დამახასიათებელი ეგზოგამია, ასევე ქორწინების დადგენილი წესი და, შესაბამისად, "უფრო მეტად მიზნობრივი გაერთიანებაა, ვიდრე სტრუქტურული საზოგადოება." ნორმიდან ამოვარდნილ კატეგორიას განეკუთვნებიან ტრადიციული ბაშინ შოშონი ინდიელები და ესკიმოსები. ორივე მათგანს იმდენად ფრაგმენტირებული სოციალური სტრუქტურა ჰქონდათ, რომ ისინი დახასიათებულ იქნენ, როგორც სოციო-კულტურული ინტეგრაციის ოჯახური დონის ტიპური მაგალითები.

ცხრილი 2.1

წინარეინდუსტრიული პოლიტიკური სისტემები: ევოლუციური ტიპოლოგია

	არაცენტრალიზებული		ცენტრალიზებული	
	რაზმი	**ტომი**	**საბელადო**	**სახელმწიფო**
არსებობის ტიპი	შემგროვებლობა-მონადირეობა; მოშინაურება მცირე დოზით, ან საერთოდ არა	ინტენსიური სოფლის მეურნეობა (მებაღეობა) და მეცხვარეობა	ექსტენსიური სოფლის მეურნეობა; ინტენსიური მეთევზეობა	ინტენსიური სოფლის მეურნეობა
ლიდერობის ტიპი	არაფორმალური და სიტუაციური ტიპის ლიდერები; შესაძლოა არსებობდეს მეთაური, რომელიც ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდეს, როგორც არბიტრი	ძალაუფლების არმქონე ქარიზმატული მეთაური, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას	ქარიზმატული ბელადი, რომლის შეზღუდული ძალაუფლება მომხრეების მიერ გაღებულ ხარკს ემყარება	სუვერენული ლიდერი, რომელსაც მხარს უჭერს არისტოკრატიული ბიუროკრატია
ნათესაობის ტიპი და მნიშვნელობა	ორმხრივი ნათესაობა, სადაც ნათესაობიდან გამომდინარე იცვლება რაზმის სიდიდე და შემადგენლობა	ერთმხრივი ნათესაობა (ქალის ან მამაკაცის ხაზით) აყალიბებს საზოგადოების ბაზისურ სტრუქტურას	ერთმხრივი ნათესაობა, ორმხრივობის გარკვეული დოზით. მემკვიდრეობითი ჯგუფები გარკვეული სტატუსის მფლობელები არიან	სახელმწიფო საჭიროებს ზენათესაობით ლოიალობას; ძალაუფლებაზე ხელმისაწვდომობა დამყარებულია ჯგუფებზე, სადაც ნათესაობა ერთმხრივი ან ორმხრივი ხაზით გადადის
სოციალური ინტეგრაციის ძირითადი გზები	ქორწინებაზე დამყარებული ალიანსები უფრო ჯგუფებს აერთიანებს; ნათესაობისა და ოჯახის გზით გაერთიანებული რაზმები; ურთიერთგაცვლაზე დამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობა	ნათესაობის სისტემაზე დაფუძნებული პანტრაიბალური სამმოები; ნებაყოფლობითი ასოციაციები და/ან ასაკობრივი ცენზი	ბელადისადმი ლოიალობაზე, სტატუსის მქონე გვარებზე და ნებაყოფლობით ურთიერთობებზე დამყარებული ინტეგრაცია	სახელმწიფოსადმი ლოიალობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი სხვა დონის ლოიალობა; ინტეგრაცია კომერციის გზით და ფუნქციების სპეციალიზაცია

პოლიტი-კური მემკვიდრე-ობითობა	შესაძლოა არსებობდეს მემკვიდრეობითი მეთაური, მაგრამ რეალური ლიდერობა აქვს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პიროვნებას	პოლიტიკური მემკვიდრეობის არანაირი ფორმალური წესები	ბელადობა არაა მემკვიდრეობითი, თუმცა, ბელადი მაღალი სტატუსის მქონე საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს	სუვერენობის პირდაპირ მემკვიდრეობით გადაცემა; ბიუროკრატიული თანამდებობის პირების დანიშვნის გახშირება
ეკონომიკური გაცვლის ძირითადი ტიპები	გაცვლა-გამოცვლა	გაცვლა-გამოცვლა; ვაჭრობა შეიძლება უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე რაზმებში	რედისტრიბუცია ბელადის მეშვეობით; გაცვლა-გამოცვლის სისტემა ძალიან სუსტად	ფორმალურ ხარკსა და/ან გადასახადებზე დამყარებული რედისტრიბუცია; ბაზრები და ვაჭრობა
სოციალური სტრატიფი-კაცია	ეგალიტარული	ეგალიტარული	სტატუსი (ინდივიდუალური და გვაროვნული)	კლასები (მმართველები და მართულები)
საკუთრების ფორმები	კერძო საკუთრება მცირე დოზით, ან საერთოდ არა	სასოფლო-სამეურნეო მიწების და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის თემობრივი (წარმომავლობითი) ან კლანური მფლობელობა	მიწას ერთობლივად ფლობს საგვარეულო, თუმცა, არსებობს ტიტულების, წოდებების, პრივილეგიების, რიტუალების და ა.შ. პიროვნულად ფლობის მძლავრი განცდა	კერძო და სახელმწიფო მფლობელობა იზრდება სათემო მფლობელობის ხარჯზე
კანონი და ლეგიტიმური კონტროლი ძალის გამოყენებაზე	დასჯის არანაირი ფორმალური კანონი; ძალის გამოყენების უფლება საერთოა	დასჯის არანაირი ფორმალური კანონი; ძალის გამოყენების უფლება ეკუთვნის სანათესაოს, კლანს ან ასოციაციას	შესაძლოა არსებობდეს არაფორმალური კანონები ან სპეციფიური სასჯელები ტაბუს დამრღვევთათვის; ბელადს შეზღუდული დოზით მიეუწვდება ხელი ფიზიკურ მორჩილებაზე	ფორმალური კანონები და სასჯელები; სახელმწიფოს ხელშია ფიზიკური ძალის ლეგიტიმურად გამოყენების უფლება

რელიგია	არანაირი რელიგიური ღვთისმსახურება	შამანობა	შამანობა ჩანასახოვან დონეზე; ფორმალური სასულიერო პირები; იერარქიული, წინაპრებზე დაფუძნებული რელიგია	სრულშტატიანი სამღვდელოება ხელს უწყობს სახელმწიფოს საკრალურ ლეგიტიმაციას
ახალი და თანამედროვე მაგალითები	!კუნგ ბუშმენები (აფრიკა); პიგმიები (აფრიკა); ინუიტები (კანადა, ალასკა) შოშონები (აშშ)	კპელე (აფრიკა); იონამომო (ვენესუელა; ბრაზილია); ნუერები (სუდანი); ჩეიენე (აშშ)	წინარეკოლონიური ჰავაი; კვაკიუტლი (კანადა); ტიკოპია (პოლინეზია); დაგურები (მონღოლეთი)	ანკოლა (უგანდა); ჯიმმა (ეთიოპია); კაჩარი (ინდოეთი); ვოლტა (აფრიკა)
ისტორიული და პრეისტო-რიული მაგალითები	ფაქტობრივად ყველა პალეოლითური საზოგადოება	იროკეზები (აშშ); ოახაკას ველი (მექსიკა) 1500-100-წწ ძვ. წ. აღ.	წინარეკოლონიური აშანტი; ბენინი; დაჰომი; შოტლანდიელი მთიელები	წინარეკოლონიური ზულუ (აფრიკა); აცტეკები (მექსიკა); ინკა (პერუ); შუმერები (ერაყი)

წყარო: აბრაჰამსონი 1969; კარნიერო 1970; აიზენშტატი 1959; ფრიდი 1967; ლევინსონი და მალონე 1980; ლომა და არენსბერგი 1977; სერვისი 1971;

!კუნგ ბუშმენი

აფრიკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მდებარე კალაჰარის უდაბნოს ნუა ნუას რეგიონის ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 10 000 კვადრატულ მილს, რომელშიც საკმაოდაა წყლის წერტილები, მაგრამ არაა არცერთი მდინარე და ნაკადული. ხანმოკლე წვიმების სეზონზე წარმოქმნილი წყლის გუბეების გარდა, მიწის ზედაპირზე სხვა ტიპის წყალი არ მოიპოვება. ამ ტერიტორიის საზღვრებში დაახლოებით 1000 !კუნგ ბუშმენი (ნიშანი - ! ნიშნავს სახელწოდების წარმოთქმისას "ხაზგასმას") ცხოვრობდა 36 - 37 რაზმში. უმდაბლესი დონის ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად - ისინი იყენებდნენ სათხრელ ჯოხებს და წაკვეთილ, საწამლავ წასმულ შუბებს, ხოლო საკვებისა და წყლის ძიების მარადიულ პროცესში თან დაატარებდნენ მთელ თავიანთ ღარიბ ავლა-დიდებას - !კუნგ ბუშმენები კარგად იყვნენ ადაპტირებულები მთლიანად

მტრულ გარემო პირობებთან. საკვების 80 % მოიპოვებოდა ქალების მიერ, რომლებიც დღის განმავლობაში აგროვებდნენ თხილს, ხილს, ფესვებს, ქერქებს და მრავალ სხვა მინდვრის ნაყოფს. !კუნგის არსებობის დანარჩენი წილი მოდიოდა ნადირობაზე, რომელიც ექსკლუზიურად მამაკაცთა საქმე იყო. ხორცის დიდ წილს ანტილოპის ხორცი შეადგენდა, თუმცა, ზოგჯერ, შეიძლება ჟირაფი ან ბიზონიც კი მოენადირებინათ. წელიწადის განმავლობაში დაახლოებით 15-18 ასეთ დიდ ნადირს კლავდა მარტო ერთი რაზმი, ხოლო ხორცს კი მთელი ჯგუფი ინაწილებდა.

მიუხედავად იმისა, რომ !კუნგებს შორის არ არსებობდა რაიმე გამოყოფილი პოლიტიკური სფერო, გარკვეული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა მაინც აუცილებელი ხდებოდა - მაგალითად, ტერიტორიებისა და წყლის მოპოვება–შენარჩუნების, ასევე რაზმების მოძრაობისა და კოლექტიური ნადირობის საკითხები. ყოველი რაზმი ითხოვდა ტერიტორიას, რომელსაც ყოველდღიური მოხმარებისთვის საჭირო მცენარეულ საკვებთან საკმაოდ ახლოს ექნებოდა წყლის მუდმივი წყარო, სადაც იარსებებდა ნაყოფიერი მიდამოები ნუშის ხეებით და ხენდროს ბუჩქებით; ასევე, სპეციალური ადგილები, სადაც განსაკუთრებით უხვად მოიპოვებოდა ბოლქვები. ეს ადგილები რაზმის "სამფლობელოდ" მიიჩნეოდა და მას გულმოდგინედ დარაჯობდნენ. ხანდახან, სხვა რაზმის ტერიტორიაზეც შედიოდნენ, განსაკუთრებით ნადირობის პერიოდში და ამ დროს მოსალოდნელი იყო ძალადობა. თუმცა, ნამდვილი ომი !კუნგ ბუშმენებისთვის უცნობი იყო.

მეთაურობა მამიდან შვილზე გადადიოდა. პოლიტიკურ თანამდებობებზე მეთაურობის მემკვიდრეობით გადაცემის არსებობა ეჭვქვეშ აყენებდა პრინციპს, რომლის თანახმადაც ლიდეროზა რაზმის წევრი ყველა მამაკაცისთვის ხელმისაწვდომობი უნდა ყოფილიყო. თუმცა, მეთაურის ძალაუფლება დიდად იყო შეზღუდული და ის არ ვრცელდებოდა საკვებისა და წყლის კონტროლზე. მეთაური გეგმავდა სხვადასხვა რესურსის უტილიზაციას, ასევე ტერიტორიის ფარგლებში ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ჯგუფის გადაადგილებას. უმრავლეს შემთხვევაში ეს ზუსტად განსაზღვრული და დადგენილი იყო ტრადიციიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ძირითადად ჯგუფური კონსენსუსის შედეგად მიიღებოდა. ასე რომ, მეთაურის პოზიცია გარკვეული აზრით სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ვიზიტორებს რაზმის ტერიტორიიდან საკვების ან წყლის აღება–მოხმარების თაობაზე ნებართვა მისგან უნდა აეღოთ. ტრადიციის მიხედვით კი ნებისმიერი გონივრული თხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო. მეთაური თავის მოვალეობებს ასრულებდა ანაზღაურების გარეშე. იმის გამო, რომ !კუნგის იდეალის მიხედვით არცერთი ინდივიდი არ უნდა მდგარიყო სხვაზე მაღლა, მსგავსი თანამდებობების მოსაპოვებლად იშვიათად იღვწოდნენ.

მემკვიდრეობითი მეთაური შესაძლოა ყოფილიყო ან არც ყოფილიყო რაზმის რეალური ლიდერი. თუკი იგი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო ან აკლდა ლიდერული თვისებები, მეთაურობა შეიძლება გადასცემოდა ლიდეროზის უკეთესი მონაცემების მქონე რომელიმე სხვა პიროვნებას. ასე რომ, თანამდებობა ნომინალური ხდებოდა. ამასთანავე, ეფექტური ლიდეროზა იცვლებოდა სიტუაციიდან გამომდინარე. პიროვნება შეიძლება ყოფილიყო გამოკვეთილი ლიდერი ნადირობისას, მაგრამ ნაკლები ძალაუფლება ჰქონოდა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების (მაგალითად, სად და როდის გადაეტანათ ბანაკი) მიღებისას (Marshall 1967).

ესკიმოსები

მიუხედავად ტრადიციულად ესკიმოსებით დასახლებული ფართო ტერიტორიებისა – დაწყებული ციმბირით, დამთავრებული გრენლანდიით - ისინი ერთმანეთის მსგავსი პოლიტიკური და სოციალური ორგანიზებით გამოირჩევიან. ენვაიორმენტალისტური დეტერმინიზმის არგუმენტები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც ესკიმოსები, ალბათ, ადამიანისთვის ყველაზე მძიმე საცხოვრებელ გარემო პირობებში ცხოვრობენ. მათი საკვები რესურსები – ძირითადად თევზი, კანადური ირემი და სელაპი – სეზონური და ფართოდ გაფანტული იყო, რაც, ლოგიკურად, გამოიწვევდა კიდეც მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალ ხარისხს, მომთაბარეობას და პატარა ჯგუფებზე დაფუძნებულ უკიდურესად მოძრავ, არამდგრად სოციალურ ორგანიზებას. ძირითად კავშირებს წარმოადგენდა გაფართოებული ოჯახები, რომლებიც ხშირად ორმხრივ ნათესაურ ურთიერთობებში შედიოდნენ ერთმანეთთან და სხვა ოჯახებთან ერთად დროებით რაზმებში ან ზოგჯერ, დასახლებებშიც კი ერთიანდებოდნენ. ამ გაერთიანებების მდგრადობა დამოკიდებული იყო წლის მანძილზე საკვებით მომარაგების მერყეობაზე. ოჯახური მეურნეობა შედგებოდა დაახლოებით 12 ოჯახისგან, რომლებიც წელიწადის გარკვეული დროის მანძილზე თავს დამოუკიდებლად ირჩენდნენ, მაგრამ დანარჩენ დროს უერთდებოდნენ დაახლოებით 270 კაციან ჯგუფებს. სახლის ფარგლებს გარეთ ლიდეროზა ელემენტარული ხასიათის იყო. ზოგჯერ თვით სოფლებსაც კი არ ჰყავდათ მეთაური და ადვილი წარმოსადგენია, რა მინიმალური ზეგავლენა უნდა ჰქონოდა ინდივიდს, რომელსაც ადგილობრივი შამანი ნიშნავდა. თავად ამ შამანის ძალაუფლება არც იძულებითი იყო და არც გამაერთიანებელი. სანაპირო ზოლის გასწვრივ, ვეშაპებზე სანადირო ნავის მფლობელს ზღვაოსნობის დროს საკუთარი გემის ეკიპაჟზე შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდა. ამ შემთხვევაში ჯგუფის ერთობა ნარჩუნდებოდა არა რაიმე ტიპის მთავრობის მიერ, არამედ ნათესავებს შორის არსებული პირობითი ორმხრივი

ვალდებულებების მეშვეობით. ისევე, როგორც !კუნგებთან, წესრიგის შენარჩუნება ჩვეულებასა და ხალხის აზრზე იყო დამოკიდებული (Weyer 1959).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოში მოყვანილი ესკიმოსების განხილვა ჯგუფთა უმრავლესობასთან მიმართებაში თითქმის სრულიად მისაღები და მართებულია, მათ შორის მაინც არსებობს საკმაოდ ბევრი განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური ფორმა. ორმხრივი ნათესაობის ნაცვლად, ზოგან ნათესაობის მამის ხაზით გადაცემა გვხვდება; მამაკაცთა გაერთიანებები, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფები, ზოგჯერ გადაწონიდა ნათესაურ ურთიერთობებს. ალაგ-ალაგ მუდმივი დიდი დასახლებებიც არსებობდა. ლიდერობის ტიპები კი საკმაოდ მრავალფეროვანი და განსხვავებული იყო – დაწყებული ფაქტობრივი საბელადოებიდან, დამთავრებული მხოლოდ ოჯახის დონეზე არსებული ძალაუფლებით. ზოგიერთი ეს სახესხვაობა, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვან ხასიათს ატარებდა და გამოწვეული იყო დასავლური ცივილიზაციების წარმომადგენლებთან (მაგალითად, აღმომჩენებთან, ვაჭრებთან, მისიონერებთან, მოგზაურებთან) ხანგრძლივი კონტაქტით. თუმცა, ასეთი განსხვავებები გვიჩვენებს, რომ შემგროვებლობა-მონადირეობისადმი ადაპტირებამ შესაძლოა სოციალურ-პოლიტიკური ვარიაციების იმაზე ფართო სპექტრი წარმოქმნას, ვიდრე ეს პირობით ტიპოლოგიებშია მოცემული (Damas 1968).

ტომები

“ანთროპოლოგიის ტერმინოლოგიიდან ერთი სიტყვა რომ მქონდეს ასარჩევი, როგორც ყველაზე უაზრო“ – წერდა მორტონ ფრიდი 1967: 154) “მე გვერდს ავუვლიდი “ტომს” და უპირატესობას მივანიჭებდი “რასას”. მოცემული შედარება სრულიად ლოგიკურია. რასის მსგავსად ტომის ცნებაც იმგვარი მრავალფეროვანი ერთობების აღსანიშნავად გამოიყენება, რომლებსაც თითქმის არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

ტომის ცნებასთან მიმართებით სამი ძირითადი წინააღმდეგობა არსებობს: 1. იგი არ მოიცავს საზოგადოებების დისკრეტულ (განსხვავებულ) ჯგუფებს, რომლებსაც მსგავსი თვისებები აქვთ. 2. იგი არაა საკმარისად განსხვავებული სხვა ტიპებისგან, ისეთებისგან, როგორიცაა მაგალითად, რაზმები და საბელადოები 3. იგი გულისხმობს სოციალური ინტეგრაციის გარკვეულ ხარისხს ან მინიმუმ, მიჯაჭვულობას მაინც, რასაც რეალურად, იშვიათად აქვს ადგილი (Helm 1968).

მაშინ რატომღა გამოიყენება ეს ტერმინი? ამისთვის არსებობს როგორც ემპირიული, ასევე ლოგიკური მიზეზები. პირველი, ტერმინი არის აღიარება იმისა, რომ სოციალურ-პოლიტიკურ

კომპლექსურობაში უნდა არსებობდეს ფორმა, რომელიც გასდებდა ხიდს შემგროვებლურ-მონადირეობით რაზმებსა და ცენტრალიზებულ სისტემებს შორის. კროსკულტურული კვლევები ბევრ ამ ჯგუფს შორის არსებულ მსგავსებას წარმოაჩენს.

ტომები - ესაა არაცენტრალიზებული, ეგალიტარული სისტემები, სადაც ძალაუფლება გადანაწილებულია პატარა ჯგუფებს შორის. უფრო დიდი საზოგადოების კავშირი გამყარებულია ინდივიდუალური და ჯგუფობრივი ურთიერთობების გზით. ისევე როგორც რაზმების შემთხვევაში, აქაც ნაკლებად ვხვდებით პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სპეციალიზაციას. გამონაკლისია მხოლოდ შრომის დანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით. ასევე, არ არსებობს არც რელიგიის სფეროში პროფესიონალიზაცია. მიუხედავად ამისა, ელმან სერვისის მიხედვით (1962), ტომის განმსაზღვრელი მახასიათებელი, ის რაც მას რაზმისგან განასხვავებს, არის პანტრაიბალური საძმოები, რომელიც სხვადასხვა დამოუკიდებელ თემს უფრო ფართო სოციალურ ჯგუფებში აერთიანებს. საძმოები - ეს არის არაფორმალური ან ფორმალური გაერთიანებები, ისეთი, როგორიცაა მაგალითად, ოჯახური ჯგუფები, კოლეჯის საძმოები ან, ვთქვათ, ბოისკაუტები. ტრაიბალურ საზოგადოებებში ორი ტიპის საძმოები გვხვდება: ის საძმოები, რომლებიც ნათესაობიდან მომდინრეობს და ისინი, რომლებიც ნათესაობიდან არ მომდინარეობს. ნათესაობრივი ძმობა მოიცავს ერთი მხრივ, საერთო წარმომავლობის მქონე ჯგუფებს, სადაც ნათესაობა გადადის როგორც მამაკაცის ხაზით, ასევე ქალის ხაზით და, მეორე მხრივ კლანებს, რომლებიც, ძალიან ხშირად, რომელიმე მითიური წინაპრიდან წამოსული საერთო წარმომავლობის იდეას ეფუძნებიან. არანათესაობრივი საძმოები უამრავ ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით ასოციაციას აერთიანებს.

თუკი ტომებს განვიხილავთ საძმოების ტიპების კუთხით, რომლითაც ხდება მათი გაერთიანება, ან იმ კუთხით, თუ ვინ ღებულობს ჯგუფში გადაწყვეტილებებს - დაუყოვნებლივ წარმოჩინდება ბევრი სხვადასხვა ქვეტიპი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც თვალსაჩინოა საძმოების სხვა ფორმები, ნათესაობა მაინც უცვლელად დარჩება, როგორც სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ელემენტი. ნათესაობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ორგანიზების ერთ-ერთი ფორმაა სეგმენტული წარმოშობა. ეს ფორმა განსაკუთრებით ჩვეულებრივი მოვლენაა აფრიკაში, სადაც სოფლის დამოუკიდებელი ჯგუფები შეიძლება გაერთიანდნენ უფრო დიდ კავშირებში, ვთქვათ რიტუალების ჩატარების ან რაიმე საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. ბევრი ტრაიბალური საზოგადოება გაერთიანებულია ასოციაციებში, რომელიც ამცირებს ნათესაობრივ დაყოფას. ასაკობრივ სისტემებში, სექსუალურად მომწიფებულ ასაკში გაერთიანებულმა ჯგუფმა

შეიძლება შექმნას საძმო, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ დონეზე განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს. მაგალითად, თუ ჯგუფი შესდგება ახალგაზრდა მამაკაცებისგან, მათ შესაძლოა შექმნან მეომართა საზოგადოება, ხოლო მომწიფებულ ასაკში კი, შეიძლება იქცნენ თემის მმართველ ორგანოდ. სხვა ტომებში, მაგალითად დაბლობზე მაცხოვრებელ ამერიკელ ინდიელებში, მეომართა, ჯამბაზთა ან პოლიციის ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა შესაძლოა ინტეგრაციის ან გადაწყვეტილების მიღების კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქციები შეასრულონ. მიუხედავად იმისა, რომ ტრაიბალურ საზოგადოებებში არ გვხვდება რელიგიის მსახურთა იერარქია, რელიგია მაინც შეიძლება უკიდურესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის გარკვეული სახით წინაპართა თაყვანისცემასთანაა კავშირში (როგორც ეს ცალხაზოვანი ნათესაობის შემთხვევაში ხდება). იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარ საზოგადოებებში ძირითად რიტუალებზე პასუხისმგებელი ადამიანები ზოგჯერ საერო საკითხებშიც წამყვან როლს თამაშობდნენ, რიტუალური სტრატიფიკაცია ზოგჯერ ინტეგრაციის უმთავრესი ელემენტი ხდება. ზოგიერთ ტომში უხუცესებისგან შემდგარი სოფლის საბჭოები დისკუსიის და კონსენსუსის მიღწევის გზით ღებულობენ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებს. და ბოლოს, მელანეზიაში ზოგიერთი ბიგ მენი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალაუფლებას სიმდიდრის, კეთილშობილების და ომში გამოჩენილი სიმამაცის გამო აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს, შესაძლოა, ბელადის მსგავსი ძალაუფლება ჰქონოდათ, მათი პოზიცია მაინც არასტაბილური იყო, რადგან ის დამოკიდებული იყო მათ უნარზე - მოესყიდათ მომხრეები საჩუქრებისა და ქრთამების მეშვეობით. ცუდ მოსავალს, უხვი დღესასწაულის გასამართად არასაკმარისი რაოდენობის ღორების შეგროვებას ან წარუმატებლობას ომში, შეეძლო სწრაფად შეესუსტებინა მეთაურის ავტორიტეტი და ძალაუფლება უფრო იღბლიანი და უნარიანი პიროვნების სასარგებლოდ.

შეიძლება მომხიბვლელად მოგვეჩვენოს ქვეტიპების ამგვარი დაშლა და ჩავთვალოთ, რომ იგი მოიცავს უფრო ფართო ალბათობების სპექტრს; მაგრამ არსებობენ ისეთი ტომებიც, რომლებიც ერთ ქვეტიპზე მეტ ქვეტიპად შეიძლება დაიყოს ან ისეთი ტომები, რომლებიც არცერთ ამ ფორმას არ მიესადაგებიან. რატომ გვხვდება ქვეტიპების ასეთი უსასრულო მრავალფეროვნება? ამის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი, ზოგადად, ტომების პოლიტიკურ ჭრილში განხილვის მცდელობაში უნდა ვეძიოთ. რაზმის, საბელადოების და სახელმწიფოსგან განსხვავებით, ტომის ცნება, რეალურად, არ და ვერც მიეკუთვნებოდა პოლიტიკური ორგანიზების რომელიმე კონკრეტულ ფორმას, რადგანაც აქ ჩვენ ნაკლებად გვხვდება სტრუქტურული თუ სისტემური ტიპის ლიმიტები. რონალდ კოენის მიერ საზოგადოების ჯგუფთა ეს შუალედური რგოლი დახასიათებულ

იქნა, როგორც არაცენტრალიზებული ტიპის “მოშინაურებულ ცხოველებსა და მცენარეებზე დაფუძნებული პოლიტიები”. ეს ალბათ ყველაზე უკეთესი განმარტებაა, რაც ჩვენ ტომებთან მიმართებით შეგვიძლია ვთქვათ; თუმცა, მაინც ვაწყდებით ზოგიერთ აშკარა ანომალიას. დაბლობზე მაცხოვრებელ ამერიკელ ინდიელებს, რომელთა ნაწილს არც მოშინაურებული ცხოველები ჰყავდათ და არც კულტივირებული მცენარეები (მათი ძირითადი საარსებო წყარო ბიზონი იყო), აშკარად უფრო რთული გამაერთიანებელი ინსტიტუტები ჰქონდათ, ვიდრე მონადირეობა-შემგროვებლობაზე დაფუძნებულ რაზმებს.

კპელე

თუ როგორი რთული შეიძლება იყოს ეს ყოველივე, კარგად ჩანს დასავლეთ აფრიკული ტომის, კპელეს შემთხვევაში. მათი უფრო ფართო კულტურული ჯგუფი დანაწევრებული იყო დამოუკიდებელ თემებად. თითოეულ მათგანს ჰქონდა “მიწის მფლობელის” მემკვიდრეობითობის პრინციპი; ასევე, უხუცესთა საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებებს კონსენსუსის გზით ღებულობდა. ამასთან ერთად, არსებობდა მამაკაცთა საიდუმლო საზოგადოება. საიდუმლო იმ კუთხით, რომ მათი რიტუალები და სიმბოლოები გარეშე პირთათვის დაფარულად რჩებოდა. ეს საზოგადოება, ***პორო*** *(poro)*, ფლობდა ზებუნებრივ პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელიც სანათესაოსა და მცირე საბელადოების საზღვრებს მიღმა ვრცელდებოდა და ამგვარად, შეეძლო გაეერთიანებინა კპელე უფრო ფართო ჯგუფებში. რეალურად, *პორო* დიდად გასცდა კპელეს და მოიცვა უამრავი კულტურა ნიგერიაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე, ლიბიაში, სიერა ლეონეში, განაში და პორტუგალიურ გვინეაში. იგი არბიტრის როლს ასრულებდა ლოკალურ ომებში და ზოგჯერ, განსაკუთრებული საჭიროების დროს, აერთიანებდა კიდეც მთელ ქვეყნებს ერთობლივი მოქმედებისთვის. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ ცენტრალიზაციასა და იერარქიას, რომელსაც ადგილი აქვს საბელადოებში და სეგმენტულ ორგანიზებასა და ტომებისთვის დამახასიათებელ პანტრაიბალურ საძმოებს; ასევე, სულ მცირე, სამ ქვეტიპს – ასოციაციურს, სასოფლო საბჭოების და რიტუალურ დონეზე სტრატიფიცირებულს - და ეს ყველაფერი კომბინირებულია კპელეში (Fulton, 1972; Little 1965).

იანომამო

იანომამო არის მებაღეობის მიმდევარი ჯგუფი, რომელიც ვენესუალასა და ჩრდილოეთ ბრაზილიაში გაფანტულად განლაგებულ სოფლებში ცხოვრობს. როგორც ნაპოლეონ ჩაგნონმა (1968)

შეისწავლა და გაანალიზა, ეს ადამიანები ტრადიციულად, უაღრესად აგრესიულები და ომის მოყვარულები იყვნენ, რაც ნაწილობრივ, გამოწვეული იყო დასაქორწინებელი ქალების ნაკლებობით. პოლიგამია ძირითადად უფროსი თაობის ადამიანებისა და უფრო მდიდრებისთვის არსებობდა. ასევე, მოქმედებდა ქორწინების წესი, რომელიც უფროს ძმებს პირველი ღამის უფლებას ანიჭებდა. ამასთან ერთად, ინცესტის საკმაოდ ფართო გაგების გამო, მამაკაცებისთვის სოფელში მცხოვრები ძალიან ცოტა ქალი იყო სექსუალურად ხელმისაწვდომი. ყოველივე ამის შედეგად, სოფლების შიგნით ძმა ძმის წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო ცოლ-ქმრული ერთგულების ღალატი და ღალატში დადანაშაულებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ძალიან მაღალი იყო ურთიერთ დაპირისპირებულობის ხარისხი. ამგვარ სიტუაციაში წესრიგის შენარჩუნება თითქოს ძლიერი მეთაურის არსებობას საჭიროებდა, მაგრამ როგორც რაზმების შემთხვევაში, აქაც, მეთაურს არანაირი იძულებითი ტიპის ძალაუფლება არ ჰქონდა. სოფლის ფარგლებში მამაკაცების მიერ ერთმანეთის მოკვლა იზღუდებოდა პირობითი ძალადობის სისტემის არსებობით: დაპირისპირებული მხარეები რიგ-რიგობით ურტყამდნენ ერთმანეთს მუშტებს სახეში ან გულმკერდის არეში, ან გრძელ ხელკეტებს უშენდნენ თავის არეში. ამგვარ ბრძოლებში პოლიტიკური ლიდერის ფუნქცია იყო შეენარჩუნებინა ძალადობა წესების ფარგლებში, თუნდაც ამას ლეტალური შედეგი მოჰყოლოდა.

იმის გამო, რომ ახალგაზრდა მამაკაცებს ცოლების მოსაყვანად მთელი ბრძოლები უნდა გადაეტანათ, ხოლო საკუთარი ჯგუფის წევრის მოკვლისთვის შურისძიება ჩვეულებრივი ფაქტი იყო, სხვა სოფლებზე თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მუდმივი ომების პირობებში სოფლებს შორის პოლიტიკის წარმოება გადარჩენის საკითხებს ეხებოდა. მებაღეობაზე დაფუძნებული ბევრი ტომისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ომი თამაშივით იყო, იანომამოსთვის ის ძალიან სერიოზულ მოვლენას წარმოადგენდა. აქ ხშირი იყო მთელი სოფლების დაცარიელება, სოფელში მცხოვრები ყველა მამაკაცის მოკვლა ან გაფანტვა და ყველა ქალის გატაცება. ძალაუფლების ბალანსის შესანარჩუნებლად სოფლები ზოგჯერ ყოფილ მტრებთან ალიანსებს ქმნიდნენ. მსგავსი რამ სამ შემთხვევაში ხდებოდა: პირველი, მოხმარების საგნების რიტუალური გაცვლისას; მეორე, ერთობლივი ნადიმების გამართვისას; მესამე, ქალების ცოლებად გაცვლისას. ამგვარი ალიანსები მყიფე იყო და ისე იშლებოდა, რომ არანაირი ზიანი საკუთარი თავისთვის არ მოჰქონდა, განსაკუთრებით კი ადრეულ საფეხურებზე.

ბევრი კუთხით იანომამო ტიპური ტომის თვისებებით ხასიათდება. მათი სოციალური ორგანიზება, რა თქმა უნდა, უფრო რთული სახის იყო, ვიდრე მომთაბარე შემგროვებლებ-

მონადირეებისა. მათი სოფლები მყარი და შედარებით სტაბილურიც იყო (როდესაც გარკვეულ ზომებს მიაღწევდნენ - იშლებოდნენ), არ არსებობდა რაიმე ტიპის ცენტრალიზებული იძულებითი ტიპის ლიდერობა და სოფლის მამაკაცებს თანასწორად და თანაბრად მიუწვდებოდათ ხელი მეთაურის თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, ეს ტიპურად ტრაიბალური ხალხი აშკარად განიცდიდა იმის ნაკლებობას, რაც სერვისმა ტომების უმთავრეს მახასიათებლად განსაზღვრა - მათ არ ჰქონდათ პანტრაიბალური საძმოები. ნათესაობა სოფლის საზღვრებს ნამდვილად სცდებოდა, მაგრამ იგი არ აერთიანებდა სოფლებს. ფაქტობრივად, არ არსებობდა არანაირი პანტრაიბალური ასოციაცია. სამხედრო ალიანსებში ერთიანდებოდა მხოლოდ ორი ან ძალიან ცოტა სოფელი. რეალურად, არ არსებობდა არც რაიმე სახის პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც გააერთიანებდა მთელ იანომამოს ჯგუფს, ან მის დიდ ნაწილს მაინც.

ნუერები

სამხრეთ სუდანში მცხოვრები ნუერების ტომი, რომელიც ევანს-პრიტჩარდმა (1940ა, 1940ბ) აღწერა, არის სეგმენტული ნათესაობის ტრაიბალური ერთობის შექმნის პრობლემის გადაწყვეტის კლასიკური მაგალითი. დაახლოებით 200 000 ნუერი ცხოვრობდა სოფლებში და წვიმის სეზონზე მოჰყავდათ სიმინდი და ფეტვი. მშრალ სეზონზე კი თითქმის მუდმივი მომთაბარეობის პირობებში, უვლიდნენ მსხვილფეხა საქონლის ნახირს. მათი სოციალური სისტემა ძალიან არამდგრადი იყო. ინდივიდუალურ დონეზე ისინი განთქმული იყვნენ მეტისმეტი დამოუკიდებლობით. მართალია, მათ თითქმის არცერთ საფეხურზე არ ჰყავდათ ცენტრალიზებული ან რაიმე სახის ფორმალური ტიპის ხელისუფლება (თუ არ ჩავთვლით სასოფლო დონეს), საგარეო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მათ შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ დიდ ჯგუფებში. ევანს-პრიტჩარდმა ნუერები დაახასიათა, როგორც "სახელმწიფო მეთაურის გარეშე, რომელსაც არ ჰქონდა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოები. მიუხედავად ამისა, იგი სრულიად არ იყო ქაოტური. მას ახასიათებდა მყარი და თანმიმდევრული ფორმა, რომელსაც შეიძლება "მოწესრიგებული ანარქია" ეწოდოს.

ყველაზე მცირე კორპორაციული ტიპის ეკონომიკურ ერთობას წარმოადგენდა მამაკაცის ხაზით გადასული ნათესაობით დაკავშირებული კაცებისა და მათი ოჯახებისგან შემდგარი ოჯახური მეურნეობა. ამ ოჯახურ მეურნეობათა ჯგუფი შეიძლება სოფლის შიგნით პატარა დასახლებად ჩამოყალიბდეს კიდეც. როდესაც ერთი ამგვარი დასახლება შობადობის, ადაპტაციის თუ იმიგრაციის შედეგად გაიზრდება, იგი აუცილებლად გაიყოფა და შექმნის ახალ ჯგუფს,

რომელიც სავარაუდოდ, რომელიმე ახლომდებარე სოფელში კიდევ ახალ დასახლებას ჩამოაყალიბებს. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ბევრ სოფელს შორის იყვნენ გაფანტულნი, წარმოქმნიდნენ უფრო და უფრო დიდ კავშირებს: ძირითად სანათესაოს, მაქსიმალურ სანათესაოს და ბოლოს, კლანებს.კლანი შეიძლება მოიცავდეს ათასობით ადამიანს, ქმნიდეს სოციალური კავშირების ქსელს (რამდენადაც ეს ძალიან მობილური ადამიანები ამას საჭიროდ მიიჩნევენ) და გაფანტულ იყოს მთელ ნუერლენდში. კლანების ეგზოგამიურობის გამო, სხვა კლანებთან საქორწინო ალიანსების შედეგად უამრავი მცირე კავშირი წარმოიქმნებოდა.

ტერიტორიული სისტემა სეგმენტულ ნათესაობით სისტემას წააგავდა, თუმცა არ იყო მისი იდენტური. თითოეული კლანი “ფლობდა” გარკვეულ ტერიტორიას, რომელიც ამავდროულად, ღია იყო სხვა კლანების წევრებისთვისაც. ფაქტობრივად, მფლობელი კლანი არ ფორმირდებოდა არისტოკრატიად და, რეალურად, საკუთარი ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილის დასახლება შეეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი, ვინც სოფლებში გადადიოდნენ, ცდილობდნენ ურთიერთობა დაემყარებინათ მფლობელთა სანათესაო ხაზთან. ამას ძირითადად, მათთან დაახლოების ან დაქორწინების გზით ახერხებდნენ.

ომი და სისხლიანი შურისძიებები ასევე მუდმივი ხასიათის იყო. უფრო დიდი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სამივე ყოფილი ანტაგონისტურად განწყობილი ძალის წარმომადგენლები ერთიანდებოდა. ნუერების პოლიტიკური ერთობა უნდა განისაზღვროს სიტუაციური ტიპის ერთობად, რამდენადაც სულ უფრო მზარდი კავშირები ერთიანდებიან საჭიროებიდან გამომდინარე და შემდეგ, საფრთხის თავიდან აშორებისთანავე იშლებიან.

ტომებს შორის ინტეგრაციის პრობლემის საპირისპირო გადაწყვეტა (გადმოცემულია 2.2 დიაგრამაში), განსაკუთრებით კარგად ერგება იმ ტომების მაგალითს, რომლებიც უკვე დაპყრობილ ტერიტორიაზე იჭრებიან. ასე იყო ნუერების შემთხვევაში. ისინი დროთა განმავლობაში გაფართოვდნენ და მოიცვეს ტერიტორიები, რომლებიც დინკას ტომის საკუთრებას წარმოადგენდა. ამგვარმა სისტემამ, რომელსაც უკიდურესი მოქნილობის ფონზე შეუძლია წარმოქმნას ძლევამოსილი გაერთიანებული კავშირი, გზა გაუხსნა ნუერების საგარეო ექსპანსიას. სხვა ხალხების წინააღმდეგ წარმართული ომების პერიოდში, როგორც წესი, მცირდებოდა შიდა დაპირისპირებები (Sahlins, 1961).

ცენტრალიზებული სისტემები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კარგი ტიპოლოგიზაციის შემთხვევაში, სისტემები იმგვარად უნდა იყოს დახასიათებული, რომ ნებისმიერი კონკრეტული კატეგორიის ფარგლებში ერთი ან რამდენიმე ცვლადის განსაზღვრა დანარჩენი ცვლადების წინასწარმეტყველების საშუალებასაც უნდა იძლეოდეს. ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემების კატეგორია აერთიანებს საზოგადოებებს, რომლებშიც ძალაუფლება და ავტორიტეტი ერთი ადამიანის ან ადამიანთა პატარა ჯგუფის ხელშია. ეს სწორი განსაზღვრებაა. განვრცობის შემთხვევაში შეიძლება იმის დამატებაც, რომ ამგვარი საზოგადოებები უფრო მჭიდროდ უნდა იყვნენ დასახლებული ვიდრე რაზმები ან ტომები, სტრატიფიცირებულ უნდა იქნენ წოდებებად ან კლასებად, უნდა ჰქონდეთ სოციალური ან პროფესიული კუთხით ფუნქციების სპეციალიზაცია, უნდა იყენებდნენ უფრო ნაყოფიერ ტექნოლოგიებს, უნდა ჰქონდეთ ცენტრალიზებულ რედისტრიბუციაზე დამყარებული ეკონომიკა და მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური დაჯგუფებების კუთხითაც უფრო მეტი სტაბილურობით ხასიათდებოდნენ. მორტონ ფრიდმა გამოყო ამგვარ სისტემებში არსებული ის ძირითადი უთანასწორობები, რაც არაცენტრალიზებულ სისტემებშიც გვხვდება: პოლიტიკურ თანამდებობებზე რეკრუტირება აღარაა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. ის შესაძლოა ეფუძნებოდეს გარკვეული კლასის ან ელიტის სანათესაო ხაზის წევრობას; მიუხედავად იმისა, რომ კვლავ შესაძლებელია ცალმხრივი ნათესაობის პრინციპზე დაფუძნებული ჯგუფების არსებობა, რომლებიც ადგილობრივ დონეზე დიდ ძალაუფლებას ფლობენ - პოლიტიკა აღარ არის წარმოდგენილი მხოლოდ სანათესაო ხაზით. პოლიტიკური სპეციალიზაცია თავს იჩენს სრულშტატიანი პოლიტიკოსების და მისი თანმდევი ბიუროკრატიის გაჩენის სახით.

საბელადოები

სოციალური ინტეგრაციის კუთხით, საბელადოების საფეხურს ტრაიბალური განვითარების საფეხურთან შედარებით ორი ძირითადი უპირატესობა აქვს: 1. მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ უფრო მაღალია, რაც გამოწვეულია პროდუქტიულობის ზრდით და 2) ის უფრო კომპლექსურია და გააჩნია ცენტრალიზებული ხელისუფლების გარკვეული ფორმები. სეგმენტური სისტემებისგან განსხვავებით, სადაც პოლიტიკური კავშირები იქმნება და იშლება სიტუაციიდან გამომდინარე, საბელადოებს ცენტრალური მმართველობის შედარებით უფრო მუდმივი წარმომადგენლობა აქვთ,

რომელიც, როგორც წესი, დაფუძნებულია ეკონომიკური ნამატის შეგროვებასა და რედისტრიბუციაზე (ხშირად შრომითი ნამატის ჩათვლითაც).

ბელადის პოზიცია, განსხვავებით მეთაურის პოზიციისგან რაზმში ან ნათესაობაში, წარმოადგენს სულ მცირე, მინიმალური ძალაუფლების მქონე თანამდებობას მაინც, რაშიც იგულისხმება ბელადის მიერ იძულების გარკვეული საშუალებების ფლობა. ბელადს შესაძლოა ჰქონდეს ყველზე მაღალი ძალაუფლება, მაგალითად, მიწების გადანაწილებისას; ასევე, მას შეუძლია მოახდინოს არმიის დაკომპლექტება. ეკონომიკური კუთხით იგი რედისტრიბუციის სისტემის ცენტრი და კოორდინატორია. მას შეუძლია აკრიფოს გადასახადები საკვებზე ან მოხმარების საგნებზე, რომელთა ნაწილი კვლავ მოსახლეობას უბრუნდება. შედეგად, წარმოიქმნება ჯგუფური სოლიდარობის ახალი დონეები, სადაც სპეციალიზირებული ნაწილების მოქმედება მთელის გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. მაშინაც კი, როდესაც ბელადის თანამდებობა არაა პირდაპირ მემკვიდრეობითი ტიპის, ამ პოზიციაზე მხოლოდ გარკვეულ ოჯახებს და გარკვეული წარმომავლობის ადამიანებს მიუწვდებათ ხელი. მართალია, არ არსებობს ტიპური კლასობრივი დაყოფა, მაგრამ თითოეული ინდივიდი გარკვეული ჯგუფის წევრად განიხილება. ისინი, ვინც უფრო ახლოსაა ბელადის წარმომავლობით ხაზთან, უფრო მაღალ საფეხურზე დგანან და მათზე დაბლა მდგომთაგან პატივისცემას იმსახურებენ. მართლაც, სერვისის მიხედვით (1971: 145) “ის, რაც საბელადოებს რაზმებისა და ტომებისგან ყველაზე მეტად განასხვავებს არის საზოგადოებაში არსებულ ჯგუფთა და პიროვნებათა შორის ღრმა უთანასწორობა” .

მიუხედავად იმისა, რომ ბელადი უდავოდ ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას, საბელადოებში არ შექმნილა ძალისმიერი რეპრესიების რაიმე ტიპის ფორმალური, კანონიერი აპარატი. ბელადისადმი მორჩილება მის მიერ რედისტრიბუირებული ტიპის ეკონომიკური სისტემის პირდაპირი კონტროლიდან უფრო გამომდინარეობდა, ვიდრე რაიმე ტიპის ფიზიკური სანქციებისგან. ბელადის სანათესაო შეიძლება განსაკუთრებით გამდიდრებულიყო, მაგრამ საბოლოო ჯამში, მისდამი კეთილგანწყობას მაინც განაპირობებდა მოხმარების საგნების და სარგებლის მუდმივი გაცემა. აქ შეიძლება ჩვენ შევხვდეთ იმგვარ ცნებებს, რომლებიც ძალიან წააგავს ბიუროკრატიული აპარატის მახასიათებლებს, თუმცა, ქვედა დონეებზე ვალდებულებები არაა მკვეთრად გამოკვეთილი. ზეწოლის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია ქვედა რგოლის ბიუროკრატიამ კავშირი გაწყვიტოს ძირითად ნაწილთან, გამოეყოს მას და შექმნას ოპოზიციური მთავრობა. ამგვარად, ბელადს უწევს ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის

გადებულ ბეწვის ხიდზე მოძრაობა და ძალაუფლების შენარჩუნება დაბალანსების მიზნით განხორციელებული მეტ-ნაკლებად მყარი ქმედებების გზით.

მართალია ტომების განსაზღვრებას ხშირად აკრიტიკებენ როგორც იმდენად ზოგადს, რომ აზრსაც კი კარგავს, ელმან სერვისის (1971) მიერ შემუშავებულ და ზემოთ მოყვანილ პოლიტიკური ინტეგრაციის საბელადოების დონეს დიდწილად სწორედ ზედმეტი სპეციფიურობისთვის აკრიტიკებენ. ჰერბერტ ლევისი (1968) თვლის, რომ სერვისმა ეს მოდელი ლოგიკურად შეიმუშავა იმის მიხედვით, თუ რა უნდა ყოფილიყო ტრაიბალური და სახელმწიფოებრივი განვითარების საფეხურებს შორის; შემდეგ გააერთიანა ის პოლინეზიის პოლიტიკური სტრუქტურის სპეციფიურ მოდელთან და ეს ჰიბრიდი შემოგვთავაზა, როგორც ზოგადი ევოლუციური ტიპი. ლევისის დაკვირვებით, ბევრი ჯგუფი, რომელთაც გააჩნდათ ბელადის ძალაუფლება, სულაც არ იყო სტაბილური. იქიდან გამომდინარე, ძლიერი ლიდერია ხელისუფლებაში თუ არა, ეს ჯგუფებიც ცენტრალიზებული ლიდერობიდან ეგალიტარიზმს შორის მერყეობენ. მიუხედავად ამისა, კატეგორიათა ამგვარი თავისუფლება მაინც დასაშვებია.

წინარეკოლონიური ჰავაი

აბორიგენული ჰავაის რვა კუნძული რამდენიმე მკაცრად სტრატიფიცირებული მემკვიდრეობითი ტიპის საბელადოს დომინირების ქვეშ იმყოფებოდა. უმაღლესი ბელადები ღმერთის მემკვიდრეებად განიხილებოდნენ და იმდენად იყვნენ ***მანათი*** (მანა-ესაა ზებუნებრივი ძალა) აღჭურვილები, რომ თვით მიწასაც კი, რომელზეც ისინი დადიოდნენ, არ შეიძლებოდა რიგითი მოკვდავები შეხებოდნენ. ამგვარად, ბელადის პიროვნება გარშემორტყმული იყო ტაბუთა მთელი ქსელით, რომელთა დარღვევაც შეიძლება სიკვდილით დასჯის მიზეზი გამხდარიყო. ბელადები ფლობდნენ უმაღლეს ეკონომიკურ, სამხედრო და რიტუალურ ლიდერობას; თუმცა, ამ ფუნქციათა დიდი ნაწილი გადაცემული იყო წარჩინებული გვარის წარმომადგენლებისა და სამხედრო ლიდერებისგან დაკომპლექტებულ ადმინისტრატორების ჯგუფზე, რომლებიც საზოგადოების ზედა ფენებს შეადგენდნენ. არსებობდა ამ ადმინისტრატორებზე დაბლა მდგომი კიდევ ორი დონე: კეთილშობილური წარმომავლობის უფრო დაბალი დონე და უბრალო ადამიანები. თითოეული ადამიანი რომელიმე ამ ფენას მიეკუთვნებოდა.

თავად წარჩინებულებიც დაყოფილი იყვნენ დაბადების თარიღის და უმაღლეს ბელადთან მათი ნათესაობითი სიახლოვის მიხედვით. უმაღლესი რანგის წარჩინებულებს, ანუ იგივე დაბალი რანგის ბელადებს, დიდი პატივით ეპყრობოდნენ. მაგალითად, რიგითი ადამიანები, როდესაც მათ

წარჩინებულები ჩაუვლიდნენ, პირქვე უნდა დამხობილიყვნენ. იმისათვის რომ ბელადის სანათესაო ხაზი წმინდად შეენარჩუნებინათ, მემკვიდრედ განიხილებოდა ბელადის უფროსი დისგან შობილი ბელადის უფროსი ვაჟიშვილი (ესაა ინცესტური ტიპის ენდოგამიის ფორმა, რომელიც ასევე გვხვდება ანტიკურ ეგვიპტესა და პერუს ინკებში).

დაბალი რანგის ბელადები აკონტროლებდნენ მიწისა და წყლის განაწილებას – ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვნია, რადგან ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი სარწყავი იყო. ამასთანავე, ისინი, ფაქტობრივად, თვალყურს ადევნებდნენ და აკონტროლებდნენ თუ რამდენად სათანადოდ ირჯებოდნენ რიგითი ადამიანები საერთო საქმისთვის. უმაღლეს ბელადს ძღვენს აძლევდნენ უმაღლესი წარჩინებულები, რომლებიც მას უფრო დაბალი დონის წარჩინებულებისგან კრეფდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, უბრალო ადამიანებისგან იღებდნენ გადასახადს. ეს ძღვენი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც, საზოგადოებრივი საქმეებისთვის გამოიყენებოდა, ძირითადად საირიგაციო არხების გაყვანისა და ომიანობის პერიოდში. წარჩინებულებები ძღვენიდან აღებული ფულით აფინანსებდნენ პროფესიონალ ოსტატებსაც.

ის, რაც ამ პოლიტიებს სახელმწიფოს სტატუსისგან აშორებდა, ეს იყო გარკვეულწილად პოლიტიკური სფეროს დიფერენცირების არ არსებობა. პოლიტიკური ორგანიზაციის მოცემულ ფორმას მემკვიდრეობითი თეოკრატიის სახე ჰქონდა, რომელშიც ხელისუფლება ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად იყო გამიჯნული რელიგიური სფეროსა და ნათესაობისგან. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ბელადს გარკვეული კუთხით ნამდვილად ჰქონდა თავისი ქვეშევრდომების სიკვდილ-სიცოცხლის განკარგვის უფლება, მონოპოლია ძალაუფლებაზე უდავოდ ცენტრალური მმართველი ერთობის (რომელიც, თავის მხრივ, მრავალრიცხოვანი დაბალი რანგის დიდებულებისგან შედგებოდა) ხელში იყო. არ არსებობდა არანაირი კანონიერი სტრუქტურა, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევდა ამგვარ ძალას. და ბოლოს, ეს მთავრობები შორს იდგნენ სტაბილურობისგან. საომარ მდგომარეობებს მუდმივი ხასიათი ჰქონდა და საბელადოები რეგულარულად ემხობოდნენ; ასეთ შემთხვევებში, დამპყრობელი ჯგუფის მიერ წარჩინებულთა მთელი ძველი კლასის ჩანაცვლება ხდებოდა (Davenport, 1976; Seaton 1978; Service 1975).

კვაკიუტლი

ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ინდიელთა საზოგადოებები, როგორც წესი, გაჰყავთ საბელადოების კატეგორიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისეთივე დოზით ვერ აკმაყოფილებენ იდეალური ტიპის კრიტერიუმებს, როგორც ჰავაელები. ვანკუვერის კუნძულებზე მცხოვრები კვაკიუტელი ინდიელები არასდროს არ ყოფილან შესწავლილნი მათ აბორიგენულ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში. 1885 წლისთვის, როდესაც ფრაც ბოასმა დაიწყო მათთან საველე მუშაობა, კვაკიუტელ ინდიელებს უკვე საუკუნეზე დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ შეხება თეთრკანიან ვაჭრებთან, მისიონერებთან, მეზღვაურებთან და ინდიელებთან, რომლებიც შემდგომში ეპიდემიების შედეგად განადგურდნენ. იმ პერიოდისთვის მათი ცხოვრების წესი ეფუძნებოდა მონადირეობასა და მეთევზეობას. როგორც ჩანს, მათ არ მოჰყავდათ კულტივირებული მცენარეები. კვაკიუტლის მაცხოვრებლების მატერიალური მდგომარეობა – სახლების, კანოეების, სამუშაო იარაღების, ჭურჭლის, ხელოვნების დანიშნულების საგნების, ისეთების, როგორიცაა მაგალითად, მოხატული ნიღბები და ტოტემური ბოძები, მფლობელობის კუთხით ჩრდილო ამერიკაში ყველაზე მაღალი იყო.

კვაკიუტლი დაყოფილი იყო დაახლოებით 25 სოფლად. თითოეული მათგანი შედგებოდა ორიდან შვიდამდე ნუმაიუმისგან, ანუ მკაცრად მორჩილებითი ტიპის კავშირებისგან, რომელშიც, თავის მხრივ, ერთი ან რამდენიმე გაფართოებული ოჯახის შედიოდა. ნუმაიუმას სოფლებში სტრატიფიცირება პრესტიჟულობის მიხედვით ხდებოდა. ამასთანავე, თითოეული ადამიანიც კატეგორიზებული იყო მისივე ნუმაიუმაში. კატეგორიები, რომლებიც ძირითადად მოიპოვებოდა ქორწინებით ან გადაეცემოდა მემკვიდროებითობის პრინციპით, გართულებული ტიტულების, ცერემონიალური პრივილეგიებით და გერბებით გამოიხატებოდა.

ამგვარი პრესტიჟული პოზიციები, რა თქმა უნდა, იშვიათი იყო. დაახლოებით 1500 მოსახლეობის მქონე საზოგადოებაში 650-მდე სახელობითი თანამდებობა არსებობდა და მათ შორის, ხშირად, რამდენიმე თანამდებობას ერთდროულად ფლობდა ერთიდაიგივე ადამიანი. ამ სოციალური თანამდებობების შენარჩუნება პოტლაჩის გზით ხდებოდა. ***პოტლაჩი*** იყო წინასწარ დაგეგმილი ნადიმი, რომლის დროსაც ყველა დამსწრეს მოხმარების უამრავი საგანი უნაწილდებოდა. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ მეტოქეები ერთმანეთისთვის ზიანის მიყენების მიზნით ნადიმის დროს ანადგურებდნენ დასარიგებელ ძღვენს. თუმცა, ამგვარი

დაპირისპირებული პოტლაჩები, მართალია დრამატულ ხასიათს კი ატარებდა, მაგრამ არც იმდენად ხშირი იყო, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ.

კვაკიუტლი აშკარად შეიცავდა ბელადობის ბევრ ელემენტს: გრადაციის მკაცრ სისტემას, მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული სპეციალიზირებული ლიდერობის ფუნქციებს, მთავრობის მუდმივ წარმომადგენლობებს და რედისტრიბუციის პრინციპებს. მიუხედავად ამისა, იგი სრულად მაინც არ ჯდება საბელადოების კატეგორიაში. პირველ რიგში, ინტეგრაცია არ არსებობდა არა მარტო სოფლის ფარგლებს გარეთ, არამედ თავად მის ფარგლებშიც კი პოლიტიკური ინტეგრაცია, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ნუმაიუმას დონეზე და შესაბამისად, საკმაოდ სუსტი იყო. სოფელში ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ ლიდერს, სავარაუდოდ, ჰქონდა გარკვეული ზეავტორიტეტი, თუმცა, პრაქტიკაში, ნუმაიუმა იყო ყოველდღიური პოლიტიკური ერთობა, სადაც პოლიტიკა წარმოდგენილი იყო ნათესაობის გზით, როგორც ეს ტომობრივი საზოგადოებების შემთხვევაში ხდება. ამასთანავე, საკამათოა, იყო თუ არა პოტლაჩი ნამდვილად რედისტრიბუციის სისტემა. კვაკიუტლის საზოგადობაში არავინ იყო იმდენად მდიდარი, რომ გაეცა პოტლაჩი ვალის აღების და სესხის გარეშე. რეალურად, პოტლაჩი - ეს იყო გამსესხებელ - მსესხებლის ჩახლართულ ურთიერთობებზე აგებული რთული ეკონომიკური სისტემა. თუმცა, ისიც შესაძლებელი იყო, რომ ნადიმზე მოწვეული ნუმაიმა არ ყოფილიყო ამგვარ ვალებში ჩაფლული. როგორც წესი, ასეთი ნუმაიმასგან კიდევ უფრო უხვი პოტლაჩის გადახდას ელოდნენ. ამასთანავე, პოტლაჩის დროს დარიგებულ ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ნივთად ჰუდსონის ყურის შალის პლედი ითვლებოდა, რომელიც, ბუნებრივია, არ წარმოადგენდა საკვებს, შესაბამისად, ყველაზე ღირებული ვალუტა იყო და ფართოდ გამოიყენებოდა შემდგომი სესხება-გასესხებისთვის. ამგვარად, პოტლაჩი გულისხმობდა გადახდის სისტემას (ისეთივეს, როგორც ეს ტომებსა და რაზმებში იყო) და არა ცენტრალიზებულ რედისტრიბუციას, როგორც ეს საბელადოებისთვისაა დამახასიათებელი. ანუ, კვაკიუტლი და, ალბათ, ჩრდილო დასავლეთ სანაპიროს ყველა კულტურა წარმოადგენს როგორც ტომების, ასევე საბელადოების ელემენტთა ნაზავს (Codere, 1950; 1957; Drucker and Heizer 1967;).

სახელმწიფო

ელმან სერვისის აზრით (1971: 163) სახელმწიფოს ის დამახასიათებელი თვისება, რაც მას საბელადოსგან განასხვავებს არის "კონტროლის სპეციალური ფორმის არსებობა და იმ ადამიანთა მიერ ძალის მუდმივი გამოყენება, რომლებსაც ლეგიტიმურად აქვთ მისი გამოყენების უფლება." მეორეს მხრივ, მორტონ ფრიდი (1967) ხაზს უსვამს სტრატიფიცირებას: სახელმწიფოს გააჩნია

სპეციალური ინსტიტუტები, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური, რათა რესურსებზე დიფერენცირებული ხელმისაწვდომობის მეშვეობით შეინარჩუნოს იერარქია. ამგვარი სტრატიფიკაცია სცილდება ინდივიდუალურ და სანათესაო დონეებს, რასაც უფრო მარტივ საზოგადოებებში ვხვდებით. სახელმწიფო გულისხმობს ჭეშმარიტი კლასების არსებობას. რონალდ კოენისთვის (1978ა, 978ბ) სახელმწიფოს უმთავრესი მახასიათებელი თვისება მისი პერმანენტული ხასიათია. პოლიტიკური ორგანიზაციის უფრო დაბალი დონეებისგან განსხვავებით, არ ხდება სახელმწიფოს მუდმივი დაყოფა უფრო პატარ-პატარა ჯგუფებად, რაც მისი პოლიტიკური არსებობის ნორმალური პროცესი იქნებოდა.

სახელმწიფოები, ზოგადად, დიდი, რთული საზოგადოებებია, რომლებიც უამრავი კლასის, ასოციაციის და პროფესიული ტიპის ჯგუფისგან შსდგება. პროფესიათა სპეციალიზაცია (პროფესიონალი პოლიტიკური ბიუროკრატიის ჩათვლით), მთელ ჯგუფს ურთიერთდაკავშირებულ დამოკიდებულებათა ქსელში აერთიანებს. სახელმწიფოს შიგნით არსებული ფართო ინდივიდუალური და კლასობრივი რანჟირების გამო ზეწოლები და კონფლიქტები, რომელსაც ვერ ვხვდებით ნაკლებად რთული წარმომავლობის საზოგადოებებში, სისტემის შენარჩუნების მიზნით აუცილებელს ხდის გარკვეული ტიპის კანონის მმართველობის არსებობას. ამგვარი ტიპის მმართველობა გამყარებულია ფიზიკური სანქციებით.

წინარეკოლონიური ზულუ

ბანტუს ენაზე მოლაპარაკე ნგუნის ოჯახი შესდგება 100 000-მდე მეცხვარისა და მოძრავი კულტივატორისგან, რომლებიც დაახლოებით 80 000 კვადრატული მილის ფართობზე მოსახლეობენ სამხრეთ აღმოსავლეთ აფრიკაში. ძირითად მაცხოვრებელთა კავშირებს წარმოადგენდა გაფართოებული ტიპის ოჯახები, სადაც ნათესაობის გადაცემა მამაკაცის ხაზით ხდებოდა. ყველაზე დიდი პერმანენტული პოლიტიკური ერთობა იყო კლანი. ამასთნავე, რამდენიმე კლანს შეიძლება დროებით შეექმნა ტომები. რეალურად, ეს იყო კლასიკური ტიპის (როგორც ზემოთ აღვწერეთ) საბელადოები.

მეცხრამეტე საუკუნის ადრეულ წლებში ამ დამოუკიდებელი საბელადოების უდიდესი ნაწილი დაპყრობის გზით გაერთიანდა ძლევამოსილ და უკიდურესად მილიტარისტულ ზულუს სახელმწიფოში. ეს შედარებით ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო თავისი არსებობის გახანგრძლივებას დიდწილად ბურებისა და ბრიტანელებისგან წამოსულ საფრთხეებს უნდა უმადლოდეს, რომლებიც მისი ტერიტორის საზღვრებს უახლოვდებოდნენ (ბრიტანელებმა ზულუ

1887 წელს დაიპყრეს). წვევამდელი ჯარისკაცებისგან შემდგარი პოლკები, რომლებიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდნენ, დაბანაკებული იყვნენ დედაქალაქში მდებარე ნაგებობებში. მეფეს არა მარტო სამხედრო და შრომითი ძალების განკარგვის, არამედ თავისი ქვეშევრდომებისგან "საჩუქრების" აკრეფის უფლებაც ჰქონდა. ეს ყოველივე მას სამეფოში უმდიდრეს ადამიანად აქცევდა. ამის სანაცვლოდ, იგი ხელგაშლილი უნდა ყოფილიყო საკვებისა და სხვა საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. მეფეს ჰყავდა მრჩეველთა საბჭო, რომელთა რჩევებიც წესით, მას უნდა გაეთვალისწინებინა. იგი ასრულებდა ასევე უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას იმ შემთხვევებში, როდესაც მას თხოვნით მიმართავდა უფრო დაბლა მდგომი ბელადთა სასამართლოები; ასევე იგი იტოვებდა სიკვდილით დასჯის უფლებასაც (მიუხედავად იმისა, რომ მის ამ უფლებას ყოველთვის არ ითვალისწინებდნენ ბელადები). პიროვნებები და კლასები სტრატიფიცირებული იყო მეფისადმი მათი გენეტიკური ახლობლობის მიხედვით.

ამგვარად, მიუხედავად სისუსტის და ხანმოკლე არსებობისა, ზულუს სახელმწიფოს უფრო რთული სახელმწიფოს ბევრი მახასიათებელი ჰქონდა: იგი ერთი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ აერთიანებდა ბევრ სხვადასხვა გაფანტულ ჯგუფს; სულ მცირე, თეორიის დონეზე მაინც აცხადებდა ძალის გამოყენებაზე მონოპოლიას; მისი ძალაუფლება ხორციელდებოდა რთული ბიუროკრატიის მეშვეობით და იგი მმართველობას მიუკერძოებელი კანონმდებლობით ინარჩუნებდა.

მიუხედავად ამისა, ბევრი რამ იყო გადმონაშთი ძველი საბელადოების საფეხურიდანაც - იმდენად ბევრი, რომ თავად მოსახლეობა სახელმწიფოს წარმატებულ, გამარჯვებულ საბელადოდ აღიქვამდა. სახელმწიფო, ძირითადად, ჯერ კიდევ შედარებით დამოუკიდებელი კლანების ნაკრებს წარმოადგენდა. კეთილგანწყობა ნაწილდებოდა მეფესა და ბელადს შორის; ადამიანები ხშირად ემხრობოდნენ ადგილობრივ დაჯგუფებებსაც. ბელადები ადგენდნენ და ახორციელებდნენ ყოველდღიურ კანონებს. მათ, იმ შემთხვევაში თუ მეფე ინფორმირებული იყო, აჯანყების ჩახშობის უფლებაც ჰქონდათ. გავრცელებული მიდგომით, შეიძლებოდა ცუდი მეფის დამხობა, ისევე როგორც ცუდი ბელადის. ამით იცვლებოდა პიროვნება და არა სისტემა. ფაქტობრივად, მეფეთა მონაცვლეობა ძირითადად ძალადობრივი ან აჯანყებითი გზით ხდებოდა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა განსაზღვრული სოციალური სტრატიფიცირება, იგი მაინც თითქმის იგივე იყო, რაც ჰავაელების შემთხვევაში – ინდივიდების და კლანების რანჟირება მეფესთან მათი გენეალოგიური სიახლოვიდან გამომდინარე ხდებოდა. ამასთან ერთად, პროფესიულ ნიადაგზე სპეციალიზაცია არ იყო იმაზე უკეთ განვითარებული, ვიდრე წინარესახელმწიფოებრივ პერიოდში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი ცენტრალიზებული მმართველობის ქვეშ ბევრი ფორმალურად ავტონომიური ჯგუფის უნიფიცირების გამო წინარეკოლონიური ზულუ სახელმწიფოთა რანგს მიეკუთვნება, თუმცა, მას საბელადოების (რასაც იგი ეფუძნებოდა) ბევრი მახასიათებელიც აქვს შემორჩენილი (Gluckman, 1940; Service 1975).

ინკები

მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში პერუში მდებარე გუცოს ველის ძლევამოსილმა საბელადომ დაიწყო სამხედრო ექსპანსია, რის შედეგადაც შეიქმნა კოლუმბამდელი ახალი მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო. ინკების იმპერია გადაშლილი იყო 2 700 მილზე ცენტრალური ჩილედან თანამედროვე ეკვადორისა და კოლუმბიის საზღვრებამდე; მთელი ეს სივრცე გაერთიანებული იყო ისე, რომ გადაადგილებისთვის თითქმის არ გამოიყენებოდა ცხოველები (თუ არ ჩავთვლით ლამას და ალპაკას, რომლითაც ტვირთი გადაჰქონდათ). თანამედროვე პირობებში ინკების, როგორც კომუნისტური, სოციალისტური ან კეთილდღეობის სახელმწიფოს დახასიათება ნაკლებად ასახავს ანდების ეკოლოგიურ, სოციალურ და ისტორიულ პირობებთან ამ უნიკალური ადაპტაციიის შემთხვევას.

ინკების იმპერიის გაერთიანებაში ეკონომიკური რედისტრიბუციის სისტემა ისეთივე როლს თამაშობდა, როგორსაც სამხედრო ძალა ან პოლიტიკური ცენტრალიზაცია. საკვების წარმოება ძალიან გაზრდილი იყო და ეს მიიღწეოდა არა იმდენად ტექნიკური ინოვაციების მეშვეობით, რამდენადაც შრომის სულ უფრო და უფრო ეფექტური დანაწილებით. შრომის დანაწილება ხდებოდა, მაგალითად, სასოფლო სამეურნეო მიწების ტერასირების ან ეფექტური საირიგაციო სისტემების მშენებლობის დროს. ამგვარად, თითქმის მთელი სათემო მიწები ათვისებული და გამოყენებული იყო. იმპერიის ფარგლებში მიწა იყოფოდა სამ ნაწილად: ჩვეულებრივი ხალხისთვის, სახელმწიფო რელიგიისთვის და საერო ბიუროკრატიისთვის. 1475 წლის შემდეგ იზრდება სახელმწიფოს მფლობელობა, განსაკუთრებით კი ახლად აღმოჩენილ მიწებზე, რომლებსაც კულტივირების მიზნით ან საძოვრების დანიშნულებით იყენებდნენ.

ეს ეკონომიკა სამი ტიპის ბიუროკრატიას ინახავდა. ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა ცენტრალური ბიუროკრატია, რომელიც შედგებოდა ეთნიკურად ინკი არისტოკრატიისგან და არაეთნიკური ინკებისგან, რომლებმაც მოიპოვეს ინკას სტატუსი სახელმწიფოსთვის მათ მიერ გაწეული ღვაწლის გამო. კუსკოში განლაგებული ბიუროკრატია მოიცავდა სამეფო სასამართლოს

(იგი შესდგებოდა თერთმეტი უმცროსი ხაზის წარმომადგნელისგან, რომელთაგან თითოეულს საკუთარი სასახლე ჰქონდა); სამეფო მრჩეველთა საბჭოსგან და მეტნაკლებად სპეციალიზირებული ორგანოებისგან, რომელთა ფუნქციებში შედიოდა სამართლის აღსრულების, სამხედრო - საგანმანათებლო, ტრანსპორტირების და კომუნიკაციის საკითხების მოგვარება. ამის პარალელური და გარკვეულ დონეზე განცალკავებული რელიგიური ბიუროკრატია ადმინისტრირებას უწევდა სახელმწიფო რელიგიას, რომელიც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას ადვილად შესწევდა უნარი შეეთვისებინა დაპყრობილი ტომების ღმერთები, კერპები და რიტუალები, საკმაოდ გახსნილი იყო. ინკას ეროვნული პროდუქციის ნამატის ერთი მესამედი იხარჯებოდა რელიგიურ ცერემონიებზე; და ბოლოს, კურაკასად წოდებული პროვინციული ბიუროკრატია, რომელიც ადგილობრივი ბელადების იერარქიის მეშვეობით დაახლოებით 80 რეგიონულ ჯგუფს აერთიანებდა.

ამგვარი გართულებული ბიუროკრატიული სტრუქტურების არსებობამ შეიძლება შეგვიქმნას იმის ილუზია, რომ ინკების სახელმწიფომ სრულად შესძლო დაეძლია და ჩაენაცვლებინა სოციალური ორგანიზების უწინდელი ფორმები. ათასწლეულის შემდეგაც კი, ცივილიზაციების გაჩენისა და დაცემის მიუხედავად, ანდური სოციალური სტრუქტურის უმთავრეს ერთობად კვლავაც რჩება აილუ, ნათესაობაზე დაფუძნებული თემი, სადაც მიწის მფლობელობა საერთო იყო, გადანაწილება კი საჭიროების მიხედვით. აილუ საერთო ტერიტორიით და სოციალურ - ეკონომიკური რთული ურთიერთობებით უნიფიცირებულ დამოუკიდებელ ორგანიზმს წარმოადგენდა. ყოველ აილუს ჰყავდა საკუთარი ლიდერი, რომელიც არ ფლობდა იძულებით ავტორიტეტს. აილუ ზრუნავდა საკუთარ სიმყარეზე, აგებდა საზოგადოებრივ ნაგებობებს და კოოპერაციული შრომის დანაწილების გზით ანხორციელბდა მიზნებს. ხშირად, ბევრი აილუ ვაჭრობის ან თავდაცვის მიზნით ერთიანდებოდა ფართომასშტაბიან ტომებსა და კონფედერაციებში.

ინკას მიერ მათმა დაპყრობამ ეს ფუნდამენტური სოციალური სტრუქტურა უცვლელი დატოვა. სახელმწიფო მმართველობის ბევრი ფორმა თუ პრაქტიკული განხორციელება სწორედ აილუს დაეფუძნა. მაგალითად, განაწილებული შრომის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინკებმა ააგეს თავიანთი ფენომენალური გზები (თითო გზა დაახლოებით 2 000 მილის სიგრძის იყო), საზოგადოებრივი ნაგებობები და სასოფლო სამეურნეო ტერასები ტრადიციული აილუს კოლექტიური შრომითი პრაქტიკის უფრო ფართომასშტაბიანი სახით გაგრძელების მაგალითებს წარმოადგენდა. მთავრობის ყველაზე მაღალ საფეხურზეც კი, აილუს მოდელი მოქმედებდა:

ყოველი ახალი ინკი იმპერატორი იწყებდა ახალ სამეფო აილუს, რომელიც შედგებოდა მისი სანათესაო ხაზის ყველა მამაკაცი მემკვიდრისგან. ჯონ მურას მიხედვით (1958) ფართოდ გავრცელებული ხედვა იმის თაობაზე, რომ ინკების პოლიტი ემყარებოდა დეციმალების სისტემით დაყოფილ ჯგუფებს, სხვა არაფერია, თუ არა მოსახლეობის აღწერისას გაკეთებული სტენოგრაფიული ჩანაწერების სიტყვა-სიტყვით წაკითხვა (ჩანაწერები შენახული იყო განასკვულ თოკებზე). რეალურად, იმპერიის დაყოფა ეფუძნებოდა ტრადიციულ დაყოფას – აილუ, ტომი, კონფედერაცია. ამგვარად, მიუხედავად მისი კომპლექსურობისა, ინკების სახელმწიფო არ წარმოადგენდა დიდ ნახტომს სოციალური ორგანიზების კუთხით. რეალურად, მასში გაერთიანებული იყო ტრადიციული ხელუხლებელი ერთობები (Mason 1957; Murra 1958; Shaedel 1978).

კლასიფიკაცია დღეს

ამ თავში გადმოცემული კლასიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც ფართოდ გამოიყენება, ბევრი სხვადასხვა მიმართულებით გააკრიტიკეს. ეს კატეგორიები 1940-იანი წლებიდან განვითარდა - მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ავტონომიური, პირველყოფილი კულტურები, რომლებიც უცვლელად არსებობდნენ ძალიან დიდი ხნის მანძილზე. ამგვარი მიდგომა გადახედილ იქნა სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური პარადიგმის მიერ, რომელიც ორ ათწლეულზე მეტ ხანს დომინირებდა ანთროპოლოგიაში. ეს მიდგომა საზოგადოებებს სინქრონულად, დროისგან დამოუკიდებელ ჭრილში განიხილავდა (იხ. მეხუთე თავი). რეალურად კი, მოგვიანებით კოლონიალიზმის, პოსტკოლონიალიზმის და მსოფლიო სისტემის პერსპექტივების გაჩენასთან ერთად, პირველყოფილი ტომის ცნება უფრო მეტად ანთროპოლოგიურ თეორიულ ტერმინად იქცა, ვიდრე რეალობად. მეთექვსმეტე საუკუნიდან ევროპის ფარგლებს მიღმა კაპიტალისტური ექსპანსიის გავრცელებით პრაქტიკულად ყველა კულტურა, თვით ყველაზე იზოლირებულებიც კი, რადიკალურად შეიცვალა. ბევრი მათგანი იძულებით იქნა დამორჩილებული, ბევრმა კიდევ უფრო ღრმად, უდაბნოებში გადაინაცვლა ან ტრანსფორმირდა ეპიდემიების თუ სხვა ფაქტორების გამო (Wolf, 1982).

ტერმინი "ტომი" აღიარებულ იქნა არა მარტო როგორც ბუნდოვანი, არამედ ასევე, როგორც დამამცირებელი ტერმინი, რომელიც ხაზს უსვამს პრიმიტივიზმსა და სუბორდინაციას. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ასეთი ჯგუფი, იძულებითი თუ უფრო რბილი და შეუმჩნეველი მეთოდებით, სულ უფრო და უფრო ერთიანდება სახელმწიფოში, ძველი კლასიფიკაციები ახალი,

უფრო გამოყენებადი ტერმინებით “ეთნიკურობა” და “ნაციონალიზმით” ჩაანაცვლეს. ცალკე თემას წარმოადგენდა არა მხოლოდ ინდივიდების, არამედ მთელი საზოგადოებების სულ უფრო მზარდი ჰიბრიდულობის საკითხი. ტერიტორიული, ლინგვისტური და კულტურული საზღვრები, რომლებსაც ადრეული თაობის ანთროპოლოგები აღიარებდნენ, დიდწილად დაიმსხვრა. გლობალიზაციამ სულ უფრო მეტად ცვალებადი კატეგორიები მოიტანა - ისეთები, როგორიცაა მაგალითად, ტრანსნაციონალური, კრეოელი და დიასპორული თემები.

ყოველი ტიპოლოგიის ღირებულება დამოკიდებულია როგორც იმაზე, თუ რა იქნა ამ ტიპოლოგიით მიღწეული, ასევე იმაზე, თუ რა კრიტერიუმებზე დაფუძნებით გაკეთდა იგი. ამ თავში მოყვანილი კლასიკური ტიპოლოგიები საკმაოდ ზოგადია. თანამედროვე ტიპოლოგიები კი, როგორიცაა მაგალითად, ეთნიკურობა და ნაციონალიზმი, კიდევ უფრო მეტადაა ზოგადი. სპეციალისტები უფრო ზუსტ კლასიფიკაციებს მოითხოვენ და, შესაძლოა, კიდეც განავითარონ არაერთი ქვეტიპი. მაგალითად, გლეხობა დაიყო უამრავ ქვეტიპად (Wolf, 1996). ახალი კვლევები კი უჩვენებს კიდევ ახალი კატეგორიის - პოსტგლეხობის შემოღების საჭიროებას (Kearney, 1996). ერთი კონკრეტული კულტურული სივრცის, მაგალითად არქტიკის შემსწავლელი სპეციალისტი შეიძლება ფოკუსირდეს ადაპტაციის სტრატეგიის სხვადასხვაობაზე და, ამგვარად, მართებულად უარყოს ნებისმიერი ტიპის ტიპოლოგია. ბევრმა პოსტმოდერნისტმა მეცნიერმა საერთოდ უარყო კლასიფიკაციები იქიდან გამომდინარე, რომ ანთროპოლოგია არის განსხვავებულობის მეცნიერება და სხვადასხვა საზოგადოების ერთად დაჯგუფება რაღაც ნეიტრალური კრიტერიუმებით უფრო მეტად ვნებს საქმეს, ვიდრე რაიმე დადებითს იძლევა. მიუხედავად ამისა, იმდენად, რამდენადაც ანთროპოლოგებს სჭირდებათ ერთმანეთთან საუბარი და ურთიერთგაგება, კლასიფიკაციის გარკვეული ფორმების არსებობა მაინც აუცილებლად მიგვაჩნია.

შენიშვნა:

1. გარდა უახლესი კვლევებისა, ყველა ეთნოგრაფიული მაგალითი წარმოდგენილია წარსულ დროში. რეალურად, ყველა ტრადიციული კულტურა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის.

რეკომენდებული ლიტერატურა

Kohen, Ronld, and Jon Middleton, (eds) (Austin: Texas University Press 1967). მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ანთოლოგიაში შერჩევის პრინციპი შემთხვევითობაზეა თითქოს დამყარებული, იგი ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის კვლევას გვთავაზობს. ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი ჯგუფები, როგორიცაა !კუნგი, ესკიმოსები, ნამბიკარა, მაპუჩე და ინკა. წიგნში მოცემული ოცი სტატიის ავტორი პოლიტიკური ანთროპოლოგიის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან, როგორებიცაა კლოდ ლევი სტროსი, რობერტ ლუვიე, ჯონ მურა, ფ.ს. ბეილი, ს. ნ. აიზენშტატი და სხვა.

Fried, Morton. The Evolution of Political Society (New-York: Random House, 1967). ფრიდი პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციას ძალაუფლებაზე ინდივიდუალური ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე ახდენს. ეს მას აძლევს ეგალიტარიზმის, ტიტულების და სტრატიფიცირების ძირითად კატეგორიებს. თითოეული მათგანი ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი.

Johnson, Allen W., and Timothy Earle. The Evolution of Human Societies: From Foraging Group to Agrarian State (Stanford, Galif.: Stanford University Press, 1987). კარგად ცნობილი ევოლუციური მიდგომა, რომელიც გვთავაზობს მოცემულ თავში მოყვანილი პირობითი კლასიფიკაციის ალტერნატიულ ხედვას. ყოველი სოციოეკონომიკური დონე (ოჯახი, ლოკალური ჯგუფი, ბიგ მენის კოლექტიური საზოგადოება, საბელადო, არქაული სახელმწიფო და ერი-სახელმწიფო) დეტალურად, შესაბამისი მაგალითების საფუძველზეა განხილული.

Levinson, David, and Martin j. Malone. Towars Explaning Human Culture (New-yourk: HRAF Press, 1980). ეს ნაშრომი მისასალმებელი მცდელობაა – ერთ წიგნში მოათავსოს *Human Ralation Area Files* გამოყენებით და სტატისტიკურ კვლევებზე დაყრდნობით მიღებული კროსკულტურული მაჩვენებლები. თავების დიდი ნაწილი მნიშვნელოვან რაოდენობრივ მონაცემებს იძლევა, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციით სპეკულაციების უარყოფა ან დადასტურება.

Service, Elman R. Primitive Social Organization: An Evolutionary Perspectiv (New-York: Random House, 1962). ამ ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა რაზმს, ტომს, საბელადოს და სახელმწიფოს, როგორც სოციოკულტურული ინტეგრაციის უმთავრეს დონეებს.

თავი 3

სახელმწიფოს ევოლუცია

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ანტიკური ეგვიპტე იყო მსოფლიოში არსებულ პირველ ექვს სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი. აქ იგულისხმება სახელმწიფოები, რომლებიც სხვა სახელმწიფოების ზეგავლენით არ ჩამოყალიბებულა. მისი წარმოშობა, ნაწილობრივ, შესაძლოა განპირობებულ იყოს უდაბნოთი გარშემორტყმული მიწის ვიწრო ზოლზე მოსახლეობის რაოდენობის ზრდით (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

დაახლოებით 5500 წლის წინ, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ნაყოფიერ სანაპიროებზე, იქ, სადაც დღეისათვის ერაყის სახელმწიფო მდებარეობს, ჩამოყალიბდა იმ პერიოდისთვის უნიკალური ტიპის საზოგადოება. ათასწლეულის შემდეგ, ადამიანები მიგრაციული ტიპის ცხოვრების სტილიდან, რომლის დროსაც ისინი საკვების ძიებისას სხვადასხვა ადგილზე გადადიოდნენ საცხოვრებლად, ნელ-ნელა გადავიდნენ ცხოველებისა და კულტივირებული მცენარეების სეზონურად მოშენებით თავის რჩენაზე, ხოლო მოგვიანებით კი, სასოფლო ტიპის მეურნეობაზე. შედეგად, გაჩნდა მსოფლიოს ჭეშმარიტად პირველი ქალაქები და, შესაბამისად, პოლიტიკური ორგანიზაციის ახალი ფორმაც. მანამდე საზოგადოებები სტრუქტურირებული იყო ნათესაობის ხაზის მიხედვით. ორგანიზების ამ ახლად წარმოქმნილ ფორმაში გაჩენილი მუდმივი ადმინისტრაციული ბიუროკრატია კი სანათესაო ხაზისა თუ კლანის მიღმა არსებულ მხარდაჭერაზეა დაფუძნებული. ადგილობრივი მეთაურების ძალაუფლების დიდი ნაწილი მმართველ კლასს გადაეცა, რომელიც ფლობდა სასოფლო - სამეურნეო მოსავლის შეგროვების და დიდი საირიგაციო პროექტების განხორციელებისთვის, ასევე მონუმენტური არქიტექტურული შენობების ასაგებად აუცილებელი სამუშაო ძალის მობილიზების ძალაუფლებას. გამაგრებული ქალაქები, ისეთები, როგორებიც იყო ურუქი და ურუ, თავს იწონებდნენ 40 000-ზე მეტი "მოქალაქით". პროფესიონალი სამღვდელოება სათავეში ედგა ერთიან, კომპლექსურ რელიგიას. ხელოსნები ობსიდიანისგან ხმლებს, ასევე ოქროსა და ვერცხლის

ფიგურებს ამზადებდნენ, რაც ვაჭრობის კუთხით ფართო სივრცეებს აერთიანებდა. ასე დაიბადა სახელმწიფო.

დღეისათვის, როდესაც მოსახლეობა მრავალ მილიონს ითვლის, ხოლო ძალაუფლება კი იმდენად კონცენტრირებულია, რომ პრეზიდენტის ბრძანებით შესაძლებელია უზარმაზარი არმიების გაგზავნა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ალბთ ძნელია გაანალიზო იმ 13-მდე მცირე ზომის სახელმწიფოს მნიშვნელობა, რომლებსაც კოლექტიურად შუმერებად მოიხსენიებენ. თუკი მართებულია ვილაპარაკოთ სასოფლო ტიპის რევოლუციაზე, ან ინდუსტრიულ რევოლუციაზე, რათა გამოვხატოთ ადამიანის სოციალური ცხოვრების მოწყობაში განხორციელებული ცვლილებები, მაშინ, ასევე შესაძლებელია ვისაუბროთ სახელმწიფოს რევოლუციაზეც. ცნობილმა მეცნიერებმა შესაძლოა იკამათონ ადრეული სახელმწიფოების მახასიათებელ თვისებებზე, მაგრამ არავინ დააკნინებს მათ მნიშვნელობას. ეს იყო საზოგადოების ახალი ტიპი – იმ გენეტიკური კოდის შემცველი მარცვალი, რამაც მომავალში საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მსოფლიოს გიგანტურ ერი-სახელმწიფოებს.

მესოპოტამიური სახელმწიფო განვითარდა კონკრეტულ ბუნებრივ გარემოსა და სოციალური პრობლემების სპეციფიურ ქსელთან ხანგრძლივი დროის მანძილზე შემგუებლობის შედეგად. თუმცა, რეტროსპექტიულად რომ განვიხილოთ, ეს პროცესი თითქმის გარდაუვალი ჩანს, რამდენადაც ასეთივე შემგუებლობა და ადაპტაცია აღმოჩენილია მსგავსი ტიპის სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში ეგვიპტეში, მდინარე ინდის დაბლობზე ინდოეთში და ყვითელი მდინარის დაბლობზე ჩრდილოეთ ჩინეთში, ასევე, ცენტრალურ ამერიკასა და პერუში. ეს “პირველი” სახელმწიფოები ასახულია 3.1 გრაფიკულ გამოსახულებაში. მართალია მოცემული ექვსი სახელმწიფო ერთმანეთთან მიმართებით ასეული და ზოგჯერ ათასეული წლების განსხვავებით წარმოიშვა (იხ. 3.2 გრაფიკული გამოსახულება) და მათ შორის, ვაჭრობის კუთხით გარკვეული, თუმცა საკმაოდ მცირე შეხება ხდებოდა (მაგალითად ინდოეთსა და მესოპოტამიას შორის), თითოეული, როგორც ჩანს, მაინც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის წარმოშობილი. აქ ჩვენ ვაწყდებით შემდეგი სახის პრობლემას: თუკი სახელმწიფო დამოუკიდებლად წარმოიშვა არა ერთხელ, არამედ ექვს შემთხვევაში, რამდენად შესაძლებელია მივაგნოთ იმ ფუნდამენტურ პროცესებს, რაც მათთვის საერთოა?

ყველაზე მაღალი განვითარების პრიმატებში, რომლებსაც ახასიათებთ გამოკვეთილი სექსუალური დიმორფიზმი (განსხვავებულობა მუსკულატურასა და ზომებში სქესის მიხედვით) – ისეთებში, როგორიცაა, მაგალითად ბაბუინები და გორილა, აღმოჩენილია მამაკაცთა ძლიერი

დომინირება, თავდაცვის კუთხით მათი სპეციალიზაცია, ასევე ოჯახის ორგანიზების სხვადასხვა მაგალითი. მართალია სახელმწიფოსგან ძალიან შორსაა, მაგრამ ადამიანების სოციალური ევოლუციის რუდიმენტები ადამიანებთან ყველაზე ახლოს მდგომ ცხოველებშიც შეიძლება შევამჩნიოთ. პრიმატთა ზოგიერთი სახეობა გვიჩვენებს უკიდურესად რთულ სოციალურ სტრუქტურას. ბაბუინები, მაგალითად, ცხოვრობენ 40-80 სულიერისგან შემდგარ მყარ ჯგუფებად; ამ ჯგუფებს სტატუსის მიხედვით მყარი იერარქია აქვთ, ასევე ფუნქციათა საკმაო სპეციალიზაცია როგორც მამრობით, ასევე მდედრობით სქესში. ჰამადრიასში მცხოვრები ბაბუინები მამრობით სქესიან მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ, მაგრამ რამდენიმე ასეულიან ჯგროებად იკრიბებიან დასაძინებლად. ზოგიერთმა პრიმატმა თაობიდან თაობების მანძილზე სხვადასხვა ყურადსაღები უნარი გამოიმუშავა. ისინი მნიშვნელოვან თანამშრომლობას ამჟღავნებენ მაგალითად, შთამომავლობაზე ზრუნვაში, კოლექტიურ თავდაცვაში და სექსუალურ ქცევაში. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ადამიანის გენმა შესძლო ამ პრიმატული ადაპტაციის კულტურული საშუალებებით გაფართოება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი მხრივ სიმბოლიზმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ურთიერთობენ და ახორციელებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ იდეებს და, მეორე მხრივ, ურთიერთგაზიარება (ორმხრივობა), რაც საფუძვლად უდევს შრომის დანაწილებას, წარმოქმნის სოციალური ორგანიზების მზარდ პოტენციალს და აკავშირებს ერთმანეთთან მონათესავე ჯგუფებს.

კაცობრიობამ დედამიწაზე თავისი არსებობის ორი-სამი მილიონი წლის მანძილზე 99 პროცენტზე მეტი პატარა რაზმებში – მოქნილ, ეგალიტარულ, მომთაბარე ჯგუფებში გაატარა, რომლებიც რამდენიმე გაფართოებული ოჯახისგან შესდგებოდა. თანამედროვე პერიოდში ის ადამიანები, რომლებიც მონადირეობა - შემგროვებლობას მისდევენ, მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესად მარგინალურ გარემოში ცხოვრობენ. ამიტომ, ისტორიულ წარსულში მცხოვრებ შორეულ წინაპრებამდე, რომლებიც უფრო სასურველ გარემოსა და კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ, მათი სოციალური ორგანიზების განზოგადებისას ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნეს. და მაინც, პალეოლითის ხანიდან მოყოლებული, არქეოლოგიური ცნობები ცხადყოფს, რომ რაზმების ძირითადმა ფორმამ ნაკლებად განიცადა ცვლილებები. ერთ-ერთი მიზეზი მოცემული სტრუქტურის ამდენი ხნის განმავლობაში არსებობისა, შეიძლება იყოს ის, რომ იგი ევოლუციურად მკვდარ დაბოლოებას წარმოადგენდა. მონადირეობასა და საკვებისათვის ვარგისი ადგილების ძებნაზე დაფუძნებული ადაპტირება თითქმის სრულყოფილ ეკოლოგიურ ბალანსს საჭიროებს - მოსახლეობა მუდმივად იმაზე ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე საკვებია. ამგვარად,

სამყაროს ნაკლებად ჰქონდა ცვლილებების განხორციელების მოთხოვნილება. ახსნას საჭიროებს არა ის, თუ რატომ გაგრძელდა ამდენი ხნის მანძილზე მსგავსი სრულყოფილი ადაპტაცია, არამედ ის, თუ ადამიანთა მცირე ჯგუფებმა - საწყის ეტაპზე ეს ჯგუფები მართლაც ძალიან მცირე იყო - რატომ თქვეს უარი არსებობის მსგავს ფორმაზე და იგი არსებობის უფრო რთული ფორმებით და საზოგადოებით ჩაანაცვლეს.

სოციალური სტრუქტურის რადიკალურად ახალი ტიპები ჩნდება მიწაზე მიმაგრებული ცხოვრების სტილზე გადასვლის და მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდასთან (რაც ცხოველების მოშინაურებისა და მცენარეთა მოყვანის შედეგად მოხდა) ერთად. თუმცა, არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს რევოლუცია მოულოდნელი იყო, ან რომ ამ ცვლილებებმა დაუყოვნებლივ მიიყვანა კაცობრიობა სახელმწიფოს შექმნამდე. სასოფლო მეურნეობა და ცხოველთა მოშინაურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბევრგან, სრულიად განსხვავებულ რეგიონებში გავრცელდა. თუმცა, მხოლოდ ცოტა მათგანში თუ განვითარდა სახელმწიფო. მექსიკაში მდებარე ტეკუანის მდელოზე მონადირეობა - შემგროვებლობაზე დამყარებული რაზმებიდან სოფლის მეურნეობაზე დამყარებული სახელმწიფოების წარმოქმნამდე 7 000-ზე მეტი წელი გავიდა (Flannery 1968). ადრეული სახელმწიფოების განვითარების სხვა არეალებშიც მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის, მუდმივი ტიპის დასახლებების და ფართო საირიგაციო სამუშაოების არსებობიდან მთავრობის ცენტრალიზაციამდე ასევე დიდი დრო გავიდა.

ამერიკელმა და ჰოლანდიელმა ანთროპოლოგებმა შეისწავლეს სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა (ბრიტანელები და ფრანგები არ აღიარებდნენ ევოლუციურ კითხვებს). დღემდე, ამ ტიპის თეორეტიკოსები პირველ ექვს სახელმწიფოს დიდი გულისყურით გამოყოფენ მეორადი სახელმწიფოებისგან (იმ სახელმწიფოებისგან, რომლებიც განვითარდნენ უკვე არსებულ სახელმწიფოებთან კონტაქტის შედეგად). იმის გამო, რომ ფაქტობრივად ყველა თეორეტიკოსი ყურადღებას ამახვილებს წარსულზე – ფაქტები ცალსახად არქეოლოგიურია. დღეისათვის, ზოგიერთმა თეორეტიკოსმა უარყო სახელმწიფოთა დაყოფა პირველ და მეორად სახელმწიფოებად და უპირატესობა მიანიჭა ტიპოლოგიას, რომელიც მაგალითად, დღევანდელ უგანდის ანკოლას და მსგავს ქვეყნებს თანამედროვე ტიპის სახელმწიფოებად აღიარებს, რამდენადაც ისინი დარჩნენ ხელშეუხებელ, წმინდა ფორმებად. ზოგიერთ ამ მნიშვნელოვან კვლევას ჩვენ მოგვიანებით შევეხებით. თავდაპირველად კი უნდა განვიხილოთ სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები.

შიდა კონფლიქტების თეორია

მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კლასთა შორის ბრძოლის შედეგად წარმოიშვა, კარლ მარქსს თავის არაერთ ნაშრომში აქვს გამოთქმული. მიუხედავად ამისა, ეს იდეა ბოლომდე კარგად ფრიდრიხ ენგელსის უმთავრესი ნაშრომის "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" (1891, 1972) (რომელიც მისი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა), გამოსვლამდე მაინც არ იყო დამუშავებული. ფრიდრიხ ენგელსის მიხედვით, რომელმაც ბევრი რამ აიღო ამერიკელი ანთროპოლოგის, ლუის ჰენრი მორგანისგან, სოციალური ორგანიზების ყველაზე ადრეული ფორმა კომუნისტური ტიპის იყო: რესურსებს თანაბრად ინაწილებდა ყველა და არსებობდა კერძო მფლობელობის მკაცრი კონცეფცია. ტექნოლოგიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ნამატის გაჩენას, რამაც, თავის მხრივ, არამწარმოებელი კლასების გაჩენა გამოიწვია. კერძო საკუთრება, მარტივად რომ განვმარტოთ, მოხმარების საგნების წარმოების თანმხლები მოვლენაა. კერძო საკუთრების წარმოშობა სტიმულს აძლევს მიზეზებისა და შედეგების მთელი ჯაჭვის წარმოქმნას, რასაც შედეგად მწარმოებელთა კლასის – წარმოების საშუალებათა მფლობელებისა და ადამიანთა შრომის მყიდველ-გამყიდველების შექმნამდე მივყავართ. თავის მხრივ, ეს შედეგად იძლევა რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის დიფერენცირებას და ადამიანთა შორის სიმდიდრის გადანაწილების უთანასწორობას. მოქმედი მწარმოებლების ინტერესთა საწინააღმდეგოდ, რომლებსაც სრულიად საფუძვლიანად, ასევე სურთ მონაწილეობა მიიღონ მათივე წარმოებული პროდუქციის განაწილებაში, ელიტა იძულებულია შექმნას ძალის მუდმივი ცენტრალიზებული ტიპის სტრუქტურა, რათა დაიცვას საკუთარი კლასის ინტერესები.

მსგავსი ანალიზი მეტისმეტად ჩახლართული და გართულებულია. მასში ჩანს დაშვება იმისა, რომ ეკონომიკური გაცვლის პირველი საშუალებები რაზმებსა და ტომობრივ საზოგადოებებში ურთიერთგაცვლის ტიპისაა; ხოლო უფრო რთული სისტემები გულისხმობს სიმდიდრის კონცენტრირებას და რედისტრიბუციას ცენტრალური მმართველობის მეშვეობით, სულ ერთია ვინ იქნება ეს – მეფე, ბელადი თუ ბიუროკრატია. ენგელსმა ხელოვნურად მიუსადაგა მარქსისტული მატერიალიზმი სოციალური ევოლუციის ხანგრძლივ პროცესს. ცვლილებების უმთავრეს მიზეზად განიხილება ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები და არა იდეური მზაობა. ამასთანავე, ენგელსთან აშკარად აღიარებულია, რომ სოციალური სტრატიფიცირება სახელმწიფოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია.

ფაქტობრივად, როგორც ელმან სერვისმა აღნიშნა (1975; 283), “ადრეულ არქაულ ცივილიზაციებში, ისევე როგორც არქეოლოგიურად თუ ისტორიულად ცნობილ საბელადოებსა თუ პრიმიტიულ სახელმწიფოებში, არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი კერძო მფლობელობის არსებობის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი, ანუ არ არსებობს კაპიტალიზმის არსებობის დამადასტურებელი ფაქტებიც”. მართლაც, კომუნიზმის და კაპიტალიზმის კონცეფცია აბსურდული ჩანს თუკი მას მივუსადაგებთ რაზმებსა თუ საბელადოების ტიპის საზოგადოებებს, რომლებიც ესოდენ განსხვავდებიან თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოებისგან.

მორტონ ფრიდმა (1967), რომელმაც პოლიტიკური სისტემების თავისი ევოლუციური ტიპოლოგია რესურსებზე ინდივიდების ხელმისაწვდომობის და პრესტიჟული თანამდებობების პრინციპებს დააფუძნა, შემოგვთავაზა კლასი - კონფლიქტის მოდელის ვარიაცია. თუ არსებობს ჭეშმარიტი სტრატიფიცირება, აღნიშნავს ფრიდი, სახელმწიფოს არსებობა აშკარაა, რადგანაც კლასობრივი სისტემის შესანარჩუნებლად აუცილებელია ძალაუფლება კონცენტრირებულ იყოს ელიტის ხელში. ეს, თავისთავად, წარმოშობს კონფლიქტს საზოგადოებაში. რესურსებისადმი დიფერენციული მიდგომა და ადამიანური შრომის ექსპლუატაცია წარმოქმნის იმგვარ წნეხს, რაც ნაკლებად რთულ საზოგადოებებში პრაქტიკულად არ გვხვდება. სოციალური სტრატიფიკაციიდან წამოსული კონფლიქტი არ უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოს წარმოშობის გამომწვევ ფაქტორად. უფრო მეტიც, ამგვარი კონფლიქტი ნაკლებადაა სახელმწიფოს განვითარებაში თუნდაც წამყვანი ფაქტორი. საწყისი ეტაპის სოციალური სტრატიფიცირება იმდენად არამყარია, რომ ამ საფეხურზე მდგომი საზოგადოება ან დაიშლება და დავა ორგანიზების უფრო დაბალ საფეხურამდე ან გააგრძელებს პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრალიზების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც კლასები იწყებენ გამოყოფას ინდივიდუალურ ან ნათესაობის სტატუსებზე დამყარებული იერარქიისგან, ძალაუფლება სწრაფად უნდა აიღოს ხელში პრივილეგირებულმა ელიტამ, თუკი ნამდვილი სახელმწიფოს არსებობაზეა საუბარი.

საგარეო კონფლიქტების თეორია

სოციალური ევოლუციის ბიბლიურ ვერსიაში ქალაქების განვითარება კაენის პირველყოფილი ცოდვის (მის მიერ საკუთარი ძმის, აბელის მკვლელობის) პირდაპირი შედეგია. იდეა იმის შესახებ, რომ ქალაქები წარმოიშვა სისხლისღვრებისა და ომების შედეგად, სამეცნიერო წრეებში მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სოციალური დარვინიზმის

თეორიის გაჩენასთან ერთად გახდა პოპულარული. ჰერბერტ სპენსერი, ევოლუციური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრე, გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადარჩებიან უფრო ძლიერი ინდივიდები, თუმცა, საკუთარ თეორიას საზოგადოებებზე არ განავრცობს. რა თქმა უნდა, ძლიერი, უკეთ შეიარაღებული ორგანიზაციები უცილობლად დაჯაბნიან უფრო სუსტ ჯგუფებს და გააერთიანებენ მათ ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების ქვეშ, რომელსაც ექნება ძალადობაზე მონოპოლია. ცალკე შეიარაღება, ომის გარეშეც კი, საკმარისი იქნებოდა ამის გასაკეთებლად. მხოლოდ საგარეო საფრთხის არსებობამ, რისი მოგერიებაც საჭიროებს დიდი და მყარი არმიის ყოლას, შეიძლება სუსტად ორგანიზებულ საზოგადოებას ძლიერი, ცენტრალიზებული ლიდერობის შექმნისკენ უბიძგოს. ამგვარ თეორიებში, რომელსაც სპენსერის გარდა კიდევ ბევრი თეორეტიკოსი იზიარებს, ცხადად თუ ფარულად გატარებულია იდეა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შექმნილია სამხედრო ორგანიზაციის მოდელზე. აქ იგულისხმება მისი იერარქიული სტრუქტურა და ფიზიკურ ძალაზე ცენტრალიზებული კონტროლი. მეცხრამეტე საუკუნისთვის დამახასიათებელი ზედმეტი გამარტივების და ზედმეტი განზოგადების ტენდენცია კარგად ჩანს ამ თეორიებში, რომლებიც დამყარებულია ფიზიკური ევოლუციის მეტისმეტად არასწორ გაგებაზე. დარვინის ლამის პროზაული იდეა იმის თაობაზე, რომ ევოლუციის მამოძრავებელი მექანიზმი შერჩევითი გამრავლებაა (მშობლები, რომლებსაც უფრო გამძლე ნაშიერები ჰყავთ, უფრო მეტ მახასიათებელ თვისებებს გადასცემენ შთამომავლობას) გადატანილ იქნა "კბილისა და ეშვის კანონში", რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ უფრო დიდი ვეფხვები ანადგურებდნენ პატარა ვეფხვებს უფრო მეტი ხმაურითა და ღრიალით. საზოგადოებასთან მიმართებით შემუშავებულ მსგავს თეორიას შეეძლო და შექმნა კიდეც კოლონიალიზმის, იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის მონოპოლიის და ექსპლოატაციის სხვა ფორმების ფილოსოფიური გამართლება ("ეს ხომ ბუნების კანონია!").

როგორც ვნახავთ, კროსკულტურული კვლევები ადასტურებს ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ომი და დაპყრობა გარკვეული სახელმწიფოების შექმნაში მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. თუმცა, იმ თეორიის მიმართ, რომლის მიხედვითაც ომი არის პირველადი მიზეზი, ორი ძირითადი შეწინააღმდეგება არსებობს: 1) საზოგადოებას შეუძლია მობილიზება გაუწიოს ძალებს მოსახლეობის რაოდენობისა და ორგანიზების ხელმისაწვდომ დონეებზე და ამგვარად, საომარი მოქმედება ალბათ უმჯობესია განვიხილოთ როგორც ფუნქცია და არა როგორც მოცემული დონის სოციალური ინტეგრაციის მიზეზი; 2) საომარი მოქმედება ტომებსა და საბელადოებს შორის, უფრო სავარაუდოა, რომ ხელს უშლიდეს სახელმწიფოს წარმოშობას, ვიდრე იწვევდეს მას,

რადგანაც ჯგუფები უბრალოდ დაიშლებიან, როდესაც მათ უფრო ძლიერი ძალისგან (ვიდრე თავად არიან) დაემუქრებათ საფრთხე (Price 1979; Service 1971).

ეს ბოლო პუნქტი აშკარად ძალიან მნიშვნელოვანია რობერტ კარნიეროს (1967, 1970, 1978) მიერ შემუშავებულ ბუნებრივი გარემოს თეორიაშიც. საომარი მდგომარეობა ყველგან ხდება და, როგორც წესი, მას შედეგად ადამიანების გაერთიანებაზე მეტად მათი გაფანტვა მოსდევს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტებმა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოიტანოს შედეგად ცენტრალიზაცია. ორივე, ძველ და ახალ სამყაროში, პირველი სახელმწიფოების წარმოშობის ფაქტების გაანალიზების შემდეგ, კარნიეროს მოსაზრებით საერთო განმსაზღვრელი არის ის, რომ ყველა მათგანი შემოსაზღვრული სასოფლო - სამეურნეო მიწებია. აქ იგულისხმება, რომ მათ გარს არტყიათ მთები, ზღვა ან უდაბნო. როდესაც არ არსებობს მსგავსი გარშემოსაზღვრულობა, მოსახლეობის მიერ ბუნებრივ გარემოზე წნეხი შესაძლოა სხვა ტერიტორიებზე გავრცელდეს და ომში დამარცხებულები უბრალოდ გადასახლდნენ ახალ სივრცეში. ეს შეუძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ტერიტორია გარშემორტყმულია არაპროდუქტიული, მოუსავლინი მიწებით. მოსახლეობის წნეხი ამ შემთხვევაში უნდა გადაიჭრას უნიფიცირებით და პროდუქტიულობის უნარის ამაღლებით (ორივე მათგანი სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი). ომში დამარცხებულები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება თავს გაქცევით უშველონ, უნდა დაემორჩილონ დამპყრობელს. ამაზონის ინდიელები ხშირად ომობდნენ სხვადასხვა მიზეზით – ქალების წასართმევად, პიროვნული პრესტიჟის მოსაპოვებლად თუ სხვა; მაგრამ, იმის გამო, რომ ტყეში ყოველთვის მოინახებოდა სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი სოფლის გაშენება, მათი ბრძოლები არასდროს გადაზრდილა იმგვარი ტიპის ფართომასშტაბიან დაპყრობებში, რომელიც ცენტრალიზებული ძალის მიერ იქნებოდა წარმართული. თუმცა, პერუს სანაპიროზე მდებარე დაბლობები, რომლებიც გარშემორტყმული იყო ზღვით, არ იძლეოდა ამის საშუალებას. ნეოლითური ხანის მცირე ზომის გაფანტული სოფლები რომ გაიზარდა და გაფართოვდა, დაბლობის ვიწრო ზოლზეც სულ უფრო და უფრო გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მაგალითად ტერასირების გზით, მხოლოდ დროებით თუ გადაჭრიდა პრობლემას. საომარმა მოქმედებებმა მიწისთვის ბრძოლის სახე მიიღო, რომლის დროსაც ერთი ჯგუფი მეორის დაჩაგვრის ხარჯზე ცდილობდა საკუთარი პროდუქტიულობის გაზრდას. თუმცა, ამ კონფლიქტების დროს სუსტებისთვის არ არსებობდა ადგილი, სადაც ისინი თავს შეაფარებდნენ და შეძლებდნენ მინიმალურად მაინც თავის გატანას. ამგვარად, მთელი რიგი საბელადოები გაერთიანდნენ ერთი იერარქიული ტიპის სამხედრო მმართველობის ქვეშ.

შეზღუდვა არ არის აუცილებელი მკაცრად ფიზიკური სახის იყოს. ის შესაძლებელია ასევე სოციალური სახისაც არსებობდეს. ვენესუელას ჯუნგლებში მცხოვრები იანომამოს ტომები ბუნებრივი პირობების მიხედვით არ არიან შემოსაზღვრულნი, მაგრამ სოფლის გახლეჩვა და ხელშეუხებელ ტერიტორიებზე დასახლება უფრო ადვილია ტომის პერიფერიაში მაცხოვრებელთათვის, ვიდრე მათთვის, ვინც ჯგუფის ცენტრში ცხოვრობს. კარნიეროს თეორიის მიხედვით, უნდა ველოდოთ, რომ მეომარი სოფლებით შემოსაზღვრული ცენტრალური სოფლები უფრო დიდები უნდა იყოს და უფრო ძლიერი მეთაურიც ჰყავდეთ, ვიდრე პერიფერიაში არსებულ სოფლებს. ეს მართლაც ასეა. მიუხედავად იმისა, რომ იანომამოს ტომები შორს დგანან კულტურული ინტეგრაციის იმ დონისგან, რაც შედეგად სახელმწიფოს შექმნაში აისახება, სოციალურად შემოსაზღვრული სოფლები ცენტრალიზაციის უფრო მეტ ტენდენციებს ამჟღავნებენ. კარნიერო ამ პროცესს ბიოლოგიის ევოლუციური თეორიიდან წამოსული შეჯიბრიდან გამოვარდნის პრინციპით ხსნის. ამ პრინციპის მიხედვით ორი სახეობა, რომელიც ცხოვრობს და ექსპლუატირებას უწევს მაცხოვრებელთა ერთი და იმავე რაოდენობას, ვერ თანაიარსებებს შეუზღუდავად - ერთი, საბოლოო ჯამში, შთანთქავს მეორეს. მიუსადაგა რა ეს იდეა საზოგადოებებს, კარნიერომ აღმოაჩინა, რომ ისტორიის მანძილზე საბელადოები ერთიანდებოდნენ სახელმწიფოებად, ხოლო სახელმწიფოები კი ომობდნენ, რათა შეექმნათ უფრო დიდი სახელმწიფოები და ამას ჰქონდა შეჯიბრისა და სულ უფრო და უფრო დიდი ერთობებისკენ სწრაფვის ხასიათი. ძვ. წ. აღ. 1 000 წლიდან მოყოლებული, ავტონომიური პოლიტიკური სივრცეების სულ უფრო და უფრო შემცირების ფაქტზე დაყრდნობით, კარნიერომ ივარაუდა, რომ დაახლოებით 2 300 წლისთვის მთელი სამყარო პოლიტიკურად გაერთიანებული იქნებოდა (თუმცა, საბჭოთა იმპერიის დაშლა და მსოფლიო თანამეგობრობის მცდელობა - აღკვეთოს სახელმწიფოთა შორის ომები, გარკვეულწილად, თითქოს საეჭვოს ხდის უფრო დიდი გაერთიანებებისკენ სწრაფვის და განხორციელების პერსპექტივას).

მოსახლეობა და ირიგაცია

დაწყებული დაახლოებით ქრისტეს შობამდე 23 000 წლის წინანდელი პერიოდიდან, მოყოლებული ქრისტეს შობიდან 2 000 წლამდე, სამყაროს მოსახლეობა 3,5 მილიონიდან 6 მილიარდამდე გაიზარდა, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვემ კი, ერთ კვადრატულ მილზე 0.1-დან 124-მდე მოიმატა (Campbell 1979, 462-63). მოსახლეობის ამგვარ ზრდასა და სახელმწიფოების წარმოშობას შორის არსებული კორელაცია თითქმის ყველა ევოლუციური განვითარების მომხრე

კულტურულმა ანთროპოლოგმა აღიარა. რობერტ კარნიერომ (1967) 46 საზოგადოების მაგალითზე შეისწავლა მოსახლეობის სიმჭიდროვესა და სოციალურ კომპლექსურობას შორის დამოკიდებულება და ამ ორ ცვლადს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი აღმოაჩინა. მართალია, სიმჭიდროვის არითმეტიკულად გამოთვლის კუთხით (ე. ი. ერთ კვადრატულ მილზე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მთელი ტერიტორიის ფარგლებში) თუნდაც რაღაც დონეზე, ურთიერთკავშირი ნაპოვნია, მაგრამ ბევრად უფრო ძლიერი ურთიერთკავშირი შეიმჩნევა, როდესაც მხოლოდ ეკონომიკური სიმჭიდროვე განიხილება. ეკონომიკური სიმჭიდროვე - ესაა მოსახლეობასა და წარმოების საშუალებებს შორის ურთიერთკავშირი. მაგალითად, ეგვიპტეში მოსახლეობის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ნილოსის ერთი ნაპირის მოსავლიანი მიწის ვიწრო ზოლში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ეკონომისტის, თომას მალთუსის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდას “აკონტროლებს” ავადმყოფობები, ხანძრები, ასევე ომები; მაგრამ მხოლოდ ეს პრინციპი რომ მოქმედებდეს, მაშინ მოსახლეობის ზრდის ტემპი ბევრად უფრო დაბალ დონეზე უნდა იყოს დასტაბილიზირებული, ვიდრე ეს დღესაა. საკვების მარაგზე მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის ზეწოლის სავარაუდო პასუხი მალთუსისეული ხედვის საპირისპიროა. საკვების ნამატი, თავისთავად, შესაძლოა გაიზარდოს წარმოების გარკვეული კუთხით ინტენსიფიცირების პირობებში, რაც ხშირად ახალი ტექნოლოგიების განვითარების ან უკვე არსებულის დახვეწის შედეგია. ირიგაციამ, ტერასირებამ, განაყოფიერებამ, ცხოველთა შრომის გამოყენებამ, მარცვლეულის უფრო მეტი ჯიშის კულტივირებამ და მანამდე გამოუყენებელი მიწების ათვისებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს მოცემული ტერიტორიის შესაძლებლობები. შედეგად, მიღებული მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა სოციალური და პოლიტიკური ორგანიზების უფრო რთულ ფორმებს მოითხოვს. მოსახლეობის რაოდენობასა და სოციალურ ევოლუციას შორის არსებული ეს ურთიერთკავშირი ყველაზე ინტესიურად შეისწავლა ესტერ ბოსერუფმა (1965). მოცემული თეორიის გარკვეული ვარიაციის შედეგად მაიკლ ჰარნერი (1970) ამტკიცებს, რომ მოსახლეობის ზეწოლა არა მხოლოდ საკვების წარმოების ინტენსიფიცირების გამომწვევი პირდაპირი მიზეზია, არამედ ის, ასევე, რესურსებზე არათანაბარ ხელმისაწვდომობას და შედეგად სოციალური სტრატიფიცირების ზრდასაც იწვევს.

ირიგაციის როლი სახელმწიფოს შექმნაში პირველად მარქსმა და ენგელსმა შეისწავლეს, რომლებმაც შენიშნეს, რომ მცირე ზომის სასოფლო ტიპის თემებსა და სახელმწიფოებრივ საზოგადოებებს ერთმანეთისგან ძირითადად განასხვავებდა ის, რომ ამ უკანასკნელის არსებობისთვის აუცილებელი იყო ექსტენსიური საირიგაციო სისტემა. უფრო თანამედროვე

პერიოდში ჯულიან სტიუარტმა (1955) ხაზი გაუსვა ირიგაციას, როგორც სახელმწიფოს განვითარების ფუნდამენტურ მექანიზმს. წყლის კონტროლი სასოფლო მეურნეობის მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაციის საშუალებას იძლევა, რასაც შედეგად მჭიდრო დასახლებების გაჩენა და ახალი მასიური ჰიდრავლიკური სისტემების კონსტრუირება მოჰყვება. ყოველივე ეს კი სოციალური ორგანიზების, ძალაუფლების და შრომის კოორდინირების ახალ დონეებს საჭიროებს.

კარლ ვიტფოგელმა (1956) ისეთი დეტალურობით შეიმუშავა ჰიდრავლიკური თეორია, რომ მისი სახელი დღესღეობით ამ თეორიასთანაა ასოცირებული. პირველი სახელმწიფოების განვითარების არეალში მცხოვრები ნეოლითური ხანის მიწათმოქმედები, მაგალითად, ეგვიპტესა თუ პერუში მდინარის სანაპირო დაბლობზე მცხოვრებნიი, დამოკიდებელნი იყვნენ წყალდიდობით გამოწვეულ ირიგაციაზე. მათი მინდვრები ირწყვებოდა წელიწადში ერთხელ და ნიადაგი ყოველწლიური წყალდიდობებით იყო უზრუნველყოფილი. თუმცა, წყალდიდობებზე დამოკიდებული ირიგაცია საკმაოდ ცვალებადი რამაა და თვით საუკეთესო შემთხვევაშიც კი, ამ სისტემით წელიწადში მხოლოდ ერთი მოსავალის მიღება იყო შესაძლებელი. ნელ-ნელა მიწათმოქმედებმა დაიწყეს წყალდიდობების კონტროლირება დამბებისა და რეზერვუარების შექმნის გზით. აქ ხდებოდა წყლის მარაგის დაგროვება, რომლის განაწილებაც შემდგომში საჭიროების მიხედვით არხების მთელი ქსელის მეშვეობით ხორციელდებოდა. ადრეული საირიგაციო სისტემები მცირე ზომის და პრიმიტიული იყო და მხოლოდ ახლომდებარე ფერმების მაცხოვრებელთა ძალებით კეთდებოდა. მაგრამ, რამდენადაც იზრდებოდა მიწის პროდუქტიულობა და ადამიანთა რაოდენობაც მატულობდა, საირიგაციო სამუშაოებიც უფრო დიდი მოცულობის და უფრო კომპლექსური ხდებოდა. გაჩნდა სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც ახდენდნენ ამ სისტემების კონსტრუირების დაგეგმარებას და კოორდინირებას უწევდნენ მის შესრულებას; ხოლო მოგვიანებით კი, წყლის შემოდინებას აკონტროლებდნენ. ეს ჯგუფი, რომლის ხელშიც მხატვრულად რომ ვთქვათ, მთელი საზოგადოების სიცოცხლე იყო, გადაიქცა ადმინისტრაციულ ელიტად, რომელიც მართავდა დესპოტურ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს.

ეს მოდელი გასაოცრად კარგად მუშაობდა. ირიგაცია, როგორც ჩანს, ყველა ადრეულ სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობის იყო. მექსიკაში, იუკატანის ნახევარკუნძულზე, დაბლობზე მცხოვრები მაიას ხალხები გამონაკლისად მიიჩნეოდა მანამ, სანამ თანამედროვე ხანაში საჰაერო ფოტოებით არ აღმოჩნდა, რომ ამ ცივილიზაციასაც ჰქონდა და იყენებდა საირიგაციო სისტემას. მიუხედავად ამისა, მიზეზ – შედეგობრივი კავშირების დადგენისას მეტისმეტად ზედმიწევნით და მკაცრად ჰიდრავლიკური თეორიის გამოყენება არ შეიძლება: ზოგიერთ მხარეში რთული

საირიგაციო სისტემების შექმნა ბევრად წინ უსწრებდა სახელმწიფოს განვითარებას, მაშინ როცა სხვა რეგიონებში (მაგალითად შუამდინარეთში) ფართომასშტაბიანი წყლის კონტროლირების სისტემა სრულად მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იქმნება. უფრო მეტიც, ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ასევე სხვა ტერიტორიებზეც, მსხვილი ჰიდრავლიკური სისტემები საუკუნეების მანძილზე არსებობდა ყოველგვარი პოლიტიკური ცენტრალიზაციის გარეშე. და ბოლოს, ეს თეორია ძალიან უმნიშვნელო მიმართებაშია მეორად სახელმწიფოებთან, რომელთა დიდ ნაწილს ძალიან რუდიმენტული საირიგაციო სისტემები ჰქონდათ.

ეს შეწინააღმდეგებები შესაძლოა არ იყოს არსებითი. როგორც მარვინ ჰარისმა შენიშნა (1977), ვიტფოგელის თეორია რეალურად, არა სახელმწიფოს წარმოშობის, არამედ გარკვეული ტიპის მენეჯერული სისტემების წარმოქმნის შესახებ თეორიაა. ის, რომ აღიარო დესპოტური ძალაუფლების ცენტრალიზაცია წყლის მარაგის მენეჯმენტის ირგვლივ, სულაც არ გულისხმობს, რომ უარყო მოსახლეობის სიმჭიდროვის, ვაჭრობის, საბრძოლო მოქმედებების, გარემო პირობების და სხვა ფაქტორების მნიშვნელობა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს საზოგადოების სულ უფრო მზარდ ინტეგრაციაში.

ჰარისმა თავის ნაშრომში “კანიბალები და მეფეები” *(Cannibals and Kings, 1977*) მოსახლეობის ზეწოლა, ჰიდრავლიკა და გარემო პირობები კომპლექსურ ხედვაში გააერთიანა, სადაც სოციალური ორგანიზება და იდეოლოგია განიხილება, როგორც ფიზიკურ გარემო პირობებთან საზოგადოების ტექნოლოგიური ადაპტირების შედეგი. ჰარისი მსჯელობას იწყებს მოსახლეობის ზრდით გამოწვეული წნეხის შესახებ არსებული თეორიების ძირითადი კრიტიკით. კერძოდ, ჰარისის აზრით, როგორც წესი, მოსახლეობა კონკრეტული მიწის მოსავლიანობასთან შედარებით, სტაბილურად მცირერიცხოვანი იყო. მართლაც, ყველა საზოგადოება ფლობდა გარკვეულ კულტურულ საშუალებებს, რათა შეენარჩუნებინათ მოსახლეობის რაოდენობაზე მალთუსისეული კონტროლი. მონადირეობა - შემგროვებლობაზე დამყარებული საზოგადოებები ათასწლეულების მანძილზე ინარჩუნებდნენ მოსახლეობის შედარებით თანასწორობას. დღესაც კი, არსებული მცირე რაოდენობის მსგავსი საზოგადოებები დამოკიდებული არიან მოსახლეობისა და საკვების ნამატის ბალანსირებაზე. ყველა წინარეინდუსტრიულ საზოგადოებაში სხვადასხვა საშუალება არსებობდა, რითაც მოსახლეობისა და საკვების ბალანსირების შენარჩუნება ხდებოდა. მაგალითად, მდედრობითი სქესის ახალშობილების მოკვდინება, მშობიარობის შემდეგ ქალთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებაზე ორი ან მეტწლიანი ტაბუ, გახანგრძლივებული ძიძობა (რომელიც უარყოფდა ოვულაციას). მოსახლეობის უკონტროლო ზრდა მხოლოდ თანამედროვე

პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. თუკი თითქმის ყველა წინარემოდერნისტულ საზოგადოებაში მოსახლეობის წონასწორობა ნორმა იყო, მაშინ რატომღა ხდებოდა მოსახლეობის იმ ზღვარამდე გაზრდა, რომ წარმოიშობოდა სოციალური ორგანიზების უფრო რთული ფორმების წარმოქმნის აუცილებლობა?

ამ კითხვაზე ჰარისისეული ახსნა შემდეგია: პლეისტოცენის ხანის მანძილზე, რომელიც დასრულდა დაახლოებით 10000 - 15000 წლის წინ, მონადირეობაზე დამყარებული რაზმების პირობებში მრავლად იყო მსხვილი ნადირი და, შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობაც სტაბილიზირდებოდა იმ დონეზე, რისი გამოკვებაც ამ რესურსებით იყო შესაძლებელი. პლეისტოცენის ერის დასასრულისთვის, ჯერაც ბოლომდე გაურკვეველი მიზეზების გამო, ასობით სახეობის მსხვილი ნადირი გადაშენდა. შედეგად კი, ადამიანები, რომლებიც ამ მსხვილ ნადირებზე იყვნენ დამოკიდებულნი, იძულებული გახდნენ საკვების სხვა, ალტერნატიულ საშუალებებზე ეფიქრათ. ველური მცენარეების კულტივირების საშუალება ყოველთვის არსებობდა, თუმცა ამ მეთოდს უგულვებელყოფდნენ ღირებულება-სარგებლის პრინციპიდან გამომდინარე: მოსახლეობის სიმჭიდროვის არ არსებობის პირობებში, მონადირეობა და საკვების მოპოვება უფრო მიზანშეწონილი იყო და ნაკლები ენერგიის დახარჯვასაც მოითხოვდა. ახლა კი მცენარეების "მოშინაურება" ზრდიდა მიწის ნაყოფიერებას და, შესაბამისად, მოსახლეობის ზრდის საშუალებასაც იძლეოდა. მოსახლეობის რიცხოვნება საბოლოოდ დასტაბილიზირდა, თუმცა, დროთა განმავლობაში - შესაძლოა ასეული წლების შემდეგ - თავი იჩინა პროდუქტიულობის გარდაუვალმა კლებამ, რაც სასოფლო მიწების გამოფიტვის შედეგად მოხდა. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმჭიდროვე გამოიწვია არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობრივმა ზრდამ, არამედ მიწის პროდუქტიულობის ბუნებრივმა კლებამაც.

ტრაიბალურ საზოგადოებებში მოსახლეობა ხშირად კონტროლირდება "მამაკაცთა უმაღლესი ერთიანობით", რომელიც მუდმივი ომების ფონზე განვითარდა. მამაკაცთა სიძლიერეზე მოთხოვნის შედეგად შემცირდა ქალის როლი. მდედრობითი სქესის ახალშობილ გოგონათა მოკვდინება - მოსახლეობის კონტროლის უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება - უკვე აშკარა ნორმად იქცა. ზოგიერთ საზოგადოებაში ინსტიტუციონალიზირებულ იქნა წესი, რომ პირველშობილი შვილი, თუ ის მდედრობითი სქესის იქნებოდა, უნდა მოეკლათ. მიწათმოქმედებს სხვა ვარიანტიც აქვთ: მოსახლეობის შემცირების ნაცვლად მათ შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი სამუშაოს დატვირთვა ან პროდუქციის გაზრდის მიზნით გააუმჯობესონ ტექნოლოგიები. ამას შედეგად მოაქვს სასოფლო ნაწარმის ზრდა. გაზრდილი ნაწარმი გროვდება და

რედისტრიბუირდება “ბიგ მენების” მიერ, რომლებიც ამ ფუნქციას თავიანთი სტატუსის და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იყენებენ. ამ კუთხით, ჰარისმა ორივე - კარნიეროს თეორია გარემო პირობების თაობაზე და ვიტფოგელის ჰიდრავლიკური თეორია - მოიშველია, რათა უკეთ ეჩვენებინა ის გარემოებები, რომლის დროსაც ცენტრალიზაცია გრძელდება მანამ, სანამ საბოლოო ჯამში, სახელმწიფო არ შეიქმნება.

ჰარისის აზრით, მთელი ამ პროცესის უმთავრესი ბიძგის მიმცემი არის მოსახლეობა. მაგრამ ბოსერუპის თეორიის საპირისპიროდ, იგი ხაზს უსვამს მოსახლეობის შედარებით სტაბილურობას, მორგებულს საკვების მარაგის შემცირებასთან. ამ თეორიის უმთავრესი ელემენტია ის, რომ პროდუქტიულობის ნებისმიერი ფორმა, საბოლოო ჯამში, აუცილებლად მოიტანს შედეგად პირველადი რესურსების გამოფიტვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებები, ადრე თუ გვიან, გარდაუვლად შეეჯახებიან იმ რეალობას, რომ ან კოლაფსი უნდა განიცადონ, ან ინტენსიფიცირების ახალ დონეებზე გადავიდნენ. იმდენად, რამდენადაც ცხოველებისა და მცენარეების მოშინაურება იქცა არსებობის ბაზისად, ვეღარ იარსებებდა გრძელვადიანი სტაბილიზაცია.

ჰარისის არგუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მომხიბლავად გამოიყურება, მაინც საკამათოა. სახელმწიფოს განვითარება პლეისტოცენის ხანის დასრულებიდან იმდენად დიდი ხნის - ათასეული წლების შემდეგ მოხდა, რომ მათ შორის კავშირის მონახვა სულ მცირე, საეჭვო მაინცაა. მოსახლეობის მიერ რესურსებზე ზეწოლა არ შეიძლება ყველა იმ სივრცეში, რომელიც პოლიტიკურად ცენტრალიზებული გახდა, დაკავშირებულ იქნეს პროდუქტიულობის შემცირებასთან. ასევე, ბოსერუფი ალბათ უფრო სწორი იყო, როდესაც აქცენტს აკეთებდა არა რესურსების სიმწირეზე, არამედ მოსახლეობის ზრდაზე. კვებაში სულ მცირე ცვლილებასაც კი რადიკალურად შეუძლია მოსახლეობის რაოდენობის შეცვლა. საკვებით მომარაგება საკმაოდ ელასტიური ცნებაა და ადვილად შეიძლება მასზე ზეგავლენის მოხდენა საკვებად გამოსადეგი რესურსების ხელახლა განსაზღვრით ან ტექნოლოგიებში სულ მცირე ცვლილებითაც კი. როგორც ჰარისმა და სხვა მეცნიერებმა მართებულად შენიშნეს, მოსახლეობის ზრდა მართლაც საჭიროებს ახსნას, მაგრამ არა ზედმეტ ახსნას.

ლიდერობის ინსტიტუციონალიზაცია

ელმან სერვისმა თავის ნაშრომში “სახელმწიფოსა და ცივილიზაციის წარმოშობა” *(Origins of the State and Civilization, 1975)* ინტეგრაციული თეორია შემოგვთავაზა. ექვსი არქაული ტიპის

პირველი სახელმწიფოს და ასევე რიგი თანამედროვე ტიპის პრიმიტიული სახელმწიფოების წარმოშობის ინტენსიური შესწავლის შემდეგ, მან უარყო კონფლიქტის ყველა თეორია. ომი და დაპყრობები, როგორც ის შენიშნავს, იმდენად უნივერსალური და საყოველთაო მოვლენაა კაცობრიობის გამოცდილებაში, რომ მათი განხილვა გარკვეული ფორმის სოციალური ორგანიზების წარმოშობის მიზეზად არ შეიძლება. "პერმანენტული დამორჩილების მაგალითები, რომელიც ჩვენ გვხვდება ომის შედეგად, არის მხოლოდ იქ, სადაც მთავრობა უკვე არსებობს" – აღნიშნავს სერვისი (Service 1975, 271). ირიგაციაზე ან ინტენსიფიკაციის სხვა ფორმებზე დაფუძნებული არგუმენტები ძალიან ბევრ გამონაკლისს უშვებს. ანტიკურ პერუში, მაგალითად, სასოფლო სამეურნეო ინტენსიფიკაცია არხების ირიგაციის მეშვეობით ჯერ კიდევ პირველი ჭეშმარიტად ურბანიზებული სახელმწიფოების წარმოშობამდე 1 500 წლით ადრე იქნა მიღწეული. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის ზეწოლა წარმოშობს კონფლიქტებს, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ ცენტრალიზებულ მთავრობებს თუ შეუძლიათ, ნაწილობრივ უარყოფილია იმ ნიადაგზე, რომ მსგავსმა ზეწოლამ სრულიად შესაძლებელია ურთიერთგაზიარების ზრდა მოიტანოს.

ეს ნეგატიური დასკვნები მონაცემების სპეციფიური წაკითხვიდან გამომდინარეობს. ისინი ნაკლებად დამაჯერებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ამ უარყოფილი თეორიის თავგადადებული მომხრისთვის. მართლაც, შეიძლება კონფლიქტის თეორიაა ის თეორია, რომელიც გამოკვეთილად უარყოფილია, რეალურად კი, არაპირდაპირი გზით კულტურული მატერიალიზმია უარყოფილი. სერვისის დამსახურებაა ის, რომ ეკოლოგიური დეტერმინანტებიდან მსჯელობა გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიაზე გადაიტანა.

სერვისმა ადამიანთა საზოგადოებისთვის მახასიათებელი ძირითადი უთანასწორობიდან ფორმალიზირებულ და ცენტრალიზებულ უთანასწრობამდე განვითარების ლოგიკური ჯაჭვი გაავლო. ყველა საზოგადოებაში, თვით ყველაზე მეტად ეგალიტარულ ტომებსა და რაზმებშიც კი, მაინც არსებობდნენ ნიჭის, გონიერების, სიძლიერის თუ სილამაზის გამო გამორჩეული ადამიანები. სრულიად ბუნებრივია მსგავსი ადამიანებისთვის გარკვეული სტატუსის მინიჭება. თუმცა, შედეგად მიღებული უთანასწორობა მაინც ინდივიდუალურ დონეზე არსებულ უთანასწორობად რჩებოდა და არ ატარებდა კლასობრივ ხასიათს, არ იძლეოდა პრივილეგიას ან სიმდიდრეს. გარკვეული გარემოებები ხელს უწყობდა ძალისხმევის ცენტრალიზებას - მაგალითად, ლოკალური ეკოლოგიური მრავალფეროვნების სპეციფიკა ბიძგს აძლევდა კონკრეტული წარმოების სპეციალიზებას და სიმბიოზურ ვაჭრობას, ან საზოგადოებრივ პროექტებზე ერთობლივი მუშაობისას საჭირო ხდებოდა შრომის დანაწილება. ამგვარი გარემოებები ასევე ხელს უწყობდა

ცენტრალიზებულ რედისტრიბუციას, რომელიც, ბუნებრივია, საზოგადოების ცალკეული წევრების ხელში გადავიდოდა (ისეთების, როგორიცაა მაგალითად, მელანეზიელი ბიგ მენი, რომელიც, როგორც წესი, ომებში მეთაურის ფუნქციას ასრულებდა). იმის გამო, რომ მსგავსი ცენტრალიზაცია აშკარა სარგებელს იძლეოდა, წარმოიქმნებოდა ე.წ. თოვლის გუნდის პრინციპი, რომლის შედეგად ადმინისტრაციის მზარდი კონცენტრირება ხდებოდა. ლიდერობის ეს გაძლიერება, თუნდაც ეკონომიკური ტიპის, მაინც არ არის დაფუძნებული მფლობელობაზე, როგორც ამას ენგელსი მიიჩნევდა. უფრო მეტად, ეს არის "დამოკიდებულების ფორმის შედეგი, რომელსაც პრიმიტიული საზოგადოება ხელგაშლილობის და უპირატესობების მინიჭების გზით ღებულობს" (Service, 1975, 293).

ამგვარი ლიდერობა არაა სტაბილური ხასიათის, რადგანაც დამოკიდებულია ინდივიდზე, რომელიც შეიძლება გახდეს ავად, მოკვდეს ან უბრალოდ, იღბალმა მიატოვოს და არ არსებობს მისი შეცვლის არანაირი წესი. იმისთვის, რომ საზოგადოებამ შეინარჩუნოს ცენტრალიზაციის პლიუსები, დროებითი ქარიზმატული ლიდერობა უნდა გადაიზარდოს მუდმივ, პერმანენტულ იერარქიაში. ამ საფეხურის მიღწევის შემდეგ ვითარდება საბელადო – პირველი ჭეშმარიტი მაგალითი ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციისა, რაც ამავდროულად, უთანასწორობის ინსტიტუციონალიზირებასაც წარმოადგენს. რამდენადაც იზრდება მოცემული ძალაუფლება, იმდენადვე იზრდება ახლად შექმნილი მმართველი კლასის მიერ საკუთარი პრივილეგიების დაცვის საჭიროებაც. ამის ერთ-ერთი გზა, ძალის გამოყენებასთან ერთად, მმართველი ელიტის მიერ ძალაუფლების ლეგიტიმაციაა, რაც მისთვის ღვთიური წარმომავლობის და ზებუნებრივი ძალისგან ხელდასმის ელფერის მინიჭებაში გამოიხატება. ძალის გამოყენება, რეალურად, წარმოაჩენს სახელმწიფოს დროებით მარცხს იმგვარი საქმიანობის უზრუნველყოფაში, როგორიცაა დაცვა, რედისტრიბუცია და ვაჭრობის კოორდინირება. ამგვარად, "პოლიტიკური ევოლუცია, ყველაზე ფართო გაგებით, შეიძლება დავუშვათ, რომ დიდწილად "მშვიდობის წარმართვას" გულისხმობს (Service, 1975, 297).

აშკარაა, რომ ეს არ არის მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდიდან წამოსული ზეწოლის, ირიგაციის ან გარემო პირობებიდან გადახრა, არამედ ეს უფრო მეტად, თავად შემოთავაზებული თეორიების ტიპებიდან გადახრას წარმოადგენს. ლიდერის წარმატებების "მნიშვნელოვანი ეგზალტირება, რომელიც შესაძლოა მისი მიმდევრების თავებში წარმოიქმნას" (Service, 1975, 291) ნაკლებად შეეფერება რობერტ კარნეიროს ან მარვინ ჰარისის იდეებს, რომლებიც მთელი სოციალური სისტემის მოქმედებას განიხილავენ გარემო პირობების მატერიალური

დეტერმინანტების კონტექსტიდან გამომდინარე. სერვისის თეორიამ მსჯელობა ბუნებრივი გარემოდან ცნობიერებისკენ გადაიტანა – ადამიანები მიხვდნენ, რომ უნდა ეზრუნათ სარგებლის გაზრდაზე. სერვისი ასევე იყენებს კოოპერირებასა და ინტეგრაციაზე დაფუძნებულ მოდელებს, მაშინ როდესაც სხვა თეორიათა უდიდესი ნაწილი ომსა და კონფლიქტს განიხილავს იმ ფუნდამენტურ წინაპირობად, რის გამოც შემდგომში ხდება სახელმწიფოს განვითარება.

სერვისის შეხედულება ნამდვილად ინოვაციურია, თუმცა კონფლიქტი და ინტეგრაცია არ შეიძლება ცალსახად გამორჩეულ მოვლენებად მივიჩნიოთ. ყველა საზოგადოება ჩართულია როგორც კონფლიქტში, ასევე ინტეგრაციის პროცესებში - როგორც მონაცვლეობით, ასევე ერთდროულადაც. თითოეული მათგანი მრავალმხრივი ახსნის საშუალებას იძლევა. თუმცა, გამოკვეთილად მხოლოდ რომელიმე მათგანის ჭეშმარიტების მტკიცება, წააგავს იმგვარ მსჯელობას, წყლიანი ჭიქის შესახებ რომ თქვა – "ეს ჭიქა ნახევრად სავსეა", მაშინ როდესაც ანალოგიურად შეიძლება ითქვას – "ეს ჭიქა ნახევრად ცარიელია".

სისტემური თეორიები

ძალიან ცოტა ანთროპოლოგი თუ დაუჭერს დღეისათვის მხარს სახელმწიფოს წარმოშობის მხოლოდ ერთ, ექსკლუზიურ მოდელს (აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კარნიეროს, ვიტფოგელის და ბოსერუპის ეს თეორიები, რომლებიც, როგორც წესი, განიხილება ერთმიზეზიან თეორიებად, რეალურად, მხოლოდ ნაწილობრივ თუ არის ერთმიზეზიანი). ყველა თეორია გულისხმობს ისეთი ფაქტორების ურთიერთქმედებას, როგორიცაა მოსახლეობა, ბუნებრივი გარემო, ტექნოლოგიები და ირიგაცია. სინთეზური მოდელები, ისეთი, როგორიცაა მარვინ ჰარისის მოდელი, ამ ურთიერთქმედებებს უფრო აშკარას ხდის. მიუხედავად ამისა, ყველა მსგავსი მოდელი ეფუძნება იდეას იმის თაობაზე, რომ მოცემული გარკვეული წინაპირობები თუ კონკრეტული მიზეზები მეტ- ნაკლებად თანმიმდევრული სახის კონკრეტულ შედეგებს იწვევს.

იმ თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც სპეციფიურ მიზეზებს უსვამენ ხაზს, სისტემური მოდელები ძირითადად ფიზიკისა და ბიოლოგიის მეცნიერებებიდან აღებული პრინციპების ქსელზეა დაფუძნებული. ეს გულისხმობს ნეგატიურ და პოზიტიურ უკუკავშირებს, საწყის ბიძგს, სისტემის თვითშენარჩუნებას და სისტემის თვითგანვითარებას. ნეგატიური უკუკავშირი - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც სტაბილურ სისტემას მინიმუმამდე დაჰყავს წონასწორობიდან ნებისმიერი გადახრა. მაგალითად, შემგროვებლობა-მონადირეობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, თუ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გადააჭარბებს საკვების

რაოდენობას, შობადობის დონის ზრდა დაბალანსირდება ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდით. პოზიტიური უკუკავშირი ამის საპირისპიროა: მცირე გადახრამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ცვლილებების პროცესს. თუ მოსახლეობის გაზრდის საპასუხოდ მოხდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიცირება, შედეგად მივიღებთ მოსახლეობის კიდევ უფრო ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, უფრო გაზრდის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონეს და ასე შემდეგ მანამ, სანამ ეს ყოველივე რაღაც ზღვარს არ მიაღწევს. ის საწყისი ბიძგი, რაც ნეგატიური უკუკავშირის სისტემას პოზიტიური უკუკავშირის სისტემად გარდაქმნის, შესაძლოა, ძალიან მინიმალური, მცირე იყოს. კენტ ფლანერი ვარაუდობს (1968), რომ მექსიკაში მდებარე ჰუაკანის დაბლობზე ცივილიზაციის პროცესს ბიძგი მისცა იმ ფაქტმა, რომ მომთაბარე ტომებმა, რომლებიც საკვების მოსაპოვებლად მუდმივად ახალ-ახალი ადგილის ძიებაში იყვნენ, საკვებად ვარგისი მცირე რაოდენობის ველური მცენარეების მოვლა და მოყვანა დაიწყეს. თაობების შემდეგ ადამიანთა ჩარევამ გამოიწვია გენეტიკური ცვლილებები, რის შედეგადაც გაიზარდა ამ ნახევრად კულტივირებული მცენარეებისგან მიღებული საკვებისადმი დამოკიდებულება. ამან კი ადამიანები ცხოვრების უფრო მობინადრე წესამდე მიიყვანა და მოსახლეობის ზრდაც გამოიწვია. შედეგად, ადამიანი კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა კულტივირებულ მცენარეებზე. მოვლენათა ამ ჯაჭვმა აშკარაა, რომ მოგვცა მოსავალზე დაფუძნებული სასოფლო მეურნეობის ტიპის დასახლებები. სტაბილური საზოგადოებები თვითშენარჩუნებადი არიან, რამდენადაც ისინი მუდმივად ცდილობენ ფიზიკურ და სოციალურ გარემოებებზე უკეთ მორგების მიზნით თუნდაც სულ მცირე ცვლილებების გატარებას. როდესაც პოზიტიური უკუკავშირის პროცესები დაიწყება, საზოგადოება თვითგანვითარებადიც ხდება. ამას მოჰყვება მოსახლეობის ზრდა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიცირება, ურბანიზაცია და პოლიტიკური ცენტრალიზაცია, რაც მუდმივ ცირკულირებად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თითქმის სრულად ცვლის, უარყოფს ნიუტონის პრინციპს იმის თაობაზე, რომ ყოველ მოქმედებას უნდა ჰქონდეს მსგავსი და საპირისპირო რეაქცია. პოზიტიური უკუკავშირის იდეის აღიარების შემთხვევაში, უმცირესმა საწყისმა ბიძგმაც კი შესაძლოა შორეულ პერსპექტივაში მასობრივ ცვლილებებამდე მიგვიყვანოს. ამ შემთხვევაში აღარაა საჭირო სახელმწიფოს წარმოშობა თანაბრად მნიშვნელოვანი მიზეზების განვითარების შედეგად აიხსნას.

პოლიტიკური ევოლუციის ბევრი სხვა სისტემური თეორია იქნა განვითარებული. ზოგიერთი მათგანი ფოკუსირდება ბუნებრივ გარემოსა და ტექნოლოგიაზე, მაშინ როცა ზოგიერთი თეორია დამყარებულია გადაწყვეტილების მიღების საშუალებებზე. თუმცა, ყველასთვის საერთოა

ხედვა იმის თაობაზე, რომ საზოგადოება ადაპტირდება გარემო პირობებთან. ამგვარად, ახსნის მიზანი ის კი არ არის, რომ ის ერთი ან ორი ფაქტორი გამოიკვეთოს, რაც ყველა შემთხვევაში იწვევს ცვლილებებს, არამედ მოხდეს იმ პროცესების სპეციფიცირება, რომლის მეშვეობითაც გარკვეული წნეხების საპასუხოდ, სოციალური სისტემები ცვლიან საკუთარ შიდა სტრუქტურებს. როგორც რონალდ კოენმა (1978ბ, 2142) ამის შესახებ აღნიშნა: "სახელმწიფოს ფორმირება წააგავს საკვამური მილის მსგავს ურთიერთქმედებების ჯაჭვს: წინარესახელმწიფოებრივი სისტემები, რომლებიც პასუხობენ ცვლილებების სხვადასხვა დეტერმინანტს და არ შეუძლიათ არსებული პრობლემების სხვაგვარად გადაჭრა, იძულებულნი არიან მიაღწიონ პოლიტიკური იერარქიის უფრო რთულ და დამატებით დონეებს". ძალასა და სარგებლიანობაზე დამყარებულ თეორიებს, მატერიალისტურ და კოგნიტურ პარადიგმებს და კონფლიქტისა და ინტეგრაციის მოდელებს შორის დაპირისპირება ბუნდოვანდება, რადგან სისტემურ მოდელებში ეს სხვადასხვა ხედვა თანაბრადაა ასახული.

ერთ - ერთი ასეთი მიდგომა ჩამოაყალიბეს კლიფორდ ჯოლიმ და ფრედ პლოგმა (1979). მათ მიერ შესწავლილი მექსიკის დაბლობის სპეციფიურ მაგალითში მოსახლეობის ზრდა საწყისი სტიმული იყო. თუმცა, თეორიულად, ნებისმიერი სხვა სტიმული, რომელიც გამოკვეთილად იმოქმედებდა წონასწორობის სისტემაზე, ასევე საკმარისი იქნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოსაწვევად. ამგვარი სტრესის მომცემი რამდენიმე ვარიანტი იყო შესაძლებელი: მოსახლეობის შემცირება ჩვილთა მოკვდინების ან რაიმე სხვა კულტურული საშუალებებით, უფრო ფართო დასახლებების შექმნით, ახალ სივრცეებში მიგრაციით ან სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდით. ამ ალტერნატივებიდან მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი შეიძლება გახდეს სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი. არსებობს რამდენიმე გარემოება, როდესაც შეიძლება აირჩიონ ინტენსიფიცირების ვარიანტი: სასოფლო დანიშნულების მიწა შეიძლება ისე იყოს შემოსაზღვრული, რომ არ არსებობდეს გაფართოების ადგილი. ფერმერები შეიძლება სრულიად გაუაზრებლად ჩაერთონ ინტენსიფიკაციაში, თუნდაც ისეთი შეუმჩნეველი ახალი ტექნოლოგიების შემუშავებით, როგორიცაა მაგალითად, მცირე საირიგაციო არხები; ან შეიძლება დამპყრობელისთვის ხარკის გადახდის გამო, ადამიანები იძულებულნი გახდნენ გაზარდონ წარმოება. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ვარიანტი არჩეულია, იგი უკუშედეგთა მთელ სერიას მოიტანს: ცენტრალური ბირთვის წარმოქმნას, სტრატიფიცირებას, დიფერენციაციას და ცენტრალიზაციას. ფართომასშტაბიანი ერთობლივი პროექტების განხორციელებისთვის აუცილებელი ხდება ნუკლეაცია (ურბანიზაციის სინონიმი). შედეგად, როდესაც ადამიანები შედარებით მცირე სივრცეში დიდი რაოდენობით კონცენტრირდებიან, ადგილობრივ რესურსებზე

გაზრდილი ზეწოლა საჭიროებს საკვები პროდუქციის მზარდ ინტენსიფიკაციას. ეკონომიკური სტრატიფიკაცია ვითარდება, როდესაც უფრო პროდუქტიული ფერმერული ტექნოლოგიების შედეგად ფართოვდება ბუნებრივ პირობებს შორის არსებული განსხვავებები. ამგვარად, ადამიანი რომელიც ფლობს თუნდაც მცირედით უკეთეს სასოფლო დანიშნულების მიწას, თავის მეზობლებთან შედარებით უფრო გამდიდრდება. ეს ძალები ასევე ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებას, რადგან მსგავსი კონცენტრაცია უფრო შედეგიანი და ეფექტურია ფართომასშტაბიანი პროექტების დაგეგმარებასა და შრომის ორგანიზებაში. ფერმერობა უფრო დიფერენცირებული ხდება, რამდენადაც მთელი მდელოები ერთიან მოსავლად იქცევა, რათა გაიზარდოს მოსავლიანობა და ირიგაცია. საკვების მოყვანაზე ზრუნვა აჩვენებს, რომ ზოგიერთს საერთოდ არ სურს ფერმერობა, ეს ხელს უწყობს ხელობების სპეციალიზაციის განვითარებას. და ბოლოს, თითოეული ამ ფაქტორთაგანი ხელს უწყობს დანარჩენების წარმოშობას. ჯოლისა და პლოგის მიერ შემუშავებული ეს მოდელი გადმოცემულია 3.3 გრაფიკულ გამოსახულებაში. ამ მოდელში გამოყენებულია ბევრი იგივე ელემენტი, რაც ეგრეთ წოდებულ ერთმიზეზიან და ხელოვნურ თეორიებში. თუმცა ამ მოდელებს შორის უმთავრესი განსხვავება, როგორც მარვინ ჰარისი აღნიშნავს, არის ის, რომ ჯოლი და პლოგი ბევრად უფრო ნაკლებად სპეციფიურები არიან მოვლენათა თანმიმდევრობის დალაგებისას. ის პროცესები, რომელთა შესახებაც ისინი მსჯელობენ, მაგალითად ნუკლეაცია დ დიფერენციაცია, აბსტრაქტულია და შესაძლებელია მოიცავდეს ნებისმიერი წყაროდან წამოსულ სტრესებს. საზოგადოება განხილულია არა როგორც დომინოს ქვების პრინციპით მოქმედი, არამედ როგორც მოქნილი, ადაპტაციის უნარის მქონე სისტემა, რომელიც მუდმივად ერგება სხვადასხვა სტრესს. ეს მორგებები იწვევს გარემოს განახლებას, რაც თავისთავად, თვითგანვითარებად პროცესში სოციალური სისტემის შემდგომ ადაპტაციას საჭიროებს.

ადრეული სახელმწიფო: კროსკულტურული მონაცემები

ჰენრი ჯ. მ. კლაესენისა და პეტერ სკალნიკის ნაშრომი "ადრეული სახელმწიფო" *(The Early State, 1978)* აერთიანებს 19 სახელმწიფოს – დაწყებული ძვ. წ. აღ. 3 000 წლის ეგვიპტიდან, დამთავრებული თანამედროვე ინდოეთის კაჩარის - კროსკულტურულ მონაცემებს. უგულვებელყოფილია განსხვავება პირველ და მეორად სახელმწიფოებს შორის. ეს უარყოფა ფრთხილი და სრულიად სამართლიანია. ყურადღება გამახვილდა პირველი სახელმწიფოს

განვითარებაზე ისე, რომ სხვა ისტორიულად არსებული სახელმწიფოებიდან (მათ შორის იმ სახელმწიფოებიდანაც, რომლებიც დიდწილად ავტონომიურად, დამოუკიდებლად განვითარდნენ) მიღებული სოციალური ევოლუციის მდიდარი მონაცემები ხშირ შემთხვევაში უარყოფილ იქნა. იმის გამო, რომ აქ განხილული თეორიების უმრავლესობა თავდაპირველად თითქმის მხოლოდ პირველ სახელმწიფოებთან მიმართებით გამოიყენებოდა, რთულია განსაჯო კლაესენის და სკალნიკის შეფასებები, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა საზოგადოებიდან აღებულ ფაქტებზე.

გრაფიკული გამოსახულება 3.3

სახელმწიფოს განვითარების სისტემური მოდელი



წყარო: Jolly and Plog 1979: 365; ნაწილობრივ დაფუძნებულია ასევე Logan and Sanders 1976;

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სქელტანიანი შრომა მნიშვნელოვან მონაცემებს და დასკვნებს გვთავაზობს, დაწყებული სოციალური სისტემების ფართო სპექტრიდან, რომლებსაც ავტორები "ადრეულ სახელმწიფოებს" უწოდებენ. ამ სახელმწიფოებს ისინი განსაზღვრავენ, "როგორც ცენტრალიზებული ტიპის სოციალურ - პოლიტიკურ ორგანიზებას, შექმნილს რთულ, სულ მცირე, ორ ძირითად ფენად სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში ან უკვე წარმოქმნილ სოციალურ კლასებში სოციალური ურთიერთობების რეგულირების მიზნით. მმართველები და მართულები - მათი ურთიერთობა ხასიათდება პირველის პოლიტიკური დომინირებით და უკანასკნელის ხარკის

გადამხდელის ვალდებულებით, რაც ლეგიტიმირებულია საერთო იდეოლოგიით" (Klaessen and Skalnik, 1978, 640). ეს განსაზღვრება, რომელშიც აღმოჩენილი ბევრი წესის შეჯამება ხდება, ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ კლასობრივი სტრატიფიცირება სახელმწიფოს პირველადი თვისებაა, მაგრამ ის არაა მისი წარმოქმნის აუცილებელი მიზეზი, რადგანაც რესურსებზე დიფერენცირებული ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს წარმოშობამდე ბევრად უფრო ადრეც არსებობდა; და მართლაც, სოციალური სტრატიფიცირება და ნამატის წარმოქმნის უნარის მქონე ეკონომიკა - ეს ორი ფაქტორი ერთად აღებული, იმ უმთავრეს წინაპირობებად გაინიხილება, რომელთა გარეშეც ადრეული სახელმწიფოები წარმოუდგენელია.

ავტორები, როგორც წესი, უმთავრეს მიზეზებად ოთხ ძირითად ფაქტორს გამოყოფენ: 1) მოსახლეობის ზრდა ან/და წნეხი; 2) ომი ან ომის საშიშროება; 3) დაპყრობა; 4) უფრო ადრე არსებული სახელმწიფოების გავლენა. ადრეული სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი, როგორც ჩანს, ამ ფაქტორების კომბინაციის გარეშე განვითარდა და მათ შემთხვევაში ეს ფაქტორები ერთმანეთთან ურთიერთქმედებდა ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე. ვიტფოგელის (1957) ჰიდრავლიკური თეორია აღარაა მიღებული, რადგანაც ინტენსიურ საირიგაციო სისტემებზე შესწავლილი მაგალითების ნახევარზე ნაკლები თუ იყო დამოკიდებული; თუმცა, ორივე - კარნიეროს გარემო პირობების მოდელი და ბოსერუპის (1965) მოსახლეობის წნეხის ზრდის თეორიები - კვლავაც გაზიარებულია. უნდა მოხდეს მათი შერწყმა სისტემური მოდელების ზოგიერთ ტიპთან, სადაც ეს ფაქტორები პირველად მიზეზებად კი არ განიხილება, არამედ, როგორც სხვა ბევრ შემადგენელ ნაწილთან ურთიერთქმედებაში მყოფი ნაწილთაგანი. 3.1 ცხრილში მოყვანილია 21 ადრეული სახელმწიფოს მახასიათებლები.

იმდენად, რამდენადაც არცერთი აქამდე გამოცემული ნაშრომი არ წასულა ასე შორს ადრეული სახელმწიფოების კლასიფიცირების ან მათი ძირითადი ელემენტების განსაზღვრის საკითხში, პოლიტიკური ორგანიზების ამ ფორმების გენეზისის შესახებ მიღებული დასკვნები, გარკვეულწილად, იმედგაცრუების მიზეზს იძლევა. იმის გამო, რომ პირველი სახელმწიფოებიდან თეორიის თვალსაწიერი გაფართოვდა იმ სისტემებამდე, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ადრეული სახელმწიფოები, სულ უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება განზოგადება. ამასთანავე, უფრო ადრე არსებული სახელმწიფოების ზეგავლენა სავარაუდოდ, მძლავრი, შეუმჩნეველი და არაგაზომვადია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან პროგრესი განიცადა. უარყოფილ იქნა სახელმწიფოს წარმოშობის ერთი ძირითადი მიზეზის ძიების პრინციპი და უპირატესობა მიენიჭა იმ თეორიებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ბევრი სხვადასხვა მიზეზის სისტემურ

ურთიერთქმედებას. შესაძლოა, ვინმეს კითხვა გაუჩნდეს, მართლაც შემატა თუ არა ჩვენეულ ცოდნას ბევრი რამ სისტემურმა თეორიამ – ისინი ხომ ჩვენთვის უკვე ისედაც კარგად ნაცნობი ძალებისა და პროცესების კომბინირებას ახდენენ. არსებითად, რაც სისტემის თეორეტიკოსებმა გააკეთეს - არის ის, რომ მათ სახელმწიფოს ევოლუციის თეორია აბსტრაქციის, განზოგადების იმ დონეებზე აიყვანეს, რომ ამ განზოგადებებში რთულია რაიმე გამონაკლისის მონახვა. შედეგად, დაკარგული სპეციფიურობის გამო ჩნდება იმის განცდა, რომ ხდება მოდელში არსებული გამოტოვებული ადგილების შევსება და ხელახლა მკვიდრდება იმის შეგრძნება, რომ რასაც განვიხილავთ რეალური, ნამდვილი ადამიანები არიან – ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, კვდებიან, ომობენ და იბრძვიან. განზოგადებები უკან უნდა დაბრუნდეს, არქეოლოგიურ ნიადაგში, სამეთუნეო დაზგებთან, გატეხილ ამულეტებთან და გამქრალი ცივილიზაციების ბებერ კედლებთან, აფრიკისა და ინდოეთის ახლად წარმოქმნად სახელმწიფოებთან, სადაც მეფეები და გლეხები ერთმანეთს ეჯიბრებიან და უპირისპირდებიან კონფლიქტისა და კონსენსუსის მარადიულ თამაშებში. თეორიას ანთროპოლოგიაში შუალედური პოზიცია უნდა ეჭიროს, რამდენადაც, საბოლოო ჯამში, ყველაფერი იწყება და მთავრდება ველზე.

ცხრილი 3.1

21 ადრეული სახელმწიფოს ტიპოლოგია

	ტიპური		ტრანზიტული
მაგალითები და პერიოდები	ანკოლე (უგანდა)- 1650 - 1900 ახ.წ.აღ. ჰავაი 1700-1850 ახ.წ.აღ. ნორვეგია 900-1100 ახ.წ.აღ. ტაჰიტი 1700-1800 ახ.წ.აღ. ვოლტა (ზედა ვოლტა და განა) 1400-1900 ახ.წ.აღ. ზანდე (სუდანი) 1750-1850 ახ.წ.აღ.	ანგკორი (კამბოჯა) 1150-1300 ახ.წ.აღ. აქსუმი (ეთიოპია) 25-625 ახ.წ.აღ. ეგვიპტე 2950-2500 ძვ.წ.აღ. ინკები (პერუ) 1425-1532 ახ.წ.აღ. კაჩარი (ინდოეთი) 1800 ახ.წ.აღ. მონღოლეთი 1200-1325 ახ.წ.აღ. სკიტია (უკრაინა)400-725 ახ.წ.აღ. იორუბა (ნიგერია) 1400-1900 ახ.წ.აღ.	აცტეკები (მექსიკა) 1425-1521 ახ.წ.აღ. ჩინეთი 250 ძვ.წ-აღ-225 ახ.წ.აღ. საფრანგეთი 900-1100 ახ.წ.აღ. ჯიმმა (ეთიოპია) 1825 ახ.წ.აღ. კუბა (ზაირი) 1850-1900 ახ.წ.აღ.
ვაჭრობა და ბაზრები	ნაკლებად მნიშვნელოვანი	განვითარებულია ლოკალურ დონეზე მაღლა	სრულად განვითარებული და ძალიან მნიშვნელოვანი
თანამდებობის გადაცემის ტიპი	ძირითადად მემკვიდრეობითი	მემკვიდრეობითი და დანიშვნითი	ძირითადად დანიშვნით
მიწის მფლობელობა	იშვიათია კერძო საკუთრება. ძირითადად მიწისა და საქონლის თემური მფლობელობა	მიწის კერძო მფლობელობა შეზღუდული დოზით. თუმცა, იზრდება სახელმწიფო მფლობელობა	მიწის კერძო მფლობელობა მნიშვნელოვანია როგორც არისტოკრატიისთვის, ასევე რიგითი ადამიანებისთვის
სასამართლო სისტემა	კანონების და საჯელის არანაირი კოდიფიცირებული სისტემა	კანონების და საჯელის კოდიფიცირების საწყისი ეტაპი. ოფიციალური მოსამართლეები და ზოგადი (არასპეციალიზირებული) თანამდებობის პირები, რომლებიც განიხილავენ კონკრეტულ შემთხვევებს	კანონების და საჯელის კოდიფიცირება დასრულებულია. სამართლის აღსრულება ოფიციალური მოსამართლეების ხელთაა
გადასახადები	არარეგულარული, ნებაყოფლობითი ძღვენი და შემთხვევითი შრომა	რეგულარული ძღვენი; ძირითადი სამუშაოები ხორციელდება იძულებითი შრომის გამოყენებით	მკვეთრად განსაზღვრული საგადასახადო სისტემა კომპლექსური ორგანოების დახმარებით გადასახადების აკრეფას უზრუნველყოფს

წყარო: კლაესენი და სკალნიკი (რედაქტორები) 1978.

რეკომენდებული ლიტერატურა:

Klaessen, Henry J. M., and Peter Skalnik, eds. The Early State (The Hague, The Netherlands: Mouton, 1978). მოცემული სქელტანიანი ნაშრომი (დაახლოებით 700 გვერდი) იწყება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების შესახებ დაწერილი 4 თავით. შემდეგ მოდის 20 თავი, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოების განხილვას ეთმობა; და ბოლოს, ნაშრომი სრულდება 4 თავით, რომლებშიც გაანალიზირებულია მოცემული სპეციფიური კვლევები და გაკეთებულია კროსკულტურული შედარებები. ავტორი გვერდს უვლის პირველ და მეორად სახელმწიფოებს შორის განსხვავებებზე საუბარს. თუმცა, მაინც ვერ უმკლავდება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებულ ყველაზე მნიშვნელოვნ თეორიებს.

Cohen, Ronald, and Elman R. Service, eds. Origins of the State: The Anthropology of Political Evolution (Philadelphia: Institute for the Study of Human Issues, 1978). მოცემული ნაშრომის წინასიტყვაობა და პირველი თავები გვთავაზობს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების მოკლე მიმოხილვას. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შემდეგი ორი თავი: ჰენრი რაითის „სახელმწიფოს წარმოშობის ახსნის შესახებ“, სადაც მარტივი, გასაგები ცხრილის ფორმითაა გადმოცემული ბევრი ძირითადი თეორია და რობერტ კარნიეროს მიერ სახელმწიფოს წარმოშობის თეორიაში შეჯიბრიდან გამორიცხვის პრინციპის (ევოლუციური ბიოლოგიიდან გადმოღებული მიდგომა) გამოყენების შემოთავაზება.

Diamond, Jared. Guns, Germs, and Steel: The Fates of Human Societies (New York: Norton, 1999). პულცერის პრემიის მფლობელი ბესტსელერად ქცეული მოცემული მრავლისმომცველი ნაშრომი ცივილიზაციის წარმოშობის წინარეისტორიულ/ისტორიულ პერიოდებს ეხება. უარყოფს რა სოციალური ევოლუციის სხვადასხვა მიმართულებისა და განვითარების რასობრივ ახსნას, დაიმონდი მიზეზებს კულტურაში, ეპიდემიებში და სამხედრო შესაძლებლობებში ეძიებს. სახეობების გადაშენებასა და მთელი ეკოსისტემების მოსპობაში ადამიანთა უნიკალური უნარის მისეული განხილვა მეტისმეტად მძიმე წასაკითხი და გასააზრებელია.

Earle, Timothy. How Chiefs Come to Powes: The Political Economy in Prehistory (Stanford, Calif.: Stanford University Press, 1997). საბელადოებისადმი არსებული ინტესნიური ინტერესი გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი არაცენტრალიზებული სისტემებიდან ცენტრალიზებულ სისტემებამდე არსებულ გარდამავალ ფორმას წარმოადგენენ. ამგვარად, საბელადოების ევოლუციის გააზრება სახელმწიფოს წარმოშობის კუთხით უდიდეს მნიშვნელობას იძენს. მოცემულ წიგნში შემოთავაზებულია საბელადოების განვითარების დეტალური განხილვა დანიის, ჰავაის და ანდების მაგალითებზე. ყურადღება ფოკუსირებულია ეკონომიკაზე, სამხედრო ძალაზე და იდეოლოგიაზე.

Haas, Jonathan. The Evolution of the Prehistoric State (New York: Columbia University Press, 1982). გასაგებად დაწერილი ყოვლისმომცველი თეორიული მიმოხილვა, რომელშიც გატარებულია კონფლიქტური და ინტეგრაციული მიდგომების გაერთიანების მცდელობა. ავტორი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ცენტრალიზაციას ჩაეყარა საფუძველი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ცვლადი ინდივიდების მზარდი ძალაუფლება და ელიტების მიერ რესურსების კონტროლი გახდა.

Upham, Steadman, ed. The Evolution of Political Systems (New York: Cambridge University Press, 1990). მოცემული კვლევა არ ინტერესდება სახელმწიფოს წარმოშობის თეორიებით. მისი კვლევის საგანი „შუალედური ფორმის“ პოლიტიებში - საბელადოებში ცვლილებების პროცესის შესწავლაა. ავტორები აკრიტიკებენ სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა მოდელს, თუმცა, მათ ნაცვლად არ გვთავაზობენ რაიმე ახალ, თანმიმდევრულ თეორიას. მოცემული 10 სტატია ეხება როგორც ფართო თეორიულ საკითხებს,

ასევე ემპირიულ მაგალითებს (კონკრეტულად კი, განხილულია პერუში მცხოვრები საუსას და იროკეზების მაგალითები).

თავი მეოთხე

რელიგია პოლიტიკაში: სიწმინდეზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა, ღვთიური წინააღმდეგობა

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ზულუს ტომის ტრადიციული მეთაური თავის პოლიტიკურ ლეგიტიმურობას დიდწილად თანხმობის შედეგად იღებს და სანათესაოს საერთო წინაპრებისგანაა მხარდაჭერილი (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

როგორც ჟორჟ ბალანდიე ამტკიცებდა (1970: 38), შესაძლოა ბოლომდე სწორი არ იყოს ის, რომ სიწმინდეებზე აპელირება ყოველთვის თან ახლავს პოლიტიკას, მაგრამ იშვიათადაა, რომ ეს ასე არ იყოს. მაირონ არონოფის მოსაზრებით (1985ბ: 1) "რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის გაჩენიდან მოყოლებული". 1934 წელს ნიუნბერგში ნაცისტური პარტიის კონფერენციაზე კლასიკური პროპაგანდისტული ფილმის "ნების ტრიუმფის" მაყურებლებს შესაძლოა გასჩენოდათ კითხვა, რას უყურებდნენ ისინი – პოლიტიკურ თავშეყრას თუ რელიგიურ ცერემონიას. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციაშიც ნაგულისხმევია რელიგიური მოტივაცია და პოლიტიკური ხელისუფლების თანმიმდევრულობაც ღვთისგან წამოსულ ლეგიტიმაციას საჭიროებს. თანამედროვე ირლანდიაში პოლიტიკური კონფლიქტის გამოცალკევება რელიგიური კონფლიქტისგან ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, წინარეინდუსტრიულ საზოგადოებებში სხვადასხვა ქვესისტემის - პოლიტიკურის, ნათესაობის, ეკონომიკურის, რელიგიურის - საზღვრები ბევრად უფრო ნაკლებ გამოკვეთილი და განსაზღვრულია, ვიდრე უფრო რთულ და სპეციალიზირებულ საზოგადოებებში. აფრიკაში მეთაურობაზე პრეტენზიის მქონე კანდიდატი, რომელიც წინაპართა სულებს უხმობს მხარდაჭერისთვის, იმაზე მეტად არ თვლის, რომ ზებუნებრივ ძალებს მიმართავს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში სენატორობის კანდიდატი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიისას უმთავრესი დამფინანსებლისგან შემოწირულობას იღებს.

ის როლი, რასაც რელიგია თამაშობს პოლიტიკაში, რთულია კორელაციაში მოიყვანო რელიგიის ისეთ სპეციფიურ ტიპებთან, როგორიცაა მაგალითად, შამანობა ან ქურუმობა. ესკიმოსთა ზოგიერთ ნაწილში შამანი იყო ყველაზე გავლენიანი ადამიანი, რადგან მას წვდომა ჰქონდა სულების სამყაროსთან. ამერიკის სამხრეთ დასავლეთში მობინადრე ჰოპის ტომებში პოლიტიკური ძალაუფლება არტიკულირდება ცერემონიების, ცეკვების და რელიგიური საძმოების მეშვეობით. თანამედროვე საუდის არაბეთი საერთაშორისო დონეზე აღიარებული მძლავრი ერი - სახელმწიფოა, რომელიც დაფუძნებულია ისლამზე. მეორეს მხრივ, ასევე ადვილი იქნებოდა მოგვეყვანა შემგროვებლობა-მონადირეობაზე დაფუძნებული ხალხების (!კუნგი), ტრაიბალური ჯგუფების (იანომამო) და სახელმწიფოების (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) მაგალითები, სადაც რელიგია შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს.

კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის მხარდაჭერაში რელიგიის და ზებუნებრივი ძალების როლი ძირითადად სამი კუთხით წარმოჩინდება: 1. ხელისუფლება შეიძლება პირდაპირ ეფუძნებოდეს რელიგიას, როგორც ეს თეოკრატიის შემთხვევაშია; 2. რელიგია შესაძლოა გამოიყენებოდეს მმართველი ელიტის ლეგიტიმაციის მიზნით; 3. რელიგიამ შეიძლება წარმოშვას იმგვარი რწმენები, სტრუქტურები და ტრადიციები, რომლითაც ხელისუფლებაში მყოფნი მანიპულირებენ. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ რელიგია მხოლოდ არსებული პოლიტიკური სტრუქტურების გამყარებას ემსახურება. რელიგია, ასევე შეიძლება იქცეს ოპოზიციაში მყოფ მძლავრ ძალად. იგი შეიძლება იყოს იდენტობის პოლიტიკის შემაკავშირებელი, როგორც ამას ჩრდილო ირლანდიაში აქვს ადგილი, გამოვლინდეს ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის სახით იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში ან მიიღოს ისლამური ნაციონალიზმის სახე.

სიწმინდეზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა

არ არსებობს ზუსტი წყალგამყოფი ხაზი თეოკრატიასა და სეკულარულ სახელმწიფოს შორის. ფაქტობრივად, ყველა წინარეინდუსტრიული სახელმწიფო, სულ მცირე, გარკვეულ დონეზე მაინც თავის ლეგიტიმურობას სიწმინდეებზე აფუძნებს, თუმცა თვით უკიდურესად რელიგიურობაზე ორიენტირებულ ხელისუფლებებსაც კი უწევთ რიგი სეკულარული, საერო პრობლემის გადაჭრა, მაგალითად თავდაცვა, ვაჭრობა, გზების განვითარება და საირიგაციო სისტემის ქსელის მოწესრიგება. თვით იმ უმრავლეს შემთხვევებშიც კი, სადაც რელიგია უაღრესად

მნიშვნელოვან როლს თამაშობს, საერო და სასულიერო ბიუროკრატია, პრაქტიკულად, მაინც ერთმანეთისგან განცალკევებულია (როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ვთქვათ, მაიას და ინკას ტომების შემთხვევაში). მართალია, სამღვდელოებას შეიძლება უკიდურესად დიდი ძალაუფლება ჰქონდეს, მაგრამ, როგორც წესი, მათი ძალაუფლება არ ვრცელდება ხელისუფლების საერო საქმიანობაზე. სასულიერო ხელისუფლები (მაგალითად პაპი) საკუთარ ღვთიურობას მხოლოდ გარკვეულ სპეციფიურ შემთხვევებში და შეზღუდულ კონტექსტში გამოხატავენ. ჯაკობს კანსენი (1978) ამტკიცებდა, რომ ასე იყო ეგვიპტელი ფარაონების შემთხვევაშიც, რომლებიც უზრუნველყოფდნენ და ინარჩუნებდნენ კოსმიურ წესრიგს (მა'ატ) - მაშინ, როდესაც ამავე დროს თავადვე ემორჩილებოდნენ იმავე წესრიგს. მათი პერსონა ტაბუდადებული იყო, თუმცა მათ არ შეეძლოთ სასწაულების კეთება. ისინი ყოვლისშემძლეები იყვნენ, მაგრამ ექვემდებარებოდნენ ღმერთებს. ხოლო ქვეყანას კი საერო მეთოდებით მართავდნენ. ადამიანებს იმგვარ სახელმწიფოებში, რომლებიც არ არიან ჩვენი დროის სახელმწიფოების მსგავსად სეგმენტირებულნი, როგორც ჩანს, ნაკლებად აწუხებთ ღვთიურის და ადამიანურის, საეროს და სასულიეროს ერთდროული თანაარსებობის პრობლემა.

ლუსი მარი (1962) მიუთითებდა აფრიკაში სამეფო ხელისუფლებისთვის აუცილებელ ორ მოთხოვნაზე: მომხრეების მხარდაჭერაზე და მეფობაზე პრეტენზიის მქონე პიროვნების მხრიდან ზებუნებრივ ძალებთან გარკვეულ, განსაკუთრებულ ურთიერთობების ხაზგასმაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფე საჭიროებს როგორც საერო, ასევე სიწმინდეებზე დამყარებულ ლეგიტიმაციას. პირველი გამომდინარეობს მეფის ინდივიდუალური თვისებებიდან და უნარებიდან. ასევე, ტრადიციების დაცვისა და სამეფო ტახტზე ასვლის სამართლიანი პრეტენზიიდან. მან უნდა მოიპოვოს ლეგიტიმურობა საკუთარი თავის იმ ზებუნებრივ ძალასთან ნათესაობის შესახებ შექმნილი მითის გზით, რომელიც მოცემული ჯგუფის წარმოშობასთან ან მითოლოგიური ისტორიის რომელიმე უმნიშვნელოვანეს მოვლენასთანაა კავშირში.

სუდანში მცხოვრებ შილუკებს სწამდათ ნახევრად ღვთიური კულტურული გმირი, რომელმაც მასობრივი გადასახლების შედეგად, როგორც ეს ეპიკურ თავგადასავლებშია, დაამკვიდრა ისინი, როგორც უნიკალური ხალხი, დაარსა პირველი სოფლები და საფუძველი ჩაუყარა მათ საზოგადოებაში არსებულ ძირითად დაყოფებს. ეს უკვდავი გმირი, ნი'იკანგი უბრალოდ გაქრა და მისი სული ჩასახლდა ყველა მომდევნო მეფის სხეულში. შილუკი იყო ერთადერთი თანამედროვე ჯგუფი, რომელიც ჯორჯ ფრაზერმა თავის კლასიკურ ნაშრომში "ოქროს ტოტი" *(The Golden Bough, 1890, 1900*) საკუთარი თეორიის გამყარების მიზნით აირჩია კვლევის

ობიექტად. ფრაზერი თვლიდა, რომ მეფე სიმბოლურად განასახიერებდა მიწის ნაყოფიერებასა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგის სიუხვეს. ფრაზერის მიხედვით, მეფე რიტუალური წესით უნდა მოეკლათ მანამ, სანამ იგი დაბერდებოდა. ასე რომ, მისტიური ძალა მუდამ უნდა დარჩენილიყო ასაკოვან ლიდერში. მართალია ამ ტიპის მეფეების უმრავლესობა ახალგაზრდა კვდებოდა, ბრძოლებში ან თავდასხმების შედეგად, მაგრამ თავად რწმენა, რომ მეფე რიტუალურად იქნა მოკლული, შილუკთა მითოლოგიის ნაწილს წარმოადგენდა. მიუხედავად ნაყოფიერების სიმბოლურ მნიშვნელობაზე ზედმეტი აქცენტირებისა, ფრაზერმა მიაგნო აფრიკული მეფობის მნიშვნელოვან ელემენტს: მეფის პიროვნების სიმბოლურ იდენტიფიცირებას მთელი საზოგადოების კეთილდღეობასთან (Mair 1962).

რელიგიურ რიტუალებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციებიც აქვთ. ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი მითების პერიოდულად ხელახლა შემოტანა - განახლება, რომელიც მთელ თემს წმინდა კავშირით აერთიანებს, უფრო მაღლა დგას ვიდრე კერძო ინტერესები თუ ყოველდღიური კონფლიქტები და საზოგადოებას წინაპრებიდან წამოსული მისტიური ძალებით აღავსებს. ზოგიერთ არაცენტრალიზებულ საზოგადოებაში რელიგიური ცერემონიები ტრაიბალური ინტეგრაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მაგალითად, დაბლობში მაცხოვრებელი ინდიელების დიდი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ორი კვირის მანძილზე, ზაფხულში, მზის ცეკვის პერიოდში ღებულობდა ერთიანი კავშირის სახეს. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ჯგუფური გადაწყვეტილებების მისაღებად ბელადთა საბჭო იკრიბებოდა. ამ შეკრებების დროს ბელადები ერთმანეთში ცვლიდნენ სამედიცინო ბოხჩებს (ამ სამედიცინო ფუთების ფლობა მის მეპატრონეს მისტიურ და საერო ძალაუფლებას ანიჭებდა).

ლუგბარები: რელიგიური სიმბოლოებით მანიპულირება

ზებუნებრივი ძალა ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პასიური რწმენების მარტივი ნაკრები, რომელიც წარმოქნის პოლიტიკური ქმედების უცვლელ ფონს. ამგვარი რწმენებით მანიპულირებენ როგორც ძალაუფლებისთვის მებრძოლი პირები, ასევე ისინიც, ვინც მათ უჭერს (ან არ უჭერს) მხარს. ამის კარგი მაგალითია უგანდაში ლუგბარის პოლიტიკური სისტემა. კლასიკური სეგმენტული სანათესაო სისტემის მქონე ამ ჯგუფს კოლონიურ პერიოდამდე არ ჰყავდა არანაირი ფორმალური ხელისუფლება. საზოგადოების ყველაზე მცირე ქმედითუნარიან ერთობა იყო

მამაკაცთა ხაზით გადასული ნათესაობითი ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, შედგებოდა ოჯახებისგან. ხოლო მეფეების ან მეთაურების ნაცვლად ძალაუფლება ეფუძნებოდა ასაკობრივ სისტემას. როდესაც ახალგაზრდა ზრდასრულ მამაკაცებს ასაკი ემატებოდათ, ისინი კონფლიქტში შედიოდნენ უფროს თაობასთან მიწისა და ხელისუფლების განაწილების საკითხებში. იმდენად, რამდენადაც სანათესაო წრეში ძალადობა არ იყო დაშვებული, თაობათა შორის კონფლიქტის მოგვარება მისტიური საშუალებებით ხდებოდა. თუკი კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარე სუსტდებოდა, ხოლო ორაკულები კი აჩვენებდნენ, რომ მისმა ოპონენტებმა წინაპრების სულების გამოძახებით და დახმარებით დაასუსტეს მოწინააღმდეგე, მაშინ მაგიით დაკავებული ეს ჯგუფი მოიპოვებდა კანონიერ ძალაუფლებას. მეორეს მხრივ, თუ დადგინდებოდა, რომ მიცვალებულების სულების გამოძახება ხდებოდა სტატუსის მოპოვების ან შენარჩუნების და არა სანათესაო ხაზისთვის სარგებლის მოტანის მიზნით, მაშინ სულების გამომძახებელი დადანაშაულდებოდა ჯადოქრობაში და, შესაბამისად, დაკარგავდა სტატუსს. ეს ორი ინტერპრეტაცია ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, მათ, რეალურად, შეეძლოთ პიროვნების ხელისუფლების ლეგიტიმირება ან პირიქით, მოსპობა. ამგვარად, რწმენით მანიპულირების ფართო საშუალებები არსებობდა არა მხოლოდ მონაწილე პიროვნებების მხრიდან, არამედ ასევე საზოგადოებისა და გადაწყვეტილებების მიმღებ ორაკულთა მხრიდანაც. ადგილობრივ ჯგუფებს შორის კონფლიქტი არ იყო მსგავსი გადაწყვეტილებების მიმართ მგრძნობიარე. იქიდან გამომდინარე, რომ სულების გამოძახება და ჯადოქრობა განიხილებოდა არაეფექტურ საშუალებად მინიმალური სანათესაო ხაზის ფარგლებს გარეთ, დუელი, ძარცვა-გლეჯვა და ბრძოლები ლოკალურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის ჩვეულებრივი საშუალებები იყო. თუმცა, ჯადოქრობაში დადანაშაულება ხშირად გამოიყენებოდა ახლო მეზობლებს შორის ურთიერთობაშიც, რომლებსაც ამით ღია ძალადობის თავიდან აცილება სურდათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა პოლიტიკური ძალაუფლება უპირველეს ყოვლისა იყო ზებუნებრივი, რადგანაც კონტროლირდებოდა გარდაცვლილი წინაპრების მიერ და მათი ნებართვით (Middleton 1960. 1966).

სიმბოლიზმი და რიტუალები საერო პოლიტიკაში

ალბათ ადვილია იმის მტკიცება, რომ მსგავსი ღვთიური ლეგიტიმურობა “პრიმიტიული” საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი ანაქრონიზმია. მიუხედავად ამისა, საერო პოლიტიკაც კი, სადაც რელიგია აშკარად და ცხადად არ წარმოჩინდება, ხშირად აღსავსეა იმგვარი ემოციური

გრძნობებით, რომელიც სიწმინდეების სფეროს განეკუთვნება. დევიდ კერცერის (1988) მოსაზრებით, მიუხედავად თანამედროვე ადამიანის ილუზიისა, რომ იგი პოლიტიკურად რაციონალურია და გადაწყვეტილებებს ღებულობს ობიექტურ რეალობაზე დამყარებით - თანამედროვე პოლიტიკის თითქმის ყველა ასპექტში სჭარბობს სიმბოლიზმი. თუმცა, რადგან სიმბოლიზმი თავისი ბუნებით არაცნობიერია, არსებობს ტენდენცია იმისა, რომ სიმბოლოები განხილულ იქნეს ისე, თითქოს ისინი რაიმე საგანს წარმოადგენენ. მთავრობა, პარტია და სახელმწიფო რეალური სიმბოლური კონსტრუქციებია და არა კონკრეტული ერთეულები, როგორც ეს ადამიანთა უმრავლესობას ჰგონია. მართლაც, მსგავსი ორგანიზაციები თავიანთ უწყვეტობას მხოლოდ სიმბოლოების მეშვეობით ინარჩუნებენ. მხოლოდ სიმბოლოები არის მყარი, მარადიული, ხოლო ორგანიზაციის შემქმნელი ადამიანები კი მუდმივად იცვლებიან.

კერცერის მიხედვით, არსებობს სიმბოლოების სამი ძირითადი სამფლობელო: პირველი, ესაა აზროვნების კონდენსირება. ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ფიზიკურად არსებული ერთობის, როგორც "ღმერთის ქვეშ გაერთიანებული ერთი ერის", როგორც ევროპულ ტირანიაზე უარის თქმის, როგორც ომის პერიოდში პატრიოტიზმის, ან როგორც თავისუფლების და დემოკრატიის (თავისთავად ცუდად განსაზღვრული სიმბოლოები) იდეები – ეს ყველაფერი გაერთიანებულია ვარსკვლავებისა და ლურჯი, გრძელი ხაზების ერთობლიობაში. მეორე, სიმბოლოები მრავალხმიანია, რაშიც იგულისხმება ის, რომ ისინი სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ერთი კონკრეტული სიმბოლო, როგორიცაა მაგალითად, ქრისტიანული ჯვარი, სხვადასხვა ხალხებისთვის შეიძლება სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყოს. და ბოლოს, ჭეშმარიტი სიმბოლოები გარკვეულწილად ბუნდოვანია, ისე რომ ვერასდროს ვერ იქნებიან ბოლომდე და სრულად განსაზღვრულნი. მათ არ აქვთ ზუსტი მნიშვნელობა.

რიტუალი, ესაა "სიმბოლიზმით შეფუთული მოქმედება". ის მეტწილად სტრუქტურირებულია და ხშირად გამოიყენება ემოციურად დატვირთულ ადგილებსა და დროს (Kertzer, 1988,9). სწორედ რიტუალის და ამ რიტუალებში მონაწილე ადამიანების მეშვეობით ხდება, რომ რიგით მოქალაქეს მისთვის სხვაგვარად გაუგებრად უზარმაზარ და ხშირად არაპერსონიფიცირებულ სახელმწიფოსთან მიმართებით კავშირის ემოციურად მძაფრი განცდა უჩნდება. ოთხი ივლისის აღნიშვნა, ნაციონალური პოლიტიკური პარტიის ყრილობა, პრეზიდენტის ინაუგურაცია, ორასწლიანი კონსტიტუცია – ყველა მათგანი წარმოშობს სიმბოლოების ფორმას, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო შეიძლება ემოციურ დონეზე იქნეს აღქმული. რიტუალები არ

უნდა იყოს არც პოზიტიური და არც რუტინული. პრეზიდენტ კენედის მკვლელობა, კოსმოსური ხომალდ "ჩელენჯერის" კატასტროფა, ირანის ყურის კრიზისი და, რა თქმა უნდა, ტერორისტთა თავდასხმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე – ყველა მათგანი ნაციონალური დონის მოვლენა იყო, რომლებმაც გადაფარეს პარტიული კუთვნილება და იდეოლოგიური კონფლიქტები და გააერთიანეს ადამიანები საერთო ტრაგედიის ემოციური ჯაჭვით. ძირითადი კონფლიქტი, როგორიცაა მაგალითად აშშ-ს ომები ერაყსა და ავღანეთში, ომში მყოფი ადამიანებისთვის, რა თქმა უნდა, საკმარისად რეალურია, მაგრამ სახლში მჯდომი ადამიანისთვის ეს მოვლნები იქცევა ეროვნული ვაჟკაცობის, ერთობის და სიამაყის მძლავრ სიმბოლოებად.

სწორედ სიმბოლოების და რიტუალების ეს საერთო თვისება და მსგავსება არის ის, რაც ართულებს პოლიტიკაში სიწმინდისა და პროფანაციის ერთმანეთისგან გარჩევას.

რელიგია, როგორც წინააღმდეგობა

ტრუიზმია ის, რომ ოფიციალური ან დომინანტური რელიგიები, ძირითადად, ხელისუფლების მხარდამჭერები არიან. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არაა. ყველა, ან თითქმის ყველა რელიგია თუ კულტი, დასაბამს იღებს რომელიმე ტიპის დომინანტური ძალაუფლების საწინააღმდეგო გამოსვლიდან. ეს მართებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც რელიგია სტანდარტიზირებულ, რუტინულ სახეს იღებს და მიმდევრების იმ რაოდენობას მოიპოვებს, რომ იგი პროტესტიდან მხარდაჭერაში გადადის. თავად ქრისტიანობამ, რომელიც ჩამოყალიბდა რომის იმპერიის მიერ ოკუპირებულ ისრაელში და ეწინააღმდეგებოდა, როგორც მისი მიმდევრები თვლიდნენ, საყოველთაოდ რუტინულ და ფარისევლურ იუდაიზმს, დომინანტური სტატუსი მხოლოდ ნახევარი ათასწლეულის შემდეგ მოიპოვა. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რელიგია ხშირად წარმოჩინდებოდა, როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის სწრაფი გავრცელების და ცვლილებებისადმი "ანტისისტემური პროტესტის" პირველადი ფორმა. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე გამძაფრებული ისლამური წინააღმდეგობაც ამ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ – პროტესტი კაპიტალიზმისა და სეკულარიზმის წინააღმდეგ (Robbins 2002; 337-63).

რევიტალიზაციის მოძრაობები

რელიგიამ პირდაპირი პოლიტიკური ქმედება იმ შემთხვევებში შეიძლება ჩაანაცვლოს, როდესაც მკვიდრი მოსახლეობა საგარეო მტრის მიერ პოლიტიკურად დაუძლურებულია ან ვერ აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას. მსგავს შემთხვევებში რევიტალიზციის (იგივე განახლების, გამოცოცხლების) მოძრაობა შეიძლება წარმოიშვას, როგორც "საზოგადოების გარკვეული ნაწილის გონივრული მცდელობა - შექმნას უფრო დამაკმაყოფილებელი კულტურა" (Wallace, 1985: 319). მსგავსი მოძრაობები დასავლური ექსპანსიის საპასუხოდ წარმოიქმნა (ამის წინასწარ განჭვრეტაც თითქმის ყოველთვის შესაძლებელია). თუმცა, ეს მოძრაობები შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ სიტუაციაში, სადაც ტექნოლოგიური განვითარების სრულიად განსხვავებულ დონეებზე მდგომი ან ძალაუფლების სხვადასხვა ტიპის მქონე კულტურები ერთმანეთთან შედიან კონტაქტში. ქრისტიანობა, რომელიც რომაელთა დაპყრობის პირობებში წარმოიშვა, საწყის ეტაპზე განახლების მოძრაობის ყველა ელემენტს ამჟღავნებდა.

არსებობს რევიტალიზაციის მოძრაობის ბევრი სხვადასხვა სახე. ათასწლეულის მოძრაობა ცდილობს საზოგადოების აპოკალიფსურ ტრანსფორმირებას ზებუნებრივი ძალების მეშვეობით; მოჩვენებების ცეკვა, რომელიც დაბლობზე მაცხოვრებელ ტომებში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში გავრცელდა, ეფუძნებოდა ნევადაში მცხოვრები პიტეს სწავლებას, რომელმაც იწინასწარმეტყველა როგორც თეთრკანიანების, ასევე ინდიელების განადგურება. მხოლოდ იმ ინდიელებს, რომლებიც მოჩვენებათა ცეკვას წარმოადგენდნენ და წმინდა ცხოვრებით იცხოვრებდნენ, გადაეცემოდათ სამყარო, სადაც ბიზონები დაუბრუნდებოდნენ დაბლობებს, ხოლო ადამიანები კი იცხოვრებდნენ მშვიდობიანად და უსაფრთხოდ, ინდიელების ტრადიციულ ცხოვრების წესზე დაფუძნებულ უდრტვინველ საზოგადოებაში (Mooney, 1869, 1973). ეს რწმენა ტრაგიკულად დასრულდა მას შემდეგ, რაც ასეულობით სიუხსი, რომლებიც მოჩვენებათა ცეკვის დასადგმელად საკუთარი რეზერვაციის ადგილიდან გაიქცა, გარშემორტყმულ და ამოხოცილ იქნა აშშ კავალერიის მიერ სამხრეთ დაკოტაში. მესიანურ მოძრაობაში მესიაა ის პიროვნება, ვინც ამ ტრანსფორმაციამდე მიგვიყვანს. 1700 - იანი წლების შუა პერიოდში, სენეკელ ინდიელს, სახელად მომხიბლავ ლეიკს, ჰქონდა გამოცხადება. ამ გამოცხადების შემდეგ მან საფუძველი ჩაუყარა რწმენას, სადაც გაერთიანებული იყო ტრადიციული რელიგიის და ქრისტიანობის ელემენტები და უფრო კარგად იყო ადაპტირებული რეზერვაციის იმ კონტექსტთან, რომელშიც ინდიელები აღმოჩნდნენ. სპირტიანი სამელების აკრძალვისა და ოჯახზე ხაზგასმის შედეგად, ახალმა რელიგიამ შესძლო

სენეკასა და იროკეზთა კონფედერაციის სხვა ტომების კულტურული კოლაფსისგან გადარჩენა. დღეისდღეობით მომხიბლავი ლეიკის რელიგია კვლავაც ძლიერია იროკეზებს შორის, ხოლათვის დამაარსებელი კი დიდ წინასწარმეტყველად მიიჩნევა (Wallace, 1972). ნეიტივისტური მოძრაობის მიზანია დაიცვას საზოგადოება არასასურველი ან მტრული ელემენტებისგან, ხოლო რევივალიზმის (იგივე აღორძინების – ს.დ) მიზანს წარმოადგენს ძველი, ბედნიერი ერის დაბრუნება და დამკვიდრება. მოძრაობათა დიდი ნაწილი ამ ელემენტების გარკვეული კომბინაციაა. ეგრეთ წოდებული ***ვაილალა მედნესი,*** რომელმაც მოიცვა ახალი გვინეის ნაწილი XX საუკუნის პირველ ათწლეულში, უჩვენებდა როგორც მძლავრი ნეიტივიზმის, ასევე განახლების ტენდენციებსაც. მას შემდეგ, რაც თეთრკანიანები და მათი ტოტალური ზეგავლენა სრულად მოისპობოდა, მორწმუნეები დაუბრუნდებოდნენ ოქროს ერას, სადაც ისინი თავიანთ წინაპრებთან ერთად განაგრძობდნენ ცხოვრებას ((Wallace, 1985).

ვაილალა მედნესი - ეს იყო ტვირთის კულტი, განახლების მოძრაობის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც ცდილობდა მაგიური საშუალებების გამოყენების გზით ხელმისაწვდომი გაეხადა დასავლური სავაჭრო ნივთები (”კარგო” პიჯინურ, ანუ ჰიბრიდულ და გამარტივებულ ინგლისურში). როდესაც ინდუსტრიულად განვითარებული ძალების მიერ განხორციელებულ კოლონიზაციას ან თავდასხმას შედეგად მოაქვს მანუფაქტურული წარმოების საქონლის გავრცელება – მანქანები, რადიოები, დამუშავებული საკვები – მკვიდრი მოსახლეობა ამ საოცრებების ახსნას საკუთარი კულტურული გაგების ფარგლებში ცდილობს. ისინი ხედავდნენ, რომ თეთრკანიანები თავად კი არ ამზადებდნენ მოხმარების საგნებს, არამედ მხოლოდ ღებულობდნენ მათ, ხშირად გემით ან თვითმფრინავით. ამის გამო მათ სწამდათ, რომ უცხოელების განკარგულებაში რაღაც ჯადოქრული ძალა იყო, სავარაუდოდ, მაგიური ძალის მქონე სიტყვები, რომლებსაც ისინი დაუსრულებლად წერდნენ ქაღალდის ფურცლებზე. ალბათ, ეს თეთრკანიანთა ერთ-ერთი იმ ტიპის რიტუალთაგანი იყო, როგორიცაა მაგალითად, სამხედრო ფორმებში გამოწყობილ მდგომარეობაში წინ და უკან სიარული, მხარზე იარაღგადაკიდებული ან მაგიდის გარშემო პიჯაკებითა და ჰალსტუხებით ჯდომა - რასაც ჯამში, მოაქვს ტვირთი (კარგო). ან, შესაძლოა, ჯუნგლებში მოწყობილი აეროპორტი იზიდავს ზეციდან ტვირთს; ან იქნებ, ეს ტვირთი მართლაც წინაპრების მიერაა შექმნილი, ხოლო თეთრკანიანებმა კი მხოლოდ იმ ფორმულების უზურპირება მოახდინეს, რომელთა მეშვეობთაც ხდება რეალურად სწორედ მკვიდრი მოსახლეობისთვის განკუთვნილი ტვირთის მოზიდვა. უამრავი სხვადასხვა ვარიანტი არსებობდა, ადგილობრივების ხედვით სრულიად ლოგიკური და ახსნადი. ისინი ცდილობდნენ გარკვეული

აზრი გამოეტანათ იმ სიტუაციიდან, რომელიც მათთვის სხვაგვარად სრულიად ქაოტური და აუხსნადი იქნებოდა. სამწუხაროდ, ტვირთის კულტი ზოგჯერ ტრაგედიით სრულდებოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ახალ გვინეაში, კუნძულების ოკუპაციის საპასუხოდ, მკვიდრმა მოსახლეობამ, რომელსაც სწამდა, რომ დიდი ღორები ათასწლეულში გამოჩნდებოდნენ ზეციდან, მთლიანად დახოცა თავიანთი ღორები, რაც მათი არსებობის ძირითადი წყარო იყო (Worsley, 1985).

ენტონი უოლესის მიხედვით (1986), რევიტალიზაციის მოძრაობებმა სხვადასხვა საფეხური გაიარეს, თუმცა ყველა მოძრაობას მთლიანი ციკლი არ ჩაუმთავრებია. პირველი საფეხურია წინარემოძრაობის ფაზა, რომელშიც საზოგადოება უძრავ მდგომარეობაში იმყოფება. არ არსებობს რადიკალური ცვლილებების მძლავრი მოთხოვნილება. თანდათან, უცხო ძალების თავდასხმის შემდეგ, შიმშილი, კულტურული ზეწოლა ან ინდივიდების მიერ განცდილი ფსიქოლოგიური სტრესი, დანაშაულის და ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების ზრდა იქცევა ნორმად, ხოლო ლიდერები კი კორუფციაში ეფლობიან - შედეგად, კულტურა თანდათან ინგრევა. მოძრაობის ფაზა იწყება წინასწარმეტყველის მიერ ცხოვრების ახალი სტილის ფორმულირებით, რომელიც, ხშირად, გამოცხადების შედეგია. ახალმა სარწმუნოებამ განსხვავებული ინტერესების დამარცხებით ან ძირეულ დოქტრინაში მოდიფიცირების შეტანით, უნდა გადალახოს მისდამი მტრული და იჭვნეული დამოკიდებულება და მოერგოს იმ გარემოს, სადაც იგი წარმოიქმნა. როდესაც მნიშვნელოვნად ბევრი ადამიანი, ან მთელი მოსახლეობა ახალ დოქტრინას გაიზიარებს, კულტურული ტრანსფორმაციაც განხორციელდება, რასაც შედეგად მოჰყვება იმ პირობებთან კულტურის ჰარმონიული შეგუება, რომელსაც მოძრაობა ებრძვის. საბოლოოდ, პოსტმოძრაობის ფაზაში მოძრაობა რუტინიზირდება და მიიღებს ძირითადი რელიგიის ან პოლიტიკური პარტიის სახეს, რამდენადაც მიღწეულ იქნება ახალი, მყარი სახელმწიფო.

რევიტალიზაციის მოძრაობები, ძირითადად, ახალ პირობებთან შეგუების მცდელობებია და, როგორც წესი, წარუმატებელი. მიუხედავად მათ მიერ რელიგიაზე აპელირებისა, ისინი მეტწილად, მაინც პოლიტიკური ხასიათისაა. წინასწარმეტყველის გამოცხადება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ამოსავალი წერტილი კონკრეტული კულტურის ისტორიაში. მასში კომბინირებულია შიდა და გარე ფაქტორები, წარსული და მომავალი, ტრადიცია და გარდაუვალი ცვლილება. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ამ მოძრაობების უდიდესი ნაწილი დასავლური სახელმწიფოების დომინირების კონტექსში წარმოიქმნა. აქედან გამომდინარე, ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური პროტესტის პირველი გამოვლინებები, ტკივილისგან

გამოწვეული ტირილი და უცოდინრობაში დადანაშაულება, გარკვეული ორგანიზაცია თუ ოკუპანტებთან დაპირისპირება.

აფრიკული ანდაზა ამბობს: "პირველად ჩვენ გვქონდა მიწა, ხოლო თქვენ გქონდათ ბიბლია. ახლა ჩვენ გვაქვს ბიბლია, თქვენ კი მიწა" (Lalnternari 1963: 20); და მართლაც, რევიტალიზაციის ბევრმა მოძრაობამ, მაგალითად მომხიბლავი ლეიკის თუ შეერთებულ შტატებში გავრცელებულმა პეიოტის რელიგიამ, ბევრი რამ აიღო მისიონერებისგან, გამოიყენა რა ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის აპოკალიფსური ხედვა მათი მიწების, თავისუფლების და კულტურის უზურპატორების საწინააღმდეგოდ. რუტინიზირების შემდეგ, რელიგია მაინც შეიძლება იქცეს დასავლური პოლიტიკური სისტემის წესრიგის შიგნით პროტესტის გადამწყვეტ წერტილად (მაგალითად აფრიკული წარმოშობის ამერიკელ ქრისტიანთა მიერ დაარსებული სექტები 1960-იან წლებში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში წამყვან ძალას წარმოადგენდა); ან, ასევე შესაძლებელია, რომ იმგვარი საერო ორგანიზაციების წარმოქმნის შედეგად, როგორიცაა პროფკავშირები და მკვიდრი მოსახლეობის საბჭოები - მოცემული ტიპის რელიგიური მოძრაობები პოლიტიკურად უფუნქციოდ იქცნენ.

თუმცა, რევიტალიზაციის მოძრაობები მხოლოდ ტრაიბალურ საზოგადოებებში არ წარმოიქმნება. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ქაოსი და სტრესი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანებმა და ადამიანთა ჯგუფებმა რელიგიური ტრანსფორმაციის გზები ეძიონ. ჯონ ჰოლის ანალიზის მიხედვით (1985), 1978 წელს გვინეაში, ხალხის სასახლეში მომხდარი ტრაგედია, როდესაც ორკესტრირებული მასობრივი ხოცვის და სუიციდის შედეგად 900 ადამიანი დაიღუპა, რევიტალიზაციის მოძრაობა იყო, რომელმაც, რეალურად, თავის აპოკალიფსს მიაღწია. შემდეგი მაგალითი, რომელმაც ზემოთ მოყვანილი ოთხივე საფეხური გაიარა, გვიჩვენებს თანამედროვე ისრაელში მესიანისტური მოძრაობის წარმოქმნას და რუტინიზირებას.

გუშ ემუნიმი – რევიტალიზაცია თანამედროვე ისრაელში

მაირონ არონოფის მიხედვით (1984ა: 63), გუშ ემუნიმი ("მორწმუნეთა ბლოკი") დაიწყო როგორც "სპონტანური, ქარიზმატული, ცუდად ორგანიზებული, ექსტრაპარლამენტული ზეწოლის ჯგუფი პოლიტიკური სისტემის საზღვრებში" და იქცა "ერთმანეთთან დაკავშირებული ინსტიტუტების კარგად ორგანიზებულ და ფუნქციურად დიფერენცირებულ ქსელად, რომელიც

თანამედროვე ეროვნულ დონეზე მმართველ ისტაბლიშმენტთან იქნა შერწყმული". გრძნობებზე დამყარებული რელიგიიდან რუტინიზირებულ, ნახევრად სეკულარულ პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმირება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ გუშ ემუნიმმა ქაოსურ და უიმედო სიტუციაში ახალი მიზნებით და მნიშვნელობებით არტიკულირება შეძლო.

როგორც არონოფმა აღწერა, იმ სუბკულტურის ჩარჩოს, საიდანაც შემდგომში გუშ ემუნიმი წარმოიშვა 1953 წელს სახელმწიფო რელიგიის სასკოლო სისტემის (რომელსაც ნაციონალური რელიგიური პარტია აკონტროლებდა) შექმნამ დაუდო საფუძველი. ფაქტობრივად, ყველა ლიდერი და მათი მხარდამჭერებიც უმაღლესი სკოლის, იეშივოტის, ამ სისტემიდან იყო გამოსული, რომელიც თავისთავში აერთიანებდა როგორც რელიგიურ, ასევე საერო სწავლებებს. ამ ჯგუფმა ისრაელში შექმნა რეალური სუბკულტურა, რომლის ყველა წევრიც მოქსოვილ არახჩინებს ატარებდა. დამფუძნებელი ლიდერები ყველანი იყვნენ უმაღლესი ***Yesivat Merkaz Harav***-ის კურსდამთავრებულები, რომელიც მათ სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ დაამთავრეს. ყველა მათგანი რაბინ ზვი იეჰუდა კუკის მიმდევრები იყვნენ, რომელიც საკუთარ თავს მამამისის სწავლებების ინტერპრეტატორად განიხილავდა. კუკზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მისტიურმა *კაბალამ*. მას თითქოს არ ჰქონდა ქარიზმატული ლიდერობისთვის საჭირო თვისებები. ძნელი იყო მისი გაგება და ხშირად ძლივს არტიკულირებდა, მაგრამ მისმა იდეებმა, გადამუშავებისა და ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკაში გატარების შემდეგ, საფუძველი ჩაუყარა ახალ სარწმუნოებას, რომელმაც მის ახალგაზრდა მიმდევრებს ძალა და ენერგია შთაბერა.

მართალია გუშ ემუნიმს სრულად არასდროს განუვითარებია იდეოლოგია, მაგრამ იგი ქადაგებდა ნეოსიონიზმის გარკვეულ სახეს, სიონიზმის ისტორიული ხედვისკენ ხელახალ დაბრუნებას, რაც ისრაელის სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად შესუსტდა. მანამდე არსებული წმინდა რწმენები სეკულარიზმმა შთანთქა. ამიტომ, ეს რწმენები ახალი რეალობიდან გამომდინარე ახლებურ ინტერპრეტირებას საჭიროებდა. ებრაელების მოვალეობა იყო "გაენთავისუფლებინათ" მათი წინაპრების ყველა მიწა. ამ ისტორიულად გარდაუვალი მისიის შესასრულებლად ებრაელებს უნდა გამოეყენებინათ ყველაფერი, რაც მათ წარსულში საგმირო, მოწონებული და მშვენიერი იყო. 1967 და 1973 წლებში ტერიტორიებისთვის წარმოებული ომები მოძრაობისთვის ამოსავალ წერტილად იქცა. დაუშვებელი იყო გამოსვლა რომელიმე ოკუპირებული ტერიტორიიდან, რაიმე სახით წმინდა მიწის რომელიმე ნაწილის შეწირვა.

გუშ ემუნიმს პოლიტიკაში გზა გაუხსნა 1973 წლის ოქტომბრის ქაოტურმა და მორალურად საეჭვო ომმა, რომელმაც მოსახლეობაში ფართო უნდობლობა და საყოველთაო ეჭვი წარმოშვა,

ხოლო მთავრობის მიმართ კი უნდობლობამ იჩინა თავი. ლიბერალური ლეიბორისტული პარტია, რომელიც ისრაელის პოლიტიკაში თითქმის სახელმწიფოს დაარსებიდანვე წამყვანი პარტია იყო, კონსერვატული ძალების მხრიდან დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. სწორედ ეჭვებისა და საერთო იმედგაცრუების ამ გარემოში დაიწყო გუშ ემუნიმმა საკუთარი აქტიური პროტესტი.

როგორც პოლიტიკურ ავანსცენაზე ახლად გამოჩენილი ძალა, მოძრაობა არ იყო შეზღუდული პოლიტიკური წესრიგის დადგენილი წესებით. ლიდერებს სწამდათ, რომ მათი მოვალეობა იყო ემოქმედათ ლეგალური სისტემის მიღმა. დემოკრატია მისაღები იყო იმდენად, რამდენადაც ის უნდა ჩამჯდარიყო სიონისტურ ჩარჩოში. გუშ ემუნიმმა განავითარა ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკანდახევის, გამოსვლის და ისრაელის მტრებთან თანხმობის მიღწევის პოლიტიკის საწინააღმდეგო პროტესტის მოდელი.

დემონსტრაციები, მასობრივი მიტინგებისა და მარშების ჩათვლით, ეწინააღმდეგებოდა როგორც კემპ დევიდის შეთანხმებას, ასევე ეგვიპტის პრეზიდენტის, ანვარ სადათის ისტორიულ ვიზიტს იერუსალიმში. “მოძრაობა სინადან გამოსვლის შესაჩერებლად” მოიცავდა მსვლელობებსა და მცდელობებს დაეარსებინათ დასახლებები ოკუპირებულ უდაბნოში. როდესაც მთავრობა გამოვიდა ეგვიპტისთვის სინაის დაბრუნების იდეით, გუშ ემუნიმის მიმდევრები შეცვივდნენ იქ მიტოვებულ სახლებში და ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს იქიდან მათ გამოყვანას. იმის გამო, რომ მსგავსმა ტაქტიკამ ებრაელთა უმრავლესობაში, რომლებსაც ეგვიპტესთან გაფორმებული პაქტი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებად მიაჩნდათ, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, გუშ ემუნიმმა “დევნილობის” პოლიტიკა დაიწყო. ამ პოლიტიკის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე, გოლანის მთებში და ღაზას სექტორში მომავალი დასახლებების გეგმის კვლავ გაგრძელება. დასახლებები იქცა ოკუპირებეული ტერიტორიების შენარჩუნების გზაზე უმთავრეს სტრატეგიად და გუშ ემუნიმის იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრინციპად. 1976 წელს დაარსდა ქვეორგანიზაცია “ამანა”, რომლის მიზანიც იყო ხელი შეეწყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასახლებების დაარსება-შენარჩუნებისთვის.

ამ მოქმედებებს ეწინააღმდეგებოდა ლეიბორისტული მთავრობა. თუმცა, 1977 წელს ლეიბორისტები ჩაანაცვლა კონსერვატიულმა ლიკუდის პარტიამ, რომელიც იზიარებდა გუშ ემუნიმის იდეოლოგიას და იმ ნაციონალურ რელიგიურ პარტიასთან იმყოფებოდა კავშირში, საიდანაც გუშ ემუნიმი თავდაპირველად წარმოიქმნა. გუშ ემუნიმივით მოაზროვნე და მისი ღირებულებების მქონე ძალის ხელისუფლებაში მოსვლით საფუძველი ჩაეყარა იმ საფეხურს, რასაც ყოფილი ოპოზიციური მოძრაობის რუტინიზირება ჰქვია. გუშ ემუნიმს ამიერიდან ხელი

მიუწვდებოდა ბევრ მინისტრსა თუ ქსენეთის წევრზე. რუტინიზირებასთან ერთად უცილობლად მოვიდოდა ბიუროკრატიზირებაც: სუსტად სტრუქტურირებული ჯგუფი ახლა უკვე სხვადასხვა სექციად დაიყო, რათა ხელი შეეწყოთ დასახლებების, ლობირების და პოლიტიკური პარტიული მოღვაწეობისთვის. გუშ ემუნიმი თანდათანობით ჩაჯდა ისრაელის საზოგადოების და პოლიტიკის ნორმალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებში.

არონოფი აღნიშნავს, რომ გუშ ემუნიმმა მოიცვა ათასწლეულის და მესიანისტური მოძრაობების ასპექტები (1984; 81). ამასთანავე, იგი ასკვნის, რომ "მსგავსი პოლიტიკურ-რელიგიური განახლების მოძრაობები შეიცავს თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული სისტემების სერიოზულ კრიტიკას. ისინი გვთავაზობენ იმ რეალობის დრამატულ ალტერნატიულ განსაზღვრებებს, კულტურული მნიშვნელობის სიმბოლურ სისტემებს და პოლიტიკური დღის წესრიგს, რომლითაც მათ სურთ არსებულის ჩანაცვლება."

ორმოცდათიანელობა და ანტიმეხსიერება მალავიში

ორმოცდათიანელობის (იგივეა, რაც ტერმინი „პენტეკოსტალიზმი" - ერთ-ერთი მიმდინარეობა ქრისტიანულ რელიგიაში - ს.დ.) შესწავლა, თავისთავად, იქცა კროსკულტურულ დისციპლინად, რომელიც ახლო კავშირშია პოსტმოდერნიზმთან და ბევრ მის იდეას იზიარებს, მათ შორის: გრანდიოზული თეორიების ან მეტანარატივების უარყოფა, სუბიექტივიზმით დაინტერესება, მეხსიერების შემოქმედებით კონსტრუირებაზე ხაზგასმა და კულტურის დისკურსულ ასპექტებზე ფოკუსირება (იხილე მეათე თავი). პოსტკოლონიურ აფრიკაში რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა ტრადიციების გამოგონების მიდგომაზე, როდესაც ისტორიული მეხსიერება შერჩევითი ხასიათის და წარმოსახვით კონსტრუირებულია, რათა ხელი შეუწყოს პოსტკოლონიური მთავრობების ლეგიტიმურობის დამკვიდრებას და სასოფლო ტრადიციონალიზმიდან ურბანულ მოდერნულობაზე გადასვლას. რიჯიკ ვან დიჯკის (1998) მიერ ქრისტიანული ორმოცდათიანელობის (პენტეკოსტალიზმის) ანალიზი მალავიში ამ ხაზის საწინააღმდეგოა, წარმოაჩენს რა რელიგიას, როგორც წინააღმდეგობის ფორმას, რომელიც მიმართულია ისტორიის მსგავსი ლეგიტიმაციის მიზნით გამოყენების საწინააღმდეგოდ.

1989 დენის ტემბო, *Abadwa Mwatsopano*-ს პენტეკოსტალური მოძრაობის *Living Waters Church* (მაცოცხლებელი წყლის ეკლესიის) მღვდელი პრეზიდენტ ჰასტინგს ბანდას დიქტატორულმა ხელისუფლებამ დააპატიმრა და უსაფრთხოების ხელმძღვანელობასთან შესახვედრად წაიყვანა. მისდა გასაოცრად, ცემისა და დაპატიმრების ნაცვლად, მას ღამე გაათევინეს მშვენიერ საწოლში, ხოლო მეორე დღეს კი სახლში დააბრუნეს. რამდენიმე კვირის მანძილზე მას მუდმივად ჩუქნიდნენ მდიდრულ საჩუქრებს. ნელ-ნელა მისთვის ცნობილი გახდა, რომ მასზე საკუთარი ქალიშვილის დაქორწინება სურდა ერთ-ერთ თანამდებობის პირს. ამგვარი გარიგებული ქორწინებები მალავიში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ტემბო წინააღმდეგი წავიდა. უფროსი ასაკის ნათესავების გვერდის ავლით, მან რჩევა სთხოვა მისი ეკლესიის ლიდერს, რომელმაც ურჩია, უარი ეთქვა დაქორწინებაზე, უკან დაებრუნებინა საჩუქრები და წასულიყო იმ ადგილებიდან მანამ, სანამ მისი ქმედებები დავიწყებას არ მიეცემოდა. ტემბო ზედმიწევნით მიჰყვა მისი მენტორის რჩევას.

ეს მცირე სოციალური დრამა აღსავსეა იმ მნიშვნელობით, რაც მხოლოდ თანამედროვე მალავის პოლიტიკისა და რელიგიის კონტექსტიდან გამომდინარე თუ იქნება გააზრებული. როდესაც ბანდა 1966 წელს პრეზიდენტი გახდა, მან გადაწყვიტა საკუთარი უკიდურესად კორუფციული ხელისუფლებისთვის კულტურული და ისტორიული საფუძვლები შეექმნა. ბანდამ ამის მიღწევა ეროვნული რიტუალების აღნიშვნით სცადა და მიზნად დაისახა ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანება, ნაციონალური ენის შემოღება, ქალის ხაზით ნათესაობის გადაცემასა და მკაცრ ასაკობრივ იერარქიაზე (რომლის დროსაც უმცროსი თაობა ულაპარაკოდ ემორჩილება უფროს თაობას) დაფუძნებული წინარეკოლონიური პოლიტიკური კულტურის აღორძინება. ამ მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა ქორწინებას, რადგან ქალის ხაზით ნათესაობის გადასვლის პირობებში, ახალგაზრდა კაცი ვალდებული იყო ეხადა პატარძლის საფასური თავისი ცოლის სანათესაოს სასარგებლოდ მუშაობით. მას მრავალი ვალდებულება ეკისრებოდა სოფლის საზოგადოებისა და ადგილობრივი მეთაურების მიმართაც. ეს სტრუქტურა და ღირებულებათა მოცემული ქსელი ეროვნულ დონეზე იქნა გატარებული, რამაც ბანდას და მის მთავრობას ის ძალაუფლება და ავტორიტეტი შემატა, რითაც მანამდე სოფლის უხუცესები სარგებლობდნენ. ქვეყნის ახალგაზრდობა, რომელთა დიდი ნაწილი კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგაც, ნელ-ნელა დაშორდა საკუთარ კულტურულ იდეალებს, ორ დიდ სამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა: მილიტარისტული ტიპის მალავის ახალგაზრდა პიონერები და მალავის ახალგაზრდობის ლიგა. 1980-იანი წლების ბოლოსთვის "მალავი გადაიქცა აფრიკის

კონტინენტზე ერთ-ერთ ყველაზე მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება ინფორმატორების მთელი ქსელის, სატრეინინგო ბანაკების, მასწავლებლების, საგზაო ბლოკირებების, საკონტროლო პუნქტებისა და პარტიული წევრობის მეშვეობით ცხვირს ყოფდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში" (Van Dijk, 1988: 173). ოფიციალურად სანქცირებულმა რელიგიამ აიტაცა ბანდას იდეები, მათ შორის ინგლისელი კოლონიზატორების მიერ გავრცელებული მისიონერობის კონტროლიც.

მხოლოდ ამ კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ტემბოს აჯანყების სრულად გააზრება. *Abadwa Mwatsopano* („ადაბვა მვატსოპანო" სიტყვა სიტყვით ნიშნავს "ხელახლა დაბადებას") დიდ ყურადღებას აქცევდა აწმყოსა და მომავალს და უარყოფდა ბანდას ნაციონალისტურ ისტორიებს. "ხელახლა დაბადების" ინტენსიურ პროცესში ახალგაზრდობა ეფექტურად ჩამოაშორებს ისტორიასა და კულტურას. მათი გაგებით, წარსული აღარ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ ორი დრო – აწმყო და მომავალი, ეს უკანასკნელი კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე მიგვიყვანდა. არა მხოლოდ ისტორიასა და კულტურისგან ხდებოდა გამიჯვნა, არამედ ასევე, ოჯახის, თემის და სანათესაოსგანაც. როგორც ახალგაზრდა ადამიანების მოძრაობა, იგი მიზნად ისახავდა ტრადიციულად არსებული ასაკობრივი იერარქიის და უხუცესებისადმი უპირობო მორჩილების მოსპობას. ლოცვის მაქსიმალური ემოციურობის ცენტრალური ელემენტი – "ენებით საუბარი" - ემსახურებოდა ახალი საზღვრების შექმნას ადამიანის გარშემო, მიჯნავდა რა მას უფრო ფართო მსოფლიოსგან და მჭიდროდ აახლოვებდა მსგავსი გამოცდილების მქონე სხვა პიროვნებებთან. მალავიში, რომელიც მსოფლიოს 10 ყველაზე ღარიბი ქვეყნიდან ერთ-ერთი იყო, ახალგაზრდობას განათლების მიღების, სამუშაოს შოვნის ან თუნდაც ჯანმრთელობისთვის საჭირო თანხების გადახდის ნაკლები შანსები ჰქონდა. დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის სიმჭიდროვე მეტისმეტად მაღალია და ქვეყანა მუდმივ განხეთქილებებშია ჩაფლული. *Abadwa Mwatsopano* კი ამ უიმედო მსოფლიოს პირობებში ადამიანებს დაცვით მექანიზმებს სთავაზობს.

ტემბოს მიერ მთავრობის თანამდებობის პირის ქალიშვილის ცოლად მოყვანაზე უარის თქმა, ამგვარად, წმინდა პოლიტიკური ქმედება იყო, რადგან ამით იგი, რეალურად, უარყოფდა ხელისუფლების მიერ ასეთი მონდომებით, ათწლეულების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის შედეგად დამკვიდრებულ მთელ რიგ კულტურულ და ისტორიულ სტრუქტურებს.

დევიანტური რელიგიის ადაპტაციური უნარი პერუში

რელიგია, არცთუ იშვიათად, რეაქციულ და კონსერვატიულ ძალადაა მიჩნეული. რევიტალიზაციის მოძრაობები ხშირად იხედებიან უკან, გარკვეული იდეალიზირებული წარსულისკენ. თუმცა, მას ასევე შეიძლება ჰქონდეს მძლავრი ადაპტაციური ფუნქცია და სწრაფი ცვლილებების პერიოდში საზოგადოების რესტრუქტურიზებას შეუწყოს ხელი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ფუნქცია უმთავრესია, რადგან რელიგიას არც დომინანტური ძალის ლეგიტიმირება შეუძლია და არც მისი შეწინააღმდეგება. ასე იყო ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ სენეკას ტომში გავრცელებული მომხიბვლელი ლეიკის რელიგიის შემთხვევაში. მეშვიდე დღის ადვენტიზმი ქრისტიანობის ფუნდამენტალისტური დენომინაციაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიულია (სხვა ფუნდამენტალისტური ჯგუფებისგან მისი ძირითადი განმასხვავებელია ის, რომ იგი კვირის ნაცვლად შაბათ დღეს იცავს, როგორც წმინდა დღეს). თუმცა, პერუს მთიანეთში გავრცელების შემდეგ მოცემული რელიგია რადიკალურად ახალი პირობებისადმი ადაპტაციის მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა.

პერუში, ტიტიკაკას რეგიონში, სოქას თემში მცხოვრები აიმარას ინდიელების მისიონერიზება პირველად 1915 წელს სცადეს მეშვიდე დღის ადვენტისტებმა. ამ პერიოდისთვის აიმარელი ინდიელების უდიდესი ნაწილი საკუთარი, ტრადიციული დედამიწა-დედის რელიგიის მიმდევარი იყო (მათ კათოლიციზმიდან ჰქონდათ შეთვისებული მცირე რაოდენობის წმინდანების და ღვთისმშობლის კულტი, რომლებიც დაემატნენ ადგილობრივ წმინდანთა პანთეონს; ასევე, ფიესტას სისტემა, რომელიც დიდწილად ცეკვისა და დათრობისგან შედგებოდა და წელიწადში ერთხელ, რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდებოდა). აიმარელები ეკონომიკურად დამოუკიდებლები იყვნენ, საუბრობდნენ ერთ ენაზე, მესტიცოს ექსპლოატატორთა კლასთან გაწყვეტილი ჰქონდათ თითქმის ყოველგვარი შეხება, გარდა ზედაპირული საბაზრო ურთიერთობებისა. მეშვიდე დღის ადვენტისტებმა მრავალწლიანი მცდელობების შემდეგ, ერთ-ერთ პატარა სოფელში მოახერხეს მისიის დაარსება და დაიწყეს საკუთარი რელიგიის, როგორც კარგად შეფუთული სისტემის შეთავაზება: ჯანმრთელობა, განათლება და იესო – სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით. ჩვეულებრივი თეორიისგან განსხვავებით, ეს იყო არა კულტურული, არამედ უფრო მეტად კულტურაზე ორიენტირებული დევიანტიზმი. ხშირად, თემის ლიდერებს სურდათ შეთავაზებული პაკეტის მოსინჯვა, რაც პრაქტიკულად, ნიშნავდა ალკოჰოლისგან თავის შეკავებას, გარკვეული დოზით თანამედროვე სამედიცინო მომსახურების მიღებას და საკმარის განათლებას

იმისთვის, რომ შესძლებოდათ ბიბლიის და საეკლესიო ჰიმნების კრებულის ესპანურად წაკითხვა. ტიტიკაკას ტბის ჩრდილოეთით, სადაც წერა-კითხვის გავრცელება საფრთხეს უქმნიდა ჰასიენდას სისტემას, ხშირი იყო ადვენტისტური ეკლესიების გადაწვა და მათზე თავდასხმა. თუმცა, ყველაზე უარესი, რაც ტბის მახლობელ რეგიონში მცხოვრებ ადვენტისტებს დაემართათ ის იყო, რომ ერთხელაც ისინი სცემეს და დაათვრეს. ზოგადად, მათ მიმართ განხორციელებული დევნა გულისხმობდა ფიესტის პერიოდში ადვენტისტების მოტაცებას და იძულების წესით მათთვის პირში სასმელის ჩასხმას მანამ, სანამ არ დაათრობდნენ. მართალია, სასჯელი შედარებით ზომიერი იყო, მაგრამ მას მუდმივი ხასიათი მიეცა; ადვენტისტების მცირე ჯგუფი ოსტრაკიზირებულ (ოსტრაკიზმო ბერძნული სიტყვაა და გულისხმობს განკვეთას, ს.დ.) იქნა, ხოლო მათმა ფორმალურმა ლიდერებმა კი მთლიანად დაკარგეს ავტორიტეტი. მსგავსი სიტუაცია დაახლოებით 40 წლის მანძილზე გრძელდებოდა.

იმ დროისთვის პოლიტიკური სისტემა აილუს ეფუძნებოდა (აილუს სისტემა ჩვენ მეორე თავში განვიხილეთ). საუკუნეების მანძილზე აილუ იმდენად თავისუფლად სტრუქტურირებული იყო, რომ წლის განმავლობაში ბევრი მათგანი ხშირად ერთიანდებოდა უამრავი სხვადასხვა დღესასწაულის აღსანიშნავად. ეს დღესასწაულები (ფიესტები), ერთის მხრივ, ხელს უწყობდა ლიდერების წარმოჩენას (სპონსორობის მეშვეობით), მეორეს მხრივ კი - ეს იყო ერთიან სოციალურ პოლიტიკურ ჯგუფად გაერთიანების მიზეზიც. თუმცა, 1950-იანი წლების დასწყისში, როდესაც დაიწყო მოსახლეობის ზრდა და იკლო ფერმერობის მეშვეობით არსებობის შენარჩუნებისთვის საკმარისი მოსავლის მოყვანის ალბათობამ, ფიესტის სისტემის შენარჩუნება, მისი სიძვირიდან გამომდინარე, ძალიან გართულდა. 1955 წელს ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა აილუს სისტემა თემზე დაფუძნებული პოლიტიკური სტრუქტურით ჩაენაცვლებინა, რომელიც დაკომპლექტდებოდა მერის, ვიცე მერისა და მოადგილეებისგან. რადიკალურმა ცვლილებებმა, რომელთა მიზანიც დემოკრატიული რეფორმების განხორციელება იყო, ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. ეს შედეგები ხელს აძლევდა კუნძულზე მცხოვრებ მეშვიდე დღის ადვენტისტებს. პირველი, იმის გამო, რომ მერი პირდაპირ პასუხისმგებელი იყო პროვინციის მმართველის წინაშე, ხოლო ვიცე მერი კი რეგიონული არმიის წარმომადგენლის წინაშე - სოქასა და მეტისებს შორის ფორმალური კავშირების დაწესება მოხდა. მეორე, აილუს დასასრული, რომელსაც აერთიანებდა კათოლიკური ფიესტას სისტემა, ნიშნავდა საუკუნეების მანძილზე პირველად, ადგილობრივი ხელისუფლების სეკულარიზებას. მეშვიდე დღის ადვენტისტები, რომლებიც სამი თაობის მანძილზე იდევნებოდნენ და განკვეთილებიც იყვნენ, მთელი ამ ხნის განმავლობაში კვლავაც

განაგრძობდნენ საკუთარი წევრებისთვის განათლების მიცემას. თემში მხოლოდ მათ შეეძლოთ ესპანურ ენაზე წერა და კითხვა. იმდენად, რამდენადაც ისინი საკუთარი რელიგიის სწავლების უფლების მოსაპოვებლად თვით ლიმას სამთავრობო დარბაზებამდეც კი არ ერიდებოდნენ მისვლას, მათ ეროვნულ დონეზე ბიუროკრატიულ აპარატთან ურთიერთობის გამოცდილებაც შეიძინეს. ბუნებრივია, ყოველივე აქედან გამომდინარე, ადვენტისტებმა ადვილად მოახერხეს სოქას მთავრობაში როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ძალაუფლების მოპოვება. სასოფლო ტიპის ეკონომიკიდან ფულადი ტიპის ეკონომიკაზე გადასვლის ამ ტრანზიტულ პერიოდში, უნიკალურმა უნარმა საშუალება მისცა მათ ემოქმედათ, როგორც კულტურის მატარებლებს. ადვენტისტებს პერუს ალტიპლანოს მასშტაბით უამრავ თემში პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლია ჰქონდათ. იქიდან გამომდინარე, რომ ადვენტისტების სკოლები სჯობდა საჯარო სკოლებს, განათლების სისტემაზე დაფუძნებული ძალაუფლება მათ, სავარაუდოდ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეუნარჩუნდებოდათ (Lewellen 1978, 1979).

აიმარას კვლევამ ცხადყო, თუ როგორ შეუძლია ისეთ დევიანტურ რელიგიას, როგორიცაა პროტესტანტიზმი, ტრადიციულ კათოლიკურ საზოგადოებაში ადაპტაციისთვის აუცილებელი ცვლილებების საფუძვლის შემზადება.

რეკომენდებული ლიტერატურა

Religion, State, and Society (New York: University Press of America, 1993). იკვლევს ურთიერთობებს ქრისტიანულ პენტეკოსტალიზმსა და ნიგერიის სახელმწიფოს შორის. ხაზგასმა ხდება იმაზე, თუ რელიგია და სახელმწიფო როგორ ერგებიან დემოკრატიისა და სამშობლოს მოთხოვნებს კონფლიქტისა და სიმბიოზის მეშვეობით.

Aronoff, Myron J. Religion and Politics: Political Anthropology, Vol. 3 (New Brunswick, N. J.: Transaction Books, 1984) თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებებში რელიგიის როლის შესახებ შედგენილი მცირე მოცულობის კრებული. მოცემული ხუთი სტატიიდან ოთხი შუა აღმოსავლეთს ეხება. მეხუთე სტატია კი აშშ პოლიტიკურ ტრადიციაში ბიბლიის გამოყენების ისტორიულ შესწავლას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ორი შესავლის ტიპის მიმოხილვითი ესე, რომელთაგან ერთ-ერთი წიგნის რედაქტორს, არონოფს ეკუთვნის, ხოლო მეორე კი სოციოლოგ ირვინგ ჰერსკოვიტს, ძალიან მოკლეა და ნაკლებად გვთავაზობს რაიმე ახალ ხედვას.

Kertzer, David. Ritual, Politics, and Power (New Haven, Conn.: Yale University Press, 1988). კერცერისთვის პოლიტიკური ადამიანი რაციონალურ არგუმენტებსა და ობიექტურ ფაქტებზე მეტად სიმბოლიზმს უფრო პასუხობს. რიტუალი არის ის, რაც აერთიანებს სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს. ავტორი გვთავაზობს ძალიან კარგად საკითხავ და დეტალურ აღწერას პოლიტიკური რიტუალებისა

აცტეკებიდან დაწყებული ამერიკის შეერთებულ შტატებამდე. ყურადღება გამახვილებულია საერო რიტუალებზე; თუმცა, აშკარა ხდება, რომ სულაც არაა ადვილი საერო და სასულიერო სფეროების ერთმანეთისგან განსხვავება.

Packard, Randall M. Chiefship and Cosmology: An Historical Study of Political Competition (Bloomington: Indiana University Press, 1981). მიდლტონის მიერ შემოთავაზებული სინქრონული ანალიზისგან განსხვავებით, მოცემული კვლევა, რომელიც ზაირში მაცხოვრებელი ბაშუს ტომების რელიგიასა და პოლიტიკას ეხება, პროცესუალური მიდგომის მაგალითია. ავტორი არა მხოლოდ გვიჩვენებს დღევანდელი პერიოდის ბელადების რიტუალურ ფუნქციებს, არამედ უკანასკნელი საუკუნე ნახევრის მაძილზე გავრცელებულ ისტორიულ ადაპტაციებსაც მიმოიხილავს.

Wallace, Anthony F. C. The Death and Rebirth of the Seneca (New York: Vintage, 1972). იროკეზებში გავრცელებული მომხიბვლელი ლეიკის მოძრაობის დეტალური აღწერა, რომელიც წარმოადგენდა წინასწარმეტყველ სენეკას ხედვებზე დამყარებულ რევიტალიზაციის მოძრაობას. უოლესი ღრმად შეისწავლის მოცემული პერიოდის რეზერვაციის კულტურას და რელიგიის გავრცელებისა და ზრდის დინამიკას.

Werbner, Richard, ed. Memory and Postcolony: African Anthropology and the Critique of Power (London: Zed, 1998) სამხრეთ აფრიკის შესახებ დაწერილი მოცემული რვა სტატიიდან, ბოლო სამი სტატია ფოკუსირდება პენტეკოსტალურ მოძრაობებზე და წარმოაჩენს როგორც ლეგიტიმიზაციის, ასევე წინააღმდეგობის ასპექტებს. ნაშრომში მთავარი ყურადება მეხსიერების კონსტრუირებისა და მისი გამოყენების გზებზეა გამახვილებული.

თავი 5

სტრუქტურა და პროცესი

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ბრიტანელი სტრუქტურულ-ფუნქციონალისტები ხშირად უგულებელყოფდნენ იმ აფრიკული საზოგადოებების კოლონიურ კონტექსტს, რომლებსაც თავად სწავლობდნენ. სურათზე გამოსახულია ადგილობრივი მეფე, რომელსაც კოლონისტების სამსახურში მყოფი ადგილობრივი ჯარისკაცები ამათრახებენ (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას)

“სტრუქტურა შეიძლება დაინგრეს, მაგრამ ადამიანები გადარჩნენ” – წერდა ფ. ჯ. ბეილი 1968 წელს. ეს შეიძლება მართლაც გამაცოცხლებელი ძახილივით ყოფილიყო პოლიტიკური ანთროპოლოგების მთელი თაობისთვის, ვინც 1950-იანებსა და 1960-იანებში ნორმების, ღირებულებების და სოციალური სტრუქტურების შესწავლიდან ყურადღება შეჯიბრზე, კონფლიქტზე, ისტორიაზე და ცვლილებებზე გადაიტანა. ასე მძლავრად და შეგნებულად უარყოფილი პარადიგმა ა. რ. რედკლიფ – ბრაუნის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი იყო, რომელიც 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე დომინირებდა ბრიტანულ ანთროპოლოგიაში. იმის გამო, რომ ახალი პოლიტიკური ანთროპოლოგია დიდწილად ამ თეორიულ ორიენტაციაზე რეაქციას წარმოადგენს, ნამდვილად ღირს მისთვის კრიტიკულად თვალის გადავლება.

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი

ვინმეს რომ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის არსის მხოლოდ ოთხ სიტყვამდე ან ფრაზამდე დაყვანა მოუწიოს, ეს სიტყვები/ფრაზები იქნებოდა: სინქრონული, ტელეოლოგიური, აფრიკა და ჩაკეტილი სისტემები. ტერმინი - “სინქრონული”, ვებსეტერის მიერ განმარტებულია, როგორც “ის, რაც შეზღუდული დროის პერიოდში არსებული კომპლექსური მოვლენების შესწავლითაა დაკავებული და უარყოფს ისტორიულ წარსულს”. ეს ის განმარტებაა, რომელსაც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის კრიტიკოსები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი მუდამ იმას ჩივიან, რომ საზოგადოებები ამოგლიჯეს მათი ისტორიული კონტექსტიდან და განიხილეს, როგორც ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელად არსებულნი. რეალურად, ადრეული

პოლიტიკური ანთროპოლოგები საზოგადოებებს ნაკლებად ხატავდნენ, როგორც მეტისმეტად სტაბილურ და უცვლელ ფენომენს (თუმცა, მათი ანალიზის მეთოდიდან მსგავი დასკვნის გამოტანა სრულიად შესაძლებელი იყო). ისინი ცდილობდნენ საზოგადოებები აესახათ თითქოს დროის მიღმა არსებულები, ისე როგორც ფოტოგრაფი იჭერს კადრს და ამით სრულიადაც არ უარყოფს წარმავალ, დროებით პროცესებს. ამასთან ერთად, ისევე როგორც ფოტოგრაფს შეუძლია ასახოს მოძრაობის დიდი ნაწილი მომავალშიც და წარსულშიც, სტრუქტურულ ფუნქციონალისტებსაც შეუძლიათ გადაჭრან მათი საკვლევი ჩარჩოს ფარგლებში არსებული ნებისმიერი ტიპის კონფლიქტი და დაძაბულობა.

ეს მკვლევრები შეიძლება შევადაროთ პერსონალს, რომლებიც აანალიზებენ საჰაერო ფოტოგრაფიას - ისინი ცდილობენ გადმოხედონ საზოგადოებას ზემოდან, მთლიანობაში და მოხაზონ საზოგადოების სხვადასხვა ქვესისტემას შორის არსებული ურთიერთკავშირები, მათ შორის ნათესაობა, ქორწინება, რელიგია, პოლიტიკა და ასე შემდეგ. საზოგადოება, თავისთავად, განიხილებოდა არა მხოლოდ დროის მიღმა არსებულად, არამედ სივრცეში იზოლირებულადაც. მიუხედავად იმისა, რომ საბელადოები ან ტომები შეიძლება არსებობდეს ერი-სახელმწიფოს ფარგლებში, ისინი მაინც განიხილება, როგორც თავისთავადი, უფრო ფართო გარემო პირობებისგან შედარებით დამოუკიდებლად არსებული. ეს იგივეა, რაც ჩაკეტილი სისტემა საკუთარი კულტურით, საკუთარი ღირებულებებით და მორგების საკუთარი მექანიზმებით.

მყისვე წარმოიშვება კითხვა: მორგება რაზე? სტრუქტურულ ფუნქციონალისტებს პასუხი მზად აქვთ: მორგება მთელის წონასწორობასთან. ინსტიტუტები არაა სტატიკური. საზოგადოების შიგნით ისინი მუდმივ ცვლილებებს განიცდიან – იქმნება ახალი და იშლება ძველი პატარ-პატარა ჯგუფები, დგება ალიანსები, ხდება დარბევები და ბრძოლები – მაგრამ ეს ყველაფერი ინტერპრეტირდება, როგორც მთლიანობასთან ინტეგრაციის ხელისშემწყობი ქმედებები. ამგვარად, ნებისმიერი კონკრეტული ინსტიტუტი ანალიზირდებოდა იმ კუთხით, თუ რა წვლილი შეჰქონდა მას უფრო დიდი სისტემის გადარჩენის საქმეში. ამ მხრივ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მიზეზ-შედეგობრიობა არისტოტელესეული მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპის საპირისპირო მხარე იყო: ხატოვნად რომ ვთქვათ, ბიძგის მიცემა გვერდიდან კი არ ხდებოდა, არამედ წინიდან. რელიგიური რიტუალი შესაძლებელია აიხსნას არა მისი ისტორიული განვითარების კუთხით, არამედ მისი ფუნქციონირების მიზნიდან გამომდინარე, რითაც, საბოლოო ჯამში, სოციოეტალური წონასწორობის შენარჩუნება ხორციელდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ინსტიტუტები და მოქმედებები ანალიზდებოდა ტელეოლოგიურად. ეს არის ის, რისკენაც სტრუქტურული

ფუნქციონალისტები მიისწრაფოდნენ. რა თქმა უნდა, მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ თავად ადამიანები საკუთარი ქმედებების ასახსნელად სრულიად სხვა მიზეზებს დაასახელებდნენ; თუმცა ეს აშკარა და გაცხადებული ფუნქციები, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი და ხშირად კარგად დამახსოვრებადიც იყო, ანალიტიკური კუთხით ნაკლებად საინტერესოა. ანთროპოლოგს ბევრად უფრო მეტად აინტერესებს ის ლატენტური ფუნქციები, რომელიც თავად პიროვნებას არ აქვს გაცნობიერებული და რომლის განსაზღვრაც მხოლოდ სისტემაზე, როგორც ერთ მთლიანობაზე დაკვირვების შედეგადაა შესაძლებელი (ისევე როგორც, მაგალითად, თირკმლის, როგორც ცალკეული ორგანოს, ფუნქციონირება შეიძლება გააზრებულ იქნეს მთელი სხეულის გამართულ ფუნქციონირებასთან კავშირში).

მოცემული პარადიგმის ასე ხანგრძლივად შენარჩუნების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რეალურად, ყველა საველე სამუშაო ჩატარდა აფრიკაში, რომელიც ბრიტანული კოლონიალიზმის ქვეშ იმყოფებოდა. აქ კულტურები ენობრივი ბარიერისგან, განსხვავებული კულტურული მოდელებისგან და ბრიტანელი ადმინისტრატორებისგან შემდგარი მმართველი კლასის პატერნალისტური ცრურწმენებისგან განცალკავებით იდგა. ასევე, არსებობდა ტენდენცია, რომ საველე სამუშაოებისთვის მოეძებნათ უფრო ტიპური სოფლები – ისეთები, რომლებსაც ყველაზე მეტად ჰქონდათ შემორჩენილი ტრადიციული სახე - და შემდეგ, მათი მეშვეობით მომხდარიყო მთელი ენობრივი ჯგუფის წარმოდგენა. ბუნებრივია, მსგავსი მიდგომის შედეგად კულტურული განსხვავებულობა მინიმუმამდე დაიყვანებოდა.

ყველა ეს ელემენტი აშკარად თუ ფარულად, წარმოჩენილია ე. ე. ევანს-პრიტჩარდის კლასიკურ ნაშრომში “ნუერები” *(The Nuer, 1940)*. ნაშრომის, მათ შორის იმ თავის, რომელიც პოლიტიკურ სისტემებს შეეხებოდა, უმთავრეს მიზანს შეადგენდა ჩვენება იმისა, თუ 200 000 ადამიანისგან შემდგარ საზოგადოებას, თითქმის მუდმივი ბრძოლების და რაიმე სახის ცენტრალიზებული ხელისუფლების არ არსებობის ფონზე, როგორ შეეძლო წონასწორობის შენარჩუნება. რედკლიფ-ბრაუნისეული ახსნა, რომელიც ეფუძნებოდა დამატებითი ოპოზიციის კონცეფციას (განხილულია მესამე თავში), გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შენარჩუნდეს მთელის წონასწორობა - არა დაპირისპირებული მხარეების არსებობის მიუხედავად, არამედ სწორედ მათი არსებობის შედეგად.

შემთხვევითი არაა, რომ სტრუქტურულ ფუნქციონალიზმზე უარის თქმა თითქმის პირდაპირ კავშირშია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანულ კოლონიალიზმზე უარის თქმასთან. სინქრონულ მიდგომას ფოტოგრაფირებისას სიმშვიდე და სინათლე სჭირდება.

გამოსახულება თანდა0თანობით ბუნდოვანდება, როდესაც მოქმედება მეტისმეტად ქაოტური ხდება, ან ფოკუსში ზედმეტად ბევრი დაჯგუფება ხვდება. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უარყოფა საკმაოდ რბილად დაიწყო, თუმცა ეს პროცესი სწრაფად იქცა ლამის რევოლუციად, რომელიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდა. კრიტიკის დიდი ნაწილი ამჟამად უკვე სრულიად ცხადია: საზოგადოებები არ იმყოფებიან წონასწორობის მდგომარეობაში, ტელეოლოგიური არგუმენტები არ არის მეცნიერული ხასიათის; არცერთი საზოგადოება არაა იზოლირებული იმ გარემოსგან, რაც გარს არტყია; საზოგადოებები არ არიან ჰომოგენურები; და ბოლოს, კოლონიური აფრიკა არ არის მთელი მსოფლიო. სტრუქტურულ - ფუნქციონალიზმს და ზოგადად, მთელ ბრიტანულ ანთროპოლოგიას ბრალად დასდეს კოლონიალიზმის მსახურობა. თუმცა, ყველაზე ქმედითი კრიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თეორია, უბრალოდ, რუტინიზირდა და მარტივი თამაშის დონეზე დეგენირების საფრთხის წინაშე დადგა. ლამის შესაძლებელი გახდა ბრძნული გამომეტყველებით იმის აღნიშვნა, რომ რელიგიური რიტუალი, თურმე, აერთიანებდა ადამიანებს და ამით, შესაბამისად, ხდებოდა სოციალური წონასწორობის შენარჩუნება.

ყველა მსგავსი კრიტიკა უკვე გამართლებულია – პროცესმა ნამდვილად გაიმარჯვა წონასწორობაზე. თუმცა გამარჯვებულის პოზიციიდან შესაძლებელია უკან გახედვა და დამარცხებულ მოწინააღმდეგეში იმ ზოგიერთი დასაფასებელი თვისების აღმოჩენა, რისი დანახვაც ბრძოლის ბუღში შეუძლებელი იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან ისეთი ნაშრომები, როგორიცაა მაგალითად “ნუერების ტომი”, ბრწყინვალე ბრილიანტია, რომელშიც საინტერესო ანალიზია ნაჩვენები. სტრუქტურული ფუნქციონალისტების მიერ დახატული მთელი საზოგადოებების იდეალიზირებული პორტრეტები ძალიან წააგავს იმ სურათებს, რასაც ახლა პოლიტიკურ კულტურას უწოდებენ – ღირებულებებისა და ურთიერთქმედებების ქსელი ახლოს დგას პოლიტიკური ანთროპოლოგიის სიმბოლისტურ სკოლასთან. ამ სკოლისთვის კულტურა, ისევე როგორც პოლიტიკა, არაცნობიერი სიმბოლოების მომცველ მძლავრ ქსელად აღიქმება. ეს სიმბოლოები აყალიბებენ წყობას, რომელშიც პოლიტიკური მოქმედება ვითარდება. მსგავს ხედვას რაც დაემატა, ეს არის ხაზგასმა იმ საშუალებებზე, რომლითაც ინდივიდუალური აქტორების მიერ სიმბოლოების გამოყენება და ამ სიმბოლოებით მანიპულირება ხდება. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უარყოფის გზაზეც კი, ახალი, პროცესზე დაფუძნებული სკოლის ერთ-ერთი პიონერი, ფ. ჯ. ბეილი (1960: 240) აუცილებლად მიიჩნევს გააფრთხილოს საკუთარი კოლეგები: “არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმას, რომ იმ ამოსავალი წერტილების გარეშე, რომელიც სტატიკური

სტრუქტურული ანალიზის შედეგად გვაქვს მოცემული, ჩვენ არ გვექნებოდა საშუალება აღგვეწერა ის ცვლილებები, რომლებიც ახლა ხორციელდება".

ლატენტური ფუნქციების იდეაც პრაქტიკულად სრულად იქნა დაძლეული ეკოლოგიური ანთროპოლოგების მიერ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებები არაცნობიერ დონეზე ცდილობდნენ ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას. ტელეოლოგია, რომელიც ოდესღაც მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე ტაბუდადებული სიტყვა იყო, შეერწყა ბიოლოგიას და ფიზიკას და ზოგადი სისტემური თეორიის სახით სოციალურ მეცნიერებებში გადაინაცვლა. აქ მიზნის წარმართვა უმთავრეს ძალად განიხილებოდა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეებზე. ზოგადმა სისტემურმა თეორიამ საზღვრების კონცეფციასაც მისცა ბიძგი - სოციალური სისტემის განმსაზღვრელ თვისებას, რომელიც გარედან წამოსული "წვლილის" (input) ფილტრაციას ან ბლოკირებას ახდენს. სისტემის შესანარჩუნებლად მოცემულ საზღვრებში მუდმივად მიმდინარეობს მორგების პროცესი, თუმცა საზღვრები, თავისთავად, შესაძლოა ხანგრძლივი დროის მანძილზე დარჩეს სტაბილურად. ამგვარად, შედარებით ჩაკეტილი სისტემებისთვის ზოგადი სისტემური კონცეფციის გამოყენების შემთხვევაში ბევრს ვერაფერს მივიღებთ სტრუქტურული ფუნქციონალიზმისგან განსხვავებულს. მიუხედავად იმისა, რომ პროცესუალური მიდგომის უპირატესობის უარყოფა არ შეიძლება – თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მიზანი უფრო ფართოა, ხოლო ანალიტიკური მეთოდები კი ბევრად უფრო მრავალფეროვანი – საზოგადოებაში მართლაც არის რაღაც განგრძობითობა - ის, რაც საფუძველს წარმოშობს ცვლილებებისთვის. სტრუქტურულ ფუნქციონალიტებს მათეული ხედვებით სწორედ მსგავსი რამის აღწერა შეეძლოთ.

პროცესუალური მიდგომა

ამ გადმოსახედიდან ადვილია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წინააღმდეგ დაწყებულ რეაქციაში მეტისმეტად შეთანხმებული მოქმედება დაინახო; ასევე ადვილია ივარაუდო, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ ამ რეაქციაში მონაწილე მეცნიერებს ჰქონდათ რაღაც საერთო ფილოსოფიური ხედვა და რომ ყველანი ერთი მიმართულებით მოძრაობდნენ. რეალურად კი, მათი კვლევები დიდად განსხვავებული იყო. ტურნერის ნაშრომი "სქიზმა და განგრძობითობა აფრიკულ საზოგადოებაში" *(Schism and Continuity in an African Society, 1957)* და ედმუნდ ლიჩის ნაშრომი "მაღალმთიანი ბირმის პოლიტიკური სისტემები" *(Political Systems of Highland of Burma, 1954)* ორ განსხვავებულ პოლუსს წარმოადგენს. პირველი ყურადღებას ამახვილებს ერთ პატარა სოფელში

მცხოვრებ მცირე რაოდენობის ინდივიდებზე, მეორე კი ერი-სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ ეთნიკურ მოსახლეობებზე. ალბათ ერთადერთი რამ, რაც ამ ორ ნაშრომს საერთო აქვს, ისაა, რომ ორივე მათგანში ავტორები ერთი ხელით ძველ პარადიგმაზე არიან ჩაფრენილნი, მეორე ხელით კი ახალ პარადიგმას უკაფავენ გზას. ფაქტობრივად, ანალიზის ხაზის გამოსაკვეთად ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ რა უნდა ყოფილიყო კვლევის სფეროდ არჩეული - მოსახლეობის მცირე ნაწილი თუ ეთნიკური მრავალფეროვნება, ტომი თუ სახელმწიფო, კონფლიქტური სიტუაცია თუ მშვიდობიანობა - ვიდრე ნებისმიერი ჩვეულებრივი თეორიული ხედვა.

პოლიტიკური ანთროპოლოგიის მახასიათებელი კურიოზული ფაქტია ის, რომ ამ სფეროში გამოთქმული უმნიშვნელოვანესი ხედვები ხშირად ანთოლოგიების საკმაოდ მოკლე წინასიტყვაობებშია მოქცეული. 1940 წელს ფორტესა და ევანს-პრიტჩარდის რედაქტორობით გამოცემულ “აფრიკული პოლიტიკური სისტემების” *(African Political Systems)* წინასიტყვაობამ პოლიტიკური ანთროპოლოგების პირველ თაობას დიდი სტიმული მისცა და მისი თეორიული საფუძვლები შექმნა. 1966 წელს სამმა მეცნიერმა, რომლებიც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ, მარკ შვარცმა, ვიქტორ ტურნერმა და არტურ ტუდენმა თავიანთ ნაშრომის, „პოლიტიკური ანთროპოლოგია”-ს *(Political Antropology)*, წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბეს ფუნდამენტური კონცეფციები, რომლებსაც შემდგომში პროცესუალური თეორეტიკოსების მთელი თაობები ეყრდნობოდა.

მოცემული ავტორებისთვის პოლიტიკის შესწავლა ნიშნავდა “იმ პროცესების შესწავლას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი მიზნების განსაზღვრასა და განხორციელებას; ასევე, ამ მიზნით დაინტერესებული ჯგუფის წევრების მიერ განსხვავებული მიღწევების და ძალაუფლების გამოყენების შესწავლას” (Swartz, Turner, and Tuden 1966: 7). ამ განსაზღვრებაში რამდენიმე უმთავრესი სიტყვაა. აშკარაა პროცესზე ხაზგასმა, თუმცა, პოლიტიკური ანთროპოლოგი მხოლოდ საზოგადოებრივი პროცესითაა დაინტერესებული. მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს პოლიტიკასა თუ ძალაუფლებაზე მეტისმეტად განზოგადებული ხედვების თავიდან აცილებას, რაც ხშირად ძალაუფლებასთან კავშირში მყოფ ნებისმიერ ქმედებას მოიცავს, თვით ოჯახის დონეზეც კი. მიუხედავად ამისა, მოცემული მიდგომა მაინც საკმაოდ მოქნილია იმისთვის, რომ მოიცვას სამეზობლო ან თუნდაც მთელი ერი. მიზნების კონცეფციაზე ყურადღების გამახვილებით საფუძველი დაედო სინქრონული ანალიტიკოსების ორიენტაციისგან გადახრას, რომლებიც ძირითადად, დაინტერესებული იყვნენ იმ ლატენტური ფუნქციების შესწავლით, რასაც შედეგად

წონასწორობის შენარჩუნება ან გადარჩენა მოჰქონდა. პროცესუალური თეორიის მიმდევრებს უფრო მეტად აინტერესებდათ ჯგუფის ცნობიერ დონეზე გააზრებული მიზნები, მაგალითად, თუნდაც, უფრო დაბალი გადასახადები, უკეთესი გზები ან ომში ლიდერობა. ამ გადაწყვეტილებების მიღება და ცხოვრებაში გატარება წარმოქმნის კიდეც ძალაუფლებას. ამგვარად, პოლიტიკური ანთროპოლოგია ძირითადად, შეისწავლის ძალაუფლებისთვის ბრძოლას და იმ საშუალებებს, რომელსაც ჯგუფური ინტერესების მისაღწევად ახორციელებენ ის ადამიანები, რომლებიც ძალაუფლებას ფლობენ.

წარმოიშვა სამი ფართო ტენდენცია. პირველი, იმდენად, რამდენადაც საზოგადოებებს სწავლებოდნენ მათ ისტორიულ, ან მინიმუმ, მოცემულ წარმავალ კონტექსტში, პოლიტიკური ანთროპოლოგიის უმთავრეს სიტყვად იქცა “პროცესი”. ამგვარად, ყურადღების ცენტრმა წონასწორობიდან ცვლილებაზე გადაინაცვლა. მეორე, მკვლევრების დიდმა ნაწილმა საკუთარი კვლევები მეტისმეტად შეზღუდული პოლიტიკური მოწყობის ფარგლებში ინდივიდების მიერ ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე უკიდურეს კონცენტრაციამდე დაიყვანა. მესამე, მეცნიერთა მეორე ნაწილმა კი ნაციონალური სისტემების შესწავლამდე გააფართოვა კვლევები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ ცვლილებებს, რომლებიც პოლიტიკურად ახალ, ინდუსტრიულ სახელმწიფოში გაერთიანებულ ტრადიციულ კულტურებს ადაპტაციის მიზნით უნდა განეხორციელებინათ. ზოგჯერ თავისთავად სახელმწიფოს ხელისუფლებაც ხდება ანალიზის საგანი. ეს სამი თეორიული ხედვა შეჯამებულია 5.1 ცხრილში.

ცხრილი 5.1

სამი თეორიული ხედვა პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში

	სტრუქტურული ფუნქციონალიზმი	პროცესუალური თეორია	მოქმედების თეორია
მიზნები	ჩვენება იმისა, თუ კონკრეტული ინსტიტუტები როგორ მოქმედებენ მთელი საზოგადოების წონასწორობის შესანარჩუნებლად	იმ პროცესების განსაზღვრა, რომელიც პოლიტიკურ შეჯიბრს და საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას სდევს თან	ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების მიზნით ინდივიდების მიერ განხორციელებული სტრატეგიის აღწერა
ანალიზის ერთეულები	საზოგადოება, ტომი, სოციალური ჯგუფი, და ა.შ. ჩვეულებრივ, განხილულია, როგორც იდეალური მთელი; მოცემული ჯგუფი ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე განიხილება, როგორც ჩაკეტილი სისტემა და, შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცევა გარემო პირობებს	"პოლიტიკური სფერო" მოძრავი და შედარებითი ცნებაა, რომელიც ეხება ნებისმიერ სფეროს, სადაც კი პოლიტიკურ ურთიერთქმედებას აქვს ადგილი	"პოლიტიკური სფერო" - ის სფერო, სადაც ინდივიდუალური აქტორები ან მცირე ზომის ჯგუფები პოლიტიკური ძალაუფლებისთვის იბრძვიან. პოლიტიკური არენა შესაძლოა მოიცავდეს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ფრაქციებს, პატრონ-კლიენტისტურ ურთიერთობებს, პარტიებს, ელიტებს, და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს
დროი-სადმი ანალიტი-კური მიდგომა	სინქრონული: საზოგადოება განიხილება დროის მიღმა, იდეალურ აწმყოში	დიაქრონული, ანუ "დროში" ანალიზი შეიძლება ფოკუსირდეს მიმდინარე ისტორიაზე ან დროში განხორციელებული ცვლილებების იდეალურ პროცესზე	დიაქრონული, მაგრამ ხშირად ანთროპოლოგების მიერ საველე სამუშაოების წარმოების პერიოდში ინდივიდებზე ფოკუსირებული

ცვლილებე-ბისადმი დამოკიდე-ბულება	ზოგიერთ ნაშრომში, უბრალოდ, არანაირი ინტერესი არაა გამოხატული ცვლილებებისადმი. საზოგადოება განიხილება წმინდა სტრუქტურული სტილით; სხვა კვლევებში ყურადღება მახვილდება ცვლილებებზე (მაგ. ნაწილების ადაპტაციაზე მთელთან), მაგრამ მთელი მაინც წონასწორობის სისტემად განიხილება	კონფლიქტი, დაძაბულობა და ცვლილება განიხილება, როგორც საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა	ცვლილება პოლიტიკური არენის ფარგლებში მუდმივად ხდება, თუმცა, შესაძლოა, უფრო ფართო სისტემა სტაბილური იყოს
ძირითადი ტერმინები	სტრუქტურა, ფუნქცია, წონასწორობა, ინტეგრაცია	პროცესი, დაძაბულობა, კონფლიქტი, ძალაუფლება, ლეგიტიმურობა, მხარდაჭერა	სტრატეგია, მანიპულირება, გადაწყვეტილების მიღება, როლები, მიზნები, თამაშები, წესები
მაგალი-თები	აფრიკული პოლიტიკური სისტემები (ფორტესა და ევანს-პრიტჩარდის რედ.) ევანს-პრიტჩარდის “ნუერების ტომი”	ლიჩის “მაღალმთიანი ბირმის პოლიტიკური სისტემები”; პოლიტიკური ანთროპოლოგია, შვარცის, ტურნერის და ტუდენის რედაქტორობით	ტურნერის “სქიზმა და განგრძობითობა აფრიკულ საზოგადოებაში” მიდლტონის “ლუგბარას რელიგია” ანთროპოლოგიის ყოველწლიურ მიმოხილვაში, 1978 წელს გამოქვეყნებული ტურნერის “პოლიტიკური ანთროპოლოგია: მანიპულაციური სტრატეგიები”

სფერო და არენა

საკვლევი ერთეული ფორმალურ დონეზე ყოველთვის იყო ჯგუფი, თუნდაც ეს ჯგუფი სულაც არ ყოფილიყო მკაფიოდ განსაზღვრული. ანთროპოლოგები შეისწავლიდნენ პოლიტიკურ სტრუქტურებს სოფლის, სანათესაოს, ტომის და ზოგჯერ კულტურის (რაც, როგორც წესი, კონკრეტულ ენობრივ ჯგუფს ნიშნავდა) ფარგლებში. სამწუხაროდ, პოლიტიკა მსგავსი ვიწრო სოციალური ერთეულებით არ იფარგლება. ჩვენ რომც შეგვეძლოს საზოგადოების ფარგლებში პოლიტიკური ქცევის ტრაექტორიის განსაზღვრა, ის მაინც ერთ ადგილზე ვერ დარჩებოდა. მაგალითად, თუ ჩვენ უნდა შეგვესწავლა ამერიკის საშუალო ზომის ქალაქი გარკვეული დროის

განმავლობაში, ვნახავდით, რომ ადამიანების უმრავლესობა აპათიურად იქნებოდა განწყობილი და იგნორირებას გაუკეთებდა მთავრობის ყოველდღიურ მოქმედებებს. ადგილობრივი არჩევნები წარმოქმნიდა დაჯგუფებებს, მაგრამ ამ დაჯგუფებებში, როგორც წესი, მოსახლეობის უმცირესი ნაწილი თუ გაერთიანდებოდა. მწვავე საკითხებმა, ისეთებმა, როგორიცაა მაგალითად, სკოლებში რასობრივი ბალანსის დაცვა ან სეგრეგაციის თემა, შეიძლება მთელი მოსახლეობა მოიცვას და გააქტიუროს. პერიოდულად, ადამიანები ერთვებიან საერთო ეროვნულ დონეზე ჩატარებულ არჩევნებსა თუ სახელმწიფოებრივი დონის პრობლემებში; ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მოქალაქეთა დიდი ნაწილი ერთვება ნაციონალურ პოლიტიკაში. პარალელურად, ადგილობრივი პოლიტიკოსები ჩართულნი არიან ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ წარმოებულ რთულ წინასაარჩევნო მარათონშიც.

იმის გააზრებას, რომ პოლიტიკური სტრუქტურები გადაფარავს, მაგრამ არ მოიცავს სხვა სოციალურ სტრუქტურებს და რომ ეს პროცესი დროთა განმავლობაში, პერიოდულად მატულობს ან კლებულობს - მივყავართ პოლიტიკის სფეროს კონცეფციამდე. სტრუქტურული ფუნქციონალისტები, როგორც ჩანს, პოლიტიკას მარტივ თამაშად გაიაზრებდნენ. მათი ხედვის მიხედვით, გარე სამყაროდან შესაძლოა ყოფილიყო გარკვეული ჩარევები, მაგრამ მოქმედება მაინც სპეციფიური გარემო პირობებით შეზღუდული რჩებოდა. პროცესუალური თეორიის მიმდევრები კი პოლიტიკას განიხილავენ, როგორც მძაფრ თამაშს: მუდმივად არსებობს ინტრიგები და ერთი და იგივე აქტორები და ჯგუფები შეიძლება ხანგრძლივად მონაწილეობდნენ ამ ინტრიგებში, თუმცა, მოქმედებამ დროთა განმავლობაში შეიძლება ერთი სივრციდან მეორე სივრცეში გადაინაცვლოს. სწორედ ეს იქნება პოლიტიკის სფერო, დინამიკური დაძაბულობის არამდგრადი სივრცე, სადაც ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და მიმდინარეობს შეჯიბრი. რომ დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ მოყვანილი მძაფრი თამაშის ანალოგიას, ვნახავთ, რომ მოქმედებათა დიდი ნაწილი ბევრ მონაწილეს ჩაითრევს, მაგრამ პერიოდულად ფოკუსი ორ ან მცირე რაოდენობის აქტორამდე დავიწროვდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტორები შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყვნენ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, მათი ქცევის ჯეროვანი გააზრება მხოლოდ უფრო ფართო კონტექსტის ფონზე თუა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მთელი პოლიტიკური ანთროპოლოგიის სფეროდან ჩვენ შევარჩევთ და ვკონცენტრირდებით მხოლოდ ერთ მცირე სივრცეზე.

რეალურად, პოლიტიკური სფეროს და პოლიტიკური არენის კონცეფციები კვლავაც ნაკლებად ზუსტადაა განსაზღვრული. ზოგიერთი მეცნიერი იყენებს ტერმინს – ურთიერთცვალებადი; სხვები ტერმინში ძალიან სპეციფიურ მნიშვნელობებს დებენ. ფ.ჯ. ბეილის

(1969), მაგალითად, პოლიტიკის სფეროდ მიაჩნია ის სფერო, რომელშიც დაპირისპირებული ჯგუფები კონფლიქტის დასარეგულირებლად ზოგადად მიღებულ წესებს არ იყენებენ. არენად (ანუ მოქმედების ადგილად) მიიჩნევს იმ სივრცეს, რომელშიც იგივე წესები მიღებულია სხვადასხვა მონაწილის მიერ. პრაგმატულად რომ ვიმსჯელოთ, ამ ორი კონცეფციის რელატივიზმი არის კიდეც მათი უმთავრესი ღირსება. პოლიტიკის სფერო სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური მოქმედების უფრო ფართო სივრცე, რომელსაც ამგვარად განსაზღვრავს ზოგიერთი მკვლევარი; მაშინ როდესაც მოქმედების ადგილი, არენა, არის სივრცე ამ სფეროს შიგნით, რომელზე კონცენტრირებაც კონკრეტულ მომენტში სურთ მკვლევრებს. მართალია ეს კონცეფციები საკმაოდ შედარებითია, მაგრამ ნაკლებად პრეტენზიულია. სხვადასხვა საველე მუშაკმა ერთი და იმავე საზოგადოებაში შესაძლოა კონცენტრირება პოლიტიკური ურთიერთქმედების განსხვავებულ დონეებზე მოხდინოს, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, საკმაოდ ადვილად შეთანხმდებიან (იმდენად რამდენადაც, როგორც ამბობენ, ანთროპოლოგები თანხმდებიან ყველაფერში) სხვადასხვა დონის საზღვრების დადგენის საკითხში. სფეროს და არენის კონცეფციები - ორივე იძლევა საშუალებას, მკვლევარმა ზუსტად განსაზღვროს სოციალური სისტემის ის ასპექტი, რომელიც გამოცალკევებულია სისტემიდან, როგორც ანალიზის ერთეული.

ძალაუფლება

მაორის ტომის შამანი მენინგიტს მისი პაციენტის სხეულში მანას, ანუ უხილავი ძალის შეშვებით კურნავს; კრიელი ინდიელების შეფი ქორწინებებს გეგმავს; ამერიკის პრეზიდენტი ბომბავს გაღატაკებულ აზიურ სახელმწიფოს; ლუგბარელი ჯადოქარი იძახებს სულებს, რათა მეზობლებს ავადმყოფობა მოუვლინოს; აცტეკელი მღვდელი ცოცხლად გლეჯს მსხვერპლად შეწირული ადამიანის გულს;

მოცემულ განსხვავებულ ქმედებებს აერთიანებთ ის, რომ ყველა მათგანი ძალაუფლების გამოვლინების მაგალითია. პირველ შემთხვევაში, შამანის ძალაუფლება არაპერსონიფიცირებული და ზებუნებრივია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავღანეთთან დაწყებული ომი ტექნოლოგიურად დაწინაურებული საზოგადოების მიერ მასობრივი ძალის დემონსტრირების პირდაპირი გამოვლინებაა; ეგალიტარულ კრიელ ინდიელებს შორის კი, ქორწინების დაგეგმარება იმ მცირერიცხოვან სფეროს განეკუთვნება, რაშიც მეთაურს ძალაუფლების გამოყენების და საკუთარი ლიდერობის წარმოჩენის უფლება ენიჭება. ლუგბარას შემთხვევაში მოქმედი

ჯადოქრობა, ისევე როგორც ჯადოქრობაში და მჩხიბავობაში დადანაშაულება არის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალება, რომელიც მიზნად პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ისახავს; და ბოლოს, აცტეკებისთვის მღვდელი რელიგიური ტრადიციების მსახურია, რომელიც უდიდეს ძალაუფლებას ფლობს.

ნებისმიერი კონცეფცია, რომელიც სიტუაციათა მთელ ამ მრავალფეროვან სპექტრს უნდა მოიცავდეს, ძნელად რომ ვიწრო ჩარჩოებში მოექცეს (ძალაუფლების პოსტმოდერნული კონცეფციები განხილულია მეათე თავში). პროცესუალური თეორიის მომხრეებისთვის, ძალაუფლების მოპოვება არაა მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამოკიდებული. ირანის რევოლუციის პერიოდში შაჰს პირდაპირ მიუწვდებოდა ხელი საუკეთესო თანამედროვე იარაღზე, რომლის შეძენაც მას, სახელმწიფოში არსებული ნავთობის უზარმაზარი მარაგიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო; მას დაშინებასა და მკვლელობებში გამოცდილი ეფექტური პოლიციური აპარატის გამოყენებაც თავისუფლად შეეძლო. თუმცა, რეალურ ძალაუფლებას ფლობდა აიათოლა ჰომეინი - ფუნდამენტალისტი ირანელი სასულიერო პირი, რომელსაც არც სამხედრო იარაღი ჰქონდა და არც ჯარები ჰყავდა. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, პრეზიდენტმა, რომელიც მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მეთაურია, შეიძლება დაკარგოს ძალაუფლება უბრალოდ იმის გამო, რომ მისი თანამდებობაზე დარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, რისი კარგი მაგალითიც უოტერგეიტის საქმეა. ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალაუფლება ვერ იარსებებდა საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე. მართვის უფლება ბევრ ხელისუფლებაში გულისხმობს კონტროლს არმიაზე, საიდუმლო პოლიციაზე და სიკვდილის განყოფილებებზე (ჯგუფებზე). ძალაუფლების ნებისმიერი განსაზღვრება უნდა მოიცავდეს ორივეს: ძალაუფლებას, რომელიც ეყრდნობა ძალას და იმ ძალაუფლებასაც, რომელიც არ ეყრდნობა მას; ძალაუფლებას, რომელიც გამომდინარეობს ინდივიდისგან და ძალაუფლებას, რომელიც სისტემიდან ან თანამდებობიდან იღებს სათავეს.

რონალდ კოენი (1970:31) ძალაუფლებას განმარტავს, როგორც "უნარს, მოახდინო ზეგავლენა სხვათა ქცევაზე და /ან მოიპოვო გავლენა დასაფასებელი მოქმედებების გზით". ეს განმარტება საკმაოდ ფართოა იმისთვის, რომ მოიცვას ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითების მთელი ქსელი, მაგრამ საჭიროებს შემდგომი დიფერენცირების შეტანას კერძო (პრივატულ) ძალაუფლებასა (მაგალითად, მამის დომინირებადი ძალაუფლება მისი ოჯახის წევრებზე) და საჯარო ძალაუფლებას (რომელიც პოლიტიკურ სფეროში შეისწავლება) შორის. სწორედ ეს მეორე შეადგენს პოლიტიკური ანთროპოლოგების ინტერესის სფეროს.

ძალაუფლება შეიძლება იყოს დამოუკიდებელიც და დამოკიდებულიც (Adams, 1973). დამოუკიდებლი ძალაუფლება ეს ბატონობის ურთიერთობაა, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდის პირდაპირ მახასიათებლებზე, ისეთზე, როგორიცაა მაგალითად, სპეციფიური ცოდნა, უნარები ან პიროვნული ქარიზმა. ბევრ ჩრდილო ამერიკულ და ევროპულ საზოგადოებას ძალაუფლება ესმის, როგორც ადამიანებში დაბადებიდან არსებული ობიექტური ძალა. ამ ძალებიდან ზოგიერთს ყველა ადამიანი ფლობს, თუმცა რეალური ძალაუფლებითი ურთიერთობა მაშინ მყარდება, როდესაც აღიარებულია, რომ ერთი ინდივიდი უფრო მეტად ფლობს იმ უნარს, რაც ჯგუფური გადაწყვეტილებების მისაღებადაა საჭირო, ვიდრე სხვა დანარჩენები. პოლიტიკური განვითარების რაზმობრივ და ტომობრივ დონეებზე მსგავსი პიროვნული თვისებები არის ის უმთავრესი რამ, რითაც ერთი ადამიანი მოიპოვებს ძალაუფლებას მთელს ჯგუფზე. ეს ის ძალაუფლებაა, რომელიც ძირითადად, მოდავე მხარეებს შორის არბიტრის ფუნქციის შესრულებას ან გარკვეული მაგალითის მიცემას გულისხმობს. უფრო ცენტრალიზებულ საზოგადოებებში დამოუკიდებელი ძალაუფლება შეიძლება იქცეს ფორმალიზებულად და ობიექტუროზაზე პრეტენზიის მქონედ, რომელიც გარკვეულწილად მიბმულია კონკრეტულ თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, თუ ვის უკავია ეს თანამდებობა. ასევე, ამან შეიძლება წარმოშვას პოლიტიკური დომინირების უკიდურესობები, როგორც ეს იმ რიტუალებსა და ტაბუებში ჩანს, რომელიც გარს არტყია ღვთიურ ინკებს, ჰავაელ მეთაურებს ან, თუნდაც, იაპონიის იმპერატორს. მართალია, მოცემული მაგალითები ალბათ ამერიკული დემოკრატიული საზოგადოებისთვის უცხო ღირებულებების მატარებელია, მაგრამ, რეალურად, ყველა ადამიანი მუდმივად განსაზღვრავს იმ ადამიანების ძალაუფლებას, რომლებთანაც კონტაქტში იმყოფებიან და პატივისცემის ან არსებული სოციალური რიტუალებისადმი მორჩილების გზით არგებენ მათ საკუთარ ქცევას. დამოკიდებული ძალაუფლება ჩნდება მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი ძალაუფლების მქონე ადამიანი (ეს ძალაუფლება შეიძლება მოდიოდეს პიროვნების თვისებებიდან ან თანამდებობიდან, ან კი ორივესგან ერთად) სხვა პიროვნებას გადასცემს გადაწყვეტილების მიღების უფლებას. ეს შეიძლება სამი გზით იქნეს მიღწეული: 1. ინდივიდს შეუძლია გადასცეს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება სხვას; 2. ძალაუფლებაში მყოფ ჯგუფს შეუძლია ლოკალურად გადასცეს ეს უფლება ინდივიდებს და 3. ჯგუფმა ან ინდივიდმა შეიძლება ამ უფლებების დელეგირება ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე მოახდინოს.

ძალაუფლების კონცეფციაზე დაკვირვების განსხვავებული გზაა ერთმანეთისგან განცალკევდეს ის ძალაუფლება, რომელიც დამყარებულია მხოლოდ ან დიდწილად ძალასა და

იძულებაზე და ის ძალაუფლება, რომელიც ჯგუფურ კონსენსუსს ეფუძნება. მხოლოდ ძალა, თავისთავად, მოკლე ვადებზე გათვლილი პოლიტიკური კონტროლის ეფექტური საშუალებაა; მაგრამ თუ ეს ერთადერთი საფუძველია იმისა, რომ ადამიანები დათანხმდენენ - იყვნენ მართულნი, მაშინ საზოგადოება უკიდურესად ხისტი იქნება. ერთხელ ტალკოტ პარსონსმა პოლიტიკურ სისტემაში ძალა შეადარა მონეტარულ სისტემაში ოქროს: იგი ეფექტურია, იმდენად, რამდენადაც აყალიბებს საფუძვლებს სხვა სისტემებისთვის, მაგრამ თანდათანობით, ყოველდღიური ოპერაციები სულ უფრო და უფრო ნაკლებ მონეტას მოითხოვს, თუკი სისტემა ვერ ხდება მდგრადი და ვერ ერგება ახალ პირობებს (Swartz, Turner, and Tuden 1966). კარგი მაგალითია 1950-იანი წლების ბოლო პერიოდის კუბის რევოლუცია. ბატისტას რეჟიმი იმდენად ამაზრზენი და კორუმპირებული იყო, რომ მას მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუპირისპირდა, მათ შორის საშუალო და მაღალი ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მოგვიანებით კასტროს მოწინააღმდეგეებადაც იქცნენ. სიმდიდრე მცირერიცხოვანი ელიტის ხელში იყო დაგროვებული და ძალიან მცირე ალბათობა იყო იმისა, რომ მთელი სისტემის საფრთხის წინაშე დაყენების გარეშე მომხდარიყო ხალხში არსებული უარყოფითი განწყობის შეცვლა. ბატისტას ძირითადი მხარდამჭერი ძალა არმია იყო. საკამათოა, მოიგო კი კასტრომ სამხედრო თვალსაზრისით რევოლუცია? მისი არმია არასდროს ყოფილა 2 000 კაცზე მეტი და მას ერთეულ პროვინციებში გამარჯვების გარდა არასდროს მიუღწევია წარმატება მასშტაბურად. მიუხედავად ამისა, ბატისტას რეჟიმი იმდენად არაპოპულარული, თვითკმაყოფილი და მოსახლეობისგან გაუცხოებული გახდა, რომ იგი, ფაქტობრივად, საკუთარი კორუფციის სიმძიმის ქვეშ მოექცა და დამარცხდა. როდესაც ბატისტამ აიღო თავისი ფული და გაიქცა, ძველმა სისტემამ მთავრობის ჩამოყალიბებაც კი ვერ შესძლო; კასტრომ, რომელსაც ერთადერთს ჰყავდა ქვეყანაში ორგანიზებული ძალა, უბრალოდ, შეაბიჯა სახელისუფლებო ვაკუუმში.

ხელისუფლებამ შეიძლება თავი შეინარჩუნოს ძალის მეშვეობითაც: სტალინი, ტრუხილიო, იდი ამინი, პოლ პოტი, ტრუჯილო, მამა დოკ დუვალიერი, ბრიტანელები ინდოეთსა და აფრიკაში – სამწუხაროდ, მეოცე საუკუნის მაგალითები ძალიან ბევრია. თუკი მსგავს ხელისუფლებებს მოეთხოვებათ მოქნილობა, რათა შეეგუონ სრულიად ახალ პირობებს, ისინი ასევე საჭიროებენ კონსენსუალურ ძალაუფლებასაც, რომელიც მომდინარეობს ადამიანების თანხმობიდან – იყვნენ მართულნი. სახელმწიფოებრივ საზოგადოებებში, მსგავსი თანხმობის მიცემის უფლება არ არის მხოლოდ ბრძენების პრეროგატივა; ბავშვები, იდიოტები, მთვარეულები თუ სადისტები – ყველანი შეიძლება იყვნენ სახალხო თანხმობის ბენეფიციარები, იმდენად, რამდენადაც ისინი იკავებენ თანამდებობებს მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე (მაგალითად, დაიბადო სამეფო ტახტის

მემკვიდრედ). ფაქტობრივად, კონსენსუალური ძალაუფლება შეიძლება ემყარებოდეს უფრო მეტად ტრადიციისადმი მორჩილებას, ვიდრე პატივისცემას (კიდევ უფრო ნაკლებად სიყვარულს) დომინირებად თანამდებობებზე მყოფთა მიმართ.

სახელმწიფოებში კონსენსუალური ძალაუფლება პრაქტიკულად ყოველთვის ფიზიკური ძალის გამოყენებაზე ცენტრალიზებულ კონტროლთანაა შერწყმული. ამგვარად, რთულია იმის თქმა, თუ რა იწვევს თანხმობას – სისტემისადმი პატივისცემა თუ საპყრობილეში ჩაგდების შიში. გადავიხდიდი მე საშემოსავლო გადასახადს სრულად, მთავრობას რომ ჩემს მიმართ ფიზიკური და ეკონომიკური სანქციების გამოყენება არ შეეძლოს? სავარაუდოდ არა. გადავიხდიდი კი მე ნებაყოფლობით ჩემი ხელფასიდან გარკვეულ ნაწილს გზების შეკეთების, სკოლების მშენებლობის, კეთილდღეობის სერვისის, პოლიციის და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ან ხელისუფლებიდან წამოსული სხვა სარგებლების დასაფინანსებლად სანქციების არ არსებობის პირობებშიც კი? მინდა ვიფიქრო, რომ გადავიხდიდი. მიუხედავად ამისა, ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენი დოლარი იხარჯება ჩემი გადასახადებიდან იმაზე, რომ მე არ ჩავჯდე ციხეში და რამდენი იხარჯება იმისთვის, რომ იმუშაოს სისტემამ, რომელიც მე გარკვეული სარგებლით უზრუნველმყოფს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო საზოგადოებაში კონსენსუალური ძალაუფლება და ძალაზე დამყარებული ძალაუფლება იმდენად ურთიერთგადაჯაჭვულია, რომ ანალიზისთვის მათი განცალკევება ხელოვნურია. თუმცა, განსხვავება მთავრობების მორალური და ობიექტური შეფასებისთვის სასარგებლო საფუძველს იძლევა. ობიექტურად, ხელისუფლება, რომელიც ნაკლებად ემყარება კონსენსუალურ ძალაუფლებას, მეტისმეტად ხისტია იმისთვის, რომ მისივე მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე გადადგას აუცილებლი ნაბიჯები. მორალური კუთხით, ამგვარ მთავრობას არსებობის ხანგრძლივად შენარჩუნებისთვის ნაკლები ლეგიტიმაცია ექნება.

არაცენტრალიზებულ, ეგალიტარულ საზოგადოებებში, როგორც წესი, ლიდერებს ფიზიკურ მორჩილებაზე ხელი არ მიუწვდებათ. ისინი მთლიანად კონსენსუალური ტიპის ძალაუფლებას ემორჩილებიან. ხშირად, ეს სხვა არაფერია, თუ არა მაგალითის მიცემა. “ნადიმში”, ვენესუელელი იონომამოს ინდიელების შესახებ ნაპოლეონ ჩაგნონის მიერ გადაღებული უამრავი ფილმიდან ერთ-ერთში, ნაჩვენებია მუხლებზე დაჩოქილი, მარტო მყოფი სოფლის ბელადი, რომელიც თავისი მაჩეტით ხელში ჩიჩქნის მიწას, რათა ნამუსზე ააგდოს თავისი მეზობლები და მათაც დაიწყონ სოფლის ტერიტორიის დასუფთავება. ანალოგიურად, როდესაც პერუს ტერიტორიაზე მცხოვრებ აიმარას ტომებში საველე სამუშაოებს ვაწარმოებდი, თემის მერი სამი დღის მანძილზე,

ფაქტობრივად, მარტო მუშაობდა საზოგადოებრივი ნაგებობის გადასახურავად, სანამ დანარჩენებიც ნელ-ნელა არ შეუერთდნენ მას. მეხუთე დღისთვის უკვე მთელი სოფელი იყო საქმიანობაში ჩართული.

მოცემულ მაგალითებში ლიდერის ნდობისგან მიღებული სარგებელი დაუყოვნებლივ და აშკარად ცხადი ხდებოდა; მაგრამ ბევრ შემთხვევაში ლიდერმა უნდა აიძულოს ადამიანები გაკეთონ ის საქმე, რაც მათ არ სურთ, რადგან ადამიანები ვერ ხედავენ სავარაუდო სარგებელს. ეს განსაკუთრებით მართებულია თემის ლიდერის შემთხვევაში, როცა ის ნაციონალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. აიმარას მერს, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, სხვა შემთხვევაში პრობლემა შეექმნა პერუს განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი კითხვარებისა და მონაცემების შევსებისას. ადამიანებს შეეშინდათ, რომ მათ მიერ გაცემული ინფორმაცია მათ წინააღმდეგვე იქნებოდა გამოყენებული – ან დაიბეგრებოდნენ, ან კი მათ კერძო მფლობელობაში არსებულ მიწებს ხელისუფლება კოოპერატივებში გააერთიანებინებდა. მოსახლეობამ ისიც იცოდა, რომ ფედერალური მთავრობა კითხვარების შევსებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერანაირად ვერ დასჯიდა მათ. ის, რომ ეს ადამიანები ბოლოს მაინც დათანხმდნენ პასუხების გაცემას (და გასაოცრად ზუსტი პასუხებიც გასცეს), იმის შედეგი იყო, რომ მერმა შესძლო მათ დარწმუნება. მოსახლეობა ენდო მერს, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა გრძელვადიან სარგებელს მოუტანდა თემს – ისეთს, როგორიცაა გზები, სკოლები, საკვებით დახმარება და მთავრობის მიერ კლინიკის აშენება. ეს არის გარკვეული ქმედების განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიზეზების არცოდნის მაგალითი, რაც კონსენსუალურ ხელისუფლებას მკვეთრად განასხვავებს ძალაზე დამყარებული ხელისუფლებისგან, ხოლო ლეგიტიმურობას კი იძულებისგან.

ლეგიტიმურობა

კონსენსუალურ (შეთანხმებით) ხელისუფლებას ის უპირატესობა აქვს, რომ მასზე არ ვრცელდება სპეციფიური სანქციები ან სპეციფიური ჯილდოები და, ამასთან ერთად, მისი გამოყენება მრავალფეროვან სიტუაციებშია შესაძლებელი. ადამიანები ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობებს იმიტომ, რომ ისინი ენდობიან ან საკუთარ ლიდერებს, ან კი იმ სისტემას, რომელიც ლიდერებს წარმოშობს და სჯერათ, რომ მიიღებენ საზოგადოებრივ სარგებელს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ალბათ არცერთი ადამიანი არაა ყველა პრეზიდენტისადმი სიმპათიით

განწყობილი, ბევრი შეიძლება მკვეთრადაც ეწინააღმდეგებოდეს ამა თუ იმ პრეზიდენტის პოლიტიკას, მაგრამ ცოტა თუ მოინახება ისეთი ადამიანი, ვინც გააპროტესტებს პრეზიდენტის უფლებას – მართოს სახელმწიფო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტის ლეგიტიმურობა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რამდენი და რამდენად ერთგული მხარდამჭერი ჰყავს მას (მართლაც, მოსახლეობის გამოკითხვები უჩვენებს, რომ ზოგჯერ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოქმედი პრეზიდენტის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი), არამედ იმ სამართლებრივ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც იგი მოვიდა ხელისუფლებაში. პრეზიდენტი ძალაუფლებას უკვე ორას წელზე მეტია კონსტიტუციიდან იღებს; ასევე, ამერიკელი ხალხის რწმენიდან (რწმენა, რომლის სოციალიზაციაც მათ დაბადებიდანვე აქვთ), რომ მმართველობის ეს კონკრეტული ფორმა ყველა სხვა დანარჩენზე უკეთესია.

ამერიკის ეს სიტუაცია ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ბოლივიის სიტუაციას, რომელმაც ბოლო გამოთვლით 150 - მდე სახელმწიფო გადატრიალება გამოიარა დაახლოებით ამდენივე წლის მანძილზე. მსგავსი არასტაბილურობის და ძალაუფლების შესანარჩუნებლად პერიოდულად სისხლინი რეპრესიების გატარებაზე დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ბოლივიურ საზოგადოებაში ლეგიტიმურობის შენარჩუნების ძალიან მცირე საფუძვლები არსებობს. სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის და რაიმე სახის ღვთიური ძალებისგან წამოსული მმართველობის არ არსებობის პირობებში, ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს იმის პრეტენზია, რომ იგი სხვას სჯობია და, ამასთანავე, არცერთ მათგანს არ შეუძლია განაცხადოს, რომ გამოკვეთილად მხოლოდ მას აქვს მართვის უფლება. მსგავს სიტუაციებში, როდესაც დემოკრატიული მმართველობის პირობებში ეკონომიკურ კოლაფსს ან სოციალურ უკმაყოფილებას აქვს ადგილი, კონკრეტული ლიდერის ან პოლიტიკური პარტიის ვარგისიანობის საკითხი კი არ დგება, არამედ თავად დემოკრატიის. ასეთ დროს შესაძლოა, კვლავ გაჩნდეს სამხედრო დიქტატორული მმართველობისკენ დაბრუნების საყოველთაო მოთხოვნა.

ხელისუფლების ლეგიტიმაცია ჯგუფის პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარეობს – ესაა ადამიანების მოლოდინი, ხელისუფლების ბუნების და მისი მიღწევების შესახებ. პოლინეზიელმა ბიგ მენმა ლეგიტიმურობა შეიძლება მოიპოვოს ღორებით უდიდესი ნადიმის მოწყობით. ბრიტანელმა მეფემ – პირდაპირი ხაზით დაბადებით, პრემიერ მინისტრმა – პარლამენტში ხმების გაკონტროლებით, მეცხრამეტე საუკუნის ჩეიენეს ტომის ინდიელთა მეთაურმა - ახალგაზრდობის ასაკში ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობით, ხოლო ხანდაზმულობისას კი სიბრძნით. არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ლეგიტიმურობა

სრულიად არ გამომდინარეობს ტრადიციიდან და მისი მოპოვება თანამედროვე, ახალი გზებით ხდება. დიქტატორმა, რომელიც ხელისუფლებაში მოდის სამხედრო გადატრიალების ან აჯანყების გზით, შესაძლოა ლეგიტიმურობა საკუთარი ხალხისთვის სარგებლის მოტანის გზით მოიპოვოს.

უფრო მეტიც, ლეგიტიმურობა ხშირად ძალიან მცირედაა დამოკიდებული იმაზე, თუ რეალურად როგორ ხდება ხელისუფლების გამოყენება. ჰიტლერი ლეგიტიმური ლიდერი იყო (იგი დიქტატორად ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციაში არსებული "ხვრელების" მეშვეობით იქცა). ასევე იყო სტალინიც. ადამიანები მასობრივად დამონებულ და გაღატაკებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ეგვიპტისა და რომის ლეგიტიმური ხელისუფლებების, ან თუნდაც ჩინეთის დესპოტური დინასტიების მმართველობის პირობებში (ამას ისტორიული წყაროები ადასტურებენ). ევროპის ისტორიიდან კარგად ვხედავთ, რომ მეფის დესპოტურობა და არაკომპეტენტურობა არ უშლიდა მის მომხრეებს ხელს, მაინც ემტკიცებინათ მისი ლეგიტიმურობა. მეორეს მხრივ, დიქტატორები, რომლებსაც არანაირი კანონიერი ან ტრადიციით მინიჭებული უფლება არ აქვთ იყვნენ ხელისუფლებაში, თითქმის მუდმივად ცდილობენ გაამყარონ და ლეგიტიმურობა მიანიჭონ საკუთარ პოზიციებს მხარდამჭერთა სხვადასხვა სახის დემონსტრაციების მოწყობით, კონსტიტუციების ხელახალი გადაწერით, თვალის მოსატყუებლად არჩევნების ჩატარებით ან სიკოფანტების პარლამენტის შექმნით.

მხარდაჭერა

ლეგიტიმურობა და ძალადობა მხარდაჭერის ურთიერთსაპირისპირო მხარეებია. ტერმინი "მხარდაჭერა" შვარცის, ტურნერისა და ტუდენის მიერ (1960: 10) განმარტებულ იქნა, როგორც "ნებისმიერი რამ, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური მიზნების ფორმულირებას და/ან განხორციელებას". თუ ჩვენ ჩავთვლით რომ ომი, პოლიციური დაპატიმრებები და დაშინებები, მუშათა გაფიცვები, საზოგადოების საუბარი, ხმის მიცემა და უბრალო დარწმუნებები – ყოველივე ეს ჯდება ამ განმარტებაში, დავინახავთ, რომ არსებობს მხარდაჭერის უწყვეტი ციკლი, რაც ლეგიტიმურობიდან იძულებით მორჩილებამდე ერთგვარ ჯაჭვს წარმოქმნის. იმის გამო, რომ მხარდაჭერის დაკარგვა ისევე შეიძლება, როგორც მისი მოპოვება, ხელისუფლება სწორად მოიქცევა თუ მხარდაჭერის რაც შეიძლება ბევრ სხვადასხვა ფორმას მოძებნის და განახორციელებს. პოლიტიკური ჯგუფის ანალიზისას, შესაძლოა, მოიძებნოს როგორც მხარდაჭერის სხვადასხვა სახე, რომლებიც სხვადასხვა სივრცეში მოქმედებენ, ასევე დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები,

რომლებიც ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ მხარდაჭერის ეს განსხვავებული სახეები.

მხარდაჭერა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. საარჩევნო სისტემის ანაქრონისტული სირთულის გათვალისწინებითაც კი, როდესაც ხმას ვაძლევ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მე პირდაპირი სახის მხარდაჭერას გამოვხატავ. თუმცა ინგლისში, ადამიანი ხმას კი აძლევს პრემიერ-მინისტრს, მაგრამ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელს. ამგვარად, მოცემული პირის, როგორც პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერა არის არაპირდაპირი სახის. ანალოგიურად, აფრიკულ სოფელში მეთაურმა შეიძლება სცადოს მხარდამჭერების მოპოვება ოპონენტზე პირდაპირ საუბრის გზით, ან მას ამის გაკეთება შეუძლია არაპირდაპირი საშუალებებით – ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგეზე ხმების დაყრას ისე, რომ მისი ოპონენტი დადანაშაულებულ იქნეს ჯადოქრობაში.

პროცესი, პოლიტიკური სფერო, ძალაუფლება, ლეგიტიმურობა, მორჩილება და მხარდაჭერა პოსტსტრუქტურული ფუნქციონალიზმის მიმდევრების უმთავრესი კონცეპტუალური იარაღებია, რომელთა მეშვეობითაც ისინი აანალიზებენ პოლიტიკურ სისტემებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საშუალებები არ წარმოქმნიან თანმიმდევრული ფილოსოფიური აზრის სკოლას, ისინი პოლიტიკური სისტემის ანალიზის ფართო საშუალებას იძლევიან.

რეკომენდებული ლიტერატურა

Eisenstadt, S. N. 1990. “Functional Analysis in Anthropology and Sociology: An Interpretive Essay,” Annual Review of Anthropology 19: 243-60. მოცემული ნაშრომის ავტორი, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა პოლიტიკურ სოციოლოგიაში, წარმოაჩენს კლასიკური ფუნქციონალიზმის საწინააღმდეგოდ მიმართულ უმთავრეს არგუმენტებს, შემდეგ კი გვთავაზობს მის ხელახალ გადაფასებას, რათა 1990 წელს კვლავ დააბრუნოს ფუნქციონალიზმი. სტატია, რომელსაც მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფია ერთვის თან, გვიჩვენებს, რომ ფუნქციონალური ანალიზი კვლავაც ცოცხალია, თუმცა უფრო დახვეწილი ფორმით, ვიდრე ეს სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ზენიტში ყოფნის დროს იყო.

Evans-Pritchard, E. E . The Nuer (Oxford, U.K,: Oxford University Press, 1940). აავტორი აღწერს აფრიკულ სასოფლო ტიპის ჯგუფს, რომელსაც საერთოდ არ ჰყავს ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, მოცემული ჯგუფი არათუ ინარჩუნებს უწყვეტ არსებობას და შეკრულობას, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფადვე ქმნის გაერთიანებულ სამხედრო ძალას. ავტორისეული ანალიზი დღემდე საკმაოდ საკამათო თემად რჩება - ეს კი პოლიტიკური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომისთვის დიდი კომპლიმენტია.

Fortes, M., and Evans-Pritchard, E. E, eds. African Political Systems (Oxford, U.K,: Oxford University Press, 1940). ამ

წიგნით დაიწყო ყველაფერი. რვა ეთნოგრაფიული კვლევა (ყველა მათგანის ავტორი ბრიტანული ანთროპოლოგიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან) კარგად წარმოაჩენს საველე მუშაობის იმ მაღალ დონეს, რაც 1930-იანებშივე იყო უკვე მიღწეული. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მაქს გლუკმენის მიერ ზულუს შესწავლაში შეტანილი წვლილი. ამ სტატიაში უკვე ჩანს ის მარცვალი, რაც მოგვიანებით სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წინააღმდეგ გლუკმენის ამხედრებაში აისახა. ასევე, აღსანიშნავია ევანს-პრიტჩარდის მიერ ნუერების პოლიტიკური ორგანიზების ფორმის შესახებ გაკეთებული უაღრესად შეკვეცილი ფორმით გადმოცემული შეჯამება.

Gluckman, Max. Custom and Conflict in Africa (New York: Barnes and Noble, 1956). თავების სათაურები-„მშვიდობა ურთიერთმტრობისას“, „ავტორიტეტის სიმყიფე“, „რიტუალის ლიცენზია“ - კარგად წარმოაჩენს პარადოქსებისადმი ავტორის სიყვარულს. გლუკმენს, რომელიც სოციალური ანთროპოლოგიის მანჩესტერის სკოლის დამაარსებელია, სწამდა, რომ მუდმივი დაძაბულობა და კონფლიქტი წარმოქმნიდა უხეშ წონასწორობას. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის ზოგიერთ ნაშრომს შეიძლება დღეს ისტორიული კურიოზულობის სტატუსი მივანიჭოთ, გლუკმენის შრომები კვლავაც კარგად საკითხავია.

Swartz, Marc J., Victor Turner, and Artur Tuden, eds. Political Anthropology (Chicago: Aldine, 1966). ამ წიგნის წინა-სიტყვაობა საფუძველს უყრის პროცესუალური მიდგომის ფილოსოფიურ წანამძღვრებს და მოდელს. თავად მთლიანი წიგნი - ესაა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტი. წარმოდგენილი სტატიები მეტისმეტად განსხვავებულია იმისთვის, რომ ზუსტად ჩაჯდნენ რედაქტორების მიერ შემოთავაზებულ კატეგორიებში. თუმცა, ამ სტატიათაგან რამდენიმე მართლაც ძალზედ ღირებულია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რალფ ნიკოლასის „სეგმენტურად დაყოფილი პოლიტიკური სისტემები“, რონალდ კოენის „ძალაუფლება, ავტორიტეტი და პიროვნული წარმატებულობა ისლამსა და ბორნეში და ჯონ მიდლტონის „კონფლიქტის გადაჭრა უგანდაში მცხოვრებ ლუგბარებს შორის.“.

თავი 6

ინდივიდი პოლიტიკურ არენაზე:

მოქმედების თეორია და თამაშის თეორია

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ჩრდილო დასავლეთ ამერიკის სანაპირო ზოლში მცხოვრები კვაკიუტელი ინდიელების ბელადებმა თავიანთი ძალაუფლება მემკვიდრეობით მიღებული ტიტულების, გერბების და ცერემონიალური ტიპის პრივილეგიების გზით შეინარჩუნეს. ძვირადღირებული სპილენძის ფარის შეძენა დიდი პრესტიჟის მომტანი იყო (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

პროცესუალურ მიდგომაში კვლევის ორი საკმაოდ განსხვავებული ხაზია. ერთის მხრივ, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მარცხმა ანთროპოლოგებს გზა გაუხსნა გაეფართოებინათ საკუთარი კვლევები შედარებით ურთიერთმსგავსი ტრაიბალური საზოგადოებების შესწავლიდან კომპლექსურ ერი-სახელმწიფოებამდე. მეორეს მხრივ, მკვლევრებმა შესძლეს მთელი სისტემის ფართო სტრუქტურული კუთხით შესწავლიდან ამ სისტემის ფარგლებში მოქმედ ინდივიდებსა და ვიწრო ჯგუფებზე ყურადღების ცენტრის გადატანა. მოცემული ორიენტაცია მოქმედების თეორიის სახელითაა ცნობილი და მისი ავტორია გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი. პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში კი ამ ტერმინის გამოყენება აბნერ კოენის (1974: 40-13) სახელს უკავშირდება.

როგორც ეს ხშირად ხდება ბევრი სხვადასხვა თეორიის შემთხვევაში, მოქმედების თეორიაც პოსტ ფაქტუმ განვითარდა, ეძიებდა რა სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ უამრავ სხვადასხვა კვლევის საერთო მაჩვენებელს. ამ ავტორებმა თავადაც არ იცოდნენ, რომ ახალი თანმიმდევრული ორიენტაციის ნაწილს წარმოადგენდნენ. ეს საერთო დენომინატორი ინდივიდებზე და მათ მიერ ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების სტრატეგიაზე ფოკუსირება იყო. ამ პროცესში ჩართული ინდივიდი შესაძლოა ყოფილიყო კონკრეტული სახელის და გვარის მქონე პიროვნება, რომელსაც ისეთი დეტალური მახასიათებლებით და სიღრმისეულად აღწერდნენ, როგორც ეს კარგ რომანებში გვხვდება. ან, შეიძლებოდა ეს ინდივიდი აბსტრაქტული სახელით გადმოეცათ, მაგალითად, პოლიტიკური ადამიანი. მისი ძალიან ახლო "ბიძაშვილის", ეკონომიკური

ადამიანისგან განსხვავებით, იგი არა სიმდიდრის ან მოგების მაქსიმიზირებას ახდენს, არამედ – ძალაუფლებისას. მოათავსეთ ორი ან მეტი ასეთი პიროვნება ერთიდაიგივე სივრცეში (ეს სივრცე მერყევია და მისი წარმოქმნა სწორედ "პოლიტიკური ადამიანის" არსებობას უკავშირდება) და ჩვენ მივიღებთ სოციალურ დრამას, ან როგორც ზოგი მკვლევარი ამჯობინებს - თამაშს, სადაც სხვადასხვა მოძრაობა წესებით იზღუდება და სადაც მხოლოდ ერთი გამარჯვებულია.

ამ მიკროკოსმიურ მოწყობაში უმნიშვნელოვანესი კონცეფციები გულისხმობს მიზნის გამოკვეთას, მანიპულაციურ სტრატეგიას, მანევრირებას და გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად ამისა, ინდივიდები პოლიტიკაში ვერ იმოქმედებენ მარტო. მათ უნდა მოიპოვონ მხარდამჭერები, შექმნან ალიანსები და იურთიერთქმედონ სხვა ინდივიდებთან, ან იმორჩილებდნენ ან კი თავად ემორჩილებოდნენ სხვებს. ამასთანავე, პოლიტიკის შესწავლისას შეუძლებელია ჯგუფების იგნორირება. მოქმედების თეორიის მომხრეები ჯგუფებს ინდივიდების პოზიციიდან უყურებენ და ყურადღებას იმგვარ ჯგუფებზე ამახვილებენ, როგორიცაა ფრაქციები, გაერთიანებები და ელიტები, რომელთა გააზრებაც ყველაზე უკეთ პირისპირ ურთიერთქმედებისას არის შესაძლებელი.

სოციალური დრამა

ამ მიმართულების განვითარებაში ერთ ერთი ყველზე ადრეული კვლევა ეკუთვნის ვიქტორ ტურნერს ნაშრომით "სქიზმა და განგრძობითობა აფრიკულ საზოგადოებაში" *(Schism and Continuity in an African Sociaty 1957)*. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნაშრომი მაქს გლუკმენის მანჩესტერის სკოლის ანთროპოლოგიის თეორიის ხაზს იმეორებდა, მასში მაინც იყო გარკვეული უნიკალური ასპექტები. ჩრდილო როდეზიაში მთელი ნდემბუს ჯგუფის შესწავლის ნაცვლად, ტურნერი ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ როგორ ძლევენ ინდივიდები სხვადასხვა კრიზისს (ტურნერის ტერმინოლოგიით სოციალურ დრამას). თითოეული ამ დრამათაგანი გაანალიზირებულია, როგორც დაძაბულობის ზრდის ხანგრძლივი პროცესის კულმინაცია, რომლის დროსაც ახალი ძალის და ახალი გადახრების გამოვლინებას აქვს ადგილი.

ტურნერისთვის "ყველაზე ფართო ნდემბუს თემი - ეს არის... ტანჯვის თემი"; და მართლაც, მისი უმთავრესი გმირი, სანდომბუ, ჭეშმარიტად ტრაგიკული პიროვნებაა. სოციალური დრამების კომპლექსური სერიიდან პირველი დრამა ამ ადამიანს ეხება, რომელსაც ამბიცია ჰქონდა ყოფილიყო მუკანზას სოფლის მეთაური. მან ორჯერ დაჭრა სოფლის მეთაური კაჰალი, როგორც მისი

თანამდებობის კონკურენტი. ეს, შედეგად, მათ შორის მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. ორივე მათგანი ერთმანეთს ჯადოქრობაში სდებდა ბრალს. სანდომბუმ დატოვა სოფელი და სხვა სოფელში გადავიდა, სადაც, როგორც ჩანს, ცნობილი ჯადოქარი ცხოვრობდა. ცოტა ხნის შემდეგ, სოფლის დაჭრილი მეთაური შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. სანდომბუს მიეცა საშუალება დაბრუნებულიყო მუკანზაში, მაგრამ აქ მას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა დახვდა, რის შედეგადაც ვერ მოახერხა მეთაურის თანამდებობის დაკავება და ამ პოსტზე სხვა საგვარეულო ხაზის წარმომადგენელი აირჩიეს.

ფაქტების მთელი ეს ჯაჭვი თითქოს მარტივია. სანდომბუს მიერ კაჰალის დაჭრა ნდემბუს სოციალური ორგანიზების ყველაზე ღრმა პრინციპის, ისეთის, როგორიცაა უფროსი თაობის ძალაუფლება უმცროს თაობაზე - დარღვევა იყო. უფრო მეტიც, სანდომბუ კაჰალის დის შვილი იყო, ხოლო ერთი სანათესაო ხაზის შიგნით ძალაუფლების უფროსი თაობიდან უმცროს თაობაზე გადაცემა არ ითვლებოდა მისაღებად. არსებობდა სხვა მიზეზებიც, რაც კიდევ უფრო ზღუდავდა სანდომბუს ამბიციას, გამხდარიყო მეთაური. თავად იგი სტერილური იყო, ხოლო მისი და კი – უშვილო. ამას, თავისთავად, უკვე ჯადოქრობის ნიშნად განიხილავდნენ და ამ ფაქტში მნიშვნელოვანი აზრი იყო ჩადებული. ნდემბუს ტომში მემკვიდრეობა ქალის ხაზით გადადიოდა და ლიდერიც საკუთარ ძლევამოსილებას ქალის ხაზით გადასული ნათესაობიდან იღებდა, ხოლო მისი დის უშვილობა და თავად სანდომბუს გაურკვეველი გულუხვობა უცხოელების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ კონსერვატული სოფლის მაცხოვრებლებს, კიდევ უფრო ამცირებდა სანდომბუს მხარდაჭერის საფუძველს. შედეგად, სოფლის სამი ყველაზე გავლენიანი საგვარეულო სანდომბუს წინააღმდეგ გაერთიანდა.

ტურნერისთვის ის ნორმები და სტრუქტურები, რაც 1940-იანების თაობის მკვლევრებისთვის ესოდენ საინტერესო იყო, სოციალურ სფეროდ, იმ ფონად იქცა, რომელიც წინ უსწრებს რეალურ მოქმედებას. ნათესაობის სისტემები, ქორწინების წესები, ღირებულებები და ქცევის ნორმები არ არის უცვლელი რეალობები, ისინი უფრო მეტად სოციალური ტიპის იდეალიზირებებია, რომლებიც მუდმივ მანიპულაციებს ექვემდებარებიან. მაგალითად, ის ნორმა, რომელიც კრძალავდა ერთი სანათესაო ხაზის შიგნით მეთაურობის მემკვიდრეობით გადაცემას და რომელიც გამოყენებულ იქნა სანდომბუს მიმართ, არ გამოიყენეს კოსანდას მიმართ, რომელმაც დედამისის ძმისგან მიიღო მეთაურობა მემკვიდრეობით. ჯადოქრობაში დადანაშაულება გამოყენებულ იქნა იმ საზოგადოებრივი კონსენსუსის გასამართლებლად, რომლის მიხედვითაც სანდომბუ არ უნდა გამხდარიყო მეთაური. ეს არგუმენტები მსგავსი კონსენსუსის მხოლოდ მეორადი საფუძველი იყო.

ნორმების და ღირებულებებს დაცვა ზედმიწევნით კი არ ხდებოდა, არამედ მათზე ხაზგასმა ან უგულვებელყოფა კომპლექსური კრიტერიუმების მთელ ქსელზე იყო დამოკიდებული.

საზოგადოების შესახებ მსგავსი მიდგომა გარკვეულ დაშვებებს ემყარება. საზოგადოება განიხილება, როგორც დინამიკურ დაძაბულობაში მყოფი ძალების ველი, სადაც ცენტრიდანული და ცენტრისტული ძალები მუდმივად ერთმანეთს ეჯიბრებიან. როდესაც განხეთქილებასა და შეკავშირებას შორის დაძაბულობა მწვავდება, ვითარდება კრიზისი, რომელიც კულმინაციას აღწევს და ხელახლა მყარდება დროებითი და არასტაბილური წონასწორობა. დაძაბულობის სრულიად მოხსნა ძალიან იშვიათად ხდება. უფრო ხშირად, შედეგად, მიიღება ძალების იმგვარი გადანაწილება, რომ ერთი მხარე უფრო მეტად ძლიერდება, ხოლო მეორე მხარე კი - სუსტდება. მარკ შვარცისა და არტურ ტუდენის (1966) პარალელურად, ტურნერმა ეს პოლიტიკური ფაზის განვითარების დიაქრონულ მოდელში ასახა, სადაც პოლიტიკური კაპიტალის მობილიზების პერიოდს შეჯახების ან გადამწყვეტი ორთაბრძოლის პერიოდი მოჰყვება. ეს უკანასკნელი მშვიდობიანობის დამყარებას მცირე დროის მანძილზე გულისხმობს, სადაც კონფლიქტში მყოფი ერთი მხარე აშკარად და ღიად ცდილობს დაასუსტოს მეორე მხარე. ამას მოჰყვება კრიზისი – "პოლიტიკური სფეროს კომპონენტებს შორის ურთიერთობების მომენტალური შერწყმა ან გარდატეხა". მოცემულ პროცესს, თავის მხრივ, შედეგად განეიტრალების ტენდენციები მოაქვს, რადგან სოციალური ჯგუფი მშვიდობის დასამყარებლად ძალების მობილიზებას ახდენს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორ მხარეს შორის სრული განხეთქილება. რეგულირების ან აღდგენის მექანიზმების განვითარება შესაძლოა მოიცავდეს არაფორმალურ არბიტრაჟს, სამართლებრივ მექანიზმს, ან საზოგადოებრივ რიტუალებს. საბოლოოდ, დაპირისპირებული ორი ძალა ან ხელახლა შეეგუება ახალ, ასიმეტრიულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, ან მათ შორის სრული განხეთქილება მოხდება და ამ გზით კვლავ აღსდგება მშვიდობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტურნერის ნაშრომი გარდამავალი ტიპის იყო, ის მაინც 1940-იანი წლების სტრუქტურული ფუნქციონალიზმის საფუძვლებზეა დამყარებული (მისი აშკარად გაცხადებული მიზანი იყო "გამოეყო კარდინალური ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად ედო ნდემბუს საცხოვრებელ სტრუქტურას"), ბევრი იდეა, რომელიც შემდგომში მოქმედების თეორიას შეერწყა, ტურნერის ნაშრომში უკვე აშკარად ჩანდა. სანდომბუში პოლიტიკური ადამიანი განიხილება, როგორც რეალური ინდივიდი, რომელიც მანიპულირებს კულტურული წესებით, აკეთებს არჩევანს და ანხორციელებს სტრატეგიას – მოკლედ, ღებულობს მიზანზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს.

ჯგუფებზე ფოკუსირების ნაცვლად ინდივიდებზე ფოკუსირებისთვის უპირატესობის მინიჭების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ინდივიდში რამდენიმე განსხვავებული სისტემაა გაერთიანებული. ჯგუფმა შეიძლება ერთი კონკრეტული როლი ითამაშოს დროის რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთში, მაგრამ ინდივიდი თავის თავში ყოველთვის აერთიანებს დაპირისპირებულ როლებს – ერთდროულად არის მამაც და შვილიც, ლიდერიც და მხარდამჭერიც, მებრძოლიც და მშვიდობის მაძიებელიც. ამგვარად, ინდივიდი იმ წინააღმდეგობებს ასახავს, რაც ჯგუფურ დონეზე შესწავლისას შესაძლოა, შუმჩნეველი დარჩეს.

თამაშის თეორია

თამაშის თეორიის საინტერესო და გავლენიანი სახეცვლილება არის ფ. ჯ. ბეილის მიერ "სამხედრო ხრიკები და ნადავლი"-ში *(Stratagems and Spoils, 1969)* განვითარებული არამათემატიკური თამაშის თეორია. იმის გამო, რომ ეს ნაშრომი პოლიტიკური ანთროპოლოგიის სფეროში ერთ - ერთი ყველაზე ამომწურავი და მოცულობითი ანალიზია, მისი გარკვეული დეტალები ყველაზე ნაკლებად არის გადახედილი. ბეილი მეტისმეტად მოიხიბლა და მოცემული ნაშრომის დაწერისკენ უბიძგა მაფიის ინფორმატორის, ჯოზეფ ვალაჩის ტელევიზიით გადაცემული დაკითხვის ყურებისას გაცხადებულმა ფაქტებმა. ამ დაკითხვამ წარმოაჩინა არა მარტო ის რაციონალური სტრუქტურა, რასაც მაფია ეყრდნობოდა, არამედ იმ თამაშის წესების მთელი ნაკრებიც, რომელთა საფუძველზეც განგსტერები ერთმანეთს ებრძოდნენ და კლავდნენ ძალაუფლების მოპოვებისთვის წარმოებულ ბრძოლებში. ლიდერობის გადაცემის პროცესი ფრედერიკ ბარტის (1959) მიერ პაკისტანში მცხოვრები სვატ პატანის ტომის თამაშის თეორიის მეთოდით გაკეთებული ანალიზის თითქმის იდენტური იყო. როგორც ჩანს, "ანარქიის ნაპირი წესებით იზღუდება." არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად ამორფულია პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ორთაბრძოლა იმ კოდექსით რეგულირდება, რომელიც მის მონაწილეებს შეიძლება გაცნობიერებული ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ კიდეც.

ყოველი კულტურა ამ პოლიტიკური მანიპულაციების საკუთარი წესების ნაკრებს ანვითარებს. მიუხედავად ამისა, შესაძლოა პოლიტიკა განვიხილოთ, როგორც თამაშის წესებზე და მიზანზე შეთანხმებული შეჯიბრი. რეალურად, რომ არ არსებობდეს პოლიტიკური წესების გარკვეული ქსელი, ხოლო შეჯიბრის პროცესში კი ყველა პარტიას შეეძლოს საკუთარი წესების შექმნა, მაშინ, უბრალოდ, პოლიტიკური თამაში ნამდვილი ბრძოლის სახეს მიიღებდა. არსებობს

პოლიტიკური თამაშის წესების ორი ტიპი: ნორმატიული წესები, რომლებიც საჯარო და ღიაა და, როგორც წესი, ბუნდოვანია (პატიოსნება, სპორტულობა და ასე შემდეგ). ეს ის წესებია, რომელთა მიხედვითაც მოქმედებები შეიძლება შეფასდეს ეთიკურად სწორად ან არასწორად. და მეორე, პრაგმატული წესები, რომელსაც რეალურად უკავშირდება თამაშის მოგება. ბეილი ყურადღებას სწორედ ამ მეორე ფაქტორზე ამახვილებს, რადგან არსებითი კითხვა, მისი აზრით არის არა ის, მოქმედება საზოგადოების მიერ გამართლებულია თუ არა, არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურია იგი. შეჯიბრს ადგილი აქვს პოლიტიკური სფეროს ფარგლებში, რომელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც საზოგადოება ან საზოგადოების სეგმენტი, სადაც ორი ან ორზე მეტი ურთიერთმტრულად განწყობილი პოლიტიკური სტრუქტურაა, თუმცა არ არსებობს ამ სტრუქტუტურებს შორის ურთიერთობის წესებზე თანხმობა. პოლიტიკური სფეროს შიგნით არსებობს ისეთი სივრცეები, სადაც გუნდები, რომლებიც იზიარებენ თამაშის ამგვარ წესებს, თავად ცდილობენ მხარდაჭერის მოპოვებას, ხოლო მოწინააღმდეგეს კი ყველა ხერხით უთხრიან ძირს. შესაძლოა შეჯიბრი არ შემოიფარგლოს მოქმედების ერთი სივრცით და იმავე პოლიტიკური სფეროს ფარგლებში ერთი სივრციდან მოქმედების მეორე სივრცეში გადაინაცვლოს. ასევე დასაშვებია, რომ ერთი სივრცის ფარგლებში მოქმედი კონკურენტი ჯგუფები საგარეო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დროებით გაერთიანდნენ.

პოლიტიკურ სტრუქტურაში, თუ მას განვიხილავთ როგორც თამაშს, ხუთი ძირითადი ელემენტი არსებობს. პირველი, უნდა არსებობდეს მოცემული საზოგადოების კულტურის საფუძველზე განსაზღვრული და მიღებული ჯილდოები ან მიზნები, რომლებიც საკმარისად უნდა იყოს დაფასებული მონაწილეების მიერ, რათა აზრი ჰქონდეს შეჯიბრს. მეორე, ესაა კონფლიქტში პერსონალური ჩართულობა: იგი მოიცავს მთელ პოლიტიკურ თემს, პოლიტიკურ ელიტას (მათ ვინც კონფლიქტშია) და შეჯიბრში ჩართულ პოლიტიკურ ჯგუფებს. მესამე ელემენტი არის ლიდერობა. იგი გულისხმობს ინდივიდებს, რომლებსაც ჰყავთ ერთის მხრივ, მხარდამჭერთა ჯგუფი და მეორეს მხრივ, ისეთი პიროვნებები, რომლებიც რეალურად ღებულობენ გადაწყვეტილებებს და აგვარებენ პრობლემებს; თავისთავად, შესაძლოა ასეთი ადამიანები სულაც არ იყვნენ აშკარად გაცხადებული ლიდერები. მეოთხე არის თავად შეჯიბრი, რომელიც ორი ტიპისაა: კონფრონტაცია ან პოლიტიკური სივრცის შიგნით მოძრაობა, რომლის მეშვეობითაც ხდება დაპირისპირებული ძალისთვის როგორც რესურსების მხრივ საკუთარი სიძლიერის, ასევე შესაძლო განზრახვების გაცხადება; და მეორე - შეჯახება, რომლის დროსაც ორივე მოწინააღმდეგე მხარე საჯაროდ თანახმაა იმაზე, რომ გამოსცადონ ერთმანეთის სიძლიერე. და ბოლოს, მეხუთე პრინციპი,

არსებობენ მოსამართლეები, რომლებიც თვალს ადევნებენ თამაშის წესებს და დარღვევის შემთხვევაში მოითხოვენ მათ დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ ბეილისთვის წესები პოლიტიკის თამაშის შემადგენელი უმთავრესი ელემენტია, იგი აღნიშნავს, რომ აშკარა თაღლითობა ან წესების ერთი ნაწილის მეორე ნაწილის საწინააღმდეგოდ გამოყენებაც ასევე თამაშის ნაწილია. უოტერგეიტის სკანდალის დროს, რომელმაც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გადადგომა გამოიწვია, პრაგმატული და ნორმატიული წესები ერთმანეთთან კონფლიქტში მოვიდა. ოპონენტების თვალთვალი დიდი ხანია რაც ამერიკული პარტიული პოლიტიკის ნაწილად იქცა და, შესაძლოა, იგი პრაგმატული წესების ფარგლებში ლეგიტიმურადაც განიხილება; თუმცა, მსგავსი საქციელი თვალში საცემი არ უნდა იყოს. როდესაც დემოკრატიული პარტიის სათავო ოფისში მოსასმენი აპარატურის დაყენება გამჟღავნდა, მასთან ერთად გაიხსნა წმინდა პრაგმატული მოქმედებების პანდორას ყუთიც - მტრების სია, დემოკრატების კანდიდატებზე ბინძური ჭორების დაყრა, ფაქტების დამახინჯება და საგულდაგულო კონსპირაცია. ჩამოთვლილთაგან არცერთი არ იქნებოდა განსაკუთრებით გასაკვირი ამერიკელი ამომრჩევლისთვის, რომელიც, როგორც ჯგუფი, პოლიტიკის მიმართ ჯანმრთელი ცინიზმითაა განმსჭვალული. ალბათ, რეალურ დანაშაულებებზე ბევრად უფრო საშიში იყო უოტერგეიტის ფირი, რომელმაც აშკარა გახადა ის საოცრად უღირსი და არამყარი მეთოდები, რითაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ადამიანები აკეთებდნენ საქმეს. ნიქსონის გადადგომით და მისი ქმედებების კრიმინალად აღიარებით, ნორმატიულმა ღირებულებებმა დროებით გაიმარჯვა პრაგმატულ პოლიტიკაზე. შეიქმნა დროებითი ილუზია იმისა, რომ ხელისუფლებამ შეიძლება მართოს ნორმატიული წესებით. ჯიმი კარტერის საარჩევნო კამპანია მორალურობაზე ხაზგასმით გამოირჩეოდა. ამასთანავე, იგი პირდებოდა ამომრჩეველს, რომ არასდროს მოიტყუებოდა. კარტერმა მხოლოდ ოთხი წელი დაჰყო პრეზიდენტად.

პოლიტიკური გუნდები

ფართოდ რომ ვიმსჯელოთ, არსებობს პოლიტიკური გუნდების ორი ტიპი: საკონტრაქტო და მორალური. საკონტრაქტო გუნდი ერთიანდება არა ღირებულებების გარშემო, არამედ კონკრეტული ლიდერის მხარდაჭერის გზით სარგებლის ან პოტენციური სარგებლის მიღების მიზნით. საკონტრაქტო ტიპის გუნდის შედარებით თავისუფლად ორგანიზებული ფორმაა ტრანზაქციური (საქმიანი გარიგების გარშემო გაერთიანებული) გუნდი, რომელიც ემყარება

მატერიალური ტიპის ურთიერთგაცვლას – ფული, საკვები, ტანსაცმელი, კონტრაქტები და ლიცენზიები. ასე რომ, ლიდერებს და მათ მხარდამჭერებს შორის კავშირები ზუსტად გაცნობიერებულ მატერიალურ სარგებელზეა დაფუძნებული. ბიგ მენის სისტემებში, ისეთებში, როგორიცაა მაგალითად, პოლინეზია, ლიდერმა კეთილგანწყობა ხარკისა და ნადიმების მოწყობის გზით უნდა იყიდოს. მშრომელთა კავშირებში ლიდერის ძალაუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების რწმენაზე, რომ მას მათთვის ხელფასისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ეს მოძრაობის შიგნით მოქმედ მის კონკურენტებს ძალუძთ. ლიდერის პოზიციების გამყარება, კონკრეტულ მიმდევრებთან პირისპირ საქმიანი ურთიერთობებით ხდება, ამასთანავე, ლიდერს, სავარაუდოდ, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ხელისუფლების გაყოფის შემთხვევაში იზრდება აჯანყების საფრთხე. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის ჯგუფების ზომები უკიდურესად შეზღუდულია. კონტრაქტზე დამყარებული გუნდის მეორე ტიპს, ბიუროკატიულ ჯგუფს, ზოგიერთი ამ სიძნელეთაგან თავიდან აქვს აცილებული. აქ ლიდერობა გადასულია სხვადასხვა ფუნქციონერის ხელში. ყველა მათგანს ძალაუფლების იერარქიულ კიბეში საკუთარი სპეციალიზირებული ადგილი უჭირავს. ასე რომ, მთავარ ლიდერს თავისუფლად შეუძლია თავიდან აიცილოს ნებისმიერი პირდაპირი საფრთხე. ამ ჯგუფის უპირატესობა ისიცაა, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლია გაფართოვება, რადგან იგი არაა დამოკიდებული ერთ ინდივიდთან პიროვნულ ურთიერთობებზე.

იმ გუნდების საპირისპიროდ, სადაც ლიდერისადმი კეთილგანწყობა დამოკიდებულია პიროვნულ სარგებელზე, მორალური გუნდი გაერთიანებულია გაზიარებული ეთიკური ნორმების გარშემო: რელიგიური რწმენა, ნაციონალიზმი ან უტოპიური პოლიტიკური იდეოლოგია. ამგვარი ჯგუფის ლიდერი მკვეთრად შეზღუდულია ჯგუფის ნორმატიული ღირებულებებით. თუმცა, ამასთანავე, ცოდნა იმისა, რომ მისი მიმდევრები არ გადაიხრებიან სხვა ლიდერისკენ, ვინც მათ უფრო მეტ მატერიალურ სარგებელს მოუტანს, მის პოზიციებს უფრო მეტ სიმყარეს ჰმატებს. მორალური გუნდის ლიდერი შეიძლება აცხადებდეს მონოპოლიას გარკვეულ მისტიკურ ატრიბუტებზე, ისეთებზე, როგორიცაა ღმერთთან კავშირი, რაც ოპოზიციურად განწყობილი ძალების საწინააღმდეგოდ ეფექტურად მუშაობს. მაგალითად, უგანდაში მცხოვრებ ტრადიციულ ლუგბარას ტომში მხოლოდ უფროს თაობას შეეძლო გამოეყენებინა წინაპრების სულების ძალა, რაც ხელს უშლიდა ახალგაზრდა თაობას სერიოზული საფრთხის წინაშე დაეყენებინა უფროსი თაობის ძალაუფლება.

მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპისაა გუნდი, ლიდერმა უნდა შეასრულოს გარკვეული ფუნქციები: გადაწყვეტილებების მიღება, ჯგუფში რეკრუტირების განხორციელება და მისი შენარჩუნება, გუნდის გარეთ არსებულ სამყაროსთან ურთიერთობა. ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება ნორმატიული ან პრაგმატული ტიპის იქნება; ასევე, შესაძლებელია ორივე მათგანის კომბინაციაც. ასე რომ, ლიდერის რეალური თვისებების გამომჟღავნების საჭიროება მხოლოდ გაურკვევლობის პირობებში ხდება საჭირო.

გადაწყვეტილების მიღებისას ლიდერმა ყოველთვის უნდა გათვალოს პოლიტიკური საფასური, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ნორმატიული წესების გამოყენება. ლიდერისთვის მსგავს შემთხვევებში ყველაზე უსაფრთხო სტრატეგია იმგვარი გადაწყვეტილების მიღებაა, რომელიც შესაძლებელს გახდის ყველაზე მცირე სოციალურ ცვლილებას. ყველაზე ნაკლები საფასური კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება იქნება. ამაში იგულისხმება, რომ ლიდერი მიაღწევს პირველად თანხმობას და შემდეგ მარტივად აცხადებს ჯგუფის გადაწყვეტილებას. თუმცა, მსგავსი კონსენსუსის მიღწევა შესაძლოა ხანგრძლივი, რთული და განხეთქილების მომტანი პროცესი გამოდგეს და გარკვეული დოზით, ლიდერის სისუსტესაც გულისხმობდეს. გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკურად ყველაზე ძვირი ფორმა, უბრალოდ, ბრძანების გაცემაა. ლიდერი, რომელმაც იცის თამაში, რა თქმა უნდა, ეძებს იმ შუალედურ გზას, რომლითაც იგი შეძლებს ძალაუფლების გამოყენებას და ამასთან ერთად, შეინარჩუნებს საკუთარი მომხრეების მაქსიმალურ რაოდენობას.

პოლიტიკური ჰერმეტიზირება

ხანგრძლივი პერსპექტივის კუთხით, გუნდები, რომლებიც რეგულარულად ეჯიბრებიან ერთმანეთს ძალაუფლებისთვის, დაახლოებით ერთი სიძლიერისანი უნდა იყვნენ. თუმცა, პერიოდულად, შესაძლოა პოლიტიკური თამაში ერთი სივრციდან მეორე, უფრო დიდ სივრცეში გადადიოდეს, სადაც გუნდი აღმოაჩენს, რომ უფრო ფართო პოლიტიკური სტრუქტურის მიერ არის ჰერმეტიზირებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვერცერთი გუნდის ნორმატიული ან პრაგმატული წესები ვერ იქნება რომელიმე მეორე გუნდის მიმართ გამოყენებული. მსგავს პირობებში სამი ტიპის ურთიერთობაა შესაძლებელი. პირველი, უფრო ფართო სტრუქტურამ უფრო მცირე სტრუქტურასთან შეიძლება მხოლოდ უკიდურესად ნომინალური ურთიერთობები შეინარჩუნოს - განსაკუთრებით, თუ ორი ჯგუფის კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან;

უფრო მცირე ჯგუფი კი ინარჩუნებს მნიშვნელოვან ძალაუფლებას მის საკუთარ შეზღუდულ სამფლობელოში. ინდოეთში კოლონიური მმართველობის პერიოდში, მაგალითად, ჩინეთისა და ბირმის საზღვრებთან ახლოს არსებობდა დიდი ტერიტორიები, რომლებსაც ბრიტანელი მმართველები, უბრალოდ, იგნორიებას უკეთებდნენ. მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ხდებოდა ამ ტერიტორიების შემოვლა, რითაც იქმნებოდა კონტროლის ილუზია (თუმცა, იქაურ მოსახლეობაში არსებული ადამიანის მსხვერპლად შეწირვის და ჩვილთა მკვლელობის დამკვიდრებული პრაქტიკის არსებობით იმდენად ირღვეოდა ბრიტანული ნორმატიული ღირებულებები, რომ საბოლოოდ, ბრიტანელები ამ ღირებულებების შესასუსტებლად 20 წლიან ბრძოლაში ჩაერთვნენ). მეორე ალტერნატივაა შეფარვითი ჰერმეტიზირება. ყველაზე პრიმიტიულ დონეზე ეს უბრალოდ, ნაციონალური ფორმის განგსტერული რეკეტის მფარველობაა...- თუ უფრო სუსტი ჯგუფი იხდის ხარკს, მაშინ მას არ შეეხებიან. უფრო რთული ვერსიაა არაპირდაპირი წესები, რომელიც ხელოვნების დონემდე ჰქონდა აყვანილი ბრიტანულ კოლონიალურ მმართველობას აფრიკაში. და ბოლოს, რადიკალური ცვლილების განხორციელებით ან არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების გაუქმებით შესაძლოა შედარებით ვიწრო და სუსტი ჯგუფი გაითქვიფოს უფრო ფართო ჯგუფში. პერიოდულად ამ მეთოდის გამოყენებას ძალადობრივი ასიმილაციისა და დეტრაიბალიზაციის გზით ცდილობდნენ ამერიკელი ინდიელების მიმართ; მოცემულმა მეთოდმა მარცხი განიცადა, რადგან დომინანტური და სუბორდინირებული ჯგუფების ღირებულებები იმდენად რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ მსგავსი გათქვეფა შეუძლებელი იყო.

როგორიც არ უნდა იყოს ჰერმეტიზირების პროცესი, შუამავალი თავის თავზე იღებს ორ სტრუქტურას შორის მედიატორის მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს. შუამავლის წარმატება დამოკიდებულია მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის მისეულ უნარზე, რადგან კომპრომისის მიღწევა, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეულ მხარეს მეორე მხარეზე მცდარი წარმოდგენა აქვს. საბოლოო ჯამში, შუამავალი ორივე მხარეს შესძულდება. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, ტერმინში "კოლო" (რომელსაც დამამცირებელი დატვირთვა აქვს). ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ მთიან პერუსა და ბოლივიაში მცხოვრებ შუამავალ ინდიელთა კლასს, რომლებიც სოციალურად გლეხებისა და მესტიცოს შორის მყოფ ფენას ეკუთვნოდნენ. კოლო – ესენი არიან ინდიელები, რომლებმაც მიატოვეს მიწები და დაკავდნენ გადაზიდვებით, კონტრაბანდის შემოტანით ან მცირე მაღაზიებში ვაჭრობით. ისინი, იმავდროულად, უპირატესობას ანიჭებდნენ ესპანურად საუბარს და იმოსებოდნენ მესტიცოს ტიპის ტანსაცმელში. მიუხედავად იმისა, რომ მათ

გლეხები ექსპლოატატორებად განიხილავდნენ და არ ენდობოდნენ, ხოლო მესტიცოებს კი ისინი სძულდათ, კოლოებმა სწრაფი ასიმილაციის პერიოდში ორი განსხვავებული კულტურის ურთიერთდაკავშირების კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულეს.

ნებისმიერი ჰერმეტიზირებული პოლიტიკური სტრუქტურის პრობლემა გადარჩენის პრობლემაა - როგორ შეინარჩუნოს თავი ცვალებად გარემოში მინიმალური ცვლილებების განხორციელებით. მორალურმა გუნდმა, განსაკუთრებით რელიგიურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა, შესაძლოა ფანატიზმის როლი მოირგოს და გამოაცხადოს ბრძოლა უკანასკნელ კაცამდე, ქალამდე და ბავშვამდე. უფრო ძლიერ ჯგუფზე ამან შეიძლება ნაკლები ზეგავლენა იქონიოს, რა შემთხვევაშიც ჰერმეტიზირებული ჯგუფი იძულებული იქნება შეიცვალოს. ბეილი გამოყოფს პოლიტიკური ცვლილების სამ ტიპს. ***განმეორებადი ცვლილება*** საკმაოდ რადიკალური ცვლილებაა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უფრო ფართო წონასწორობის ფარგლებში. მაგალითად, ყველა ჯგუფი შეეჯახება ლიდერის დაკარგვის, პერიოდული ომების, შიმშილობისა და წყალდიდობის პრობლემებს. მსგავს შემთხვევებში ნორმატიული და პრაგმატული წესები, ისეთები როგორიცაა, მაგალითად, მემკვიდრეობითობის წესი, საკმარისი იქნება საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობაში დასაბრუნებლად. მაშინ როცა, განმეორებადი ცვლილებების შემთხვევაში არ არსებობს კულმინაციური ელემენტი - მცირე ცვლილებების განხორციელება სულაც არ ნიშნავს, რომ ის უცილობლად შეიტანს წვლილს სტრუქტურის ფუნდამენტური ცვლილების საქმეში. ***ადაპტაციური ცვლილების*** შემთხვევაში კი საწყისი წონასწორობის მდგომარეობა ვეღარასდროს დაბრუნდება. ამ შემთხვევაში ნორმატიული წესები შეიძლება შენარჩუნდეს, მაგრამ პრაგმატულ წესებს კი, ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, მოუწევთ შეცვლა. როდესაც დაბლობზე მცხოვრებ ინდიელთა ტომებს რეზერვაციაში წასვლა აიძულეს, მათ შესძლეს გადაერჩინათ თავიანთი ძირეული კულტურული და პოლიტიკური ღირებულებების უდიდესი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ავტონომიური პოლიტიკური მდგომარეობა დამამცირებლად დამოკიდებული მდგომარეობით შეიცვალა. ***რადიკალური ცვლილების*** შემთხვევაში როგორც ნორმატიული, ასევე პრაგმატული წესები ძირიანად იცვლება – როგორც ეს კარგად ჩანს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანული კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ან საბჭოთა კავშირის დაშლის მაგალითებიდან.

ფრაქციები

1950-იან წლებში პროცესუალური მიდგომა სულ უფრო მეტად იწყებს ყურადღების გამახვილებას დროებითი პოლიტიკური ჯგუფებსა და ფრაქციების როლზე. იმდენად, რამდენადაც წონასწორობა განიხილებოდა სოციალური ორგანიზაციის მიზნად, ფრაქციები ნაკლებად ადაპტირებად ჯგუფებად მიიჩნეოდა. თუმცა, პროცესუალური თეორიის ხედვით, აშკარა იყო, რომ გარკვეულ გარემოებებში პოლიტიკური კონფლიქტის ორგანიზებისა და წარმართვის საქმეში, განსაკუთრებით სწრაფი სოციალური ცვლილებების პერიოდში, ფრაქციებს მეტი ადაპტაციის უნარი ჰქონდათ, ვიდრე ჩვეულებრივ პოლიტიკოსებს. ფრაქციონალიზმი, შესაძლოა, თვით ჯგუფების მუდმივი პოლიტიკის განხორციელებაშიც კი შეგვხვდეს. ედვინ ვინკლერის ხედვით (1970: 333), ფრაქციის ცნება "პოლიტიკურ სისტემაში შეტანილი წვლილის (input) შესწავლის ალბათ ყველაზე გამოკვეთილად ანთროპოლოგიურ მიდგომას წარმოადგენს". ვინკლერის აზრით, სწორედ ფრაქციონალიზმმა მოახდინა ანთროპოლოგიის ყურადღების ცენტრის გადატანა სტრუქტურალიზმიდან სტრუქტუტურული პრინციპებით მანიპულირების გზების შესწავლამდე. ბუნებრივია, მსგავსი ენთუზიაზმი გარკვეული დოზით შერბილებას საჭიროებდა. ჯანეტ ბურჯა (1973: 132) ეწინააღმდეგებოდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფრაქციები და ფრაქციონალიზმი "მოდური ცნებებია. ეს ცნებები იმდენად ბუნდოვანი მნიშვნელობისაა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თანამედროვე პერიოდში მათი გამოყენების მკაფიოობა". ნებისმიერ შემთხვევაში, ფრაქციები ანთროპოლოგების ლექსიკონში უკვე მყარად ფეხმოკიდებული ტერმინია და შესაბამისად, მას ისევე მოუწევს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავლა, როგორც დავუშვათ, ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ტომი ან სეგმენტური სანათესაო ხაზი.

ფიქსირებული სტრუქტურის მქონე არსებული კორპორატიული ტიპის ჯგუფებისგან (მაგალითად პოლიტიკური პარტიები, სანათესაოები, კლანები ან საიდუმლო საზოგადოებები) განსხვავებით, ფრაქცია, როგორც წესი, არაფორმალური, სპონტანური სახის და ლიდერის მიმდევრობაზე დაფუძნებული ჯგუფია, რომელიც ორგანიზებულია კონკრეტული მიზნისთვის და იშლება მიზნის მიღწევის ან დამარცხების შემთხვევაში. არსებობს ცალსახად კონფლიქტური ჯგუფები, რომლებიც ორგანიზდებიან ერთი ან რამდენიმე მოწინააღმდეგე ჯგუფის საპირისპიროდ. ამგვარად, განსაზღვრების მიხედვით, სპეციფიურ პოლიტიკურ სივრცეში არასდროს არ იქნება მხოლოდ ერთი ფრაქცია. იმის გამო, რომ ფრაქციის ლიდერი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს ნებისმიერი და ყველა ხელმისაწვდომი წყაროდან, მისი მიმდევრობა შესაძლოა სცილდებოდეს

პარტიულ, კლასობრივ ან კასტურ საზღვრებს. ამის შედეგად, ხშირად იგნორირებულია იდეოლოგიური ღირებულებების გარშემო ფოკუსირებაც.

ამ ფართო განსაზღვრებაში შესაძლოა გამოიკვეთოს ფრაქციების სხვადასხვა ტიპი. ზოგადად, მიღებულია, რომ ფრაქციონალიზმი ფორმალურ პოლიტიკურ ჯგუფებში არსებულ დროებით კონფლიქტებსაც მოიცავს, მაგალითად, ავიღოთ რესპუბლიკური პარტიის შიგნით არსებული ფრაქციები ნაციონალური სხდომის წინ. ამისგან განსხვავებით, უფრო ღრმა ფრაქციონალიზმი მაშინ ვითარდება, როდესაც საგარეო ზეწოლა ნორმალური პოლიტიკური მექანიზმების მოშლას იწვევს. ამგვარ გარემოებებში, სულ მცირე საბაბიც კი საკმარისია არაორგანიზებული და დროებითი ფრაქციების წარმოსაქმნელად (Siegal and Beals 1970). ფრაზა - "სეგმენტურად ფრაქცირებული პოლიტიკური სისტემა" გამოყენებულ იქნა იმ ჯგუფების მიმართ, სადაც ფრაქციები პოლიტიკური ორგანიზების დომინანტურ სახეს წარმოადგენდა. მიუხედავად შეკავშირების უნარისა, ინდოეთში მდებარე სოფელ კავუნდპურში მცხოვრები მეთუნეების კასტა არაა საკმარისად დიდი იმისთვის, რომ იმოქმედოს, როგორც ეფექტურმა პოლიტიკურმა ერთობამ. თუმცა, რომელიმე დომინანტურ კასტასთან რეგულარული კავშირის დამყარების გზით, ის მაინც ახერხებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. როგორც ღრმა ფრაქციონალიზმის შემთხვევაში, მოცემულ ტიპსაც, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს იმ სისტემებში, რომლებიც სწრაფ ცვლილებებს განიცდიან და სადაც პოლიტიკური კონფლიქტის წესები ბუნდოვანი ხდება (Nicholas 1965, 1966). მეორეს მხრივ, შედარებით სტაბილურ პოლიტიკურ სისტემებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფრაქციონალიზმს, როგორც გადაწყვეტილებების მიღების რეალურად უკვე ინსტიტუციონალიზებულ ფორმას. ეს მართებული იქნება, მაგალითად, ტრადიციული ნდემბუს ან თანამედროვე იაპონიის მაგალითებზე, რომელთა პოლიტიკური სისტემა უთვალავი რაოდენობის ფრაქციებად დაყოფილი პოლიტიკური პარტიისგან შესდგება.

ფრაქციები წარმოიშვა და განვითარდა კონფლიქტების პერიოდში. მათ არ შეუძლიათ მიაღწიონ თუნდაც შედარებითი წონასწორობის მდგომარეობას და შეინარჩუნონ საკუთარი, ფრაქციის სტატუსი. შესაძლებელია ოთხი ვარიანტი: პირველი, ფრაქციამ შეიძლება იმდენად დაამარცხოს მოწინააღმდეგე, რომ ლეგიტიმურობა მოიპოვოს და დაიწყოს ორგანიზება როგორც ფორმალურმა ჯგუფმა, დამარცხებული ჯგუფი კი საერთოდ ქრება. მეორე, სახელმწიფოებში, სადაც მხოლოდ ერთი ლეგიტიმირებული პოლიტიკური პარტია არსებობს, როგორც ამას ადგილი აქვს კომუნისტურ ჩინეთში, ფრაქციონალიზმმა, შესაძლოა, უბრალოდ პარტიული პოლიტიკის ფუნქციები შეასრულოს; მესამე შესაძლებლობა არის ის, რომ ფრაქციები შეიძლება პოლიტიკური

სფეროს შიგნით დიდი ხნის მანძილზე არსებობდნენ ისე, რომ ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვოს გამარჯვება, ხოლო კონფლიქტი თავისთავად რუტინიზირდება და უკვე თამაშის სახეს ღებულობს. და ბოლოს, ფრაქციები შეიძლება ინსტიტუციონალიზირდეს პოლიტიკური პარტიების სახით (Burja 1973).

პოლიტიკური სიმბოლიზმი

აბნერ კოენისთვის (1974) ადამიანი ფუნდამენტურად ორგანზომილებიანია: ის რის როგორც ადამიანი – სიმბოლისტი, ასევე ადამიანი – პოლიტიკური არსება და ეს ორი ფუნქცია მუდმივი და ურთიერთგანუყოფელია. ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც გამოიხატება დომინირების და სუბორდინაციის ნებისმიერ ურთიერთობაში და, შესაბამისად, წარმოადგენს ყველა სოციალური ურთიერთობის ასპექტს. ძალაუფლების ფიზიკური ძალისა და მორჩილების კონტექსტში განხილვა ნიშნავს იმას, რომ რეალურად გამოგეპაროს, ვერ შეაფასო ის დახვეწილი მეთოდები, რომლითაც მისი გამოხატვა ხდება. ყოველდღიურ მოქმედებებში ძალაუფლება "აისახება, ვითარდება, ნარჩუნდება ან ინიღბება" სიმბოლიზმის მეშვეობით. სიმბოლიზმის ყველა, ან თითქმის ყველა სახე შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტს.

პირდაპირი პოლიტიკური კომუნიკაცია, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად მჭევრმეტყველურია იგი, შესაძლოა არც იყოს განსაკუთრებით ეფექტური. ხმაურიანი პოლიტიკური გამოსვლა არ იძლევა შემდგომი დამუშავებისა და მანიპულირების საშუალებას და შეიძლება, ფაქტობრივად, განხეთქილების მომტანიც კი იყოს. სახელმწიფო მოღვაწეების დაკრძალვას, მაგალითად, ღრმა აზრი და დიდი მნიშვნელობა აქვს – კულტურული ღირებულებების ხელახალი გაცხადება, განგრძობითობის იდეა, ხელახალი დაბადება და კიდევ ბევრი სხვა რამ. ამგვარად, პოლიტიკა ყველაზე მეტად წარმოდგენილია მთლიანად არაპოლიტიკურ ინსტიტუტებში – სანათესაოში, ქორწინებაში, ეთნიკურობის და სხვადასხვა ჯგუფური ცერემონიის რიტუალებში.

თუკი სიმბოლიზმი რეალურად, კულტურის სინონიმია და თუ ყველა სიმბოლიზმი პოლიტიკური ხასიათისაა, შესაძლოა ვიფიქროთ, როგორც ამას კოენი (1979: 81) ამტკიცებდა, რომ "პოლიტიკური ანთროპოლოგია სხვა არაფერია, თუ არა აბსტრაქციის მაღალ მწვერვალებზე აყვანილი სოციალური ანთროპოლოგია". კოენი ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამო მკვეთრად გააკრიტიკეს. სიმბოლიზმი და პოლიტიკა იმდენად ფართო კონცეფციები გამოდის, რომ ისინი პრაქტიკულად, აზრს კარგავენ. ეს დაახლოებით იმის მსგავსია, ადამიანი მეცნიერული ახსნისთვის

უმთავრეს ელემენტად ღმერთს რომ მოიხმობდეს. ეს რომ ნამდვილად ასე ყოფილიყო, კოენი თავისი კოლეგებისგან იმაზე მეტ ყურადღებას ვერ დაიმსახურებდა, ვიდრე ეგრეთ წოდებული მეცნიერული კრეატივისტები. მაგრამ კოენს საკმაოდ კარგად შეუძლია ამ აბსტრაქციების მიწამდე დაშვება და მათი ზედმიწევნით განსაზღვრა. ამასთანავე, სპეციფიურ შემთხვევებში მათი გამოყენების ჩვენება, როგორც მან ეს გააკეთა მის მიერ პოლიტიკური ეთნოგრაფიის სფეროში დაწერილ რიგ მნიშვნელოვან ნაშრომებში.

ყველა სიმბოლიზმი ორხმიანია: იგი ემსახურება როგორც ეგზისტენციალურ, ასევე პოლიტიკურ მიზნებს. ეგზისტენციალურია იმ აზრით, რომ მოიცავს პერსონალურად ინდივიდს, აკავშირებს რა მას მისსავე ჯგუფთან. მაგალითად, მტკივნეული სქესობრივი მომწიფება – რიტუალი, რომელიც გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვას, მძლავრი პიროვნული გამოცდილებაა, რომლითაც ბავშვი გრძნობს, რომ გარკვეულწილად იგი შეიცვალა, რომ მისმა ძველმა მეობამ სახე იცვალა და მის ადგილას ადაპტაციის უკეთესი უნარის მქონე ახალი “მე” დაიბადა. ამავე დროს, რიტუალი არის კარგი საშუალება იმისა, რომ ნათესაობა ერთად შეიკრიბოს და კიდევ ერთხელ განამტკიცოს საკუთარი ერთობა, ხელახლა განიხილონ თავიანთი წარმომავლობის მითოლოგია, მიიღონ გადაწყვეტილებები, ლიდერებმა მოახერხონ საკუთარი თავის წარმოჩენა; კაცებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცონ მორალური და ფიზიკური დომინირება ქალებზე, უფროსმა თაობამ – ახალგაზრდობაზე, ხოლო ბრძენებმა - ნაკლებად ძლიერებზე. მართალია, სიმბოლიზმი დიდწილად გაუცნობიერებელია და, რეალურად, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მუდმივად არსებობს, მაგრამ მისი პოლიტიკური კომპონენტი ყველაზე კარგად რიტუალებსა და ცერემონიებში წარმოჩნდება. ნებისმიერი კონკრეტული ჯგუფის ფარგლებში ამის შესწავლა თვალსაჩინოს გახდის ძალაუფლების ადგილსამყოფელსაც და იმასაც, თუ როგორ ხდება მისით მანიპულირება.

“ელიტის კულტურის პოლიტიკაში” *(Politics of Elite Culture, 1981)* კოენი პოლიტიკის ამ ზოგად კონცეფციებს პატარა აფრიკულ ერთან მიმართებით განიხილავს. სიერა ლეონე იმ პერიოდისთვის იყო ერი-სახელმწიფო დაახლოებით 2,5 მილიონიანი მოსახლეობით, რომელთაგან 2 პროცენტზე ნაკლები (მათი უმრავლესობა ცხოვრობდა დედაქალაქ ფრითაუნში) – იყვნენ კრეოლები, რომლებიც საკუთარ თავს განიხილავდნენ ბრიტანელების მიერ ემანსიპირებული მონების შთამომავლებად. ისინი არ იყვნენ ეთნიკური ჯგუფი, ტრაიბალური ჯგუფი ან კლასი (ბევრი არაკრეოლი იყო იგივე ეკონომიკური სტატუსის მატარებელი) და მათი კავშირი მონა-წინაპრებთან გარკვეულწილად მითიურ სახეს ატარებდა. იქიდან გამომდინარე, რომ მათი ნათესაობითი სისტემა საკმაოდ გახსნილი იყო, მასში გაერთიანება და გათქვეფა ბევრს შეეძლო და,

შესაბამისად, კონკრეტულ საერთო წინაპრებზე საუბარიც არამართებულია. რეალურად, ისინი სახელმწიფოში არანაირ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ფლობდნენ, არ მიუწვდებოდათ ხელი არც ფიზიკურ ძალაზე. ბიზნესსა და მატერიალური საგნების წარმოებაში კი ყვლაზე უმნიშვნელო როლი ეკავათ.

თუმცა, კრეოლები არ იყვნენ მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის მქონე ჯგუფი, ისინი ამასთანავე უდიდეს პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდნენ სიერა ლეონეში. იმისათვის რომ გავიგოთ, თუ როგორ მიაღწიეს მათ ამას, კოენმა შეისწავლა მეთოდი, რითაც სიმბოლიზმი გამოიყენება ელიტის არარსებობის მისტიკის შესაქმნელად და ამ მისტიკის მათ საზღვრებს გარეთ ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად. ყოველივე ეს იმგვარად ხორციელდება, რომ ძალაუფლებაზე მათ მიერ გაცხადებულ პრეტენზიას დანარჩენებიც ეთანხმებიან.

ელიტიზმი ცხოვრების სტილია. ადამიანები ჯგუფის მიღმა შეიძლება სკოლების ან სწავლების გზით ხელისუფლებისთვის აუცილებელ ტექნიკურ ან ადმინისტრაციულ უნარებში გაწვრთნილნი იყვნენ, მაგრამ ელიტაში შესვლა მხოლოდ სოციალიზაციის ხანგრძლივი გზის გავლის შემდეგაა შესაძლებელი. ელიტიზმი მომდინარეობს არა სიმდიდრის ან სპეციფიური სოციალური ფუნქციებიდან, არამედ ფართო და რთული სიმბოლოების მთელი კომპლექსიდან, რაც მოიცავს მანერებს, ჩაცმის სტილს, აქცენტს, რეკრეაციულ მოქმედებებს, რიტუალებს, ცერემონიებს და კიდევ ბევრ სხვა ასპექტს. უნარები და ჩვევები, ის, რისი სწავლებაც შეიძლება - ცნობიერია, მაშინ როდესაც სიმბოლოების მთელი ნაკრები, რაც ჭეშმარიტ ელიტას ქმნის, დიდწილად გაუცნობიერებელ ხასიათს ატარებს.

ასეთი სიმბოლოები უნდა ემსახურებოდნენ ორმაგ მიზანს: ისინი უნდა იყოს პარტიკულარისტული, ასრულებდნენ ჯგუფის გაერთიანების და მისი უნიკალური იდენტობის შენარჩუნების ფუნქციას; და უნივერსალისტური, რომლითაც გარე ძალების დიდი უმრავლესობისთვის ძალაუფლების მფლობელის ლეგიტიმაცია ხდება.

კრეოლების, როგორც განცალკევებული ჯგუფის ხანგრძლივი არსებობა, მუდმივად საფრთხის წინაშე იდგა. მათი უმრავლესობის სიმდიდრე ეფუძნებოდა საკუთრების ფლობას ფრითაუნსა და მის შემოგარენში. საკუთრების ღირებულების ზრდა მნიშვნელოვნად უბიძგებდა მათ მიეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მათ ჯგუფს არ მიეკუთვნებოდნენ. ამასთან ერთად, კრეოლებმა დაკარგეს ის ძალაუფლება, რომელიც სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა პოლიტიკურ მხარდაჭერას ეფუძნებოდა. ეს მხარდაჭერა დაიკარგა, რამდენადაც, სახელმწიფო სამსახურში თანდათანობით სხვადასხვა თანამდებობაზე

პროვინციიდან წამოსული კარგი განათლების მქონე ახალი სახეები დასაქმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კრეოლები მთელი პროფესიონალების 64 პროცენტს შეადგენდნენ და დომინირებდნენ სამართლის, მედიცინის და სწავლების სფეროებში, ასევე წვრილ ბიუროკრატიულ აპარატში, მათ ნელნელა დაკარგეს ის ნიშა, რაც ოდესღაც ეკავათ ბიზნესში. ამ გამოწვევებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, ოდესღაც ნაკლებად შეკავშირებული კრეოლები იძულებულნი გახდნენ შეექმნათ უფრო ფორმალიზებული ინსტიტუტები და კომუნიკაციის უფრო ინტენსიური საშუალებები; ასევე, სულ უფრო მეტად გაესვათ ხაზი რიტუალებისა და ცერემონიებისთვის.

ქალები ჯგუფისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებსა და ღირებულებებთან ბავშვების, ასევე შესაბამისი ეტიკეტით კაცების სოციალიზაციის მეშვეობით, ყოველთვის უმთავრეს როლს თამაშობდნენ კრეოლების განცალკევებულობის შენარჩუნებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალები ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ როგორც ოჯახში, ასევე ნათესაობაშიც (რადგანაც კაცები უფრო მეტად დაკავებულნი იყვნენ კარიერითა და მამაკაცთა კლუბებში მონაწილეობით). ამგვარად, ისინი იმ დიდი სანათესაოს მთავარი ბურჯი იყვნენ, რომელიც კრეოლების, როგორც კორპორატიული ჯგუფის სტრუქტურის საფუძველს შეადგენდა. ეს სანათესაო მოიცავდა ოჯახების მთელ ქსელს, ხოლო ცერემონიებში მონაწილეობის გზით ხდებოდა თითოეულ ინდივიდის ბევრ სხვადასხვა ოჯახთან დაკავშირება.

მამაკაცებისთვის მასონობა ჯგუფის შენარჩუნების მნიშვნელოვან საშუალებას და პიროვნებათაშორის კომუნიკაციის სისტემას წარმოადგენდა. მართალია მასონობა არ იყო შეზღუდული მხოლოდ კრეოლებით, მაგრამ ფრითაუნში არსებული 17 მასონური ლოჟის წევრთა უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენდნენ. მათვე ეკავათ ყველაზე მაღალი თანამდებობის დიდი წილი. ხშირი ცერემონიები, რომლებიც, როგორც წესი, მდიდრულ ხასიათს ატარებდა, ჯგუფის ურთიერთობებს ამტკიცებდა და ფორმალიზირებულ ხასიათს ანიჭებდა; ხოლო ძმობის თავს მოხვეული სისტემა ხელს უწყობდა ინდივიდებს შორის გაუგებრობების ძმური და მეგობრული გზით გადაჭრას. მასონები, ამგვარად, წარმოქმნიდნენ ადამიანებს შორის ჯგუფური იდენტობის საფუძვლებს, ხოლო ინდივიდების დონეზე კი - პიროვნულ ურთიერთობებს.

ყველა ეს ინსტიტუტი არა მხოლოდ ჯგუფის შენარჩუნების პარტიკულარისტულ მიზნებს, არამედ ასევე, უფრო ფართო საზოგადოებაზე გათვლილ უნივერსალისტურ მიზნებსაც ემსახურებოდა. ქალები ჩართული იყვნენ მრავალფეროვან ასოციაციებში, კლუბებსა და იმგვარ აქტივობებში, რაც, ნაწილობრივ ან მთლიანად, საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ იყო მიმართული. მასონები ასევე მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი სამუშაოების პროექტებში. მაგრამ

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მასონთა საძმო ქმნიდა იმ ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის და გადაწყვეტილებათა მთელ ქსელს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ეროვნულ დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე იყვნენ პასუხისმგებელნი. ამგვარად, სიმბოლოებისა და ინსტიტუტების იგივე ქსელი, რაც კრეოლებს აერთიანებდა დახურულ ჯგუფში, ახდენდა მათი, როგორც საზოგადოებრივი სიკეთეების დელეგატების ლეგიტიმირებასაც.

იგივე შეიძლება სრულიად მართებულად ითქვას კრეოლების ხუთი ძირითადი კულტიდან წარმოქმნილი სხვადასხვა ცერემონიისა და რიტუალის შესახებაც. ეს კულტებია: მიცვალებულთა კულტი, ეკლესიის კულტი, მასონობის კულტი, ოჯახის კულტი და ეტიკეტის კულტი. დასაფლავებები, მადლიერების გადახდის რიტუალები, ქორწინებები, მეჯლისები და სხვა სოციალური მოვლენები დიდი რუდუნებით ჩატარებული ცერემონიები იყო – მკაფიოდ განსაზღვრული და ინტენსიურად მრავალმნიშვნელოვანი მოქმედებები სრულიად ემიჯნებოდა ყოველდღიური ცხოვრების რუტინას. ამ გზით ხდებოდა ისეთი პიროვნული მოვლენების, როგორიცაა ქორწინება ან საყვარელი ადამიანის გარდაცვალება, კოლექტიურ მოვლენამდე აყვანა. მონაწილეებისთვის მსგავსი დრამები მძაფრად შეგრძნებადი და პირდაპირი ხასიათის იყო, თუმცა, ამავე დროს, მისი მეშვეობით ხორციელდებოდა ინდივიდისა თუ ჯგუფის, კაცისა და ქალის ერთობის, გამარჯვებისა და დამარცხების, სიცოცხლისა და სიკვდილის უსასრულო თემებთან დაკავშირება. ნებისმიერ შემთხვევაში, სიმბოლოების გზით ერთიანდებოდა სასრული და უსასრულო, ინდივიდუალური და კოლექტიური, ლოკალური და ნაციონალური, ეგოისტური და ხელგაშლილი, კერძო და საზოგადოებრივი.

მართალია კოენის სახელს უკავშირდება პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში ტერმინ მოქმედების თეორიის შემოტანა, მაგრამ ნაკლებად შეგვიძლია იმავეს თქმა მის მიერ აღწერილ სიმბოლიზმის თემაზეც. მას არ გაუანალიზებია ინდივიდის ან თუნდაც მცირე ჯგუფის მოქმედება, თუ არ ჩავთვლით უფრო ზოგადი პროცესების მაგალითების მოყვანას. ამასთანავე, კოენს მიაჩნია, რომ ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა იყოს არამართებულად ამოგლეჯილი მისი კულტურული კონტექსტიდან, რათა იმაზე მეტი თავისუფლების ილუზია არ შეიქმნას, ვიდრე რეალურად არის. მეორე მხრივ, სწორედ კოენმა - უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ - გააფართოვა მოქმედების თეორიის არეალი, მოახდინა რა ინდივიდების მოქმედებაში იმ სიმბოლური სფეროს გამოაშკარავება, რომელიც ძალაუფლებისათვის მებრძოლი ძალებისთვის როგორც შემაკავებელ, ასევე ჯერაც შეუსწავლელ ფაქტორებს წარმოქმნის.

რეკომენდებული ლიტერატურა

Bailey, F. G. Strategems and Spoils (New York: Schocken Books, 1969). ბეილის მიერ შემოთავაზებული თეორია, რომელიც მომდევნო თავშია გაანალიზირებული, პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში არსებული ერთ-ერთ იმ მცირე სისტემურ მოდელთაგანს წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკური სისტემების ანალიზის საშუალებას იძლევა. ბეილის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტთაგანია ის, რომ მასში აშკარადაა წარმოჩენილი იდეალურ პოლიტიკურ სისტემებსა და რეალურ პოლიტიკურ სისტემებს შორის არსებული განსხვავებები.

Barth, Frederick. Political Leadership among the Swat Pathans (London: Athalone Press, 1959). „სვატებთან პიროვნება არსებულ პოლიტიკურ წესრიგში საკუთარ ადგილს სხვადასხვა პიროვნული არჩევანის მთელი სერიის გზით პოულობს“. ამ მარტივმა დაკვირვებამ და მოცემული დაკვირვების გასამყარებლად ჩატარებულმა ანალიზმა ბარტს წმინდა სტრუქტურული კვლევების (სადაც იგნორირებულია ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღება) წინააღმდეგ მიმართული რეაქციის წამომწყებთა მოწინავე რიგებში მიუჩინა ადგილი. შედეგად, მოცემული ნაშრომი და კიდევ ავღანეთში, სვატის დაბლობზე მცხოვრები პატანების შესახებ ჟურნალში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია საფუძვლად დაედო ბეილის მიერ შექმნილ თამაშის თეორიას.

Cohen, Abner. Two - Dimensional Man (Berkley: University of California Press, 1976). კოენისთვის ადამიანი - სიმბოლისტი და ადამიანი - პოლიტიკოსი ურთიერთშემავსებელი ცნებებია, რომლებიც ორმხრივად ზემოქმედებენ ერთმანეთზე. მოცემულ ნაშრომში კოენი გვთავაზობს ძალაუფლებასა და სიმბოლიზმს შორის არსებული დიალექტიკური ურთიერთობის მისეულ თეორიას. არგუმენტები გარკვეულწილად აბსტრაქტულ სახეს იძენს. მოცემული ნაშრომის წაკითხვა გვეხმარება კოენის ისეთი ბრწყინვალე ეთნოგრაფიული ნაშრომების უკეთ გაგებაში, როგორიცაა „ელიტისტური კულტურის პოლიტიკა“ ან „ჩვეულება და პოლიტიკიკა ურბანულ აფრიკაში“.

Cohen, Abner. The Politics of Elite Culture (Berkley: University of California Press, 1981). კოენი შეუდარებელია, როდესაც იგი ძალაუფლების მისეულ კონცეფციას და სიმბოლიზმს კონკრეტული, სპეციფიური ჯგუფის ანალიზირებისას იყენებს. ეს არის ერთ-ერთი იმ ძალიან მცირე ნაშრომთაგანი, სადაც ელიტის ძალაუფლება კონკრეტული საველე მუშაობისას მიღებული დაკვირვებებიდან გამომდინარეა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ობიექტები სიერა ლეონე და კრეოლები არიან, ჩნდება განცდა, რომ მოცემული კვლევა ზუსტად იმავე დოზით შეიძლება შეერთებული შტატებსაც ეხებოდეს.

Fogelson, Raymond D., and Richard N. Adams, eds. The Anthropology of Power (New York: Academic Press, 1977). ძალაუფლება განსაზღვრულია, როგორც უკიდურესად ფართო (და არა ყოველთვის პოლიტიკური) ცნება, რაც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთთან დავაკავშიროთ მოცემული 26 ეთნოგრაფიული კვლევა და ოთხი თეორიული ტიპის სტატია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რიჩარდ ადამსის მიერ შემოთავაზებული ძალაუფლების ევოლუციური მოდელი. ასევე, სხვადასხვა სტატიაში ძალიან საინტერესო ანალიზია გაკეთებული მაგალითად, წყნარი ოკეანის აუზის სამხრეთ რეგიონის მცხოვრებლებს შორის *მანას,* სიუხებს შორის-*ვაკანის* და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ინდიელებს შორის შამანიზმის გავრცელების შესახებ.

Turner, Victor W. Scism and Continuity in an African Society (Manchester, U.K.: Manchester University Press, 1957). პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში ძალიან ცოტა წიგნი იმსახურებს კლასიკის სტატუსს. მოცემული ნაშრომი ერთ-ერთი მათგანია. ბევრი კუთხით, ჩრდილოეთ როდეზიაში მდებარე სოფლის - ნდემბუს ფარგლებში ძალაუფლებისთვის წარმოებული ბრძოლების შესწავლა ძალიან გვაგონებს ჩინუა აჩებეს ცნობილ ნოველას - „ნგრევა“ *(“Things Fall Apart”).* აქაც ჩვენ ვხვდებით ძალაუფლებისა და

სტატუსისკენ ტრაგიკულ სწრაფვას. იმას, რის მოპოვებასაც ასე უიმედოდ მიელტვიან. მიუხედავად ტურნერის მიერ მეცნიერული აღწერისა, სანდომბუ გონს მოდის. მეთოდოლოგია ემყარება case study-ის ან სოციალურ დრამას, რომელშიც დეტალურადაა შესწავლილი და განხილული მცირე რაოდენობის სპეციფიური მოვლენა.

თავი 7

ხალხის ძალა: წინააღმდეგობა და აჯანყება

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

*შაქრის ლერწმის წარმოება დასავლეთ ინდიელებში, 1876 წლის გაზეთიდან "*The Graphic*". თანამედროვე ანთროპოლოგიური კვლევები უჩვენებს, რომ მუშები და გლეხები პასიურ მორჩილებაში კი არ იმყოფებოდნენ, არამედ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩუმი, მაგრამ ეფექტური საშუალებებით (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).*

ძალაუფლება ხშირად დახატულია, როგორც ზემოდან-ქვემოთ, ელიტებიდან უფრო დაბალი კლასებისკენ მიმართული მოქმედება, როგორც ძალადობაზე ლეგიტიმური კონტროლის სახელმწიფო მონოპოლია ან, როგორც იმ ადამიანების უნარი, რომლებიც აკონტროლებენ წარმოების საშუალებებს - აიძულონ სხვები, მათთვის იმუშავონ. პოსტ-სტრუქტურალისტი ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოსთვის (იხილე თავი 10), ძალაუფლება უჩუმარი რამაა; ესაა ძალა, რომელიც მოიცავს ცოდნისა და დისკურსის გზით, რომელიც არსებობს და გაცხადდება ყველა ადამიანურ ურთიერთობაში; ესაა სტილი, რომლითაც თანამედროვე ინსტიტუტები არსებობენ, დისციპლინირდებიან და ანხორციელებენ კონტროლს. თუმცა, ძალაუფლება არსებობს ქვემოთაც და ეს ძალაუფლება შეიძლება თითქმის სრულიად უხილავად იქნეს გაფანტული ან გასაოცრად ფოკუსირებული. ვისაც უნდა რომ მასები მუდმივ შიშში ამყოფოს, მათთვის ამის გაკეთების ყველაზე კარგი გზა შიშველი ძალადობაა. ძალადობა, სულერთია იქნება ეს შეფარვითი სახის თუ აშკარა მკვლელობების სერია, მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალ ინსტრუმენტთაგანია, რაზეც ხელი მიუწვდებათ ღარიბებსა და მარგინალიზირებულებსაც. მუშათა კავშირები, გლეხთა ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები თუ ეთნიკური და ნაციონალური ტიპის ორგანიზაციები, მუდმივად ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას. ხშირად, მათ ეს ძალიან ძვირი უჯდებათ და წარმატებას ყოველთვის (ან უფრო ხშირად) ვერც კი აღწევენ. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი მსგავს კონფლიქტს წონასწორობის სისტემის პათოლოგიად განიხილავს. თუმცა, პროტესტის ამგვარი გამოვლინება სულ უფრო ხშირად განიხილება ნორმატიულად.

პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში დომინანტური თემა იყო სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მკვიდრი მოსახლეობის მოსპობის საკითხი. ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა "თავდასხმა

სამოთხეზე" *(Assault on Paradise*), Kottak 1983), "პროგრესის მსხვერპლნი" *(Victims of Progress*), Bodley 1982) და "საოცრების მსხვერპლნი" (*Victims of the Miracle*), Davis 1977) ყურადღება მახვილდება იმ მიზეზებზე, რამაც ხელი შეუწყო ტრაიბალური კულტურების ნგრევას. 1970-იან წლებში მსოფლიო სისტემის წარმოშობის პერსპექტივასთან ერთად, კოლონიალიზმის მავნე შედეგების გაანალიზება პრაქტიკულად, ლამის *de riguer* იქცა მკვიდრი პოლიტიკის ნებისმიერ შესწავლისას. თითქმის უცოდინრობის ტოლფასია ისაუბრო ამერიკელ ინდიელებზე და არ ახსენო ევროპელი კონკისტადორების მიერ მათი ჩაგვრა. ამას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს შეფარვით გამოხატული ვარაუდი იმისა, რომ ჩვეულებრივ, სუსტ, დაბალ კლასებს არაფერი სხვა არ შეუძლიათ - ან უნდა დაემორჩილონ, ან უნდა აირჩიონ ორ ალტერნატივას შორის ერთ-ერთი: აჯანყება ან პასიური წინააღმდეგობა. ბევრ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. მიუხედავად ამისა, ანთროპოლოგები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იმ გზებს, რომლითაც ადამიანები იბრძვიან - ძალადობრივად ან არაძალადობრივად და არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა იარაღია მათ განკარგულებაში.

ყოველდღიური წინააღმდეგობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის პერიოდში, კონფედერანტთა არმიამ ომში წასვლისგან თავის არიდებისა და დეზერტირობის გამო დაახლოებით 250 ათასი კვალიფიციური თეთრკანიანი მებრძოლი დაკარგა. მართალია, ეს არ ყოფილა სამხრეთის მარცხის უმთავრესი მიზეზი, მაგრამ ამან მაინც მნიშვნელოვანი როლი იქონია (Skott, 1985:30) ომის საბოლოო შედეგებზე. ირანში შაჰის მიერ წამოწყებული ვესტერნიზაციის პროგრამებისადმი მუსლიმი ფუნდამენტალისტების არაძალადობრივმა დაპირისპირებამ იმგვარი კლიმატი და პირობები წარმოშვა, რამაც ხელი შეუწყო შაჰის ხელისუფლების დაკარგვას (Skalnik 1989). ახალ გვინეაში მცხოვრებ ლუსის ტომებში, ისევე როგორც ბევრ სხვა საზოგადოებას შორის, სუიციდი ეფექტური პოლიტიკური სტრატეგია იყო. ამას ის ქალები მიმართავდნენ, რომლებიც სხვაგვარად ყველანაირად ძალაუფლება დაკარგულები იყვნენ. სუიციდს შეეძლო მხარდაჭერის მობილიზება და თემის მოქმედების მიმართვა ქალთა მჩაგვრელების წინააღმდეგ (Counts 1984). მსოფლიოს მასშტაბით მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლებების ყოვლმხრივი მცდელობებისა - ძალით განეხორციელებინათ ასიმილაცია, ეთნიკურმა ჯგუფებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ და უფრო გაეძლიერებინათ კიდეც მათი საკუთარი კულტურული იდენტობები (Castile and Kushner, 1981).

ეს ის მაგალითებია, რასაც პოლიტოლოგი ჯეიმზ სკოტი "სუსტების იარაღს" *(Weapons of the Weak, 1985)* უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე, თუ ძალაუფლება განსაზღვრულია, როგორც უნარი - იმოქმედო სხვათა გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, მაშინ ძალაუფლების ბევრი სახე არსებულა, რომელზეც ხელი სახელმწიფო იერარქიის დაბალ საფეხურებზე მდგომ ადამიანებსაც მიუწვდებათ. ძალაუფლების ზოგიერთი ეს სახე, შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როგორც მაგალითად, სამხედრო გაწვევისთვის თავის არიდება თუ არმიიდან დეზერტირობა, ან კარგად ორგანიზებული, როგორც განდის ან მარტინ ლუთერ კინგის არაძალადობრივი პროტესტები.

პიერ კლასტერსი თავის ნაშრომში "საზოგადოება სახელმწიფოს წინააღმდეგ" *(Society against the State, 1977)*, ძალაუფლების ამ ტიპს, რომელიც ხალხშია გაფანტული, ტრაიბალურ საზოგადოებებსა და საბელადოებში სახელმწიფოს ფორმირების ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს. ძლიერი ლიდერი არასახელმწიფობრივი ტიპის საზოგადოებებში შეიძლება ომის პერიოდში დაწინაურდეს, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში ნათესაობის სტრუქტურაზე დაფუძნებული სისტემები ხელს უშლის რომელიმე ერთი პიროვნების ან ელიტური ჯგუფის მიერ დომინირების მოპოვებას. აქ სახელმწიფოს ფორმირებას მუდმივად წინ ეღობება გარკვეული ფაქტორები. ბრაზილიაში მცხოვრები ტუპინამბას ტომის მეთაური შეუცვლელია ომის პერიოდში, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში მის საქმიანობას ზედმიწევნით აკონტროლებს უხუცესთა საბჭო. ჯერონიმომ 30 წელი დახარჯა იმაზე, რომ აპაჩის ტომის ერთადერთი ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ დამარცხდა. ახალგაზრდობაში მას მიეცა იმის ძალაუფლება, რომ საპასუხო შეტევა განეხორციელებინა მექსიკურ გარნიზონზე, მაგრამ ამ შეტევის დასრულების შემდეგ, მიუხედავად მის მიერ სამხედრო საქმეში მოპოვებული წარმატებებისა, ჯერონიმოს გაუჭირდა მომხრეების მხარდაჭერის მოპოვება. მისი ქმედება პიროვნული სარგებლის ძიებად იქნა მიჩნეული. აპაჩები არცერთ ადამიანს არ მისცემდნენ მათზე ბატონობის უფლებას. როგორც კლასტერსი აღნიშნავს, "იმ ხალხების ისტორია, რომლებსაც არ აქვთ ისტორია, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მათი ბრძოლის ისტორია" (გვ. 186).

თუმცა, როდესაც იქმნება სახელმწიფო (ფაქტობრივად, დღეისათვის ყველა აბორიგენი მოსახლეობა თავსმოხვეული სახელმწიფო სისტემის ფარგლებში ცხოვრობს, რომელთა ჩამოყალიბებაშიც მათ ან არანაირი, ან კი ძალიან მცირე წვლილი მიუძღვით), კულტურული გადარჩენისა და ინდივიდუალური ავტონომიის მოსაპოვებლად ახალი სტრატეგიის

ჩამოყალიბებაა საჭირო. პეტერ სკალნიკი (1989: 9-11) ამ სტრატეგიებიდან რამდენიმეს ჩამოთვლის. თუ ჯგუფს საკუთარ განკარგულებაში მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია - როგორც ეს მეთვრამეტე საუკუნის კრეელი ინდიელების შემთხვევაში მოხდა, რომლებსაც ჰქონდათ ბეწვეული - მათ დამპყრობელი ძალისგან საჩუქრებისა და სპეციალური ხელშეკრულებების სახით სანაცვლოს მოთხოვნა შეუძლიათ. მეორე ტაქტიკაა სახელმწიფოსთან კოლაბორაცია და, რეალურად, სახელმწიფოს პოლიტიკის მის საწინააღმდეგოდვე გამოყენება, როგორც ეს გააკეთეს მალაიზიელმა ნეგრიტოსებმა. მათ მიიღეს ბრიტანული ბატონობის მიერ თავს მოხვეული პარტიული პოლიტიკა და შემდეგ შექმნეს პრონეგრიტოსული პარტია, რომელიც ხელს უშლიდა კოლონიურ ხელისუფლებას მისივე პოლიტიკის გატარებაში. თუ აბორიგენული ჯგუფი საკმაოდ ძლიერია, ან საკმაოდ მოშორებულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, ის შეიძლება მიუშვან თავის ნებაზე. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფის წევრები შეიძლება საკუთარ საქმიანობას ისე ეწეოდნენ, თითქოს მოცემული სახელმწიფოს ნაწილი არც იყვნენ. საკმაოდ კარგად მოქმედი სტრატეგიაა სახელმწიფოსთვის თავის არიდება ჩაგვრის საშუალებებისგან მოშორების გზით. რევოლუციური რუსეთიდან ძველმორწმუნეებმა ("სტაროვერებმა") აღმსარებლობის თავისუფლების ძიების პროცესში ჯერ ჩინეთში გადაინაცვლეს, ჩინეთიდან ბრაზილიაში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და, საბოლოოდ, კანადაში დასახლდნენ. შესაძლებელია ხალხმა ერთი ან ორი თაობა დაიცადოს, ხოლო როდესაც შესუსტდება სახელმწიფოს მხრიდან ასიმილაციის საფრთხე, დაუბრუნდნენ ტრადიციული ცხოვრების გზას, როგორც ეს მოხდა შავი ფეხის ინდიელების შემთხვევაში, როცა ისინი დაუბრუნდნენ აკრძალული მზის ცეკვის რელიგიას. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ხალხის ძალა ბევრად უფრო მძლავრი და მასშტაბური სახისაც შეიძლება იყოს. საერთაშორისო დონეზე ბესტსელერად ქცეულ წიგნში "სხვა გზა" *(The Other Path*, იხილე თავი 9) ერნანდო დე სოტო (1989) გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა პერუს ეკონომიკაში წამყვან ძალად ბოშების ტრანსპორტირების, შავი ბაზრის და უკანონო მშენებლობების არაფორმალური და არაკანონიერი ეკონომიკა.

ყოველდღიური წინააღმდეგობა მალაიზიაში

ფრაზის "გლეხთა წინააღმდეგობა" გამოყენებისას, უფრო ხშირად, სავარაუდოდ, თვალწინ წარმოგვიდგება ძალადობრივი და სისხლიანი აჯანყებები – ისეთები, როგორიცაა თუფაქ ამარუ II-ეს აჯანყება პერუში ან ჩინეთის რევოლუცია და არა სოფლის მაცხოვრებლები, რომლებიც სხედან

ადგილობრივ ბარში და ჩუმად საუბრობენ იმაზე, თუ როგორი დაუნდობელია ადგილობრივი მემამულე. თუმცა, ჯეიმზ ჯ. სკოტის მიხედვით (1985), სწორედ პროტესტის ეს უკანასკნელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული და ყველაზე წარმატებულიც. მისთვის უცხოა რევოლუციური რადიკალიზმი და ამ რევოლუციის მარცხის უცილობელი თანმდევი რეპრესიები. ამგვარი წინააღმდეგობა მიმდინარე, ყოველდღიური პროცესია, რომლის ფარგლებში გლეხები ებრძვიან ექსპლოატაციას ქურდობის, მოტყუების, საქმის კეთებისას ფეხის ათრევის, მცირე საბოტაჟის, ხანძრის გაჩენის, ცილისწამების მეთოდებით. წინააღმდეგობა შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ორგანიზებული. თუმცა, როგორც წესი, ამგვარი წინააღმდეგობები არაა დაკავშირებული რომელიმე ფართომასშტაბიან პოლიტიკურ მოძრაობასთან ან იდეოლოგიასთან. ყოველდღიური წინააღმდეგობის მოცემული ტაქტიკა უპირისპირდება გლეხობის შესახებ ფართოდ გავრცელებულ ხედვას, რომელიც მათ მოქმედებასთან მიმართებით მხოლოდ ორ ალტერნატივას იცნობს: ან ძალადობის უაზრო ამოფრქვევებს ან ბედთან პასიურ შეგუებას. გლეხობა, რეალურად, არასდროს ყოფილა უძრავად. მათ პროტესტს შეიძლება თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ ყოველდღიური ხასიათი ჰქონდეს.

მალაიზია მესამე სამყაროს ქვეყნებიდან ექსპორტზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების, მთლიანი ეროვნული პროდუქტის და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების სწრაფი ზრდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება მსგავსი პროცესისას, სიმდიდრისა და შემოსავლების მზარდი არათანაბარი გადანაწილება ის საფასური იყო, რომლის გადახდაც მოცემული პროგრესისთვის მოუწია ქვეყანას და მოსახლეობას. 1960 - 1970-იან წლებში სოფლის მოსახლეობის ღარიბი ნაწილის შემოსავლებმა იკლო, მაშინ როდესაც დანარჩენი მოსახლეობის შემოსავლები გაუმჯობესდა. მომდევნო ათწლეულში ღარიბების შემოსავლების ზრდამ წელიწადში 2,4 % მიაღწია, მაგრამ მათი შემოსავლების ძალიან დაბალი სასტარტო დონის გამო მოცემული ეკონომიკური ზრდა თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. 1980-იანი წლების დასაწყისისთვის მალაიზიის მოსახლეობის 44% მალაიზიის ხელისუფლების მიერ ოფიციალურად მიღებული ისედაც დაბალი სიღარიბის მაჩვენებლის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. არ არსებობდა არანაირი ხედვა, თუ როგორ უნდა დარეგულირებულიყო ქონების არათანაბარი გადანაწილება, რათა პრობლემა გარკვეული დონით მაინც მოგვარებულიყო. ამის ნაცვლად, ხელისუფლებამ დაიწყო გზების გაყვანის, სკოლების, კლინიკების და საზოგადოებრივი ნაგებობების აგების, წყალგაყვანილობისა და ელექტროობის სისტემების მოწესრიგების, მეჩეთების აშენების და ახალი დასახლებების შექმნის პოლიტიკის გატარება.

სედაკამ, 70 ოჯახისგან შემდგარმა თემმა, მასიური საირიგაციო პროექტის ზეგავლენა განიცადა, რამაც გზა გაუხსნა ე.წ. მწვანე რევოლუციას. ბრინჯი, რომლის მოსავალიც მანამდე წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოდიოდა, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ მოსავალს წელიწადში ორჯერ იძლეოდა. მართალია, ამას შედეგად არ მოუტანია მცირე რაოდენობის ადამიანების ხელში მიწების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ლათინურ ამერიკასა და ინდოეთში, მაგრამ ისინი, ვისაც უფრო დიდი მიწები ჰქონდათ, უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ და ამ სიახლისგან მიღებული მათი მოგებაც მეტი იყო. მხოლოდ საკმაოდ შეძლებულებს შეეძლოთ მიეღოთ მთავრობის დახმარება და აეღოთ სესხები, რომლის უკან დაბრუნებასაც არავინ ითხოვდა, თუ ადამიანი მიეკუთვნებოდა ფერმერთა ასოციაციას ან მმართველ პოლიტიკურ პარტიას. სიმდიდრე და ძალაუფლება სულ უფრო მეტად კონცენტრირდებოდა ისედაც მდიდრებისა და უკვე ძალაუფლებაში მყოფი ადამიანების ხელში.

ტრადიციული ბრინჯის მოყვანა ძალიან შრომატევადი საქმეა. ამ პროცესში ოთხი საფეხური – მიწის მომზადება, გადარგვა, მოსავლის აღება და დაცეხვა - ხელით უნდა გაკეთებულიყო. უმიწო ან მცირემიწიანი ადამიანები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ იმ ხელფასზე, რასაც ბრინჯზე მუშაობით იღებდნენ. თუმცა, ტრაქტორებმა და კომბაინებმა ამ შრომის დიდი ნაწილი შეითავსეს. მიწის გაზრდილი ღირებულების გამო ის არენდატორები, რომლებსაც მწვანე რევოლუციურ ტექნოლოგიაში ჩასადებად საკმარისი კაპიტალი არ ჰქონდათ, ჩანაცვლებულ იქნენ სხვა არენდატორებით, ხოლო მიწის რენტამ კი მნიშვნელოვნად მოიმატა. შედეგი ადვილად სავარაუდო იყო: მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბებმა კი ორმაგი დანაკარგი განიცადეს - დაკარგეს წარმოების საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, დაკარგეს შემოსავალიც და სამუშაოც. ამასთან ერთად, ღარიბებმა დაკარგეს ის მცირე სტატუსი და ღირსების გრძნობაც, რაც მათ მანამდე ჰქონდათ, იმდენად რამდენადაც, კიდევ უფრო დამოკიდებულნი გახდნენ მდიდრების მიერ გამოჩენილ გულუხვობასა და მათ მიერ გაცემულ სესხებზე.

სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის ამ სწრაფ პროცესში არც მდიდრებს და არც ღარიბებს შორის ჯერ არ იყო გავრცელებული ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან თავსებადი იდეოლოგიური სისტემა. რა თქმა უნდა, ადრეული სისტემა ექსპლუატაციური ტიპის იყო, მაგრამ იგი ერთის მხრივ მიწათმფლობელებს და, მეორეს მხრივ, მათ მეიჯარეებსა და მუშებს შორის არსებულ ორმხრივ დამოკიდებულებას გულისხმობდა. ახლა კი, გარდა გადარგვის პროცესისა, რომელიც კვლავაც ხელით კეთდებოდა (ძირითადად ქალების მიერ), ადამიანური შრომის ნაკლები საჭიროება არსებობდა და ხშირ შემთხვევაში, მეიჯარეებისთვის უფრო მომგებიანი გახდა საერთოდ უარი

ეთქვათ მიწის იჯარით აღებაზე. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღარიბები ამიერიდან აღარ სჭირდებოდათ მდიდრებს. თუმცა, მდიდრები კვლავაც განაგრძობდნენ იმგვარი თემის პირობებში ცხოვრებას, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა. ისინი არა მარტო მოგების მაქსიმიზირებას, არამედ სტატუსის და ლიდერობის მოპოვებასა და შენარჩუნებასაც ცდილობდნენ იმგვარი მოწყობის სისტემაში, სადაც მათ აღარ შეეძლოთ მოსახლეობის დიდ ნაწილზე სტრუქტურული მოთხოვნები ჰქონოდათ.

სიტუაცია პოტენციურად ფეთქებადი იყო და ის აფეთქდა კიდეც: დაიწყო კომბაინებზე საბოტაჟის განხორციელება. იყო მათი დაწვის შემთხვევებიც, ასევე იყო ბოიკოტირების ხანმოკლე და თითქმის უშედეგო მცდელობა ბრინჯის დათესვაში დასაქმებული ქალების მიერ. თუმცა, პირდაპირი კონფრონტაციის ამ ტიპის საწინააღმდეგოდ ბევრი შემზღუდველი ფაქტორი მოქმედებდა. ამ ფაქტორთა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ მუდმივი რეპრესიული ატმოსფეროს შექმნამ, რაც მალაიზიაში სუფევდა. მიღებულ იქნა შინაგანი უსაფრთხოების აქტი, რომელიც მიზნად ისახავდა გამაფრთხილებელი დაკავებების განხორციელებას და პროტესტის ზოგიერთი ტიპის აკრძალვას. ხშირი იყო ფართომასშტაბიანი პოლიტიკური შეკრებები, რომლებიც შემდგომში დემონსტრაციებში გადაიზრდებოდა ხოლმე. უფრო ლოკალურად და უფრო შეუმჩნევლად, რთული და ურთიერთგადამფარავი კლასობრივი სტრუქტურის, ნათესაობის, მეგობრობის თუ პატრონაჟის ქსელების გზით (რომლის მეშვეობითაც ხდებოდა თემის ყველა სეგმენტის ერთმანეთთან დაკავშირება) ძალადობრივი კონფრონტაცია თავიდან იქნა აცილებული. მწვანე რევოლუციის შედეგად მიღებული ცვლილებები ათეული წლების შემდეგაც თვალნათლივ ჩანდა. ასე რომ, არ არსებობდა არანაირი ერთი წერტილი, რომლის გარშემოც მოხდებოდა წინააღმდეგობის ბუნებრივად მობილიზირება. და ბოლოს, პრობლემა არ იყო მხოლოდ პირდაპირი ექსპლოატაცია, რომლის შემთხვევაშიც გაადვილდებოდა საერთო მტრის, პროტესტის საერთო სამიზნის პოვნა. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ღარიბები, უბრალოდ, ჩამოაშორეს წარმოების პროცესს.

იმისათვის რომ გავიაზროთ კლასობრივი ბრძოლა, ჩვენ მას მონაწილის თვალით და კონკრეტული იდეოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ. სკოტი (1985) კლასობრივ წინააღმდეგობას განსაზღვრავს, როგორც ღარიბების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს მათი მიზნების წინ წამოწევას ან ზემდგომი კლასის მოთხოვნების შესუსტებას. მსგავსი წინააღმდეგობა მოგონილ იქნა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ ღარიბებს შორის სამსახურის, მიწის და სესხის ძიების პროცესში ურთიერთ

კონკურენცია. ფრთხილად ხდებოდა მდიდრებთან კონფრონტაციის თავიდან აცილება და მოთხოვნებიც ყოველთვის პატივისცემისა და თანხმობის ენაზე ფორმულირდებოდა (იშვიათად, მაგრამ მაინც, ზოგჯერ მონური მორჩილებით, რადგან ღარიბი ადამიანის მიერ სტატუსის მოთხოვნა საფრთხილო იყო).

ღარიბებს შეუძლიათ მდიდრების დამცირება მათზე ჭორების დაყრის, დამამცირებელი მეტსახელების შერქმევით, დღესასწაულის ბოიკოტირებით ან თუნდაც, მათ მიერ მოწყობილ დღესასწაულზე მცირე ხნით გამოჩენით. სესხებსა და მოწყალების გაცემაზე (რაც ისლამის უპირველესი ღირებულებაა) უარის თქმა, შეიძლება ქედმაღლობაში, ავსიტყვაობასა და თვითდაჯერებულობაში დადანაშაულების საფუძვლად იქცეს (როგორც წესი, ეს არასდროს არაა მიმართული პირდაპირ მწყენინებლის მიმართ). ყოველივე ამას მდიდრებსა და ღარიბებს შორის ურთიერთობის ეფემერულ ხასიათამდე მივყავართ, რომლის დროსაც უშუალო ურთიერთობებში მუდმივად რაღაცაა ჩამალული - ფაქტობრივად, ყოველთვის არაავთენტური. მდიდარ ადამიანებს იმის გამო, რომ მათ ხელი დახვიეს და დაისაკუთრეს მთელი მიწები, ღარიბებს შორის დამამცირებელი სახელებით და აგდებით მოიხსენიებდნენ. თუმცა, მათ ამ სახელით ვერასდროს პირისპირ საუბრისას ვერ მიმართავდნენ. დასაქმებული ადამიანი, რომელიც ფიქრობდა, რომ მის შრომას არასათანადოდ ანაზღაურებდნენ, მადლობას უხდიდა თავის დამქირავებელს, მაგრამ მეგობრებისა და ოჯახის წრეში კი მასზე საყვედურს ამბობდა. სესხის ან მოწყალების გაცემის თხოვნის შემთხვევაში, ღარიბები ყოველთვის იყენებდნენ იმგვარ ზმნას, რომელიც გულისხმობდა, რომ ამ დახმარების მიღება მათი მორალური უფლება იყო.

რა თქმა უნდა, არსებობდა წინააღმდეგობის უფრო კონკრეტული ფორმებიც. მაგალითად, დაცეხვის დროს გავრცელებული იყო ტომრების ნორმალურზე უფრო სწრაფი ტემპებით ავსება. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრინჯის მოსავალზე მუშაობისას - თუ თვითოეული შეკვრა კარგად არ იქნებოდა დაცეხვილი, ვერ მოხერხდებოდა ბრინჯის სრულად გამოცალკევება. ამის გამო, მფლობელი იძულებული იყო ყოველწუთიერად ედევნებინა თვალი საქმისთვის. წყლით დატბორილ ველებზე მუშაობისას, სადაც კომბაინები ვერ შედიოდნენ, ყოველთვის არსებობდა იმის ალბათობა, რომ მუშებს ბოლომდე პატიოსნად არ შეესრულებინათ მათთვის დაკისრებული მოვალეობა, მით უმეტეს თუ მათ ძალიან დაბალი ხელფასები ჰქონდათ. იყო მუდმივი წუწუნი და მოლაპარაკებები ხელფასების გაზრდის თაობაზე და მარადიული უკმაყოფილება იმაზე, რომ მარცვალი არ იყო კარგად მოსული ან ძალიან ღრმად იყო წყალში. ამასთანავე, მიუხედავად თემის სიმცირისა, მდიდრებისგან მოპარვა ნორმად ითვლებოდა. იპარავდნენ ხიდან მოკრეფილ ნაყოფს,

ბრინჯის უხეშ ტომრებს, ველოსიპედებს, ქათმებს, წყლის კამიშებს, კამეჩებს და თვით მოტოციკლეტებსაც კი. წინააღმდეგობა ასევე შეიძლებოდა გამოხატულიყო მდიდრების შინაური ცხოველების დახოცვაში – იმ მოტივით, რომ ისინი აფუჭებდნენ მოსავალს ან შედიოდნენ სავარგულებში.

მუდმივი წინააღმდეგობა ღარიბებს შორის შენარჩუნებულ იქნა იძულებითი ორმხრივობის ან სანქცირებული სოლიდარობის გზით. არსებობდა ხმამაღლა უთქმელი თანხმობა იმის თაობაზე, რომ ხელფასების მოთხოვნისას არ გადაეკვეთათ ურთიერთინტერესები ან არ შეეთავაზებინათ უფრო მაღალი რენტა მიწაზე. ღარიბებს შორის კონკურენცია თავიდან იქნა აცილებული ისეთი სანქციების მეშვეობით, როგორიც იყო ჭორაობა, სახელის გატეხვა, ოსტრაკიზმი, სამსახურისა და კრედიტების შესახებ ინფორმაციული ქსელიდან გამორიცხვის საფრთხის წინაშე დაყენება და ძალადობის ჩუმი საფრთხე.

სკოტის ანალიზი მარქსის ანალიზის საპირისპიროა. ეს უკანასკნელი გლეხების მშვიდად ყოფნას მისტიფიცირებას ან ყალბ ცნობიერებას მიაწერდა, რომელიც წარმოიქმნება წარმოების საშუალებებზე, როგორც სიმბოლურ დონეზე, ასევე ფიზიკურად ელიტების დომინირებისგან. მარქსს სჯეროდა, რომ ელიტების მიერ მედიის და კომუნიკაციის სხვა საშუალებების კონტროლის გზით ხდებოდა ექსპლუატირებულებისთვის ტვინების გამორეცხვა და მათთვის ელიტის ღირებულებების თავსმოხვევა. თავად აქტორების გადმოსახედიდან რომ შევხედოთ, ეს არ არის მართალი. მდიდარი და ღარიბი ცხოვრებას სრულიად განსხვავებულად აღიქვამს. ღარიბი საკუთარ თავს განიხილავს, როგორც მდიდრისგან ძირს დანარცხებულს და დამარცხებულს. მდიდარს კი თავი თავაზიანად და კეთილად მიაჩნია და თვლის, რომ ყველაფერს აკეთებს ღარიბებისთვის. რეალურად, ესაა სოფლის ცხოვრების მორალური კონტექსტი. იგი მოიცავს კლასთა შორის ურთიერთობებს და ინდივიდუალური ქცევის შესახებ მოლოდინებს. თუმცა, ეს მორალური კონტექსტი ღარიბების მიერ გამოიყენება, როგორც მდიდრების შესაშინებლი საშუალება, ხოლო მდიდრების მიერ კი - როგორც საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციის გზა.

აქ აღწერილი სედაკას თემის გლეხები, რომლებიც ძალიან შორს დგანან ტვინგამორეცხილობისგან, აცნობიერებდნენ საკუთარი ძალაუფლების შეზღუდულობას. სწორედ ამის გამო, მათ მიმართეს რუტინული წინააღმდეგობის გზას და არა რევოლუციას. არ არსებობდა თანამედროვე კაპიტალიზმზე (რომელიც მათი ამგვარი მდგომარეობის რეალური მიზეზი იყო) თავდასხმის საჭიროება. ბაზისური სტრუქტურების შეცვლა ძალიან რთულია. თუმცა,

ინდივიდუალურ დონეზე კაპიტალისტებზე შეტევა შესაძლებელია, მაგრამ ესეც კი ამოფარებული უნდა იყოს თავაზიანობისა და შეგუების ზურგს უკან.

პოლიტიკის სფეროები

ერთ-ერთი მიზეზი ბრიტანელების კოლონიური პროექტის ესოდენ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმატებულობისა, ის იყო, რომ ბრიტანელები აშკარად აცნობიერებდნენ პოლიტიკის განცალკევებულ სფეროდ შენარჩუნების მნიშვნელობას და კოლონიების მაცხოვრებლებს უტოვებდნენ პოლიტიკურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც მათ შეეძლოთ იერარქიისა და ლეგიტიმურობის ტრადიციული იდეების გამოყენება. მათი მეთოდი გულისხმობდა არსებული ლოკალური სისტემის ხელშეუხებლად დატოვებას, რამდენადაც მსგავსი სისტემები არ განიხილებოდა საკმარისად საშიშად. ემატებოდა ადმინისტრაცია იერარქიის მხოლოდ ზედა საფეხურზე, ხოლო ფართო პოლიტიკური სივრცე კი დატოვებული იყო ადგილობრივი მეთაურების, ბელადების, რაჯების, პრინცების ან შეიხებისთვის. კოლონიზატორებმა, ისეთებმა, როგორებიც იყო ბელგია ან ესპანეთი, რომლებმაც უფრო მასობრივი დომინირება სცადეს, თავი უსასრულო ომებში გაჰყვეს და ამასთანავე, მხოლოდ და მხოლოდ ძალის მეშვეობით, დიდი დანაკარგის ხარჯზე ახერხებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას.

ეს არ არის მხოლოდ ზედა ეშელონებისთვის ცნობილი სტრატეგია. ადგილობრივი ადამიანები ხშირად ხვდებოდნენ, რომ მათ შეეძლოთ საკუთარი თავისთვის ძალაუფლების სეპარატული სფეროს გამონახვა, სულ ერთია ოფიციალური მთავრობის თანხმობით თუ მის გარეშე. როდესაც 1934 წლის ინდიელების რეორგანიზაციის აქტი საჭიროებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ტომების მიერ კონსტიტუციის და დემოკრატიული მთავრობის მიღებას და რომელიც ეწინააღმდეგებოდა უხუცესების კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის ტრადიციას, ბევრმა ტომმა შექმნა მსგავსი ფორმალური მთავრობები. ეს მთავრობები იყო უბრალოდ მორთულობა, ფიქცია, სადაც ხმას აძლევდნენ ლიდერული თვისებების არმქონე ადამიანებს ან ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყავდათ პოლიტიკური მხარდამჭერები, მაშინ როდესაც ამავე დროს, ინარჩუნებდნენ რეალური ძალაუფლების მქონე არაფორმალურ მთავრობებს. 1981 წელს ნიკარაგუის გლეხებით დასახლებულ მთიანეთში სანდინდისტას პოლიტიკურ ორგანიზატორებთან ერთად მოგზაურობისას მე შევამჩნიე, რომ დემოკრატიულ შეხვედრებზე

რეალური ლიდერები უკანა რიგებიდან აკვირდებოდნენ სიტუაციას, აძლევდნენ რა შეუმჩნეველ მინიშნებებს იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო თითოეულ ოფიციალურ თანამდებობაზე წარდგენილი. აშკარა იყო, რომ ისინი ორგანიზატორების მიერ შეხვედრის დატოვების შემდეგაც გააგრძელებდნენ ლიდერობას არაფორმალურ დონეზე. ადამიანების მოცემული უნარი - ძალაუფლების უფრო ფართო ფორმალური სტრუქტურის ფარგლებში შემოისაზღვრონ ლიმიტირებული კონტროლის სფერო - პოლიტიკური ანთროპოლოგების მიერ თეორიული კუთხით ჯერაც არ არის კარგად შესწავლილი.

პარალელური პოლიტიკა მიკრონეზიაში

მიკრონეზიაში მდებარე პონაპეს კუნძულის პოლიტიკა, რომელიც გლემ პეტერსონმა (1989) შეისწავლა, გვიჩვენებს, თუ როგორ არსებობს ერთმანეთის გვერდი-გვერდ არაკონკურირებადი პოლიტიკური სისტემები და თუ როგორ შეიძლება ტრადიციული ღირებულებების მიღებამ შეარბილოს კოლონიური ზეგავლენა. პონაპე მიკრონეზიის სხვა კუნძულების მსგავსად უცხოელთა მმართველობის ქვეშ დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა. ნახევარსაუკუნოვანი პერიოდული ურთიერთობის შემდეგ კუნძული 1886 წელს ესპანეთის კოლონიად იქცა. ამას შემდგომში მოჰყვა გერმანელების, იაპონელების და ბოლოს, ამერიკელების მიერ დაპყრობა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კუნძულები ოკუპირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, ხოლო ომის შემდეგ კი წყნარ ოკეანეში აშშ-ს მფარველობაში მყოფ ტერიტორიად იქცა. მიკრონეზია 1947-დან 1986 წლამდე, აშშ-სთან თავისუფალი ასოციაციის სტატუსის მოპოვებამდე, ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობაში რჩებოდა. უცხოური მმართველობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პონაპესთვის თავს მოხვეული ოფიციალური პოლიტიკური სტრუქტურა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების ამსახველი იყო და თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო კუნძულის აბორიგენი მაცხოვრებლების პოლიტიკურ კულტურასთან. მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმძიმით, თუმცა იგი მიდრეკილი იყო ავტოკრატიისკენ, რადგან ეფუძნებოდა სახელმწიფოს აბსოლუტურ ძალაუფლებას და შეერთებულ შტატებში არსებული მუნიციპალური/სახელმწიფო/ფედერალური ხელისუფლებების იერარქიის მსგავს ძალაუფლებრივ იერარქიას. მიკრონეზიისთვის თავს მოხვეული ხელისუფლება შედგებოდა დანიშნული და

არჩეული ინდივიდებისა და ჯგუფების მთელი ნაკრებისგან - მმართველი, აღმასრულებელი, სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო არჩეული წარმომადგენლებით და ამ ორგანოს კომიტეტები, სასამართლოები, დეპარტამენტები, სააგენტოები – თითოეულ მათგანს ძალაუფლების საკუთარი სფერო ჰქონდა და ემორჩილებოდა უფრო მაღლა მდგომი ინსტანციის კონტროლს. ამასთან ერთად, არსებობდა კონსტიტუცია, ქარტიები, საკანონმდებლო კოდექსები – ყველაფერი, რაც დაფუძნებულია მმართველობის და სამართლის აბსტრაქტულ პრინციპებზე.

ტრადიციული პონაპეური ბელადობის სისტემაც იცნობდა იერარქიულობას, მხოლოდ ეს იერარქია აშშ-სგან დანერგილი იერარქიისგან განსხვავებით, ინდივიდუალური ავტონომიისკენ იყო მიმართული. ბელადები, რომლებმაც საკუთარი პოზიციები ნათესაობითი ხაზის მეშვეობით მოიპოვეს, ვერ დაეყრდნობოდნენ მემკვიდრეობით მიღებულ სტატუსს. მათ უწყვეტად უწევდათ საკუთარი პოზიციების შენარჩუნება ნადიმების მოწყობის გზით, რომლის დროსაც საკვების დიდი რაოდენობა ურიგდებოდათ თემის წევრებს. ნადიმის დროს ბელადი იჯდა შემაღლებულ ადგილზე. იგი სხვა ბელადებს მათი ტიტულებისა და წოდებების მიხედვით ურიგებდა საჩუქრებს, რასაც ისინი საპასუხოდ, თავიანთ სანათესაოს, მეგობრებს და მომხრეებს შორის ანაწილებდნენ. იმის გამო რომ ბატატი, ყავა, ღორები – ის, რაც სტატუსის შენარჩუნებას უწყობდა ხელს, საკმაოდ უხვად მოიპოვებოდა და თემის მომსახურებისთვისაც სრულიად საკმარისი იყო, ხელისუფლება არ აწარმოებდა მსგავსი რესურსების კონტროლს. ის უფრო მათი წარმოებისა და დისტრიბუციის საშუალებით იყო დაინტერესებული. ბელადობა მოიპოვებოდა და ნარჩუნდებოდა სოციალური უნარების, რესურსების სიუხვის და დიდი შრომის მეშვეობით.

ბელადების რიტუალური უპირატესობა სულაც არ ტრანსფორმირდებოდა ძალაუფლების უცილობელ უპირატესობაში. ხუთი უმაღლესი ბელადი წარმოადგენდა ხუთ ძირითად მუნიციპალიტეტს, რომელიც იმართებოდა ადგილობრივი ბელადების მეშვეობით, თუმცა, რეალურად, სამართავი ბევრი არც არაფერი იყო. ცხოვრების უმთავრესი ასპექტები რუტინიზირებული იყო. სპეციალურ პროექტებს ორგანიზებას ადგილობრივი ბელადები უწევდნენ, რომლებსაც შეეძლოთ მოეთხოვათ თემის საქმიანობაში მონაწილეობა. თუმცა, თუ პროექტი მეტისმეტად დამამძიმებელი იყო, მოსახლეობა ადგილობრივ ბელადს იგნორირებას უკეთებდა. ბელადების გადაწყვეტილებების უდიდესი ნაწილი რიტუალებისა და დღესასწაულების ორგანიზებისა და მხარდაჭერის ირგვლივ ტრიალებდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ოსტრაკიზმის ან თემის მიერ დაცინვის საფრთხე უფრო ძლიერი სანქცია იყო, ვიდრე ბელადის ბრძანებები. ბელადს შეეძლო თანამშრომლობის მოლოდინი ჰქონოდა, თუმცა, მხოლოდ შეზღუდულ

ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური და პოლიტიკური იერარქია მყარად ფესვგადგმული იყო კულტურაში, ეს იერარქია არ ატარებდა იძულებითი ძალაუფლების სახეს. გარკვეული აზრით, ხელისუფლებას თავად თემი წარმოადგენდა.

როგორ შენარჩუნდა ტრადიციული სისტემა კოლონიურ მდგომარეობაში, როცა იერარქიისა და ძალაუფლების ადგილობრივი და კოლონიური გაგება ასე ძირფესვიანად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან? ტრადიციულმა სისტემამ გადარჩენა შეძლო ძირითადად იმის გამო, რომ მიბმული იყო თემის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რიტუალებზე, ცერემონიებზე და სტატუსზე – იმაზე, რაზეც არ ვრცელდებოდა თავს მოხვეული საარჩევნო/ბიუროკრატიული სისტემა. ბელადები არ ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს და არ ცდილობდნენ მოდერნიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე ჩარეულიყვნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა სკოლების და გზების მშენებლობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თუ საექსპორტო სოფლის მეურნეობის საკითხები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობდა პოლიტიკის ორი სფერო: პირისპირ პოლიტიკის ტრადიციული სფერო, დაფუძნებული პიროვნულ ურთიერთობებზე და აბსტრაქტულ პრინციპებზე დამყარებული, სამართლებრივი და უპიროვნო პოლიტიკის კოლონიური სფერო.

ეს ორი სფერო ერთმანეთისგან სრულად არ იყო გამიჯნული. ბევრმა პონაპეელმა აბორიგენმა თანამდებობას მიაღწია ბიუროკრატიულ აპარატში და გაიზიარა უცხოეთიდან შემოტანილი ღირებულებები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ძველ გზას არალოგიკურად და არაეფექტურად მიიჩნევდნენ, ისინი მაინც იმ კულტურის ნაწილად რჩებოდნენ. ასევე, თავად ხალხს არ ჰქონდა ევროპული პოლიტიკური კულტურის ფარგლებში ფუნქციონირების პრობლემა, როცა ეს მათთვის პრაქტიკული კუთხით სარგებლობის მომტანი იყო.

დამპყრობლებთან კოოპტაცია

კოოპტაცია ერთ-ერთი ყველაზე არაწინააღმდეგობრივი პოლიტიკური იარაღია. ოპოზიციასთან ბრძოლის ნაცვლად, ხელისუფლება, უბრალოდ, აუქმებს მას. ინკებს დაპყრობილი თემების ადგილობრივი ლიდერები დედაქალაქ კუცკოში მიჰყავდათ, ასწავლიდნდენ მათ კუეჩუას ენას, ასევე ადმინისტრაციულ უნარ-ჩვევებს და შემდეგ უკან უშვებდნენ ახალი ოფიციალური წოდებებით და იმაზე მეტი ძალაუფლებით, ვიდრე ადრე ჰქონდათ. თითქმის ყველა კოლონიური ძალაუფლება დამოკიდებული იყო კოოპტაციის რომელიმე ფორმაზე. ქრისტეს შობიდან 1 000 წელს, ტოტეკმა მიაღწია იუკატანამდე, დაიპყრო მაიას ტომების ქალაქი ჩეჩენ იტცა, მაგრამ

დამპყრობლები ნელ-ნელა შთაინთქნენ. რეგიონში დღეს მაიას ტომების ენაზე ლაპარაკობენ და არა ტოლტეკზე. ქვემოთ მოყვანილ ნიკარაგუის მაგალითზე ვნახავთ, რომ აქ კოოპტაცია ორი გზით მოქმედებდა: პირველი, სანდინისტას რევოლუციურმა მთავრობამ პოპულისტური კორპორატივიზმის გზით სცადა ადამიანები სამეზობლო დონემდე შთაენთქა, მაგრამ, საბოლოოდ, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა ან სახელმწიფოს მიერ იქნა ჩამოყალიბებული, ფუნქცია შეიცვალეს, უარყვეს რა ცენტრალური ხელისუფლება და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვით დაკავდნენ.

ადგილობრივი დონის ძალაუფლება ნიკარაგუაში

კორპორატივიზმი სახელმწიფოს მოდელია, რომლის დროსაც ხელისუფლება ფუნქციონირებს შეზღუდული რაოდენობის მონოპოლისტური ინტერესთა ჯგუფების მეშვეობით. ამ ჯგუფებს, როგორც წესი, აღიარებს და ზოგჯერ თავად სახელმწიფო ქმნის. იგი ემყარება იდეას, რომ ინდივიდები საკუთარ უფლებებს, საკუთარ იდენტობას და პრივილეგიებს ჯგუფის წევრობის მეშვეობით მოიპოვებენ. კორპორატივიზმს ხშირად უპირისპირებენ პლურალიზმის, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდს, როგორც ამომრჩეველს და მის მიერ კონკურირებადი ინტერესთა ჯგუფების (ისეთების, როგორიცაა პროფესიული კავშირები, პოლიტიკური პარტიები და ლობისტური ორგანიზაციები) წევრობის გზით ძალაუფლების არტიკულაციას. კორპორატიული ჯგუფები არ მოქმედებენ ასეთი ტიპის ჩაურევლობის (*laissez- faire)* პოლიტიკურ გარემოში. ყოველ ძირითად პროფესიულ თუ სოციალურ კატეგორიაში მხოლოდ ერთი ინტერესთა ჯგუფი არსებობს, მაგალითად, ქარხნის მუშები, ფართომასშტაბიანი სასოფლო სამეურნეო მწარმოებლები ან მსხვილფეხა საქონლის ფერმის მფლობელები. ყოველი ორგანიზაცია თითოეული წევრის ინტერესებს იცავს და იდეალურ შემთხვევაში, მხოლოდ ამ ჯგუფის ლიდერებთან მჭიდრო კონსულტაციების შემდეგ ატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც მოცემულ ჯგუფს შეეხება.

მართალია კორპორატივიზმს საუკუნის დასაწყისში ხშირად უწოდებდნენ მომავლის სისტემას, კორპორატივისტული სახელმწიფოს ორი ყველაზე მწარედ გამოცდილი მაგალითი ევროპაში – ფაშისტური იტალია და ნაცისტური გერმანია, ნამდვილად ვერ გახდა მისაბაძი მაგალითის მიმცემი. თუმცა, პორტუგალიიდან და ესპანეთიდან გადმოღებულმა კორპორატივისტულმა მოდელმა ლათინურ ამერიკაში მყარად გაიდგა ფესვები. აქ მან

გამოკვეთილად ელიტური ხასიათი შეიძინა. იგი ხელს უწყობდა საზოგადოების მდიდარ სექტორს და ზოგჯერ, ურბანულ ზონაში დასაქმებულ მშრომელებს, რათა მათ შეძლებოდათ ზეგავლენა მოეხდინათ მთავრობაზე და გარკვეული წვლილი შეეტანათ მის საქმიანობაში; ღარიბთა მრავალრიცხოვანი ფენა კი მთლიანად ჩამოშორებული იყო ამ პროცესისგან. კორპორატიული მოდელის დანერგვის პროცესში, ღარიბების საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით ორმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი მცდელობები (რომლებიც საბოლოო ჯამში წარუმატებელი გამოდგა) გაატარა: პერუმ ველასკოს (1968-1976) რეჟიმის პირობებში და ნიკარაგუამ სანდინისტას ნაციონალურ განმანთავისუფლებელი ფრონტის (სნგფ) მმართველობის დროს.

სანდინისტები, რომლებიც ნიკარაგუას მართავდნენ სომოზას დიქტატორული რეჟიმის განდევნის შემდეგ 1979 წლიდან 1990 წლის არჩევნებში დამარცხებამდე, თავს მარქსისტებს უწოდებდნენ. თუმცა, იმ სახელმწიფოს, რაც მათ შექმნეს, ბევრი რამ ჰქონდა საერთო იბერიულ-ლათინურ კორპორატივიზმთან. მასობრივი ორგანიზაციები, რომელთა ნაწილი ანასტასიო სომოზას დიქტატორული რეჟიმის პერიოდიდან არსებობდა, ნაწილი კი ძალადობრივი რევოლუციური ბრძოლების პერიოდიდან, მმართველობის დასაწყისშივე ხელისუფლებასთან იქნა ინტეგრირებული. მთავარი საკანონმდებლო ორგანო, სახელმწიფო საბჭო, მოიცავდა ოფიციალურად აღიარებულ ექვს კორპორტივისტულ ჯგუფს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მუშათა ასოციაცია, ფერმერთა და რანჩოს მფლობელთა ნაციონალური კავშირი და AMNLAE - ქალთა ორგანიზაცია. ამ ჯგუფებიდან ყველაზე დიდი და, შესაბამისად, საბჭოში ყველაზე მეტი ადგილის მფლობელი იყო ქოლგა ორგანიზაცია - სანდინისტას დაცვის კომიტეტი (სდკ), რომელიც 15 000 კომიტეტისა და დაახლოებით 600 000 წევრისგან შედგოდა.

ლათინურ ამერიკაში არსებული სხვა მმართველი პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, სანდინისტების ძირითადი მხარდამჭერები ქვედა ფენები იყო. ასე რომ, სდკ განიხილებოდა, როგორც “უმთავრესი და საწყისი კავშირი ხალხსა და რევოლუციას შორის”. ჯგუფები დაყოფილი იყო სხვადასხვა იერარქიულ დონედ: ბლოკებად, სამეზობლოებად (ბარიო), ზონებად, რეგიონებად და ნაციად. ყველა დონეზე ხდებოდა ლიდერების არჩევა: ბლოკის წევრები ხმას აძლევდნენ სამეზობლოს ლიდერებს, სამეზობლოს წარმომადგენლები – ზონალურ ლიდერებს და ა.შ. სდკ-ს მიზანს წარმოადგენდა სამეზობლო ცხოვრების ყველა ასპექტისთვის თვალყურის დევნება. ქალაქ ლეონში სან ბონიტოს სდკ-ს შესწავლამ მხოლოდ 1984 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში, აჩვენა, რომ ორგანიზაცია მონაწილეობდა 3 აღწერაში, 15 მასობრივ დემონსტრაციაში, ვაქცინაციის 2 კამპანიაში, სამხედრო რეკრუტირების 3 კამპანიაში,

მოხალისეობის 3 ბრიგადაში, პლუს ამას რეგისტრაცია და საარჩევნო კამპანია. ეს ყველაფერი ხდებოდა რეგულარული შეხვედრების და რუტინული "რევოლუციური სიფხიზლის" პირობებში, რაც გულისხმობდა ღამის პატრულირებას კრიმინალის შემცირების, ასევე საბოტაჟის მომწყობთა და შპიონებისთვის თვალის დევნების მიზნით. ამასთანავე, სნგფ-მ სცადა (თუმცა, საკმაოდ წარუმატებლად) ეკონომიკის ფორმალური და არაფორმალური სექტორების შთანთქმაც. ამის გაკეთებას ის იმგვარი საცალო ორგანიზაციების შექმნით შეეცადა, რომლებიც საქონელს გაყიდდნენ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებში. ეს ფასები, ხშირად, მნიშვნელოვნად დაბალი იყო იმასთან შედარებით, რაც გლეხს შეეძლო აეღო ღია საბაზრო პირობებში იგივე ნაწარმის გაყიდვისგან (Ekern, 1998).

სისტემაში კორუფცია მაღალი იყო. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ლიდერების ტრენირების და განათლების დაბალი დონე.ადგილობრივი მთავრობისგან სუბსიდირებული საკვების მაღაზიების ფლობის ლიცენზიას სდკ გასცემდა, ისევე როგორც საგარანტიო ბარათებს, რომელიც ყველა ოჯახს გადაეცემოდა. ამ ბარათებით მათ საშუალება ეძლეოდათ დაბალფასიან მაღაზიებში ეყიდათ ძირითადი მოხმარების ისეთი პროდუქტები, როგორიც იყო შაქარი და ბრინჯი. პიროვნული ან პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე შეიძლებოდა ლიცენზიებსა და საგარანტიო ბარათებზე უარის თქმაც; ასევე, ხშირი იყო არალეგალურად მათი გაყიდვა. 1982 წელს სანდინისტას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა წერილი დაუგზავნა სდკ-ს ყველა კოორდინატორს, სადაც მათ მსგავს დარღვევებში ადანაშაულებდა. თუმცა, რეგულარული არჩევნების ნაკლებობის პირობებში რთული იყო მსგავსი ლიდერებისგან გათავისუფლება.

მიუხედავად ამისა, ესტელფში მსგავსი ხუთი ორგანიზაციის შესწავლამ (Lewellen, 1986) აჩვენა, რომ კორუფციის პრობლემა არც იმდენად მწვავედ იდგა, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ. რეალური პრობლემები - ის პრობლემები, რომლებმაც სდკ დაშლამდე მიიყვანა - კორუფციაზე მეტად თავად სისტემის სტრუქტურაში იყო. მართალია, სდკ გაიაზრებოდა მთავრობაში მასების წარმომადგენელ ორგანოდ, მაგრამ რეალურად, ის მალევე იქცა მასებში მთავრობის წარმომადგენლად. იმის ნაცვლად, რომ მოთხოვნები ქვემოდან ზემოთ წასულიყო, პირიქით, ეს პროცესი ზემოდან ქვემოთ იყო მიმართული. ასე რომ, ადგილობრივი წევრები მუდმივად მუშაობდნენ მთავრობისთვის (რაშიც არავინ მათ ანაზღაურებას არ უხდიდა) და ანხორციელებდნენ სამთავრობო პოლიტიკას, გადაწყვეტილებების მიღება კი ნაკლებად ეხებოდათ. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც აშშ-სგან მხარდაჭერილმა კონტრმოძრაობამ ძალების მოკრება დაიწყო. 1983-იდან 1987 წლამდე, რეალურად, მთავარი ყურადღება ეროვნულ

თავდაცვაზე და წმინდა წყლის ლოკალური ღირებულების წამგებიან პროექტებზე იყო გადატანილი. ეს შეიძლება მართებულიც ყოფილიყო, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა დარტყმის წინაშე იდგა. 1987 წელს კონტრას წინააღმდეგ წარმართულ ბრძოლაში მათ ეფექტურ გამარჯვებას მიაღწიეს. მებრძოლთა დიდი ნაწილი ნიკარაგუიდან გავიდა, თუმცა, სისხლიანი მოულოდნელი თავდასხმები ჰონდურასის საზღვრის გასწვრივ სამ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. ომის დამთავრების შემდეგ მოსახლეობას უფრო ფართო ავტონომია და ლოკალურ პრობლემებზე მეტი ყურადღების დათმობა სურდა, მაგრამ არსებული სდკ-ების სტრუქტურები არ იძლეოდა ამის საშუალებას.

ხალხმა წინააღმდეგობის ძალიან მარტივი გზა გამონახა: მათ შეწყვიტეს მონაწილეობა. უმდაბლეს დონეებზე არც არასდროს არსებულა რაიმე ტიპის ორგანიზებული ოპოზიცია. უფრო სავარაუდოა, რომ ადამიანებში ჩაკვდა ინტერესი, რამდენადაც მათ ვერ დაინახეს თავიანთი მცდელობების შედეგები. მოცემულ შემთხვევაში, როცა მთავრობა დამოკიდებულია მოხალისეთა თანხმობაზე, მონაწილეობაზე უარის თქმა, შესაძლოა, უაღრესად მძლავრი იარაღი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ბრძოლის ერთადერთი იარაღი. იმის გამო, რომ ორგანიზაციები დემოკრატიულ პრინციპზე იყო მოწყობილი, ხმის მიცემასთან ერთად შენიშვნების გამოხატვის პრაქტიკაც გამოიყენებოდა. ესტელში ჩატარებულ სდკ-ს კოორდინატორების ერთ-ერთ შეხვედრაზე 15 წუთის მანძილზე განიხილავდნენ ლოკალურ დონეზე მიღწეულ წარმატებებს, ხოლო 4 საათის განმავლობაში კი წუწუნებდნენ წარუმატებლობის შესახებ.

ამგვარმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: 1988 წელს დაიწყო ლოკალური სდკ-ების ოფიციალურად დაშლა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს საფუძველი იმ არჩევნებამდე ორი წლით ადრე ჩაეყარა, რომელშიც სანდინისტა დამარცხდა. თუმცა, სდკ-ები არ გამქრალან, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა მაინც. თანდათანობით ისინი სათემო მოძრაობებად იქცნენ, ხშირად იცვლიდნენ ფუნქციებს, არ იყვნენ დაკავშირებული სანდინისტას პარტიასთან და არანაირი ვალდებულება არ ჰქონდათ რაიმე ტიპის ზემდგომ ორგანოსთან, მათ შორის არც მთავრობასთან. მათი სფეროები მთლიანად ლოკალური საკითხებით იყო შემოფარგლული – ჯანდაცვა, გზები, განათლება, ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და ობლებსა და ომის დროს დაქვრივებულებზე ზრუნვა. ბევრ თემში რეორგანიზაცია მოიწონეს იქნა, რაც მონაწილეობის განახლებით გამოიხატა. იმის გამო, რომ ტრანსფორმირებული სდკ-ები აღარ ასოცირდებოდნენ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან, კომუნალური მოძრაობების დიდმა ნაწილმა 1990 წლის არჩევნებში სანდინისტას დამარცხების შემდეგაც განაგრძო არსებობა.

სდკ-ს ექსპერიმენტმა სამი სტრუქტურული წინააღმდეგობა წარმოაჩინა, რაც ხელს უშლის კორპორატივისტული სახელმწიფოს ნებისმიერ მცდელობას - ჩართოს მასები პოლიტიკურ პროცესებში. პირველი, ეს არის ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ წინააღმდეგობა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დონეებს შორის. სახელმწიფო, რომელიც განასახიერებს ინტერესთა ფართო სპექტრს, მუდმივად შეეცდება სტრუქტურის ზემოდან ქვემოთ მიმართულებით თავსმოხვევას, მაშინ როდესაც ხალხს, თავისთავად, ავტონომია უნდა. მეორე ფაქტორი ახლოს დგას პირველ ფაქტორთან და გულისხმობს კონფლიქტს ნაციონალურ ინტერესებსა და ლოკალურ ინტერესებს შორის. სამხედრო ორგანიზების, ადგილობრივი მილიციის წვრთნის, პროდუქტების რაციონის დაწესების და მაღაზიების ლიცენზირების თემებით დაკავება, შესაძლოა, გამაღიზიანებელი იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისები, როგორიცაა ელექტროენერგია ან წყალმომარაგება. ადამიანებმა, შეიძლება, ეროვნულ ინტერესებთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინონ ომის პირობებში ან დროის მცირე მონაკვეთის მანძილზე. მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ლოკალურ დონეზე არსებული მოთხოვნები გადასძალავს. და ბოლოს, არსებობს კონფლიქტი ელიტურ ლიდერობასა და სახალხო ლიდრობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ სდკ-ების კარი ყველასთვის ღია იყო, რეალურად ლიდერები მხოლოდ ზემოდან ხელდასმული პიროვნებები თუ ხდებოდნენ. ამან შედეგად მოიტანა იმ ადამიანების მიერ მონაწილეობაზე უარის თქმა, ვინც სანდინისტას მიმართ ნაკლები სიმპათიით იყო განწყობილი. აღსანიშნავია, რომ ეს კონფლიქტები, საბოლოო ჯამში, სამეზობლოების და არა სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდა.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, სდკ კომუნალური მოძრაობის აუცილებელი წინამორბედი იყო. საეჭვოა, რომ მთავრობისგან პირდაპირი ინიცირების გარეშე ადგილობრივ დონეზე შესაძლებელი გამხდარიყო მსგავსი მასშტაბებების ორგანიზაციების წარმოშობა.

ძალადობა, როცა ყოველდღიური წინააღმდეგობა მარცხდება

სტრუქტურული ფუნქციონალისტებისთვის ძალადობა წონასწორობის სისტემის რღვევად, ნორმალური მდგომარეობის რესტავრაციის პათოლოგიურ მოთხოვნად განიხილება. თუმცა, ბევრი საზოგადოებისთვის ძალადობა ნორმალური მოვლენა, სოციალური სტრუქტურის ნაწილი და ხალხის თვითგამორკვევაა. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა მაგალითად, იანომამო, ფაქტობრივად, მუდმივად ომის მდგომარეობაში იმყოფებიან. სხვადასხვა საზოგადოება იმდენად განსხვავებულად

აღიქვამს ძალადობას, რომ ის “ვერ იქნება განხილული, როგორც მოვლენა, როგორც იდეალური ტიპური მოქმედება, როგორც შედარებით უაზრო სოციალური მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება შესწავლას; ის ვერ იქნება განსაზღვრული, როგორც არანორმალური ან პათოლოგიური, ან საერთოდ, როგორც ნებისმიერი რამ” (Rapport and Overing 2000: 382). სახელმწიფო საზოგადოებებში მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანის დონეზე ძალადობა ხშირად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც უკანასკნელი ან ერთადერთი საშუალება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ. ძალადობას, როგორც წესი, ახასიათებს აფეთქებები, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული, როგორც ეს აჯანყების ან სახელმწიფოთაშორის საომარი მდგომარეობისას ხდება. თუმცა, ძალადობა გრძელვადიანი სტრატეგიაც შეიძლება იყოს, რომელსაც მიმართავენ როგორც ისინი, ვისაც ძალაუფლება აქვს, ასევე ისინი, ვინც ამ ძალაუფლებას ეწინააღმდეგებიან (ამის კარგი მაგალითებია ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი და ჩრდილო ირლანდიაში პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის კონფლიქტი (Shroeder and Scmidt 2001: 14-15). ისტორიის მანძილზე იმდენად ბევრი ომი, გადატრიალება, აჯანყება და პოლიტიკური მკვლელობა მომხდარა, რომ ამგვარი მდგომარეობა ლამის სტატისტიკურ ნორმად აღიქმება. გლობალურ თუ კონტინენტურ დონეზე, ნებისმიერ ხანას ძალადობის თავისი გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტიპები ახლავს თან. გლეხთა აჯანყებები, რომელიც ასე ხშირი იყო წარსულში, დღეისათვის იშვიათი მოვლენაა, რამდენადაც გლეხობამ გაამრავალფეროვნა ბრძოლის სტრატეგია და ახლა პროტესტის სხვა საშუალებებსაც იყენებს, ისეთებს, როგორიცაა ქუჩის დემონსტრაციები და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები (Edelman 1999). სასაზღვრო ზოლთან მიმდინარე დაპირისპირებები ტერიტორიის გაფართოების მიზნით დღესდღეობით ბევრად უფრო იშვიათად ხდება, ვიდრე წარსულის ნებისმიერ ეპოქაში. მეორეს მხრივ, ტერორიზმი, ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძალადობა და ეთნიკური კონფლიქტები სულ უფრო და უფრო ხშირია. არცთუ იშვიათად იგი დემილიტარიზირებულ, დაბალ დონეზე განხორციელებულ ბრძოლების სახეს ღებულობს, რომლის დროსაც გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღი, მაჩეტები ან თვითმკვლელი ბომბები. მათი უმრავლეობა არის ის, რასაც რიჩარდ რობინსმა (2002: 311-36) “ანტისისტემური პროტესტი” უწოდა. ეს არის კაპიტალიზმის გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ მიმართული პროტესტი, რომელიც ზრდის უთანასწორობას როგორც ძალაუფლებაში, ასევე სიმდიდრეში და მესამე სამყაროს სახელმწიფოების მარგინალიზაციის საფრთხეს წარმოქმნის.

ამერიკის შეერთებული შტატებში ძალადობა ისტორიის ნაწილი იყო, დაწყებული ჯერ კიდევ ჯეიმსთაუნში ადრეული მუდმივი დასახლებების შექმნის დროიდან. ამ ძალადობის დიდი

ნაწილი რასობრივ ან ეთნიკურ ხასიათს ატარებდა. ამის მაგალითად ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ნაკლებად ცნობილ აჯანყებას, რომელიც ტეხასში მოხდა.

***Plan de San Diego*–ს ბუნტი**

1912 წლის 18 მაისს ქალაქ სან დიეგოში, ტეხასში, ჩარლზ გრავისი და სამი სხვა ადამიანი, თოფებით შეიარაღებულნი, ბიუიკის მარკის ტურისტულ ავტომანქანაში დუვალის ოლქის სასამართლოს შენობასთან იცდიდნენ. როდესაც გამოჩნდა დონ პედრო ეზნალი, ადგილობრივი რანჩოს მფლობელი და მექსიკელი ამერიკელების პოლიტიკური ლიდერი რეგიონში - მას დაუყოვნებლივ ესროლა გრავისმა. ეზნალის ორმა მეგობარმა დასახმარებლად მიირბინა მასთან. სროლა კვლავ გაისმა და სამივე მექსიკური წარმოშობის ამერიკელი მკვდარი დაეცა ქუჩაში. ანგლიკანური წარმოშობის კილერები მალევე დააპატიმრეს, მაგრამ სასამართლო პროცესი ნაკლებად მტრულად განწყობილ გარემოში, ლუიზიანას საზღვართან ახლოს გადაიტანეს, სადაც ორი წლის შემდეგ, სასამართლომ მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 1918 წლამდე სიტუაცია იძაბებოდა. 1918 წელს კი მექსიკელი ამერიკელი სეპარატისტების ჯანყი სამხრეთ ტეხასს მოედო.

ანთროპოლოგი კანდელარიო საენცი (1999), რომლის წინაპრებიც ამ კონფლიქტში იყვნენ ჩართულები, თვლის რომ ***Plan de San Diego*–ს** *(Plan de San Diego* – ესპანურად ნიშნავს „სან დიეგოს გეგმას“). ჯანყის ფესვები მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში უნდა ვეძიოთ. 120 მჯკ 1880-იანი წლებისთვის დუვალ ქაუნტი მატყლის ინდუსტრიის აყვავებული ცენტრი იყო, რითაც ძირითადად, მექსიკური წარმოშობის ამერიკელები იყვნენ დაკავებულნი. 1867 წელს მიღებული მატყლის ტარიფის აქტის მიზანი აღმოსავლეთში მატყლის წარმოების დაცვა იყო, თუმცა, მოცემული აქტი უფრო წარმატებული აღმოჩნდა ცხვრის მომრავლებისთვის სამხრეთ ტეხასში. აქ მიწა უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყო, მუშახელი იაფი, ხოლო რანჩოს მფლობელები და ვაჭრები, რომლებიც დაცულნი იყვნენ საზღვრის გასწვრივ კონკურენციისგან, უფრო მაღალ მოგებას ნახულობდნენ. “მშვიდობის სტრუქტურა” აჩვენებდა, რომ ეთნიკურ კონფლიქტს, რომელიც თითქმის მთელი რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი და ხშირად მთავრდებოდა ეთნიკური წმენდის ამერიკული ვერსიით, ამ შემთხვევაში ნაკლებად ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკური წარმოშობის მდიდარი ამერიკელები საკუთარ ხალხში ავტორიტეტით სარგებლობდნენ,

ფორმალური ძალაუფლება მცირერიცხოვანი ანგლო-პროტესტანტების ხელში იყო. 1886 წელს ანგლო-კათოლიკებისა და მექსიკელი ამერიკელების გაერთიანებულმა ფრაქციამ წარმატებას მიაღწია საარჩევნო ურნებთან, მაგრამ შედეგები თაღლითობის ნიადაგზე გაუქმებულად გამოცხადდა. დამყარდა უხეში წონასწორობა, სადაც მექსიკელ ამერიკელთა თემმა არაფორმალურ პოლიტიკაში საკუთარი ნიშა მოიპოვა, ხოლო ინგლისელებმა კი შეინარჩუნეს ოფიციალური თანამდებობები. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მექსიკური წარმოშობის ამერიკელები წყნარად იყვნენ, პირიქით, ისინი ძალაუფლებისთვის ყველა მიმართულებით იბრძოდნენ. 1891 წელს, კატარინო კარცა სათავეში ჩაუდგა მექსიკელი დიქტატორის, პროფირიო დიასის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციურ ძალას, რომელიც დაკომპლექტებული იყო სან დიეგოს მიდამოებიდან რეკრუტირებული 600 ადამიანით. მათ შესაჩერებლად ტეხასელი რეინჯერებისგან შემდგარი არმია გაგზავნეს, მაგრამ რევოლუციონერები მხოლოდ მაშინ დამარცხდნენ, როდესაც კარცას ძალების საწინააღმდეგოდ აშშ-ს მესამე კავალერია გამოიძახეს.

საუკუნის ბოლოსკენ მატყლის ინდუსტრიამ შესუსტება დაიწყო. ტარიფების შემცირებამ გამოიწვია ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და არგენტინის ბაზრებიდან მატყლის შემოტანა. უცხოელი კონკურენტების მიერ მექსიკური წარმოშობის ამერიკელი რანჩოს მფლობელების ეკონომიკური ძალაუფლების შესუსტების შედეგად, მათზე შეტევის განხორციელება უფრო ადვილად განსახორციელებელი გახდა. 1908 წელს მატყლის ბაზარმა საბოლოო კოლაფსი განიცადა. სასამართლოს შენობასთან მომხდარი მკვლელობა - ეს იყო ცეცხლის გახსნა, რომელიც მოკლე დროში საყოველთაო ბრძოლაში გადაზრდას მოასწავებდა. რეალისტურად გაიაზრეს რა მკვლელობები, როგორც მექსიკური წარმოშობის ამერიკული თემის სრული დამარცხების მცდელობა, რანჩოს მფლობელებმა და ვაჭრებმა უარი თქვეს სრულ პოლიტიკურ მორჩილებაზე.

1918 წლის 1 თებერვალს, ტეხასურმა “ბრაუნვილ ჰერალდმა” დაწერა, რომ ახალგაზრდა მექსიკური წარმოშობის ამერიკელის ხელში ***Plan de San Diego–***ს სახელით ცნობილი დოკუმენტი აღმოაჩინეს. დოკუმენტი, რომელიც ნამდვილი აღმოჩნდა, წარმოადგენდა 20 თებერვალს ძალადობრივი რევოლუციის დაწყებისკენ მოწოდებას. სამხრეთ დასავლეთის დიდი ტერიტორიები უნდა გამოყოფოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. არაანგლიკანური წარმოშობის მექსიკელები, აფრიკელი ამერიკელები, ინდიელები და იაპონელები გაერთიანდებოდნენ ახალ ერში. 16 წლის ასაკის ზემოთ ყველა ანგლიკანური წარმოშობის ადამიანი ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო. სლოგანი “თანასწორობა და ძმობა” და აჯანყებულთა წითელი დროშა კომუნისტურ - ანარქისტულ ზეგავლენაზე მიანიშნებდა. იმ პერიოდის

ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მექსიკური წარმოშობის ამერიკელები, რომლებიც გაუნათლებლებლად და ჩლუნგებად განიხილებოდნენ, ვერ შეძლებდნენ დოკუმენტის დაწერას. ის ევროპელების მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი. რეალურად კი, ეს დოკუმენტი დაიწერა სან დიეგოს ბარში, იმ ჯგუფის მიერ, რომელიც კონსპირაციულად მოქმედებდა.

დანიშნულმა თარიღმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა. თუმცა, ზაფხულისკენ აჯანყებამ სამხრეთ ტეხასს გადაუარა. შეტევა განახორციელეს რანჩოს მფლობელებზე, დაწვეს სარკინიგზო ხიდები, თავს დაესხნენ მატარებლებს. თუმცა, ანგლიკანური წარმოშობის შეიარაღებული რაზმების და ტეხასელი რეინჯერების შურისძიება ბევრად უფრო სისხლიანი აღმოჩნდა, ვიდრე თავად აჯანყება. ფიზიკურად გაუსწორდნენ და მოკლეს ბევრი მექსიკური წარმოშობის ამერიკელი. პროტესტანტებმა ფრთები გაშალეს ანგლო-კათოლიკეების წინააღმდეგ. როდესაც, საბოლოო ჯამში, ფედერალური ჯარები ჩაერია საქმეში, მექსიკური წარმოშობის ამერიკულ თემს დამორჩილებაზე მეტად დაცვა სჭირდებოდა.

საენცის მიერ პერსონალურად განცდილი ეთნოისტორია დღეისათვის კიდევ უფრო მეტ ფასს იძენს, რამდენადაც ეთნიკური ძალადობა და მის საპირისპიროდ მიმართული მოქმედებები თითქმის ნორმატიულ მოვლენად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბევრი თანამედროვე კონფლიქტის მსგავსად, “ეს ძალადობა მიმართული იყო გლობალური კაპიტალიზმის მაჯისცემის საწინააღმდეგოდ. როდესაც ეთნიკური უმცირესობა კარგად ცხოვრობდა მატყლის წარმოების მეშვეობით, მადლობა მათ. როდესაც მატყლს საფუძველში წყალი შეუდგა და აყვავების ხანაც დასრულდა - მოვკლათ ისინი” (Saenz, 1994: 104);

ძალაუფლების ხელახალი გადააზრება

ეს მაგალითები გვიჩვენებს ძალაუფლების ცნების ხელახალი გადააზრების საჭიროებას. ისინი თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ, რომ ძალაუფლება არ ეკუთვნის მხოლოდ მეთაურებს ან სახელმწიფოს, ან მათ, ვინც ოფიციალურ დისკურსს აკონტროლებს, არამედ ასევე ეკუთვნის მოსახლეობასაც. თვით ყველაზე ავტოკრატიულ პოლიტიებშიც კი, ადამიანები ავტონომიის და კონტროლის გარკვეულ ნიშას გამოძებნიან, ან თავადვე შექმნიან მას. როგორც ჯეიმზ სკოტი (1985: 36) აღნიშნავს: “მილიონობით ანთოზოური პოლიპი, ნებსით თუ უნებლიედ, წარმოქმნის კორალურ რიფს, ასევე მოქმედებს ათასობით და ათიათასობით დაუმორჩილებლობის და გაქცევის

ინდივიდუალური აქტი, რომლებიც, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბარიერებს წარმოქნიან".

სიფრთხილეა საჭირო, რომ ხალხის ძალაუფლების მეტისმეტი რომანტიზირება არ მოვახდინოთ, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ძალაუფლება შეუმჩნეველია თუ ძალადობრივი სახისაა. სისხლიანი აჯანყებები და სკოტის მიერ აღწერილი ყოველდღიური წინააღმდეგობა იშვიათად აღწევს წარმატებას იმგვარი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საკითხში, რაც დაბალ ფენებს ფორმალურ ძალაუფლებას მოუტანდა. ახლაც და მანამდეც, ძალადობრივი სახის "ხალხის რევოლუცია" შესაძლოა წარმატებული გამოდგეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, სავარაუდოდ, ეს იქნება ზეწოლის განსხვავებული ტიპის შედეგი. აჯანყებების დიდი ნაწილი დამარცხდა და დასრულდა ისე, როგორც მექსიკელი ამერიკელების ჯანყი ტეხასში, მცირე ცვლილების განხორციელებით და ზოგჯერ ადრინდელზე მეტი ჩაგვრითაც. მიუხედავად ამისა, ეს ის რეალური ძალაუფლებაა, ხშირად დაფარული ან დროებით ჩაწყნარებული, რომელიც თანამდებობის პირებს აიძულებს გააცნობიერონ და ეშინოდეთ ხალხის ძალის.

რეკომენდებული ლიტერატურა

Castile, George Pierre, and Gilbert Kushner, eds. Persistent Peoples: Cultural Enclaves in Perspective (Tucson: University of Arizona, 1981) კულტურული დამორჩილების თემაზე დაწერილი ცამეტი სტატია ხაზს უსვამს "დომინანტური კულტურის მიერ აბსორბირების პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის პირობებში საერთო იდენტობის უწყვეტობას". კვლევა, რომელშიც ძირითადად ამერიკის მაგალითებია განხილული, მოიცავს მრავალფეროვან მაგალითებს - შეერთებულ შტატებში მცხოვრები შავკანიანებითა და მორმონებით დაწყებული, მაიას ტომებითა და მექსიკაში მცხოვრები პიმასებით დამთავრებული. გაანალიზირებულია მოქმედების სხვადასხვაგვარი სტრატეგია, მათ შორის, როგორც სახელმწიფოსადმი მტკიცე დაპირისპირების, ასევე მასში გათქვეფისა და კოლაბორაციის პოლიტიკა.

Cheater, Angela, ed. The Anthropology of Power: Empowerment and Disempowerment in Changing Structures (London: Routlige, 1999) მოცემულ ანთოლოგიაში შესული 14 სტატია ძირითადად დამორჩილებული ხალხის უფლებების თემას ეხება. მართალია, რედაქტორი ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს იდეებზე დამყარებულ "ძალაუფლების" პოსტმოდერნისტულ განსაზღვრებას გვთავაზობს, მაგრამ – სტატიებში ძალაუფლების სხვადასხვა თეორიის ფართო სპექტრია გადმოცემული.

Edelman, Marc. Peasents Against Globalization: Rural Social Movements in Costa Rica (Stanford, Calif. Sranford University Press, 1999) მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორი დამღუპველი ზემოქმედება იქონია კოსტა-რიკელ გლეხობაზე გლობალური ნეოლიბერალური კაპიტალიზმის იდეოლოგების მიერ თავისუფალი ბაზრის საოცრებად წოდებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. კოსტა-რიკელი გლეხები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წახალისებული სოციალური პროგრამების შეკვეცის

პოლიტიკას და მზარდ გლობალურ შეჯიბრს აჯანყებების, ამბოხებების, გზების გადაკეტვის და ობიექტების დაკავებით უპირისპირდებოდნენ. მართალია გლეხებს ხშირად ხატავენ, როგორც გაუნათლებელ და ფატალიზმით შეპყრობილ ადამიანებს, ედელმანი გვიჩვენებს, რომ რეალურად, ისინი მშვენივრად იცნობდნენ მსოფლიოს, კარგად შეეძლოთ მედიასთან ურთიერთობის დამყარება და ორგანიზების ეფექტური ფორმების შექმნაც.

Ekern, Stener. Street Power: Culture and Politics in a Nicaraguan Neigborhood (Bergen, Norway: Norse, 1998). ეკერნმა თავისი საველე კვლევა 1984 წელს ჩაატარა, როდესაც შეერთებულ შტატებსა და ნიკარაგუას შორის წარმოებული სამხედრო დაპირისპირება პიკს აღწევს. მან დეტალურად გვიჩვენა, თუ როგორ ფუნქციონირებდა სანდინისტას დაცვის კომიტეტი ქალაქ ლეონის ერთ-ერთ თემში, წარმოაჩინა თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მისი წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. წიგნში ასევე მიმოხილულია ნიკარაგუის უკიდურესად ინდივიდუალისტური პოლიტიკური კულტურაც.

Scott, James C. Weapons of the Weak: Everyday Forms of Peasant Resistance (New Haven, Conn.: Yale, 1985) პოლიტიკური მეცნიერი სკოტი, რომელიც ორი წლის მანძილზე მალაიზიაში ეთნოგრაფიულ საველე კვლევას ატარებდა, ერთი პატარა თემის მაგალითზე უკიდურესად დეტალურად აღგვიწერს, თუ როგორ გაიზარდა კლასებს შორის დაპირისპირება მწვანე რევოლუციის დაწყების შედეგად. ავტორი მთავარ ყურადღებას ბრძოლაში ჩართული სხვადასხვა მოქმედი პირის აღქმებსა და იმ ტაქტიკაზე ამახვილებს, რომლითაც გლეხები იბრძოდნენ.

Scmidt, Bettina E., and Ingo W. Schroder, eds. Anthropology of Violence and Conflict (London: 2001) ძალადობისა და ომის ანალიზი ანთროპოლოგიის ქვედისციპლინად იქცა. მოცემულ თემას უკვე უამრავი კვლევა ეძღვნება. წიგნის რედაქტორთა წინასიტყვაობა და ცხრა სტატია მოცემული საგნის კარგ მიმოხილვას გვთავაზობს.

Skalnik, Peter, ed. Outwitting the State: Political Antropology, Vol.7 (New Brunswick, N.J.: Transaction Publishers, 1989). სათაურიდან გამომდინარე, შესაძლოა ვინმე ელოდეს რომ ყურადღება გამახვილებული იქნება სახელმწიფოს ძალაუფლებისთვის გვერდის ავლის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე, მაგრამ მოცემულ წიგნში გაერთიანებული რვა სტატია ფოკუსირებულია არა სახელმწიფოს მოტყუების გზებზე, არამედ უფრო იმაზე, თუ როგორ იცხოვრო სახელმწიფოში და ამავე დროს, შეინარჩუნო კულტურული იდენტობა. მოყვანილი კულტურული მაგალითები მეტად მრავალფეროვანია, დაწყებული ჯეიმსის ყურეში მაცხოვრებელი კრიელი ინდიელებიდან, დამთავრებული რუსი სტაროვერებით. სკალნიკი გვთავაზობს წინასიტყვაობას და სახელმწიფოს გაცურების ტაქტიკის კლასიფიკაციას.

თავი 8

გენდერი და ძალაუფლება

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ინდირა განდი იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი 1966-1977 წლებში. ქალები ხშირად აღწევდნენ ხელისუფლების ასეთ მაღალ პოზიციებამდე, თუმცა, ეს სულაც არ გულისხმობდა ზოგადად ქალების სტატუსის ზრდას (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

მართალია მიღებულია, რომ ფემინისტურმა ანთროპოლოგიამ (ან გენდერულმა ანთროპოლოგიამ) განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა, მაგრამ მისი სპეციფიცირება მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დეტალურად სურთ მისი აღწერა ან მისი რა ასპექტებია ხაზგასმული. ნაკლები კონკრეტიზირების პირობებში, ძალაუფლებასა და პოლიტიკასთან მიმართებით ქალებზე არსებულ გამოკვეთილად ანთროპოლოგიურ ხედვებს შორის შეიძლება გამოირჩეს სამი ურთიერთგადაფარვადი ფაზა. პირველი, "რევოლუციური" ფაზისთვის, რომელიც ადრეულ 1960-იანებში დაიწყო, დამახასიათებელია ეთნოგრაფიულ ნაშრომებსა და ანთროპოლოგიის თეორიაში არსებული გამოკვეთილად მამაკაცური საფუძვლების ნაგვიანები აღიარება. ნათესაობისა და ქორწინებისადმი ინტერესმა ცხადი გახადა, რომ ანროპოლოგები ქალებს გვერდს ვერ აუვლიდნენ. თუმცა, მათ, ჩვეულებრივ, როგორც პასიურ და ძალაუფლების არმქონე, ქმრებისა და მამების მორჩილებს ისე განიხილავდნენ. ქალთა ხმა მიჩუმებული იყო იმ აზრითაც, რომ ძალიან ნაკლებად არსებობდა ღრმა კვლევები, სადაც ყურადღება კონკრეტულად ქალების კუთხით იქნებოდა გამახვილებული. ასევე, თავად ანთროპოლოგიის ფარგლებში სპეციფიური ფემინისტური თეორიული ხედვის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. ფემინისტური ანთროპოლოგიის ამ ადრეული ფაზის ძირითადი ინტერესის სფერო მამაკაცური ბაზისის შესუსტება და მისგან თავის დაღწევა იყო. ინტერესის შემდეგი სფერო ქცევის ბიოლოგიური დეტერმინანტები და სქესთან მათი მიმართებაა. არსებითი იყო იმის ჩვენება, თუ რა დოზით ახდენდა კულტურა ზეგავლენას გენდერის კონსტრუირებაზე. ამ კვლევების ყურადღების ცენტრში უკვე ქალი მოექცა. შედეგად, ქალების ეთნოგრაფია ძირითად მიმართულებებში იქნა გადმოყვანილი.

მეორე ფაზაში შემცირდა ინტერესი ბიოლოგიური დეტერმინანტების მიმართ და ფოკუსირებამ ქალიდან გენდერზე გადაინაცვლა. გენდერის ანთროპოლოგიას ორი ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც არ გააჩნდა ქალების ანთროპოლოგიას. გენდერი, განსაზღვრების მიხედვით, არის კულტურული დეფინიცია და განსხვავდება "სქესისგან" (თუმცა, მოგვიანებით დამტკიცდება, რომ სქესიც ასევე სოციალურად კონსტრუირებულია, რადგან ადამიანებს ფიზიკური სხეულის თემაზე სრულიად განსხვავებული მოლოდინები და ხედვები გაჩნიათ). გენდერი, განმარტების მიხედვით, ურთიერთობითი ხასიათისაა და ყოველთვის გულისხმობს ურთიერთობას მამაკაცებსა და ქალებს შორის. ყურადღება მახვილდებოდა ქალების დამორჩილებაზე: იყო თუ არა ასეთი დამორჩილება უნივერსალური? თუ კი, რატომ? ან, თუ არა და რატომ? მალევე ცხადი გახდა, რომ "სუბორდინაცია" უკიდურესად რთული თემაა და მისი სხვადასხვა ასპექტის გამოსავლენად საკმაოდ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. მამაკაცთა დომინირების თემა სრულიად ბუნებრივია მარქსისტი თეორეტიკოსებისთვის. მათ გვიჩვენეს გარკვეული ისტორიული მაგალითები, რომლის საფუძველზეც გამოამჟღავნეს ურთიერთობა მსგავს დომინირებასა და არსებულ ეკონომიკურ სისტემებს შორის (Moore, 1998: 1-11).

მესამე ფაზა სამი დამოუკიდებელი, მაგრამ მონათესავე თეორიული ორიენტაციის - პოსტმოდერნიზმის, პოსტკოლონიური თეორიის და გლობალიზაციის - შერევაა. პოსტმოდერნიზმის ძირითადი თემა დიდი თეორიების ან მეტანარატივების უარყოფაა – ისეთი არსებითად დასავლური ორიენტაციის ჩათვლით, როგორიცაა მარქსისტული კულტურული მატერიალიზმი. შედეგად, კვლევები უფრო მეტად ფოკუსირებული გახდა და შესუსტდა ინტერესი კროს-კულტურული განზოგადებებისადმი. ასევე, ისინი უფრო ინტუიციაზე დაფუძნებული, საკუთარ თავზე მიმართული და შემეცნებითი გახდა იმ აზრით, რომ ფოკუსირდებოდა ქვეშევდრომობაზე, მორჩილებაზე და მსოფლიოს განვითარების პრობლემატიკაზე. კოლონიურმა/პოსტკოლონიურმა თეორიამ ხელი შეუწყო ისტორიის (განსაკუთრებით დასავლური ჰეგემონიის ხშირად უჩუმარი) შედეგების მიმართ ინტერესის განახლებას და დაქვემდებარებული სუბიექტებისადმი უფრო მეტი დროის დათმობას. და ბოლოს, გლობალიზაციამ, განსაკუთრებით კი ფაქტობრივად უცვლელმა ნეოლობერალურმა ეკონომიკამ, რომლის გატარებაც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ იყო ხელშეწყობილი, განსხვავებული ზეგავლენა იქონია მამაკაცებსა და ქალებზე.

ქალთა დაქვემდებარებულობა

ქალების უნივერსალურ დონეზე პოლიტიკურად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნის თემა 1970-იან წლებამდე კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა. ე.ე. ევანს–პრიტჩარდი (1965: 4) აღნიშნავდა, რომ " სოციალური ინსტიტუტების თითქმის ყველა არსებულ ვარიაციაში, უფრო სწორედ ყველა მათგანში, მიუხედავად სოციალური სტრუქტურისა, მამაკაცები ფლობდნენ ძალაუფლებას" რობინ ფოქსი (1967: 31) ნათესაური სისტემის ოთხი "ძირითადი პრინციპიდან" (ქალთა ფეხმძიმობა, მამაკაცთა მიერ ქალის განაყოფიერება და ინცესტის აცილება) მამაკაცთა დომინირებას მხოლოდ ერთ- ერთად მიიჩნევდა. "კულტურული უნივერსალურობის" მიმოხილვისას, დონალდ ბრაუნი (1991: 91ნ) კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ "მამაკაცთა უნივერსალურ დომინირებას ადგილი აქვს საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში".

კვლავაც პოპულარული რჩება მითი პირველყოფილი მატრიარქატის შესახებ. ეს ხედვა მეცხრამეტე საუკუნის იმ რწმენის გადმონაშთია, რომელსაც ყველაზე ამომწურავად 1861 წელს დაწერილ ნაშრომში *Das Mutterrecht* გადმოსცემს ჯ. ჯ. ბაქჰოფენი. მისი მტკიცებით, ქალის მიერ სოფლის მეურნეობის გამოგონებამ საფუძველი დაუდო დედა ქალღმერთის კულტს და ქალთა დომინირების ხანგრძლივ პერიოდს. კლასიკურ კვლევებზე, უფრო სწორედ კი კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით, ბაქჰოფენი ქალთა მმართველობას ცივილიზაციის ქვაკუთხედად და ველური ანარქიისგან პირველ თავისდაღწევად მიიჩნევდა. სამწუხაროდ, არათუ მატრიარქატის მთელი ეპოქის, არამედ მატრიარქატის თუნდაც რაიმე პერიოდის არსებობის არანაირი დამადასტურებელი მონაცემები ეთნოგრაფიული ან არქეოლოგიური წყაროების მიხედვით არ არსებობს (Webster 1975).

ევოლუციური ბიოლოგიის გადმოსახედიდან, ქალთა დაქვემდებარება შეიძლება მამაკაცი - მონადირის ორმილიონ წელზე მეტი ხნის ევოლუციის გარდაუვალ შედეგად მივიჩნიოთ. ქალები მეტისმეტად დაკავებულნი იყვნენ ბავშვების შობით და გაზრდით, ისევე როგორც ძველ გამოქვაბულებში მოწყობილ სახლებში ცეცხლის შენახვით. შესაბამისად, მათ პრაქტიკულად არ რჩებოდათ დრო სხვა რამისთვის (მაგალითად, უფრო ძლიერის გადარჩენის პრობლემა ქალებს არ ეხებოდათ). მსგავსი განვითარების საბოლოო შედეგად მიღებულ იქნა მორცხვი და პასიური მდედრობითი სქესი, რომელიც სამუდამოდ იქნა ჩამოშორებული პოლიტიკას მისი ფიზიკური სისუსტის და ტესტესტერონის ნაკლებობის გამო. საუკეთესო შემთხვევაში ქალებს შეიძლება

ძალაუფლება მოეპოვებინათ საშინაო საქმეებში, მაგრამ საჯარო სფერო მათთვის შეზღუდული რჩებოდა.

მართალია მამაკაცთა დომინირების უნივერსალურობის იდეა თვით ფემინისტებს შორისაც კი საკამათოა, ნადვილად უტყუარი ფაქტია, რომ 1950-იან წლებამდე ანთროპოლოგიის აკადემიურ წრეებში მამაკაცთა აშკარა დომინირება სუფევდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი თაობის ყველაზე გავლენიანი პროფესიონალი ანთროპოლოგები ქალები იყვნენ: მარგარეტ მიდი და რუთ ბენედიქტი. ეს ადამიანები, სხვა მკვლევრებთან ერთად, გამოირჩევიან იმით, რომ მათ გენდერის თემა ბიოლოგიის სფეროდან სოციალიზაციის სფეროსკენ გადაიტანეს. ასევე, მათი დამსახურებაა კულტურული რელატივიზმის, როგორც ანთროპოლოგიის უმთავრესი პრინციპის დამკვიდრებაც. მიუხედავად ამისა, ქალები ათწლეულების მანძილზე აღარ ჩანდნენ არც პრაქტიკულ კვლევებში და არც თეორიაში, სადაც მათ, როგორც წესი, მამაკაცთა კუთვნილებად განიხილავდნენ (თუკი საერთოდ ამ მხრივ მათი განხილვა ხდებოდა). უმთავრესი პრობლემა, რომელსაც რევიზიონისტი მკვლევრები ეთნოგრაფიული ჩანაწერების კეთებისას წააწყდნენ, ქალების შესახებ დეტალური ინფორმაციის შედარებითი მცირერიცხოვანებაა. ამ თემატიკის ნაკლებობა სახელმძღვანელოებშიც იგრძნობა. როგორც სანდრა მორგენი (1989: 10) აცხადებს: "გენდერის დომინანტური ანთროპოლოგიური გაგება თავს იჩენს არა მხოლოდ ანთროპოლოგიის იმ სახელმძღვანელოებსა და თეორიებში, სადაც განხილულია ქალი და/ან გენდერი, არამედ იქაც, სადაც ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობენ. ამგვარი არსაუბრის ორი ყველაზე ცხადი მაგალითია ჩვენს მიერ ევოლუციის, სტრატიფიცირების, ძალაუფლების და პოლიტიკური ეკონომიკის სწავლება."

უკანასკნელი 40 წლის მანძლზე ფემინისტური სწავლებების გაჩენამ და მათ მიერ მრავალრიცხოვანი ახალი ეთნოგრაფიული მონაცემის მოპოვებამ ანთროპოლოგიის ბევრი ფუნდამენტური დასვება დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ მონაცემების მხოლოდ მცირე ნაწილია მთლიანად "პოლიტიკური" - ძირითადად, ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებასა და ლიდერობის შესახებ. მიუხედავად ამისა, უფრო ფართო კუთხით, მათი უმრავლესობა პოლიტიკური ხასიათისაა, რადგანაც ფემინისტური სწავლებების დომინანტური თემა ძალაუფლებაა, განსაკუთრებით კი სქესთა შედარებითი ძალაუფლება. არის მამაკაცთა დომინირება ნამდვილად უნივერსალური? თუკი ეს ასეა, რა არის ამის მიზეზი? თუ ასე არაა, მაშინ როგორი იყო მისი განვითარება კულტურულად? რა არის ის სპეციფიური კონტექსტი, რომელიც ხელს უწყობს ან

პირიქით, ხელს უშლის გენდერულ განსხვავებულობას სტატუსსა და ძალაუფლებაში? მამაკაცთა დომინირება რეალური თუ უაზრო კონცეფციაა?

ისევე როგორც აზროვნებაში მომხდარ ნებისმიერ რევოლუციაში, სქესის შესახებ ანთროპოლოგიურ ვარაუდებში ეჭვის შეტანის შედეგად ორივე, მეცნიერებაც და იდეოლოგიაც, ერთმანეთში აირია. ასეა თუ ისე, ზოგიერთს სჯერა, რომ გენდერული უთანასწორობა უნივერსალური მოვლენაა; ზოგს მიაჩნია, რომ ის მამაკაცთა დომინირების შედეგია. ეს ყოველივე დიდ როლს თამაშობს ადამიანის მიერ სამყაროსა და საზოგადოების ცვლილების აღქმის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არ არსებობს არანაირი ხედვა, რაშიც ყველა ფემინისტი ანთროპოლოგი შეთანხმდებოდა, ერთი მთავარი აზრი მაინც ცხადია: გენდერის თემა ვეღარ იქნება იგნორირებული. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც "ანალიტიკური კატეგორია – რომელიც რასის, ეთნიკურობის, კლასის ან კასტის მსგავსად, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ჯგუფური იდენტობის, ასევე საზოგადოებაში ძალაუფლების სტრუქტურის კონსტრუირების საქმეში" (Morgen 1989: 8)

მამაკაცი მონადირე VS ქალი შემგროვებელი

1980-იან წლებამდე ჰომო საპიენსის ევოლუციის სტანდარტული თეორია ყურადღებას ამახვილებდა ერთობლივ ნადირობაზე. ამ პროცესმა, რომელიც ნადირის მოსაკლავად და გასატყავებლად იარაღების გამოყენებისთვის ხელების გათავისუფლებას მოიცავდა, საბოლოო ჯამში, ადამიანის ორფეხზე მოძრაობაზე გადასვლა გამოიწვია. ნადირობა უფრო ეფექტური გახდა და ამასთანავე, გაიზარდა ადამიანის დამოკიდებულება ცხოველურ ცილებზე. კომპლექსურ უკუპროცესში ახალი უნარების განვითარებამ ადამიანის ტვინის ზომის ზრდა გამოიწვია. ამას, თავის მხრივ, უკეთ კოოპერირებული და კომპლექსურად ორგანიზებული ნადირობები მოჰყვა შედეგად. ტვინის ზომების ზრდა გულისხმობდა ბავშვების სქესობრივი მოუმწიფებლობის უფრო ხანგრძლივ პერიოდსაც. ქალები დაკავდნენ ბავშვების მოვლის არცთუ ხანმოკლე პროცესით, რითაც მათ თავიდან აიცილეს შორეულ მანძილზე სიარული და ნადირობა. ამგვარად, დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფი ქალი რჩებოდა "სახლის ფუძეზე", საკვების მოსაპოვებლად გადაადგილდებოდა მოკლე მანძილზე და უვლიდა ბავშვებს, მაშინ, როდესაც კაცებმა დახვეწეს იარაღები და საწყის სტადიაზე მყოფი ცივილიზაცია გამოიყვანეს ნადირობის ეტაპიდან.

ფრენსის დალბერგი (1981: 1) ტრადიციულ მამაკაცი-მონადირის სქემას განიხილავდა, როგორც "მხოლოდ ზღაპარს", მსგავსს სხვა დანარჩენი მითისა, რომლებიც ენის, იარაღების გამოყენების და ცივილიზაციის წარმოშობის საწყისებს ხსნიან. ქალები პასიურ მოქმედ პირებად არიან წარმოდგენილნი. ევოლუციის სელექციური წნეხი კი თითქმის მთლიანად მამაკაცებზეა გადატანილი.

სალლი სლოკუმმა (1975) შემოიტანა ალტერნატიული ხედვა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანთა ევოლუცია დამყარებულია შედარებით მცირერიცხოვან მონაცემებზე, რაც კითხვის ნიშნებს ტოვებს ბევრ ასპექტში. ეს კითხვის ნიშნები კი შევსებულია ბუნდოვანი, ხშირად გაუცნობიერებლი დაშვებებით, რომლებიც წარმოქმნილია მამაკაცთა დომინირებადი კულტურის ზეგავლენით და ნაკლებად გაგვიწევს დახმარებას. მაგალითად, ადრეული იარაღები, რომლებიც სხვა არაფერი იყო, თუ არა უხეშად დამუშავებული ქვა, მიიჩნეოდა "ხელის ცულად", მაშინ, როცა სრულიად შესაძლებელია, რომ მათ ქალებიც იყენებდნენ შემგროვებლობის ან მცენარული საკვების დამუშავების დროს. მსხვილ ნადირზე ერთობლივი ნადირობა, რაც ადამიანთა ევოლუციის საწყის ბიძგადაა მიჩნეული, მხოლოდ ადამიანის ტვინის ზრდის შემდეგ შეიძლებოდა განვითარებულიყო. მეორეს მხრივ, წყვილების გაჩენა, როდესაც ერთი კაცი ზრუნავს ერთ ქალზე, ნადირობასთან ადაპტაციის მყარად დამკვიდრების შემდეგ თუ განვითარდებოდა. საწყის ეტაპზე, ბავშვზე დამოკიდებულების ზრდას შედეგად უნდა მოეტანა კავშირის დამყარება დედასა და ნაშიერს შორის და არა ქალსა და მამაკაცს შორის.

ალტერნატიული სქემის მიხედვით ქალ-შემგროვებელს ევოლუციის პროცესში მინიმუმ ისეთივე როლი ეკავა, რაც მონადირე მამაკაცს. ბუნებრივ სელექციას აშკარად ორივე სქესის ფარგლებში ჰქონდა ადგილი. ჩვილთა დამოკიდულების გახანგრძლივებამ, ქალებში საკუთარი თავისა და შვილისთვის საკვების მოპოვების უნარი განავითარა. იყვნენ რა ნაკლებად დამოკიდებულნი თავიანთ მამაკაც მეორე ნახევრებზე, ქალებს შეეძლოთ საკუთარი ოჯახებისთვის დიდი რაოდენობის საკვების მომარაგება, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე პერიოდში არსებულ შემგროვებლობა-მონადირეობაზე დაფუძნებულ არაერთ საზოგადოებაში. შემგროვებლობა სულაც არაა ადვილი საქმიანობა. იგი გულისხმობს საკვებად ვარგისი მცენარეების პოვნას და შერჩევას, სეზონური ცვლილებების ცოდნას, კარგ გეოგრაფიულ ალღოს, საკვების (ასევე ბავშვების) სატარებელი მოწყობილობების განვითარებას და საკვების მომზადებისთვის საჭირო იარაღებისა და ტექნოლოგიის გამოგონებას. რთულ მშობიაროებს სოციალური უნარების ფლობა და ქალებს შორის კომუნიკაციის არსებობა ჭირდებოდა, რაც ასევე მოითხოვდა უფრო დიდ

ტვინებს. ქალები ევოლუციის არათუ პასიური მიმღებნი, არამედ მისი ისეთივე აქტიური შემოქმედნი იყვნენ, როგორც მამაკაცები.

მამაკაცი-მონადირის კიდევ ერთი ვერსია სოციობიოლოგიიდან იღებს სათავეს, სადაც აღიარებულია, რომ ორივე, ქალიც და მამაკაციც, მონაწილეობდა ევოლუციის პროცესში, მაგრამ ბუნებრივმ სელექციას თითოეული სქესისთვის განსხვავებული ევოლუციური სტრატეგია მოჰყვა, რაც, საბოლოოდ, მამაკაცთა დომინირებაში გადაიზარდა. "ეგოისტური გენის" სკოლის თეორიის მიხედვით, ევოლუციის გადმოსახედიდან ყველა ორგანიზმი, მათ შორის ადამიანთა ორგანიზმიც, გენების მატარებელია. არსებობს თანდაყოლილი სწრაფვა იმისკენ, რომ ორგანიზმმა რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელოს საკუთარი გენეტიკური კოდი. მამაკაცთა საუკეთესო სტრატეგიაა - ჰყავდეთ რაც შეიძლება ბევრი პარტნიორი, რასაც აგრესია და კონკურენცია მოაქვს შედეგად. მეორეს მხრივ, ქალი უფრო მეტ გენეტიკურ კოდს გადასცემს საკუთარ ნაშიერს. ასე რომ, წარმოიქმნება კოოპერირებისა და გრძელვადიანი ურთიერთობების უფრო მეტი ტენდენცია (Draper 1985). ეს არგუმენტები უმაღლესი პრიმატების შესწავლითაა გამყარებული. ბაბუინთა ზოგიერთ სახეობაში გამოკვეთილად სქესობრივ საფუძველზე როლების დიფერენცირებას და მძლავრ იერარქიას ვხვდებით. ასევე, ბევრ სხვა სახეობაში, მაგალითად, გორილებსა და ორანგუტანგებშიც ხშირია მნიშვნელოვანი სექსუალური დიმორფიზმი.

თუმცა, ფემინისტები მაინც აღნიშნავენ, რომ მამაკაცთა დომინირება აშკარაა. შიმპანზეებში, ადამიანთან ყველაზე ახლოს მდგომ ევოლუციურ ნათესავებში, ნაკლებადაა გავრცელებული სექსუალური დიმორფიზმი. მამრობითი სქესის შიმპანზეები მდედრობითი სქესისთვის აგრესიისა და დომინირების გზით კი არ მეტოქეობენ ერთმანეთთან, არამედ სოციაბილურობის, ურთიერთმოვლისა და საკვების გაზიარების მეშვეობით. თვით ბაბუინებშიც კი (ბაბუინებს შორის სხვა სახეობებთან შედარებით ყველაზე მეტადაა გავრცელებული იერარქიულობა) გარემო პირობები უფრო მეტად განსაზღვრავს ქცევას, ვიდრე ინსტიქტები. ზოგიერთ ტყეში მაცხოვრებელ ბაბუინს შორის ჯგუფურად გადაადგილების "პოლიტიკურ" გადაწყვეტილებას უფროსი ასაკის მდედრობითი სქესის ბაბუინები ღებულობენ. მართალია, მამრობითი სქესის ბაბუინები პოზირებენ და იმუქრებიან როდესაც მტაცებლის წინაშე აღმოჩნდებიან, მაგრამ, ამავდროულად, საფრთხის შენარჩუნების შემთხვევაში, პირველები სწორედ ისინი ეძებენ ხეებში თავშესაფარს, ხოლო მდედრობითი სქესის ბაბუინებს ნაშიერებთან ერთად მარტო ტოვებენ საფრთხის წინაშე (Dahlberg 1981; Leibowitz 1975). მოკლედ რომ ვთქვათ, სოციობიოლოგიური არგუმენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სახეობას ავირჩევთ ადამიანებთან შესადარებლად.

სქესთა შორის ბიოლოგიური განსხვავებები

სქესთა შორის განსხვავება უდავოა, თუმცა, თანდაყოლილი ქცევითი განსხვავებულობის არსებობა კი კვლავაც მწვავე კამათის საგანია. არსებობდა ორი ძირითადი ხედვა: 1. კულტუროლოგიური სკოლა ბავშვთა სოციალიზაციის მთელ ახსნას მათ როლურ ქცევაში ეძებდა, რომელიც, თავის მხრივ, მათივე კულტურიდან გამომდინარეობდა და 2. "მზაობის შემსწავლელი" სკოლა, რომელიც ამტკიცებდა, რომ არსებობდა ბიოლოგიურად განპირობებული მზაობა შეესწავლათ და დაეწესებინათ თითოეული სქესისთვის მახასიათებელი როლური ქცევა (Draper 1985)

ფსიქობიოლოგიური საფუძველი ოთხ წყაროს ემყარება: კროსკულტურული ერთსახეობების შესწავლას, არასრულწლოვანთა ქცევაზე დაკვირვებას, შედარებას უფრო მაღალგანვითარებულ პრიმატებთან და ფსიქოლოგიური მახასიათებლების აღწერას. კროსკულტურულმა შესწავლებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ბიჭები უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე გოგონები, მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი მაგალითებიდან, რეალურად, ბიჭების მხოლოდ 20 პროცენტი იყო სოციალიზირებული აგრესიულობისთვის. ასევე, ისრაელის კიბუცებში ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ თანაბარი სოციალიზაციის პირობებში, ერთად გაზრდილი ორივე სქესის წარმომადგენლებიდან ბიჭები უფრო აგრესიულები და კონკურენტულები იყვნენ, ხოლო გოგონები კი უფრო „ინტეგრაციულები" (მოსიყვარულეები, ურთიერთგაზიარების მოსურნეები, კოოპერატიულები და ასე შემდეგ). არასრულწლოვანთა ქცევის კვლევამ (ობოლთა თავშესაფრების ჩათვლით, სადაც სოციალიზაცია ნაკლებად ხდება), რაც, უპირობოდ, ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალიზაციის გასააზრებლად, იგივე შედეგი მოგვცა. ძუძუმწოვართა შორისაც, პრიმატების ჩათვლით, მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო აგრესიულები არიან, თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. მდედრობითი სქესის მუსკულატურის სიძლიერე 55 პროცენტია, მაშინ როდესაც მამრობითი სქესის – 65. მამრობით სქესს ენერგიულობის უფრო მაღალი პოტენციალი აქვს, ხოლო მდედრობით სქესს კი - მეტაბოლიზმის უფრო დაბალი სიჩქარე. ადრეულ ეტაპზე ტვინში არსებული განსხვავებულობები გულისხმობს განსხვავებულ ქცევით პოტენციალს სქესის მიხედვით. ანდროგინიას გოგონებში (თანდაყოლილი მამრობითი ჰორმონების ზეგავლენა) მოაქვს "ქალაბიჭური" ქცევა. და ბოლოს, მამაკაცური ჰორმონის - ტესტესტერონის აგრესიულობასთან ასოცირება საყოველთაოდ ცნობილია (Parker and Parker 1979). ტვინის განვითარებაზე ჰორმონალური ზეგავლენის შესახებ ჩატარებული უფრო თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს მამაკაცთა და ქალთა განსხვავებულ ნიმუშებს: "სქესისთვის დამახასიათებელი

ჰორმონების ადრეული გამომჟღავნების მუდმივმოქმედი შედეგები ხასიათდება, როგორც “ორგანიზაციული”, რადგან იგი პერმანენტულად ცვლის ტვინის ფუნქციებს დაბადების წინარე კრიტიკულ პერიოდში ან დაბადების შემდგომ მალევე” (Kimura, 2002, 33).

ზოგიერთი შეუმჩნეველი ბიოლოგიური განსხვავებულობა ამჟამად კარგად შესწავლილია, რამდენადაც ლაბორატორიული კვლევები ყურადღებას ამახვილებს ისეთ უმნიშვნელო, მიზერულ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად, განსხვავებული სივრცითი და ლინგვისტური უნარები, რომელსაც თითქოს ნაკლები კავშირი აქვს პოლიტიკურ ქცევასთან ან დომინირებისა თუ სუბორდინაციის საკითხებთან. ბიოლოგიური განსხვავებულობის ბევრი ხედვა კვლავაც საკამათოდ რჩება. მაგალითად, აღნიშნულ იქნა, რომ რეალურად, ბავშვთა სექსუალური სოციალიზაცია იწყება დაბადებისთანავე, ხშირად ძალიან უხილავი ფორმებით. “ინტერსქესური” ბავშვები, რომლებსაც აკლიათ ტესტესტერონის გარდასაქმნელი ენზიმები და ამავე დროს, იზრდებიან “გაურკვეველი” სასქესო ორგანოთი, სქესობრივი მომწიფების შემდეგ ადვილად იგონებენ მამაკაცურ იდენტობას, რისთვისაც ისინი იყვნენ კიდეც სოციალიზირებულნი. ხედვა იმის შესახებ, რომ დაბადებამდე არსებულ ანდროგენიას გოგონებში მივყავართ ქალაბიჭურ ქცევამდე, საკამათო გახდა. ბიოლოგთა ნაწილი ძლიერ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ დაბადებამდევე არსებობს სქესთა შორის ტვინებში განსხვავება. მუსკულატურის განვითარება და გამძლეობაც კი გარემო პირობებითაა დიდწილად განპირობებული. მას შემდეგ, რაც ქალმა ათლეტებმაც ისევე დაიწყეს ვარჯიში, როგორც მამაკაცებმა-სპორტში განსხვავებულობაც თანდათან მცირდება (Lott, 1987).

რომც არსებობდეს სქესთა შორის ქცევითი განსხვავებულობის წინასწარ შექმნილი მოდელი – რომლის მიხედვითაც მამაკაცები უფრო “მეომრებად” იქნებოდნენ აღქმულები (აგრესიულებად, მაძიებლებად, იერარქიულებად და კონკურენტუნარიანებად), ხოლო ქალები კი უფრო სოციალურად “ინტეგრაციულებად” და “აღმზრდელებად” (Parker and Parker 1979) – ადამიანებს შორის ყველა ქცევა მაინც კულტურის გზით იფილტრება. თუკი ასეთი მიდრეკილებები არსებობს, მისი წარმოჩენის ხარისხს (ან იქნება თუ არა საერთოდ წარმოჩენილი) განსაზღვრავს კულტურა და ინდივიდუალური ფსიქოლოგია. საზოგადოებებს შორის და ნებისმიერი კონკრეტული საზოგადოების ფარგლებში სქესის როლური ქცევის მრავალფეროვნება გვიჩვენებს ადამიანის ბუნების დამყოლობას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო თანდაყოლილი მიდრეკილებები.

პრობლემა არა ბიოლოგიაზე დაფუძნებულ წანამძღვრებიდან წამოსულ შესაძლო ქცევით განსხვავებულობის იდეის მიღებაშია, არამედ, უფრო მეტად მამაკაცთა დომინირებისკენ ლოგიკურ (ან არალოგიკურ) ნახტომში. თანდაყოლილი განსხვავებულობის მოცემული ჰიპოთეზა სულაც არ გულისხმობს სქესთა შორის დიფერენციაციას ან ერთი რომელიმე სქესის მეორე სქესთან შედარებით უპირატესობას (ფაქტიურად, მამაკაცებს უფრო უჭირთ სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება, ვიდრე ქალებს და სიცოცხლის მანძილზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ავადმყოფობებისადმიც ისინი უფრო მგრძნობიარენი არიან. შესაბამისად, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც უფრო დაბალია). იმ ფონზე, რომ თითქმის არსად ფიზიკური ძალა და აგრესია ლიდერობას არ გულიხმობს, იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ფიზიკური სიძლიერე ან უფრო მაღალი ტესტესტერონი შედეგად დომინირებას იძლევა, არასწორია. ბევრ საზოგადობაში ლიდერებად აირჩევიან ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა სოლიდარობა, გაზიარება და ინტუიცია – ანუ ყველა ის თვისება, რაც, როგორც მიღებულია, ძირითადად ქალებისთვისაა მახასიათებელი. ასევე, თუკი სტრატიფიკაცია ან მამაკაცთა დომინირება ბიოლოგიით განისაზღვრება, მაშინ ის უნივერსალური უნდა იყოს. რეალურად კი (ამას ქვემოთ ვნახავთ), ეგალიტარული საზოგადოებები, როგორც განვითარების მომთაბარულ, ასევე მებაღეობის დონეებზეც არსებობდნენ.

სექსუალური სტრატიფიცირების ბიოლოგიურ საფუძვლებზე მწვავე დებატები 1970-იან წლებში იმართებოდა. დღესდღეობით, მოცემული საკითხი პრინციპში, ამოწურულია და მოცემული თემა სოციობიოლოგიის ფარგლებს არ სცდება. თანამედროვე ფემინისტი ანთროპოლოგები უფრო კომპლექსური და საინტერესო საკითხებით არიან დაინტერესებულნი.

ქალი და ძალაუფლება: კროსკულტურული ფაქტები

მართალია ისტორიულად არანაირი მატრიარქატი არ არსებულა, მაგრამ წინარესახელმწიფოებრივ კულტურებში ქალთა სტატუსი საკმაოდ მრავალფეროვანია. ქვემოთ აღწერილი სამი საზოგადოება კარგად წარმოაჩენს უკიდურესობებს, რომლებიც, აშკარად, ნორმიდან გადახრას წარმოადგენს. თუმცა, ისინი კარგად გვიჩვენებენ, თუ რამდენგვარი შეიძლება იყოს სქესობრივი სტრატიფიცირება.

იროკეზები

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები კულტურულად მონათესავე ხუთი "ტომისგან" შექმნილ კონფედერაციაში, რომელიც იროკეზების სახელითაა ცნობილი, ქალებს ყველაზე მაღალი სტატუსი და მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ნაცნობ ჯგუფში. ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რადგან იროკეზები განსაკუთრებით მეომრული ბუნებისანი იყვნენ – იმდენად მეომრულები, რომ, შესაძლოა, ბევრმა მსგავსი ტიპის ჯგუფს "მამაკაცური უპირატესობის კომპლექსის" მქონე ჯგუფიც კი უწოდოს. მიუხედავად ამისა, გარკვეული ფაქტორები ხელს უწყობდნენ ქალთა ძალაუფლებას.

იროკეზებზე დაკვირვება ძირითადად მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში განხორციელდა. იმ პერიოდისთვის იროკეზების საზოგადოებას ევროპელებთან კონტაქტის შედეგად უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები ჰქონდა განცდილი. მამაკაცები – ინდივიდუალურადაც და ჯგუფურ დონეზეც, დროის დიდ ნაწილს გარეთ ატარებდნენ. ხშირად, ფართომასშტაბიან ნადირობებსა და ხაფანგების დაგებაში, ვაჭრობასა თუ ბრძოლებში მონაწილეობის გამო, ისინი მთელი წელი ან უფრო მეტი დროის მანძილზეც, სახლიდან იყვნენ წასულები. ამგვარად, ლოკალურად, სასოფლო თემის დონეზე, სწორედ ქალი ინარჩუნებდა სოფლის არსებობას. არსებობისთვის აუცილებელ პროდუქტებს ძირითადად ქალები მოიპოვებდნენ. ბევრ სხვადასხვა ველურ საკვებთან ერთად მოჰყავდათ მარცვლეული, ლობიო, აკეთებდნენ წვენებს. ნათესაობა გადადიოდა როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი ხაზითაც. გათხოვილი ქალები გეგმავდნენ ქორწინებებს. როდესაც მამაკაცი ქორწინდებოდა, იგი გადადიოდა ცოლის დიდ, მოგრძო ფორმის ხისგან აგებულ მრავალოთახიან სახლში. ეს ოთახები ერთმანეთთან ცენტრალური გასასვლელით იყო დაკავშირებული. ნათესაობაში ყოველ ოჯახს ჰქონდა ბინა, სადაც ის რამდენიმე სხვა ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ამ დიდ, მოგრძო სახლებზე მემკვიდრეობის უფლება ქალებზე ვრცელდებოდა. ასე რომ, მამაკაცს იმ სახლზე, რომელშიც იგი ცხოვრობდა, არანაირი ძალაუფლება არ ჰქონდა და ისე უნდა მოქცეულიყო, რომ არ გაენაწყენებინა ცოლის ნათესაობა. ტიტულები, უფლებები და ქონება – ეს ყველაფერი მემკვიდრეობით ქალზე გადადიოდა. ასევე, ქალს ჰქონდა პატიმრების სიკვდილით დასჯის ან მათთვის სიცოცხლის მინიჭების უფლებაც.

თუმცა, ჯუდიტ ბრაუნის აზრით (1975), ქალებს ძალაუფლებას არა საარსებო საკვების მოპოვებით უზრუნველყოფა ან მდედრობითი ხაზით ნათესაობის გადაცემა ანიჭებდათ, არამედ მათ მიერ ტომის ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების განმგებლობა. ქალები არა მხოლოდ

აკონტროლებდნენ მცენარეული მოსავლის (როგორც შინაური, ასევე ველური) გადანაწილებას, არამედ მათ ხელში იყო მამაკაცების მიერ ნადირობის გზით მოპოვებული გარეული ცხოველების ხორცის განაწილებაც. ამგვარად, ქალებს ჰქონდათ არა მარტო საბჭოების, არამედ ნადირობის და ომის პარტიების საკვებით უზრუნველყოფის ძალაუფლებაც კი. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიერ გამოხატულ მხარდაჭერას შეეძლო ომის დაწყების წაქეზება ან მისი თავიდან აცილებაც გამოეწვია.

შედეგად, ქალები, რომლებსაც, შეიძლება, არ ეკავათ ოფიციალური პოლიტიკური თანამდებობები, უდიდეს არაფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდნენ. კონფედერაციის ლიგის უმაღლესი მმართველი ორგანო იყო უხუცესთა საბჭო. თანამდებობის დაკავების მემკვიდრეობითი უფლებაც ქალზე გადადიოდა. იროკეზელ ქალბატონებს შეეძლოთ დაეწინაურებინათ ან დაექვეითებინათ მმართველი უხუცესები, შეეძლოთ დასწრებოდნენ საბჭოს სხდომებს და ზეგავლენა მოეხდინათ მასზე. ზოგჯერ მათ ომის დაწყების და ხელშეკრულებაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლებაც ჰქონდათ. როდესაც კვდებოდა მეთაური, ქალები ორგანიზებას უწევდნენ შეკრებას, რომელზეც ახალი კანდიდატი უნდა აერჩიათ. თუკი კლანის მეთაურები მათ მიერ არჩეულ კანდიდატს ვეტოს დაადებდნენ, ქალები კვლავაც შეიკრიბებოდნენ. ქალები ასევე ესწრებოდნენ საზოგადოებრივი საბჭოს შეხვედრებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ იროკეზების მაგალითი უდავოდ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პატრიარქატი, რადგან ყველა ფორმალურ თანამდებობაზე მამაკაცები იყვნენ - ქალთა ძალაუფლება მკვეთრად ინსტიტუციონალიზებული იყო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალაუფლება არა მხოლოდ "საშინაო" საქმეებზე ვრცელდებოდა, არამედ აშკარად ჩანდა საზოგადოებრივ სფეროშიც.

ჩიპვიენები

ჩრდილო დასავლეთ კანადაში მცხოვრები ჩიპვიენები იროკეზებისგან საპირისპირო პოლუსზე მდგომი ტომია. ჰენრი ს. შარფის (1981) მიხედვით ამ საზოგადოებაში ქალები უკიდურესად უუფლებონი იყვნენ. ჩრდილო ამერიკულ ტომებს შორის ქალებს ყველაზე ცუდად სწორედ ამ ტომში ექცეოდნენ.

ტრადიციულად, ჩიპვიენების საკვების 90 პროცენტი შედგებოდა ხორცის, ძირითადად კანადური ირმის, ასევე ამერიკული ცხენ-ირმის, ჭაობის ბიზონის, წვრილი ნადირისა და თევზისგან. ევროპელებთან კონტაქტის შემდეგ, რომელსაც პირველად ადგილი 1715 წელს ჰქონდა,

ისინი სულ უფრო მეტად ერთვებიან ბეწვეულით ვაჭრობაში, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მათ უკვე შაშხანებიც ჰქონდათ.

ქალების ძალიან დაბალი სტატუსი, როგორც ჩანს, დაკავშირებულია შრომის მკაცრ დანაწილებასთან და საკვების მოპოვებაში ქალების უმნიშვნელო როლთან. თუმცა, ქალები მაინც თამაშობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს არსებობის შენარჩუნების საქმეში. მათ ევალებოდათ საკვების დამუშავება, ძირითადად ხორცისა და თევზის გამოშრობის და გამოყვანის ხანგრძლივი და რთული საქმე. როგორც ზოგიერთ საკვების მოპოვებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, გადარჩენისთვის აქაც აუცილებლი იყო გარკვეული დოზით საკვების გაზიარება. თუმცა, ამას ავტომატური ხასიათი არ ჰქონია. გასაჭირის ჟამს შესაძლებელი იყო გადანახული ხორცისა და თევზის "სესხება". მსგავსი სესხება მამაკაცებისთვის სასირცხვილოდ ითვლებოდა. ეს საქმე ქალებს ჰქონდათ ჩაბარებული. თუმცა, საკვების სესხება მათ არანაირ სტატუსს არ ანიჭებდა.

მართალია ქალებს დაბალი სტატუსი ჰქონდათ, მაგრამ, ამავდროულად მიიჩნეოდა, რომ ისინი დიდ ძალაუფლებასაც ფლობდნენ. ეს ძალაუფლება ნეგატიური ხასიათის მატარებელი იყო. მამაკაცთა და ქალთა ფუნქციებს რთული სიმბოლიზმი ერტყა გარს. მამაკაცები ძალაუფლებას მოიპოვებდნენ ნადირობის მეშვეობით, მაშინ როდესაც ქალები პოტენციურად სიწმინდეების შეურაცხმყოფლებად აღიქმებოდნენ, შეეძლოთ რა მამაკაცთა მაგიური ნივთების ეფექტურობის მოსპობა. მენსტრუაციის მქონე ქალს, მაგალითად, შეეძლო გაენადგურებინა ძაღლების მარხილის სიძლიერე მასზე გადაბიჯების მეშვეობით. "იყო მდედრობითი სქესის, ნიშნავს იყო ძალა" – აღნიშნავს შარფი (1981: 227) და განაგრძობს - "იყო მამრობითი სქესი, ნიშნავს ფლობდე ძალაუფლებას. კაცს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება, მაგრამ ქალები თავად არიან ძალაუფლება უბრალოდ იმით, რომ არიან ქალები". თუმცა, ეს სიმბოლური ძალაუფლება არ აისახებოდა რეალურ ცხოვრებაში, ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში ან ლიდერობაში.

აგთა

ფილიპინებში, ჩრდილო აღმოსავლეთ ლუზონში მდებარე აგთას მთა ერთადერთი ჩვენთვის ნაცნობი კულტურაა, რომელშიც ქალი, ჩვეულებრივ, მსხვილფეხა ნადირზე ეწეოდა ნადირობას.

სავარაუდოდ, საუკუნეების წინ მთელი აგთა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ნადირობაზე, მეთევზეობაზე და შემგროვებლობაზე. თუმცა, დღეისათვის, მოცემული ენობრივი ჯგუფი სხვადასხვა საქმიანობითაა დაკავებული. მაგალითად, სოფლის მეურნეობით, ფერმერობით,

ვაჭრობითა და მუშახელის დაქირავებით. მთიანი აგთას მოსახლეობას ყველაზე ნაკლები კონტაქტი ჰქონდა უცხოელებთან. ისინი დღემდე თითქმის ყოველდღიურად მიირთმევენ ცხოველურ პროტეინებს. გარეულ ღორზე, ირემზე და მაიმუნზე, როგორც წესი, ნადირობდნენ მშვილდ-ისრითა და მახეტებით. ასევე, აგროვებდნენ ტყის ზოგიერთ ნაყოფს. თუმცა, აგთას ხალხი უპირატესობას ანიჭებდა ევაჭრა და შეეძინა მარცვლეული, ტკბილი კარტოფილი და მანიოკი.

მიუხედავად იმისა, რომ სქესის მიხედვით შრომის დანაწილების პრაქტიკა არსებობდა, ეს მაინც უფრო იშვიათ, ნაკლებად გავრცელებულ სახეს ატარებდა. როგორც ქალები, ასევე კაცები, არსებობის შენარჩუნებისთვის საჭირო ყველა სახის მოქმედებაში მონაწილეობდნენ. სულ მცირე, აგთას ორ ჯგუფში, ქალები აქტიური მონადირეები იყვნენ და ხშირად დადიოდნენ სანადიროდ, ზოგჯერ სხვა ქალებსა და მამაკაცებთან ერთად, უფრო ხშირად კი მარტო. ქალები თავადვე აკეთებდნენ საკუთარ ისრებს (თუმცა, მჭედლობა გამოკვეთილად მამაკაცური საქმიანობა იყო). გოგონები ნადირობას იწყებდნენ სქესობრივი მომწიფებისთანავე და აგრძელებდნენ მანამ, სანამ თავად სურდათ.

ანთროპოლოგების მოსაზრება, რომ ქალები არასდროს ნადირობდნენ მსხვილფეხა ნადირზე, ეფუძნება ფეხმძიმობასა და ბავშვების მოვლასთან ნადირობის სრულ შეუთავსებლობას. როგორ ხდებოდა ამის მოგვარება აგთას შემთხვევაში? შესაძლოა უფროს დედ-მამიშვილს, ბებია-ბაბუას ან სხვა ნათესავებს ეზრუნათ ბავშვზე. ქალები არ დადიოდნენ სანადიროდ ორსულობის ბოლო პერიოდში, ასევე ძუძუთი კვების პირველ თვეებში. თუმცა, მიუხედავად მცირე ზომის დასახლებებისა, იმ ქალთა რაოდენობა, რომლებსაც შეეძლოთ სანადიროდ წასვლა, მაინც ყოველთვის საკმარისი იყო. ასევე, ქალები უფრო ხშირად და უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი ვაჭრობაშიც, ძირითადად გამომშრალი ხორცით ვაჭრობაში.

არ არსებობდა არანაირი ფორმალური ან ინსტიტუციურად ფორმალიზებული ხელისუფლება. ჯგუფური გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა კონსენსუსს, რომელშიც, რა თქმა უნდა, ქალებიც მონაწილეობდნენ. აგთა, როგორც ჩანს, სულ მცირე, მაინც ყველაზე ახლოს იდგა ჭეშმარიტად ეგალიტარული კულტურის ცნებასთან (Griffin and Griffin 1981).

ამგვარად, აგთას კულტურის შესწავლა ცვლის ქალების შესახებ არსებულ რიგ წარმოდგენებს. კონკრეტულად კი, არა მარტო მამაკაცის, როგორც მონადირის შესახებ არსებულ ძველ ხედვას, არამედ ასევე, თანამედროვე პერიოდში ქალზე, როგორც შემგროვებელზე ყურადღების გამახვილებას. შესაძლოა, მსხვილფეხა ნადირზე მონადირე ქალი უნიკალური მოვლენაა და მხოლოდ აგთას ახასიათებს, თუმცა, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს უცილობლად ასეა.

ისიც შესაძლებელია, რომ მამაკაცის დომინირებაზე ორიენტირებულ ანთროპოლოგიას არ შეუსწავლია სხვა კულტურები, სადაც ასევე რეგულარულად ქალები ნადირობდნენ მსხვილფეხა ნადირზე. აგთას ტომებში ქალთა ნადირობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შეხედულება იმის თაობაზე, რომ ქალის საქმიანობა იფარგლება შობადობით და ბავშვის მოვლით.

რას ნიშნავს "ქალის სტატუსი"?

მამაკაცთა უნივერსალური დომინირების და ქალთა მოკრძალებული სტატუსის ამსახველი ტერმინებია "დომინირება" და "სტატუსი". ამ კონცეფციებს ბევრი განზომილება აქვს. სტატუსი, სხვა ბევრ რამესთან ერთად, შეიძლება ნიშნავდეს დიფერენცირებულ მიდგომას ან რესურსებზე და გადაწყვეტილების მიღებაზე რეალურ ძალაუფლებას (Brown 1975). ამგვარად, მაღალი კლასის ქალები ფეოდალური ევროპის რომანტიკული ტრადიციების და ვიქტორიანული პერიოდის ევროპაში უმაღლესი სტატუსით სარგებლობდნენ – ისინი გაიდიალებულნი იყვნენ და უმაღლეს კვარცხლბეკზე იდგნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ რეალური ძალაუფლება. სტატუსი შეიძლება გამოიყენებოდეს იმ პატივისცემის აღსანიშნავად, რასაც საზოგადოება გარკვეულ ადამიანებს ანიჭებს - მაგალითად პრესტიჟის, სხვებზე ძალაუფლების, ძალაუფლების იძულებითი ძალის გარეშე, ოფიციალური თანამდებობების, რესურების ან ვინმეს თავისუფლებისა და ავტონომიის გამოსახატად. ამასთან, სტატუსი არ არის იზოლირებული რამ, იგი საზოგადოების ბევრ ქვესისტემაში ჰპოვებს ასახვას. შესაძლებელია ცალ-ცალკე სტატუსის არსებობა ნათესაობის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, იდეოლოგიის და ასე შემდეგ სფეროებისთვის. ასევე, შესაძლებელია, რომ ერთ რომელიმე სფეროში მოპოვებული სტატუსი სხვა სფეროზე არ ვრცელდებოდეს. მაგალითად, რელიგიის სფეროში მოპოვებული სტატუსი შეიძლება არ ვრცელდებოდეს ეკონომიკის სფეროში. სტატუსი შესაძლოა იყოს არამყარი, იცვლებოდეს ცხოვრების მანძილზე, ხშირად სიტუაციიდან სიტუაციამდეც კი. და მართლაც, ანთროპოლოგების მცდელობა - გამოიმუშავონ სტატუსის უნივერსალური კონცეფცია, შეიძლება ეთნოცენტრული ხასიათის და აზრს მოკლებული იყოს იმ საზოგადოების ფარგლებში, რომლის მიმართაც ხდება მისი გამოყენება.

მარტინ კინგ უითმა (1978) ინტენსიური კროსკულტურული კვლევის შედეგად გამოიმუშავა მრავალვარიანტიანი მიდგომა. მან შეისწავლა 93 წინარეინდუსტრიული კულტურა, გამოიყენა

გენდერთან ასოცირებული 52 ცვლადი, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, პოლიტიკოს ლიდერთა სქესი, საშინაო შრომის დანაწილება და მეუღლის ფიზიკური დასჯა. იგი ასკვნის, რომ "ამიერიდან აღარავის შეეძლება ამტკიცოს, რომ კროსკულტურულ დონეზე არსებობს ისეთი რამ, რასაც ქალის სტატუსი ჰქვია. ვერც ვერავინ მოძებნის ქალის სტატუსის საუკეთესო ინდიკატორს ან იმ უმთავრეს ცვლადს, რომელიც ზემოქმედებს ქალის სტატუსზე. ამის ნაცვლად, მოგვიწევს დავიწყოთ ძალიან განსხვავებული დაშვებით: არ არსებობს ქალის სტატუსის არანაირი თანმიმდევრული კონცეფცია, რომელიც შეიძლება კროსკულტურული კვლევების საფუძველზე გამოიყოს" (170). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტატუსი არ არის უნივერსალური, არამედ მისი გააზრება შეიძლება მხოლოდ სპეციფიური კონტექსტიდან გამომდინარე, რომელიც არა კონკრეტულ საზოგადოებებს, არამედ ამ საზოგადოებებში არსებულ კონკრეტულ ქვეკულტურებს მოიცავს.

ანალოგიურია უითის მიგნებები კაცთა დომინირების შესახებაც. დომინირების მნიშვნელოვნად განსხვავებული სახეები იქნა აღმოჩენილი როგორც საზოგადოების შიგნით, ასევე საზოგადოებებს შორის, დაწყებული მამაკაცთა აბსოლუტური უპირატესობიდან, დამთავრებული სქესთა შორის ფართო თანასწორობამდე. მართალია, არანაირი მატრიარქატის არსებობა არ დასტურდება, მაგრამ რეალურად, მართლაც არსებობდა სფეროები, სადაც ქალებს მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს.

ქალების ძალაუფლება და რესურსების გადანაწილება

მსგავსი ტიპის კვლევებმა კიდევ უფრო კომპლექსური გახადა საკითხი, თუმცა მკვლევრებს არ შეუწყვეტიათ სტატუსების კონკრეტული ტიპების განსაზღვრა, ისეთების, როგორიცაა სოციალური პრესტიჟი ან ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში ძალაუფლების ფლობა. ასევე, იმ უამრავი ცვლადის ძიება, რომლებიც ახსნიდნენ კროსკულტურულ დონეზე არსებულ განსხვავებებს.

მამაკაცთა დომინირება ხშირად უკავშირდება სქესთა შორის შრომის დანაწილებას. კროსკულტურულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ქალები, ძირითადად, დაკავშირებულნი არიან ისეთი საკითხების მოგვარებასთან, როგორიცაა საკვების და საწვავის შეგროვება, წყლის მოტანა, ქსოვა, რძის პროდუქტების წარმოება, თიხის ნაწარმის დამზადება, საკვების შენახვა და მომზადება, კალათების წარმოება, რეცხვა - ანუ ის მოქმედებები, რისი გაკეთებაც სახლთან ახლოსაა შესაძლებელი და გულისხმობს მონოტონურ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება შეწყვიტო დროებით

და შემდეგ კვლავ განაგრძო. მამაკაცები უფრო მეტად ჩართულნი არიან იმგვარ საქმიანობაში, რომელიც მოითხოვს მოგზაურობას, შეიცავს საფრთხეებს და ზოგჯერ, დიდი ენერგიის ხარჯვას უკავშირდება. ეს საქმიანობებია, მაგალითად, მსხვილფეხა ცხოველებზე ნადირობა, ომის წარმოება, ხაფანგების დაგება, ტყის ჭრა, საბადოებში მუშაობა, ცხენოსნობა, თევზაობა თუ შორეული ვაჭრობა. შრომის ამგვარი დანაწილების მიზეზები უფრო მეტად არა სიდიდეში, ფიზიკურ სიძლიერეში ან თანდაყოლილ თვისებებში უნდა ვეძიოთ, არამედ დედობრივ მოთხოვნილებებსა და ბავშვის მოვლის აუცილებლობაში. ისეთი საქმეები, რომლებიც საშიშია და შეიძლება ქალი დიდი ხნის მანძილზე მოწყვიტოს სახლს, აღიქმება, როგორც შობადობასა და ბავშვის მოვლასთან შეუსაბამობაში მყოფი (Coontz and Henderson 1986: 115; Dahlberg 1981: 13; Schlegel 1977: 35).

თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ სტატისტიკური ალბათობებია და არა უნივერსალური მოვლენა. რეალურად, არ არსებობს რომელიმე საქმე, რომელსაც ქალები სადმე მაინც არ აკეთებდნენ. საკვების მოპოვებისთვის გადაადგილებადი ტომები, მაგალითად, !კუნგ ბუშმენები და მბუტის პიგმეები (“მუშტისოდენა”-ს.დ), როგორც ჩანს, ნაკლებად იყვნენ შეზღუდულნი მოგზაურობის დროს ორსულობის პრობლემით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგთას ქალები რეგულარულად დადიოდნენ სანადიროდ. მეცხრამეტე საუკუნის დაბლობის ოჯიბვეებსა და დაჰომეის აფრიკულ სამეფოში ქალები მეომრები იყვნენ. ხშირად, ყველაზე მძიმე საქმიანობას ქალები ეწეოდნენ - მაგალითად, წმენდნენ ჯუნგლებს, ეზიდებოდნენ წყალს და შეშას. ჩრდილო კალიფორნიელ ინდიელებს შორის შამანთა უმრავლესობა ქალი იყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისა, რომ გარკვეული საქმიანობა ფასდებოდეს უფრო მეტად ვიდრე სხვა. როგორც კარენ საკი (1979: 89) შენიშნავს, გარკვეულწილად ეთნოცენტრიზმია იმის მტკიცება, რომ ყველა კულტურა ახდენს ეკონომიკური მოქმედების კლასიფიცირებას – ვარაუდი, რომელიც ყველაზე ჩვეულებრივი რამაა უთანასწორო კაპიტალისტური საზოგადოებისთვის. სქესის მიხედვით შრომის დანაწილება შეიძლება იქცეს სქესობრივი სტრატიფიკაციის საფუძვლად, მაგრამ მხოლოდ ამით არ შეიძლება მისი ახსნა.

როგორც ამტკიცებდნენ, არა შრომის დანაწილება განსაზღვრავს ქალის სტატუსს, არამედ ჯგუფის გამოკვებაში ქალის წვლილი. კროსკულტურული კვლევები სოციალური კომლექსურობის სხვადასხვა დონის ჩათვლით აჩვენებს, რომ ქალები მოიპოვებდნენ საკვების დაახლოებით 30-45 პროცენტს (Dahlberg 1981: 14-15). თუმცა, ეს მაჩვენებელი შეიძლება ცვალებადი იყოს და ქალები საერთოდ არ მონაწილეობდნენ საკვების მოპოვებაში, როგორც ამას ესკიმოსთა ზოგიერთ ტომში ვხვდებით; ან მოიპოვებდნენ საკვების დაახლოებით 70 პროცენტს, როგორც ეს !კუნგებთანაა.

ფაქტობრივად, “საყოველთაო აზრი” იმის თაობაზე, რომ საკვების მოპოვებაში ქალის წვლილი განსაზღვრავს მის სტატუსს, მცდარია. კროსკულტურული შედარებები არ ადასტურებს ამას (Whyte 1979: 169).

ერნესტინე ფრიდლი (1975, [1978] 1990) ვარაუდობს, რომ ძალაუფლება საკვების მოპოვებაზე, როგორც ასეთზე, კი არაა დაფუძნებული, არამედ ოჯახის გარეთ საკვების გაცვლა-გამოცვლის წარმოებაზე. უმთავრესი არა შიდა პროდუქციის წარმოება, არამედ საზოგადოებრივ გადაცვლაზე კონტროლია. ამგვარი გადაცვლა წარმოშობს ალიანსებს, რასაც პოლიტიკურ ურთიერთობებში ცენტრალური ადგილი უკავია. რაც უფრო მეტია მამაკაცის მონოპოლია მწირი რესურსების განაწილებაზე, მით უფრო მეტია ქალებზე მათი დომინირების ხარისხიც.

ეს ყველაზე კარგად ნაკლებად კომპლექსური საზოგადოებების მაგალითზე ჩანს. ნადირობა-შემგროვებლობაზე დაფუძნებულ ჯგუფებში მცენარეული საკვები მხოლოდ ოჯახის შიგნით ნაწილდებოდა, მაშინ როცა ცხოველური პროტეინი მთელი რაზმის ფარგლებში რიგდებოდა. ჩვეულებრივ, მსხვილ ნადირზე მხოლოდ კაცები ნადირობენ. კლასიფიკაციისას შეიძლება შეგვხვდეს როგორც ეგალიტარული საზოგადოებები (იმ ჯგუფებს შორის, სადაც ნაკლებად მისდევენ ნადირობას), ასევე მამაკაცთა უკიდურესი დომინირება (იქ, სადაც ნადირობა გამოკვების უმთავრესი საშუალებაა). იმ ჯგუფებში, სადაც როგორც კაცები, ასევე ქალებიც ნადირობენ და ერთად ეწევიან შემგროვებლობას, როგორც ამას ჩრდილო ამერიკულ ვაშოს ინდიელებში აქვს ადგილი, ქალები და კაცები თანასწორები არიან. იმგვარ ჯგუფებში, სადაც ქალი და მამაკაცი ცალ-ცალკე აგროვებს მცენარეულ საკვებს, მაგრამ კაცები მოიპოვებენ ხორცს, როგორც ეს ტანზანიაში მცხოვრებ ჰაზდას ტომებშია, მამაკაცთა დომინირების უფრო დიდი ტენდენცია არსებობს. ქალთა დამორჩილება კიდევ უფრო აშკარაა იქ, სადაც არსებობს სქესის მიხედვით შრომის მკვეთრი დანაწილება – ქალი შემგროვებელი, მამაკაცი – მონადირე – როგორც ამას ადგილი აქვს ავსტრალიაში მაცხოვრებელ ტივიუს ტომებში. და ბოლოს, იმგვარ საზოგადოებებში, როგორიცაა ინუიტი, სადაც ფაქტობრივად, ნადირობის მეშვეობით მთლიანად მამაკაცები მოიპოვებენ არსებობისთვის საჭირო ძირითად საკვებს - ქალებს ძალიან დაბალი სტატუსი აქვთ.

მსგავსი თეორიის ინდუსტრიულ საზოგადოებებზე მისადაგების შემთხვევაში აშკარაა, რომ ის სამუშაო, რაც არ აძლევს ქალს წარმოების რესურსებზე კონტროლის საშუალებას, არ იძლევა არც ძალაუფლებას (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგივე შეიძლება ითქვას მამაკაცთა სამუშოს შემთხვევაშიც).

ფრიდლმა მამაკაცთა დომინირების ხელისშემწყობი ბევრი ფაქტორიდან მხოლოდ ერთ-ერთი გამოყო. თუმცა, უნივერსალურ თეორიად ეს მაინც არ გამოდგება. თავის კროსკულტურულ კვლევებში უითმა ვერ იპოვა ვერანაირი ცვლადი, რომლითაც განსაზღვრავდა სქესის სტატუსს (გასათვალისწინებელია ის, რომ მის მიერ მოყვანილი შემგროვებლობა – მონადირობაზე დაფუძნებული საზოგადოებების მაგალითები შედარებით ნაკლებია და მან, სავარაუდოდ, უგულვებელყო აფრიკული მაგალითები, სადაც სტატუსს, ეკონომიკურ კონტრიბუციასა და საკუთრებაზე კონტროლს შორის არსებული კორელაცია უფრო აშკარაა (Duley and Sinclair 1986). მისი თეორიიდანაც არსებობს ზოგიერთი აშკარა გამონაკლისი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩიპვიენებს შორის ხორცს ანაწილებდა ქალი, თუმცა მამაკაცთა დომინირება ცხადი იყო. ასევე შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი სხვაობები კონკრეტულ ჯგუფებს შორისაც. ჟან ბრიგის (1970) მიერ აღწერილი ესკიმოსების ქალები სულაც არ ჩანან იმ დოზით დაქვემდებარებულები, როგორც ამას ფრიდლი ამტკიცებდა ზოგადად ესკიმოსების მაგალითის შესწავლისას.

საშინაო/საზოგადოებრივი, ბუნება/კულტურა

დაგვიანებული გაცნობიერება იმისა, რომ "მამაკაცთა დომინირება" არც უნივერსალური მოვლენაა და არც ერთადერთი მახასიათებელი, რომელიც ყველა საზოგადოებისთვის, სადაც კი ის სახეზეა, ერთიდაიგივე ტიპისაა - მიგვიყვანა სქესობრივი განსხვავებულობის კულტურული და სტრუქტურული ფაქტორების ძიებისკენ. მიშელ როსალდო (1970) აღნიშნავდა, რომ მამაკაცები ხშირად აკონტროლებენ "საზოგადოებრივ სამფლობელოს", სადაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაჭრა ხდება, მაშინ როცა ქალები ასოცირდებიან "საშინაო სფეროსთან", რაც დიდწილად მათ მიერ ოჯახის ინტერესების დაცვით განისაზღვრება.

წინარეინდუსტრიულ საზოგადოებებში ქალთა აქტიურობა ხშირად, მართლაც ოჯახისა და სანათესაოს სფეროებით შემოიფარგლებოდა. თუმცა, ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი ძალაუფლებაც ყოფილიყო, განსაკუთრებით მდედრობითი ხაზით ნათესაობის გადასვლის მქონე სისტემებში, სადაც საკუთრების გადაცემა ქალის გზით ხდებოდა და ქალივე წარმართავდა ადგილობრივი ნათესაობითი ხაზის საქმეებს. როდესაც მატრილოკალურობა შერწყმულია მდედრობითი ხაზით ნათესაობის გადაცემასთან, მამაკაცს ნაკლები ძალაუფლება აქვს იმ სახლში, სადაც ის ცოლთან და ცოლის ნათესავებთან ერთად ცხოვრობს, როგორც ამას იროკეზებში აქვს ადგილი. ამერიკის

სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ჰოპის ტომებში ქალი აკონტროლებს ნათესაობის დასახლებას, პუებლოს (პუებლო – ინდიელთა სოფელი). მამაკაცმა საკუთარი ძალაუფლება უნდა მოიპოვოს რელიგიისა და თემის საბჭოების მეშვეობით. ამ ხედვის მიხედვით, “პოლიტიკა”, რომელსაც საქმე აქვს საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებასთან, რესურსების და ხელისუფლების საზოგადოებრივ განაწილებასთან – მამაკაცთა საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. ეს ხედვა არ უარყოფს ქალთა ძალაუფლებას, მაგრამ გულისხმობს, რომ თითოეულ სქესს ძალაუფლების საკუთარი სფეროი აქვს.

მართალია მოცემული ხედვა შეიძლება მართებული არ იყოს ბევრი საზოგადოებისთვის, მაგრამ საშინაო/საზოგადოებრივი სფეროების დიქოტომია უდავოდ უნივერსალურია. ხშირად ქალები საზოგადოებრივ სფეროშიც ფლობენ ძალაუფლებას - მაგალითად, დედოფლები და ქალი მინისტრები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურ თანამდებობებზე ქალების ყოფნა არ გულისხმობს მოცემულ საზოგადოებაში ქალის სტატუსის უცილობელ ზრდას. უმეტესწილად, ქალების მიერ ფორმალური ძალაუფლების ფლობა ემსახურებოდა მხოლოდ ელიტურ ჯგუფს და ინარჩუნებდა პატრიარქატს. ასევე, ნათესაობაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ძალიან რთული იყო საშინაო და საზოგადოებრივი სფეროების გამიჯვნა. ხშირად, ოჯახი და ნათესაობა ის მექანიზმებია, რომლის მეშვეობითაც ხდება საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების წარმოჩენა. გლეხთა დასახლებებში განსხვავება საზოგადოებრივსა და კერძოს შორის შესაძლოა უადგილო იყოს, რადგან ძალაუფლება რეალურად არის იქ, სადაც ხდება გადაწყვეტილებების მიღება მიწის რენტის, გადასახადების, ომის და განათლების საკითხების შესახებ. ყოველივე ეს კი სასოფლო თემის მიღმაა (Hammond and Jablow, 1976). კერძო/საზოგადოებრივს შორის განსხვავება ყველაზე უკეთ სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებებში ჩანს, მაგრამ ზოგიერთ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ნათესაობა მამაკაცის ხაზით გადადის, მაგალითად ჩინეთში, ქალები ქორწინების შემდეგ გადადიან რა თავიანთი მშობლიური სახლიდან, კვლავ ინარჩუნებენ ნათესაურ კავშირებს, რაც მათ უფრო ფართო პოლიტიკურ მსოფლიოსთან აკავშირებს (Moore 1988). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მწირია ნაწილობრივ იმის გამო, რომ ცოტა მკვლევარი იკვლევდა ამ საკითხებს და ნაწილობრივ იმის გამოც, რომ მსგავსი ზეგავლენა უფრო მცირე და ნაკლებად თვალშისაცემი იყო, ვიდრე მამაკაცების.

შემდეგი დიქოტომია, რომელიც მამაკაცთა დომინირების ასახსნელად ასევე სასარგებლოდაა მიჩნეული, არის ბუნება/კულტურა (Ortner 1974). მოცემული დიქოტომიის წარმოშობაზე ზეგავლენა იქონია კლოდ ლევი სტროსის და კლიფორდ გერტცის ნაშრომებმა, სადაც გენდერი სიმბოლურ

კონსტრუქციად განიხილება, რომელიც მჭიდროდაა გადახლართული საზოგადოების სხვა სიმბოლურ სისტემებთან. ამ მიდგომის მიხედვით, მდედრობითი სქესი, ძირითადად შობადობის უნარიდან გამომდინარე, ასოცირდება ბუნებასთან; ასევე, ბევრ საზოგადოებაში სწორედ ქალები იყვნენ დაკავებულნი მიწის დამუშავებით. ისინი დაკავშირებულნი არიან სიმბოლოების ისეთ ქსელთან, როგორიცაა დედამიწა, მთვარე, თესვა და ნაყოფიერება. მამაკაცი კი აისახება კულტურის სიმბოლოთა ქსელში: მზე, ენა, სამართალი, არქიტექტურა და პოლიტიკა. მსგავსი სიმბოლიური განსაზღვრებები ქალს საშინაო საქმეებში განათავსებს, ხოლო მამაკაცს კი საზოგადოებრივ სფეროს მიაკუთვნებს.

რა თქმა უნდა, პრობლემები აქაც გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საზოგადოება ქალს სიმბოლურ დონეზე ბუნებასთან აკავშირებს, ხოლო მამაკაცს კი კულტურასთან, საზოგადოებათა ნაწილში ეს ასე არაა. ზოგიერთ საზოგადოებაში მამაკაცი დაკავშირებულია ბუნებასთან. ქალი კი – კულტურასთან (ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრად უფრო მიღებულია მამაკაცის მოხსენიება "ცხოველად" ან "პირუტყვად". ასევე, არსებობს ხედვა, რომ მამაკაცების ომისმოყვარეობა, მონადირეობა და ფეხბურთი მათი უხეში ინსტიქტებიდანაა წარმოქმნილი). ამასთან ერთად, ლევი სტროსის მტკიცების მიუხედავად, რომ კულტურა/ბუნება დიქოტომია თავად ადამიანის გონებრივ სტრუქტურაშივეა ჩადებული, ბევრი ადამიანი საერთოდ არ განასხვავებს მათ. არსებობს მოსაზრება, რომ ბუნებასა და კულტურას, საშინაო და საგარეო სფეროებს შორის განსხვავება, რეალურად, დასავლური კატეგორიებია, რაც პრინციპში არადასავლური კულტურებიდან კი არ მოდის, არამედ თავად მათზე იქნა თავს მოხვეული (Rapport and Overing: 145).

მსგავსი მიდგომა ღირებულია გარკვეული კულტურების ანალიზისას, ხოლო "გენდერის კულტურული კონსტრუირების" იდეა გართულებული და პასუხისმგებლობით აღსავსე მიდგომაა. ამასთანავე, როგორც ანთროპოლოგებმა ეს არაერთხელ შეისწავლეს, საკითხის მარტივ დიქოტომიებამდე დაყვანა, მიუხედავად იმისა თუ როგორი გულმოდგინე კვლევის შედეგად იქნება ეს დიქოტომიები მიღებული, უგულვებელჰყოფს ადამიანთა ქცევის კომპლექსურ და ჩახლართულ ხასიათს.

საცხოვრებელი ადგილის წესები, სოციალიზაცია და ძალადობა

გენდერული სტრატიფიკაციის ზოგადი ახსნა, რომელიც ემყარება ერთადერთ ცვლადს – იქნება ეს საარსებო ბუნება, საზოგადოებრივი სიკეთეების დისტრიბუირება თუ დედობა – წარუმატებელია, რადგან ძალიან ბევრი გამონაკლისი არსებობს. მარკ ჰოვარდ როსი (1986) გვთავაზობს მრავალმხრივ ახსნას, რომელიც ემყარება 90 წინარეინდუსტრიული საზოგადოების კროსკულტურულ კვლევას. ნებისმიერ ამგვარ კვლევას გარდაუვლად ახლავს თან იმ მასალების ნაკლებობა, რომელიც მდედრობთი სქესის მონაწილეობას და ქალთა მფლობელობას ან რესურსების გადანაწილებას ეხება. აუცილებელი იყო ოფიციალური თანამდებობების და შეხვედრებზე დასწრების რაოდენობის, ასევე კერძო საუბრების, არაპირდაპირი ზემოქმედების და ინფორმაციაზე კონტროლის კოდირების წარმოებაც.

მდედრობითი სქესის ძალუფლება არ შეიძლება მხოლოდ ერთი მიმართულებით გაიზომოს. სულ მცირე, ორ დამოუკიდებელ კატეგორიად მოგვიწევს მისი გაყოფა: 1. ქალების ჩართულობა ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში და 2. ქალების მიერ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პოზიციების ან ორგანიზაციების გაკონტროლება. ამ ორ კატეგორიას შორის არანაირი მნიშვნელოვანი გადაფარვა არ არსებობდა. თითოეული მათგანი სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში წარმოიქმნა.

ქალების მიერ ორგანიზაციების გაკონტროლება და ძალაუფლების ფლობა მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსურობასთან და, როგორც ჩანს, უფრო ზოგადი სოციალური და ეკონომიკური დიფერენცირების ნაწილია. თუმცა, მსგავსი ორგანიზაციები სულაც არ ანიჭებენ ქალებს უცილობლად უფრო მაღალ სტატუსს ან უფრო მეტ ძალაუფლებას.

ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა ჩართულობა დიდად არის დაკავშირებული მამაკაცთა ორგანიზებულობასთან. მამრობითი ხაზით წასული ნათესაობა და სხვა ძლიერი საძმოების ტიპის ორგანიზაციები ქალთა სტატუსზე ნეგატიურად აისახებოდა. ქორწინების შემდგომ საცხოვრებელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალები, რომლებიც ქორწინების შემდეგ კვლავ საკუთარ თემში რჩებოდნენ, უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობდნენ. მამაკაცთა ადრეულ სოციალიზაციას, თუ ის თბილ და მოსიყვარულე გარემოში ხდება, საბოლოოდ, სქესებს შორის ნაკლები კონფლიქტი და შედარებითი თანასწორობაც მოაქვს. და ბოლოს, მაღალი შიდა კონფლიქტების პირობებში ქალები უფრო პოლიტიკურად აქტიურები იყვნენ და მშვიდობის

დასამყარებელ მოლაპარაკებებს ძირითადად ისინი აწარმოებდნენ. იმ სიტუაციებში, სადაც შიდა ძალადობა ნაკლები იყო, ქალებისთვის ნაკლები სტიმული არსებობდა იმისათვის, რომ საშინაო საქმეების გარდა საგარეო და საზოგადოებრივ სფეროებშიც ეაქტიურათ (მაღალი საგარეო ძალადობის პირობებში ქალები შედარებით გარიყული იყვნენ პოლიტიკისგან).

მსგავსი კროსკულტურული კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალთა განსხვავებული სტატუსი და ძალაუფლება უნდა აიხსნას არა ერთი საყოველთაო მიზეზით, არამედ რამდენიმე ფაქტორით, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ.

გენდერული სტრატიფიკაციის ისტორიული განვითარება

ბევრი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ კროსკულტურულ კვლევებსა და სტრუქტურულ ახსნებს ერთი საერთო ნაკლი ჰქონდათ: ამ ტიპის კვლევები სინქრონულია. ისინი არ ითვალისწინებენ იმ უმთავრეს ცვლადს, რასაც დრო ჰქვია. მეცნიერთა ჯგუფი, რომლებზეც ძირითადად ზეგავლენა მარქსის იდეებმა მოახდინა, შეეცადა ეს უკმარისობა გენდერული სტრატიფიკაციის ისტორიული კონტექსტის შემუშავების გზით შეევსო.

ქალთა ექსპლუატაციის კულტურული ევოლუციის ყველაზე დეტალური სქემის შექმნა არა მარქსის, არამედ ფრიდრიხ ენგელსის სახელს უკავშირდება (1891, 1972). ენგელსის მიხედვით, ქალის ხაზი, ანუ "დედის უფლება" პრიმიტიული ანარქიისა და უწესრიგობის პერიოდიდან წარმოიშვა. ენგელსი მდედრობითი ხაზით გადასული ნათესაობის ამ ადრეულ სისტემას ეგალიტარულად განიხილავდა. საკუთრება, ყველანაირი ძალაუფლების საფუძველი, საერთო მფლობელობაში იყო, ასე რომ, მასზე კონტროლის უფლება არავის ჰქონდა. კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად, მამაკაცებმა დაამხეს მატრიარქატი და დაამყარეს პატრიარქალური ოჯახი. გაჩნდა ქონებრივი განსხვავებები როგორც ოჯახებს შიგნით, ასევე ოჯახებს შორისაც. საკუთრებაზე კონტროლისგან გარიყული ქალები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქალები აწარმოებდნენ პროდუქციას მხოლოდ საშინაო საქმეებისთვის. ხოლო კაცებს კი საშუალება ეძლეოდათ ეწარმოებინათ მთელი ჯგუფის მოხმარების საგნები და ასევე ვაჭრობისთვის განკუთვნილი ნივთებიც. ტექნოლოგია, რომელსაც მამაკაცები აკონტროლებდნენ, ამ უთანასწორობას კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. ამგვარად, მამაკაცების მიერ კერძო საკუთრების კონტროლი მდედრობითი სქესის დაქვემდებარებაში აისახა.

ელეონორ ლიკოკმა (1981) კიდევ უფრო განავითარა ენგელსის იდეები. ის თვლის, რომ მომთაბარე (მონადირეობა-შემგროვებლობაზე დაფუძნებულ) საზოგადოებებში არსებობდა განვითარების ეგალიტარული საფეხური. თანამედროვე მომთაბარეებმა, რომლებიც არ არიან ეგალიტარულები, ლიკოკის მიხედვით, მსგავსი გარდაქმნა საუკუნეების მანძილზე დასავლურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებებთან კონტაქტის შედეგად განიცადეს. ადრეულ მომთაბარე რაზმებში, რომლებიც მკვეთრად მოქნილი ტიპის გაერთიანებები იყო და რომლებსაც შეეძლოთ ესარგებლათ საკვების ნამატის უპირატესობებით, პირდაპირი კავშირი არსებობდა წარმოებასა და მოხმარებას შორის და ეს ხდებოდა ყოველგვარი საბაზრო სისტემის ჩარევის გარეშე. არავის ჰქონდა უფლება გაეკონტროლებინა ან მიესაკუთრებინა რესურსები. თითოეული ინდივიდი სარგებლობდა დამოუკიდებლობით. ყოველი ადამიანი (ქალიც და მამაკაციც) პასუხისმგებელი იყო საკუთარ მოქმედებაზე. ჯგუფური გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღწეოდა. საშინაო/საზოგადოებრივი დიქოტომია ჯერ კიდევ არ იყო წარმოქმნილი. არ არსებობდა არანაირი აუცილებლობა იმისა, რომ ქალები განსაკუთრებით პასუხისმგებელნი ყოფილიყვნენ მამაკაცთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ან პირიქით.

სანამ ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული კერძო და საზოგადოებრივი სფეროები, საზოგადოებაც ეგალიტარულად რჩებოდა. ამგვარად, ზოგიერთი მებაღეობაზე დაფუძნებული საზოგადოება, ისევე როგორც მომთაბარეები, ეგალიტარული იყვო. თუმცა, როდესაც დაიწყეს მოხმარების საგნების წარმოება გაცვლისა და მოხმარებისთვის, ახალმა ეკონომიკურმა კავშირებმა ჩაანაცვლა კოლექტიური მეურნეობის კავშირები. პროდუქციის კონტროლი პროდუქციის მწარმოებლის ხელში აღარ იყო და ამან შედეგად ექსპლოატაცია მოიტანა. ქალებმა საკუთარ წარმოების პროდუქციაზე კონტროლი დაკარგეს და ის კაცების ხელში გადავიდა. ორსულობით გამოწვეული შეზღუდვების გამო განვითარდა შრომის სქესის მიხედვით დანაწილება, სადაც ქალები იქცნენ მცირე მასშტაბის მწარმოებლად და მომსახურების გამნაწილებლებად მამაკაცების მიერ დომინირებად სახლეულებში. ამასთან ერთად, ქალები განდევნეს საზოგადოებრივი არენიდანაც. კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად, სქესობრივი კლასიფიკაცია კიდევ უფრო აშკარა გახდა, რადგანაც წარმოების საშუალებების კონტროლი, თითქმის ექსკლუზიური უფლებით, მამაკაცთა ხელში გადავიდა და ამგვარად, მათ შეეძლოთ დაექირავებინათ მუშებად ქალები და გაეწიათ მათთვის ექსპლოატაცია.

ბარის ტომები

კოლუმბიასა და ვენესუელაში მცხოვრები ტროპიკული მებაღეობის მიმდევარი ბარის ტომი კარგად წარმოაჩენს ამ პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი 400 წლის განმავლობაში ისინი წარმატებით ებრძოდნენ მისიონერებსა და ჩამოსახლებულებს, მათ მაინც შესძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი შიდა სოციალური ორგანიზების ფორმა, რომელიც ეგალიტარულ პრინციპებზე იყო დამყარებული. მათ ენაში ტერმინი "ბელადიც" კი არ მოეპოვებათ. ვერავინ, ვერც ქალი და ვერც მამაკაცი ვერ უბრძანებდა ვინმეს რაიმეს და ვერც ვინმეს დაემორჩილებოდა. არ ქონდათ რა საკუთრების გაგება, ისინი თანაბრად ინაწილებდნენ რესურსებს. ჯგუფური გადაწყვეტილებები მიიღებოდა საერთო კონსენსუსით – ისევ და ისევ, ქალებიც და მამაკაცებიც თანაბრად ემორჩილებოდნენ მიღებულ გადაწყვეტილებებს. შრომის დანაწილება მინიმალური ხასიათის იყო. ცხობა, ბავშვების მოვლა, სახლების მშენებლობა, თევზაობა და თესვა – ორივე სქესის მიერ თანაბრად ხდებოდა. არანაირი ინდივიდუალური ან ჯგუფური სამუშაო არ ითვლებოდა სხვაზე უფრო მნიშვნელოვნად.

1964 წლის შემდგომ ეს ყველაფერი სწრაფად შეიცვალა. ნავთობმწარმოებლების, ახალმოსახლეებისა და მისიონერების გაერთიანებული ძალისხმევით განხორციელებული ზეწოლით დამყარებულ "მშვიდობიანობას" შედეგად ბარის ტომის მცხოვრებლების დასავლურ კაპიტალიზმის პროცესში ჩართვა მოჰყვა. იმისათვის რომ უკეთ ემართათ ბარი, კოლუმბიის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა "ბელადების " ჯგუფი ანუ კაჩიკუები - რა თქმა უნდა, ყველა მამაკაცი. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ბარის მოსახლეობას წარმოდგენა არ ჰქონდა ნამატის წარმოების ცნებაზე, ისინი ჩართულ იქნენ საბაზრო ეკონომიკაში და დაიწყეს მაიოკის წარმოება გასაყიდად. ამ პროდუქციის გაყიდვით მიღებულ თანხებს მამაკაცები აკონტროლებდნენ, რითაც შეიქმნა მამაკაცების მიერ ქალთა შრომის ექსპლუატირების საფუძვლები. დაქირავებული შრომა, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ქმნიდა ნაღდ ფულს ისეთი მანუფაქტურული საქონლისთვის, როგორიცაა მაგალითად, მაჩეტი და ტანისამოსი. ამგვარად, მოხმარების ახალი საგნებით დაკმაყოფილების კუთხით ქალი მამაკაცზე დაქვემდებარებული ხდებოდა. კოლექტიური თევზაობა, საქმიანობა, რომელსაც ადრე ქალები და მამაკაცები თანაბრად აკეთებდნენ, შეწყდა, იმის გამო, რომ მამაკაცები დროის დიდ ნაწილს გარეთ, დაქირავებულ სამუშაოზე ატარებდნენ. ამგვარად, თევზაობა იქცა იმ მცირე რაოდენობის მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ, რომლებსაც გააჩნდათ მოქსოვილი ბადეები და ძრავიანი ნავები. ქალები კი გამორიცხულ

იქნენ იმ საქმიანობიდან, რომელიც არსებობის შენარჩუნების უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. ხელმისწავდომი გახდა რა მანუფაქტურული წარმოების საკვები პროდუქტების მამამკაცთა მიერ გამომუშავებული ხელფასით შეძენა, ქალების მიერ ტყეში შემგროვებლობაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ყოველივე ამან, კიდევ ბევრ სხვა ცვლილებასთან ერთად, ეგალიტარული კულტურა მალე მამაკაცთა მიერ დომინირებულ კულტურად აქცია (Buenaventura-Posso and Brown, 1980).

დები და ცოლები

ლიკოკის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული უთანასწორობის დიაქრონული მოდელის განვითარებისთვის. ეს თეორია არსებულ დებატებში ახალ, გადამწყვეტ განზომილებას წარმოშობს. თეორია ასევე კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება სქესობრივი სტრატიფიცირება კავშირში იყოს ზოგადად კლასობრივ სტრატიფიცირებასთან. ასევე, იგი ხაზს უსვამს კოლონიური კონტაქტის როლს მომთაბარეებსა და მებაღეობაზე დაფუძნებულ საზოგადოებებში, რომლის შედეგადაც მოცემულ საზოგადოებებში გაჩნდა უთანასწორობის ცნება. თუმცა, ამ თეორიასთან მიმართებითაც არსებობს ზოგიერთი რეალური პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი აშკარა ფაქტი ადამიანთა კულტურულ ევოლუციაში საერთო მატრიარქატის საფეხურის არსებობისა - როგორც ამას ენგელსი ამტკიცებდა – არ არსებობს არც საერთო ეგალიტარიზმის საფეხური, როგორც ეს ლიკოკს მიაჩნია. ბევრი თანამედროვე ან ყოფილი მონადირე-შემგროვებლობაზე დაფუძნებული რაზმი არ არის სქესობრივად ეგალიტარული. მებაღეობაზე დაფუძნებულ ძალიან ცოტა საზოგადოებაში შეიძლება აღმოვაჩინოთ სქესთა შორის თანასწორობა. ლიკოკის მოსაზრება, რომ არაეგალიტარული მომთაბარეები შეიცვალნენ კონტაქტის შედეგად ან, რომ ისინი უბრალოდ, არავის აღუწერია – არ არის დამაჯერებელი. ასევე, მამაკაცთა დომინირება აშკარად გავრცელებული იყო იმ საზოგადოებებშიც, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობდა. უიტმა (1978: 165) კროსკულტურულ დონეზე გადაამოწმა კავშირი კერძო საკუთრებასა და ქალთა სტატუსს შორის და მხოლოდ ძალიან სუსტი კორელაცია აღმოაჩინა. კერძო საკუთრების ფლობა თუ არფლობა არ არის კრიტიკული, გადამწყვეტი ფაქტორი.

კარენ საკი (1979) გვთავაზობს მსგავს, მაგრამ გარკვეულწილად უფრო რთულ სქემას, რომელიც ნათესაობაზეა დაფუძნებული. მომთაბარე საზოგადებებში, სადაც წარმოების კომუნალური მოდელი მოქმედებს, წარმოებისა და მფლობელობის კუთხით ცოლისა და ქმრის როლებს შორის ნაკლები სხვაობაა. იმის გამო, რომ საკუთრებას ყველა თანაბრად ფლობს, ვერცერთი

პირი ან ჯგუფი ვერ აცხადებს უპირატესობას მეორეზე, ხოლო ქალები კი ისევე მშვიდობიანად ცხოვრობენ სანათესაოში, როგორც საკუთარ ოჯახებში. თუმცა, როდესაც წარმოების კომუნალურმა ტიპმა გზა დაუთმო წარმოების ”ნათესაური კორპორაციის” ტიპს, სადაც მფლობელობა ეკუთვნის ნათესაობას ან კლანს - “ცოლებისა” და “დებისთვის” გამოყოფილ იქნა ორი სხვადასხვა წარმოებითი ფუნქცია. ნათესაობის მამრობითი ხაზის მქონე საზოგადოებებში დები მათი სანათესაო ხაზის მფლობელობაში არსებული რესურსების მეწილეები არიან, თუმცა არ შეუძლიათ ამ რესურსების ექსპლოატირება. მეორეს მხრივ, ცოლები, მუშაობენ რა თავინთი მეუღლეების სანათესაოს ფარგლებში, არიან მწარმოებლები, მაგრამ არა მფლობელები. ეს არის ქალის განცალკევება მის მიერვე წარმოებული პროდუქციისგან, რაც, საბოლოოდ, კონკრეტულად მეუღლეს და, ზოგადად, კაცს ქალზე ძალაუფლებას ანიჭებს. კლასობრივი საზოგადოებები, რომლებიც სწორედ ამ “ნათესაური პატრიკორპორაციებიდან” წარმოიქმნა, მამაკაცებისგან შემდგარი ელიტის ხელში აქცევს წარმოების მფლობელობას და, ამგვარად, კიდევ უფრო უწყობს ხელს ქალის როლის დაკნინებას.

საკის მოდელი დაახლოებით იმავე სახის კრიტიკის ობიექტი გახდა, როგორც ლიკოკის თეორია. ამ კრიტიკის მთავარი არსი ისაა, რომ კულტურათა ევოლუციაში ეგალიტარიზმის უნივერსალური ფაზის არსებობის არანაირი ფაქტი არ არსებობს. თუმცა, საკის მიერ ნათესაობაზე და ქორწინების შემდგომ საცხოვრებელ ადგილზე ხაზგასმა კარგად ერგება კროსკულტურულ კვლევებს, რომელიც აშკარად აჩვენებს კორელაციას ნათესაობის მამაკაცის ხაზით გადაცემას, პატრილოკალურობასა და ქალთა სუბორდინაციას შორის. ასევე, საკმა ხაზი გაუსვა ქალის კულტურულად განკუთვნილი როლების – “ცოლი”, “და” და “ქალიშვილი” – მნიშვნელობას გენდერულ სტრატიფიკაციაში.

ქრისტინ გეილი (1987) ამ იდეებს პოლინეზიის ტონგოს კუნძულების კომპლექსური ისტორიული ანალიზისას იყენებს და ამტკიცებს, რომ სქესობრივი სტრატიფიკაცია და კლასობრივი სტრატიფიკაცია ურთიერთ პარალელური მოვლენაა, თუმცა მათი წარმოშობის დინამიკა განსხვავებულია. გეილის აზრით, სახელმწიფოს წარმოშობა არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მოაქვს ქალის სტატუსის და ძალაუფლების შესუსტება. გეილი ამტკიცებს, რომ ტონგაში წარმოების კომუნალურმა ტიპმა, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა, არ წარმოქმნა ეგალიტარიზმი. თუმცა, ქალის, როგორც “დის” პოზიცია ტრადიციულად უფრო დაფასებული იყო, ვიდრე, ქალის, როგორც “ცოლის”. შედეგად, ქალი რჩებოდა დაცულ მდგომარეობაში და ინარჩუნებდა გარკვეულ კონტროლს წარმოებასა და რესურსებზე. ასევე, ქალები

იმგვარი სიმდიდრის ერთადერთი შემქმნელები იყვნენ, როგორიცაა რუდუნებით ნაკეთები ჭილობები, კალათები და ტყავისგან დამზადებული ტანისამოსი. კაპიტალიზმის გავრცელების თანმდევმა ორმა პროცესმა საზოგადოება მზარდი სტრატიფიკაციისკენ წაიყვანა. პირველი, მოხმარების საგნების წარმოებამ და გადაცვლამ მამაკაცთა ხელში გადაინაცვლა, ხოლო ქალების შრომა კი მოხმარების საგნად იქცა. მეორე, ქრისტიანმა მისიონერებმა მკვეთრად შეუწყვეს ხელი მამაკაცთა დომინირებას, მოახდინეს რა ამგვარი დომინირების მორალური და ზებუნებრივი ლეგიტიმაცია.

მსგავსი კვლევები გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სტრუქტურული ანალიზი არ არის საკმარისი ქალთა სუბორდინაციის შესასწავლად. სტრატიფიცირება, იქნება ეს სტატუსის, რიგის, კლასის თუ სქესის, ისტორიული ფაქტია. ისეთმა ფემინისტმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ლიკოკი, საკი და გეილი – პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს იმ კონკრეტული ფაქტორების მოხაზვაში, რაც მამაკაცთა დომინირების ევოლუციას მოიცავს.

შეჯამება

პოლიტიკური დომინირების და მდედრობითი სქესის სუბორდინაციის საკითხი ბევრად უფრო რთული და კომპლექსური აღმოჩნდა, ვიდრე ეს თავიდან ეგონათ. ამ საკითხზე ამიერიდან აღარაა ისეთი მძაფრი მსჯელობა, როგორც ეს ოდესღაც იყო. ფემინისტ ანთროპოლოგთა უმრავლესობა სხვა საკითხებზე გადაერთო. შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები კვლავაც გადაუწყვეტელი დარჩა, მაგრამ, ამ დიალოგიდან, სულ მცირე, გარკვეული თემების ირგვლივ მიღწეული თანხმობის გამოყოფა მაინც შეგვიძლია.

- ამიერიდან ვეღარ იქნება გაზიარებული “კაცი-მონადირის” ევოლუციის მითი. ქალებმა ისევე მოახდინეს ზეგავლენა ფიზიკური ევოლუციის პროცესზე, როგორც მამაკაცებმა.
- არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავება ქალისა და მამაკაცის ქცევაში – ეს თემა კვლავაც საკამათოა. თუმცა, რომც არსებობდეს თანდაყოლილი თვისებები – მამაკაცი უფრო “აგნოსტიკური”, ხოლო ქალი კი უფრო “ინტეგრაციული”- კულტურის მეშვეობით მაინც ხდება მათი ფილტრაცია. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მაინც არაა გენდერული სტრატიფიკაციის საკმარისი ახსნა.

- ვერც ”სტატუსი” და ვერც “მამაკაცთა დომინირება” ვერ აიხსნება კროსკულტურული კვლევის შედეგებით. ეს კონცეფცია სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა მნიშვნელობით სარგებლობს. უფრო მეტიც, ხშირად თავად ერთი საზოგადოების შიგნით არსებულ ქვესისტემებშიც შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ვარიაცია.
- ანალიტიკური მიზნისთვისაც კი რომ გამოვთქვათ მამაკაცთა უნივერსალური პოლიტიკური დომინირების ჰიპოთეზა, ემპირიულად ეს მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არსებობს ბევრი საზოგადოება, რომლებიც სქესობრივი კუთხით ეგალიტარული იყო, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, აგთა, მბუტის პიგმეები, ბარის ტომები და !კუნგი.
- ქალების ძალაუფლება უნდა გაიზომოს, სულ მცირე, ორი განსხვავებული კუთხით: 1. ორგანიზაციებსა და ძალაუფლების მქონე თანამდებობებზე კონტროლი და 2. ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. თითოეული მათგანი საზოგადოებაში სხვადასხვა ფაქტორთანაა კორელაციაში.
- გენდერული სტრატიფიკაცია ვერ იქნება ნავარაუდები ვერც მხოლოდ შრომის დანაწილების ან საარსებო საშუალებების მოპოვებაში ქალის როლიდან გამომდინარე. თუმცა, ბევრ შემთხვევაში (მაგრამ არა ყველაში) ქალის პოლიტიკურ ძალაუფლებასა და ოჯახის ფარგლებს გარეთ წარმოებულ რესურსებზე კონტროლს შორის კორელაცია არსებობს.
- პოსტულირებული დიქოტომიები, რომლის მიხედვითაც ქალის ადგილი საშინაო საქმეებია, ხოლო მამაკაცის მოღვაწეობის სფერო კი საზოგადოებრივი, ან ქალის ასოცირება ბუნებასთან, ხოლო მამაკაცის კი – კულტურასთან, შეიძლება ღირებული, ვარგისი იყოს ზოგიერთი საზოგადოების ანალიზისას, მაგრამ კროსკულტურულ დონეზე ეს ნაკლებად გამოსადეგია.
- როგორც მოსალოდნელი იყო, ქალის ხაზით ნათესაობის გადაცემა უფრო მეტად ასოცირდება ქალთა თანასწორობასთან, ვიდრე მამაკაცის ხაზით ნათესაობის გადაცემა. თუმცა, ქორწინების შემდგომი საცხოვრებელი ადგილის წესი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი გამოდგეს. ქალები, რომლებიც გადადიან ქორწინების შემდეგ საცხოვრებლად მეუღლის სანათესაოში, სავარაუდოდ, კარგავენ “დის” დაცულ სტატუსს და ღებულობენ მამაკაცის დომინირების ამსახველ “ცოლის” სტატუსს.
- ეგალიტარიზმის, როგორც პოლიტიკური ევოლუციის უნივერსალური პირველი საფეხურის დამადასტურებელი აშკარა ფაქტების არ არსებობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია- გენდერული სტრატიფიკაციის განვითარება ახლო კავშირშია კორპორატიული ტიპის

ნათესაობრივი ჯგუფების და სახელმწიფოს წარმოშობასთან. თითოეულ შემთხვევაში ქალების ჩამოშორება მათ მიერვე წარმოებული პროდუქციის კონტროლისგან გადამწყვეტი ფაქტორია.

პოსტმოდერნიზმი და გლობალიზაცია

ფემინისტური ანთროპოლოგიის ფარგლებში უკანასკნელ პერიოდში ახალი თეორიული მიმართულებები გაერთიანდა. პოსტმოდერნიზმმა (იხილე თავი 10) გრანდიოზული თეორიებიდან და კროსკულტურული რეგულაციების ძიებისგან ყურადღება კულტურულ განსხვავებულობაზე, პოსტკოლონიური ადამიანების დაქვემდებარებულობის გააზრებაზე და კონკრეტული ჯგუფების მიკროანალიზზე გადაიტანა. სქესებს შორის ძალაუფლების და სტატუსის ასიმეტრია, რაც დომინირებდა ქალებისა და გენდერის ანთროპოლოგიის პირველ ფაზაში, ბევრ სხვა საკითხს შორის მხოლოდ ერთ-ერთ საკითხთაგანად იქცა. მან დაკარგა უპირველესი მნიშვნელობის საკითხის სტატუსი. ინტერესის სფერო ხშირად ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალის აქტიურობის ან კულტურის სიმბოლური ასპექტების შესწავლა (Lampere, Ragone, and Zavella 1997: Yanagisako and Delaney 1995). წმინდა პოლიტიკური გადმოსახედიდან, ბევრ სხვადასხვა ფაქტორს შორის, რაც თანამედროვე ფემინისტურ ანთროპოლოგიაზე ახდენს ზეგავლენას, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოში და გლობალიზაციის პირობებში გენდერის მიერ შესრულებულ როლზე ყურადღების გამახვილებაა (Moore 1988: 128-85).

გადარჩენის პოლიტიკა და გლობალიზაცია: ბაზარში მოვაჭრე ქალი პერუში

ვერანაირი ერთი მაგალითით ვერ მოხერხდება მოკლედ გადმოცემა და შეჯამება იმ მილიონობით თემის და საკითხის, რაც თანამედროვე ფემინისტი მეცნიერების ნაშრომებში ძალაუფლებისა და პოლიტიკის შესახებ დაწერილა. თუმცა, ლინდა სელიგმანის (1998) მიერ "გადარჩენის პოლიტიკის" შესწავლა, რომელიც პერუს მაგალითზეა განხილული, თანამედროვე ფემინისტური პოლიტიკური კვლევების ბევრ თემას მოიცავს. ამ ნაშრომში მოკლე ეთნოგრაფიული მიმოხილვა ფოკუსირებულია და ადგილი არ აქვს იმის მცდელობას, რომ მიღებული მასალა მიებას

ან დაუკავშირდეს რომელიმე დიდ თეორიას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა გლობალიზაციის კონტექსტში განიხილება (განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარევის ფონზე, რამაც კუცკოში ბაზარში მოვაჭრე ქალის ფუნქციების სტრუქტურული ცვლილება გამოიწვია), ეთნოგრაფი არ ცდილობს ანალიზის უნივერსალიზაციას. ეს ქალები არ არიან მეტწილად პოლიტიკურები, თუმცა, კრიზისულ გარემოებებში ისინი წინააღმდეგობის აქტიურ სუბიექტებად გვევლინებიან იმ სისტემაში, რომელიც უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებს.

როდესაც 1990 წელს პერუს პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი გახდა, ქვეყანა ჩვეულებრივზე უარესი ეკონომიკური საფრთხეების წინაშე დადგა. 1980-იანი წლები მესამე სამყაროს ქვეყნების დიდი ნაწილისთვის "დაკარგული ათწლეული" იყო. ამ პერიოდს ახასიათებდა როგორც გლობალური რეცესია, ასევე მზარდი ვალები, რაც ანადგურებდა 1960 და 1970-იანი წლებისთვის დამახასიათებელ განვითარების ოპტიმისტურ ხედვას. პერუს პრეზიდენტმა ალან გარსიამ უარი განაცხადა დაახლოებით 23 მილიარდიანი უცხოური ვალის გასტუმრებაზე, რამაც გამოიწვია ქვეყნიდან ინვესტიციების გადინება. ფუხიმორის გაპრეზიდენტებამდე 10 წლით ადრე რეალური ხელფასები 40 პროცენტით დაეცა, ხოლო საგადასახდო შემოსავლებმა კი 50 პროცენტით მოიკლო. ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, სამოქალაქო ომმა, რომელიც ერთის მხრივ ხელისუფლებასა და მეორეს მხრივ "მანათობელი გზისა" და თუფაქ ამარუს რევოლუციური მოძრაობის აჯანყებულ ძალებს შორის წარმოებდა, 30 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეკონომიკური ინფრასტრუქტურა სერიოზულად შეირყა, ხოლო ინფლაციამ კი 3 000 პროცენტს მიაღწია.

ბაზარში მოვაჭრე ქალები, ისევე როგორც არაფორმალურ ეკონომიკურ სექტორში დასაქმებული ბევრი სხვა ადამიანი, მხარს უჭერდნენ ფუხიმორს, როგორც "ხალხის კაცს", რომელიც ქვეყანას გარკვეულ სტაბილურობას მოუტანდა. ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ მან იმაზე ბევრად მკაცრი რეფორმები გაატარა, ვიდრე ამას მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოითხოვდა. ნეოლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ინდუსტრიებისა და წარმოებების კერძო საკუთრებაში გადაყვანას, სახელმწიფო სუბსიდიების მკვეთრ შემცირებას, ფასებზე კონტროლის გაუქმებას და გადასახადების გადახდაზე კონტროლის გამკაცრებას მოითხოვდა. სამოქალაქო ომმა და მოცემული რეფორმების გატარებამ დემოკრატია, გარკვეულწილად, შეარყია. 1992 წლის საპრეზიდენტო გადატრიალებამ ფუხიმორი ფაქტიურად, დიქტატორად აქცია. მიუხედავად ამისა, მაკროეკონომიკური პერსპექტივიდან მის მიერ გატარებულ პოლიტიკას დიდი წარმატება ჰქონდა, ინფლაციამ დაიკლო, სახელმწიფომ

დაიწყო ვალების გასტუმრება, ხოლო უცხოელმა ინვესტორებმა კვლავ განაახლეს პერუში ფულის დაბანდება.

მიკროეკონომიკური განვითარების კუთხით, ქვეყანაში არსებული სურათი სულაც არ იყო ასეთი ვარდისფერი. ტრადიციულ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის წარმატებულობაც საყოველთაოდ ცნობილი იყო, პერუს შემთხვევაშიც ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკური ზრდისთვის, ან, ხატოვნად რომ ვთქვათ, აფრები აეშვა დიდი გემებისთვის, რეალურად კი, ამ პროცესის შედეგად ბევრი მცირე გემი გამოირიყა ნაპირზე ან საერთოდ ჩაიძირა. პერუს ფართო არაფორმალურმა ეკონომიკურმა სექტორმა უდიდესი დარტყმა მიიღო. არაფორმალური სექტორი, რომელიც მთავრობის თვალში არალიცენზირებული და არალეგიტიმურია, ძალიან დიფერენცირებულია და მოიცავს ყველაფერს - დაწყებული ბოშების ტრანსპორტირებიდან და ქოხმახების ტიპის სახლების ნაცვლად ქალაქებში თანამედროვე ბინების მშენებლობიდან, დამთავრებული თვითდასაქმებული მოვაჭრეების და მცირე საწარმოების განსხვავებული კომერციული პოლიტიკით. მიუხედავად სიმძლავრისა, არაფორმალური ეკონომიკა ფორმალურ დონეზე დაცულობის პრობლემებს განიცდის, ისეთებს, როგორიცაა კონტრაქტები, დაზღვევა, ჯანდაცვა და განსაკუთრებით, სამუშაოს სტაბილურობა. ბევრი "ბიზნესი" ღებულობს წარმოების იმ სახეს, რომელიც უფრო მეტად სასოფლო ტიპისაა, ვიდრე ქალაქურის: ისინი ორიენტირდებიან ოჯახის, ნათესაობის ან ფიქტიური ნათესაობის გარშემო და მძლავრად არინ დაფუძნებულნი ურთიერთდახმარებაზე, ნამატისა და ინფორმაციის არაფორმალურ ქსელებზე.

ქალმა მოვაჭრეებმა ვუნძოში, რომლებიც 1988 - 1993 წლებში სელიგმანის კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ, ფუხიმორის რეფორმების შედეგად დიდი დარტყმა განიცადეს. არაფორმალურ ეკონომიკაში ქუჩაში ან ბაზარში ვაჭრობა დასაქმების უმთავრეს სექტორს წარმოადგენდა. აქ ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებული. მამაკაცების მონაწილეობა მეტწილად ტრანსპორტირებითა და დისტრიბუციით განისაზღვრებოდა. ვაჭრები ორი საპირისპირო ჯგუფისგან შედგებოდა: *ambulantes*, ანუ ქუჩის მოვაჭრეები, ან არალეგალური ბაზრის გამყიდველები, რომლებიც კონკურენციაში იყვნენ *establicidas* - მუდმივი ქირით აღებული დახლების მფლობელებთან. ეს უკანასკნელნი ჩიოდნენ არასამართლიანი შეჯიბრის პირობების გამო. *Ambulantes* არ იხდიდნენ არც ქუჩაში ვაჭრობის თანხას და არც გადასახადებს. წარმატებული *establicidas* ზოგჯერ მოიპოვებდნენ მესტიცას, ანუ საშუალო კლასის სტატუსს და ამით თავს აღწევდნენ უფრო დაბლა მდგომი ქეჩუა ინდიელების *campensina* ან *chola*--ს (შუალედური სტატუსი გლეხსა და კულტურულად სრულად ასიმილირებულ ესპანურენოვან მესტიცას შორის)

კატეგორიებს. იმ მცირე ძალაუფლებას, რასაც ბაზარში მოვაჭრე ქალი ფლობს, საფუძვლად ლოკალურ მფლობელსა და კლიენტებს შორის არსებული ურთიერთობა უდევს. ქალს შეუძლია მიიღოს კრედიტი, პროტექცია, ინფორმაცია და სხვა რესურსები საარჩევნო პერიოდში მათი ხმების მოპოვების სანაცვლოდ.

ფუხიმორის რეფორმებმა ეკონომიკის ფოკუსირება მომპოვებელი და საზოგადოებრივი სარგებლიანობის ინდუსტრიებიდან ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიებისკენ გადაიტანა. ამ გადასვლამ მოცემულ ინდუსტრიებში დასაქმებული ადამიანების მასიური გათავისუფლება გამოიწვია და თან ისე, რომ უმუშევრად დარჩენილთათვის არავის შეუთავაზებია ახალი სამუშაო ადგილები. კუცკოსთვის დამატებით პრობლემას ქმნიდა დაახლოებით 70 პროცენტით ტურიზმის შემცირებაც. გარკვეული აზრით, არაფორმალური სექტორი ფორმალური სექტორისთვის დამცავი სარქველის ფუნქციებს ასრულებდა იმ კუთხით, რომ იგი ხელს უწყობდა დასაქმებას და ფორმალურ სექტორს იაფი ტრანსპორტირებისა და არაძვირადღირებული მანუფაქტურების გზით ეხმარებოდა. თუმცა, ფუხიმორის მიერ განხორციელებულმა შოკურმა ცვლილებებმა იმდენად გაზარდა უმუშევრობის დონე ფორმალურ სექტორში, რომ ბევრი ადამიანი იძულებული გახდა სამუშაო არაფორმალურ სექტორში მოეძებნა. ამავე დროს, ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულმა ბრძოლებმა და ადამიანის უფლებების ძალიან უხეშმა დარღვევებმა, რაც თან ახლდა ამ ყოველივეს, ადამიანები იძულებული გახადა ქალაქებში წასულიყვნენ და სამუშაო მოეძებნათ. 1994 წელს, თავად პერუს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობისა და არასრული სამუშაო დღის მქონე ადამიანების მაჩვენებელმა 83 პროცენტს მიაღწია!

უმნიშვნელოვანესი შედეგთაგანი იყო ბაზარში მოვაჭრე ქალებს შორის დაძაბულობის ზრდა. ეს გამოიწვია მათ პროდუქციაზე მოთხოვნის კლებამ, რაც, თავის მხრივ, მოვაჭრეების ახალი, დიდი ნაკადის, განსაკუთრებით კი *ambulantes* გაჩენას მოჰყვა. ნებისმიერი სახის კლასობრივი სოლიდარობა, რაც, სავარაუდოდ, არსებობდა ბაზარში მოვაჭრე ქალებს შორის, მზარდი შეჯიბრის პირობებში მოისპო. ეკონომიკური წრის შემცირებასთან ერთად, ქსელებიც უფრო მჭიდრო და განსაკუთრებული გახდა. ჩვეულებრივ, ფიქსირებული სავაჭრო ფარდულების მფლობელებს შორის არსებული ცრურწმენები *ambulantes* მიმართ, კიდევ უფრო გამწვავდა. პოლიტიკური მოქმედება სულ უფრო რთული ხდებოდა, რადგან გადარჩენისთვის ბრძოლამ საზოგადოების ფრაგმენტაცია გამოიწვია და ორგანიზების მცდელობებიც ჩაიშალა. წინააღმდეგობის დიდი წილი უფრო "ყოველდღიურ" მრავალფეროვნებას წარმოადგენდა (როგორც ამას ჯეიმზ სკოტი აღწერს თავის ნაშრომში "სუსტების იარაღი" *(Weapons of the Weak)* 1985). მაგალითად, წონაში მოტყუება თუ

პოლიციისა და საგადასახადო აგენტების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარება.

ორგანიზებული პროტესტის ყველაზე დიდი პოტენციალი პროფესიულ კავშირებს გააჩნდათ. უფრო მყარ პოზიციაზე მდგომ მოვაჭრეებს პოლიტიკური ორგანიზების მეტი თავისუფლება ჰქონდათ. თითქმის ყველა მათგანი მიეკუთვნებოდა გაერთიანებული ბაზრის სინდიკატს. უფრო მცირე რაოდენობის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნდათ ფიქსირებული ფარდულები, მიეკუთვნებოდნენ *ambulante* გამყიდველთა სინდიკატს. თუმცა, ორივე ორგანიზაციის არჩეული წარმომადგენლები იყვნენ მამაკაცები, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებდათ ქალთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა წყლის ზიდვა, ბავშვების ყოველდღიური მოვლა ან ოჯახში, სამზარეულოში ტრიალი. ქალები მხოლოდ ქუჩის დემონსტრაციების დროს რაოდენობის შემმატებელ ძალად განიხილებოდნენ.

შედეგად, ზოგჯერ ქალები თვითორგანიზებას ახდენდნენ. ამგვარი სოციალური მოძრაობები – არაფორმალური პროტესტის ჯგუფები – არა მხოლოდ იმის საშუალებას აძლევდა ქალებს, რომ ყურადღება მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გაემახვილებინათ, არამედ ასევე მათ ლიდერობის პოზიციების მორგების საშუალებაც ეძლეოდათ, რაც ფორმალური პროფკავშირების ფარგლებს მიღმა იყო. სელიგმანის ანალიზის მიხედვით, მსგავსი მოძრაობები წარმოიქმნებოდა კონკრეტულ “არათანმიმდევრულ ადგილებში”, ანუ აზრის, ღირებულებების, დაშვებების და თვითიდენტურობის მკვეთრად შეზღუდულ სფეროებში. ამ ადგილებში, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო კონკრეტული სამეზობლო ან ბაზარი, ქალებს საშუალება ჰქონდათ მოეძებნათ საერთო ინტერესების ის სფერო, რაც მათ გააერთიანებდათ. შესაძლოა, ეს მამაკაცების მიერ დომინირებად სფეროსგან საკმაოდ განსხვავებული და მისდამი დაპირისპირებულიც კი ყოფილიყო. თუმცა, როგორც წესი, ეფექტური მობილიზაცია უფრო მეტ ჩართულობას საჭიროებს. რეალურად, ქუჩის დემონსტრაციებად სოციალური მოძრაობის გარდაქმნა ვიწრო ინტერესების ნაცვლად ფართო ხედვას მოითხოვს. ბაზარში ყოველდღიური მუშაობა მრვალფეროვანი ფრაგმენტირებული ინტერესების ჭრილში მსგავსებების აღმოჩენის საშუალებას იძლეოდა. როდესაც მოძრაობები ორიენტირებული იყო ისეთი სპეციფიური ინტერესების გარშემო, რომელიც კლასობრივი, კულტურული და თვით პროფესიული დაყოფების მიღმა იყო, უკვე შესაძლებელი ხდებოდა ფართომასშტაბიანი მობილიზება. მაგალითად, როდესაც ფუხიმორმა გამოაცხადა, რომ აპირებდა ყველა არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანის 18 პროცენტიანი გადასახადებით დაბეგვრას, ქუჩის დემონსტრაციების შედეგად ეს განზრახვა ვერ განხორციელდა.

ამ დემონსტრაციებმა გააერთიანა ისეთი მსხვილი და წვრილი აქტორები, როგორებიცაა *ambulantes* და *establicidas*, ქალები და მამაკაცები.

სელიგმანი ქუჩის დონეზე იკვლევდა იმ უთანასწორობებს, რაც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წახალისებულ ნეოლიბერალური, მკაცრად გაკრიტიკებული ეკონომიკის სახით გლობალურ ძალებს ახლავს თან. იგი, ასევე, წარმოაჩენს მშვიდობიანი გზით ცვლილებების განხორციელების ლიმიტირებულ შესაძლებლობებს. და ბოლოს, ერთის მხრივ ბაზარში მოვაჭრე ქალების ხანმოკლე პოლიტიკური მოძრაობის თავისუფალმა სტრუქტურამ და უწყვეტი მოქმედების ნაკლებობამ, ხოლო მეორეს მხრივ კი არაფორმალური ეკონომიკის უფრო ფართო კოლექტიურ ინტერესებში მარგინალიზაციამ ქალის როლი შეამცირა და მას მნიშვნელოვან გრძელვადიან პოლიტიკურ ცვლილებებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება წაართვა.

ფემინისტური კავშირი

ფემინისტურმა ანთროპოლოგიამ არათუ შეინარჩუნა კავშირი უფრო ფართო პოლიტიკურ ანთროპოლოგიასთან, არამედ მასზე ზეგავლენის მოხდენაც შესძლო. მან თავადაც განიცადა იმ თეორიების და თემების გავლენა, რაც ქალების სპეციფიკურ დისკურსსა და ინტერესებს სცილდება. ფემინიზმმა გადამწყვეტი როლი ითამაშა პოსტმოდერნული თეორიის განვითარებაში, განსაკუთრებით კი უნივერსალისტური და ესენციონალისტური, არსობრივი თეორიების უარყოფაში, რომლებსაც ქალი შეუმჩნეველ და მარგინალურ პოზიციებამდე დაჰყავდათ. ფემინისტურმა კვლევებმა, ამასთანავე, სულ უფრო მეტად ინტერდისციპლინური სახე მიიღო, გასცდა რა ანთროპოლოგიის საზღვრებს და გადავიდა კულტურის კვლევების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კვლევის სფეროებშიც. გლობალიზაციამ, რომელმაც ორივე სქესზე რადიკალურად განსხვავებული ზეგავლენა იქონია, ასევე ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ფემინისტური ანალიზისთვის.

რეკომენდებული ლიტერატურა

Dalberg, Frances, ed. Women the Gatherer (New Haven.: Yale University Press, 1981). ძალიან საინტერესო საკითხავი მასალის კრებული, სადაც ყურადღება ფოკუსირებულია ნადირობა-შემგროვებლობაზე დაფუძნებულ საზოგადოებებში ქალის როლზე. პირველი ორი სტატია უარყოფს ადამიანთა ევოლუციის "მამაკაცი -

მონადირის" ვერსიას და ყურადღებას ამახვილებს ქალის ეთნოგრაფიულ შესწავლაზე აგთას, ავსტრალიელ აბორიგენებს, მბუტის პიგმეებს და ჩიპვეიენებს შორის.

Di Leonardo, Michaela, ed. Gender at the Crossroads of Knowledge: Feminist Anthropology in the Postmodern Era (Berkeley: University of California Press, 1991).მოცემულ ნაშრომში ერთადაა თავმოყრილი მრავალი წამყვანი ანთროპოლოგი ქალის ნაშრომი. ეს ნაშრომები ფემინისტური კვლევების უმთავრეს გარდამტეხ მომენტშია შექმნილი, როდესაც პოსტმოდერნიზმი და პოსტკოლონიური კვლევები თანდათანობით მნიშვნელოვან გავლენას იძენს. ზოგიერთი მცირე გამონაკლისის გარდა, მოცემული 12 სტატიის ძირითადი ნაწილი უფრო მეტად ანალიტიკური მიმოხილვის სახისაა, ვიდრე ეთნოგრაფიული ტიპის კვლევები.

Gailey, Christine Ward, Kinship to Kingship: Gender Hierarchy and State Formation in the Tongan Islands (Austin: of Texas Press, 1987) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დეტალური ეთნოგრაფიული ანალიზი, რომელიც ცდილობს მოახდინოს სახელმწიფოს ფორმირების პროცესში წარმოქმნილი ქალთა დამორჩილების დათარიღება. გეილი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა 300-წლიან პერიოდში გენდერული სტრატიფიკაცია და კლასობრივი სტარტიფიკაცია ერთობლივად, თუმცა, სხვადასხვა შიდა დინამიკიდან გამომდინარე.

Leacock, Eleanor Burke. Myths of Male Dominance (New York: Monthly Review Press, 1981). დაახლოებით 30 წლის მანძილზე შექმნილი ესეების კოლექცია კარგად წარმოაჩენს ანთროპოლოგიაში მოღვაწე ერთ - ერთ ყველაზე ფემინისტ მეცნიერს. მამაკაცთა დომინირების ევოლუციის ლიკოკისეული თეორია მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

Mascia - Less, Frances E., and Nancy Johnson Black. Gender and Anthropology (Prospect Heights, III.: Waveland, 2000) გენდერის შესახებ არსებული ანთროპოლოგიური კვლევების ისტორიის, თეორიის და მიდგომების თანმიმდევრული და კარგად საკითხავი მიმოხილვა.

Moore, Henrietta, Feminism and Anthropology (Minneapolis: University of Minnesota, 1988). 1980-იანი წლების ფემინისტური ანთროპოლოგიის მიმოხილვა და კრიტიკა. პოლიტიკური ანთროპოლოგიისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი თავები "გენდერი და სტატუსი" და "ქალი და სახელმწიფო".

Whyte, Martin King. The Status of Women in Preindustrial Societies (Princeton, N.j.: Princeton University Press, 1978). თანამედროვე პერიოდში გარკვეულწილად მოდიდან გადასული კროსკულტურული ტიპის კვლევები. თუმცა, უაიტის მიერ 93 კულტურის შესწავლიდან მიღებულ დასკვნებს, ალბათ, დაეთანხმებიან თანამედროვე ფემინისტები და პოსტმოდერნისტები: "მამაკაცთა დომინირება" და "სტატუსი" მეტისმეტად ცვალებადი ცნებებია და არ შეიძლება მისი მხოლოდ დასავლური მაგალითებით შემოფარგვლა.

თავი 9

იდენტობის პოლიტიკა:

ეთნიკურობა და ნაციონალიზმი

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

მეოცე საუკუნის რუსეთში მაცხოვრებელი სომეხი ქალი ტრადიციულ ტანისამოსში. თანამედროვე სომხები იყენებენ ინტერნეტს დიასპორას შორის ნაციონალიზმის გრძნობის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

როგორც აბნერ კოენი თავის კლასიკურ ნაშრომში "ჩვეულება და პოლიტიკა ურბანულ აფრიკაში" *(Custom and Politics in Urban Africa, 1969)* აღწერს, ნიგერიელი ჰაუსები სახელგანთქმული მოვაჭრეები იყვნენ, რომლებმაც ფართოდ გაითქვეს სახელი, როგორც ბიზნესმენებმა, ექსპლოატატორებმა, წესრიგის დამრღვევებმა და გენიოსებმა საკუთარ პროფესიაში. ამ შეხედულებებს შორის, სულ მცირე, უკანასკნელი მაინც ნამდვილად შეესაბამებოდა სიმართლეს. თუმცა, ეს გენიოსობა არა იმდენად ინდივიდუალური, განსაკუთებული ნიჭიერებიდან გამომდინარეობდა, რამდენადაც მათი სავაჭრო ქსელებიდან. ჰაუსები არც მეცხვარეები იყვნენ და არც ფერმერები. ამიტომ, ისინი ცდილობდნენ იმის კომპენსირება მოეხდინათ, რაც აკლდათ და ამას მსხვილფეხა რქოსან საქონელსა და თხილზე კონტროლის ხელში აღებით ანხორციელებდნენ. სამხრეთში, ტყის ზონაში მაცხოვრებელ მოსახლეობას არ შეეძლო საკუთარი ხორცი ჰქონოდა, რადგან ბუზი ცეცეს ნაკბენი ორ კვირაში ანადგურებდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. ჩრდილოეთში, სავანაში მცხოვრები ხალხი ძალიან აფასებდა კოლას თხილს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ მისი მოყვანა. ამ ორ ეკოლოგიურ ზონას შორის ვაჭრობა მოხერხებული საქმე იყო: საქონელი ტყეში ძალიან მალე კვდებოდა, ხოლო კოლას თხილი კი მალფუჭებადი პროდუქტი იყო. ადამიანს არ შეეძლო ერთ ადგილას მოყვანილი ეს საქონელი გადაეცვალა მეორე ადგილას მოყვანილ საქონელზე და შემდეგ დალოდებოდა, როდის მიიღებდა ამაში საუკეთესო ანაზღაურებას. უცილებელი იყო საკვებისა და მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის საქონლის გადატანამდე მოპოვება. შეუძლებელი იყო ადამიანი დამოკიდებული ყოფილიყო იმაზე, თუ როდის ექნებოდათ ფული ხელზე მოვაჭრეებს და მომხმარებლებს. ჰაუსას სავაჭრო ქსელი ამ ორივე

ტექნიკური პრობლემის მოგვარებს ახერხებდა. ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ სწრაფად ვრცელდებოდა მათ მიერ შექმნილი სისტემის გზით. ჰაუსამ, ფაქტობრივად, მოცემულ ბიზნესში კრედიტებისა და ნისიად გაცემის საკითხებში მონოპოლია დაამყარა. ამგვარ ვაჭრობაში არაფერი იყო "პრიმიტიული" ან უმნიშვნელო: ბრუნვაში იყო მილიონობით დოლარის საქონელი და ჰაუსას უდიდესი ნაწილის სიმდიდრეც და შემოსავალიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამოკიდებული იყო კოლას თხილითა და საქონლით ორმაგ ვაჭრობაზე.

კოენის კვლევა ფოკუსირებულია ქალაქ იბადანში მდებარე საბოს ჰაუსას კვარტლის "რეტრაიბალიზაციის" საკითხის ირგვლივ. სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულით ადრე, საბო წარმოადგენდა ჰაუსას სექტორს უფრო ფართო იორუბას დასახლებაში. თუმცა, იბადანის მთავარ ქალაქად გადაქცევასთან ერთად, ჰაუსას გავლენა შემცირდა. დამოუკიდებლობა მოპოვებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ახლად გათავისუფლებული ერის ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შემოიღო პარტიული პოლიტიკა და ბრალი დასდო ტრაიბალიზმს ქვეყნის გაერთიანებისთვის ხელის შეშლაში. ეს ზეწოლა გამიზნული იყო როგორც ტრადიციული ჰაუსას ბელადების ეფექტურობის შემცირების, ასევე შერეული ქორწინებების და ჰაუსას რეტრაიბალიზაციის გზების წინააღმდეგ მიმართული ახალგაზრდების ჯანყის შესუსტებისკენ. ჰაუსა ნაკლებად აცნობიერებდა საკუთარ ტრაიბალურ მემკვიდრეობას, მაგრამ მათ მშვენივრად გააცნობიერეს ის, რომ მათი სავაჭრო ქსელი და, შესაბამისად, მათი საარსებო წყაროც დამოკიდებული იყო მათივე ეთნიკურ შეკავშირებულობაზე.

ამ ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების საპასუხოდ ჰაუსამ საკუთარ ტრაიბალურ კუთვნილებაზე დაიწყო ხაზგასმა. მოცემულ პროცესში უმთავრეს როლს თამაშობდა მუსლიმური რელიგიური საძმოს, ტიჯანიიას შექმნა. ჰაუსას უმრავლესობას, იორუბას მსგავსად, მანამდე ნაკლებად ჰქონდა საკუთარი რელიგიურობის განცდა. ტიჯანიია ქადაგებდა რელიგიის უკიდურესად პურიტანულ ფორმას, რაც ინტენსიური სათემო რიტუალების დანერგვას გულისხმობდა. ამ რიტუალებით ხდებოდა მათი აშკარა გამიჯვნა მორალურად უფრო დაბლა მდგომი არაჰაუსებისგან. ამასთან ერთად, ტიჯანიიამ შემოიღო რელიგიური იერარქია, რამაც ხელი შეუწყო ძლიერი რიტუალური ტიპის ლიდერების წარმოქმნას. ამ ლიდერების გაჩენით ხდებოდა იმ ძალაუფლების ვაკუუმის შევსება, რომელიც ტრადიციული ბელადების ძალაუფლების შესუსტების შედეგად გაჩნდა. რეტრაიბალიზაციის მეშვეობით ჰაუსას ეთნიკური ჯგუფი პოლიტიზირდა და ვაჭრობაზე მონოპოლიის შენარჩუნებისთვის წარმოებულ ბრძოლაში იარაღად იქნა გამოყენებული.

ამგვარად, მოდერნიზაციის ძალებმა ჰაუსა მიიყვანეს გამოკვეთილად ბევრად უფრო რადიკალურ დონემდე, ვიდრე ოდესმე წარსულში.

აბნერ კოენის ანალიზი ინსტრუმენტალიზმის კლასიკად იქცა. ღირებულება-სარგებლიანობის თეორიის მიხედვით, ეთნიკური იდენტობისთვის პირველადი ბიძგის მიმცემი პრივილეგირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშების შექმნა და მფარველობაა. იმ დროისთვის, როდესაც ეს წიგნი დაიწერა, ფართოდ გავრცელებული იყო ხედვა იმის თაობაზე, რომ მოდერნიზაციის პროცესს თან სდევს კულტურული ჰომოგენიზაცია. კოენმა ერთ- ერთმა პირველმა მოგვცა იმის ყოველმხრივი დადასტურება, რაც დღეისათვის უკვე ტრუიზმადაა ქცეული. კერძოდ კი, მის მიერ განვითარებული მოსაზრების მიხედვით მოდერნიზაცია, როგორც წესი, ხელს უშლის ასიმილაციას. "რეტრაიბალიზაცია", რაც თანამედროვე პერიოდში ეთნოგენეზის ან ეთნიკური იდენტობის ტერმინებით მოიხსენიება, სრულიად ჩვეულებრივი პროცესია.

იდენტობა და ძალაუფლება

მიუხედავად იმისა, რომ იდენტობის პოლიტიკას ნამდვილად დიდი ისტორია აქვს, მისი მნიშვნელობა განუზომლად მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გაიზარდა. ამის მიზეზი ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის, როგორც გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ მიმართული ფორმების წარმოშობაში უნდა ვეძიოთ. ამასთანავე, ნაციონალიზმი და ეთნიკურობა მასში ჩართული ძალების მიერ უპირატესობის მოპოვების საშუალებადაც იქცა. ერთის მხრივ, იდენტობის კუთხით წარმოშობილი საძმოები შექმნილია უთანასწორო გლობალური ჰეგემონიის პირობებში მარგინალიზაციის საფრთხის საწინააღმდეგოდ და საკუთარი თავის დასაცავად; მეორეს მხრივ კი, მოგზაურობის სიიაფე და ახალი მედია ტექნოლოგიები ერთმანეთისგან დაშორებული ადამიანების გასაერთიანებლად და იმგვარი უნივერსალიზირებული ღირებულებების გასავრცელებლად იქნა გამოყენებული, როგორიცაა ადამიანის უფლებები და მკვიდრი მოსახლეობის სუვერენიტეტი. მოცემული იდენტობები სხვადასხვა ფორმით ვლინდება:

- სატელევიზიო შეხვედრებში ტრადიციული მოკაზმულობით მონაწილეობითა და ამავდროულად, თანამედროვე პან-ამაზონური ორგანიზაციის (რომელიც ხაზს უსვამდა ინდიელთა ფართომასშტაბიან ერთობას) ფორმირებით ამაზონელი ინდიელები განამტკიცებენ ვიწრო ტრაიბალური იდენტობის შესახებ ბრაზილიაში არსებულ

სტერეოტიპებს. პოლიტიკურად გამოცდილი ინდიელი ლიდერები რეგულარულად ესწრებიან საერთაშორისო კონფერენციებს ევროპაში და მუდმივად იღებენ ან იწერენ შეხვედრებს სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებთან, ასე რომ, ნებისმიერი დაპირება დოკუმენტურ დონეზეა შენახული (Ramos 1968).

- ტიბეტს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, არ ჰქონდა არანაირი უნიფიცირებული ეთნიკური ან ეროვნული იდენტობა. 1959 წელს, ჩინეთის კომუნისტური მთავრობის მიერ სისხლიანი ოკუპაციიდან 10 წლის შემდეგ, 80 000 ტიბეტელი გადასახლებაში გაჰყვა დალაი ლამას. დღეისათვის, 120 000-მდე ტიბეტელმა, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით არსებულ უამრავ დიასპორულ თემში არიან გაერთიანებულნი, გადასახლებაში შექმნეს მცირე, მაგრამ ერთიანი დემოკრატიული ერი. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მათ საპატიო როლი აკისრიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა გლობალურ ინსტიტუტებში (Mount-castle 1997).
- აფრიკული მიგრაციის ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით ამერიკის კონტინენტზე, შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში მონების იძულებით გადაყვანის შედეგად მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი მათი მემკვიდრე ცხოვრობს, რომლებიც ნაკლებად აცნობიერებენ საკუთარ აფრიკულ ფესვებს. უკანასკნელ ათწლეულებში სულ უფრო და უფრო მზარდი ტემპით მიმდინარეობს ინტელექტუალური და პოპულარული აფრიკული ცნობიერების წარმოშობა. ამის პარალელურად, გაჩნდა შავი ატლანტიკის (რაშიც იგულისხმება დამორჩილების, ტანჯვის, წინააღმდეგობის და კულტურული ინოვაციის საერთო ისტორიით გაერთიანებული მრავალრიცხოვანი კულტურები) ცნებაც (Gilroy, 1993).
- როდესაც ინდონეზიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, იგი უამრავი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტრაიბალური ჯგუფისგან შესდგებოდა. თუმცა, ისლამურმა რელიგიამ, მალაის, როგორც ლინგუა ფრანკა-ს არსებობამ და ჰოლანდიური კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ისტორიამ, შესძლო გაეერთიანებინა ხალხი ზედაპირულ და მეტწილად სიტუაციური ტიპის ინდონეზიურ ნაციონალიზმში (Watson, 1996).

მსგავსი მრავალფეროვნება გარკვეულ სირთულეს წარმოქმნის უნივერსალური ტიპის ზოგადი ტერმინოლოგიისა და თეორიების შემუშავებაში, რომელთა ფართოდ გამოყენებაც, სხვა თუ არაფერი, პოლიტიკური იდენტობის ჯგუფების მიმართ მაინც იქნებოდა შესაძლებელი.

1960-იანი წლების განმავლობაში იდენტობა არ წარმოადგენდა პოლიტიკური ანთროპოლოგების ინტერესის მთავარ სფეროს. დროის შესაბამისი თეორიული ხედვებიდან

გამომდინარე, პოლიტიკას ადგილი ჰქონდა სტაბილური რაზმების, ტომების, საბელადოების და სახელმწიფოების ფარგლებში. ინდივიდები საკუთარ იდენტობას მსგავსი ტიპის ჯგუფების წევრობით განამტკიცებდნენ: ზოგი იყო ნუერი, ზოგი ქეჩუა, დობუ ან ნორვეგიელი. ყოველ ჯგუფს კონკრეტული სოციალური ორგანიზება და ღირებულებები ჰქონდა, მათ შორის პოლიტიკური ლეგიტიმურობის გაგებაც, რომელიც თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. ამგვარად, იდენტობა დიდწილად "კულტურის" სინონიმი იყო. თუმცა, დღეს თავად კულტურის კონცეფციას – რომელიც მუდმივად მრავალრიცხოვანი და ურთიერთსაპირისპირო დეფინიციების საგანს წარმოდგენდა – სულ უფრო ნაკლებად ძალუძს ასახოს შემოსაზღვრული, პოლიტიკურად გაერთიანებელი ჯგუფი. ანთროპოლოგიაში გავრცელებული კრიტიკული თეორიის მიხედვით, კულტურა კოლექტივის მახასიათებელ ნებისმიერ სხვა რამესთან შედარებით, ყველაზე მეტად მიეწერება ანთროპოლოგიური წარმოსახვის ევრისტიკას. კულტურის, როგორც ობიექტურად არსებული და გაზომვადი ცნების მატერიალიზაცია, გზას უხსნის კულტურის შესახებ კიდევ უფრო არამდგრადი კონცეფციების წარმოშობას; როგორც მაგალითად, გაზიარებული ხედვა იმის თაობაზე, რომ იგი ნაწილობრივ, ხიდს სდებს გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილ ფრაგმენტაციასა და ჰეტეროგენობას შორის. ამიერიდან ვერც კულტურა და ვერც იდენტობა ვეღარ იქნება მიჩნეული თანმიმდევრულ რამედ. უფრო უპრიანია მათი, როგორც დანაწევრებული, სიტუაციური და დეტერმინირებული მოვლენების სახით განხილვა (Appadurai 1991). კულტურა – პოლიტიკურიც და სხვაგვარიც, როგორც ანთროპოლოგიური შესწავლის უმთავრესი სფერო, ჩანაცვლდა ორი ურთიერთგადამფარავი, მაგრამ განსხვავებული ცნებით: ეთნიკურობით და ნაციონალიზმით. იდენტობის კიდევ ერთი სულ უფრო მეტად გაზიარებული ანთროპოლოგიური კონცეფცია ჩატეულია ერთ ტერმინში - "ჰიბრიდული".

იმ აზრით, რომ არცერთი საზოგადოება არ ყოფილა სრულად უძრავი ან ისტორიულად იზოლირებული, ყველა კულტურა და იდენტობა ჰიბრიდულია. ესაა უთანასწორო საზოგადოებებს შორის არსებულ მრავალრიცხოვან დაპირისპირებათა შედეგად წარმოქმნილი ნაზავი, რომელიც კომპლექსურ კავშირშია კონკრეტული ეკოსისტემების მოთხოვნებსა და შეზღუდვებთან. ფაქტია, რომ მცენარეების ბიოლოგიური ჰიბრიდულობა, რომელსაც გენეტიკოსები ღებულობენ, საუკეთესო შემთხვევაში ადამიანთა იდენტობასთან მიმართებით არასრულყოფილი მეტაფორაა. ბიოლოგიურ სფეროში ჰიბრიდულობა, ჩვეულებრივ, გულისხმობს მხოლოდ ორ მშობელს, ხშირად სტერილური ნაშიერით, მაშინ როცა, ადამიანთა შორის ვარიაციები ბევრად უფრო რთულია. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდულობა დღევანდელობის ტერმინია და ზოგადად მიღებული მნიშვნელობა გააჩნია,

რომელიც ასახავს იდენტობის დღევანდელ ცვალებად, მრავალწახნაგოვან და კონსტრუირებულ ბუნებას. წიგნი, რომელმაც ტერმინის პოპულარიზაცია მოახდინა, ნესტორ გარსია კანცლინის "კულტურული ჰიბრიდულობაა" (Cultural Hybridity, 1995). ავტორი ყურადღებას ამახვილებს კულტურული ჰიბრიდულობის მხოლოდ ორ ასპექტზე: ტრადიციონალიზმსა და მოდერნიზმზე. იმის გამო, რომ ეს დიქოტომია ასოცირდება დიდი ხნის მანძილზე უარყოფილ მოდერნიზაციის თეორიასთან (იხილე თავი 11), იგი შეიძლება ძველის აღორძინებად ჩავთვალოთ. თუმცა, გარსია კანცლინი მას მექსიკის მაგალითის ანალიზისას იყენებს, სადაც ერთმანეთს შეეჯახა თანამედროვე და ტრადიციული ასპექტები და ერთმანეთში აირია სრულიად მოულოდნელი ფორმით, დაწყებული პოლიტიკიდან, დამთავრებული ხელოვნებით. წარსულში ტრადიციულის შესწავლა ანთროპოლოგების საქმე იყო, მაშინ როცა სოციოლოგები თანამედროვეობას სწავლობდნენ. ჰიბრიდულობა მოითხოვდა მსგავსი დისციპლინური განსხვავებების გვერდზე გადადებას. ერთი მოსაზრებით, კულტურული ტრადიციონალიზმი ასახავდა ოჯახის, სანათესაოს და თემის ფარგლებში არსებულ შედარებით მყარ სტრუქტურებს. მაგალითად, რელიგიური ტვირთის სისტემები აღმოჩენილია მთელი ცენტრალური ამერიკის მასშტაბით, მაშინ როცა მოდერნულობა ასახავს ინდივიდუალიზმსა და სოციალურ ფრაგმენტაციას. ჯონათან ფრიდმენი (1994: 91-92) ასევე განიხილავს მოდერნიზმს, "როგორც სელფის აკუმულირების ხანგრძლივ პროცესს, სიმდიდრის, ცოდნის და გამოცდილების კუთხით." აღარ არსებობს რაიმე სახის აშკარა სწორხაზოვანი ტრაექტორია, რომელიც ტრადიციონალიზმიდან პირდაპირ მოდერნიზმამდე იქნებოდა მიმართული. მოძრაობა შეიძლება ორივე გზით წარიმართოს. ნეოტრადიციონალიზმი შესაძლოა იქცეს იმ ატომიზირებისა და ანომიის საწინააღმდეგოდ მიმართულ რეაქციად, რაც მოდერნიზმს ახლავს თან.

ჰიბრიდულობა, ჩვეულებრივ, გამოიყენება სხვადასხვა კულტურული მახასიათებლის სინკრეტიზმისა და დანაწევრების უფრო ფართო აზრით. ხშირად, ხაზგასმა შეიძლება გაკეთდეს უფრო მეტად ენაზე - როგორც ეს იყო კრეოლების შემთხვევაში, ან პირობით ძალაუფლებაზე - მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში დომინანტური ანგლო საზოგადოების ფარგლებში მცხოვრები ჩიკანოების მაგალითი - ვიდრე ტრადიცია/მოდერნს შორის არსებულ დაძაბულობაზე. ხშირ შემთხვევაში, ჰიბრიდულობა არაა მხოლოდ კულტურული გათქვეფის ან ასიმილაციის შედეგი, არამედ ზოგჯერ მისკენ ძალიან აქტიურადაც კი მიისწრაფიან, როგორც ეს, მაგალითად, აფრიკული წარმოშობის ამერიკელების შემთხვევაში ხდება, როდესაც ისინი ღებულობენ ჩრდილო

აფრიკულ მოდელებზე დაფუძნებულ ისლამურ იდენტობას. მსგავსი ჰიბრიდული შერწყმის ვარიანტები ფაქტობრივად უსასრულოდ ბევრია.

მიუხედავად ეთნიკური და ნაციონალისტური ჯგუფების ისტორიულად ჰიბრიდული ბუნებისა, თვითიდენტობის ლეგიტიმაცია, ყოველთვის თუ არა, ხშირად მაინც, პრიმორდიალიზმის გარკვეული ფორმით ხდება. ეს არის იდეა იმის თაობაზე, რომ იდენტობა ემყარება რასას, თვითმყოფად კულტურას ან რელიგიას, რომელთა ფესვებიც ღრმად ძევს ისტორიაში (ან წინარე ისტორიულ ხანაშიც კი). იდენტობა, ამგვარად, წარმოჩინდება აფექტური კუთხით და იგი შეკავშირებულია სისხლით, მოწამეობით, სამშობლოთი და ენით. ადამიანს დაბადებისას აქვს იდენტობა, თუმცა, ეს იდენტობა შეიძლება დავიწყებულ ან ჩაკლულ იქნეს და საჭირო ხდება ახალი თაობების მიერ მისი ხელახლა აღმოჩენა და გამყარება. ამის ურთიერთსაპირისპირო მაგალითებია ნაცისტების პრეტენზია არიულ მემკვიდრეობაზე და ლეოპოლდ სენგორის ნეგრიტუდული (negritude) იდეოლოგია. ყოფილ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო მხარს უჭერდა პრიმორდიალისტური ტიპის “ეთნოსის თეორიის” გავრცელებას, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა მთავრობა ცდილობდა ჩახლართული მარქსისტული ევოლუციონიზმის გზით ერთიან ერ-სახელმწიფოში გაეერთიანებინა უამრავი არარუსი ადამიანი (Banks 1996).

თითქმის ყველა ანთროპოლოგი დღეისათვის უარყოფს პრიმორდიალისტურ ხედვას და ჯგუფურ იდენტობას კონსტრუქტივისტული კუთხით განიხილავს. ამ შეხედულების მიხედვით, ეთნიკურობა და ნაციონალიზმი სიტუაციურადაა შექმნილი და მუდმივად ცვალებადია. უამრავ შემთხვევაში ეს მართლაც ასე ხდება. როგორც იმანუილ ვალერშტაინმა (1974) და ერიკ ვოლფმა (1982) აჩვენეს, კოლონიალიზმისა და კაპიტალიზმის გავრცელების შედეგად, მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული ყველა კულტურამ არსებითი ცვლილებები განიცადა. აბორიგენი ტრაიბალური საზოგადოებების და გლეხობის გადარჩენისთვის ბრძოლა (რომელიც კვლავაც გრძელდება) მუდმივ ადაპტაციას საჭიროებდა. ზოგიერთი ამ ადაპტაციათაგანი შეიძლება იძულებითი სახის ყოფილიყო. მაგალითად, კოლონიური დომინირების პირობებში, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს და ფერმერ მეცხვარეებს სხვა გზა არ დარჩათ გარდა იმისა, რომ წარმოების დამოკიდებულ ტიპზე გადასულიყვნენ, რომლის პირობებშიც ისინი იძულებულნი იყვნენ საკუთარი შრომით კოლონისტების ან იმპერიალისტი დამპყრობლებისთვის ეწარმოებინათ საქონელი. იდენტობა შეიძლება კონსტრუირებულ იქნეს ან გაძლიერდეს, როდესაც ჯგუფი კონტროლის შენარჩუნების ან საკუთარი ეკონომიკური ნიშის შექმნის მიზნით ხაზგასმას აკეთებს

ჯგუფის ერთიანობაზე. საგარეო ძალების მიერ ხელოვნურად შექმნილმა ჯგუფებმა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით, შეიძლება, მჩაგვრელთა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციაც დაუშვან და გაითავისონ. მაგალითად, პოსტკოლონიურ პერიოდში შეერთებულ შტატებში მოქმედმა ამერიკელ ინდიელთა მოძრაობამ "მიიღო" პანინდიელთა იდენტობა, რომელსაც არანაირი საფუძველი არ გაჩნდა აბორიგენულ კულტურაში. თუმცა, ასევე ადვილად შესაძლებელია ზედმეტი ხაზგასმა მოხდეს კონსტრუქტივიზმზე. მილტონ ესმანი (1994: 14), საუბრობს რა სპეციფიურად ეთნიკურობაზე, ასკვნის, რომ მსგავსი იდენტობა "იშვიათადაა გამოგონილი ან კონსტრუირებული ერთიანი მასალისგან: კულტურულმა და ემპირიულმა ბირთვმა უნდა განამტკიცოს იდენტობა და პოტენციური ამომრჩევლისთვის სოლიდარობა შესაძლებელი გახადოს."

პოლიტიკური მორგება რეზერვაციის კონტექსტში: მაპუჩე

აბორიგენი ხალხების უმრავლესობისთვის პოსტკოლონიურმა ხანამ ინტეგრაციაზე მეტად მათი მზარდი მარგინალიზაცია მოიტანა შედეგად. ეს განსაკუთრებით მართებულია ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ჩილეს და გარკვეული დოზით ბრაზილიის მაგალითებზე საუბრისას. ეს ის ქვეყნებია, სადაც "ინდიელთა პრობლემები" რეზერვაციის შემოღების გზით მოგვარდა. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც მაგალითად ამერიკის სამხრეთ დასავლეთში მცხოვრებ პუებლოს ტომებში, რეზერვაციამ შექმნა იმის საშუალება, რომ მკვიდრ მოსახლეობას დღევანდელ დღემდე მოეხერხებინა საკუთარი ტრადიციული კულტურის შენარჩუნება. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, კულტურული უწყვეტობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ეს გამოწვეული იყო არსებობის მოდელის მოშლით და იმ მიწებზე განსახლებით, რომლებიც მეტისმეტად მოუსავლიანი იყო იმისთვის, რომ იქ თეთრები დასახლებულიყვნენ, ძალადობრივი ასიმილაციის მკაფიო მცდელობებით (მაგალითად, ბავშვების ხანგრძლივი დროით გაგზავნა რეზერვაციის მიღმა არსებულ სკოლებში) და რეზერვაციის სისტემის სახელმწიფოს მიერ მკაცრად გაკონტროლებით. მარგინალობის პოლიტიკის პარამეტრები შეიძლება მეტისმეტად ვიწრო იყოს და რეზერვაციაში მაცხოვრებელ მოსახლეობას მუდმივად უწევდეს შეგუება დომინანტური ხელისუფლების ახირებებთან. თუმცა, მსგავსი ცვლილება ასევე შესაძლოა ხელოვნურად იქნეს მორგებული ადამიანების საჭიროებებსა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ტრადიციულ ვერსიებზე.

ლ. ს. ფარონის (1967) მიერ შემოთავაზებული ჩილეში მაცხოვრებელი მაპუჩეს ტომების ეთნოისტორიული ანგარიში ტრაიბალურ პოლიტიკას წარმოაჩენს, როგორც ჩილეს ხელისუფლების ცვალებადი პოლიტიკის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებების მუდმივ პროცესს.

ტრადიციულად, მაპუჩეს ტომებს არ ჰყავდათ რაიმე ტიპის ცენტრალური ხელისუფლება. მოქმედი სოციალური ერთობა იყო სანათესაო ჯგუფი, რომელსაც შეზღუდული უფლებებით მართავდა უფროსი თაობა. მათ ლონკოებს (*lonco*) უწოდებდნენ. ევროპელი დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართული 300-წლიანი და მეტი ხნის დაპირისპირების პერიოდში განვითარდა მძლავრი სამხედრო ორგანიზაცია ძლიერი სამხედრო ბელადებით სათავეში. 1800-იანი წლების შუა პერიოდში, შედარებითი მშვიადობიანობის ხანაში, მაპუჩემ იარაღის ძალით კიდევ უფრო მეტი მიწა მიითვისა, როგორც მათი კანონიერი სამფლობელოები. ისარგებლა რა იმით, რომ ჩილეს ხელისუფლება დაკავებული იყო წყნარ ოკეანეში ბოლივიისა და პერუს წინააღმდეგ (1879-1883) ომით, მაპუჩეს ტომმა დაიწყო თავისი ბოლო და მთავარი აჯანყება. ისინი დამარცხდნენ, მათი მიწების დიდი ნაწილი კონფისკირებულ იქნა, ხოლო თავად ისინი კი შეიყვანეს შედარებით მცირე ზომის რეზერვაციებში.

ჩილეს ხელისუფლება ამჯობინებდა თითოეული რეზერვაცია ერთი ბელადის მეშვეობით ემართა. პოლიტიკური ხელისუფლების ამგვარი ცენტრალიზაცია მაპუჩეს ტომისთვის უცხო იყო, მაგრამ მათ ჰქონდათ სამხედრო ძალაუფლების მსგავსი ძალაუფლების მქონე ბელადობის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც შეიძლებოდა ტრანსფორმირებულიყო მშვიდობიანობის პერიოდის თანამდებობად. რა თქმა უნდა, ეს ნიშნავდა რომ ძალაუფლება აღარ ექნებოდათ არც ლონკოსებს და არც უფრო მცირე რანგის სამხედრო ლიდერებს. ცენტრალურმა მთავრობამ გააძლიერა რეზერვაციის ხელისუფლების ცენტრალიზაცია ბელადისთვის იმაზე სამჯერ მეტი მიწების გადაცემით, ვიდრე ეს ნებისმიერ სხვას ჰქონდა მაპუჩეებში; და ეს იმ პირობებში, როდესაც მიწა მწირი იყო და მეტისმეტად ღირებულ მოხმარების საგანს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ბელადს მიენიჭა რეზერვაციის ყველა მიწის კანონიერად გაკონტროლების უფლებაც. მისი მეშვეობით ხელისუფლების მიერ იმდენი შეზღუდვა იქნა გატარებული, რომ საბოლო ჯამში, ბელადის ხელში გადავიდა თემის მთელი სიმდიდრის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით კონტროლის უფლებაც. ნებისმიერს, ვისაც მოუნდებოდა რეზერვაციის ფარგლებში სახლის აშენებაც კი, ბელადისგან უნდა აეღო ნებართვა. ამან ძალიან გაართულა სადაო სიტუაციების ისე მოგვარება, როგორც ეს ძველად ხდებოდა – სხვა ადგილზე გადასვლა-გადასახლება. არ არსებობდა სხვა არჩევანი, გარდა ბელადის მორჩილებისა. ამასთან

ერთად, ბელადებს დაეკისრათ ჩილეს კანონმდებლობასა და ინდიელთა საქმეების ბიუროს შორის შუამავლის როლის შესრულება და, შესაბამისად, მაპუჩებისთვის ჩილეს სახელმწიფოს კანონების თავს მოხვევა. ცენტრალიზებული ძალაუფლების მოცემული კონცეფცია მთლიანად დამოკიდებული იყო რეზერვაციის სისტემასა და ფედერალური მთავრობის ადგილობრივ პოლიტიკაში "შეჭრაზე".

1950-იანი წლებისთვის რეზერვაციის ბელადების პოზიცია, რომელიც მეფის ხელისუფლებას უფრო წააგავდა, სულ უფრო მეტად აღიზიანებდა ნაციონალურ ხელისუფლებას, რომელმაც თავის დროზე თავადვე შექმნა იგი. უკიდურესად ძლიერი ბელადი არა მხოლოდ საკუთარი ხალხის ექსპლოატაციას ეწეოდა, არამედ იცავდა მათ გარე ძალების მიერ ექსპლოატირებისგანაც. ამ ბელადების ძალაუფლების შესუსტების მიზნით, ხელისუფლებამ გონივრული ნაბიჯი გადადგა და მათთვის გვერდის ავლით დაიწყო მაპუჩეებთან, როგორც ჩილეს მოქალაქეებთან ინდივიდუალურ დონეზე საქმეების წარმოება. მსგავსი ნაბიჯების მოსალოდნელი შედეგი ის იყო, რომ ბელადების ძალაუფლება ისევე მალე შესუსტდა, როგორ უცაბედადაც გაიზარდა.

ბელადების ძალაუფლების ნაწილი გადაეცა ლონკოებს (*lonco*), რომელთა ავტორიტეტი ლოკალურ დონეზე მაინც არსებობდა და ტრადიციული სახის იყო. თუმცა, მაპუჩეს ტომის წევრებსა და უფრო ფართო სოციალურ გარემოს შორის მზარდი ურთიერთობის, მათ წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების არსებობის ფონზე მედიაცია ისევე აუცილებელი იყო, როგორც ოდესღაც. მიუხედავად იმისა, რომ ბელადი კვლავ წარმოადგენდა რეზერვაციას, განვითარდა კულტურული შუამავლობის ახალი მექანიზმი: *Corporacion Araucana* რეზერვაციის შენარჩუნებისათვის ბრძოლისა და ინდიელებისთვის სამთავრობო დახმარებების გაზრდის მოთხოვნის მიზნით ჩამოყალიბდა. კაპუჩინელი მისიონერების მიერ შექმნილი უფრო მცირე ოპოზიციური ჯგუფი, *Union Araucana*, მაპუჩეს ტომის წარმომადგენლების ჩილეს საზოგადოებაში სოციალიზაციას ისახავდა მიზნად.

საბოლოო ჯამში, როგორც რეაქციული, ასევე ადაპტაციური გზის მეშვეობით, მაპუჩე მუდმივად ცვლიდა საკუთარ თავს. ეს პროცესი დაიწყო ადგილობრივი ნათესაობითი ჯგუფის უხუცესებისთვის ძალაუფლების გადაცემით, შემდგომში გაგრძელდა საომარი ტიპის ბელადების წარმოშობით და ამ ტიპის ბელადების შესუსტებით, რეზერვაციის ძლიერი ბელადების გაჩენით და, საბოლოოდ, ძალაუფლების პოლიტიკური ჯგუფების ხელში გადასვლით დასრულდა.

ეთნიკურობა

ეთნიკურობა ანთროპოლოგიისთვის შედარებით ახალი ცნებაა. 1950-იან წლებამდე ზოგადი კლასიფიკაციები ძირითადად, ცნობდა რასას, ტომს და გლეხობას. რასამ, ნაცისტების მიერ მისი გენეტიკურ ნონსენსამდე დაყვანის გამო, საოცრად ცუდი სახელი მოიპოვა. ყოველდღიურად გამოყენებად ზოგად ტერმინ "რასასა" და ანთროპოლოგიურ კონცეფციებს შორის უფსკრული იმდენად გაიზარდა, რომ ამ ტერმინებს თითქოს აღარც არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან. ტერმინ "ტომს", რომელიც ახლაც ფართოდ გამოიყენება ჩრდილო ამერიკელ ინდიელებს შორის, პრიმიტივიზმისა და კოლონიური მორჩილების დამამცირებელი ელფერი დაჰკრავს, განსაკუთრებით, როდესაც მას აფრიკასთან მიმართებით იყენებენ (Zenner 1996: 396). ტერმინ "გლეხობის" კუთხითაც არსებობს გარკვეული პრობლემები, იმდენად, რამდენადაც ამ ტერმინით აღნიშნული ადამიანები სულ უფრო ხშირად სხვა მრავალრიცხოვანი სამუშაოთიც არიან დაკავებულნი - დაწყებული ტრანსნაციონალური მიგრანტი მუშახელობიდან, დამთავრებული მაღაზიის მფლობელობით. ამ პროცესში ისინი კარგავენ მიწაზე მიჯაჭვულობას და ხალხურ ფოლკლორს – იმას, რაც ოდესღაც მათი უმთავრესი მახასიათებელი ნიშნები იყო (Kearney 1996). სამწუხარო შედეგი იყო ის, რომ "ეთნიკურობა" წარმოიქმნა, როგორც ოდესღაც დამოუკიდებელი კატეგორიების ერთ ტერმინში გამაერთიანებელი ცნება. ტერმინი "ეთნიკურობა" დღევანდელი დატვირთვით იმდენად ფართოა, რომ ლამის აზრს კარგავს, რადგან არა აქვს მნიშვნელობა როგორ განვმარტავთ ტერმინს - მაინც უამრავი ანომალიური მაგალითის პოვნა იქნება შესაძლებელი. ადრეული განმარტებების მიხედვით, ტერმინი "ეთნიკურობა" ტერმინ "კულტურასთან" არის გათანაბრებული – ამგვარად, ერთმა მეტად პრობლემატურმა ტერმინმა ჩაანაცვლა მეორე, არანაკლებ ბუნდოვანი ტერმინი - მაგრამ მათი მსგავსება საუკეთესო ვარიანტშიც კი უმნიშვნელო იყო. 1969 წელს ფრედერიკ ბარტი ამტკიცებდა, რომ ავღანეთში, პაკისტანსა და ჩრდილო ირლანდიაში მცხოვრებ პატანებს შორის ტრადიციული კულტურა შედარებით ხელშეუხებელი რჩებოდა ინდივიდის ერთი სივრციდან ან ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების შემდეგაც; მაგრამ ეთნიკურობა, ანუ ის, თუ როგორ იყო ჯგუფი სოციალურად ორგანიზებული და თვით-კლასიფიცირებული - რადიკალურად იცვლებოდა. ამასთანავე, ეთნიკურობის გაგება მხოლოდ სხვა ჯგუფებთან მიმართებით არსებობს. იზოლირებულ ხალხს უცილობლად ექნება კულტურა, მაგრამ არ ექნება ეთნიკურობა. ხშირად, როგორც ეს პალესტინელების შემთხვევაშია, ეთნიკურობა

წარმოქმნის უფრო ფართო კულტურის ფარგლებში არსებულ ქვეჯგუფს (ამ შემთხვევაში არაბული).

ტერმინ ეთნიკურობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ იგი არ განასხვავებს ერთმანეთისგან თანამედროვეს და ტრადიციულს, რასაც ბევრი ანთროპოლოგი გადამწყვეტად მიიჩნევს. ტერმინი თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ბრაზილიაში მცხოვრები იანომამოს მიმართ, ასევე არგენტინაში ემიგრირებული ინგლისელების მიმართაც. რეალურად, მოდერნულობის სხვადასხვა დონე ეთნიკურობის ძალიან განსხვავებულ ტიპებს წარმოშობს. ამის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ზედაპირული ტიპის ეთნიკურობა ნებაყოფლობითია. ამის კარგი მაგალითია მესამე და მეოთხე თაობის, კარგ განათლება მიღებული იტალიელები, რომლებიც თავიანთ ეთნიკურ მემკვიდრეობას აღლუმებისა ჩატარებისა და იტალიური კერძების მომზადებით აღნიშნავდნენ (უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტთა პირველი თაობა საკუთარ თავს აღიქვამდა არა იტალიელებად, არამედ სიცილიელებად, კალაბრიელებად ან ნეოპოლიტანელებად) (Pieterse 1996: 31-42). ამგვარად, ეთნიკურობაში, როგორც ჩანს, შეიძლება ან უსასრულო ქვეკატეგორიები ან კიდევ ე.წ მე ვიცი ის, როცა მე ვხედავ მას - ტიპის სპეციფიცირებები არსებობდეს.

სტენლი ტამბიანის (1996: 168) მიერ შემოთავაზებული განსაზღვრებაც, იძლევა რა ალბათობების ფართო სპექტრს, ისეთივე დოზითაა კარგი, როგორც ნებისმიერი სხვა განმარტება: ეთნიკურობა არის "გაუბედავად და ხმამაღლა გამოხატული იდენტობა, რომელიც ერთი ან მეტი ატრიბუტის სუბსტანციონალიზირებასა და ნატურალიზებას ახდენს. როგორც წესი, ეს ატრიბუტებია: კანის ფერი, ენა, რელიგია და ტერიტორია, რომელიც შემდეგ კოლექტივზე „მიებმება", როგორც მისთვის თანდაყოლილი მახასიათებლები და მითიურ-ისტორიული მემკვიდრეობა". გადამწყვეტი კომპონენტებია მემკვიდრეობითობის, წინაპრების და შთამომავლობის იდეები, ტერიტორია ან წარმოშობის ადგილი და, ბოლოს, ნათესაობის საყოველთაოდ გაზიარებული გაგება. ეს განსაზღვრება უშვებს ემიკურ ხედვას – რაც გულისხმობს ჯგუფის შიგნით მყოფი ხალხის შეხედულებას. თუმცა, მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ის, თუ მოცემულ ეთნიკურ ჯგუფს როგორ აღიქვამს მის გარეთ მყოფი ძალები და როგორ აღიქვამენ მას თავად მოცემული ჯგუფის ფარგლებში მყოფი ადამიანები. ეთნიკურობა, ჩვეულებრივ, ეხება იმ განსხვავებებს, რომლებსაც აღიარებენ როგორც ჯგუფის გარეთ მყოფები, ასევე ჯგუფისადმი მიკუთვნებული ადამიანებიც. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, თითქმის არასდროს ემთხვევა ერთმანეთს. ანგლიკანები აფრიკელ ამერიკელებს ან ინდიელებს შეიძლება

განიხილავდნენ, როგორც ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა ეთნიკურობასაც განსაზღვრავს განსხვავებული კანის ფერი ან, უბრალოდ, კულტურული განსხვავებულობა. მაშინ როცა ისინი, ვისაც ამგვარად განსაზღვრავენ, საკუთარ თავს სავარაუდოდ, სრულიად სხვაგვარ იდენტიფიცირებას უკეთებენ. ამგვარად, ეთნიკურობის მიწერა დიდწილად დამოკიდებულია მაყურებლის აღქმებზე და არა იმ ადამიანებზე, ვისაც ასე განსაზღვრავენ. მხოლოდ ჯგუფის წევრების ხედვაც რომ იქნეს მიღებული, მაშინაც კი, ეთნიკურობა უმეტესად აღქმაზე იქნებოდა დამოკიდებული. ეს აღქმა არის ჯგუფისადმი კუთვნილების ინდივიდუალური გაგება, რომელიც შეიძლება, ფაქტობრივად ნულის ტოლი ან მეტისმეტად ინტენსიურიც კი იყოს. ამასთან ერთად, საერთო ისტორიასა თუ ტერიტორიაზე ხაზგასმის მრავალი სახე შეიძლება არსებობდეს. ეთნიკურობა ზოგჯერ ნაწილობრივ გადაფარული ან სიტუაციური სახისაც კია; მაგალითად, მალაიზიაში ჩინელი, შეერთებულ შტატებში "აზიელი" იქნება.

პოლიტიკური ანთროპოლოგებისთვის ეთნიკურობით დაინტერესების რეალური მიზეზი პოლიტიკასა და ძალაუფლებასთან მისი ურთიერთობაა. ედვინ უილსმენი (1996: 3) "ეთნიკური არსებობის დედააზრს" განსაზღვრავს, როგორც "წარმოების საშუალებებზე და პროდუქციის დანაწილებაზე არსებულ განსხვავებულ ხელმისაწვდომობას". მსგავსი განსაზღვრება დიდად არ მიესადაგება მთლიანად ასიმილირებული ამერიკელი იტალიელების ცოტა უცნაურ ეთნიკურობას. ეს განსაზღვრება არც იმ უამრავ შეხედულებასთანაა თანხმობაში, რომელთა მიხედვითაც ეთნიკურობის არსი სიმბოლოებით გამოიხატება (მაგ. Appadurai 1991: Friedman 1994). თუმცა, მსგავსი ხედვა გამოდგება ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ რეალურ ძალაუფრებლივ დიფერენცირებაზე ფოკუსირებისას; ასევე, როდესაც ძალაუფლებაზე პრეტენზიის გამოხატვისას ეთნიკურობის მნიშვნელოვან როლზე ხდება ყურადღების გამახვილება. ეთნიკურობა, ამ ხედვის მიხედვით, არა მხოლოდ სხვა ჯგუფებთან ერთად თანაარსებობს, არამედ იგი, ამასთანავე, ძალაუფლების კუთხითაც შედარებითი ხასიათისაა. კონკრეტული ეთნიკურობის ფორმას და შინაარსს განსაზღვრავს ის, თუ როგორია ძალაუფლების კუთხით მისი პოზიციები მოწინააღმდეგეებსა და დომინანტურ ძალასთან შედარებით. ვილსმენის ხედვით, იმის გამო რომ ეთნიკურობის წარმოქმნა ძალაუფლებრივი დიფერენციაციების მიღმა ხდება, ეთნიკური პოლიტიკა - ეს არის მარგინალობის პოლიტიკა. დომინანტური ჯგუფები არასდროს არიან თავად ეთნიკურები. დომინანტური ჯგუფი, რომელიც არ საჭიროებს უმრავლესობაში ყოფნას, საკუთარ თავს განიხილავს, როგორც უნივერსალურს ან უმთავრეს ჯგუფს და ამგვარად, ეთნიკურობის კატეგორიზაციაზე მაღლა დგას. მაგალითად, ბრიტანეთში არ არსებობს არანაირი ინგლისური

ეთნიკურობა, ან ვთქვათ, რაიმე სახის თეთრი ტომი შეერთებულ შტატებში (თუმცა, ჩნდება კითხვა - “ჩიკანოს გადმოსახედიდან არის თუ არა “ანგლო” ეთნიკურობა? ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს).

თუკი უილმსენის მსგავსად ჩვენც დავუშვებთ, რომ სახელმწიფოს ფარგლებში აღებული ეთნიკურობა, ყოველთვის დომინანტური ჯგუფის დაქვემდებარებაშია, მაშინ ეთნიკურობა ამ განმარტებით მარგინალობა გამოდის. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ეთნიკურობას შეუძლია კულტურული კაპიტალის მნიშვნელოვან ფორმად იქცს. გარკვეულ ჯგუფთან კუთვნილება იძლევა უპირატესობებს, რისი უტილიზირებაც შესაძლებელია პოლიტიკურ ბრძოლაში (Alonso 1994: 382-405). მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიის მაღალმთიან, უმცირესობებით დასახლებულ მხარეში აფრიკული წარმოშობის ამერიკელობა ან ჩიკანობა, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგეს ადგილობრივი არჩევნების პერიოდში.

ერთობა და ფრაგმენტაცია ისრაელში

ეთნიკურობა და ნაციონალიზმი ხშირად ერთმანეთთან თანაარსებობს და შეიძლება გაერთიანდეს ეთნონაციონალიზმის სახით. თუმცა, ეს ორი კონცეფცია შესაძლოა რომ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულიც იყოს, როგორც ეს კარგად ჩანს ისრაელის მაგალითზე. როგორც ჰერბერტ ლუისი აღნიშნავს (1993), ისრაელმა დაიწყო ეთნიკური ჰომოგენიზაციის შედარებით მაღალი ხარისხიდან (სულ მცირე იდეოლოგიურ დონეზე მაინც) და შემდგომში დაიყო ყოვლისმომცველი ნაციონალიზმის პირობებში არსებულ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფად.

სიონისტმა ემიგრანტებმა 1880 წელს დაიწყეს ჩასახლება პალესტინაში და დახლოებით 1950-იან წლებამდე მათი უმრავლესობა მათგანი იყო აშკენაზი - ებრაელები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპიდან. მათ თან ჩაიტანეს რაციონალობის, საერო ხელისუფლების, დემოკრატიის, განათლების და პროგრესის რწმენის დასავლური განმანათლებლობის ღირებულებები. ებრაელ მუშათა პარტია, რომელმაც გზა გაუკვალა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას და 1960-იანებამდე რჩებოდა დომინანტურ პოლიტიკურ ძალად, მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო სხვადასხვა კავშირების, კულტურული ორგანიზაციების, სპორტული ფედერაციების, გასამხედროებული ჯგუფების და უნივერსიტეტების შექმნისათვის. ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებელი მამები, დევიდ ბენ გურიონი, იცხაკ ბენ-შვი და გოლდა მეიერი, საკუთარ თავს განიხილავდნენ არა როგორც წარსულში არსებული რაღაც იდეალური ებრაული ნაციის წარმომადგენლებად, არამედ უფრო მეტად - წარსულის უარმყოფლებად. 1950-იან წლებში მსგავსი პროგრესული იდეები განვითარების

მოდერნიზაციის თეორიის (რომლის მიხედვითაც ტრადიციულ კულტურას თანდათანობით შთანთქავს მომავლისკენ ორიენტირებული ინდუსტრიული სექტორი) მეშვეობით იქნა გამყარებული და არტიკულირებული. ეთნიკურობა არ იყო იმ პერიოდის დისკურსის ნაწილი. არსებობდა მყარი რწმენა იმისა, რომ მოდერნიზაციის გაგრძელების შემთხვევაში ტრაიბალიზმი, ნაციონალიზმი და გლეხების ფოლკლორული კულტურა ინტეგრირდებოდა კულტურულად ჰომოგენურ ერ-სახელმწიფოში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ისრაელის სახელმწიფო ოფიციალურად შეიქმნა 1948 წლის 14 მაისს. 1939 წლისთვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული 15 მილიონი ებრაელიდან უმრავლესობა ევროპაში ცხოვრობდა. თუმცა, ევროპაში მცხოვრებ ებრაელებს სასტიკად გაუსწორდნენ ნაცისტურ ბანაკებში. ბევრი, ვინც სიკვდილს გადაურჩა მოთავსებულ იქნენ ლტოლვილთა ბანაკებში. იმ ადამიანების დიდი ნაწილი კი, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი წასულიყვნენ ისრაელში, იყვნენ არა ევროპიდან, არამედ ჩრდილო აფრიკიდან და აზიიდან – ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ირანი, იემენი, მაროკო და ინდოეთი. დაბრუნების კანონმა, რომელიც 1950 წელს შევიდა ძალაში, ყველა ამ ადამიანს გაუხსნა ისრაელის საზღვრები. ეს იყო "განდევნილთა ერთად თავმოყრა", მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ებრაელებისადმი გაგზავნილი მოწვევა - მიეღოთ მონაწილეობა ახალი ერის მშენებლობაში. ამას საფუძვლად ედო ხედვა, რომლის მიხედვითაც ახალი, გაერთიანებული ხალხი არ უნდა წარმოშობილიყო ომის, გაჭირვებისა და ბრძოლისგან, რის შედეგადაც რეალურად მოხდა კიდეც ისრაელის დაბადება. ამ ახალ ერში შემავალ ხალხებს უკან უნდა მოეტოვებინათ თავიანთი ძველი კულტურები. როგორც პირველმა პრემიერ მინისტრმა, ბენ გურიონმა აღნიშნა, "სახელმწიფოს ფარგლებში სხვადასხვა ტიპის ებრაელებს შორის არსებული განსხვავებულობები დროთა განმავლობაში გაფერმკთალდება, თემები და ტომები ადრე თუ გვიან ერთ ნაციონალურ და კულტურულ იდენტობად გარდაიქმნება" (ბენ გურიონი, როგორც ეს ციტირებულია ლევისთან 1993: 209).

რეალურად კი, ეს ასე არ მოხდა. საუკუნეების მანძილზე ებრაელმა ხალხმა შეითვისა იმ ქვეყნების მოსახლეობის კულტურები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მართალია ისინი თავიანთი მუსლიმი თუ ქრისტიანი მეზობლებისგან განცალკავებულ თემებად მოსახლეობდნენ, მაგრამ მაინც, შეუძლებელია მათ არ მიეღოთ გარშემო მცხოვრები ადამიანების კულტურის ბევრი ელემენტი. ევროპელი და ამერიკელი ებრაელები, რომლებმაც ისრაელის მიზნები დასახეს, სხვადასხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: ქვეყანაში 50 განსხვავებული ენაზე საუბრობდნენ,

იყვნენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ ელექტროენერგიასა თუ წყალსადენების სისტემაზე. ზოგიერთ ნაწილში გავრცელებული იყო პოლიგამია და ბავშვების დაქორწინება. ჩრდილო აფრიკელები და აზიელები, რომლებიც 1980-იანი წლებისთვის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ, გაერთიანებულ იქნენ აღმოსავლეთიდან წამოსული ებრაელების კატეგორიაში, თუმცა, მათ შორისაც დიდი განსხვავება იყო. უფრო სეკულარული ტიპის ებრაული სახელმწიფოს დამფუძნებლების მიერ ევროპელი ორთოდოქსი ებრაელებიც გარკვეული ტიპის პრობლემად განიხილებოდნენ. კულტურული ასიმილაციის მიზნებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ სპეციალურად, სამთავრობო დონეზე დეპარტამენტიც კი შექმნა, თუმცა ასიმილაციის და კულტურული გაერთგვაროვნების საქმეში მისი მოქმედება დიდწილად წარუმატებელი გამოდგა. სოფლებისა და სამეზობლოების მოწყობის სისტემაც გამოკვეთილად ეთნიკურ სახეს ატარებდა. მაგალითად, იემენელები, ერაყელები თუ ქურთები კომპაქტურად მოსახლეობდნენ. სახლსა და სამეზობლოში საუბარს ბევრი კვლავაც საკუთარ ენაზე აგრძელებდა. მართალია, მათ ებრაულიც ისწავლეს, მაგრამ ამ ენაზე ისინი ძირითადად მათთვის მახასიათებელი აქცენტით საუბრობდნენ. სინაგოგები, ტრადიციული ცეკვის ჯგუფები, კულტურული ორგანიზაციები და თავად პარტიებიც კი ამ განსხვავებების გარშემო იქმნებოდა. ეს არ იყო მხოლოდ კულტურული მრავალფეროვნების შემთხვევა, არამედ იგი კლასობრივ და სტატუსურ განსხვავებებსაც ასახავდა. ფაქტობრივად, წარმოიშვა ორი ისრაელი - დომინანტური ევრო-ამერიკული და მასზე დაქვემდებარებული აფრო-აზიური. ეს უკანასკნელნი ხშირად სამართლიანად ჩიოდნენ, რომ იჩაგრებოდნენ სამსახურის, მიწის თუ პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვების კუთხით. დასავლეთელი ებრაელები თვლიდნენ, რომ მათი დომინანტური მდგომარეობა რაიმე წინასწარ განსაზღვრული შეხედულებების გამოძახილი კი არ იყო, არამედ ეს აქტიური მწარმოებლობის, მიზანზე უკეთ ორიენტირებულობის, ტექნიკური ცოდნის და განათლების მაღალი დონის შედეგი უფრო იყო. პრიოდულად, განსაკუთრებით კი არჩევნების პერიოდში, კონფლიქტი კიდევ უფრო მწვავდებოდა.

1970-იანებისთვის აბსორბირების (შთანთქმის, გათქვეფის) პოლიტიკის ტოტალური მარცხი აშკარად ცხადი გახდა. დაახლოებით ამ პერიოდისთვის დასავლეთში პოპულარული გახდა ახალი ინტელექტუალური მიმდინარეობები. მოდერნიზაციის თეორიის მიზანმა, მიეღწია კულტურული ჰომოგენურობისთვის, გზა მულტიკულტურული ჰეტეროგენულობის იდეას დაუთმო. სახელმწიფომ, უბრალოდ, თავი გაანება აბსორბირების მისეულ პოლიტიკას და ახალი მეთოდი შეიმუშავა: არ გავაკეთოთ ბევრი არაფერი და არც ძალიან შევეწინააღმდეგოთ. დღეისათვის, ისრაელში დაფასებულია მრავალფეროვნება და აღარაა მისი მოსპობის მცდელობა. მთავრობა

კულტურის სფეროში გამოფენების მოწყობით, საცეკვაო ანსამბლების, ლექციების, კონფერენციების და პუბლიკაციების მეშვეობით მხარს უჭერს ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

როგორც ლევისი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ არსებობს "ორი ისრაელი", რომ გარკვეული სახით კვლავაც გრძელდება დისკრიმინაცია, რომ ისევ ხდება სამეზობლოების და სოფლების ეთნიკურ ნიადაგზე განკერძოება და პერიოდულად კონფლიქტებსაც აქვს ადგილი - გამაერთიანებელი ძალები მაინც ძალიან ძლიერია. კონსენსუსი ებრაელთა ერთობასა და ისრაელის სახელმწიფოს ლეგიტიმურობის თემაზე ყველაფერზე მაღლა დგას. ივრითი (იგივე ძველებრაული) ნაციონალური ენაა, რომელიც ყველა ებრაელმა იცის - მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე საუბრობენ ისინი სახლში (არაბულიც ოფიციალური ენაა, მაგრამ მას ძირითადად არაბი მოსახლეობა იყენებს). ეთნიკური ენდოგამია ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა შერეული ქორწინებებიც არსებობს. თითქმის ყველა ებრაელი არტჩევნების დროს მაინც, თანხმდება იმაზე, რომ ნებისმიერ ებრაელს შეუძლია ერთმანეთზე დაქორწინება. და ბოლოს, საჯარო დონეზე - სამსახური, ხელისუფლება, ბაზარი – წარმოიქმნა რაღაც პან-ებრაული კულტურის მსგავსი, რაც ქცევათა საერთო ნორმების შესახებ გარკვეულ კონფორმიზმს აწესებს. ამგვარად, როგორც ჩვენ ვხედავთ, ძლიერი, უნიფიცირებული ებრაული ნაციონალიზმის ფარგლებში კვალავაც არსებობს ებრაული ეთნიკურობის ფრაგმენტაცია.

ნაციონალიზმი

მეცხრამეტე საუკუნეში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ან უკვე არსებული ერების მხრდაჭერას, ანდა ახალი ნაციების დაარსების მცდელობას. ანალოგიური პროცესები მეოცე საუკუნეშიც გაგრძელდა. როდესაც ნაციონალიზმთან გვაქვს საქმე, იდეის გამო თავის გაწირვა შეიძლება გარკვეულ მორალურ იმპერატივად, მოწამეობრივ სიდიადედ იქცეს. ეს მძლავრი ემოციური ფონი ერთ-ერთი ფაქტორია, რაც ნაციონალიზმს ეთნიკურობისგან განასხვავებს, ან უბრალო ეთნიკურობას ეთნონაციონალიზმის სახედ გადააქცევს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული, ყველა წარმატებული რევოლუცია, დაწყებული კუბის რევოლუციიდან, დამთავრებული ვიეტნამის რევოლუციით, ნაციონალობის კუთხით განმარტავდა საკუთარ თავს (Anderson 1983, 2). ამასთანავე, ბევრ შემთხვევაში გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა არა ეთნიკურობა, არამედ სახელმწიფოს დაარსება ან მტერთან დაპირისპირების ფონზე სახელმწიფოს შენარჩუნება.

ნაციონალიზმი, ისევე როგორც ეთნიკურობა, მეტისმეტად რთულად განსასაზღვრი ტერმინია. თუმცა, მაინც შესაძლებელია ორი შედარებით სხვადასხვა ფორმის გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს გარკვეული საერთო ნიშნები აქვს. სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმში ტერიტორიულად შეკრული სახელმწიფო ოჯახის, ნათესაობის, კულტურული ჯგუფის ან ეთნიკურობის ფარგლებს მიღმა არსებულ ლოიალობაზეა დაფუძნებული. ევროპაში ერი-სახელმწიფოები მეთვრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. მათი წარმოშობა მჭიდრო კავშირშია ინდუსტრიული კაპიტალიზმის გავრცელებასთან და საფრანგეთის რევოლუციის იდეებზეა დაფუძნებული (Tambiah, 1996, 124-27). განმანათლებლობის ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ხელისუფლების სეკულარიზაცია, მოქალაქეობა, თანასწორობა და მართლმსაჯულება, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორიის საზღვრებში ვრცელდება, თავდაპირველი ნაციონალიზმის იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ერი-სახელმწიფო მრავალფეროვანი სეგმენტებისგან შედგება, იგი ხელს უწყობს ერთი დომინანტური ენის წარმოშობას და ერთიანი ეროვნული კულტურის შექმნას, რომელიც კლასებისა და ქვეკულტურების მოთხოვნებზე მაღლა დგას. დღევანდელი ნაციონალიზმი განმანათლებლობის პერიოდში წარმოშობილი ამ იდეებისგან ძალიან განსხვავებულია. ნაციონალიზმი ბევრ შემთხვევაში ავტორიტარული ტიპისაა და ზოგჯერ საკუთარი მტრების მიმართ გენოციდის განხორციელებასაც კი არ ერიდება. ინდოეთი ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში მძლავრად გამოვლენილი ნაციონალიზმის კარგი მაგალითია. თუმცა, დღეს ინდოეთს არც საერთო ენა და არც ერთიანი ნაციონალური კულტურა არ გააჩნია. წარსულში ძალადობრივი ტიპის ეთნონაციონალიზმი ფოკუსირდებოდა კონკრეტულ ტერიტორიაზე და მიმართული იყო ერი-სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მოცემულ ტერიტორიას მოიცავდა. დღეისათვის კი სულ უფრო ხშირია ე.წ. ტერიტორიების არმქონე ნაციონალიზმები, რომლებიც არცთუ იშვიათად, ბრძოლის იარაღად ტერორიზმს იყენებენ.

მეორე ფორმა, ეთნონაციონალიზმი, ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერი-სახელმწიფოს იდეასთან. ყველა ტიპის ნაციონალიზმს გარკვეული მახასიათებლები იგივე აქვს, რაც ეთნიკურობას. მაგალითად, ისტორიის შერჩევითად და კრეატიულად კონსტრუირება, ჯგუფური კუთვნილების და შეკავშირებულობის გარკვეული ემოციური ფონი და გარკვეულწილად, ერთიანობის ყოვლისმომცველი განცდა. მიუხედავად ამისა, ეთნიკურობა არაა ნაციონალიზმი და არც ნაციონალიზმია ეთნიკურობა. ის, რაც მათ აერთიანებს, არის ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნა, ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო ან სუვერენიეტეტი სახელმწიფოს ფარგლებში. აფრიკაში, სადაც

გარედან თავს მოხვეული საზღვრების დადგენის შედეგად, სრულიად განსხვავებული ენის და კულტურის მქონე ადამიანთა ჯგუფები ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აღმოჩნდნენ, მსგავსი ეთნიკური პრეტენზიები სრულიად რეალურ გასხვავებულობაზეა დაფუძნებული, ისევე როგორც ასეთი ჯგუფების მიერ მათივე ძველი ტერიტორიების მოთხოვნა. სხვა შემთხვევებში, ეთნიკური ჯგუფი შეიძლება ლინგვისტურად, კულტურულად და ფიზიკურადაც კი მსგავსი იყოს, მაგრამ განსხვავდებოდეს რელიგიით და გარკვეულწილად ისტორიით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოფილ იუგოსლავიაში, სერბებისა და ხორვატების შემთხვევაში და კათოლიკებსა და პროტესტანტებთან ირლანდიაში. როგორც ჩანს, ბევრ შემთხვევაში, როდესაც რეალური ეთნიკური განსხვავებულობა ყველაზე ნაკლებია, ნაციონალიზმის მგრძნობელობა ყველაზე მძლავრია.

თავის "წარმოსახვით საზოგადოებებში" ბენედიქტ ანდერსენი (1983) ნაციონალიზმის საფუძვლებს მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ "ბეჭდვით ნაციონალიზმში" ეძიებს. მეთვრამეტე საუკუნემდე ნაკლებად არსებობდა ეროვნული ერთობის გრძნობა, თუ არ ჩავთვლით ტახტისადმი ერთგულების განზოგადებულ გაგებას. მშობლიურ ენაზე ფართომასშტაბიანი ბეჭდვითი სიტყვის წარმოშობასთან და, შესაბამისად, ფართო მასებში წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად, ჩვეულებრივ ადამიანებს პირველად მიეცათ იმის საშუალება, რომ საკუთარი თავი იმ დანარჩენ ადამიანებთან გაეიგივებინათ, რომლებიც არც არასდროს ენახათ თვალით და ვერც ვერასდროს შეხვდებოდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდნენ გამომცემლებიც, რომლებიც მოგების მიღების მიზნით ცდილობდნენ ბაზრის გაფართოებას და, შესაბამისად, მათ ხელს აძლევდათ მოქალაქეებს შორის წერა-კითხვის ცოდნის დონის ზრდაც. მსგავსი დაჯგუფებების კიდევ უფრო გამყარებას ხელი შეუწყო იდეოლოგიების სწრაფი ტემპებით გავრცელებამაც. იდეოლოგიები ხალხებს ყოფდა ენების, კულტურების, სამშობლოსთვის თავგანწირვის და სხვა საგმირო საქმეებით აღსავსე ისტორიული წარსულის მიხედვით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე, გარკვეულ ტერიტორიაზე კონკრეტული ჯგუფი პრეტენზიას აცხადებს.

მსოფლიო ისტორიას რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ნაციონალიზმმა არსებობის მანძილზე გამოიარა როგორც აღზევების, ასევე დაკნინების პერიოდები. 1700-იანი წლების ბოლო პერიოდისთვის და მომდევნო საუკუნის პირველ ათწლეულში, ამერიკულმა ნაციონალიზმმა წარმატებას მიაღწია და შეძლო თავი დაეღწია ევროპული მმართველობისგან. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ევროპაში დომინირებულ "ოფიციალურ ნაციონალიზმს" რეაქციული ეთნონაციონალიზმი ჩაენაცვლა. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო ნაციონალიზმი

მძლავრად შეერწყა ისეთ აბსოლუტისტურ იდეოლოგიებს, როგორიცაა კომუნიზმი და ფაშიზმი. 1950-იან წლებსა და ადრეულ 1960-იანებში ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოებში დეკოლონიზაციის პროცესს თან ახლდა ნაციონალიზმის პიკი. გარკვეულწილად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოიშვა საერთო მოდელი. დეკოლონიზაციას შედეგად მოჰყვა ერის მშენებლობის მძლავრი პროცესები. ამ პროცესებს სათავეში ედგნენ კოალიციური მთავრობები, რომელთა უმთავრეს მიზანს ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება, ახლად შექმნილი ქვეყნის ინტეგრაცია და ეროვნული კულტურის შექმნა წარმოადგენდა. საწყისი დანაპირებების განუხორციელებლობის შემთხვევებში, როგორც წესი, თავს იჩენდა რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებზე წარმოქმნილი წინააღმდეგობები. ერთი ან ორი თაობის მანძილზე ამ წინააღმდეგობებს ეთნონაციონალიზმის სახე ჰქონდა და მისი მიზანი სუვერენიტეტის მოპოვების, სახელმწიფო მიწების გადაცემის ან სპეციალური უფლებების მოპოვების გზით ფორმალური აღიარების მიღწევა იყო (Tambiah, 1996: 127-31).

დღეისათვის, როგორც ჩანს, გლობალიზაცია ნაციონალიზმის ახალ ინტენსიურ ფაზას წარმოქმნის. ამისთვის არაერთი მიზეზი არსებობს. ცივი ომის პერიოდში, ორივე - შეერთებული შტატებიც და საბჭოთა კავშირიც - მასიურ სამხედრო დახმარებას უწევდა იმ დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც მათ მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მის ყოფილ საზღვრებში არა მხოლოდ ბევრი სხვადასხვა სახელმწიფო წარმოიშვა, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ მოკავშირე ქვეყნებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი ხანგრძლივი დაპირისპირებებიც დაიწყო. ერთ დროს სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზირებული სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციის სახელმწიფოდან გლობალურ ინსტიტუტებზე (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) გადასვლამ შეასუსტა ის მორჩილებითი ძალაუფლება, რომელსაც მანამდე ერთპიროვნულად ფლობდა სახელმწიფო. წარმოიქმნა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ხშირად მხარს უჭერდნენ და აფინანსებდნენ გლობალური არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი ლოკალურ დონეზე არსებულ ძალაუფლებრივ ვაკუუმს ავსებდნენ. თანამედროვე ტექნოლოგიებმა, იაფფასიანმა და ხელმისაწვდომმა შორეულმა მოგზაურობებმა საკუთარ ტერიტორიას მოწყვეტილ დიასპორებს შესაძლებლობა მისცა შეენარჩუნებინათ კონტაქტები. თავისი უნარით, გააერთიანოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები, ინტერნეტი შესაძლოა ანდერსონისეული “ბეჭდური კაპიტალიზმის” თანამედროვე ეკვივალენტად იქცეს. მაგალითად, 1915 წლის სომხური მოსახლეობის გენოციდის შესახებ არსებულმა უამრავმა

ვებგვერდმა, რომლებიც სავსეა სხვადასხვა ისტორიით, გენოციდის შედეგად დაღუპული თუ გადარჩენილი ადამიანების შესახებ არსებული რაოდენობრივი მონაცემებით და შემაძრწუნებელი ფოტოებით, ხელი შეუწყო ახალი ხანგრძლივი ნაციონალური ცნობიერების წარმოქმნას (კოჯიიანი, 2002).

ერი-სახელმწიფოს იდეის მოძველებისა და მის ადგილას იდენტობის თუ ლოიალობის სხვა ფორმების წარმოშობასთან ერთად, არჯუნ აპადურაი (1996: 168-77) პოსტნაციონალიზმის პერიოდის წარმოქმნას წინასწარმეტყველებს. მზარდი ტრანსნაციონალური საზოგადოებების გავრცელებასთან ერთად, დომინანტური სახელმწიფო კულტურები სულ უფრო ფერმკრთალდება. ტრანსნაციონალურ საზოგადოებების ძალუძთ შეინარჩუნონ როგორც თავიანთი განცალკავებული კულტურა, ასევე რეალურ თუ სავარაუდო სამშობლოსთან კავშირი. დე ფაქტო მულტიკულტურალიზმი მომავალში გადაფარავს ერი-სახელმწიფოს ხელოვნურ ერთობას. მართალია, აპადურაის მოსაზრება შეიძლება ცოტა გადაჭარბებული იყოს სახელმწიფოს როლის შემცირებასთან მიმართებით, სამაგიეროდ ნაკლებ ეჭვს იწვევს ის, რომ უკვე წარმოშობის პროცესში მყოფი ტრანსნაციონალური ნაციონალიზმის ახალი ფორმები შეცვლის ერის, როგორც ტერიტორიულად შეკრული ერთობის ძველ გაგებას.

არაბებიდან პალესტინიელებამდე

ის წრებრუნვა, რომლის მეშვეობითაც არაბთა შედარებით მცირე ჯგუფმა თავი ჩამოიყალიბა, როგორც პალესტინელმა ერმა, მეოცე საუკუნეში იდენტობის პოლიტიკის თეორიულად განსაზღვრის ბევრ სირთულეს წარმოშობს. პალსტინის მაგალითი ზემოთ მოყვანილი ისრაელის მაგალითის სრულიად საპირისპიროა, სადაც წარმოშობით ერთიანი ეროვნული ერთობა ბევრ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფად იყო ფრაგმენტირებული. პალესტინის შემთხვევაში გაერთიანებული ერი ფართო რეგიონული ეთნიკური ჯგუფის, არაბებისგან წარმოიქმნა. ემილ სალიეს (1993) მოსაზრებით, ეს პროცესი სამ საფეხურს გადის და მას 1987 წლის ინტიფადამდე (სახალხო აჯანყებამდე), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეთნიკური სამშობლოს ჭეშმარიტი გრძნობის გაჩენას - არ ჰქონია ადგილი. მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიაზე ყველაზე მეტი დავა ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების გარშემო მიმდინარეობდა. ამ ტერიტორიებზე, ძირითადად, სოფლის მაცხოვრებელი მუსლიმი გლეხები ცხოვრობდნენ, თუმცა, ურბანულ ზონაში

ქრისტიანი არაბები და ებრაელებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობდნენ. ოტომანების მმართველობის ხანაში ერთიანობის საფუძველს ისლამი წარმოადგენდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბრიტანელებმა შესძლეს დაერწმუნებინათ ბევრი არაბი - შეერთებოდნენ მათ ოტომანი თურქების ჩამოგდებაში. თუმცა, პალესტინელები მათ მხარდამჭერთა რიგებს არ მიეკუთვნებოდნენ. ბრიტანელები აქტიურად უმაგრებდნენ პოზიციებს სიონიზმს, შესაბამისად, პალესტინელები ოტომანებს განიხილავდნენ, როგორც რეგიონში ებრაელთა დასახლებების შექმნის და სიონისტური სახელმწიფოს დაარსების წინააღმდეგ არსებულ საყრდენ ძალას. ამგვარად, ომის დასარულებამდე - ანუ ოტომანთა იმპერიის განადგურებამდე, პალესტინელები თავს არაბული ნაციონალიზმის მოწინააღმდეგეებთან გაერთიანებულ ძალად მიიჩნევდნენ.

1917 წლის ბალფურის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მიერ პალესტინის ტერიტორია ებრაელთა ისტორიულ სამშობლოდ იქნა აღიარებული და ერთა ლიგის მიერ 1922 წელს ბრიტანეთის ადმინისტრაციისთვის გაცემული მანდატი (ეს პროცესი, ფაქტობრივად, ორი წლით ადრე დაიწყო) ძველი მსოფლიო წესრიგის დასასრულის მომასწავებელი სიგნალი იყო. პალესტინაში ორი განსხვავებული ტენდენცია წარმოიშვა, რომელთაგან არცერთი არ ემსახურებოდა პალესტინის სახელმწიფოს იმ მიზანს, რასაც ბრიტანეთი მას ომის პირობებში შეპირდა (მოგვიანებით კი უარყო დანაპირები). პირველი, რეგიონის ყველაზე გამოჩენილი ოჯახები, რომელთაგან ბევრს საერთო ბიზნესი და პოლიტიკური ინტერესები აკავშირებდა ბრიტანელებთან, ბრიტანული მანდატის ქვეშ გარკვეული ხარისხის სუვერენიტეტის მოპოვებაზეც თანახმა იყო. ეს ჯგუფი კონსერვატიზმისკენ იხრებოდა და ბრიტანეთის მიმართ საკმაოდ ლოიალურად იყო განწყობილი. მეორე ჯგუფი უფრო ახალგაზრდული და რადიკალური იყო. ამასთანავე, მას ნაკლები კავშირები ჰქონდა ოკუპანტთა ადმინისტრაციასთან. ისინი მოითხოვდნენ სირიასთან, პრინცი ფაისალის მმართველობის (მოცემულ პერიოდში სირიას სწორედ პრინცი ფაისალი მართავდა) ქვეშ გაერთიანებას. სირია განიხილებოდა, როგორც სიონიზმის შემდგომი შემოტევისგან თავდაცვის კარგი საშუალება. 1920 წელს, ფაისალის მთავრობის მარცხის შედეგად, პალესტინელი არაბები მათი მთავარი მფარველისა და მხარდამჭერის გარეშე დარჩნენ. საბოლოო ჯამში, ისინი სიონისტების შეჩერებაშიც უძლურნი აღმოჩნდნენ და ვერც თვითგამორკვევა მოახერხეს.

პალესტინური იდენტობის წარმოშობის მეორე ფაზა 1948 წელს დაიწყო, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოფიციალურად დაუჭირა მხარი ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. ისრაელის საზღვრების დაწესებამ და შედეგად დაწყებულმა ომმა პალესტინელი არაბები

სხვადასხვა მიმართულებით გაფანტა: ისრაელის სახელმწიფოს ფარგლებში, დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში, ახლომდებარე არაბული სახელმწიფოების ტერიტორიაზე განლაგებულ ლტოლვითა ბანაკებში და სხვადასხვა არა არაბულ სახელმწიფოში. მსგავსმა გაფანტვამ ბოლო მოუღო პალესტინური ნაციონალიზმის იმ ჩანასახებსაც კი, რაც 1948 წლამდე განვითარდა. პალესტინელ არაბებს სხვა არჩევანი პრაქტიკულად აღარ ჰქონდათ – შუა აღმოსავლეთში გავრცელებული ფართო არაბული ნაციონალიზმის ფარგლებში საკუთარი ადგილი რომ დაემკვიდრებინათ, პალესტინელებს იდენტიფიცირება არა კონკრეტულად პალესტინელებთან, არამედ არაბებთან უნდა მოეხდინათ. 1950-იან წლებში მათ ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდალ ნასერში იპოვეს ამ იდეების გამომხატველი და მხარდამჭერი. პალესტინური ინტერესები არაბული ერთობის ინტერესებთან მიმართებაში დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრი პალესტინელი შეუერთდა პანარაბულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ისეთებს, როგორიცაა ბაასის პარტია, არაბთა ნაციონალური მოძრაობა და მუსლიმთა საძმო.

ოცნებას, რომ არაბები გაერთიანდებოდნენ ისრაელის დასამარცხებლად და შეცვლიდნენ რეგიონს – არ ეწერა დიდი ხნის სიცოცხლე. 1961 წელს გაერთიანებული არაბთა რესპუბლიკის დაშლამ და შემდეგ 1967 წელს ისრაელთან წარმოებულ ომში დამარცხებამ პალესტინელებს დაანახა, რომ ისინი მარტონი დარჩნენ. მათ ბრძოლა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა განეგრძოთ.

პალესტინელების, როგორც არაბებისგან განცალკავებული ჯგუფის თვითიდენტიფიცირებამ და მზარდმა პალესტინურმა ნაციონალიზმმა მრავალი სხვადასხვა ფორმა მიიღო. არაბული სახელმწიფოების უარი, ან მათი უუნარობა – მოეხდინათ პალესტინელი დევნილების ასიმილაცია, იზოლაციის კიდევ ერთი დამატებითი ფორმა იყო. ამასთანავე, სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა დიდი როლი პალესტინური იდენტობის გაძლიერებაში. გეოგრაფიული გაფანტულობის უპირატესობა ბევრმა გამოიყენა - იქნებოდა ეს განათლების მიღება, ბიზნესის წამოწყება თუ უკან, სახლში მოდერნიზაციის ელემენტების ჩამოტანა. მასმედია, ძირითადად რადიო და ტელევიზია, ყველა საშუალებას იყენებდა საერთო მიზნებზე დამყარებული, ერთიანი ეროვნული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. ორგანიზაციები ახლა უკვე მთლიანად პალესტინური იყო. მაგალითად, პალესტინელი სტუდენტების საყოველთაო კავშირი და პალესტინელი ქალების საყოველთაო კავშირი. შეიარაღებული ჯგუფები მჭიდროდ შეკავშირდნენ პან არაბიზმის იდეის გარშემო. იასირ არაფატის მეთაურობით ორგანიზაცია “ფატჰმა” 1976 წლის ომამდე დაიწყო ბრძოლა. ამის შემდეგ, მალევე დაარსდა პალესტინის გამნმათავისუფლებელი სახალხო და

დემოკრატიული ფრონტები. პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია წარმოიშვა დევნილთა ბანაკებში, როგორც ლტოლვილთა მხარდამჭერი ორგანიზაცია. აქტიური სამხედრო მოქმედებები მას შემდეგ დაიწყო, რაც 1969 წელს მას სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია "ფატჰი". 1970-იანი წლების მანძილზე მოხდა პალესტინური ნაციონალიზმის კონსოლიდირება დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში, რასაც, საბოლოო ჯამში, პირველი ინტიფადა მოჰყვა.

სალიე მიიჩნევს, რომ მისი ანალიზი უარყოფს ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის შესახებ არსებულ ორ ზოგად თეორიულ ხედვას. ერთი ხედვის მიხედვით, ეთნიკურობის ფესვები რასიდან, განსხვავებული ეროვნული სათავეებიდან, რელიგიური რწმენებიდან და, ამასთან ერთად, საერთო კულტურიდან მოდის. თუმცა, ეს განსაზღვრება არ გამოდგება, რადგან პალესტინელები კულტურულად, რასობრივად და რელიგიური მრწამსის მიხედვითაც სხვა არაბების მსგავსნი არიან. მეორე ხედვის მიხედვით, ხალხურობის გამაერთიანებელი გრძნობა ასრულებს უსაფრთხოების, სტატუსის, ძალაუფლების და ეკონომიკური სარგებლის განხორციელების პრაქტიკულ ფუნქციებს. რეალურად, ბევრმა პალესტინელმა უარი თქვა ეკონომიკურ ასიმილაციაზე, როცა იყო ამის შესაძლებლობა და, შესაბამისად, უარი თქვა აშკარა სარგებელზეც. მათ ამის სანაცვლოდ ეკონომიკური არასტაბილურობის და შეიარაღებული ბრძოლის უფრო რთული გზა აირჩიეს. ეს მოკლე ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ იდენტობა ისეთი რამაა, რაც მუდმივად მოძრაობაში და კავშირშია საგარეო საფრთხეებსა და შეზღუდვებთან. ყველაფერთან ერთად, ამ შემთხვევაში იდენტობა განსხვავდება კულტურისგან. მართლაც, ის რაც პალესტინელებს განასხვავებს დანარჩენი არაბებისგან, არის არა კულტურა, რელიგია, ან ენა, არამედ ტერიტორიის და საერთო ისტორიული კრიზისის განცდა.

რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას? ინდიელი "ერის" საფრთხე ბრაზილიაში

იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკა იმდენად სათუთი რამაა, რომ თავად სიტყვებიც კი ზოგჯერ პოტენციურად ფეთქებად საშიშია. მაგალითად, ლორინგ დანფორტმა დეტალურად შეისწავლა ჩრდილო ბალკანეთსა და საბერძნეთში ცვალებადი ტერმინი "მაკედონელი". ტერმინს სამი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ძირითად დისკურსში, ეს ტერმინი ასახავს იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს მაკედონურ იდენტობას მიაკუთვნებენ და არა ვთქვათ, სერბებს ან

ბერძნებს. საბერძნეთის ფარგლებში მოცემულ ტერმინს რეგიონული მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება იმ ბერძნების მიმართ, რომლებიც მაკედონიიდან არიან; და ბოლოს, ჩრდილო საბერძნეთში, ტერმინმა უფრო ეთნონაციონალისტური სახე მიიღო და ასახავს მაკედონიაში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას. ამ თითქოს მცირე განსხვავებებს უამრავი პოლიტიკური განშტოება აქვს. საბერძნეთი ჰომოგენურობის იდეოლოგიას ავითარებს და, შესაბამისად, უარს აცხადებს ოფიციალურ დონეზე აღიაროს მის ფარგლებში მცხოვრები მაკედონელები. საბერძნეთი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა მის ჩრდილოეთ საზღვართან 1990 წელს მაკედონიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბებას. ორივე დაპირისპირებული მხარე საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ალექსანდრე დიდის ეპოქიდან მოყოლებული სხვადასხვაგვარად გადამუშავებულ ისტორიას იშველიებდა.

ბრაზილიაში სახელმწიფო საფრთხეს წარმოადგენს ტერმინი “ერი”, განსაკუთრებით, როდესაც ეს ტერმინი ინდიელი მოსახლეობის მიმართ გამოიყენება. ლათინური ამერიკის ზოგიერთი ნაწილისგან განსხვავებით, ორივე, ტერმინი და ცნება “ინდიელიც” და “მკვიდრიც” ლეგიტიმური და მიღებულია (თუმცა, ეს ტერმინები ხან შემოდის, ხან კი გადადის ხმარებიდან). მიუხედავად იმისა, რომ ინდიელები რაოდენობრივად იმდენად ცოტანი არიან, რომ ლამის ეგზოტიკადაც კი აღიქმებიან - მათ, ფაქტობრივად, მოახერხეს ბრაზილიელი ხალხის წარმოდგენებში საკუთარი ადგილის დაკავება. მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა 236 000-დან 300 000-მდეა და მოიცავს დაახლოებით ორასამდე დამოუკიდებელ ჯგუფს და 170 ენობრივ ოჯახს. საერთო ჯამში, ისინი 160 მილიონიან ბრაზილიაში მოსახლეობის მხოლოდ 0,2 პროცენტს შეადგენენ.

ალსიდა რიტა რამოსის (1998: 168-94) მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის მიერ შედარებით რბილი ეთნიკურობიდან პოლიტიკურად დამუხტულ ნაციონალიზმში გადაზრდის მცდელობას ეხებოდა, გვიჩვენა, თუ რა ძალა შეიძლება ჰქონდეს ერთადერთ სიტყვას. მხოლოდ თანამედროვე პერიოდში შეძლეს მრავალრიცხოვან ტრაიბალურ ტომებად მცხოვრებმა ინდიელებმა საერთო ენის გამონახვა. 1972 წელს ეპისკოპოსების ბრაზილიური ეროვნული კონგრესის მებრძოლმა ფრთამ შექმნა ადგილობრივი მისიონერული საბჭო (CIMI), რომელიც ეფუძნებოდა განთავისუფლების თეოლოგიის დემოკრატიულ და უფლებების დელეგირების მიმნიჭებელ პრინციპებს. რეპრესიების და ხშირად სასტიკი სამხედრო მმართველობის პირობებში, რომელიც 1964 წლიდან 1988 წლამდე გაგრძელდა - ეს უკვე კარგის ნიშანი იყო. ეკლესიას, განსაკუთრებით კი მის წიაღში არსებული მემარცხენე ფრთის

განმათავისუფლებელი თეოლოგიის მქონე ფრაქციას, უკიდურესი მემარჯვენე ტიპის დიქტატორული რეჟიმი ისედაც უნდობლობით ეკიდებოდა. კონსერვატორული ტიპის ყოველდღიურ ეროვნულ გაზეთში *"O Estado de San Paulo"* მთელი კვირის განმავლობაში იბეჭდებოდა ადგილობრივი მისიონერული საბჭოს საწინააღმდეგო სტატიების მთელი სერია. მოცემული სტატიების სერია ეფუძნებოდა, სავარაუდოდ, ქრისტიანული ეკლესიების მსოფლიო საბჭოსგან მიღებულ დოკუმენტს (ეს ორგანიზაცია არანაირ კავშირში არაა მსოფლიო საეკლესიო საბჭოსთან). ამ დოკუმენტში საუბარი იყო უცხოელების მიერ ეშმაკურად დაგეგმილი აჯანყების მოწყობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ინდიელებით დასახლებულ მიწებზე ბრაზილიის სუვერენიტეტის ხელყოფას, ბრაზილიის ეთნიკური ნიშნით დაყოფას და ქვეყნის მინერალური სიმდიდრის მკვიდრი მოსახლეობის ხელში გადასვლას. ამ სიმდიდრეების გამოყენება კი შემდგომში უცხოელების ინტერესებიდან გამომდინარე მოხდებოდა. როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტი გამოგონილი იყო და არც არანაირი ქრისტიანული ეკლესიების მსოფლიო საბჭო არ არსებობდა, მაგრამ სტატიების მთელი ეს სერია, რომელიც სუვერენიტეტის იდეას წამოსწევდა წინ, ინდიელების მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო.

დაარსებიდან ორი წლის შემდეგ ადგილობრივმა მისიონერულმა საბჭომ დაიწყო "მკვიდრი მოსახლეობის ასამბლეების" ორგანიზება, რომელიც ბევრ ლინგვისტურ და ტრაიბალურ ჯგუფს უფინანსებდა ტრანსპორტით მგზავრობას, ამარაგებდა საკვებით და უზრუნველყოფდა საცხოვრებლით. მიუხედავად საკმაო კულტურული განსხვავებისა, ბრაზილიელ "თეთრ ადამიანებთან" ურთიერთობისას აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი საერთო პრობლემა აწუხებდათ: ტყეების გაჩეხვა, სასოფლო სამეურნეო მიწების შემცირება, დაბინძურებული მდინარეები, მოუვლელი გზები, ახალმოსახლეები და ყველაზე ხშირად - სისხლისღვრა და მკვლელობები. ორგანიზაციის ძირითადი შემადგენლობა მნიშვნელოვნად ვიწრო იყო, რის გამოც, საბოლოოდ, მისგან ასზე მეტი ჯგუფის გამოყოფა მოხდა, დაწყებული რეგიონული და ზოგად ინტერესებზე ორიენტირებული პანინდიელეთა ჯგუფებიდან, დამთავრებული მკვეთრად ლოკალური ტიპის ჯგუფებით. ისევე როგორც ეკლესია იყო ადგილობრივი მისიონერული საბჭოს შექმნის ბიძგის მიმცემი, ასევე, ამ უფრო დიდი ჯგუფებიდან ბევრი გარე ძალების ზეგავლენას განიცდიდა, მაგალითად, მისიონერების, ჟურნალისტების და განსაკუთრებით, ანთროპოლოგებისას. მოცემული ჯგუფები ვერტიკალური და იერარქიული ტიპის სტრუქტურებისგან შედგებოდა. უფრო მცირე ზომის და მეტად ფოკუსირებული ჯგუფები, ხშირად, გარე ძალების ზეგავლენის მიმართ

აბორიგენების მიერ გამოვლენილ რეაქციას ასახავდნენ და სხვადასხვა კულტურასაც უფრო უკეთ წარმოაჩენდნენ.

მართალია, ადგილობრივი მისიონერული საბჭო მასში შემავალ ჯგუფებს აბორიგენულ "ერებად" განიხილავდა, მაგრამ მხოლოდ 1980 წელს, ინდიელ ერთა კავშირის შექმნის შემდეგ, მიეცა ამ ტერმინს უფრო წამქეზებლური ელფერი. რატომ არ მოხდა აღნიშვნა უბრალოდ, ტერმინ "ეთნიკურობით"? რამოსის პასუხი ასეთია (1998: 184-85):

"რადგან, მე გავკადნიერდები და ვიტყვი, ეთნიკური ჯგუფის ცნებას, განსხვავებით ნაციებისა, არც პოლიტიკური სიძლიერე და არც იდეოლოგიური ძლიერი დარტყმის ძალა არ გააჩნია. ეთნიკური ჯგუფები განიხილება, როგორც სოციალური ხორცმეტი, რომელიც ისტორიამ მოუვლინა ქვეყანას და რომელიც უნდა გასწორდეს და გაითქვიფოს ნაციონალობის მეინსტრიმში. როგორც პოლიტიკურად ჩანასახში მყოფი ტერმინი, ეთნიკურობა უფრო მეტად კულტურის "სამეფოს" განეკუთვნება. ხოლო კულტურა კი, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც პოლიტიკური კუთხით არა საზიანო."

თუკი ტერმინი "ერი" პანინდიელთა უმთავრესი ორგანიზაციის დასახელებაში განსაკურებით მკვეთრად ჟღერდა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ იგი მიმართული იყო იმ უმთავრესი ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, რომელზეც ბრაზილია იყო დაფუძნებული – ესაა ჰომოგენიზაციის და ერთიანობის ფილოსოფია. 1822 წელს, ბრაზილიის მიერ პორტუგალიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანა დაეფუძნა ვერტიკალური სახელმწიფოს "ლიბერალურ" (იგულისხმება ამ ტერმინის მეცხრამეტე საუკუნისეული გაგება) იდეას, სადაც არანაირი ადგილი არ რჩებოდა ქვეჯგუფებისთვის. "ამ გადმოსახედიდადან სოციალური განსხვავებულობა არ განიხილებოდა ისეთ მტრად, რომელიც ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო (როგორც ეს არგენტინაში მოხდა). არამედ, ეს უფრო მოუმწიფებლობად მიიჩნეოდა (Ramos 1998: 181)". იდეალური სახელმწიფო - ეს იყო "კოლექტიური ინდივიდი", ერთი სხეული და ერთი ტვინი – შეერთებული შტატებისეული "ინდივიდთა ნაკრების" იდეის შორეული გამოძახილი. ინდიელთა მიერ სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა აღქმულ იქნა, როგორც ერი-სახელმწიფოს შუაგულში ამოსული ეკალი.

რამოსის აზრით, ტერმინ "ერის" გამოყენება გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ისე, რომ რეალურად, ვერც კი შესძლო განსაზღვრული ჯგუფის შემოსაზღვრა. განიცდიდნენ რა

აბორიგენული კულტურული, ისტორიული თუ ლინგვისტური ერთობის ნაკლებობას, ინდიელებისთვის ნაციონალიზმი იქცა ურთიერთდამყოფ პოლიტიკურ რიტორიკად, რომელიც საბოლოო ჯამში, არაქმედითუნარიანი აღმოჩნდა.

"მისი ისტორიული და მრავალხმიანი კონტექსტიდან ამოგლეჯილი, ტერმინი "ინდიელი ერი" კარგავს მნიშვნელობას როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის, ასევე ნაციონალიზმის კუთხით. ესაა ცნება, რომელიც არ გულისხმობს ერი-სახელმწიფოს, პატრიოტიზმს, ეროვნულ სიამაყეს ან წარმოსახვით საზოგადოებებს. მოკლედ, ეს არის ერი ერის გარეშე (გვ.190)."

რეკომენდებული ლიტერატურა

Anderson, Benedict. Imagined Communities: Reflection on the Origin and Spread of Nationalism. Rev. ed (London: Verso, 1983.) ანდერსონის მიხედვით, ერი წარმოსახვითი საზოგადოებაა იმ აზრით, რომ მისი წევრები ვერასდროს შეხვდებიან იმ ადამიანების უდიდეს ნაწილს, რომლებსაც ასევე თავიანთი ჯგუფის წევრებად თვლიან. უკვე კლასიკად ქცეულმა მოცემულმა ნაშრომმა, რომელიც "ბეჭდვით კაპიტალიზმში" ეძიებს ნაციონალიზმის საფუძვლებს, უზარმაზარი გავლენა იქონია იდენტობის პოლიტიკის გაანალიზებაზე.

Appadurai, Arjun. Modernity at Large: Cultural Dimensions of Globalization (Minneapolis: University of Minnesota Press, 1996).). ტრანსნაციონალური იდენტობის კვლევის საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ანთროპოლოგი თეორეტიკოსის ესეების მოცემულ კრებულში, ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს შესუსტებაზე და მედიის როლზე ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის შექმნაში.

Danforth, Loring M. The Macedonian Conflict: Ethnic Nationalism in Transnational World (Princeton University Press, 1995). ტერმინ "მაკედონიის" ირგვლივ საბერძნეთსა და მაკედონიის რესპუბლიკას შორის არსებული პოლიტიკური შეფერილობის კონფლიქტის ანალიზისას, დანფორტი აღწერს ნაციონალისტური იდენტობის წარმოქმნის პროცესს.

Esman, Milton J. Ethnic Politics (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1994). მართალია, ავტორი არ არის ანთრო-პოლოგი, მოცემული ინტერდისციპლინური ხედვა ძალიან საინტერესოა პოლიტიკური ანთროპოლოგებისთვის. ანალიზისთვის დეტალური ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდეგ, ელსმანი ფოკუსირდება სხვადასხვა ეთნიკურ მოძრაობასა და კონფლიქტზე, დაწყებული მალაიზიიდან, დამთავრებული კანადაში მდებარე კვებეკით.

Garcia Canclini, Nestor. Cultural Hybridity: Strategies for Entering and Leaving Modernity (Minneapolis: University of Minnesota Press, 1995). მოცემული წიგნი, რომელმაც სოციალურ მეცნიერებებში პოპულარული გახადა ტერმინი "ჰიბრიდულობა," ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე მექსიკაში სხვადასხვა ტიპის იდენტობების დამყარების პროცესში წარმოქმნილ თანამედროვე/ტრადიციულ კონფლიქტზე.

Ramos, Alcida Rita. Indigenism: Ethnic Politics in Brazil (Madison: University of Wisconsin Press, 1998). ამაზონის

რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა ბრაზილიის მთელი მოსახლეობის 0.2 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ამისა, სახალხო ცნობიერების ჩამოყალიბებაში მათ მიერ შეტანილი წვლილი ბევრად მეტია, ვიდრე ქვეყნის მთელი მოსახლეობის რაოდენობასთან მათი პროპორციული შეფარდება. ავტორი, რომელიც 30 წელზე მეტ ხანს იკვლევდა ამაზონის ინდიელებს, წარმოაჩენს იმ მრავალფეროვან პოლიტიკურ სტრატეგიას, რასაც მკვიდრი მოსახლეობა მიმართავდა საკუთარი მიწის და სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად.

Toland, Judith D, ed. Ethnicity and the State: Political and Legal Anthropology Series, Vol.9 (New Brunswick, N. J.: Transaction, 1993). რედაქტორთა წინასიტყვაობა ეთნიკურობის თემისადმი ანთროპოლოგიური მიდგომის კარგი მაგალითია. კრებულში შესული ცხრა სტატია მოიცავს სხვადასხვა ეპოქასა და რეგიონს: ეკვადორში მცხოვრები ინდიელების ისტორიული შესწავლიდან დაწყებული, ინდონეზიაში მცხოვრები ბატაკების თანამედროვე კვლევით დამთავრებული.

Wilsmen, Edwin N., and Patrick McAllister, eds. The Politics of Difference: Ethnic Premises in a World of Power (Chicago: University of Chicago Press, 1966). ცხრა სტატია, რომელთა ავტორებიც, ძირითადად, ევროპელი ანთროპოლოგები არიან, მეტწილად ზოგად თეორიებსა და რეგიონულ მიმოხილვას ეხება. რედაქტორთა წინასიტყვაობა და ჯან ნედერვიინ პიტერსის “ეთნიკური პოლიტიკის სხვადასხვაობა და ეთნიკური დისკურსი” განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკურობის ცნების ანთროპოლოგიური კუთხით განხილვის თვალსაზრისით.

თავი 10

მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი და წარმოქმნილი სინთეზი

სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უკანასკნელი გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართული ხანგრძლივი, მწვავე და წარმატებული ბრძოლის შემდეგ, 1960-იანი და 1970-იანი წლების დასაწყისის პროცესუალური თეორიის მომხრე და ინდივიდზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ეთნოგრაფებს შესაძლოა სჯეროდათ, რომ წინ უღრუბლო ცა და მზიანი მომავალი ელოდათ. ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ორივე, დამარცხებულიც და გამარჯვებულიც, (სტრუქტურული ფუნქციონალისტები და პროცესუალური თეორიის მომხრეები) ორ განსხვავებულ პოლუსზე მდგომებად განხილვის ნაცვლად, საერთო ფატალურ ბედს გაიზიარებდნენ - კონკრეტულად კი, სტრუქტურული ფუნქციონალისტები და პროცესუალური თეორიის მომხრეები „დადანაშაულებულ“ იქნენ საზოგადოების მიუკერძოებლად (მიდგომა, რომელიც განმანათლებლობიდან იღებს საფუძვლებს) აღწერაში. ინტერესის სფერომ მალე ახლად წარმოქმნილი პარადიგმებიდან თავად ანთროპოლოგიის ბუნების შესახებ მსჯელობისკენ გადაინაცვლა.

მეოცე საუკუნის მიწურულის სამი ათეული წელი ანთროპოლოგიის ფარგლებში უკიდურესი მრელვარების პერიოდი იყო, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ცნობილია, როგორც “წარმომადგენლობის კრიზისი”, როგორც მძაფრი დაპირისპირება მატერიალისტებსა და იდეალისტებს, მეცნიერულსა და არამეცნიერულს, მოდერნისტებსა და პოსტმოდერნისტებს შორის. “წარმომადგენლობა”, რომელიც კრიზისში იმყოფებოდა, უნდა გამკლავებოდა ანთროპოლოგთა ავტორიტეტს, დაეხატა კულტურა ნებისმიერი მიუკერძოებელი გზების გამოყენებით და მოეხდინა განზოგადოებები. საკუთარი თავისთვის ამ კითხვების დასმის და ზოგჯერ თვითგვემამდე მიმყვანი შედეგები, გულისხმობდა ანთროპოლოგიაში ისეთი დიდი ადამიანების, როგორებიც ბოასი და მალინოვსკი იყვნენ, “ტახტიდან ჩამოგდებას”, ანთროპოლოგიის ისტორიის, როგორც კოლონიური პროექტის ასახვას, ტრადიციული საველე მუშაობის მეთოდების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას და ზოგჯერ, თვით რეალობის კარტეზიანურ ეჭვებსაც კი.

ის, რაც პოსტმოდერნიზმის სახელითაა ცნობილი, და რისი დაწყება, სულ მცირე, 1950-იანი წლებით თარიღდება (თუმცა, ბევრად უფრო ადრე, ფრიდრიხ ნიცშემდე (1883, 1976, 1887, 1989) ან უფრო წინარე პერიოდშიც კი შეგვიძლია მისი საწყისების ძიება) მრავალმხრივი ზეგავლენების შედეგად მიღებული ფრაგმენტირებული სინთეზია. ნიცშემ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში განაცხადა, რომ ღმერთი მოკვდა. ნიცშემ არა მხოლოდ ღმერთი, არამედ მისი დროის ყველა დიდი თეორიაც უარყო, არ აღიარა არც მეცნიერებისა და გონის დეჰუმანიზაცია, მოითხოვა სუბიექტურობისკენ დაბრუნება. მან გააცნობიერა, რომ ძალაუფლება ბევრად უფრო უხილავი და ღრმა რამ იყო, ვიდრე უბრალოდ, იარაღის ფლობა. ნიცშემ ეს ყველაფერი წინასწარმეტყველ ზარატუსტრას პირით, ირონიულ პოლემიკურ ტონში გამოხატა. თუმცა, თუ ნიცშეს ნააზრევი პოსტმოდერნის ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსებისთვის მოდელს წარმოადგენდა, ეს მხოლოდ რეტროსპექტიული კუთხით: უფრო აშკარა და პირდაპირი ზეგავლენა, სულ მცირე, ანთროპოლოგებისთვის მაინც, ლიტერატურული კვლევების, ფრანგული ფილოსოფიის და კულტურული სწავლებების ახალი დისციპლინებიდან წარმოქმნილმა სხვადასხვა მიმართულებამ მოახდინა. პოსტმოდერნიზმი პირველად არქიტექტურის სფეროში გაჩნდა (Raport and Overing 2000: 294), თუმცა, იგი ყველაზე მეტად ასოცირდება საზოგადოებისა და ენის ისეთ ფილოსოფოსებთან, როგორებიცაა ჟან ფრანკო ლიოტარი (1984), ჟან ბოდრიარი (2000) და მიშელ ფუკო (2001, 1972, 1980). ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხი ურთიერთგადამფარავი მიმართულება მეტნაკლებად გაერთიანდა ფართო მნიშვნელობის მქონე და ნაკლებად განსაზღვრელ პოსტმოდერნიზმში: ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია, კრიტიკული თეორია, პოსტსტრუქტურალიზმი და თავად პოსტმოდერნიზმი (იხ. ცხრილი 10.1).

ძალაუფლების შესახებ არსებული პოსტმოდერნიზმის კონცეფციების უმთავრესი ელემენტია ის, რომ ძალაუფლება არ ეფუძნება მხოლოდ ძალას. ამ ტიპის ინტერპრეტირებაზე ერთ-ერთი უმთავრესი ზეგავლენა ანტონიო გრამშმა იქონია, მარქსისტმა აქტივისტმა, რომელმაც 1930-იან წლებში თავისი ინტელექტუალური ცხოვრების დიდი ნაწილი მუსოლინის რეჟიმის პირობებში ციხეში გაატარა. მისი ნაშრომები ფოკუსირებული იყო იტალიის ისტორიაზე, თუმცა ბევრად უფრო ფართო იყო ის ზეგავლენა, რაც მან სხვა მეცნიერებზე მოახდინა. გრამშიმ უარყო ორთოდოქსი მარქსისტების მიერ მატერიალიზმზე ხაზგასმა და გამოყო ისეთი "ზესტრუქტურის" როლი, როგორიცაა იდეოლოგია და კულტურა. პოლიტიკურ ანთროპოლოგიაზე უმთავრესი ზეგავლენა მის მიერ გამოყენებულმა ცნებამ, "ჰეგემონია" მოახდინა - ტერმინმა რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად გაფანტული და ყოვლისმომცველი მნიშვნელობა შეიძინა და აღნიშნავდა

დომინირების ფაქტობრივად ყველა სახეს (ეკონომიკური ჰეგემონია, კულტურული ჰეგემონია, დასავლური ჰეგემონია, და ასე შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ გრამში მოცემულ ტერმინის მრავალი კუთხით იხსენიებდა (რამაც შესაძლოა გარკვეული დაბნეულობა წარმოშვას), მის მიერ "ჰეგემონიის" გამოყენება მაინც უფრო სპეციფიური ხასიათის იყო. არსებითად, ჰეგემონია არის "მოსახლეობის დიდი მასების მიერ ზოგადი მიმართულების შესახებ გაცემული სპონტანური თანხმობა, რომელიც შემდგომში დომინანტური ფუნდამენტური ჯგუფის მიერ სოციალურ ცხოვრებაში ხორციელდება" (1971: 21) პრაქტიკულად, ეს ეხება როგორც ძალას ასევე თანხმობას, რომლებიც ერთმანეთს ორმხრივად აბალანსებენ – ძალა იმ ოპოზიციური ჯგუფების საწინააღმდეგოდ, რომლებიც უნდა განადგურდნენ ან იქცნენ არაეფექტურად; და თანხმობა მოკავშირეებისთვის ან მათთვის, ვინც შეიძლება მოკავშირეებად იქცნენ. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ინტელექტუალებს და პოპულარულ მედიას ენიჭება, რომლებიც იყენებენ თავიანთ მორალურ და დამარწმუნებელ ძალას, რათა დომინირებულ და დომინირებად კლასებს შორის "არა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების უნისონს, არამედ ასევე ინტელექტუალურ და მორალურ ერთიანობას მიაღწიონ" (გვ.18). მმართველ კლასს, შესაძლოა, ხელს აძლევდეს ვიწრო ეკონომიკურ დათმობებზე წასვლა (მაგალითად, შრომის კანონმდებლობის ან კეთილდღეობის იდეიდან წამოსული სარგებლის მიმართულებით), მაგრამ იგი ამას აკეთებს წარმოების საშუალებების მფლობელობაზე დაფუძნებული მისი რაიმე სახის ძალაუფლების დათმობის გარეშე. ხშირად "ჰეგემონიის" შესახებ გრამშის მიერ გამოთქმული იდეები მცდარად განიხილება, როგორც ძალაუფლების მონოპოლისტური და შეუკამათებელი სტრუქტურა. რეალურად, გრამში მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ ჰეგემონია სუსტია და მას მუდმივად უპირისპირდება ალტერნატიული იდეოლოგიები. შედეგად, ჰეგემონიას მუდმივად ხელახალი განმტკიცება და განახლება სჭირდება (Alonso, 1994: 38). გრამში, ძირითადად, ცდილობდა მისი თანამედროვე იტალიის ისტორიაში სახელმწიფოს ლეგიტიმურობის მიზეზების ახსნა მოენახა – უფრო კონკრეტულად კი, ეჩვენებინა, თუ რას ეფუძნებოდა ფაშიზმის პოპულისტური კორპორატივიზმის ლეგიტიმურობა. თუმცა, მისი თეორია უკეთ ესადაგება დემოკრატიების უნარს, მართონ თანხმობის ნიადაგზე, თვით არსებული აშკარა უსამართლობების ფონზეც კი.

ცხრილი 10.1

„პოსტმოდერნიზმი“ ანთროპოლოგიაში, როგორც ოთხი თეორიული მიმართულების თანხვედრა

	განმსაზღვრელი ატრიბუტები	ძირითადი ტერმინები	უმთავრესი ნაშრომები
ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია	* “აღწერის მოდელი, მოითხოვს ინტენსიურ საველე მუშაობას; უარყოფს მეცნიერული ობიექტურობის შესაძლებლობას; ყველა ინტერპრეტაცია სიტუაციური ტიპისაა *ეთნოგრაფია, როგორც ლიტერატურული ტექსტი *აანალიზებს სიმბოლურ სისტემებს, რათა გაიაზროს კულტურა როგორც გამოცდილება * უფრო მეტად ეძებს „სხვების“ შეხედულებათა გამოხატვას, ვიდრე მკვლევრისას	აღწერა ტექსტი პარადიგმა (კულტურული მნიშვნელობების სისტემა)	გეეტცი, კულტურების ინტერპრეტაცია, კონკრეტულად კი „ღრმა თამაში: ჩანაწერები ბალიური[1] მამლების ბრძოლის შესახებ“
კრიტიკული ანთროპოლოგია	*ანთროპოლოგიური წარმომადგენლობა უფრო მეტად ეთნოგრაფს წარმოჩენს, ვიდრე იმ ხალხებს, ვისაც სწავლობენ * რეფლექსურობის ნაკლებობობას მოაქვს ობიექტურობის ყალბი განცდა *ანთროპოლოგია სწავლობს კოლონიალიზმს, პოსტკოლონიალიზმს	რეფლექსურობა; წარმომადგენლო-ბის კრიზისი; სიტუაციური ცოდნა	კლიფორდი და მარკუსი, „კულტურის ნაწარმოები: ეთნოგრაფიის პოეზია და პოლიტიკა“
პოსტმოდერნიზმი	* განმანათლებლობის მოდერნიზმი (პროგრესი რაციონალიზმის, ტექნოლოგიების, მეცნიერების მეშვეობით) პოსტმოდერნულობის საპირისპიროდ * წინააღმდეგია ყველა „დიდი თეორიის“ და „მეტანარატივის“, მათ შორის მეცნიერების, რომელიც პრივილეგირებულ ნარატივად იქცა * სუბიექტურობა, იმპრესიონიზმი რომელიც ხაზს	ჰერმენევტიკა; დეკონსტრუქცია; ფრაგმენტაცია კანონზომიერების არ არსებობა; ჰიბრიდულობა	ჯეიმსონი, „პოსტმოდერნიზმი, ანუ გვიანი კაპიტალიზმის კულტურული ლოგიკა“

[1] ბალიელები —ინდონეზიაში მცხოვრები მოსახლეობა. მათი რაოდენობა დაახლოებით 3 მილიონია (ინდონეზიის მოსახლეობის 1,5%). ძირითადად ცხოვრობენ კუნძულ ბალიზე.

	უსვამს ყალბ ობიექტურობას * უარყოფს განსხვავებას მაღალ და დაბალ კულტურებს შორის *„რეალობა“ სოციალურად კონსტრუირებულია; ცოდნა შედარებითი ცნებაა		
პოსტსტრუქტურა-ლიზმი	* შეისწავლის ისტორიული დროის პერიოდების და ინსტიტუტების დისკურსს * ფოკუსირდება ეპისტომოლოგიასა და ენაზე *უარყოფს ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმის უნივერსალურ მოწოდებებს * ხაზს უსვამს ძალაუფლებას, როგორც ყველა დისკურსში არსებულ მოვლენას	დისკურსი; ძალაუფლება/ ცოდნა; დაჟინებული მზერა	ესკობარი, „განვითარებასთან შეჯახება“

წყარო: ლეველენი 2002: 38

ფრანგული კავშირი: ბურდიე და ფუკო

იმ უამრავ ფრანგ ფილოსოფოსს შორის, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს ამერიკულ ანთროპოლოგიაზე, ყველაზე დიდი წვლილი პიერ ბურდიეს და მიშელ ფუკოს მიუძღვით. ბევრი კუთხით ეს ორი ავტორი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან: ბურდიე, რომელიც სველე ანთროპოლოგი იყო და შემდეგ სოციოლოგად იქცა, სრულყოფილი სოციალური მეცნიერია. იგი ცდილობს საკუთარი ჰიპოთეზები ემპირიულად დაადასტუროს და დიდი გულმოდგინებით შერჩეული სტატისკური მონაცემების საფუძველზე შექმნილი დიაგრამების მეშვეობით წარმოაჩინოს. ფუკო, რბილად რომ ვთქვათ, მინიმუმ ეჭვის თვალით უყურებს ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე სოციალურ მეცნიერებას. მას მიაჩნია, რომ სოციალური მეცნიერებები რეპრესიული დისციპლინური ფუნქციების განხორციელების საქმეს ემსახურებიან. მეორეს მხრივ, ორივე მათგანს აინტერესებს, თუ როგორ შეუმჩნევლადაა ძალაუფლება წარმოდგენილი აშკარად კეთილშობილურ ინსტიტუტებში და როგორ ხდება მისი განვრცობა კულტურის არაპოლიტიკური ასპექტების მეშვეობით, ისეთების მაგალითად, როგორიცაა დახვეწილი ხელოვნება (ბურდიე) და სექსუალობა (ფუკო). გრამშის მოსაზრებიდან გამომდინარე, ორივე, ბურდიეც და ფუკოც

ინტელექტუალებისთვის მნიშვნელოვანი ძალაუფლებითი ფუნქციების პოსტულირებას ახდენენ. ამასთან ერთად, ორივე მათგანი უარყოფს მატერიალიზმს და უპირატესობას ანიჭებს სიმბოლურ ინტერპრეტაციებს. ორივე, იქიდან გამომდინარე, რომ სოციალურ მეცნიერებებში შეუძლებელია ნეიტრალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ობიექტივიზმი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პოზიტივიზმს; ორივე ცდილობს დაძლიოს ობიექტურობასა და სუბიექტურობას შორის არსებული დიქოტომია; და ორივე უარყოფს "დიდ თეორიებს", მაშინ, როდესაც, ამავე დროს, თავადვე ქმნიან ახალ დიდ თეორიებს.

ბურდიე და ფუკო უსაზღვროდ პროდუქტიული და ლაბირინთულად ჩახლართული მეცნიერები არიან. შეუძლებელია მათი თეორიების მოკლედ გადმოცემა ისე, რომ გარკვეულწილად მაინც არ მოვახდინოთ მათი არგუმენტების დახვეწილობის იგნორირება ან არ მივმართოთ გამარტივებას. თუმცა, ანთროპოლოგიის კუთხით, ბურდიეს და ფუკოს შრომების მხოლოდ გარკვეული ასპექტებია გამოყენებადი; და ეს ასპექტებიც ზოგჯერ იმდენად ნორმატიული ხდება, რომ მათი საწყისები იკარგება (მაგ. ბურდიეს "კულტურული კაპიტალი" და ფუკოს "დისკურსი"). მე არ ვცდილობ ფართო განზოგადების გაკეთებას. ჩემი მიზანია, წარმოვაჩინო პოლიტიკურ ანთროპოლოგიაზე ბურდიესა და ფუკოს ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

პიერ ბურდიე

ახალგაზრდა პიერ ბურდიე ალჟირში, ალჟირის დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ომის პერიოდში მსახურობდა არმიაში, სადაც ის კონფლიქტის დასრულების შემდეგაც დარჩა, რათა კაბილიას არაბულ თემში ინტენსიური საველე მუშაობა ჩაეტარებინა. მიუხედავად იმისა, რომ ბურდიე საკუთარ თავს უფრო სოციოლოგს უწოდებდა, ვიდრე ანთროპოლოგს, სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში იგი ხშირად უბრუნდებოდა მის მიერ ჩატარებულ ეთნოგრაფიულ სამუშაოებს. ბურდიემ თავისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის "პრაქტიკის ლოგიკა" (The Logic of Practice 1980) დაახლოებით ნახევარი მის მიერვე კაბილის საზოგადოებაში ინტენსიური სტრუქტურული კვლევისას განვითარებულ თეორიებს დაუთმო. ბურდიეს მიერ შექმნილ უფრო სოციოლოგიური ტიპის ნაშრომებში, კონკრეტულად კი " განსხვავება: გემოვნების სოციალური კრიტიკა" *(Distinction: A Social Critique of the Judgment of Taste 1979, 1990)* სოციოლოგიური კვლევის ისეთი მეთოდოლოგიაა გამოყენებული, როგორიცაა გამოკითხვაზე დაფუძნებული კვლევა და კლასისა და კულტურის ანალიზის ფარგლებში განხორციელებული სტატისტიკური ანალიზი. 1998 წლისთვის მას პოპულარობა მოუტანა მრავალტირაჟიან ფრანგულ ყოველკვირეულ გაზეთში

პირველ გვერდზე დაბეჭდილმა სტატიამ, სადაც იგი მოხსენიებული იყო როგორც "ყველაზე ძლიერი ინტელექტუალი საფრანგეთში" (Lane 2001:1), რომელიც იზიარებდა ჟან პოლ სარტრის ეგზისტენციალიზმსა და ჯაკობს დერიდასა და მიშელ ფუკოს პოსტსტრუქტურალიზმს. თუმცა, ბურდიეს ამ კუთხით განხილვა საკმაოდ რთულია, რადგან იგი საკუთარი ნააზრევის წარსულსა და თანამედროვეობაში არსებული პარადიგმების ფარგლებში გაზრების წინააღმდეგი იყო. მართალია ბურდიე იზიარებდა პოსტმოდერნისტულ ხედვას განმანათლებლობის ობიექტივიზმის უარყოფის თაობაზე, მაგრამ ასევე მკაფიოდ უარყოფდა იმას, რაც მას მეცნიერებასა და მეცნიერულ მეთოდებზე პოსტმოდერნისტთა "შეტევად" მიაჩნდა. მძლავრად ეწინააღმდეგებოდა რა "როგორც თეორეტიციზმის უაზრო და ხმამაღალ აბსტრაქციებს, ასევე პოზიტივიზმის ყალბად მკაცრ დაკვირვებებს" (Bourdieu and Wacquant 1992: 27-28)", ბურდიეს სურდა ერთ, უნიფიცირებულ სოციოლოგიურ სისტემაში გაეერთიანებინა ობიექტური და სუბიექტური, მაკრო და მიკრო, მოქმედება და სტრუქტურა. მართალია ბურდიეს მიერ შემოთავაზებული სისტემა საკმაოდ რთულია, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი რამდენიმე ცენტრალური ცნებით შეჯამება. ეს ცნებებია: კულტურული კაპიტალი, ჰაბიტუსი (habitus) და ველი.

ბურდიესთვის სოციალური მეცნიერების წინაშე მდგარი უმთავრესი საკითხი ძალაუფლებაა: როგორ ნარჩუნდებიან და რეპროდუქტირებენ იერარქიული სოციალური სისტემები? აშკარაა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში სოციალური სტატუსის მოპოვება ძალადობრივი გზით არ ხდება. არც ისე, როგორც ეს მარქსს მიაჩნდა – მეტწილად ეკონომიკის საშუალებით, რაშიც წარმოების საშუალებების ფლობა მოიაზრებოდა. მართლაც, მასწავლებლები, მსახიობები, მწერლები და სხვა ინტელექტუალები ხშირად სტატუსის იერარქიის მხრივ ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე არიან წარმოდგენილნი, ვიდრე ამის ვარაუდი შესაძლებელი იქნებოდა მათი შემოსავლების ან პოლიტიკური ძალაუფლებიდან გამომდინარე. პასუხი ნაწილობრივ ისაა, რომ ყველა კულტურული სიმბოლო და პრაქტიკა ასახავს სოციალურ განსხვავებულობას და ამით ხელს უწყობს ძალაუფლების იერარქიის განსაზღვრას.

ამ ანალიზში გადამწყვეტია ის, რომ კულტურა, თავისთავად, უკვე არის კაპიტალის ფორმა, ისევე როგორც, ვთქვათ, ფული ან ქონება. კულტურული კაპიტალი რამდენიმე განსხვავებული გზით წარმოჩინდება. ეს შეიძლება მეტწილად გაუცნობიერებელ წინასწარ განწყობათა მთელი ქსელი იყოს, რომელიც კონკრეტულ კლასში სოციალიზაციისას წარმოიშობა: წერისა და საუბრის მანერა, ზოგადი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოება, ხელოვნების, მუსიკის და ლიტერატურის გარკვეული მიმდინარეობებისადმი უპირატესობის მინიჭება და

მიმოხვრისა და სიარულის მანერაც კი. კულტურული კაპიტალი წიგნებში, ნახატებსა თუ იმ სამეცნიერო ინსტრუმენტებშიც აისახება, რომელიც სპეციალიზირებულ ცოდნას მოითხოვს. და ბოლოს, კულტურული კაპიტალი მოიცავს იმგვარ ცნებებს, როგორიცაა მაგალითად, სასწავლებლის დამთავრების ხარისხი, ან ექიმის ლიცენზია, რომლის მოპოვებაც საგანმანათლებლო ბაზრის მეშვეობითაა შესაძლებელი. მსგავსი კულტურული კაპიტალის გვერდით თანაარსებობს სოციალური კაპიტალიც: ნათესაობითი ურთიერთობები, სამეგობრო წრე და გავლენიანი ძველი ბიჭების ქსელები. კულტურული კაპიტალი, ეკონომიკური კაპიტალის მსგავსად, შეზღუდული და ხშირად მწირი რესურსია. ზოგიერთი მის გარკვეულ წილს მემკვიდრეობით, მშობლებისგან ღებულობს, თუმცა ცხოვრების მანძილზე, ინტენსიური კონკურენციის პირობებში, ბევრია გასაკეთებელი მოცემული კაპიტალის შესანარჩუნებლად და გასამყარებლად.

ყველაზე დიდად დაფასებული კულტურული კაპიტალის მქონე ინდივიდები ასახავენ საზოგადოების ნორმებს და თავადვე აწესებენ მათ. სწორედ მათ აქვთ უნარი - თავს მოახვიონ საზოგადოებას სამყაროს მათეული ხედვა. საშუალო და დაბალი კლასებისთვის მოცემული სამყაროს ხედვა – ძალაუფლების და უთანასწორობის იერარქიის ულაპარაკოდ მიღება – ძალიან ახლოს დგას იმასთან, რასაც მარქსი “ყალბ ცნობიერებას” უწოდებდა. თუმცა, ბურდიეს მიხედვით სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს მხოლოდ მდიდარი ადამიანებისგან მომდინარეობდეს და ვრცელდებოდეს. სწორედ ამიტომ, ბურდიე ინტელექტუალებზე აკეთებს ხაზგასმას. საფრანგეთში იგი მწერლებში, მსახიობებში, მუსიკოსებსა და ფილოსოფოსებში პოულობს ძალაუფლების წარმოქმნისა და ლეგიტიმირების წყაროს.

სოციალური განპირობებულობა, რომელიც მსგავს ლეგიტიმაციაში აშკარად არ ჩანს, ინდივიდის ჰაბიტუსში აისახება. ბურდიე (1990:53) მოცემულ ტერმინს არცთუ ისე თანმიმდევრულად და დაწყობილად განმარტავს:

“მყარი, ტრანსპორტაბელური განწყობილებები, სტრუქტურირებული სტრუქტურები, რომლებიც მიდრეკილნი არიან იმოქმედონ, როგორც მასტრუქტურირებელმა სტრუქტურებმა. ამაში იგულისხმება იმ პრაქტიკებისა და რეპრეზენტაციების წარმომქმნელი და მაორგანიზებელი პრინციპები, რომლებიც შეიძლება ობიექტურად იქნენ მორგებულნი მათივე შედეგებზე, გაცნობიერებული საბოლოო მიზნების წინასწარ ვარაუდის ან ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი ოსტატური მოქმედებების გარეშე.”

ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტრუქტურისა და მოქმედების ურთიერდაპირისპირების მუდმივი პრობლემის გადაწყვეტას ბურდიესთვის ჰაბიტუსი წარმოადგენს: როგორ განსაზღვრავს ან სულ მცირე, შემოსაზღვრავს ინდივიდის ქცევას საზოგადოება, როდესაც ინდივიდები მთლიანად თავისუფლები არიან იმოქმედონ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე? რატომ ჯდება ინდივიდუალური ქცევა სტატისტიკურად გათვლად მოდელებში?

ბურდიესთვის სოციალური რეალობა არის ობიექტურიც და სუბიექტურიც, ერთდროულად აქ მყოფიც და არ მყოფიც. ჰაბიტუსი მეტწილად საზოგადოების ობიექტური ნორმებისა და წესების არაცნობიერი ინტერნალიზაციაა, რომელიც გვირჩევს, თუ როგორ მოვიქცეთ ნებისმიერი მოცემული სიტუაციის პირობებში. იგი არაა დეტერმინირებული, რადგან თავად წესები და ნორმები არაა ხისტი. ის მართლაც შეიძლება იყოს კონფლიქტური, დაპირისპირებული და გარკვეული შეზღუდვის ფარგლებში უკანდამხევიც კი. ფაქტობრივად, ისეთ სიტუაციებში, სადაც მოქმედება მკვეთრად რეგულირებადია, როგორც მაგალითად, ციხეში ან ჯარში, ჰაბიტუსი ნაკლებ როლს (ან საერთოდ არანაირ როლს) არ თამაშობს, რადგან გადაწყვეტილების მიღება მინიმალიზირებულია. ადამიანთა მოქმედების უდიდესი ნაწილი ყველა შესაძლო ალტერნატივას შორის გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შედეგი კი არ არის, არამედ, უფრო მეტად, მენტალური ჩვევის ასახვაა. ნებისმიერ სიტუაციაში, ჰაბიტუსი წარმოშობს ჩარჩოს, რომელიც ძალიან შეზღუდული იმპროვიზირების ფარგლებში მიმართულებას აძლევს მოქმედებას. მართალია, ჰაბიტუსი ნაომ ჩომსკის მიერ შემუშავებულ ენის ღრმა სტრუქტურის კონცეფციას იქნა შედარებული, მაგრამ, რეალურად, ბურდიეს კონცეფციის მიხედვით, ჰაბიტუსში არაფერია თანდაყოლილი. ის ყოველთვის მომდინარეობს სპეციფიური კლასობრივი სოციალიზაციიდან და წარმოიქმნება, როგორც მეტწილად არაცნობიერი სტრატეგია, რომელიც მიმართულია ვინმეს კერძო ინტერესებისკენ. ჰაბიტუსი, ამგვარად, უპირისპირდება რაციონალური აქტორის თეორიებს, რომლის მიხედვითაც, სტრატეგია ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზის და შესაძლო მოქმედებების რიგისგან სრულიად გაცნობიერებულად წარმოიქმნება. მართალია ჰაბიტუსს აქვს გარკვეული მსგავსება კულტურის შესახებ ანთროპოლოგების ზოგიერთ კონცეფციასთან, მაგრამ ამასთანავე, არსებობს გარკვეული მნიშვნელოვანი განსხვავებულობებიც. მაგალითად, იგი ნაკლებად ეთანხმება კლიფორდ გეერტცის (Clifford Geertz, 1973) მოსაზრებას, რომ ერთმანეთზე დაწყობილი სიმბოლური მნიშვნელობის ფენები კულტურული ფსიქოანალიზის გამოყენების შედეგად შეიძლება ჩამოიშალოს. ჰაბიტუსი არის კულტურა, როგორც პრაქტიკა და არა სიმბოლიზმი წარმოსახვითი მნიშვნელობით.

ჰაბიტუსი წარმოჩინდება კონკურირებადი ბრძოლის ველებზე. არსებობს იმდენი მსგავსი ველი, რამდენი კაპიტალის ფორმაცაა: ეკონომიკური კაპიტალი ღირებული რესურსია ეკონომიკური ველის ფარგლებში; არტისტული კაპიტალი - ხელოვნების სფეროში; მეცნიერული კაპიტალი – მეცნიერულ სფეროში; ამ კონკურენციის ფარგლებში ისინი, ვინც უკვე არიან ძალაუფლებით პოზიციებზე, კონსერვატიული სტრატეგიის გამოყენებას შეეცდებიან, მაშინ როცა მათ, ვისაც ცვლილება სურთ, საპირისპირო სტრატეგიას მიმართავენ. მიუხედავად ამ განსვავებებისა, არსებობს ზოგადი შეთანხმება შეჯიბრის მიზნებსა და ყველაზე ღირებული რესურსების თაობაზე. ისევე როგორც სხვადასხვა მაგიდაზე პოკერის თამაშის შემთხვევაში, აქაც ყოველ სფეროს კონკრეტული თამაშის, პრიზების და წესების ტიპების შესახებ მისი საკუთარი შეთანხმება ექნება. თუმცა პოკერისგან მას უმთავრესი რამ განასხვავებს: მოცემულ ძალაუფლებით თამაშებში სტრატეგია დამყარებულია წინასწარ მოფიქრებულ წესებზე, რომლებიც უფრო მეტად ასახულია ინდივიდუალურ ჰაბიტუსში, ვიდრე შესაძლებლობათა რაციონალურ მიღებაში. მართლაც, ობიექტური ცოდნა მკვეთრად შეზღუდულია. რადგანაც ძალიან ძნელი, ან თითქმის შეუძლებელია იფიქრო არა საკუთარი ჰაბიტუსიდან გამომდინარე, არამედ გარედან.

სწორედ ამ ბრძოლების და საზოგადოების მიერ არსებული წესების გაუცნობიერებლად დანერგვის გზით ნარჩუნდება ძალაუფლებრივი იერარქიები და თაობიდან თაობაზე ხდება მათი გადაცემა. ამგვარად, ბურდიესთვის, ჰაბიტუსი ერთმანეთთან აკავშირებს მაკრო (ობიექტურ სოციალურ სტრუქტურას) და მიკრო (ინდივიდუალურ მოქმედებას) სფეროებს უხილავ ერთობაში. ბურდიე, იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ არსებობს რეალურად ობიექტური სოციალური სტრუქტურა, რომელიც აღწერადია სისტემატური მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაკვირვების გზით და ამგვარად, არ არის დამოკიდებული რაიმე სახის ინდივიდუალურ სპეციფიურობაზე, უარყოფს პოსტმოდერნისტულ სუბიექტივიზმს. მიუხედავად ამისა, მოცემული სოციალური სტრუქტურა ინდივიდუალურ დონეზე ჰაბიტუსის გზით არსებობს და მოქმედებას არარეფლექსურ, დიდწილად პასუხისმგებლობით დონეზე წარმართავს. ასე რომ, თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესი არასდროს არაა რეალურად მთლიანად თავისუფალი და ასევე არასდროს არაა სრულად დამყარებული ობიექტურ ანალიზზე.

მოცემულ დებულებებში გარკვეული წინააღმდეგობებია, რომელთაგან ერთ-ერთს თავად ბურდიეც აცნობიერებს: თუკი, რეალურად, ჩვენ არასდროს ვიმყოფებით ჩვენივე ჰაბიტუსის მიღმა, როგორღაა შესაძლებელი რაიმე რეალური სოციოლოგია? თუკი არანაირი ცოდნა არ შეიძლება იდგეს სოციალური ზეგავლენის მიღმა, როგორ შეგვიძლია ჩვენ ვივარაუდოთ, რომ გავაანალიზებთ

საზოგადოებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ფიქრებს? აშკარაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვქმნათ მსგავსი ცოდნა კლასიფიკაციის, ყოველდღიური წინააღმდეგობების და საზოგადოების ფარგლებში არსებული ადამიანთა ინდივიდუალური თვითშემეცნებიდან გამომდინარე - თუკი მათი გააზრება მხოლოდ დ მხოლოდ იმას ასახავს, რაც ზედაპირზე ჩანს. მოცემული კითხვის პასუხია ის, რომ "რეფლექსიური სოციოლოგია" ჰაბიტუსის ბუნების და კულტურის იძულების გაცნობიერებას საჭიროებს. სოციოლოგმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი პოზიცია იმ საზოგადოებაში, რომელსაც იგი აღწერს. როგორც სისტემური, ასევე მკვეთრად თვითკრიტიკული მეთოდები ისე უნდა განვითარდეს, რომ მხოლოდ ზედაპირზე არ დარჩეს და ქვედა დონეებამდეც ჩააღწიოს (Bourdieu 1990a, Bourdieu and Wacquant 1992, Lane 2000, Swartz 1997).

მიშელ ფუკო

მიშელ ფუკოს წიგნი "დისციპლინა და დასჯა" *(Discipline and Punish 1977)* იწყება 1757 წლის 2 მარტს, პარიზის ტაძრის მთავარი კარის წინ მდებარე სავაჭრო მოედანზე მომხდარი საჯარო წამების დეტალური აღწერით. ბრალდებულის სხეულს საათობით, სიწითლემდე გახურებული მაშებით შანთავდნენ, ჭრილობებზე კი "გამდნარ კალას, ადუღებულ ზეთს, ცეცხლწაკიდებულ რეზინას, ცვილს და გავარვარებულ ფერფლს აყრიდნენ". შემდეგ, მისი სხეული ექვსმა ცხენმა ათრია. საბოლოოდ, ჯერ კიდევ ცოცხალი ბრალდებული ცეცხლში ჩააგდეს. დანაშაული, რითაც მართლებოდა მსგავსი საოცარი სისასტიკის წარმოდგენის დადგმა - საფრანგეთის მეფეზე (რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას განასახიერებდა) თავდასხმის მცდელობა იყო. საჯარო წამება, ამგვარად, იყო რიტუალის ფორმა, რომელიც სიმბოლურ დონეზე განამტკიცებდა და აღადგენდა საფრთხედამუქრებულ სუვერენიტეტს. საფრანგეთის წინარეინდუსტრიულ ეკონომიკაში საზოგადოება ეფუძნებოდა სუვერენსა და მის ქვეშევრდომებს შორის არსებულ პიროვნულ ურთიერთობებს. ფუკოს მიერ გადმოცემული „ტკივილის წარმოდგენის" ფარგლებში, მაყურებლები არა მხოლოდ უბრალო დამკვირვებლები, არამედ ამავე დროს, წესრიგის ხელახალი დამყარების აქტიური მონაწილეებიც იყვნენ.

მარათალია, მეფის მკვლელის დასჯა განსაკუთრებული სპექტაკლის სახით იქნა წარმოჩენილი, თუმცა, წამება რუტინად და სამართლიანობის აღსრულების პროცესის მოსალოდნელ ნაწილად იყო ქცეული. მას სისტემატიზირებული, კოდიფიცირებული და მკაცრად

რეგულირებული ხასიათი ჰქონდა. იმ სისტემის ფარგლებში, სადაც დანაშაულის ხარისხის აღიარება აშკარა ფაქტებზე დაყრდნობით ხდება, აღსარება მიჩნეულ იყო სიცხადის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმად. ხოლო წამება კი მისი მოპოვების ლეგიტიმურ ფორმად. სახელმწიფოს მიერ ტკივილის მიყენება და სიკვდილით დასჯა სასჯელის უმთავრესი საშუალებები იყო.

მოდი, გავუსწროთ დროს რამდენიმე ათეული წლით და გადავიდეთ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. ფუკო ახდენს პატიმრის დღის მარეგულირებელი წესების ციტირებას. ესაა დიდწილად ჯგუფებად გადანაწილების პირქუში პროცესი, რომელიც ემყარება რწმენას, რომ პატიმარი შეიძლება ხელახლა გადაჯგუფდეს მისი ცუდი ქცევიდან გამომდინარე. კარცერში გადაყვანა დასჯაზე მეტად პატიმრის ტრანსფორმაციის უმთავრეს საშუალებად იქცევა. ადამიანების სიკვდილით დასჯა კვლავაც გრძელდება, ოღონდ წამების გარეშე. მისი მნიშვნელობა რადიკლაურად შეიცვალა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სიკვდილით დასჯა უკვე არა მეფის მიერ ძალაუფლების დამტკიცება, არამედ მორალური თამაშია, რომლის მეშვეობითაც ხალხს ასწავლიან სწორად ქცევას.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უფრო სუსტი ან ნაკლებ რეპრესიული გახდა. არამედ მხოლოდ იმას, რომ ახალმა პოლიტიკურმა ეკონომიკამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ხელისუფლების ფუნქციონირების მექანიზმებში. ფუკოსთვის ეს იყო გადამწყვეტი ტრანზიტული პერიოდი, როდესაც ძალაუფლების მექანიზმებმა შეაღწია "ადამიანის არსებობის კაპილარულ ფორმებამდე, შეეხო მათ სხეულებს და აისახა მათ მოქმედებებსა და პოზიციებში, მათ დისკურსში, სწავლის პროცესსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეთვრამეტე საუკუნემ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გამოიგონა ძალაუფლების სინაფსური ფორმა, რომელიც იწვრთნება სოციალური სხეულის ფარგლებში და არა მის მაღლა" (Foucault 1980:39). ფეოდალიზმის პერიოდის მსოფლიოში, ყმის რეგულირება ზემოდან ადვილი იყო, მაგრამ ინდუსტრიული კაპიტალიზმი ინდივიდისგან საკუთარი თავის რეგულირებას მოითხოვს. ამის მიღწევა დისციპლინური დაკვირვების ან ზედამხედველობის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომელიც არა მხოლოდ სუბიექტის სხეულის, არამედ მისი სულის სიღრმეებისთვის იყო განკუთვნილი (ტერმინი, რომელსაც ფუკო იყენებს ფსიქიკის, ხასიათის თავისებურებების, შემეცნების და ინდივიდის სუბიექტურობის გამოსახატავად). დაკვირვების (კონტროლის) კვინტენსენციური მოდელი ჯერემი ბენთამის მიერ დახატულ პანოპტიკური საპყრობილის (საკნების წრე, რომელიც აგებულია ცენტრალური დაცვის კოშკურის გარშემო) მოდელშიც გვხვდება. მოცემულ კონცეფციაში ყველა ბინადარი ხილვადია ყველა მომენტში. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში ყველა მსჯავრდებული დაცვის თვალთვალის ქვეშ

მუდმივად ვერ იქნება, მაგრამ მუდმივი მეთვალყურეობის ალბათობა და ილუზია ხელს შეუწყობს პატიმრების შესაბამის ქცევას. აქ ჩვენ ვღებულობთ ხილვადობის ინვერსიას. სუვერენის არსებობის პერიოდში სწორედ ძლიერნი იყვნენ მუდმივად ხილვადნი, ახლა კი სუბიექტი არის ხილვადი, მაგრამ ძალაუფლება კი დამალული.

მსგავსი ზედამხედველეობა არა მხოლოდ ციხეებში ხორციელდება. ქარხნები, საავადმყოფოები, სასკოლო ოთახები და სამხედრო ბანაკები ხშირად ისეა მოწყობილი, რომ მაქსიმალურად განახორციელოს მსგავსი დისციპლინარული ზედამხედველობა. მსგავსი სასურველი დისციპლინის მიღწევა შეთვისებული და შესაბამისად, მიღწეულია ძალადობის რესურსის გამოყენების გარეშე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ადამიანები იქცნენ მანქანებად - ისინი იძულებულნი არიან, მაგალითად, სამხედრო სამსახურის მოხდისას იარონ გარკვეულ მანძილზე, დიდი ხნის განმავლობაში იდგნენ გაუნძრევლად ან საამწყობო კონვეირში მუშაობისას დაუსრულებლად ასრულებდნენ ერთი და იგივე მცირე ტიპის მოქმედებებს – ამგვარი მოქმედებების მიზანი არა უსახური ავტომატების, არამედ ინდივიდების შექმნაა. მხოლოდ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ტიტული, მხოლოდ ინდივიდი შეიძლება გასამართლდეს, მხოლოდ ინდივიდის მოქმედება შეიძლება იქნეს გაანალიზირებული და ასევე, მხოლოდ ინდივიდი შეიძლება იქნეს გამოსწორებული და გაუმჯობესებული. მაშინ, როდესაც წარსულში მხოლოდ მმართველები, გმირები და წმინდანები იყვნენ ინდივიდუალიზირებულნი - ახლა თვით ყველაზე დაბლა მდგომი ადამიანის უმნიშვნელო მოხსენებაც კი ინახება. ინდივიდუალიზაცია ნაწილობრივ, ნორმალიზაციის გზით მიიღწევა, სადაც სტანდარტს აწესებს გარკვეული ინსტიტუტი (კარგი ჯარისკაცი, ვაჟკაცური ჰეტეროსექსუალი, მუშა, რომელიც თავის საქმეს მაღალ დონეზე ასრულებს). ნორმაზე დაბლა დაშვება იწვევს დასჯას. ნორმაზე მაღლა ასვლა კი – წინსვლას და დაჯილდოებას.

ფუკო, შეისწავლის რა კრიმინალთან მიმართებით განხორციელებულ ცვლილებებს, რეალურად, სხვადასხვა დროის მონაკვეთში არსებულ დისკურსებს აღწერს. ფუკო არც ტერმინ “დისკურსის” პოპულარიზებას ახდენს და არც დისკურსულ ანალიზს იგონებს. ის უბრალოდ, ცვლის ტერმინის მნიშვნელობას, რათა მასში ასახოს ანალიზის უფრო უჩინარი და ყოვლისმომცველი ფორმა. უფრო ადრე, დისკურსი მეტწილად ლინგვისტური ტერმინი იყო, რომელიც კონკრეტულ იდეოლოგიას, პროფესიათა გარკვეულ ჯგუფს შორის არსებულ ჩვეულებრივ საუბარს ან სოციალურ ურთიერთქმედებებს ასახავდა. ფუკომ ეს ყველაფერი უარყო და დისკურსის, როგორც აზრის გამოხატვის საშუალების გაგების ნაცვლად, მან იგი ანალიზის

საგნად აქცია. ფუკოს მიერ მოცემული "დისკურსის" ამომწურავი განსაზღვრება რთულია, რადგან თავადვე ტერმინს სხვადასხვაგვარად იყენებს:

"ტერმინ "დისკურსის" ისედაც მერყევი მნიშვნელობის თანდათანობით შემცირების ნაცვლად, მჯერა, რომ ფაქტობრივად, მე გავამდიდრე მისი მნიშვნელობა,ზოგჯერ მივიჩნიე რა ის ყველა განცხადების, ზოგჯერ ინდივიდუალიზირების უნარის მქონე განცხადებათა ჯგუფის და ზოგჯერ კი განცხადებათა გარკვეული რაოდენობის ასახსნელად გამოსადეგი რეგულირებადი პრაქტიკის ძირითად სამფლობელოდ.... . . (1972: 80)"

არსებითად და გარკვეულწილად გამარტივებულად რომ ვთქვათ, დისკურსი არის ცოდნის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს აზროვნების ან მოქმედების საზღვრებს. ეს არის კონკრეტული დროისა და ადგილისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობათა სისტემა; ეს არის ის, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენ - გავაკეთოთ ყალბი თუ ჭეშმარიტი განცხადებები. დისკურსი შედგება მეტწილად ქვეცნობიერ დონეზე არსებული წესების მთელი ქსელისგან. ამ აზრით, ის ემსგავსება ტრანსფორმაციულ გრამატიკას, რომელშიც წესების შედარებით პატარა ქსელს შეუძლია უსასრულოდ ბევრი უაზრო წინადადების წარმოქმნა. თუმცა, განსხვავებით ენის წარმმართველი წესებისგან, დისკურსული წესები ადგენენ არა მარტო იმას, თუ რისი ცოდნაა შესაძლებელი, არამედ იმასაც კი, თუ რისი წვდომაა შესაძლებელი. ამგვარად, ესაა წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქმედებების და ჩვენი ფიქრების საზღვრებსაც კი. იმ წესებს შორის, რომლებიც კონკრეტულ დისციპლინებს უდევს საფუძვლად, არის გამორიცხვის წესები (ანუ ის, რაც არ შეიძლება მასში შედიოდეს), კლასიფიკაცია (თუ როგორ ვახდენთ საგნებისა და თვისებების კატეგორიზირებას) და წესრიგი (თუ როგორ ვაკავშირებთ სხვადასხვა მოვლენას ერთმანეთთან). წესები განსაზღვრავს იმასაც, თუ ვის შეუძლია ლაპარაკი და ვის არა. მაგალითად: მედიცინის დისკურსის ფარგლებში მხოლოდ იმ დიპლომირებული სპეციალისტების მოსმენაა შესაძლებელი, რომლებსაც "ექიმები" ეწოდებათ. ყველა დისკურსი ისტორიულად სპეციფიურია. აქ იგულისხმება, რომ ისინი დაკავშირებულია გარკვეულ ისტორიულ პირობებთან, და, შესაბამისად, არ არსებობს ისეთი საერთო დისკურსი, რომელსაც შეეძლებოდა საბოლოო ჭეშმარიტების მტკიცება (როგორც ეს მეცნიერებისა და რელიგიის სფეროებშია). კრიტიკოსები მიუთითებენ ფუკოს ნაშრომებში პოლემიკის ნაკლოვანებაზე, ინდიფერენტულ, არაჯანსაღ ტონზე (მაშინაც კი, როცა საუბარია წამებასა თუ სიგიჟეზე). ფუკოს მოსაზრებით, მსგავსი დამოკიდებულება გამართლებულია

იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია სხვადასხვა დისკურსის სრულყოფილად განსჯა, რადგან არ არსებობს საშუალება იმყოფებოდე დისკურსის გარეთ.

ფართო აზრით, დროის გარკვეულ მომენტში შესაძლებელია საუბარი დასავლურ დისკურსზე. თავის ადრეულ ნაშრომებში ფუკო მსგავსი ფართო ისტორიული დისკურსის აღსანიშნავად მიმართავს ტერმინს "ეპისტემა". თუმცა მოცემულ ცნებას იგი ძირითადად იმგვარი სპეციფიური ინსტიტუტების ფარგლებში იყენებს, როგორიცაა ციხეები, საავადმყოფოები და კათოლიკური აღსარებები; ან კი ისეთ სამეცნიერო დისციპლინებთან მიმართებით, როგორიცაა მედიცინა, მეცნიერება, ფსიქიატრია თუ სოციოლოგია. ფუკოს ყველაზე მნიშვნელოვანი შრომები ფოკუსირდება ისეთ შემოსაზღვრულ დისკურსებთან, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლებოდა: მედიცინა, შეშლილობა, პენოლოგია და სექსუალურობა.

ფუკო უარყოფს ძალაუფლების, როგორც ადამიანებზე იძულებით ან ძალადობრივი მოქმედების გზით განხორციელების ლიბერალურ განსაზღვრებას. ამასთან ერთად, იგი ძალაუფლებას არ განიხილავს ინდივიდებში, კლასებში ან – როგორც მარქსი იტყოდა - წარმოების საშუალებათა მფლობელებში არსებულ მოვლენად. ძალაუფლება არაა ცნობიერი განზრახვა ან გადაწყვეტილების მიღება. ფუკო (1980: 70) ცდილობს გაიგოს, "თუ როგორ ხდება მოქმედება დამორჩილების მიმდინარე დონეზე, იმ განგრძობითი და უწყვეტი პროცესების დონეზე, რომელიც იპყრობს ჩვენს სხეულს, მართავს ჩვენს ჟესტიკულაციას, გვკარნახობს ჩვენს ქცევას და ა.შ.". მსგავსი ყველგან განვრცობადი ტიპის ძალაუფლება თავად დისკურსისთვისაა ნიშანდობლივი, რადგან დისკურსი განსაზღვრავს თუ რა არის ჭეშმარიტი და არა. ამგვარად, რეალური ძალაუფლება არა პრეზიდენტებში, პოლიციაში და ბიუროკრატიაშია, არამედ იმ სასკოლო სისტემაში, რომელშიც ჩვენი სოციალიზება ხდება, იმ სამედიცინო სფეროში, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას აკონტროლებს, იმ ფსიქიატრიულ სფეროში, რომელიც გვკარნახობს, თუ რა არის ფსიქოლოგიურად ნორმალური. ძალაუფლება არ შეიძლება განცალკევდეს ცოდნისგან და პირიქით. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ – ძალაუფლება/ცოდნა. ცოდნის სპეციალიზირების მოთხოვნა, შესაბამისად, იგივე ძალაუფლების მოთხოვნაა, მოთხოვნა - გქონდეს უფლება - მოახდინო კლასიფიცირება, გააკეთო ანალიზი, ჩაატარო დაკვირვება და განახორციელო ექსპერიმენტირება. განმანათლებლობის ხანის ლიბერალიზმისგან განსხვავებით, სადაც ჭეშმარიტება ძალაუფლების მტრად განიხილება, ფუკოსთვის ჭეშმარიტება ძალაუფლების ცენტრალური ასპექტია. ამგვარად, ნაცვლად კითხვისა - "რა არის ჭეშმარიტი?" იგი კითხულობს: "რომელი დისკურსი წარმოშობს ჭეშმარიტების კონკრეტულ ქსელს?"

დისკურსები დომინანტური დისკურსის მიღმაც არსებობენ. თუმცა, ეს დისკურსები დაქვემდებარებულ და დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ფუკო საკუთარ ნაშრომებს განიხილავდა, როგორც "ფიქციას". ფიქციას არა იმ აზრით, რომ იგი შეთხზულ ამბებს გვიამბობს, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ მისი სიმართლე არ ესადაგებოდა ჭეშმარიტების დომინანტურ რეჟიმებს ან თანამედროვეობის დისკურსებს. ფუკო, აშიშვლებს რა ძალაუფლების ბუნებას, გვთავაზობს საპირისირო დისკურსს, რომელიც მარგინალიზაციას იწვევს.

დისკურსი და განვითარება

ანთროპოლოგიისთვის ფუკოს თეორიების პირდაპირი მიმართება "განვითარების" დისკურსულ ანალიზშია მოცემული, რომელიც, ფაქტობრივად, 1990-იანი წლების შუა პერიოდში ანთროპოლოგიის სუბდისციპლინად იქცა. არტურო ესკობარი თავის წიგნში "განვითარებასთან შეჯახება: მესამე სამყაროს შექმნა და ნგრევა" *(Encountering Development: The Making and Unmaking of the Third World, 1995)* ცდილობს წარმოაჩინოს განვითარების წინააღმდეგობები. განვითარებას იგი გვიჩვენებს, როგორც მოდერნიზაციის პროცესის თანმდევ არა მხოლოდ სასიკეთო მხარეს, არამედ როგორც "მასიური სუსტად განვითარებულობის და გაღატაკების, უთქმელი ექსპლოატირების და ჩაგვრის" (გვ. 4) პროცესსაც. 1940-იანი წლების ბოლო პერიოდში პრეზიდენტმა ტრუმენმა წამოაყენა წინადადება - შეექმნათ განვითარების ინდუსტრია, რომლის მიზანიც იქნებოდა უფრო ღარიბი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია და მათი ცხოვრების დონის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება "რას ნიშნავს ეს?" - კითხულობს ესკობარი (გვ.39). "თქმა იმისა, რომ განვითარება იწყებს ფუნქციონირებას ისე, როგორც დისკურსი, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ის წარმოქმნის სივრცეს, რომელშიც მხოლოდ განსაზღვრული რამის თქმა ან თუნდაც წარმოდგენაა შესაძლებელი?" ამის პასუხია ის, რომ განვითარება თავიდანვე ეყრდნობოდა ექსკლუზიურად დასავლური ინდუსტრიული დემოკრატიების ცოდნის სისტემას. ხოლო იმ ხალხებისა და კულტურების, რომლებზეც უნდა განხორციელებულიყო ზეგავლენა, ალტერნატიული დისკურსები იგნორირებული, მარგინალიზირებული ან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყო.

განვითარების დისკურსი ფუნდამენტურად მატერიალისტურია – ეკონომიკური და ტექნოკრატიული. თუმცა, პოსტსტრუქტურალისტთა ხედვით, "მხოლოდ ეკონომიკა, ან თუნდაც მეტწილად ეკონომიკა, არაა მატერიალური საგანი. იგი ყველა ტიპის კულტურულ პროდუქციაზე

მაღლა დგას, ესაა ადამიანური საგნების და გარკვეული ტიპის სოციალური წესრიგის წარმოქმნის გზა” (გვ.59). ამგვარად, დისკურსის ანალიზი განვითარების თემიდან ეგრეთ წოდებულ “განვითარებად” ერებსა და თემებზე, განვითარების ფაქტორებზე და იმ წარმომადგენლობაზე გადაიხარა, რომელიც რეალობის ასახვაზე მეტად თავად წარმოქმნის მას. განვითარების ნორმალიზაციის მომხდენ დისკურსში ანუ დასავლური კაპიტალისტური ინდუსტრიალიზმის “ნორმალურ” მდგომარეობაში, ადამიანები დახარისხებულნი არიან ანომალიების, წესიდან ამოვარდნის სხვადასხვა კატეგორიაში: წერა-კითხვის უცოდინრები, განვითარებადები, ისინი, ვინც საკვების სიმწირეს განიცდიან, უმიწაწყლო გლეხები და სხვა ამის მსგავსი. სისტემა უშვებს იმგვარ უპირატესობას, რომ უარყოფილია უფრო დაბლა მდგომ დისკურსებთან დიალოგის შესაძლებლობასაც კი. ადამიანები გაიგებიან როგორც პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, ხოლო გადაწყვეტილებები კი მეტწილად ტექნოლოგიების მეშვეობით მიიღწევა. ტექნოლოგიებში არა მხოლოდ მატერიალური მხარე იგულისხმება, არამედ ასევე, გარკვეული ტიპის მორალური ძალაც, რომელიც ინოვაციის და მწარმოებლობის ეთიკის დამკვიდრებასთან მიგვიყვანს. სოციალური ცხოვრებაც ტექნიკურ საკითხად იქცევა, რომლის მოგვარებაც ტექნიკოსებს უნდა მიენდოთ. ეს ნიშნავს პროფესიონალების განვითარებას, რომლებსაც ექნებათ სპეციალიზირებული ცოდნა და შესაბამისად, იქნებიან დიპლომირებულებიც. ამგვარად, ნებისმიერი სახის ინტერვენციამდე კლიენტი მოსახლეობა განვითარების სააგენტოების მიერ სოციალურად კონსტრუირებულია როგორც საზოგადოებები, რომლებიც განიცდიან რაიმეს ნაკლებობას, იქნება ეს ტექნოლოგია, განათლება, ინდივიდუალიზმი თუ მწარმოებლობითი ღირებულებები – ანუ ის, რაც შეიძლება მათ მიეწოდოთ.

განვითარების სააგენტოების “ცოდნას” შეიძლება სულაც არაფერი აინტერესებდეს თავად ადამიანებისგან. ეს კარგად წარმოაჩინა ჯეიმზ ფერგიუსონმა (1994), როდესაც განვითარების ინდუსტრიების მიერ ლესოტოზე (მცირე ზომის ჩაკეტილი სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში) განხორციელებული შეტევა გაანალიზა. მხოლოდ 1979 წელს, სულ მცირე, 26-მა ქვეყანამ განვითარების ხელშეწყობის მიზნით 64 მილიონი დოლარი მიიღო. მსოფლიო ბანკის მიერ კონსტრუირებული ეს სოციალური ისტორია, რომელიც მიზნად ისახავდა უზარმაზარი ინტერვენციის ლეგიტიმაციას, იყო ქვეყნის წარსულისა და აწმყოს სრული დამახინჯება. ლესოტო დახატულ იქნა, როგორც ტიპური განუვითარებელი გლეხური საზოგადოება, რომელიც იზოლირებული იყო საბაზრო ეკონომიკისგან და საკუთარი რესურსების განსავითარებლად დახმარებას საჭიროებდა. რეალურად კი, 1800-იანი წლებისთვის ჰოლანდიელმა კოლონისტებმა

სასოფლო სამეურნეო მიწების უდიდესი ნაწილი პლანტაციებად აქციეს. შედეგად, გლეხებს, რომელთა მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო, მოუსპეს საარსებო წყარო და აიძულეს ისინი მიგრირებულიყვნენ დაქირავებულ მუშებად. ლესოტო, ძირითადად, წარმოადგენს მუშახელის რეზერვს სამხრეთ აფრიკისთვის. ფერგიუსონის მიხედვით, ქვეყანაში განვითარება მოქმედებს, როგორც "ანტი პოლიტიკის მანქანა", რომელიც ფუნქციონირებს იმ მიზნით, რომ ჩაანაცვლოს სახელმწიფოს ან იმ საერთაშორისო სისტემის მიმართ არსებული უკმაყოფილება, რომელიც მათი დაქვემდებარებული მდგომარეობის მიზეზია და თავიდან აიცილოს მათ საწინააღმდეგოდ მიმართული უკმაყოფილების შედეგად რევოლუციის განხორციელება.

შეხედულება, რომლის მიხედვითაც განვითარება წარმოქმნის საერთო დისკურსს, იმ მეცნიერებმაც გააკრიტიკეს, რომლებიც ფუკოსეულ მეთოდოლოგიას იზიარებენ. მარკ ჰობარტი (1992: 12) ამტკიცებს, რომ განვითარების პროექტში სულ მცირე, სამი სხვადასხვა დისკურსი თანაარსებობს: დეველოპერების (განმავითარებლების) დისკურსი, სამიზნე მოსახლეობის დისკურსი და ეროვნული მთავრობისა და ლოკალური ხელისუფლების დისკურსი. ქეით გარდნერის (1993: 134) დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ განვითარება შესაძლოა, ერთ რომელიმე დონეზე ჰეგემონურად მოქმედებდეს, რეალურად, განვითარების დისკურსს ბევრი განსხვავებული კონცეფციის მქონე სხვადასხვა სააგენტო წარმოქმნის, რომლებსაც საკუთარი ხედვები აქვთ იმის თაობაზე, თუ რისგან შედგება მათი სამუშაო. გარდნერმა სოფელში, სადაც ინკოგნიტოდ ცხოვრობდა (რადგან იგი ოფიციალურად, პროექტის მრჩევლად მუშაობდა), გრძელვადიანი "პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტზე" დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად თავად დონორ სააგენტოს ფარგლებშიც კი განვითარების მუდმივად ცვალებადი დისკურსები აღმოაჩინა. ამასთან ერთად, ძალაუფლება არ იყო ყოველთვის დონორების ხელში კონცენტრირებული. მოცემულ შემთხვევაში, ზოგჯერ ადგილობრივი პლანტაციების მფლობელები და სამთავრობო ხელისუფლების წარმომადგენლები მეტ უფლებებს ფლობდნენ. და ბოლოს, მუშები, ისინი, ვინც პლანტაციების იერარქიაში ყველაზე დაბლა დგანან, ხშირად, საკუთარი მოთხოვნების განხორციელების კუთხით წარმატებას აღწევდნენ და ცვლიდნენ უფრო მაღალი დონის დისკურსებს. გარდნერი ასკვნის, რომ დისკურსის ანალიზი და ცოდნა/ ძალაუფლების კავშირის გაცნობიერება შეიძლება მართლაც ღირებული იყოს, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვით. "რამდენადაც დისკურსი გვესმის, როგორც უფრო მეტად პრაქტიკა, ვიდრე სისტემატიზირებული ცოდნა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ თუ ყოველდღიურ პირობებსა და

მოქმედებაში როგორ ხდება მისი წარმოქმნა და, შესაბამისად, ინდივიდების მიერ მისი მუდმივად შეცვლა” (Gardner 1993: 154)

პოსტმოდერნული ეთნოგრაფია სიბნელის შუაგულში

პოსტმოდერნული შრომები გარკვეულ ქსელს აბამს მეტისმეტად ზოგადიდან - წუთიერად კონკრეტულამდე, ფოლკნერიანული ბუნდოვანებიდან - ჰემინგუეისეულ სიცხადემდე, უპიროვნოდან - ავტობიოგრაფიულობამდე. ამგვარად, ვერცერთი ცალკე აღებული ნაშრომი ვერ წარმოაჩენს პოსტმოდერნულ მრავალფეროვნებას. თუმცა, მაიკლ ტაუსიგის “შამანიზმი, კოლონიალიზმი და ველური ადამიანი“ *(Shamanism, Colonialism, and the Wild Men 1987)* თანამედროვე პოსტმოდერნული ეთნოგრაფიის ბევრ საერთო დომინანტურ თემას და მახასიათებელ სტილს მოიცავს. მოცემული ნაშრომი უფრო მეტად მეხსიერების გამღვიძებელია, ვიდრე რაციონალური ტიპის წიგნი. მისი სტილი მონტაჟის ტიპისაა – ფრაგმენტული, საკუთარ თავთან დაპირისპირებაში მყოფი და მოუწესრიგებელი. იგი აერთიანებს ბევრ დისციპლინას – ისტორიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ფილოსოფიას, პოეზიას და აღსარების ტიპის ბიოგრაფიას. ნაშრომში დისკურსის, ცოდნის და ძალაუფლების ფუკოსეული ხედვებია წარმოჩენილი. ავტორი ადგილს უთმობს დაქვემდებარებულებს და, ამავე დროს, ახდენს კოლონიზატორთა შრომების ციტირებას. ის თვითრეფლექსიურია. და ბოლოს, ავტორი ამსხვრევს კატეგორიებს და მუდმივად აკნინებს ტრადიციული ანთროპოლოგიის “ახსნის აკადემიური რიტუალების მაგიურ ძალას” (გვ. XIV). მისი კვლევის საგანია „ინდიელთა წარმოშობაში, კოლონიურ ძალადობაში, მითის და მაგიის როლში, ისევე როგორც მკურნალობაში და იმ გზებში, რომლითაც შესაძლებელია ტერორის მობილიზირება მისი განადგურების მიზნით - არსებული ეპისტემოლოგიური სიბნელის პოლიტიკის და რეალობის ფიქციის გააზრება” (გვ. XII).

ტაუსიგი იწყებს “კულტურის ტერორის” დეტალური აღწერიდან, რომელიც ლათინურ ამერიკაში, უფრო კონკრეტულად კი სამხრეთ - აღმოსავლეთ კოლუმბიაში მდებარე პოტომაიოს მდინარის ტყეებში კოლონიალიზმისგან წარმოიქმნა. სწორედ აქ, მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუტინული მკვლელობებისა და ენდემური წამების კონტექსტში, “სიკვდილის ამ სივრცეში”, დამპყრობელი და დაპყრობილი, მსხვერპლი და მოძალადე - ყველანი ტრანსფორმირდნენ. კაუჩუკის ბუმიდან გამომდინარე გაჩნდა ინდიელების, როგორც მუშახელის ტრანსფორმირების საჭიროება. როჯერ გასმენტი, ბრიტანეთის კონსული და ჯოზეფ კონრადის

ახლო მეგობარი, რომელსაც იგი კონგოში შეხვდა, სპეციალურ კომისიას არსებული სისასტიკის შესახებ წერს მოხსენებას:

„იმ ინდიელების რაოდენობა, რომლებიც ბოლო 12 წლის განმავლობაში 4 000 ტონა კაუჩუკის მიღებისთვის შიმშილით დაიხოცა დიდწილად იმის გამო, რომ მთელ რიგ რაიონებში შეგნებულად განადგურდა მოსავალი, ან მიესაჯათ სიკვდილი, რადგან ვერ შეძლეს მათზე გაწერილი კაუჩუკის რაოდენობის ჩაბარება, რომლებიც ტყვიით, ცეცხლით, თავის მოკვეთით, სიკვდილამდე გაროზგვით თუ მხეცური წამების შედეგად იქნენ განადგურებულნი - სულ მცირე, 30 000 - ია და შესაძლოა, ბევრად უფრო მეტიც (გასმენტი, ციტირებულია ტაუსიგთან, 1987: 20)

გასმენტი გულისტკივილით საუბრობს მსგავს მოპყრობაზე, ისევე როგორც ინდიელებისთვის თავს მოხვეულ მონობის საშინელ ფორმაზე-კაბალაზე. ინდიელებს იგი „ზრდასრულ ბავშვებად“ განიხილავდა. გასმენტი ვარაუდობს, რომ უკეთესი ხელფასების შემთხვევაში მსგავსი ქმედებების ჩადენა ალბათ აღარ იქნებოდა საჭირო (მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ინდიელებს, მიუხედავად ყველაფრისა, არანაირი კონკრეტული ინტერესი არ ჰქონდათ - დახმარებოდნენ კაპიტალისტურ ექსპანსიას). ასე რომ, შენიშნავს იგი, მკვლელობები, დანაწევრება და დამახინჯება მუშახელის მძაფრი დეფიციტის პირობებში ნაკლებად ეფექტური საშუალებები იყო. გასმენტმა ვერ გაითვალისწინა ყველაზე არსებითი რამ - ის, რომ ტერორი კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი სიზუსტეებისგან დამოუკიდებელი რამ იყო, რომ ინდივიდუალურ და ჯგუფურ სადიზმში წამებას და მკვლელობას თავისი ლოგიკა აქვს და რომ ძალაუფლების მოთხოვნები სარგებლიანობისა და დანაკარგის რაციონალური გათვლებისგან დამოუკიდებელი რამაა.

ტაუსიგის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს არა მსგავსი ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზი, არამედ “გამოვლენილი მითიური ნიშნები, როდესაც ისინი სინერჯისტულ ურთიერთობაში არიან ბიზნესსა და ველურობასთან, კანიბალიზმსა და კაპიტალიზმთან” (1987: 73). ჭეშმარიტება მსგავს კონტექსტში ჯვარედინად შემოწმებადი ფაქტების ილუზორული, ძალაუფლება-ინვესტირებული ობიექტურობიდან კი არ წარმოიქმნება, არამედ მითებისა და ამბებისთვის სერიოზული ყურადღების დათმობისგან. “ნაკლებად წარმოადგენს რა ტრივიალურ ოცნებებს - აღნიშნავს ტაუსიგი, - ის ისტორიები და წარმოსახვები, რასაც მოცემული მითები და ისტორიები შეიცავდნენ, ძლიერი პოლიტიკური ძალის მატარებელია, რომლის გარეშეც

დამპყრობლების მუშაობა და კაუჩუკის შეგროვებაზე ზედამხედველობა ვერ განხორციელდებოდა" (გვ. 121). ამ ისტორიებში ერთ-ერთი წამყვანი მოტივია ჯუნგლების საფრთხე და ველურობის, განსაკუთრებით კი კანიბალიზმის საფრთხე, რამაც მკვეთრი დაპირისპირება წარმოქმნა კოლონიზატორებსა და „სხვებს" შორის. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მოტივები გადამდები აღმოჩნდა და თანაბრად გარდაქმნა როგორც დაპყრობილი, ასევე დამპყრობელი. საბოლოოდ, კონრად კურცის ნაშრომის "სიბნელის შუაგული"-ს *(In Heart of Darkness)* მსგავსად, კოლონიური ადამიანები საკუთარი პირველყოფილი ველურობის მსხვერპლნი გახდნენ. მიუხედავად გასმენტის აღშფოთებისა, საგარეო საქმეთა განყოფილების რეალისტურმა მოხსენებებმა თანამედროვე პერიოდის მკვლევრებს პუტუმაიოს შესახებ ნამდვილი ისტორია დაუტოვა. ეს მხოლოდ უფრო ღრმა „ჰალუცინატორული რეალობის" შენიღბვის ხარჯზე შეიძლებოდა მომხდარიყო.

ტაუსიგის ნაშრომის პირველ ნაწილში გადმოცემულია პუტუმაიოს ტერორის მრავალმხრივი და ურთიერთსაპირისპირო მასალების განხილვის გზით მიღებულ შეულამაზებელი რეალობა. მეორე და უფრო ფართო ნაწილი კი დიდწილად მოცემულ ჰალუცინატორულ რეალობას ეძღვნება, რომელიც ინდიელების შესახებ გაღატაკებულ მესტიცოებს შორის არსებულ დისკურსში, სახალხო კათოლიკურ რიტუალებსა და, ყველაფერთან ერთად, თანამედროვე ადგილობრივი მკურნალებისა და პაციენტების ჰალუცინატორულ *Yage* გამოცდილებაშია გამოხატული. სწორედ მსგავსი დიალოგის გზითაა შესაძლებელი ველურობასა და ცივილურობას, დომინანტურსა და დომინირებადს შორის არსებული კალეიდოსკოპური ურთიერთკავშირების აღქმა ისე, როგორც ეს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წუთებშია გამოსახული.

ლეგენდის მიხედვით – (თუმცა, დღეისათვის ეს ლეგენდა "სიმართლედაა" მიჩნეული და ამას კოლუმბიის ქალაქ კალის *La Merced*-ის ეკლესიის მიერ გამოშვებული ბუკლეტი ადასტურებს) - 1560 წელს მოძღვარმა მიგელ დე სოტომ ინდიელებს ზურგზე შეასმევინა და ღრმად, ჯუნგლებში წააყვანინა თავი, რათა ეპოვა მითიური, ვაზის მტევნებით მორთული წმინდა მარიამის ქანდაკება ყრმა იესოთი ხელში. ქანდაკება, რომელიც ინდიელებში ტყის ველური ქალის სახელით იყო ცნობილი, უკან, ეკლესიაში დააბრუნეს. მრავალი სასწაულის მოხდენის შემდეგ ეს ქანდაკება დღესაც დგას დაპყრობილი და მოთვინიერებული. მისი განკურნებითი ძალა ცივილიზაციის კონტროლს დაუმორჩილეს და ამჟამად ტრანსფორმირებულია, როგორც „ჩვენი მკურნალი ქალბატონი". ამგვარად, „ინდიელები სწორედ ის ხალხია, რომელიც ისტორიის მიერ აირჩა, რათა ცივილიზებული და დამპყრობელი რასისთვის მიეცა სასწაულმოქმედი ხატი. როგორც მონა

აკმაყოფილებს ოსტატის მოთხოვნილებებს, ასევე დაპყრობილები გამოისყიდიან დამპყრობლების ცოდვებს”

თუმცა, ინდიელების ნამდვილი სახე ყველაზე უკეთ *Yage* გამოცდილებაში და ავტორის მრავალრიცხოვან პირად მოგზაურობაში ჩანს. *Yage* – ესაა ძლიერი ჰალუცინოგენური წამალი, რომელსაც მკურნალობისას იყენებდნენ. შამანიც და პაციენტიც ერთად ღებულობდნენ წამალს და ამგვარად, ერთდროულად შედიოდნენ ჰიბრიდული მითებისა და ისტორიების ქსელში, ღრმად უაზრო და ორმხრივ ქაოსში, რომელიც ყოველგვარი გონიერების მიღმა იყო. შესაძლებელი იყო კურიოზული კვეთაც – ძალაუფლების ამოტრიალება, სადაც ინდიელი ღებულობს მესტიცოს სახეს, ხოლო თეთრი ადამიანი კი - ინდიელისას.

„დაბლობზე მაცხოვრებელი ინდიელების შეხედულებით, მაღალმთიანი ქალაქის კოლუმბიური არმიის გრწყინვალების პირველადი იმიჯი არის ის, რაც შამანს განკურნების ძალით აღჭურავს. არმიის იმიჯი გადამწყვეტია. მისი სილამაზე, მისი ოქრო, მისი შეიარაღება, მისი მუსიკა და ცეკვა წარმოშობს სურათს, რომელიც ბოროტების ტრანსფორმირებას ახდენს. იგი ცდილობს შეაღწიოს ამ წარმოდგენაში, რათა იცეკვოს და იმღეროს ჯარისკაცებთან ერთად.

ამის საპირისპიროდ, თეთრკანიანი კოლონისტი მისეულ ტრანსფორმაციულ გამოცდილებას შამანის, როგორც ეშმაკის იმიჯის საშუალებით ახორციელებს. იგი კვდება ამ წერტილში, როდესაც ღვთაებრივ მონანიებას მიაღწევს. სიკვდილისა და ხელახალი დაბადების ამ პროცესს თან სდევს ბოგოქარი ქარიშხალი, სინათლე და სიბნელე, გარეული ღორები, მოსრიალე გველები და ბოლოს, სამეულის - ვეფხვი-შამანი-ეშმაკი - მეტამორფოზირება (Taussig 1987: 327).

ტაუსიგი ეწინააღმდეგება მსგავსი გამოცდილების რაციონალისტურ ახსნებს. იგი მძაფრად აკრიტიკებს ევანს-პრიტჩარდის (1937) მიერ აფრიკულ ზანდეს ტომში ჯადოქრობის შესახებ ჩატარებულ ცნობილ კვლევას, რომელშიც მკითხაობა ფუნქციონალურად ინტერპრეტირებულია, როგორც შემთხვევითი თანხვედრითობის ახსნის საშუალება. ევანს-პრიტჩარდის ანალიზი შესაძლოა, გარკვეულწილად მართებულიც იყოს შამანისა და პაციენტის მიერ მიღებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან მიმართებით, მაგრამ „მსგავსი ფორმულირება თითქოს აერთფეროვნებს მათი ცხოვრების არსის ჩვენეულ გააზრებას და იმას, თუ რას უშვება ჯადოქრობის გამოწვევა ცხოვრების ამ აზრს. ფორმულირების სიცხადემ შეცდომისკენ შეიძლება გვიბიძგოს, უფრო სწორედ, დანამდვილებით გვიბიძგოს შეცდომისკენ” (გვ.464)

ტაუსიგი არ ემხრობა არანაირ მსგავს გამარტივებას:

„Yage იყო შანსი, რომლითაც კოლონიურად შექმნილი ველური ადამიანი სულდგმულობდა. ამ შანსს იგი მომაკვდინებელი მატერიალიზაციის გზით და შიშის გამომწვევი მისტერიებით ეკლესიის, სახელმწიფოს და ტერორის კულტურის მიერ ინსტიტუციონალიზირებული ტანჯვის, წესრიგის და გამოსწორების ოფიციალური დისკურსის საწინააღმდეგოდ იყენებდა. მოქმედებდა რა ეკლესიის და დამჰყრობლების მიერ შექმნილი წარმოსახვის საწინააღმდეგოდ, Yage- ეს ღამეები იძლეოდა შანსს - უტოპიური ილუზიების გზით კი არ გაქცეოდა დარდს, არამედ სიკვდილის ანარქია მხიარულებასთან გაეერთიანებინა. ეს იყო პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა და ამავე დროს ეწინააღმდეგებოდა ცდუნებას-განეხილა საკუთარი თავი სიბრალულით და ტანჯვის გზით გამოესყიდა ცოდვები“ (გვ. 467)

მიუხედავად აშკარა ანტიდისციპლინარულობისა, ტაუსიგის წიგნი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ჩართულ იქნეს პოლიტიკური ანთროპოლოგიის ფართო სფეროში, რადგან იგი დიდ ყურადღებას უთმობს ძალაუფლებას. თუმცა, ისტორიულ დოკუმენტებში, მითებში, სახალხო რწმენებსა და ჰალუცინოგენურ გამოცდილებაში ასახული ძალაუფლების ტრაუსიგისეული გაგება საკმაოდ მოკრძალებულად უპირისპირდება პოლიტიკური ანთროპოლოგიის ტრადიციული კონცეპტუალიზაციების დისკურსს.

პოსტმოდერნიზმი: უპირატესობები და საწინააღმდეგო არგუმენტები

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ანთროპოლოგია მკაფიოდ იყო ორ ნაწილად დაყოფილი: პოსტმოდერნული მიმართულება და ანტიპოსტმოდერნული მიმართულება. დღეისათვის ეს ასე აღარაა. პოსტმოდერნული აზრის დიდი ნაწილი შეერწყა ზოგად ანთროპოლოგიას. თითქმის ყველა ველზე მომუშავე აცნობიერებს საკუთარ უცილობელ ეთნოცენტრიზმს, თავიანთ ადგილს იმ საზოგადოების ფარგლებში, რომლებსაც სწავლობენ და იმ სპეციფიურ შეხედულებებს, რომლიდანაც ისინი ამოდიან დაკვირვების პროცესში. ანთროპოლოგიის ისტორია მეტად მგრძნობიარეა (თუმცა მისი კოლონიური მიჯაჭვულობა შეიძლება გადაჭარბებულად ჩავთვალოთ). მისი პარადიგმების დროებითობის აღქმა უფრო გამძაფრებულია. პოსტმოდერნიზმმა წარმატებით შეარყია არა მხოლოდ სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინას შორის, არამედ თავად

ანთროპოლოგიის შიგნითაც არსებული ოდესღაც ხისტი საზღვრები - კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რა კულტურისა და თემობრიობის მისეული მრავალწლიანი კონცეპტუალიზაცია. ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ანთროპოლოგიისთვის ის იყო, რომ პოსტმოდერნიზმმა მიუთითა იმ ძალაუფლებაზე, რაც ცოდნაშია ასახული და წარმოაჩინა ის გზები, რომლითაც ძალაუფლება აქამდე ნეიტრალურად მიჩნეულ ინსტიტუტებში აღწევდა.

მიუხედავად ამისა, არსებობს პრობლემებიც. ნათქვამია, როდესაც მეცნიერს უტევენ იგი უფრო მეტ მონაცემს გვთავაზობს. როდესაც პოსტმოდერნისტს უტევენ იგი უფრო მეტ სიტყვას გვთავაზობს. მართალია ხუმრობაა, მაგრამ ეს გამონათქვამი ძირითად წინააღმდეგობებს წარმოაჩენს – რეალურად ორ წინააღმდეგობას – რომელიც პოსტმოდერნისტული პოზიციისთვისაა დამახასიათებელი. პირველი წინააღმდეგობა ეხება ჭეშმარიტებისა და სიყალბის განსაზღვრის კრიტერიუმს, ან დამაჯერებელი არგუმენტის განვითარებას. თუკი არსებობს დისკურსის ზოგადი ეკვივალენტი, ერთი ისევე კარგია, როგორც მეორე, მაშინ რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა პოსტმოდერნიზმს ტრადიციულ ანთროპოლოგიასთან მიმართებით? ვიღებთ რა "მეცნიერულ" ახსნას და პოსტმოდერნისტულ ხედვას, რა კრიტერიუმით უნდა დაგვარწმუნოს პოსტმოდერნიზმმა, რომ მისი მხარე დავიჭიროთ? აშკარაა, რომ ეს ვერ იქნება ფაქტების აკუმულირება; ან ის, რომ პოსტმოდერნული მოდელი უკეთ ერგება მონაცემებს, რადგან ორივე მოცემული არგუმენტი გვაბრუნებს უკან, განმანათლებლობის იმ ღირებულებებთან, რომლებიც გამოკვეთილად უარყოფილია. აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაიმარჯვებს ის არგუმენტი, რომელიც უფრო მეტად გააღვიძებს გრძნობებს, მოგვცემს საშუალებას უკეთ შევიგრძნოთ ის, რისი აღწერაც ხდება, და რომელიც უფრო დამაფიქრებელი და უფრო უჩინარია - ანუ, სხვაგავარად რომ ვთქვათ, ესაა ლიტერატურული კრიტერიუმი. პოსტმოდერნისტმა შეიძლება ამტკიცოს, რომ რადგან მიზანი არის არა განზოგადება, არამედ სპეციფიცირება, არა ჭეშმარიტება, არამედ ინტერპრეტირება - მოცემული კრიტერიუმი სრულიად სამართლიანია. მიუხედავად ამისა, მაინც წარმოიშობა კითხვა: რატომ ავირჩიოთ მოცემული ინტერპრეტაცია?

რაც შეეხება ეთნოგრაფიას, სავარაუდო პასუხი, როგორც ჩანს, იქნება ის, რომ ინტერპრეტირება ეფუძნება საველე მუშაობას და საფუძვლიანად არგუმენტირებულია. თუმცა, ეს წარმოქმნის მეორე წინააღმდეგობას, ან მინიმუმ, პარადოქსს მაინც ავტორის ავტორიტეტთან მიმართებით. ტრადიციულ ანთროპოლოგიაში, სადაც ავტორი სრულიად უხილავია, ინტერპრეტირება ეყრდნობა მონაცემებსა და მეთოდოლოგიას. ერთ-ერთი პირველი არგუმენტი – და სრულიად ლეგიტიმურიც, რომელიც კრიტიკოსმა თეორეტიკოსებმა წამოსწიეს წინ, არის ის, რომ

მწერლის უხილავობა ობიექტურობის ილუზიას წარმოქმნის და არ იძლევა სიტუაციის აღქმის განცდას. თუმცა, მსგავს ტექსტებში არგუმენტის უხილავი ძალა მონაცემების სისტემურ დაგროვებასა და ანალიზში მდგომარეობს, ისევე როგორც მეცნიერული მეთოდის გამოყენებაში. თუ ამას არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ფაქტობრივად ყველა არგუმენტის სიმძიმე ავტორზე გადადის. ავტორი არის ყველაფრის მოწმე და თვითმხილველი. თუმცა, ავტორის ეს ავტორიტეტია სწორედ ის, რასაც პოსტმოდერნისტები უარყოფენ და არ აღიარებენ. ისინი ნაშრომს განიხილავენ, როგორც ტექსტს, ხოლო ძალაუფლება, რომელიც ტრადიციულად ავტორს მიეწერება, მათი აზრით, ილუზორული და რეალობის დამმახინჯებელია. ბევრი პოსტმოდერნული ნაშრომის სტილი გულისხმობს მკითხველის ჩართვას ტექსტის კონსტრუირების პროცესში იმ დროს, როდესაც სხვა პრობლემაზე გადადის მსჯელობა. მსგავსი მეთოდის გამოყენებისას, რეალურად, მთელი ავტორიტეტი სწორედ ავტორზე გადადის. ზოგიერთი პოსტმოდერნისტი ავტორი ამის გვერდის ავლას თავისუფალი ციტირებისა და ადგილობრივებისთვის მათივე მოსაზრებების გამოხატვის საშუალების მიცემით შეეცადა. თუმცა, ბურდიეს თუ დავუჯერებთ, ამას მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის მოცემა შეუძლია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დრამატული შეიძლება იყოს იგი. ის აზრები და სტრუქტურები კი, რომელიც საფუძვლად დევს - მაინც მკვლევრის მიერ უნდა გაანალიზდეს. თუკი კულტურა, ჰაბიტუსი, დისკურსი ან ნებისმიერი სხვა რამ დიდწილად არაცნობიერია, მაშინ იმ ადამიანთა ხმა, რომლებსაც იკვლევენ და რომლებიც უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, შეიძლება გამოდგეს, როგორც საბუთი, მაგრამ ეს იქნება ნაკლებად აშკარა და ცხადი საბუთი. ამგვარად, ჩვენ კვლავ ავტორის ავტორიტეტს ვუბრუნდებით. და ასევე კითხვას, თუ რატომ უნდა მივიღოთ მოცემული კონკრეტული ინტერპრეტაცია.

გოდელის არასრულყოფილების თეორემის მსგავსად, რომელიც გულისხმობს, რომ აქსიომური მათემატიკური სტრუქტურები ვერ ამტკიცებენ საკუთარ თავს, როგორც ჩანს, პოსტმოდერნიზმიც, ფუნდამენტურ ამოცანებს უნდა მიენდოს.

ძნელია არ აღიარო ის რეალური წვლილი, რაც ანთროპოლოგიაში იქნა შეტანილი - ისევე როგორც ისტორიისა და ლიტერატურის სფეროებშიც, როდესაც პოსტმოდერნი ავტორები ისეთი საინტერესო, წარმოსახვითი უნარის მქონე, ინოვაციური და სტილისტურები არიან, როგორც მაგალითად, ტაუსიგი ან კაროლინ ნორდსტორმი. ამ უკანასკნელმა თავის ნაშრომში „განსხვავებული ომის ისტორია“ *(A Different Kind of War Story 1997)* მოზამბიკის კონფლიქტის თითქმის წარმოუდგენელი საშინელებები უფრო ტრადიციული „ობიექტური“ ეთნოგრაფიისთვის დამახასიათებელი სტილითა და მანერით გადმოიტანა და გადმოგვცა. პრობლემა მაშინ

წარმოიშობა, როდესაც მიიჩნევა, რომ მხოლოდ პოსტმოდერნული მიდგომაა ღირებული და რომ ის ცვლის მეცნიერული ანთროპოლოგიის ნებისმიერ მცდელობას - შეამოწმოს ან შეიმუშავოს ზოგადი თეორია. ასეთი კოსმეტიკური უარყოფა პოსტმოდერნიზმს ზუსტად იმ ტიპის მეტანარატივად აქცევს, რომლის უარყოფასაც თავად ცდილობს.

რეკომენდებული ლიტერატურა

Bourdieu, Pierre, and Loic J. D. Wacuant. An Invitation to Reflexive Sociology (Chicago: University of Chicago Press, 1992). იშვიათი შემთხვევაა, რომ ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი მონაწილეობას ღებულობს საკუთარი ნაშრომის კარგად წაკითხვად მიმოხილვაში. პირველ ნაწილში ვაკუანტი ცხადად ახდენს ბურდიეს მიერ შემოთავაზებული ისეთი ძირითადი კონცეფციების შეჯამებას, როგორიცაა ჰაბიტუსი, კულტურული კაპიტალი და სფერო. მეორე ნაწილი, ესაა ბურდიეს მიერ ჩიკაგოში წაკითხული სემინარის ბეჭდური გამოცემა, სადაც იგი სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს. მესამე ნაწილი კი პარიზში ჩატარებული ვორკშოპის ტრანსკრიპტია, სადაც ბურდიე, ძირითადად, მეთოდოლოგიას უხსნის სტუდენტებს.

Escobar, Arturo. Encountering Development: The Making and Unmaking of the Third World (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1995). ესკობარი განვითარების დისკურსის ანალიზს ფუკოსეული თეორიების გამოყენებით ცდილობს და გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს დასავლური კონცეპტუალური მოდელები იმ პროცესებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული არადასავლური ცივილიზაციებისთვის დესტრუქციული შედეგების მომტანი იყო. მოცემულმა წიგნმა, რომელიც ერუდიციული და პოლემიკური სამეცნიერო კვლევის საინტერესო და უცხო ნაზავს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანტიგანვითარების შესახებ არსებულ ლიტერატურაში ვირტუალური ქვედისციპლინის წარმოქმნის კუთხით.

Ferguson, James. The Anti - Politics Machine: "Development", Depolitization and Bureaucratic Power in Lesotho (Cambridge: Cambridge University Press, 1994). ფერგიუსონი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ნაყოფიერად გამოვიყენოთ ისეთი კონცეფციები, როგორიცაა „დისკურსი" და „ძალაუფლება/ცოდნა" ისე, რომ არ მოხდეს ემპირიული მეთოდოლოგიის პოსტმოდერნისტებისთვის დამახასიათებელი უარყოფა. კვლევა ფოკუსირდება არა განვითარების სამიზნეებზე ლესოტოში, არამედ განვითარების იმ უამრავი ინდუსტრიის დისკურსსა და პრაქტიკაზე, რომლებიც თავიანთ ყურადღებას მოცემულ აფრიკულ ქვეყანაზე აჩერებდნენ.

Foucaoult, Michel. Discipline and Punish: The Birth of the Prison (New York: Vintage, 1977). ფუკო შეისწავლის სასჯელისა და დასჯის სხვადასხვა დისკურსის წარმოქმნას მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული, წარმოაჩენს რა გადასვლას სუვერენზე ცენტრირებული ძალაუფლების ფორმიდან - ძალაუფლების დღეს არსებულ ფორმებამდე, როცა ძალაუფლების უმთავრესი მექანიზმი მორჩილება და დისციპლინაა. მართალია, ფუკოსეული წერის მანერა ხშირად ბუნდოვანია, ხოლო მისი ისტორიული ფაქტები კი ზედმიწევნით დეტალიზებული, მაგრამ მოცემული ნაშრომი ძალაუფლების შესახებ მის მიერ შექმნილი თეორიის გასაგებად მაინც უდავოდ ყველაზე კარგი მაგალითია.

Kuzner, Lawrence. Reclaming a Scientific Anthropology (Walnut Creek, Calif.: Altimira, 1997). ავტორი სამეცნიერო

ანთროპოლოგიის არააპოლოგეტი დამცველია. იგი აღწერს და წარმოაჩენს სამეცნიერო აზროვნების თანამედროვე გამოწვევებს, მათ შორის პოსტმოდერნიზმს და გვთავაზობს მის საკუთარ ხედვას, თუ როგორ უნდა დაბრუნდეს მეცნიერება უკან, სოციალურ მეცნიერებაში. კარგად საკითხავი წიგნი, ქვემოთ მოყვანილ ლემერის წიგნთან ერთად.

Lemert, Charles. Postmodernism is not What You Think (Malden, Mass., 1977). უამრავ წიგნში ვხვდებით პოსტმოდერნიზმის ახსნის მცდელობას. სოციოლოგის მიერ დაწერილი მოცემული წიგნი ერთ- ერთი ყველაზე ცხადი და სრულყოფილი ნაშრომია. ჩემი ერთადერთი შენიშვნა სათაურს ეხება. ალბათ უკეთესი იქნებოდა, წიგნს რომ რქმეოდა არა „პოსტმოდერნიზმი არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ“, არამედ „პოსტმოდერნიზმი სწორედ ისაა, რასაც თქვენ ფიქრობთ“.

Nordstrom, Carolyn. A Different Kind of War Story (Phildelphia: Univrsity of Pennsylvania Press, 1997). ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი წარმატებით აღწევს თავს ტრადიციულ ანთროპოლოგიურ ობიექტურობას, რათა თვალნათლივ დაგვანახოს მოზამბიკში წარმოებული 15 წლიანი ომის საშინელებები. ავტორი ამას, ხშირ შემთხვევაში, ომში მონაწილე ადამიანების პირით ახერხებს. პირველი თავი, რომელიც გვთავაზობს კვლევაში გამოყენებული ტექნიკის დასაბუთებას, იმ თეორიის კარგი წინასიტყვაობაა, რომელიც საფუძვლად უდევს პოსტმოდერნიზმს.

Taussig, Michael. Shamanism, Colonialism, and the Wild Men (Chicago: University of Chicago Press, 1987). მოცემული წიგნის მოკლე მიმოხილვა, რომელიც ჩვენ მეცხრე თავში გადმოვეცით, ეხება იმ მდიდარ ისტორიულ დოკუმენტაციას და მკვიდრ მოსახლეობაში არსებულ ნარატივებს, რომელსაც ტაუსიგი იყენებს, რათა დაგვისაბუთოს, თუ რატომ იყენებს კოლუმბიაში მდებარე, მდინარე პუტუმაიაოს რეგიონზე დაწერილ მოცემულ ნაშრომში კოლონისტთა და ინდიელთა სიტყვების რთულ დიალექტიკურ ნაზავს. პირველი ნაწილი „ტერორის კულტურის“ მძლავრ აღწერას და ანალიზს წარმოადგენს. მეორე ნაწილში, რომელიც მოცულობით პირველ ნაწილზე დიდია, მოცემული ისტორიული მასალა გადარჩენის თანამედროვე ინდიელებისეულ გაგებასთან კავშირშია განხილული.

თავი 11

მოდერნიზაციიდან გლობალიზაციამდე

წარწერა წიგნში გამოსახულ ფოტოზე:

ამერიკული საზღვაო ხომალდი იაპონიის ყურეში, მეცხრამეტე საუკუნეში. კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა ვაჭრობისა და სამხედრო ძალის მეშვეობით გავრცელდა (მადლობა კონგრესის ბიბლიოთეკას).

პოლიტიკური ანთროპოლოგიის ტრანსფორმირებაზე ორი ძირითადი ფაქტორი ზემოქმედებს. პოსტმოდერნიზმი, რომელიც წინა თავში განვიხილეთ, ძალაუფლებას ინდივიდების, კლასებისა და სახელმწიფო ბიუროკრატიისგან მიჯნავს და მას დისკურსისა და ცოდნის ჭრილში განიხილავს. გლობალიზაცია, მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ძალაუფლებას სხვა მიმართულებებით - როგორც ზემოთ, ასევე ქვემოთ გადახრის - დაწყებული ისეთი გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტებიდან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, დამთავრებული ნაციონალიზმის, ეთნიკურობის და ლოკალური დონის ისეთ არასამთავრობო ინსტიტუტებამდე, როგორიცაა მაგალითად, ქალთა უფლებების დაცვის და ეკოლოგიური თემებით დაკავებული ორგანიზაციები. ეს ცვლილებები იმდენად ღრმაა, რომ პოლიტიკური ანთროპოლოგია უკვე აღარაა იმ ტიპის დისციპლინა, როგორიც ის სულ რაღაც ათეული წლის წინ იყო. უფრო მეტიც, სწრაფი ცვლილებები კვლავაც გრძელდება.

პოლიტიკური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბების პირველი 30 წლის მანძილზე ველზე მომუშავე მეცნიერებმა შეძლეს შეექმნათ საკუთარი კატეგორიები და ლექსიკონი (ტერმინები). ასევე, მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ თეორიები ისე, რომ დიდი ყურადღება არც მიუქცევიათ დისციპლინის გარეთ განვითარებული მოვლენებისათვის. ფუნქციონალისტების მიერ ნუერების შესწავლას ან მოქმედების თეორეტიკოსების მიერ ინდივიდების პოლიტიკურ მანიპულაციებზე დაკვირვებას ნაკლებად სჭირდებოდა ის მეგათეორიები, რომლებიც თუნდაც ეკონომიკის ან პოლიტიკური მეცნიერების სფეროებში წარმოიქმნებოდა. თუმცა, 1970-1980-იანი წლების მანძილზე უკვე შეუძლებელი გახდა იმის იგნორირება, რომ ფაქტობრივად ყველა ის საზოგადოება, რომელსაც ანთროპოლოგები შეისწავლიდნენ, უფრო ფართო სისტემების ნაწილს წარმოადგენდნენ. იმის გამო,

რომ საზოგადოებები, რომლებსაც ანთროპოლოგები ჩვეულებრივ სწავლობდნენ, წარმოადგენდნენ ეგრეთ წოდებულ "განვითარებად" ქვეყნებს, საჭირო გახდა განვითარების თეორიების გათვალისწინება. მოდერნიზაციის თეორია და დამოკიდებულების თეორია – ორი ძირითადი ხედვა იყო. თუმცა, 1990-იანი წლებისთვის ცხადი გახდა, რომ არცერთი მათგანი არ იყო საკმარისი სულ უფრო მეტად კომპლექსური მსოფლიოს ასახსნელად. მსოფლიოსი, რომელიც გარკვეულწილად უფრო ერთიანიც გახდა და ამავდროულად, უფრო ფრაგმენტირებულიც იმისთვის, რომ ერთ რომელიმე პარადიგმაში მოქცეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია არ შემუშავებულა, როგორც თანმიმდევრული თეორია (თუმცა, არსებობს გლობალიზაციის უთვალავი თეორია), მოცემული ცნება - ესაა გარკვეული გზა იმ თეორიული ჩიხიდან, რომელიც გამოიწვია დამოკიდებულების თეორიიდან წარმოქმნილმა სულ უფრო მზარდმა უკმარისობის განცდამ.

მოდერნიზაციის თეორია

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე იშვიათად გამოიყენებოდა დღეს ყველასთვის ნაცნობი ისეთი ცნება, როგორიცაა სუსტად განვითარებული სამყარო, რადგან მოცემულ კატეგორიაში განთავსებული ქვეყნების უმრავლესობა მანამდე კოლონიებს წარმოადგენდა. მათი დანიშნულება იყო "სამშობლოს" (რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენდენ) მომარაგება ნედლეულით, იაფი მუშახელით და მისთვის სტატუსის შენარჩუნება. ამ ქვეყნების მიერ 1960-იანი წლების პერიოდში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იდეა, რომ ისინი უნდა "განვითარებულიყვნენ", სულ მცირე, სიღარიბის დონის შემცირების კუთხით მაინც, პირველი სამყაროს ლამის ურყევ რწმენად იქცა. ამ პროცესის მხარდაჭერა ნაწილობრივ ალტრუისტულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მარშალის გეგმის მაგალითის გათვალისწინებით, რომელმაც ხელი შეუწყო ევროპის აღორძინებას - მას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. განვითარებას ღარიბ ქვეყნებში კომუნიზმისკენ სწრაფვა უნდა მოესპო, ისევე როგორც, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა უზრუნველეყო რესურსებითა და ბაზრით.

ჯგუფი, რომელიც "მოდერნიზაციის თეორეტიკოსების" სახელითაა ცნობილი, იყენებდა იმას, რაც თავდაპირველად გაჩნდა, როგორც ჯანსაღი მიდგომა. სუსტი ეკონომიკური განვითარება გაიგებოდა, როგორც პირველყოფილი მდგომარეობის გარკვეული სახე. განსაზღვრების მიხედვით, ფაქტობრივად, ეს იყო საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა ინდუსტრიალიზაციის

დაწყებამდე. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც კი ქვეყანა იწყებს თანამედროვე სექტორის განვითარებას, ხდება საზოგადოების გაორება – ერთი, მოდერნიზირებადი საზოგადოება და მეორე, ტრადიციული საზოგადოება. თანამედროვე სექტორი, სავარაუდოდ, დაწინაურდება, მოიტოვებს რა უკან ტრადიციულ სექტორს. საიმონ კუტცნესმა (1955) მის მიერვე შემუშავებული კუტცნესის მრუდის – მათემატიკური დიაგრამის - მეშვეობით გვიჩვენა, რომ შემოსავლის უთანასწორობა იზრდება მაშინ, როდესაც ორი სექტორი ერთმანეთისგან განცალკევებით არსებობს. თუმცა, დასავლეთის განვითარების მონაცემების მიხედვით, როდესაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 700 დოლარს აღწევს (იგულისხმება 1960-იანი წლების დოლარი), მცირდება უთანასწორობის ხარისხი. შემოსავალი უფრო თანაბრად დისტრიბუირებადი ხდება, როდესაც ღარიბები იწყებენ მონაწილეობის მიღებას თანამედროვე სექტორში. გამოწვევაა ის, რომ თანამედროვე სექტორმა უნდა განაგრძოს გავრცელება და გაფართოება მანამ, სანამ არ შთანთქავს ტრადიციულ სექტორს. ამის შემდეგ დაიწყებს ქვეყანა განვითარებას.

როგორ ხდება ეს? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ზოგიერთმა მეცნიერმა შეისწავლა ამ მხრივ დასავლეთის ინდუსტრიული დემოკრატიების გამოცდილება. შესაძლებელი რომ იყოს ევროპისა და შეერთებული შტატების მიერ ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე გადადგმული ნაბიჯების ფიგურალურად გამოხატვა, განვითარებად ქვეყნებში მოდერნიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა. როსტოუმ (1960) განვითარების ეტაპები ხუთ ძირითად საფეხურად დაყო. პირველ საფეხურზე არსებობდა ტრადიციული საზოგადოება, რომელსაც ახასიათებდა ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, სოფლის მეურნეობაში რესურსების მაღალი კონცენტრირება და პროდუქტიულობის დაბალი ზღვარი. მეორე საფეხურზე თავს იჩენს განვითარების ძირითადი წინაპირობები: ეფექტური, ცენტრალიზებული სახელმწიფო და ეკონომიკური პროგრესის რწმენის გავრცელება. ამ ტრანზიციის პერიოდში ხდება კაპიტალის მობილიზება, იზრდება ვაჭრობა და ვითარდება ტექნოლოგია, ხოლო მთავრობა იწყებს ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას. მესამე საფეხურზე ადგილი აქვს “აღმაფრენას” და საზოგადოების ჩართულობა იზრდება. აქედან ხდება “სიმწიფისკენ სვლა” (მეოთხე საფეხური); და ბოლოს, მეხუთე საფეხური, რომლის დროსაც დგება “მასობრივი მოხმარების ხანა” (არის კი ეს სიმწიფე?). ეს ყოველივე, შესაძლოა, იმ ანთროპოლოგებისთვის, რომლებიც ისევ იყენებენ მეცხრამეტე საუკუნის თეორიებს, კვლავ პოსტულირებენ ერთხაზოვანი განვითარების იდეას დაწყებული ველურობიდან და ბარბაროსობიდან, დამთავრებული ცივილიზაციამდე – ნაკლებად სასიამოვნოდ ნაცნობი მოსასმენი იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკურად სუსტი განვითარება შიდა მიზეზებიდან გამომდინარე განიხილებოდა, მოცემული პრობლემის გადაწყვეტა მაინც საერთაშორისო ბაზრის პრეროგატივად მოიაზრებოდა. მსგავსი ტიპის ქვეყანას ამიერიდან აღარ სჭირდება დაელოდოს როსტოუს მიერ შემუშავებული განვითარების საფეხურების გავლას. პროცესდ შეიძლება ხელი შეეწყოს და დაჩქარდეს. განვითარებულმა ქვეყნებმა არაფრისგან უნდა შექმნან სამანქანო წარმოება, დააგროვონ მთელი ეს კაპიტალი და წარმოქმნან მწარმოებელთა კლასი. პირველ სამყაროს ამ ყოველივეს გადაცემა რომ შეეძლოს მესამე სამყაროსთვის, განვითარების პროცესი არანორმალურად დაჩქარდებოდა. სუსტად განვითარებულობა ამ აზრით, ნიშნავს რაღაცის ნაკლებობას: ხაზგასმა შეიძლება ხდებოდეს ტექნოლოგიებზე, კაპიტალზე, განათლებაზე, მწარმოებლურ სულზე, ადმინისტრაციულ უნარზე. ბევრი კვლევა მიმდინარეობს იმის გასარკვევად, თუ რა აკლიათ ყველაზე მეტად ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. რაც არ უნდა იყოს, თუ ამ ნაკლოვანებების შევსება საგარეო დახმარებისა და მულტინაციონალური კორპორაციების მიერ გაკეთებული ინვესტიციებითაა შესაძლებელი, ქვეყანა განვითარდება. თეორია დიდწილად ეყრდნობა კლასიკოსი ეკონომისტის, დევიდ რიკარდოს (1772-1823) კონცეფციას ”შედარებითი უპირატესობის” შესახებ, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველმა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ის, რაც საუკეთესოა მისთვის – არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ყავის თუ ავტომობილების წარმოება – და შემდეგ მოახდინოს ვაჭრობის გზით მისი სხვა ქვეყნებში გატანა. ეკონომიკური ელიტა – მფლობელები და მენეჯერები, რომლებიც თანამედროვე სექტორს მიეკუთვნებიან, იქნებიან განვითარების შემოქმედები. მათ მიერ მიღებული სარგებელი შექმნის ახალ წარმოებებს და ახალ სამუშაო ადგილებს, რითაც ხელს შეუწყობს მასების თანამედროვე სექტორში ჩართვას და გაზრდის მათი ცხოვრების დონეს. ამგვარად, მოდერნიზაციის თეორია გულისხმობს “ქვედა ნაკადის” (*trickle down*) პროცესს, რომლის დროსაც მდიდრების ქონების კიდევ უფრო ზრდა გაზრდის ქვედა დონეებზე მყოფთა ცხოვრების დონესაც.

ლოგიკურად, ეს თეორია უნდა მუშაობდეს და იმუშავა კიდეც. 1950 - იდან 1970-იან წლებამდე მილიონობით დოლარი და ტექნოლოგიები გადაისროლეს მესამე სამყაროში. შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლი ერთ სულ მოსახლეზე იზრდებოდა საშუალოდ 3,4 % ით წელიწადში, ბევრად უფრო იმაზე სწრაფად, ვიდრე თავის დროზე განვითარდა პირველი სამყარო (Morawetz 1977).

თუმცა, თანდათანობით აშკარა გახდა, რომ რაღაც საფუძველშივე მცდარი იყო. შემოსავლის გადანაწილების შესახებ ჩატარებულმა რიგმა კვლევებმა ცხადყო, რომ მდიდრებსა და ღარიბებს

შორის უფსკრული ღრმავდებოდა და, ზოგჯერ, ღარიბები კიდევ უფრო მეტად ღატაკდებოდნენ. როგორც კუტცნესმა (1955) ივარაუდა, მთლიანი ნაციონალური პროდუქტის რაიმე პოსტულირებულ დონემდე მიღწევა სულაც არ ნიშნავდა ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას (ბრაზილიამ, რომლის მთლიანმა ნაციონალურმა პროდუქტმა 1985 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე 1640 დოლარი შეადგინა, მსოფლიოში შემოსავლების გადანაწილების ყველაზე ცუდი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის სტატუსი მოიპოვა). ჰიპოთეტურად რომ წარმოვიდგინოთ, ქვეყანაში მთლიანი ნაციონალური პროდუქტის წელიწადში 5 % ზრდა, შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ძალიან მდიდრებმა კიდევ უფრო გაზარდეს საკუთარი ქონება, დაახლოებით 15 %-ით, მაშინ როდესაც მასების შემოსავალმა იკლო. მოდერნიზაციის თეორეტიკოსების კიდევ ერთი მიზანი პირველ სამყაროსა და მესამე სამყაროს შორის არსებული უფსკრულის გაქრობა იყო. რეალურად კი, უფსკრული უაღრესად სწრაფი ტემპებით ფართოვდებოდა.

მოდერნიზაციის თეორია შეიძლება განისაზღვროს ტრადიციისა და მოდერნულობის დიქოტომიის ტერმინებით, რა შემთხვევაშიც ის გარკვეულწილად, გულუბრყვილოდ გამოიყურება. თუმცა, თუ მას მოგვიანებით შემუშავებული დამოკიდებულების თეორიიდან გამომდინარე უფრო ფართოდ განვსაზღვრავთ და ჩავთვლით, რომ სუსტად განვითარებულობის მიზეზები თავად ქვეყნის შიდა ფაქტორებში უფრო უნდა ვეძიოთ, ვიდრე საერთაშორისოში - მაშინ ამ ფართო პარადიგმის ფარგლებში გაკეთებული ანალიზი სრულიად მცდარი იქნება. მოდერნიზაციის ზოგიერთი თანამედროვე თეორეტიკოსი ყურადღებას აქცევს თავად მესამე სამყაროში ხილული ცვლილების პროცესის ემპირიულ შესწავლას. პოლიტიკურმა სოციოლოგმა ს. ნ. აიზენშტადტმა (1967, 1970) განავითარა მოდერნიზაციის ალტერნატიული მოდელი. შორს დგანან რა ცალმხრივი განვითარების ტიპისგან, მესამე სამყაროს ქვეყნებს განვითარების მრავალრიცხოვანი მოდელის თვისებები ახასიათებთ, რომელთა ნაწილიც სრულიად განსხვავდება "საფეხურების" თეორიისგან. მაგალითად, ხშირად ნეგატიური კორელაცია თავს იჩენს ერთის მხრივ ინდუსტრიული განვითარების დონესა და მეორეს მხრივ წიგნიერებას, მას-მედიას, განათლებას და სხვა ფაქტორებს შორის. ბევრ ქვეყანაში განვითარება ისეა კონცენტრირებული, რომ მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობს მისი უპირატესობებით. აიზენშტატის მიხედვით, მოდერნიზაციის "საერთო ბირთვი", ესაა სოციალური დიფერენციაცია და სოციალური მობილიზაცია. საზოგადოება საკმარისად მოქნილი რომ იყოს მოდერნიზაციის პროცესისთვის მახასიათებელი მუდმივი ცვლილებების მიმართ, პოლიტიკური სფერო არსებითად უნდა იყოს გამიჯნული რელიგიური სფეროსგან. ისლამურ ქვეყნებში მოდერნიზაცია მკვეთრად შენელებულია კონსერვატული

რელიგიური ტრადიციის პოლიტიკასთან გადაჯაჭვის გამო. “სოციალური მობილიზაცია” მიეკუთვნება პროცესს, რომლის მიხედვითაც, ტრადიციული სოციალური და ფსიქოლოგიური ლოიალობა დამსხვრეულია - ასე რომ, შესაძლებელი ხდება საზოგადოებისა და ეკონომიკის ხელახალი სტილით მოწყობა.

პოლიტიკის კუთხით, ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია და პოლიტიკური ელიტები მოდერნიზაციის პროცესის გადამწყვეტი ელემენტებია. ცენტრალიზაცია, პირველ რიგში, იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას მოითხოვს. ამ დროს, სულ მცირე, ადგილობრივი დონის ლოიალობა გადაიხრება ნაციონალური მთავრობისადმი ლოიალობისკენ, ან უფრო სავარაუდოა, რომ ტრადიციული ჯგუფები გააცნობიერებენ ნაციონალური მთავრობისადმი მხარდაჭერისგან მიღებულ სარგებელს. ამისთვის საჭიროა სიმბოლოების განმტკიცება – მაგალითად, დროშები, ეროვნული გმირები, ეროვნული წარმოშობის მითები და ეროვნული მტრები – ეს ყოველივე საკმაოდ მოქნილია იმისთვის, რომ ცენტრთან დააკავშიროს სრულიად განსხვავებული ჯგუფები. ცენტრალიზებული მთავრობა, რომელიც გარკვეული ბიუროკრატიული ჩარჩოების არსებობას საჭიროებს, პოლიტიკური შეჯიბრის ახალი ორგანოების შექმნის გამომწვევი მიზეზია. ეს ისეთი ორგანოებია, როგორიცაა ფრაქციები, სპეციალური ინტერესთა ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც პოლიტიკური თამაშის ახალი წესები უნდა განავითაროონ. ეს წესები შეიძლება კლასიფიცირდეს დაწყებული დემოკრატიული ხმის მიცემის სისტემიდან, დამთავრებული ბოლივიური სტილის სახელმწიფო გადატრიალებამდე. მოდერნიზაცია მუდამ იწყება გარკვეული ტიპის ელიტური ცენტრიდან, მაგ. მდიდარი მიწათმფლობელების, მწარმოებელთა კლასის ან სამხედრო ფენისგან. ძალიან ხშირად ორივე, პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციაც მოცემული ბირთვი ჯგუფითაა შეზღუდული. ამის შედეგია შიდა კოლონიალიზაციის სიტუაციის წარმოქმნა, სადაც ცენტრში განლაგებული მცირე რაოდენობის და პატარა ზომის ელიტები ექსპლუატირებას უწევენ დანარჩენ ქვეყანას. მსგავს “პატრიმონალურ სახელმწიფოებში”, რომლებიც ძირითადად გვხვდება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში, მოდერნიზაციასა და პოლიტიკურ პროცესებზე დამყარებული ელიტისტური მონოპოლია მუდმივ სახეს ღებულობს. თუკი მოდერნიზაცია გავრცელდება მოცემული ელიტების მიღმა, იგი უნდა გაგრძელდეს გაფართოებადი პოლიტიკური სოციალიზაციის გზით, რამდენადაც საზოგადოების ახალი ჯგუფები და ახალი ფენები ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში.

დამოკიდებულების თეორია

იყო თუ არა მექსიკის ტერიტორიაზე არსებული მაიას ცივილიზაცია "სუსტად განვითარებული"? როგორაა საქმე მაგალითად, ესკიმოსებთან (სანამ ისინი ევროპელებთან შევიდოდნენ კონტაქტში), ან აფრიკაში, კალაჰარის უდაბნოში მაცხოვრებელ !კუნგ ბუშმენებთან მიმართებით, რომლებიც სულ რაღაც ათეული წლის წინ შემგროვებლობა-მონადირეობას ეწეოდნენ?

მსგავსი კითხვები არც ისე რთული პასუხგასაცემი ჩანს, რადგანაც ისინი, უბრალოდ, აბსურდულია. რა თქმა უნდა, ხალხები, რომლებიც კულტურულად ხელშეუხებელნი არიან, ეკონომიკურად თავად ინახავენ საკუთარ თავს და კარგად მორგებულნი არიან იმ ბუნებრივ გარემოს, სადაც ცხოვრობენ - არ არიან "სუსტად განვითარებულნი". თუმცა, მთელი ეს აბსურდულობა კარგად წარმოაჩენს მოდერნიზაციის ბევრი თეორიის ფუნდამენტურ პრობლემას, რომლებიც ჩამორჩენილობას განიხილავენ, როგორც პირველად მდგომარეობას ტექნოლოგიის, მწარმოებლური ეთიკის და კაპიტალის ნაკლებობით. მაიას ტომები, ესკიმოსები და ბუშმენები დღეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჩამორჩენილები, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ევროპელებმა დაიპყრეს. "ჩამორჩენილობა", ამგვარად, არაა თავისთავადი რამ და არც ბუნებრივი მდგომარეობის რაიმე სახეა. ესაა ურთიერთობა, კონკრეტულად კი ურთიერთობა "განვითარებულ" ქვეყნებთან, ან როგორც ლ. რ. სტავრიანოსი მესამე სამყაროს შესახებ დაწერილ მრავლისმომცველ ისტორიაში "გლობალური გახლეჩა" *(Global Rift)* შენიშნავს (1981: 34-35):

"მესამე სამყაროს ჩამორჩენილობა და პირველი სამყაროს განვითარებულობა არ არის იზოლირებული და ცალკე მდგომი ფენომენი. ისინი ორგანულად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. ეკონომიკური ჩამორჩენილობა არაა პირველადი ან ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება დასავლური ერების მიერ წამოწყებული ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარების შედეგად. ეს უკანასკნელნი დღესდღეობით ზუსტად იმ დოზით არიან მეტისმეტად განვითარებულნი, რა დოზითაც პერიფერიული მიწები – ნაკლებად განვითარებულნი. განვითარებული და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები ერთი მონეტის ორი მხარეა."

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს დამოკიდებულების თეორიაა. პირველი სამყაროს კაპიტალისტურმა განვითარებამ გამოიწვია მესამე სამყაროს ჩამორჩენილობა.

დამოკიდებულების თეორია 1970-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს, როდესაც იგი მოდერნიზაციის თეორიაზე რეაქციად განიხილებოდა. უმეტესწილად ეს მართლაც ასეა. თუმცა, დამოკიდებულების თეორიის საწყისი ფორმულირება ადრეულ 1940-იანებშივე გაჩნდა, როდესაც რაულ პრებიშმა და ლათინური ქვეყნებისთვის შექმნილმა გაერთიანებული ერების ეკონომიკური კომისიის ეკონომისტების ჯგუფმა, შეიმუშავეს მსოფლიო სისტემის მოდელი, რომელიც ემყარებოდა ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ცენტრსა და ჩამორჩენილი ქვეყნების პერიფერიის იდეას. მესამე სამყარო სიღატაკეში დარჩა არათანაბარი გაცვლა-გამოცვლის გამო. საერთაშორისო ბაზარზე არსებულმა სავაჭრო პირობებმა უპირატესობა განვითარებულ ქვეყნებს მიანიჭა. შორს იყვნენ რა შედარებითი უპირატესობისგან, ღარიბი ქვეყნები იძულებულნი შეიქნენ ნედლეული დაბალ ფასად მიეყიდათ მდიდარი ქვეყნებისთვის, რომლებიც შემდეგ მანუფაქტურულად დამუშავებულ მზა პროდუქციას უფრო მაღალ ფასად ყიდდნენ ისევ მათზე. მაშინ, როდესაც 1960 წლისთვის 25 ტონა დაუმუშავებელი შაქრის ნედლეულით შესაძლებელი იყო ერთი ტრაქტორის ყიდვა, 20 წლის შემდეგ იგივე ტრაქტორის ყიდვისთვის 110 ტონა დაუმუშავებელი შაქრის ნედლეული იყო საჭირო. ამასთანავე, ყველაზე პროდუქტიული რესურსები გადიოდა ექსპორტზე, შესაბამისად, ნაკლებად რჩებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ღარიბების ცხოვრების დონე გაუმჯობესებულიყო. ექსპორტზე დამოკიდებულების შედეგები ყველაზე თვალსაჩინოდ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მაგალითზე ჩანს, სადაც შიდა წარმოების პროდუქცია სულ უფრო კლებულობს იმის შესაბამისად, რომ უფრო მეტ საკვების მოსაყვანად ვარგის მიწაზე, ექსპორტისთვის გამიზნული ბამბისა და ყავის მოყვანა ხდება, ხოლო ამ მიწებზე მოსახლე გლეხები გაყვანილ არიან საკუთარი მიწებიდან. ამ კუთხით, პრობლემას თავად კაპიტალიზმი კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო მეტად კონფლიქტი შიდა და საერთაშორისო კაპიტალიზმებს შორის. მესამე სამყაროს ქვეყნები საშინაო და ინდუსტრიული უნარების განვითარებისგან ჩამოშორებულ იქნენ იმის გამო, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ვერ გაეჯიბრებოდა პირველი სამყაროდან წამოსულ იმავე სახის საქონელს, რომლებიც ბევრად უფრო იაფი და მაღალი ხარისხის იყო.

1960-იანი წლების მანძილზე მოცემულმა კვლევებმა პრაქტიკული შედეგი იქონია ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკების განვითარებაში. ფაქტობრივად, ყველა ამ მოცემულმა ქვეყანამ და მესამე მსოფლიოს კიდევ ბევრმა სხვა ქვეყანამ დაიწყო იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის, როგორც საერთაშორისო ბაზრის კონტროლის საშუალების გამოყენება. იმპორტის

ჩანაცვლება, ეს არის პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის ფარგლებში წარმოებული საქონელი საერთოდ ვერ იქნება იმპორტირებული ან შეიძლება მათი იმპორტზე გატანა მხოლოდ უკიდურესად მაღალი საგადასახადო ტარიფების გადახდის შემთხვევაში. ამის მიზანი შიდა ინვესტირების გაზრდა, ადგილობრივი წარმოების და შესაბამისი სპეციალიზაციის მუშახელის შექმნა და უცხოელი მფლობელებისთვის შიდა ეკონომიკაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალების წართმევა იყო. ევროპულ საერთო ბაზარზე დამყარებული რეგიონული ბაზრები ლათინურ ამერიკაში ვაჭრობაზე კონტროლის დამყარების მიზნით დაარსდა. დღესდღეობით აშკარაა, რომ მსგავსი პოლიტიკა წარუმატებელი გამოდგა, თუმცა, ამ მარცხის გამომწვევი მიზეზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მოდერნიზაციის გადმოსახედიდან მათ მარცხი იწვნიეს იმის გამო, რომ ისინი ჩაერივნენ კაპიტალიზმის უმთავრეს ლოგიკაში, რომელიც გულისხმობს მიწოდება-მოთხოვნით განპირობებულ საქონლის თავისუფალ შემოდინებას. ხოლო დამოკიდებულების თეორიიდან გამომდინარე, მათ მარცხი განიცადეს იმიტომ, რომ უფრო შორს არ წავიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ტაივანი და სამხრეთ კორეა - ორი ქვეყანა, რომლებიც სწრაფი ტემპით და წარმატებულად განვითარდა, ადრეულ საფეხურებზე აქტიურად იყენებდა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას და ექსტენსიურ სამთავრობო დაგეგმარებას. თუმცა, მათ ბევრი სხვა სტრატეგიაც გამოიყენეს. მაგალითად, მიწის საყოველთაო რეფორმა, განათლებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა, უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიების სახელმწიფოს მფლობელობაში გადაყვანა, და ინდუსტრიალიზაციის მიღწევამდე სიმდიდრის რედისტრიბუცია (ასევე, მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული მძლავრი დახმარება, რადგან ამ ქვეყნებში კომუნიზმის გავრცელების საფრთხე არსებობდა). ეს ქვეყნები გლობალური ეკონომიკისთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდნენ გახსნილნი, როცა მძლავრი შიდა ეკონომიკა შექმნეს.

უფრო გვიანი პერიოდის დამოკიდებულების თეორეტიკოსების ხედვით, მოდერნიზაციის კუთხით განხორციელებული ექსპერიმენტების უდიდესმა ნაწილმა მარცხი განიცადა იმის გამო, რომ მათ კვლავაც ჰქონდათ დომინირებული კაპიტალიზმის საერთაშორისო სისტემის ფარგლებში ფართო განვითარების შესაძლებლობის რწმენა. დამოკიდებულების თეორეტიკოსების ახალი თაობის უდიდესი ნაწილი სოციალისტი იყო (Chilcote 1984: 113), სულ მცირე, იმ კუთხით მაინც, რომ მათი რწმენით, მხოლოდ ძირითადი რესურსების საზოგადოებრივ მფლობელობაში გადასვლით იყო შესაძლებელი კაპიტალისტური სისტემისგან გამიჯვნა და რეალური განვითარების მიღწევა.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა

ადრეული პერიოდის დამოკიდებულების თეორიის მომხრე მრავალი ავტორის ნაშრომებში სტრუქტურული ფუნქციონალისტებისთვის დამახასიათებელი დროის სიღრმისეული გააზრების ნაკლებობა შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, ყველა აცნობიერებდა კოლონიალიზმით გამოწვეულ ეკონომიკურ დამახინჯებებს, მაგრამ მხოლოდ ცოტა მათგანი თუ აანალიზებდა სისტემას უფრო ღრმად, თუ არ ჩავთვლით მარქსისტული თეორიის ზოგად გამოყენებას. იმანუილ ვალერშტაინმა (1974, 1980, 1989) შემოგვთავაზა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ისტორიული ევოლუციის დეტალური აღწერა და პოპულარიზაცია გაუწია მისი სტრუქტურების აღსაწერად შექმნილ ლექსიკონს.

წარსულის აღწერისას ვალერშტაინი ტერმინს "მსოფლიო" განსაკუთრებული მნიშვნელობით იყენებს. იგი საუბრობს ადრეულ მსოფლიო იმპერიებზე - ისეთებზე, როგორიცაა რომი და ჩინეთი, რომლებიც დამყარებული იყო დაპყრობებზე და გადასახდებისა და ხარკის გზით განხორციელებულ ექსპლუატაციაზე. თუმცა ეს ფუნდამენტურად განსხვავდებოდა ევროპაზე ცენტრირებულ "მსოფლიო ეკონომიკისგან", რომელიც დამყარებულია მეთექვსმეტე საუკუნიდან წარმოქმნილი ვაჭრობის, დამოკიდებულების და შრომის საერთაშორისო დანაწილების სტრუქტურებზე. ძველი მსოფლიო იმპერიებისგან განსხვავებით, ახალი მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა ეკონომიკურ ძალაუფლებას მმართველების ხელში კი არ განათავსებს, არამედ წარმოების საშუალებათა მფლობელების ხელში. მართალია თანამედროვე ერი-სახელმწიფო იმავე პერიოდში წარმოიქმნა, როდესაც თანამედროვე კაპიტალიზმი, ანუ მაშინ, როცა მერკანტილიზმის პირობებში კაპიტალისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეკონომიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად. საბოლოოდ, სახელმწიფომ მეორადი პოზიცია დაიკავა, ემსახურებოდა რა კაპიტალისტ მფლობელებს სამი სხვადასხვა გზით: ა) აკონტროლებდა მშრომელთა მოთხოვნებს და იცავდა საკუთრების უფლებას; ბ) უზრუნველყოფდა ბაზრის უსაფრთხოებას და რესურსების საერთაშორისო მასშტაბით შემოდინებას; გ) დაპყრობისა და დაშინების გზით ახალი გეოგრაფიული სივრცეების სისტემაში მოქცევას.

მსოფლიო სისტემა, რომელიც ექსპანსიისა და სხვა კომპლექსური ცვლილებების მთელი ციკლის მეშვეობით იქნა მიღწეული, შრომის საერთაშორისო დონეზე დანაწილების ეკონომიკურ ზონებადაა დაყოფილი (ცხრილი 11. 1). ბირთვი ქვეყნები სისტემის და მისი მთავარი ბენეფიციარების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენენ. თავდაპირველად, ეს იყო

თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის ევროპული ქვეყნები, მაგრამ ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, ბირთვი უკვე სრულად ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებთან ასოცირდება, კონკრეტულად კი ევროპას, შეერთებულ შტატებს, კანადას და იაპონიასთან. ეს ქვეყნები შედარებით მდიდარი ქვეყნებია, ინტენსიური კაპიტალით (რომელიც დაფუძნებულია სამანქანო შრომაზე) და ფოკუსირებულია მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე.

პერიფერია მოიცავს იმ ქვეყნებს, რომლებიც ისტორიულად ბირთვს სამთო მრეწველობის ნაწარმით და სასოფლო სამურნეო პროდუქციით ამარაგებდა. წარმოება ინტენსიურ შრომაზეა დაფუძნებული და მანუფაქტურული ექსპორტი დაბალ ტექნოლოგიებს ემყარება. ადრეული პერიფერიული ქვეყნები, რომლებიც ყველაზე ადრე გამოიყენებოდნენ ნედლეულის და იაფი მუშახელის ექსპლოატირების მიზნით, ბირთვთან ყველაზე ახლოს მდგომი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იყო. შედარებით მალევე, ამერიკელებიც გადადიან პერიფერიაში და მეოცე საუკუნის დასაწყისში სისტემამ უკვე მთელი მსოფლიო მოიცვა.

მესამე ეკონომიკური ზონა, ნახევრადპერიფერია, ატარებს როგორც ბირთვის, ასევე პერიფერიის თვისებებს და შუამავლობს მათ შორის. ეს ქვეყნები: არგენტინა, სინგაპური და სამხრეთ კორეა უფრო მეტად დამოუკიდებლები არიან, ვიდრე პერიფერიის ქვეყნები და, ხშირად, მოქმედებენ როგორც რეგიონული ძალები. უმრავლესობა მათგანი, პოლიტიკურად ბირთვის ახლო მოკავშირეა.

მოცემულ სტრუქტურას შეიძლება დაემატოს ეგრეთ წოდებული კომპრადორული ან დამოკიდებული ელიტები (Shepherd 1987). ესენი არიან პერიფერიულ და ნახევრადპერიფერიულ ქვეყნებში არსებული მესაკუთრეები და მენეჯერები, რომლებსაც, ხშირად, განათლება ევროპაში ან შეერთებულ შტატებში აქვთ მიღებული. ისინი ტრანსნაციონალურ კომპანიებთან თავიანთი კავშირებით და მათდამი ერთგულებით მართლაც წარმოადგენენ ბირთვს.

როგორც ვალენშტაინმა აღწერა, ფართო სისტემის საზღვრები შედარებით სტაბილურია, თუმცა თავად მის შიგნით მნიშვნელოვანი მოძრაობები მიმდინარეობს. ბირთვი ქვეყნები შეიძლება იქცნენ პერიფერიებად და პირიქით. ხოლო ნახევრადპერიფერიული ქვეყნები შეიძლება ბირთვის ქვეყნების კატეგორიაში გადავიდნენ.

მოცემულ ხედვაში მნიშვნელოვანია ის, რომ მსოფლიო ეკონომიკა განიხილება როგორც ერთი ინტეგრირებული სისტემა. თუმცა, ერთიანი მსოფლიო პოლიტიკური სისტემა არ არსებობს. პოლიტიკური ძალაუფლება მეტისმეტად განსხვავებულია და შედგება ავტონომიის და ძალაუფლების უთვალავი სახესხვაობის მქონე უამრავი ერი-სახელმწიფოსგან, რომლებიც

ერთმანეთის კონკურენტები არიან. ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლების არ არსებობა ხელს უშლის ხელოვნური შეზღუდვების წარმოქმნას, რაც ფრთებს შეუკვეცავდა კაპიტალიზმს.

დამოკიდებულების თეორია ზოგადად, და უფრო კონკრეტულად კი მსოფლიო სისტემის თეორია, მწვავედ იქნა გაკრიტიკებული, როგორც მარტივი სისტემა. მოცემული თეორიის კრიტიკოსების აზრით, მსოფლიო მარტივადაა დაყოფილი, მთლიანად ეკონომიკურად დეტერმინირულია და იგნორირებულია ყველა სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ზეგავლენა. კრიტიკის ერთი ნაწილი ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დამოკიდებულების თეორია იმდენად ზოგადია, რომ რეალურად, იგნორირებას უკეთებს ლოკალურ და სახელმწიფოებრივ დონეებზე არსებულ იმ წინაპირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის სუსტად განვითარებულობას. ერნანდო დე სოტოს მიერ დაწერილი ნაშრომი "სხვა გზა" *(The Other Path, 1989)* დოკუმენტურად ასახავს თუ როგორ წარმოშვა კანონების უსასრულო და გაუვალმა ლაბირინთმა პერუში ბიუროკრატია, რამაც უკიდურესად გაართულა და მოგების კუთხით წამგებიანი გახადა ლეგალურ ეკონომიკაში მონაწილეობა. ამ მიზეზით, ადამიანების დიდი ნაწილი ცხოვრობდა არაფორმალური ეკონომიკის პირობებში და დაკავებული იყო უკანონო ბინათმშენებლობით, შავ ბაზარაზე გაცვლა-გამოცვლით და ბოშათა ტრანსპორტირებით. აქ გადასახადები ნაკლები იყო, კორუფციის დონე მაღალი, ხოლო კონტრაქტის გაფორმების აუცილებლობის არ არსებობა კი ხელს უშლიდა ბიზნესის ზრდას. მონაცემები და ანალიზი წარმოაჩენს არსებული სიღატაკის განმაპირობებელ ძალიან მნიშვნელოვან შიდა კომპონენტებს, როგორც პოლიტიკურს, ასევე საკანონმდებლო და ეკონომიკური ხასიათისას, რაც, რეალურად, სულაც არ ეწინააღმდეგება მსოფლიო სისტემის ხედვას (როგორც ამას დე სოტო აცხადებს). ეს გულისხმობს, რომ მოდერნიზაციის თეორეტიკოსების მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი უფრო რთული ანალიზი, რომელიც ყურადღებას განვითარების შემაფერხებელ შიდა ფაქტორებზე ამახვილებს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ღირებულების იყოს თვით მსოფლიო სისტემასთან მიმართებითაც.

გრაფიკული გამოსახულება 11.1

კაპიტალისტური მსოფლიო სისტემა



წყარო: შეპერდი 1987, „ხარკზე დაფუძნებული ელიტები“ (Tributary Elites); ვალერშტაინი 1974

ხალხი ისტორიის გარეშე

დამოკიდებულების თეორია და მსოფლიო სისტემის პერსპექტივა ანთროპოლიგიურ ტრადიციასთან ბევრი კუთხით მოდიოდა წინააღმდეგობაში. პოლიტიკური ანთროპოლოგია მეტნაკლებად გამოკვეთილ ტომებზე, კულტურებზე, ხალხებზე, თემებზე და კულტურულ არეალებზე სინქრონულად და საკმაოდ შეზღუდული დროის ფარგლებში ამახვილებდა ყურადღებას. ეთნოგრაფთა უმრავლესობა ძალიან ძნელად თუ ახდენდა კვლევის საგნის დაკავშირებას იმაზე უფრო ფართო ცნებებთან, ვიდრე ესაა რეგიონი ან სახელმწიფო და იშვიათად განიხილავდა რამდენიმე ათწლეულზე ხანგრძლივ დროის პერიოდს.

ერიკ ვოლფის ამბიციური ნაშრომი "ევროპა და ხალხი ისტორიის გარეშე" *(Europe and People Without History, 1982)* ანთროპოლოგიისა და მსოფლიო სისტემის ხედვის ერთმანეთთან გაერთიანების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ვოლფის მოსაზრებით, საველე მუშაობაში დამკვიდრებული მონაწილე-დამკვირვებლის პრაქტიკის ნეგატიური შედეგი იყო ის, რომ მიკროკოსმი განიხილებოდა, როგორც ერთი მთლიანობა და, ამგვარად, ხდებოდა უფრო ფართო სოციალური და ისტორიული გარემო პირობების იგნორირება. რა თქმა უნდა, იყო კონკრეტული დროისა და ადგილის მიღმა გაანალიზირების მცდელობებიც. განსაკუთრებით ამ მეთოდს მიმართავდნენ ისეთი მიმდინარეობების ფარგლებში, როგორიცაა დიფუზიონიზმი, ნეოევოლუციონიზმი და სტატისტიკური კროსკულტურული შედარებები; მაგრამ, რეალურად, არცერთ მათგანს არ გამოუკვლევია ევროპული ექსპანსიის მიერ გამოწვეული უმნიშვნელოვანესი შედეგები.

ვოლფი კატეგორიულად უარყოფს "ავტონომიური, თვითრეგულირებადი და თვითგამამართლებელი საზოგადოების ცნებას და კულტურას, რომელმაც ანთროპოლოგია საკუთარი საზღვრების ფარგლებში გამოკეტა" (გვ.18). ის, რასაც იგი გვთავაზობს, სხვა არაფერია, თუ არა "კულტურული ფორმების ახალი თეორია" (გვ. 19), რაც ისტორიის გააზრებაზე დამყარებულ მსოფლიოს ხედვას გულისხმობს. ვოლფის მოსაზრებით, თვით ყველაზე შორეული საზოგადოებებიც კი, სრულყოფილად მხოლოდ გლობალურ სისტემასთან მიმართებით შეიძლება იქნეს გააზრებული.

ვოლფის მიერ გაკეთებულ ანალიზს საფუძვლად "წარმოების საშუალებების" შესახებ მარქსისეული კონცეფცია უდევს. მარქსი ერთმანეთისგან განასხვავებს "მუშაობას" *(work)*, ანუ ინდივიდების მოქმედებას - "შრომისგან" *(labour)*, რომელიც ყოველთვის სოციალური ქმედებაა.

წარმოება არ არის მხოლოდ იმ ადამიანების საქმე, რომლებიც ბუნებას სიკეთეების შესაქმნელად იყენებენ. უფრო მეტიც, წარმოება, რომელიც მოიცავს შრომას, ტექნოლოგიებს, მფლობელობას და ტრანსპორტირებას, განსაზღვრავს იმ გზებს, რითაც ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს. რეალურად, ეს გვაძლევს საზოგადოებების ორგანიზებულების სხვადასხვა ფორმას. წარმოების საშუალება, ამგვარად, არის შრომის განვითარების გზა, რომელსაც მრავალმხრივი შედეგები მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის. ვოლფი გამოყოფს წარმოების სამ ფუნდამენტურ ტიპს:

1. ნათესაობაზე დამყარებული წარმოების ტიპი. ეს ტიპი, რომელიც ახასიათებს რაზმებს, ტომებს და საბელადოებს, ემყარება ჯგუფისადმი "მიკუთვნებულთა" (იგივეა, რაც სანათესაო ხაზი ან კლანი) და ჯგუფს გარეთ მდგომთა შორის დაპირისპირებას. შრომის დაყოფა გულისხმობს გენდერს, კატეგორიას და ქორწინების გზით თუ სისხლისმიერ ნათესაობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნათესაობაზე დამყარებული ჯგუფი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს შრომის გადანაწილება. მოცემული ტიპი, ერთის მხრივ იმ აზრით, რომ თავად ნათესაობა წარმოადგენს ბუნების სიმბოლურ წყობას და მეორეს მხრივ კი იმ კუთხით, რომ სანათესაო სისტემების ლეგიტიმაცია ხშირად ზებუნებრივი ძალების მოხმობის გზითაც ხდება (მაგალითად წინაპართა სულების გამოძახება), დიდადაა დამოკიდებული სიმბოლიზმზე.
2. ხარკის აკრეფაზე დამყარებული წარმოების ტიპი. თუკი წარმოება სანათესაო ხაზზე დამყარებულ ტიპში ძირითადად სოციალური და სიმბოლური პროცესია, ხარკის აკრეფაზე დამყარებულ ტიპში ეს უკვე პოლიტიკური პროცესის სახეს ატარებს. ამაში იგულისხმება, რომ მისი განხორციელება ძალაუფლების გამოყენების და დომინირების გზით ხდება. ხარკის აკრეფაზე დამოკიდებული წარმოება გულისხმობს ორ კლასს: ნამატის მიმღებ მმართველ კლასს და ნამატის მწარმოებელ დაბალ კლასს. ელიტა "ხარკის" მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს ან წარმოების პროცესის სტრატეგიულ ნაწილზე (მაგალითად მიწა ან ირიგაციული სამუშაოები) კონტროლის დამყარებით და/ან იძულების ისეთი საშუალებების ფლობით, როგორიცაა მაგალითად, მუდმივი არმია. წარმოების ეს ტიპი უწყვეტი ხასიათისაა ყველა დონეზე, დაწყებული მონარქების მიერ განხორციელებული მკაცრად ცენტრალიზებული კონტროლიდან, დამთავრებული ადგილობრივი დიდებულების შედარებით სუსტ კონტროლამდე (ვოლფი აქ აერთიანებს მარქსის მიერ შემუშავებულ წარმოების ორ ტიპს, "აზიურს" და "ფეოდალურს").
3. წარმოების კაპიტალისტური ტიპი. ვალერშტაინისგან განსხვავებით, რომელიც კაპიტალიზმს განიხილავს, როგორც მოგების მიზნით განხორციელებულ გაცვლა - გამოცვლას, ვოლფის განსაზღვრება დამყარებულია ადამიანური შრომის ყიდვა-გაყიდვაზე (ხარკის აკრეფაზე

დამყარებულ ტიპში ელიტები არ ყიდულობენ და არ ყიდიან შრომას, ისინი მხოლოდ შრომის შედეგად მიღებულ პროდუქტს ითხოვენ). “დამატებითი ღირებულების” მარქსისეული კონცეფცია მოცემული სისტემის მუშაობის მექანიზმის ახსნას გვთავაზობს: ის, რასაც მუშა აწარმოებს საკუთარი შრომის ღირებულების ზემოთ, არის ნამატი, რომელიც გადაეცემა მფლობელებს. ამ ნამატის ნაწილი საქონლის სახით უკან მიეყიდებათ მუშებს, ხოლო მეორე ნაწილი კი ხელახლა იდება ახალ წარმოებაში ან ემსახურება უკვე არსებული წარმოების გაფართოებას. მოცემული სისტემის შედეგად წარმოიქმნება ორ სხვადასხვა პოლუსზე მდგომი კლასი: წარმოების საშუალებათა მფლობელები და მშრომელი ძალა. კაპიტალისტებს შორის არსებული კონკურენცია მოითხოვს მათ მიერ წარმოების ხარჯების მუდმივად შემცირებას. ამის განხორციელება კი შესაძლებელია ან ხელფასების შემცირებით ან კი რაიმე სხვა გზებით, მაგალითად, ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელების გზით მწარმოებლობის გაზრდით და ამით უფრო მეტი ეფექტურობის მიღწევით. მოცემული პროცესი სამ ურთიერთგადაჯაჭვულ ასპექტს მოიცავს: 1. კაპიტალისტები აკონტროლებენ წარმოების საშუალებებს. 2. იმის გამო, რომ მუშებს ხელი არ მიუწვდებათ წარმოების საშუალებებზე, მათ უნდა გაყიდონ საკუთარი შრომა, რათა შეძლონ თავის რჩენა. 3. უნდა არსებობდეს მუდმივი ცვლილებები, რათა მოხდეს წარმოების გაზრდა და დანახარჯების შემცირება. ნათესაობაზე დამყარებული სისტემისგან განსხვავებით, ძღვენზე დამყარებული და კაპიტალისტური სისტემები საჭიროებენ ძალადობის აპარტის არსებობას, რათა დაიცვან ნამატის მიმღები ელიტები. ძალადობის ეს მექანიზმი კი სახელმწიფოა.

1400 წლისთვის, რომელიც ვოლფმა გამოსადეგ კრიტერიუმად ჩათვალა, ნათესაობაზე დამყარებული ტიპი საყოველთაოდ გავრცელებული იყო იმ რეგიონებში, რომელსაც ჩვენ დღეს მესამე სამყაროს ვუწოდებთ. პორტუგალიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საფრანგეთის და ინგლისის ექსპანსიამ ევროპული მერკანტილიზმის მსოფლიოს უკიდურეს კუთხე-კუნჭულამდე გავრცელებას შეუწყო ხელი. სახელმწიფოს მიერ ადგილობრივ მონარქებზე განხორციელებული კონტროლის შედეგად მერკანტილიზმმა ჩაანაცვლა ფეოდალიზმი. ეს იყო სახელმწიფოს მიერ წახალისებული და მის მიერვე დაცული ვაჭრობის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს გამდიდრებას ემსახურებოდა. ვოლფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი მერკანტილიზმთან მიმართებით არის ის, რომ ესაა ხარკზე დამყარებული სისტემა. ამგვარად, მერკანტილიზმის გავრცელებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით აბორიგენი მოსახლეობა, რომელიც ნათესაობაზე დამყარებულ წარმოების ტიპს მისდევდა, გადაიყვანა ხარკზე დამყარებულ წარმოების ტიპზე, რამაც შედეგად მათი სოციალური სისტემების რევოლუციური ცვლილება მოიტანა.

დამოკიდებული ეკონომიკის სისტემაზე გადასვლა დაბლობის ინდიელებს შორის

ჩრდილოეთ ამერიკაში ბეწვეულით ვაჭრობამ ეს პროცესი კარგად წარმოაჩინა, როდესაც სხვადასხვა კულტურები ერთმანეთის მიყოლებით ჩაერთვნენ თახვებით, ბიზონებით, ზღვის წავით თუ სელაპებით ვაჭრობაში. ძალიან ცოტა საზოგადოება თუ შეცვლილა ისე სწრაფად, როგორც დაბლობზე მაცხოვრებელი ინდიელები შეიცვალნენ – დაკოტა, ჩეიენე, არაფაო, მანდანი და პაუნი, ისევე როგორც კიდევ ბევრი სხვა ტომი. მანამ, სანამ მოცემული რეგიონის ინდიელებმა ცხენი არ იცოდნენ რა იყო, არსებობდნენ ტყეში მონადირეები და მთლიანად მებაღეობით დაკავებული ადამიანები, რომლებიც დიდი დაბლობის პერიფერიულ ნაწილში ბინადრობდნენ. მათი საზოგადოების ცვლილებაზე ორმა კომბინირებულმა ფაქტორმა მოახდინა ზეგავლენა: ცხენებმა და კომერციულმა ურთიერთობებმა ევროპელებთან.

ამერიკაში ცხენი პირველად 1519 წელს, მექსიკის დაპყრობის პერიოდში შეიყვანა კორტესმა. აქედან მოყოლებული, დამკვიდრდა ცხენებით ვაჭრობა, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით, საკმაოდ რთული ქსელების მეშვეობით ხორციელდებოდა. აპაჩებში ცხენი გავრცელდა დაახლოებით 1630 წელს; უტასა და კომანჩებში 1700 წლისთვის, ხოლო შავიფეხის ინდიელებში კი მხოლოდ 1730 წელს. ცხენის მეშვეობით დაბლობზე მაცხოვრებელი ინდიელები უკვე მთლიანად ბიზონზე ნადირობით დაკავდნენ. 1800-იან წლებამდეც კი ზოგიერთი ტომი არა მხოლოდ საკუთარი სარგებლის მოპოვებისთვის ეწეოდა ნადირობას, არამედ ევროპელებისთვისაც, ამარაგებდნენ რა მოგზაურებსა და მოვაჭრეებს პემიკანით. ჩრდილო-დასავლეთის კომპანიას ყოველწლიურად სჭირდებოდა თითქმის 60000 ფუნტი ბიზონის ხორცი. ინდიელები ასევე ამარაგებდნენ ბიზონის ენითა და ქონით ისეთ სასაზღვრო ქალაქებს, როგორიცაა, მაგალითად, სენტ ლუისი. თუმცა, ჩრდილო-აღმოსავლეთში წავის ფაქტობრივად სრულმა განადგურებამ და შედეგად ახალი ბაზრის გაჩენამ, გზა გაუხსნა ბიზონის კიდევ უფრო მასიურ ჟლეტვას. ადრეული მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ინდიელები ევროპელ ვაჭრებს ყოველწლიურად ათეულ ათასობით ტყავს აწვდიდნენ (ვოლფს არ აქვს ნახსენები ის ფაქტი, რომ მდედრობითი სქესის ნადირი უფრო მეტად ფასობდა როგორც პირადი გამოყენებისთვის, ასევე ვაჭრობისთვის. ასე რომ, მდედრობითი და მამრობითი სქესის ბიზონების დახოცვის შეფარდება დაახლოებით 10:1-ზე იყო. ამით ინდიელები მათივე საკუთარი საკვების საბოლოო განადგურების საქმეში მთავარ მონაწილეებად იქცნენ).

ევროპელების ზეგავლენა კულტურის ყველა დონეს შეეხო. ცხენების გამოყენების შედეგად, ჯგუფის ზომები, რომელიც ჩვეულებრივ მცირე და სტაბილური იყო, სულ უფრო და უფრო მოქნილი გახდა. ბიზონი ზამთრობით მთებში იფანტებოდა, რაც მცირე რაზმებად ან ოჯახებით ნადირობას მოითხოვდა. თუმცა, ზაფხულობით დიდი ჯოგებით ჩამოდიოდნენ დაბლობზე. ეს საშუალებას აძლევდა ტომების სიდიდის ჯგუფებს ერთად ენადირათ. საზაფხულო ნადირობების ერთ-ერთი შედეგთაგანი იყო მზის ცეკვის, როგორც უმთავრესი რიტუალის გავრცელება. ამ რიტუალში თვითგვემის გზით ხდებოდა ინდივიდზე ხაზგასმა. ინდივიდუალიზმზე ეს ახლადგაჩენილი ხაზგასმა - არის ნადირობისას, ვაჭრობისას და საომარი მდგომარეობისას აუცილებელი პიროვნული მამაცობის გამოჩენის შედეგი. წარმოების საშუალებათა ფლობა, ისეთების, როგორიცაა ცხენები და იარაღი, ინდივიდუალიზდა. ამან გამოიწვია ძველი, ნათესაობის მდედრობითი და მამრობითი ხაზით გადასვლის სისტემების ცვლილება, რომელიც დამოკიდებული იყო კოლექტიურ ეთიკასა და კოლექტიურ მფლობელობაზე. წარმოიქმნა ახალი, ორმხრივი სისტემები, სადაც ნათესაობა ორივე მშობლის ხაზით გადადიოდა. გაჩნდა დაპირისპირების და ომის ახალი ტიპიც, რომელიც, ძირითადად, გამოწვეული იყო მოპარული ცხენების რედისტრიბუირებით. ყველა ეს ცვლილება კიდევ უფრო გაღრმავდა, რამდენადაც ადამიანები სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებოდნენ ევროპელებთან საბრძოლო და სამუშაო იარაღებით, ამუნიციით, ტანისამოსით და სასმელით ვაჭრობაზე. ყველაზე წარმატებული მეწარმეები - ისინი, ვისაც კავშირი ჰქონდა თეთრკანიანების სავაჭრო თანამდებობებთან - ზოგჯერ მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პოლიტიკურ და საომარ ლიდერებად იქცეოდნენ.

კაპიტალისტური ტრანსფორმაცია მუნდურუკუში

მართალია, ნათესაობითი ტიპის წარმოებიდან ხარკის გადახდაზე დამყარებულ წარმოებაზე გადასვლით გამოწვეული ცვლილება ძალიან ფართო იყო, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ტიპის ტრანსფორმაცია ბევრად უფრო მეტ ცვლილებას საჭიროებდა. ვოლფი, ამახვილებდა რა ყურადღებას დაქირავებულ შრომაზე, როგორც კაპიტალიზმის განმსაზღვრელ ფაქტორზე, უარყოფდა ვალერშტაინის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კაპიტალიზმი მეთხუთმეტე საუკუნეში წარმოიქმნა და რომ ის მერკანტილიზმის თანადროული მოვლენა იყო. ვოლფის აზრით, კაპიტალიზმი წარმოიშვა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში, ინგლისში ტექსტილის ინდუსტრიის

მექანიზაციის შედეგად და სწრაფად ჩაანაცვლა მერკანტილიზმი, გავრცელდა რა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სხვა ტიპებისგან განსხვავებით, წარმოების კაპიტალისტურ ტიპში გაფართოება მის შიდა ლოგიკაზეა დამყარებული. კაპიტალის უწყვეტი დაგროვება და პროდუქტიულობის ზრდა სტიმულს აძლევს წარმოების საშუალებათა მფლობელებს მუდმივად ეძებონ ინვესტირების და ახალი ბაზრების წყაროები, ისევე როგორც დამატებითი რესურსები. კაპიტალიზმსა და მერკანტილიზმს შორის ფუნდამენტური განსხვავებაა ის, რომ ამ უკანასკნელში "ვაჭრები იყენებდნენ ფულს და ფულის საშუალებით ნაყიდ მოხმარების საგნებს, რათა გირაოს გზით შეენარჩუნებინათ წარმოება, მაგრამ ისინი რჩებოდნენ თავად წარმოების პროცესის მიღმა" (1982: 305). კაპიტალისტი, ამისგან განსხვავებით, სრულ კონტროლს ამყარებს წარმოების მთელ პროცესზე, რა თქმა უნდა, მწარმოებლების შრომის კონტროლის ჩათვლით.

პერიფერიებში კაპიტალიზმის გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი პლანტაციების წარმოქმნა იყო, სადაც ხდებოდა სამუშაო ძალების მაქსიმალური მობილიზირება მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, რათა ეწარმოებინათ გასაყიდად გამიზნული რომელიმე ერთი კონკრეტული კულტურა. მართალია, ეს სისტემა დიდი ხნის მანძილზე არსებობდა ჯერ კიდევ ხარკის გადახდაზე დაფუძნებული მონობის პირობებშიც, მაგრამ ახლა შრომის ანაზღაურება ხდებოდა ხელფასით. სისტემა სწრაფად გაფართოვდა და მოიცვა "ტექნიკური კულტურებიც". 1839 წელს ვულკანიზაციის გამოგონების შემდეგ საწვიმარი მოსასხამების, ფეხსაცმელების, სალტეების და ბევრი სხვა საგნის დამზადებაში დაიწყეს კაუჩუკის გამოყენება. ბრაზილიაში კაუჩუკისგან დამზადებულ ფირზე ჩაწერის დანერგვამ თვალნათლივ წარმოაჩინა ის შედეგები, რაც კაპიტალისტური წარმოების მოცემულმა ტიპმა იქონია ამაზონის აუზის ინდიელებზე.

მუნდურუკუს ინდიელებმა ევროპელებთან შეხვედრის შემდეგ ცვლილებების მთელი ციკლი გაიარეს. მათი ძირითადი საქმიანობა მებაღეობა იყო. მეთვრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში თეთრკანიანი ახალმოსახლეები ამ ხალხის მოკავშირეებად იქცნენ. ევროპელებმა მუნდურუკუს ინდიელებში რადიკალური და მანამდე მათთვის უცნობი შრომის დანაწილების სისტემა დანერგეს. ქალებმა დაიწყეს მანიოკის წარმოება ახალმოსახლეებისთვის, ხოლო მამაკაცები კი დანარჩენი ინდიელების წინააღმდეგ მებრძოლ დაქირავებულებად იქცნენ. ამ მოცემულობამ, რომელშიც მამაკაცები მუდმივ მოძრაობაში იყვნენ, ხოლო ქალები კი მჯდომარე ცხოვრების წესს მისდევდნენ, ნათესაობის კუთხით ლამის კურიოზული ცვლილებები მოიტანა შედეგად. ჯგუფი კვლავ ემყარებოდა ნათესაობის მამაკაცის ხაზით გადასვლის წესს, მაგრამ, ამასთანავე, წარმოიქმნა მატრილოკალური ტიპის ქორწინების წესი, სადაც მამაკაცები ქორწინებაში შესვლის შემდეგ

საცხოვრებლად გადადიოდნენ ცოლეულის ოჯახში. ჩანაწერების გაკეთებაში რეზინის გამოყენების დანერგვამ და განვითარებამ კიდევ უფრო დიდი ცვლილებები გამოიწვია. მთელი მთიანი რეგიონის სოფლები დაიშალა, რამდენადაც ადამიანები მთელი საოჯახო მეურნეობებით მდინარის სანაპირო ზოლში გადასახლდნენ, სადაც კაუჩუკის ხეები იზრდებოდა. კაუჩუკით მოვაჭრეებმა, როგორც წარმოების და გაცვლა-გამოცვლის განმხორციელებლებმა, ბელადები ჩაანაცვლეს. ღებულობდნენ რა ხელფასს მოხმარების საგნების წარმოებაში, მამაკაცები სესხის აღების სისტემაში ჩაერთნენ, რომლის დროსაც ისინი მუდმივად იმაზე მეტს სესხულობდნენ კომპანიისგან, ვიდრე ოდესმე შეეძლოთ გაესტუმრებინათ. მათი შრომა ახლა უკვე იმდენად მცირე დოზით გახდა მათივე კუთვნილება, რომ სამუშაოდ სხვა მოვაჭრესთან გადასვლაც კი აღარ შეეძლოთ, თუ ახალი ბოსი არ დათანხმდებოდა მათი ვალების გადახდას.

კაპიტალიზმმა ყველგან შექმნა სისტემა, სადაც შრომის ყიდვა-გაყიდვა ისე ხდებოდა, თითქოს ეს მოხმარების საგანი ყოფილიყოს. ეკონომიკური კლასები შეიქმნა იქ, სადაც ის მანამდე არასდროს არსებულა. ბევრგან ამან კულტურული კოლაფსი,რეტრაიბალიზაცია და იმიგრაცია გამოიწვია. ახლა უკვე მანქანები განსაზღვრავდნენ მუშაობის ტემპს. დადგენილი ხელფასებით განისაზღვრებოდა დროის ის ნაწილიც, რაც ინდივიდს უნდა ემუშავა საკუთარი თავის და ოჯახის შესანახად. მოწოდება და მოთხოვნა, რაც ხშირად ათასობით მილის მოშორებით წყდებოდა, განსაზღვრავდა დასაქმების ხელმისაწვდომობას და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მიგრაციის მასობრივ ტალღებს წარმოქმნიდა.

ვოლფისთვის ტიპური ეთნოგრაფია, რომელიც იგნორირებას უკეთებს მოცემულ ზეგავლენებს, ანაქრონისტულია. სოციალური შრომის ტრანსფორმაციაში კულტურები ყველგან “მუდმივად აწყობილი, დაშლილი და ისევ ხელახლა აწყობილია” (1982, 391)

გლობალიზაცია

ვოლფი თავის ნაშრომში “ევროპა და ხალხი ისტორიის გარეშე” უარყოფითად უყურებს გლობალიზაციის თანამედროვე კვლევებს. თუმცა, იმ პერიოდისთვის, როდესაც მოცემული ნაშრომი გამოქვეყნდა, 1982 წელს, პოსტმოდერნიზმის და კრიტიკული ანთროპოლოგიის ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობები უარყოფდა მსგავსი დიდი თეორიებისადმი ინტერესს. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგი იყო ის, რომ პოლიტიკურმა ანთროპოლოგებმა ვოლფის მიერ განვითარებულ გლობალურ ხედვას ნაკლები ყურადღება მიაქციეს. იგივე დინებებმა

დამოკიდებულების და მსოფლიო სისტემის თეორიებს საყრდენი ბოძი გამოაცალა, რომლებიც წინარე პერიოდში ისედაც მეტისმეტად გატაცებულნი იყვნენ თეორიული საკითხებით. მსგავსი თეორიები, ნებისმიერ შემთხვევაში, მეტისმეტად რთული იყო იმისთვის, რომ ხშირად გამოეყენებინათ თვით მისდამი სიმპათიით განწყობილ ეთნოგრაფებსაც კი. ყოვლისმომცველი და ზედმიწევნითი დაკვირვების გამოყენება რთული იყო ქოხმახებში ან ჯუნგლებში მაცხოვრებელი იმ საზოგადოებების მიმართ, სადაც ანთროპოლოგები იმყოფებოდნენ.

მიუხედავად მისი მოჩვენებით გრანდიოზულობისა, გლობალიზაციის ცნება მოცემული ჩიხიდან თავის დაღწევის გზას გვთავაზობს. მსოფლიო სისტემის ან დამოკიდებულების თეორიისგან განსხვავებით, იგი სულაც არ ფოკუსირდება უცილობლად მეგასტრუქტურებზე. მართლაც, გლობალიზაციის შემსწავლელი კვლევების უპირველესი მიზანი ხშირად შეიძლება გამოიხატოს, როგორც გლობალურის ლოკალურთან ან, პირიქით, დაკავშირების საჭიროება. სწორედ ეს არის ის, რაზეც ანთროპოლოგები ოცნებობდნენ: კონცეპტუალიზაციის იმ ახალი გზების გამონახვა, რაც ყოველდღიური ცხოვრებისეული წუთების უფრო ფართო კონტექსტთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. რადგან გლობალიზაცია, რეალურად, არც მეგა თეორიაა და არც ახალი პარადიგმა (თუმცა, შეიძლება იყოს კიდეც, ოღონდ მხოლოდ გარკვეული კონტექსტიდან გამომდინარე - გააჩნია როგორ მივუდგებით), პოსტმოდერნული მისწრაფებები მშვენივრად თავსებადია მასთან. პოსტმოდერნის ინტერესის თემები, ისეთები, როგორიცაა იდენტობა, ჰეგემონია, ცვლადი საზღვრები, ფრაგმენტაცია, მედია, პოპულარული კულტურა და ძალაუფლება/ცოდნა დომინირებადი გახდა გლობალიზაციის ანთროპოლოგიურ კვლევებშიც. ამის საპირისპიროდ, უფრო ტრადიციულმა, ეკონომიკური და მატერიალისტური ასპექტებით დაინტერესებულმა ანთროპოლოგებმა მოხმარების საგნების მთელი ჯაჭვის ანალიზის უამრავი საშუალება აღმოაჩინეს. მაგალითად, ნორვეგიის სუპერმარკეტში გასაყიდად გამოტანილი ყურძნისთვის თვალის გადევნება უკან, წარმოშობის წყაროსკენ, ბრაზილიისკენ ან იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება გლობალური კაპიტალიზმის ფილტრაცია და ტრანსფორმირება ლოკალურ დონეზე.

არაა გასაკვირი, რომ არ არსებობს აზრთა ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რა არის გლობალიზაცია. ხალხის ცნობიერებაში, ასევე ზოგიერთ აკადემიურ წრეებშიც, გლობალიზაცია გულისხმობს კულტურის ჰომოგენიზაციას, როგორც წესი, ვესტერნიზაციას. ამის საპირისპიროდ, ანთროპოლოგთა უმრავლესობა ხაზს უსვამს ნაციონალიზმს, ეთნიკურობასა და დიასპორაში წარმოდგენილ დიფერენცირებასა და ფრაგმენტაციას. ზოგიერთი იზიარებს სკეპტიკურ ხედვას, განიხილავს რა გლობალიზაციას, როგორც უფრო მედიის მიერ გაბერილ მოვლენას, ვიდრე რეალურ

თემას. ხოლო ნაწილი კი, გლობალიზაციას თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად მიიჩნევს. მეცნიერთა ნაწილი გლობალიზაციას ევოლუციური ტერმინების კუთხით უყურებს - როგორც კაპიტალიზმის შიდა დინამიკის თანმიმდევრული პროცესის ნაწილს, მაშინ, როცა სხვების პოზიციით გლობალიზაცია წარმოადგენს მანამდე არსებულისგან რაღაც სრულიად ახალ, გადამწყვეტ ნახტომს. აზრთა მოცემული სხვადასხვაობის გამყარებისთვის საკმარისი რაოდენობის ფაქტები და სტატისტიკა არსებობს. ასე რომ, მოსაზრებათა მოცემული მრავალფეროვნების ფონზე, ნაკლებად მოსალოდნელია პრობლემის მოგვარება.

არ აქვს მნიშვნელობა როგორ გაიგება გლობალიზაცია, ფაქტია ის, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ფაზისთვის ნეოლიბერალური ეკონომიკაა დამახასიათებელი. “ნეოლიბერალური” რომ გვერდზე გადავდოთ, ესაა თავისუფალი ბაზრის პოლიტიკურად და ეკონომიკურად კონსერვატიული იდეოლოგია, რომლის პოპულარულ არტიკულაციას პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და პრემიერ მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა 1983 წელს მექსიკაში, კანკუნში ჩატარებულ სამმიტზე ჩაუყარეს საფუძველი. ამ დროისთვის მესამე სამყაროს ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკებისთვის, მათ შორის ახლად ინდუსტრიალიზებული სამხრეთ აზიური ვეფხვებისთვისაც, დამახასიათებელი იყო მთავრობის ექსტენსიური ჩარევა, ინდუსტრიების სახელმწიფო მფლობელობა, იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა, ფასების კონტროლი, სუბსიდიები საკვებსა და ენერგიაზე, მულტინაციონალური ინვესტირების მკაცრად მაკონტროლებელი კანონები, შიდა განვითარებაზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე. უკიდურესად სწრაფი გადახრა ნეოლიბერალურ პოლიტიკაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ძირითადად 1980-იანი წლების შუა პერიოდში და განსაკუთრებით კი 1990 წლის შემდეგ, ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული: მესამე სამყაროს მასიური დავალიანების კრიზისი და საბჭოთა კავშირის კოლაფსი. დავალიანების კრიზისის მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი ნავთობზე ფასების ზრდა გახდა. ოპეკმა (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ) სამაგიეროს გადახდის მიზნით ბრიტანულ და ამერიკულ ნავთობმწარმოებელ კომპანიებს მათი მხრიდან 1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომში ისრაელისთვის მხარდაჭერის გამო ნავთობის მიყიდვზე უარი უთხრა. ნავთობზე ფასების არანორმალურმა ზრდამ, სწრაფი ეკონომიკური ზრდის დაპირებასთან ერთად, შედეგად მოიტანა რიგი სახელმწიფოების მიერ დიდი რაოდენობით ვალების აღება. შუა აღმოსავლეთში ნავთობით ვაჭრობიდან მიღებული დოლარები მიედინებოდა კერძო ბანკებსა და სხვადასხვა ტიპის სესხის გამცემ ინსტიტუტებში,

რომლებიც, თავის მხრივ, სიმდიდრეს არასტაბილური პროცენტებით გაასესხებდნენ. როდესაც 1980-იან წლებში ეკონომიკური საპნის ბუშტი გასკდა, დეფოლტის თავიდან აცილების მიზნით, მესამე სამყაროს ქვეყნებმა ფინანსური დახმარებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართეს. ამის შედეგად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელში გადავიდა: "გაუთვალისწინებელი გარემოებების კონტრაქტების" შემუშავების გზით მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკების რეგულირება. როდესაც ქვეყნები მიაღწევდნენ შესაფერის ნეოლიბერალურ "სტრუქტურულ გამართულობას", კონკრეტულად კი, გაყიდდნენ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ინდუსტრიებს, თავს დაანებებდნენ სუბსიდიების გაცემას და ფასების კონტროლს, შეამცირებდნენ ტარიფებს და გაამყარებდნენ ვალუტას, გააფართოვებდნენ მულტინაციონალური კომპანიებისთვის ინვესტირების საშუალებას - თანხის გაცემა მცირდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შიდა სფეროებზე ფოკუსირებული ეკონომიკა ჩაანაცვლა გლობალურ ეკონომიკაზე ორიენტირებულობამ. 1990 წლამდე საბჭოთა კავშირი ატარებდა ალტერნატიულ იდეოლოგიას (ძირითადად მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების მცირე ჯგუფისთვის), მაგრამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კოლაფსმა გლობალური ნეოლიბერალიზმის ოპონენტებს უკანასკნელი სერიოზული საფუძველი გამოაცალა.

ამგვარად, გლობალიზაციის თანამედროვე ფაზა შეიძლება განისაზღვროს როგორც ვაჭრობის, ფინანსების, კულტურის, იდეების მოზღვავება. მისთვის ასევე მახასიათებელია კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების და მოგზაურობის შედეგად გამოწვეული ადამიანების მზარდი რაოდენობით შედინება-გამოდინების პროცესი და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება. ამასთანავე, ნებისმიერი ანთროპოლოგიური განსაზღვრება უნდა მოიცავდეს როგორც ლოკალური დონეზე არსებულ წინააღმდეგობებს, ასევე ამ პროცესებისადმი ადაპტაციასაც (Lewellen 2002).

გლობალიზაცია და პოლიტიკური ანთროპოლოგია

ძალაუფლების პოსტმოდერნულმა კონცეფციებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია გლობალიზაციისადმი ანთროპოლოგების მიდგომაზე. თუკი მანამდე ძალაუფლება გაიგებოდა, როგორც სახელმწიფოსთან ან ინდივიდუალურ ლიდერებთან ასოცირებული მოვლენა, გლობალიზაციამ გზა გაუხსნა გრამშისეული ჰეგემონიის იდეის სხვადასხვა ვარიაციას. გრამში

საუბრობდა ჰეგემონიაზე, როგორც ხალხისგან წამოსულ თანხმობაზე - ყოფილიყვნენ მმართველი ელიტისგან მართულნი. ეს ჰეგემონია, ჩვეულებრივ, გაგებულია როგორც დასავლური ჰეგემონია, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა გლობალური ინსტიტუტის მეშვეობით, ისეთების, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მულტინაციონალური კომპანიები. მსგავსი გაგება, ხშირად, აშკარად თუ შეფარვით გაერთიანებულია ფუკოსეულ ფარული ზედამხედველობითი ტიპის დისციპლინარულ ძალაუფლებაში, რომელიც თან ახლავს დისკურსს და ისეთი სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით გამოვლინდება, როგორიცაა განვითარების ორგანიზაციები. საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები, რომ ძალაუფლება სახელმწიფოს მიერ ძალის ლეგიტიმურად გამოყენებაზე მონოპოლიის ფლობაა - მტკიცედ უარყოფილია. ამის ნაცვლად, სახელმწიფო და მისი ბიუროკრატია მხოლოდ ძალაუფლების შუალედურ წერტილებად განიხილება და მათი შევსება საზოგადოების მეშვეობით ხდება. ძალაუფლება განსხეულებულია ცოდნის სისტემებში და იმ ინსტიტუტებში, სადაც მოცემული ცოდნაა დომინირებადი (Foucault 1977, 1980). მსგავსი უხილავი ინსტიტუტების ანალიზმა, შესაძლოა, გამოავლინოს მანამდე გაუანალიზებელი ძალაუფლების წყაროები; მაგრამ, ასევე არსებობს იმის ალბათობა, რომ იარაღსა და ფულზე დამყარებული ფართოდ გავრცელებული ძალაუფლების აშკარა გამოვლინებების შემთხვევაში, მოცემული ინსტიტუტების ანალიზი მიდრეკილი იყოს გაბუნდოვანების, ტრივიალიზირების, სათანადოდ ვერ შეფასების ან იგნორირებისკენ.

არსებობს რამდენიმე სხვადასხვა გზა, რომელთა მეშვეობითაც გლობალიზაციის გაცნობიერებას შედეგად მოაქვს პოლიტიკური ანთროპოლოგიის საგნის და თეორიული პერსპექტივების არსებითი რეკონცეპტუალიზაცია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ძალაუფლების მზარდი გავრცელება და დისტანცირება, რაც ინვესტირდება გლობალური სესხის გამცემი ინსტიტუტების, მულტინაციონალური კორპორაციების, პოლიტიკის შემმუშავებელი საბჭოების და სავაჭრო ორგანიზაციების დახურულ დელიბერაციებში. ხალხის მიერ მათზე ზეგავლენის მოხდენის ერთადერთი საშუალება - ქუჩის გზით განხორციელებული პროტესტია.
2. სახელმწიფოზე ცენტრირებული ძალაუფლების შესუსტება და ძალაუფლების გადასვლა არა მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ტიპის გლობალური ჯგუფების, არამედ ასევე ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშიც.

3. დემოკრატიზაციის პროცესის საყოველთაოდ გავრცელება, რომელსაც თან ახლავს ნეოლიბერალური ეკონომიკა, განსაკუთრებით 1990-იან წლებში, როდესაც უამრავმა ინდივიდუალურმა თუ ერთპარტიულმა დიქტატორულმა რეჟიმმა გზა დაუთმო, სულ მცირე, სახალხო მონაწილეობას მაინც. არ უნდა მოველოდეთ, რომ მსგავსი დემოკრატიები, რომლებიც უფრო მეტად ლეგიტიმირებას ახდენენ, ვიდრე ცვლიან ძალაუფლების და სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილებას, ისევე მოქმედებენ, როგორც ხანგრძლივი საპარლამენტო ტრადიციების მქონე ქვეყნები.
4. ეთნიკური ნაციონალიზმების და სხვა ინტერესთა ჯგუფების წარმოშობა, რომლებიც გაჩნდნენ, როგორც გლობალიზაციისადმი ადაპტაცია ან მის საწინააღმდეგოდ მიმართული თავდაცვა (იხ. თავი 9).
5. ძალაუფლების ტრანსნაციონალიზაცია და დეტერიტორიალიზაცია, რამდენადაც დიასპორული თემების "დიდ დისტანციაზე გადაჭიმული ნაციონალიზმი" სულ უფრო და უფრო მეტად ახდენს ზეგავლენას საშინაო პოლიტიკაზე.
6. მძლავრი არალეგალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ჯგუფების, ისეთების, როგორიცაა ნარკოკარტელების ან მარგინალურად იდეოლოგიური მეამბოხეების წარმოშობა, რომლებიც ფოკუსირებული არიან გარკვეული კუთხით (მაგალითად, აფრიკაში ალმასებით ვაჭრობაზე).
7. არასახელმწიფოებრივი ტერორიზმის, როგორც ომის უმთავრესი საშუალების ნორმალიზაცია.

ზოგიერთი ამ საკითხთაგანი განხილულ იქნა მოცემულ წიგნში. ორ საკითხზე კი აქ მოვახდენთ ყურადღების გამახვილებას: ერი-სახელმწიფოს, როგორც ძალაუფლების მთავარი მატარებლის მნიშვნელობის შესუსტება და სახელმწიფოს დეტერიტორიალიზაცია ტრანსნაციონალიზმის პროცესის გზით.

სახელმწიფოს დაკნინება

ბევრი ანთროპოლოგი გლობალიზაციის მახასიათებელ უმთავრეს ასპექტად თანამედროვე სახელმწიფოზე ცენტრირებული სისტემის, სადაც წამყვანი ძალაუფლება ეროვნულ მთავრობებს აქვთ, დაკნინებას მიიჩნევს. ერი-სახელმწიფოს იდეა თანამედროვე გამოგონებაა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ასწლეულს ითვლის და, გარკვეული აზრით, ის ყოველთვის მითი იყო.

ტერმინი აერთიანებს ორ საპირისპირო ცნებას: ერს - ცნებას, რომელიც გამოიყენება როგორც წესი, საერთო ენაზე მოსაუბრე საერთო კულტურის და მემკვიდრეობის მქონე ადამიანების მიმართ და სახელმწიფოს, რომელშიც შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული მთავრობა მოიაზრება. ზოგიერთი ქვეყნისთვის ფართო კულტურული მრავალფეროვნება ან დომინანტური კულტურებია დამახასიათებელი, სადაც ემიგრანტები, სავარაუდოდ, რამდენიმე თაობის შემდეგ სრულად ასიმილირდებიან, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა (Spindler 1990: 37). თუმცა, ქვეყანათა დიდ ნაწილს ნაკლებად აქვს კულტურული ერთობის მოთხოვნა. სახელმწიფოებში, რომელთა საზღვრებიც კოლონიალიზმის შედეგად ჩამოყალიბდა, როგორც ეს მესამე სამყაროს ქვეყნების უმრავლესობაში მოხდა, ჩვეულებრივ, გაერთიანებულია მრავალრიცხოვანი და ურთიერთ დაპირისპირებული კულტურები. ბევრ, თუ არა უმრავლეს შემთხვევაში, ერთი კულტურა ან ეთნიკური ჯგუფი დომინირებს სხვა დანარჩენებზე, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ დაქვემდებარებულ ერებს სთხოვენ ერი-სახელმწიფოსთან იდენტიფიცირების გზით საკუთარ დამორჩილებას მოაწერონ ხელი. გლობალიზაციამ ზეწოლა უკვე დასუსტებულ ერ-სახელმწიფოზე ორი კუთხით გააძლიერა: პირველი, ცივი ომის მანძილზე შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მასიურ სამხედრო დახმარებას უწევდნენ რეპრესიული ტიპის დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც ხელოვნურ ეროვნულ ერთობას შიშველი ძალის გამოყენებით ინარჩუნებდნენ და ეს მაშინ, როდესაც ახალ დემოკრატიებს სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო ძალის არსებობა უნდა დაეშვათ. მეორე, გლობალიზაციამ ემიგრანტებს მშობლიურ ქვეყანასთან კონტაქტის ისეთი დონე შესთავაზა, რამაც დიდად შეასუსტა ასიმილაციის წნეხი. მსგავსი საზოგადოებების უსაზღვრო ზრდას მზარდ ლოკალიზაციამდე და პოლიტიკური იდენტიფიცირების ტრანსნაციონალიზაციამდეც კი მივყავართ (Glick Schiller, Basch, and Szanton Blanc 1992).

თუკი ერი-სახელმწიფოს ლეგიტიმირება დამოკიდებულია მკაფიოდ განსაზღვრული საზღვრების პირობებში იდეოლოგიური კონტროლის შენარჩუნებაზე, ტრანსაციონალიზმი მსგავს კონტროლს საფრთხეს უქმნის. არა მხოლოდ მიგრანტების, იმიგრანტების, ტურისტების და ბიზნეს წრეების წარმომადგენლების მუდმივი გადაადგილებები უწყობს ხელს სახელმწიფოს დეტერიტორიზაციას, არამედ ასევე, საერთაშორისო ფილმები, ტელევიზიები, რადიოსადგურები და ინტერნეტი (Appadurai 1996, 2000). როგორც მულტინაციონალური კორპორაციები, გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტებიც ეკონომიკის კუთხით ძალაუფლების ბევრ ბერკეტს ფლობენ, რამდენადაც კონცენტრირებულნი არიან სახელმწიფოს ხელში. პოლიტოლოგ სამუელ ჰანთინგტონის (1996) აზრით ხდებოდა ძალაუფლების სახელმწიფოდან ისეთი ფართო

საერთაშორისო “ცივილიზაციებისკენ” - როგორიცაა მაგალითად, დასავლური, ისლამური და ლათინოამერიკული ცივილიზაციები - გადასვლა. ამასთან ერთად, რეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ზრდა, ისეთების, როგორიცაა ოპეკი, ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, სამხრეთ აზიური სავაჭრო ორგანიზაცია და ევროკავშირი – სახელმწიფოს საბოლოო დაკნინების აშკარა დამადასტურებელი მაგალითებია.

მსგავსი თეორეტიზირების პრობლემას წარმოადგენს ის, რომ იგი ერი - სახელმწიფოს იმდენად შეკუმშული განსაზღვრების ფარგლებში აქცევს, რომ ადვილია მისი გაკრიტიკება. რეალურად კი, სახელმწიფო საკმაოდ ადაპტირებადია და სულაც არაა კონკრეტულად საკუთარ ფიზიკურ საზღვრებში ჩაკეტილი. საკმარისია მხოლოდ შეერთებული შტატების განხილვაც კი, რომელიც სულ რაღაც ორიოდე საუკუნის წინ აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში მოქცეული 13 მცირე ზომის აგრარული ტიპის სახელმწიფოსგან შესდგებოდა. დღევანდელობის მულტიკულტურული პოსტინდუსტრიული ვერსია, რომელიც გადაჭიმულია მთელი ეკვატორის სიგრძის ერთი მესამედის ტოლ მანძილზე, ფლორიდიდან იაპონიის მახლობლად მდებარე ალეუტის კუნძულებამდე და ჩრდილოეთით არქტიკულ წრემდე, გვიჩვენებს, რომ ერის ადრეული გაგებიდან მხოლოდ უწყვეტად არსებული კონსტიტუციური დონის ხელისუფლება და ინგლისური ენაღა შემორჩა. იდეა იმის თაობაზე, რომ მსგავსი ტიპის ადაპტაციის უნარის მქონე ბეგემოთს უცაბედად შეიძლება საფრთხე შეუქმნან სან ფრანცისკოში მცხოვრებმა აზიელმა ტრანსნაციონალისტებმა ან ვოლმარტის გლობალურად გავრცელებამ, ან თუნდაც, მსოფლიო ბანკმა – ნაკლებად გამოსადეგია. მესამე სამყაროს უფრო ახლად შექმნილმა ქვეყნებმაც კი, ისეთებმა, როგორიცაა ინდოეთი ან ინდონეზია, რომლებიც კიდევ უფრო მულტიკულტურულები არიან, ვიდრე შეერთებული შტატები, შეძლეს შეენარჩუნებინათ სახელმწიფოებრიობის გარკვეული ხარისხი. მოცემულ ქვეყნებში ამის მიღწევა იმით მოხერხდა, რომ მოქალაქეების მიერ უფრო ფართო ტერიტორიულ წარმონაქმნთან საკუთარი თავის გაიგივებას ლოკალური ან ეთნიკური იდენტობისგან განცალკავებული, გამიჯნული სფერო უკავია. ეს არის სფერო, რომელიც მოიცავს ეროვნულ დღესასწაულებს, საგარეო საფრთხის პერიოდებს, ეროვნულ არჩევნებს ან უნიფიკაციის ხელშემწყობ ისეთ რიტუალებს, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკური მოღვაწეების დაკრძალვები. სახელმწიფო საზღვრები დღეს უფრო დაცულია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. ტერიტორიის გაზრდის მიზნით საზღვრის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ომები უკიდურეს იშვიათობად იქცა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ნაკლებად მოწონებულია (როგორც ეს ერაყის მაგალითზე აღმოჩნდა, როდესაც ის თავს დაესხა ქუვეიტს). ფართომასშტაბიანმა მიგრაციამ,

ფაქტობრივად, შეიძლება გააძლიეროს კიდეც სახელმწიფო. ერთის მხრივ მიგრაციის შედეგად ხდება პოტენციური მეამბოხე უმცირესობების გაფანტვა, მეორეს მხრივ კი ფულადი გზავნილების განხორციელება ხელს უწყობს სახელმწიფოს გაძლიერებას.

არ არის ცხადი, რას მოგვიტანს სახელმწიფოს "ტახტიდან გადადგომა": ანარქიას? მსოფლიო მთავრობას? მულტინაციონალური კორპორაციების მმართველობას? უნივერსალურ ტრანსნაციონალიზმს? მანამდე კი, ერი-სახელმწიფო - ესაა სტრუქტურა, რომელიც გლობალიზაციას საკმაოდ კარგად მიჰყვება. თუმცა, იგი საჭიროებს ხელახალ გადააზრებას იმ კუთხით, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრი კი არაა, როგორც ეს ოდესღაც იყო (ან მოიაზრებოდა, რომ იყო), არამედ, უფრო მეტად ძალაუფლების ერთ-ერთი კვანძთაგანია, ძალაუფლების, რომელიც აისახება როგორც ზედა, ასევე ქვედა დონეებზე – რეგიონულ და გლობალურ ინსტიტუტებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ტრანსნაციონალიზმი და დეტერიტორიზებული სახელმწიფო

ტრანსნაციონალიზმი შედარებით ახალი ფენომენია, რომელიც მოქნილი გლობალური შრომითი ბაზრის, კომუნიკაციების იმგვარი უსწრაფესი ახალი ტექნოლოგიების შედეგად წარმოიშვა, როგორიცაა სატელიტური სატელეფონო სისტემა და e-mail, ასევე შორ მანძილზე გადაადგილების სწრაფი ტექნოლოგიები და შედარებით ხელმისაწვდომი ფასები. ძირითადად, ტრანსნაციონალიზმი - ესაა საზღვრებს გარეთ, ორ ან მეტ ქვეყანაში ერთდროულად ცხოვრების პროცესი. ამან ხელი შეუწყო ჰიბრიდული იდენტობის კურიოზული ფორმის წარმოქმნას, რაც გულისხმობს, რომ დასახლების ქვეყანასთან ასიმილაცია აღარაა მიზანი. დიასპორული თემის ფარგლებში კულტურის შენარჩუნება, რომელიც გაძლიერებულია მშობლიურ ქვეყანასთან მუდმივი კონტაქტით, შესაძლებელია თაობების მანძილზე გაგრძელდეს. სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის დასრულებამ გზა გაუხსნა ქვეყანაში არალეგალური იმიგრანტების დიდი რაოდენობით შედინებას, (განსაკუთრებით მოზამბიკიდან), რომლებმაც გარკვეული ნიშა იპოვეს არაფორმალურ ეკონომიკაში და დასაქმდნენ ძირითადად ქუჩაში ვაჭრობით. ისინი უკან, სახლში მგზავრობების, სატელეფონო საუბრების და ფულადი გზავნილების მეშვეობით რეგულარულ კავშირს ინარჩუნებენ საკუთარ სამშობლოსთან (Crush and McDonald 2000). წყნარი ოკეანის აუზის

ქვეყნებში, მდიდარი და შეძლებული ჰონგ-კონგელი ჩინელების საქმიანი ოჯახები მრავალ ქალაქში დამკვიდრდნენ, თუმცა ინარჩუნებენ საკუთარ ენასა და კულტურას. სან ფრანცისკოში მსგავსმა ტიპის ჯგუფებმა ერთ-ერთი ყველაზე ექსკლუზიური დასახლება შექმნეს (Ong 1999).

ტრანსნაციონალიზმი სხვადასხვა მიზეზის გამო მოექცა პოლიტიკური ანთროპოლოგების ინტერესთა სფეროში. დასახლების ქვეყნის ფარგლებში პოლიტიკური პროცესიდან უცხოელების გამორიცხვა, რაც ხშირად რასიზმის სახეს იღებს, ან შიში იმისა, რომ უცხოელები სამუშაო ადგილებს ართმევენ ადგილობრივებს, შეიძლება ასიმილაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს და, ამგვარად, დააჩქაროს ტრანსნაციონალური საზოგადოების ძმობა. მეორეს მხრივ, ამგვარმა საზოგადოებებმა შეიძლება შექმნან საარჩევნო ბლოკები და შეუერთდნენ პოლიტიკური ზეწოლის სხვა ჯგუფებს და ამით მოახდინონ ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე. ლიდერობამ ტრანსნაციონალურ თემებში შეიძლება წარმოქმნას სწავლის უნიკალური სივრცე, რადგან ყურადღება მიმართული უნდა იყოს როგორც ლოკალური პირობების მიმართ, ასევე მშობლიური ქვეყნის ღირებულებებსა და ლეგიტიმაციის ფორმებზეც. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ტრანსნაციონალები ხშირად აგრძელებენ აქტიურ მოღვაწეობას საკუთარი ქვეყნის პოლიტიკაშიც და, შეიძლება, რეპრესიული ხელისუფლებების საწინააღმდეგოდ მიმართული ოპოზიციის დაცული ნიშაც კი დაიკავონ, როგორც მაგალითად, ამას აკეთებენ ჩინური ან ტიბეტური ექსპატრიარტული თემები შეერთებულ შტატებში.

ჰაიტი და დეტერიტორიზებული სახელმწიფო

ფრანკოს (“მამა დოკი”,“Papa Doc”) დუვალიერის და მისი შვილის ჟან კლოდ (“ბეიბი დოკი”, “Baby Doc”) დუვალიერის მემკვიდრეობითი დიქტატორული მმართველობა, რომელიც 1957 წლიდან 1986 წლამდე გაგრძელდა, იმდენად რეპრესიული და ეკონომიკურად შემზღუდველი იყო, რომ სხვადასხვა კლასის წარმომადგენელი ათასობით ჰაიტელი ემიგრაციაში წავიდა. ბევრი მათგანი მაიამსა და ნიუ იორკში დასახლდა. ეს პროცესი გააძლიერა აგრობიზნესის და ექსპორტზე დაფუძნებული ინდუსტრიების ტალღამ, რის გამოც 1960 წლის შემდეგ შეიცვალა სასოფლო გარემო. შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა მიგრაცია. საწყის ეტაპზე ტრანსნაციონალიზმს ნაკლებად ჰქონდა ადგილი. ბევრი ემიგრანტი უპირისპირდებოდა დუვალიერის რეჟიმს და აქტიურად ცდილობდა

ზეგავლენა მოეხდინათ აშშ მთავრობაზე და შეეცვლევინებინათ მისთვის დუვალიერის მხარდაჭერის პოლიტიკა. ეს ემიგრანტები დაპატიმრების, წამების ან მოკვლის შიშით ვერ ბედავდნენ უკან დაბრუნებას. ბევრი ვადაგასული ვიზებით არალეგალურად რჩებოდა შეერთებულ შტატებში და ეშინოდათ არ მიექციათ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის ყურადღება. 1980-იანი წლებისთვის დაახლოებით ნახევარი მილიონი ჰაიტელი ცხოვრობდა საზღვარგარეთ, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15% შეადგენდა.

“ბეიბი დოკის” ჩამოგდებამ ტრანსნაციონალიზმის ახალ ერას გაუხსნა გზა. სულ უფრო და უფრო იმატა ფულის და ადამიანების გადინებამ სხვადასხვა გზით - იქნებოდა ეს ნათესაობის დიდი ხნის წინ დამყარებული ხაზების მეშვეობით, ფიქტიური ნათესაობით თუ გაერთიანებული ოჯახებით. საოჯახო მეურნეობა გაიგებოდა, როგორც ინდივიდების და ოჯახების ქსელი, რომელიც შრომისა და რესურსების საკითხებში ფუნქციონირებდა, როგორც გარკვეული კავშირი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ბავშვებს, როგორც ამ ქსელების მთავარ შემმუშავებელ და შემნარჩუნებელ საშუალებებს. ბიზნეს საქმიანობის წამოწყება ხდებოდა არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ საზოგადოებისთვის საკვები და გასართობი მიეწოდებინა, არამედ იმისთვისაც, რომ გადაეყვანათ ადამიანები, გადაეტანათ ფული, ვიდეოები, კასეტები და მოხმარების საგნები. მოცემული ხისტი კლასობრივი სისტემა შეერთებულ შტატებში წარმოიქმნა. მდიდრები ცხოვრობდნენ ფეშენებელურად მოწყობილ მაღალი ხარისხის სამეზობლოებად, მაშინ როცა ყველაზე ღარიბები აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილებზე იყვნენ დასაქმებულები, სადაც ძირითადად ემიგრანტები მუშაობდნენ. ის, რაც მათ აერთიანებდათ, ეს იყო საერთო ჰაიტური იდენტობა, შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული რასობრივი სეგრეგაცია (რომელიც, ძირითადად, შავკანიანების მიმართ ხორციელდებოდა) და ასევე, ასიმილაციაზე უარის თქმა ან მისი მიღწევის უუნაროობა.

1990 წლის არჩევნები, რომლის შედეგადაც ჰაიტის პრეზიდენტი ჟან ბერტრანდ არისტიდე გახდა, ჰაიტის პოლიტიკურ ისტორიაში 1804 წლის რევოლუციის შემდეგ (როდესაც ჰაიტმა დამოუკიდებლობა მოიპოვა) სახალხო მონაწილეობის ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩევა. არისტიდეს ***Lavalas*** მოძრაობა, რაც სიტყვა-სიტყვით “ზვავს” ან “წყალდიდობას” ნიშნავს, გავრცელდა ექსპატრიარტებზეც, რომელთა დიდი ნაწილი მისი აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდამჭერი იყო. არისტიდეს მმართველობა პრეზიდენტად გახდომიდან დაახლოებით რვა თვეში სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო. უკიდურესი რეპრესიების შემდეგ, რომლის დროსაც არისტიდეს მომხრეებს სდევნიდნენ, კლავდნენ და აწამებდნენ, იგი 1994

წელს შეერთებული შტატების მიერ ჰაიტში შეჭრის შედეგად კვლავ დაბრუნდა ხელისუფლებაში. არისტიდემ, მის მიმართ გამოხატული უცხოური მხარადჭერა იმით აღიარა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ჰაიტელები გამოაცხადა ***Dizyem Departmanan*** -ად რაც სიტყვა-სიტყვით "მეათე დეპარტამენტს" ნიშნავს და ამით ისინი, ფორმალურად, გააერთიანა ჰაიტის ფარგლებში არსებულ ცხრა შტატთან. თუმცა, საკანონმდებლო ორგანომ უარი განაცხადა - ეღიარებინა ჰაიტი "დეტერიტორიზებულ სახელმწიფოდ". ისინი არ დათანხმდნენ არისტიდეს მიერ წამოყენებულ ინიციატივას - ორმაგი მოქალაქეობა მიენიჭებინათ მათთვის - და დაბლოკეს მთავრობაში და ელჩებად იმ ადამიანების დანიშვნა, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეები გახდნენ. შეერთებული შტატებიც, შიშობდა რა, რომ ჰაიტის მთავრობა ამას გამოიყენებდა, როგორც საშუალებას, რათა ჩარეულიყო საზღვარგარეთ მცხოვრები ჰაიტური თემის პოლიტიკურ საქმიანობაში, რაიმე სახით დეტერიტორიალიზაციის აღიარების წინააღმდეგი წავიდა (Basch, Glick Schiller, and Szanton Blanc 1994).

ჰაიტის ტრანსნაციონალურმა დემოკრატიზაციამ ნაკლებად მოიტანა თავად ქვეყნის შიგნით სტრუქტურული ცვლილებები. მართლაც, არისტიდეს ***Lavalas*** პლატფორმა ამერიკის მთავრობის მოთხოვნებით უარყოფილ იქნა. კლასობრივი სტრუქტურის წარმოქმნაც, ფაქტობრივად ზღვისგაღმა ქვეყნის ზეგავლენით და მხარდაჭერით მოხდა. ***Lavalas*** მოძრაობის ლიდერები ძირითადად ტექნოკრატიული, პროფესიული და ბიზნეს ფენებიდან იყვნენ. მეტისმეტი გაფანტულობა ხელს უშლიდა მათ გაერთიანებას, რითაც ისინი შეძლებდნენ ტრადიციული არისტოკრატიის ჩანაცვლებას.

მომავლისკენ

ევანს პრიტჩარდის "ნუერებიდან" გლობალიზაციის პოსტმოდერნულ კვლევებამდე განვლილი გზა გრძელი და მიხვეულ-მოხვეულია, თუმცა მასში გარკვეული ლოგიკაც არსებობს. დაიწყო რა ფოლკლორული კულტურის შედარებით ჩაკეტილი სისტემის ანალიზიდან, პოლიტიკური ანთროპოლოგია დღესდღეობით უკვე ყველა მიმართულებითაა გავრცელებული. გაიზარდა მისი კომპლექსურობა და მიზნები, როგორც თეორიის, ასევე საზოგადოებების შესწავლის კუთხით. ამან პოლიტიკურ კვლევებს არა მარტო უფრო მეტი სიღრმე და თვალთახედვის სიფართოვე შესძინა, არამედ მეტი ფრაგმენტაციაც მოიტანა შედეგად. ოდესღაც შედარებით თანმიმდევრული პოლიტიკური ანთროპოლოგია დღეს შეიძლება რამდენიმე

უმთავრეს თეორიულ მიდგომად დაიყოს: ტრადიციული (მატერიალისტური, სოციალურ-მეცნიერული), პოსტმოდერნისტული და სინთეზური თეორიული მიდგომები. საკვლევი საკითხები მოიცავს იდენტობის პოლიტიკის, სახელმწიფოს, გენდერის, ომისა და კონფლიქტის, ლიდერობის, პოსტკოლონიალიზმის, გლობალიზაციის და კიდევ ბევრ სხვა თემას. მართალია საკითხთა მსგავსი ფრაგმენტაცია, შესაძლოა, სხვადასხვა ნაშრომის მიმოხილვის კუთხით (როგორც მაგალითად მოცემულ წიგნშია) საკმაოდ ბევრ სირთულეს წარმოშობდეს, მაგრამ, ამასთანავე, ეს ჯანსაღი მოვლენაცაა.

მომავლის წინასწარმეტყველება ყოველთვის განწირულია იმისთვის, რომ დიდი ალბათობით, მცდარი აღმოჩნდეს. თუმცა, გარკვეული მიმართულებები აშკარაა. ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა ის, რომ პოსტმოდერნული თეორიის საუკეთესო ხედვები – კულტურის ცვალებადობა, საზღვრების გამტარიანობა, ეთნოგრაფიული დამკვირვებლის ადგილმდებარეობა – შერწყმულია სოციალური მეცნიერების უფრო მოთხოვნად ტრადიციულ ანთროპოლოგიასთან. გლობალიზაცია მეორე გარდაუვალი მიმართულებაა. პოლიტიკური ანთროპოლოგები, უბრალოდ, ვეღარ განიხილავენ ძალაუფლებას ისე, როგორც ისინი ამას წარსულში აკეთებდნენ - მხოლოდ წმინდა ლოკალურ და სახელმწიფოებრივ დონეებზე. ამასთანავე, მსოფლიოში შექმნილი რეალობა თავად განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით წავა მომავალში პოლიტიკური ანთროპოლოგია: ტერორიზმი და მისი საპასუხო მოქმედებები; გლობალური დათბობა; სახელმწიფოს ცვალებადი როლი თუ პოლიტიკური მობილიზაციის ახალი ფორმების წარმოქმნა; ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რისი წინასწარ განჭვრეტაც ჩვენ დღეს არ შეგვიძლია. როგორიც არ უნდა იყოს ეს რეალობები, პოლიტიკურ ანთროპოლოგიას ნამდვილად გააჩნია საიმისო საფუძვლები და მოქნილობა, რომ სათანადოდ გაუმკლავდეს მათ.

რეკომენდებული ლიტერატურა

Basch, Linda, Nina Glick Schiller, and Cristina Szanton Blanc. Nations Unbound: Transnational Projects, Postcolonial Predicaments, and Deterritorialized Nation – States (Langhorne, Penn.: Gordon and Breach, 1994). ეს მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც პირველ რიგში სამი ავტორის მიერ დაწერილი ადრეული ნაშრომების შეჯამებასა და კვლევას წარმოადგენს, ტრანსნაციონალური კვლევების ახალი მიმართულების თეორიული მიმოხილვაა, სადაც დეტალურადაა აღწერილი ჰაიტის, დომინიკის და ფილიპინების ტრანსნაციონალიზმის მაგალითები.

De Soto, Hernando. The Other Path: The Invisible Revolution in the Third World (New York: Harper and Row, 1998). მოცემული წიგნი, რომელიც საერთაშორისო დონის ბესტსელერს წარმოადგენს, ილაშქრებს დამოკიდებულების თეორიის წინააღმდეგ. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება პერუს სუსტად განვითარებულობა მივაწეროთ არამასშტაბურად დანერგილ ბიუროკრატიას და კანონების გაუვალ ლაბირინთს, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს გადავიდნენ არაფორმალურ ეკონომიკაში.

Lewellen, Ted C. The Anthropology of Glogalization: Cultural Anthropology Enters the Twenty-First Century (Westport, Conn.: Bergin and Carvey, 2002). გლობალიზაციის ანთროპოლოგიური მიდგომების მიმოხილვა. მასში შესულია თავები გლობალიზაციის განსაზღვრების, განვითარების, იდენტობის, ტრანსნაციონალიზმის, დიასპორის, ლტოლვილების, ტრაიბალური კულტურის და გლეხობის შესახებ.

Philips, Lynne, ed. The Third Wave of Modernization in Latin America: Cultural Perspetives on Neoliberalism (Wilmington, Del.: Scolarly Resources, 1998). მოცემული ანთოლოგია ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორი ღრმა ზეგავლენა იქონია გლობალურმა ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ლათინური ამერიკის ხალხებზე. წიგნში შესწავლილია ბოლივიელი მასწავლებლების, პერუელი ბაზარში მოვაჭრე ქალების და მექსიკელი გლეხობის მაგალითები.

Shannon, Thomas Richard. An Introduction to the World – System Perspective (Boulder, Colo.: Westview, 1989). ვალერშტაინის მიერ დაწერილი სამტომეული - „თანამედროვე მსოფლიო სისტემა“ ყოვლისმომცველი ნაშრომია, რომელიც იძლევა ცხადად და გასაგებად დაწერილი მიმოხილვის შესაძლებობას. მოცემულ წიგნში ასახულია ვალერშტაინის მიერ შემოთავაზებული კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციაში არსებული ისტორიული თანმიმდევრობის დეტალები. მათ შორის გამოსადეგი რუკები, რომელიც კარგად წარმოაჩენს კაპიტალიზმის გავრცელების მასშტაბებს სხვადასხვა დროს. მოცემული წიგნის ყველაზე დიდი ღირებულება კი მაინც, არა მისი აღწერილობითი მხარე, არამედ თეორიის კრიტიკის შესახებ დაწერილი საკმაოდ მოცულობითი თავია.

Wolf, Eric R. Europe and the People without History (Berkeley: University of California Press, 1982). იზიარებს რა მსოფლიო სისტემის მარქსისტულ ხედვას, რაც ბევრი კუთხით წინააღმდეგობაში მოდის ვალერშტაინის მოსაზრებებთან, ვოლფი მერკანტილიზმს და კაპიტალიზმის ექსპანსიას წარმოების საშუალებების კუთხით ხსნის. ეს არის ფუნდამენტურად ანთროპოლოგიური ხედვა, რომლის კვლევის ობიექტი ქვემოდან-ზემოთაა მიმართული და მკვიდრ მოსახლეობაზე მოცემული ექსპანსიის შედეგებისადმი უფრო მეტ ინტერესს იჩენს, ვიდრე ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი.

ტერმინთა ლექსიკონი

აკეფალური: მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან და ნიშნავს „თავის გარეშე“. მოცემულ შემთხვევაში კი ტერმინი გამოიყენება იმ სოციალური ორგანიზაციის აღსანიშნავად, რომელსაც არ ჰყავს ხელმძღვანელი

არენა: ტერმინი, რომლის ირგვლივ არაა სრული თანხმობა. თუმცა, პროცესუალურ მიდგომასა და თეორიაში იგი ხშირად გამოიყენება პოლიტიკის სფეროს ფარგლებში ვიწრო სივრცის აღსანიშნავად, სადაც ადგილი აქვს შეჯიბრს მცირე რაოდენობის ინდივიდებსა და ფრაქციებს შორს. ბეილის მიერ შემოთავაზებულ თამაშის თეორიაში ესაა სივრცე, რომლის ფარგლებშიც საერთო თამაშის წესებზე შეთანხმებული გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ასაკობრივი სისტემა: ზოგიერთ საზოგადოებაში, ყველა, ვინც სქესობრივად მომწიფების ეტაპს გაივლის, ამავდროულად, წარმოქმნის სხვადასხვა სტატუსისა და როლების მქონე შეკავშირებულ ჯგუფს. ტრაიბალურ საზოგადოებებში ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი პანტომობრივი საძმოები, რომელიც ნათესაობის ხაზს მიღმა ფორმირდება და უფრო ფართო ჯგუფებს აერთიანებს.

გენდერი: სექსუალური იდენტობის კულტურულად კონსტრუირებული ასპექტი. “სქესი” გულისხმობს ბიოლოგიურ ასპექტს.

გლობალიზაცია: ვაჭრობის, ფინანსების, კულტურის, იდეების და ხალხის მზარდი ნაკადი, რომელიც შედეგად მოაქვს კომუნიკაციისა და ვაჭრობის ახალ ტექნოლოგიებს. ასევე, ნეოლიბერალური კაპიტალიზმის მსოფლიოში ფართოდ გავრცელებას. ანთროპოლოგიისთვის გლობალიზაცია, ამასთან ერთად, მოიცავს მოცემული პროცესებისადმი ლოკალურ დონეებზე არსებულ წინააღმდეგობებს და ადაპტაციას.

დამატებითი ოპოზიცია: სისტემა, სადაც ერთ, რომელიმე დონეზე ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები, საერთო სამხედრო საფრთხისადმი წინააღმდეგობის გაწევის მიზნით სხვა დონეზე ძალების გაერთიანებას მოახერხებენ.

დამოკიდებულების თეორია: ფართო პარადიგმა, რომელიც მესამე სამყაროს სუსტად განვითარებულობას განიხილავს, როგორც პირველი სამყაროს კაპიტალისტური ექსპანსიის შედეგს. მოდერნიზაციის თეორიის საპირისპიროდ, დამოკიდებულების თეორია სუსტად განვითარებულობის მიზეზების ძიებისას საგარეო ფაქტორებს უსვამს ხაზს.

დამოკიდებული ძალაუფლება: ძალაუფლება, რომელიც ნაჩუქარია და დელეგირებულია ისეთი პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებელ ძალაუფლებას ფლობს.

დამოუკიდებელი ძალაუფლება: დომინანტობის ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ინდივიდის პირდაპირ უნარებზე, ისეთებზე, როგორიცა ცოდნა, უნარ-ჩვევები ან პიროვნული ქარიზმა. ცენტრალიზებულ საზოგადოებებში მსგავსი ძალაუფლება შეიძლება მიბმულ იყოს კონკრეტულ თანამდებობაზე, ისეთზე მაგალითად, როგორიცაა მეფე. იხ. დამოკიდებული ძალაუფლება.

დიაქრონული შესწავლა: საზოგადოების ანალიზი "დროში." იგულისხმება ისტორიული ან ევოლუციური კონტექსტი.

დისკურსი: ანალიზის კომპლექსური ერთობა, რომელსაც სხვადასხვა გზით იყენებს მიშელ ფუკო. უხეშად რომ ვთქვათ, ცოდნის სისტემა, რომელიც განაპირობებს ფიქრის, წვდომის, საუბრის ან მოქმედების ლიმიტებს კონკრეტული ჯგუფის ან კონკრეტული ისტორიული პერიოდის ფარგლებში. დისკურსი შეიცავს იმ წესებს, რომლითაც ხდება ამა თუ იმ განცხადების ყალბად ან ჭეშმარიტად მიჩნევა.

ეთნიკურობა: "თვით შემეცნებითი იდენტობა, რომელიც ერთი ან მეტი ატრიბუტის, (როგორც წესი, ესაა კანის ფერი, ენა, რელიგია და ტერიტორია) სუბსტანციონალიზირებას და ნატურალიზებას ახდენს და ყოველივე ამას მიაწერს კოლექტივს, როგორც მის თანდაყოლილ თვისებებს და ისტორიულ- მითიურ მფლობელობას" (Tambiah 1996: 168).

ემიკური: (emic) წმინდა ანთროპოლოგიური ტერმინი, რომელიც გულისხმობს ჯგუფის შიგნით მყოფი ადამიანების თვალით პროცესების გაანალიზებას და შესწავლას.

ენვაირომენტალური შეზღუდვა: რობერტ კარნიეროს მიერ შემუშავებული თეორია, რომლის მიხედვითაც პირველი სახელმწიფოები წარმოიქმნა მაშინ, როდესაც მოსახლეობის ზრდისა და სხვა წნეხების მომატების შედეგად, მთებით თუ უდაბნოთი შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ შეექმნათ პოლიტიკური და სოციალური ორგანიზების სულ უფრო მეტად კომპლექსური ტიპები.

ზოგადი სისტემური თეორია: კიბერნეტიკიდან და ბიოლოგიიდან წამოსული სოციალური მეცნიერებების კომპლექსური პარადიგმა. სისტემები განხილულია, როგორც საგარეო და საშინაო გარემო პირობებთან უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით ადაპტირებადი ცნებები (იხილე ნეგატიური უკუკავშირი და პოზიტიური უკუკავშირი). ეს მიდგომა განსაკუთრებით გამოსადეგი იყო პირველი სახელმწიფოების წარმოშობის ასახსნელად.

თამაშის თეორია: პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში წარმოდგენილია ფ. ჯ. ბეილის მიერ. ეს მიდგომა ცდილობს აღმოაჩინოს პოლიტიკური მანიპულაციის ნორმატიული და პრაგმატული წესები. პოლიტიკა განხილულია, როგორც თამაში, რომელში მონაწილე "გუნდებიც" იბრძვიან "ჯილდოსთვის".

ინტენსიფიკაცია: მარვინ ჰარისი მოცემულ ტერმინს იყენებს კულტურული ევოლუციის ფუნდამენტური პროცესის აღსანიშნად, რომლის მიხედვითაც მოსახლეობისგან წამოსული წნეხი, კომბინირებული რესურსების შემცირებასთან, ხელს უწყობს საკვების წარმოების საშუალებების გაუმჯობესებას. მსგავსი ტექნოლოგიური ცვლილებები, საპასუხოდ, მოითხოვდა სოციალური ორგანიზების ახალ ტიპს.

კაბალა: ებრაელთა დიდი ნაწილისთვის ავტორიტეტული სწავლება. მისი მიმდევრების აზრით, კაბალის საშუალებით ადამიანი სულიერად უფრო უახლოვდება ღმერთს, ამიტომაც თვლიან, რომ კაბალა კაცობრიობას ღვთის ქმნილებების ჭვრეტის საშუალებას აძლევს.

კონსენსუალური ძალაუფლება: ლიდერობა, რომელიც მომდინრეობს უფრო მეტად ხალხის თანხმობიდან, ვიდრე ფიზიკური ძალიდან. ეს თანხმობა შეიძლება ეფუძნებოდეს ტრადიციას, თანამდებობის პატივისცემას ან ლიდერის პიროვნული თვისებებისადმი რწმენას.

კორპორატივიზმი: სახელმწიფოს მოდელი, რომელშიც მთავრობა ფუნქციონირებს შეზღუდული რაოდენობის მონოპოლისტური ტიპის ინტერესთა ჯგუფების მეშვეობით.

კულტურული კაპიტალი: პიერ ბურდიესთვის ნებისმიერი რამ, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სტატუსისთვის წარმოებულ შეჯიბრში. მასში იგულისხმება კოლეჯის დამთავრების ხარისხი, პროფესიული ლიცენზიები, არტისტული ტალანტი თუ ნიჭის, სოციალური უნარების და ა.შ შედეგად შექმნილი სამხატვრო ნამუშევრებიც კი.

ლეგიტიმურობა: ძალაუფლების პირველადი წყარო, რომელიც მომდინარეობს ძალაუფლების ბუნების და მისი მიღწევის შესახებ ადამიანებს შორის არსებული მოლოდინიდან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების გზით ან რედისტრიბუციული ფიესტების მოწყობის გზით პოლინეზიაში.

ლიდერობის ინსტიტუციონალიზაცია: ელმან სერვისის მიერ შემუშავებული თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ ცენტრალიზებული პოლიტიკური ორგანიზება შესაძლებელია აიხსნას ძლიერი ლიდერობისა და პოლიტიკური უწყვეტობისგან მიღებული სარგებლიანობის კუთხით.

მამაკაცთა დომინირება: წარმოების საშუალებების და პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლი მამაკაცთა მიერ. მიუხედავად ფართოდ გავრცელებულობისა, კროსკულტურული კვლევები გვიჩვენებს, რომ მამაკაცთა დომინირება უნივერსალური მოვლენა მაინც არაა.

მამაკაცი - მონადირის ევოლუციის თეორია: რწმენა იმისა, რომ ჰომო საპიენსის ევოლუცია ფოკუსირდება დიდ ნადირზე კოოპერირებული ნადირობით. მოცემული თეორია ამჟამად საკამათოდაა მიჩნეული.

მატრიარქატი: ქალების მიერ პოლიტიკური კონტროლის ფლობა. პრიმიტიულ დონეზე მატრიარქატის არსებობის ფართოდ გავრცელებული რწმენის მიუხედავად, არანაირი მსგავსი სოციალური სისტემა, არც წარსულში და არც აწმყოში, არასდროს ყოფილა დოკუმენტურად დამტკიცებული ანთროპოლოგების მიერ.

მეორადი სანათესაო ხაზი: ნათესაობის ცალმხრივად გადაცემის სისტემა , რომელიც ემყარება მცირე, შედარებით ავტონომიურ ერთობებს, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ უფრო ფართო სტრუქტურაში რიტუალური ან სამხედრო მიზნებიდან გამომდინარე.

მეორადი სახელმწიფოები: ნებისმიერი სახელმწიფო რომელიც წარმოიქმნება მანამდე არსებული სხვა სახელმწიფოების ზეგავლენით.

მოდერნიზაციის თეორია: დაშვება იმისა, რომ ქვეყნის შიდა დინამიკაა პასუხისმგებელი მის განვითარებასა თუ ჩამორჩენილობაზე. ხაზგასმა ხდება იმაზე, თუ რა აკლია ქვეყანას, მაგალითად, მწარმოებლური სულისკვეთება, ტექნოლოგიები, კაპიტალი და ა.შ. სხვა ვერსიები ხაზს უსვამს იმგვარ დინამიკას, როგორიცაა შიდა საგარეო კოლონიალიზმი ან ფართო არაფორმალური ეკონომიკის გაზრდა. უპირისპირდება დამოკიდებულების თეორიას.

მოდერნიზმი: პოსტმოდერნიზმისგან განსხვავებით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მეშვეობით მიმართავს განმანათლებლობისთვის დამახასიათებელ პროგრესის ღირებულებებს. სწამს ადამიანისა და კულტურის სრულყოფილების, რაციონალიზმის და ცდილობს რეალობის არტიკულირება გრანდიოზული თეორიების ან მეტანარატივების გზით მოახდინოს.

მოქმედების თეორია: პროცესუალური მიდგომის ფარგლებში არსებული ხედვა, რომელიც ფოკუსირდება ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ინდივიდთა სტრატეგიაზე.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა: იმანუილ ვალერშტაინის მიხედვით, მეთექვსმეტე საუკუნის

დასაწყისში ევროპიდან დაწყებული კაპიტალიზმის ექსპანსია წარმოშობს ერთიან მსოფლიო ეკონომიკას, რომელიც შედგება განვითარებული სახელმწიფოების ბირთვისგან, ამ ბირთვისთვის ნედლი მასალის და იაფი მუშახელის მომწოდებელი განვითარებადი ქვეყნების პერიფერიისგან და შუალედურ დონეზე მდგომი ნეხევრადპერიფიერიული ქვეყნებისგან.

მხარდაჭერა: ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს ფაქტობრივად ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ან ინარჩუნებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ორი ძირითადი მხარდაჭერა - ესაა მორჩილება (ძალაზე დამყარებული) და ლეგიტიმურობა.

ნაციონალიზმი: ჯგუფური თვითიდენტიფიკაცია რეალური ან სასურველი ტერიტორიით. სახელმწიფო ნაციონალიზმი არსებული მთავრობის მცდელობაა - მოიპოვოს ყოვლისმომცველი იდენტიფიკაცია და ლოიალობა სუბჯგუფებისგან, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყანაში. ეთნონაციონალიზმი განეკუთნება ეთნიკური ჯგუფის ხშირად მძლავრ სურვილს, მოიპოვოს ან ხელახლა შეიქმნას სამშობლო ან სუვერენიტეტი სახელმწიფოს შიგნით.

ნეგატიური უკუკავშირი: გადახრის მინიმიზაციის პროცესი. სისტემაში განხორციელებული ცვლილება უნდა იზღუდებოდეს სისტემის სხვა ელემენტების მიერ, ისე რომ წონასწორობა შენარჩუნდეს (მაგ. ცხელ ამინდში, სხეული გრილდება ოფლის გამომუშავების გზით, რათა შეინარჩუნოს მუდმივი ტემპერატურა). იხ. პოზიტიური უკუკავშირი.

ნეგრიტიუდი: (*Négritude*) -კულტურულ-ფილოსოფიური და პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც საფუძვლად უდევს ნეგროიდული რასის თვითმყოფადობის და თვითკმარობის კონცეფცია. წარმოიქმნა მეოცე საუკუნეში. მის ფუძემდებლებლად მიჩნეულნი არიან წარმოშობით სენეგალელი ლეოპოლდ სენგორი, გვინეელი ლეონ გონტრან დამასი და ემე სეზარი. მოცემული დოქტრინა ხაზს უსვამს ნეგრო-აფრიკული ცივილიზაციის განსაკუთრებულობას და მის როლს კაცობრიობის სულიერ განვითარებაში.

ნეო-ევოლუციონიზმი: 1940-იანი წლების ბოლოს ლესლი უაითის მიერ მეცხრამეტე საუკუნის კულტურული ევოლუციური თეორიის აღორძინება. უფრო გვიანი პერიოდის მეცნიერები ერთმანეთისგან განასხვავებენ ზოგად ევოლუციას – ფართო ცვლილებებს კულტურულ კომპლექსურობაში, როგორიცაა მაგალითად, რაზმებიდან ტომობრივ საზოგადოებებამდე; და სპეციფიურ ევოლუციას, რაშიც კონკრეტული საზოგადოებების ადაპტაციური ცვლილებები იგულისხმება.

ნორმატიული წესები: ბეილის მიერ შემუშავებულ თამაშის თეორიაში საჯაროდ მოწონებული პოლიტიკური წესები, ისეთები, როგორიცაა თავაზიანობა, სპორტსმენობა და ა.შ. საპირისპიროა პრაგმატული წესების.

ორხმიანი სიმბოლიზმი: აბნერ კოენის მიხედვით, ყველა ნამდვილი სიმბოლო ემსახურება როგორც ეგზისტენციალურ, ასევე პოლიტიკურ მიზნებს. მათი აღქმა უაღრესად პერსონალურია, თუმცა, ამავდროულად, საერთო მითებისა და ღირებულებების ხელახალი განმტკიცებით სიმბოლოები ინარჩუნებენ პოლიტიკურ უწყვეტობას.

პირველი სახელმწიფო: სახელმწიფო, რომელიც მანამდე არსებული სხვა სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლად განვითარდა. ამგვარი რამ ექვსგან მოხდა: მესოპოტამიაში, ნილოსის დაბლობზე, ინდოეთში მდებარე ინდის დაბლობზე, ჩინეთში მდებარე ყვითელი მდინარის დაბლობზე, ცენტრალურ ამერიკასა და პერუში.

პოზიტიური უკუკავშირი: შედარებით რბილი "საწყისი ბიძგი" საფუძველს უყრის მზარდი ცვლილების პროცესს, რომელიც შეჩერებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სისტემა მიაღწევს წონასწორობის ახალ დონეს ან საერთოდ განადგურდება. იხ. ნეგატიური უკუკავშირი.

პოლიტიკა: ერთ-ერთი იმ განუსაზღვრელ ტერმინთაგანი, რომელიც დამოკიდებულია მკვლევრის კონკრეტულ ინტერესზე. ყველაზე კარგი მუშა განსაზღვრებაა შემდეგი: "პროცესები, რომელიც ჩართულია საზოგადოებრივი მიზნების განსაზღვრასა და განხორციელებაში. ალაუფლების განსხვავებული გზებით მიღწევა და გამოყენება იმ ჯგუფის წევრების მიერ, რომლებიც ამ მიზნებით არიან დაინტერესებულნი (Scwartz, Turner, and Tuden 1966: 7)."

პოსტმოდენიზმი: ყოვლისმომცველი ტერმინი იმ უამრავი თეორიისთვის, რომლებიც 1970-იანებიდან იღებს სათავეს და უარყოფს ანთროპოლოგიის მეცნიერულ პრეტენზიებს და ყველა დიდ თეორიას. პოსტმოდერნისტულ ნაშრომებში ხშირადაა გამოყენებული ავტორის მიერ საკუთარი თავისადმი მიმართვის ხერხი, ხაზი ესმება სუბექტურობას, გრძნობების გაღვიძებას, დისკურსს, დაქვემდებარებულ, დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანების ხმას და რეალობის სოციალურ კონსტრუირებას. უპირისპირდება მოდერნიზმს.

პრაგმატული წესები: ბეილის თამაშის თეორიის მიხედვით, ის პოლიტიკური წესები, რომლებიც ეხება ძალაუფლების მოპოვებას თუ შენარჩუნებას. იგულისხმება თამაშის მოგება. საპირისპიროა ნორმატიული წესების.

პროცესუალური მიდგომა: ზოგჯერ მოიხსენიება როგორც პროცესუალური თეორია. თუმცა იგი

მეტისმეტად ამორფულია იმისთვის, რომ თანმიმდევრული თეორია წარმოქმნას. მიდგომა წარმოიქმნა, როგორც სტრუქტურულის ფუნქციონალიზმის რეაქცია. მოცემული მიდგომა ხაზს უსვამს ცვლილებას და კონფლიქტს.

რაზმი: სოციო - კულტურული ინტეგრაციის ყველაზე დაბალი დონე, რომელიც ასოცირდება შემგროვებლობა-მონადირეობით დაკავებულ საზოგადოებებთან. ახასიათებს მცირე, არასტაბილური ჯგუფები, ეგალიტარიზმი, არფორმალური ლიდერობა და ორმხრივი ნათესაობა.

რევიტალიზაციის მოძრაობა: ჩვეულებრივ, კულტურული კოლაფსის ან საგარეო ძალის მორჩილების ქვეშ მყოფი ჯგუფის დელიბერატიული მცდელობა - შექმნას უკეთესი საზოგადოება. მსგავსი მოძრაობები შეიძლება ეძიებდნენ აპოკალიფსურ ტრანსფორმაციებს ზებუნებრივი ძალების საშუალებით, ცდილობდნენ წარსულში არსებული ოქროს ხანის ხელახლა შექმნას ან ყველა უცხოური ზეგავლენისგან განთავისუფლებას. ტვირთის კულტი რევიტალიზაციის მოძრაობის ტიპია.

რეტრაიბალიზაცია: ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ ტრაიბალურ ჯგუფს იქცეს უფრო თანმიმდევრულად, რათა მოდერნიზაციის პროცესში უკეთ დაიცვას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

საბელადო: Ciefdom – წარმოებული ტერმინია. „Chief“ ინგლისურში ნიშნავს ბელადს, მეთაურს, ხელმძღვანელს. ტერმინი “Ciefdom” ფართოდაა დამკვიდრებული ანთროპოლოგიურ ლექსიკონში. ქართულში მის ყველაზე ჯეროვან შესატყვისად მივიჩნიეთ „საბელადო“. ხოლო Chief კი ტექსტში ნათარგმნია, როგორც „ბელადი“ (ს.დ). საბელადო - ესაა ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის ყველაზე ნაკლებად კომპლექსური ფორმა. ძირითადად, იმ კულტურებში გვხვდება, რომელთა არსებობა ექსტენსიურ სასოფლო მეურნეობაზე ან ინტენსიურ მეთევზეობაზეა დამყარებული. ახასიათებს ინდივიდებისა და სანათესაო ხაზების კლასიფიცირება და წოდებების მინიჭება. ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემა დომინანტური სანათესაო ხაზის შიგნით ხდება; ქარიზმატული ბელადი სიმდიდრის გადანაწილების გზით ინარჩუნებს ძალაუფლებას.

საყოველთაო ფრაქციონალიზმი: მდგომარეობა, რომელშიც ფორმალური პოლიტიკური სტრუქტურები ისპობა და ქმედითუუნარო ხდება; არსებული პრობლემების გადასაჭრელად წარმოიქმნებიან დროებითი ფრაქციები.

სახელმწიფო: პოლიტიკური ინტეგრაციის ყველაზე რთული დონე. აღმოჩენილია იმ საზოგადოე-

ბებში, რომელთა არსებობაც დამყარებულია ინტენსიურ სასოფლო მეურნეობაზე და ხასიათდება ლიდერობით, რომელიც არის ინდივიდის ან ელიტური ჯგუფის ხელში. მის პოზიციებს ამყარებს ნათესაობითი ლოიალობის მიღმა არსებული ბიუროკრატია, კლასობრივი სტრუქტურა და ეკონომიკური რედისტრიბუცია, რომელიც დამყარებულია ძღვენზე ან გადასახადებზე. გლობალიზაციის ზოგიერთი თეორეტიკოსი სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე საუბრობს.

სეგმენტულად ფრაქციონალური პოლიტიკური სისტემა: სისტემა რაიმე სახის ფორმალური პოლიტიკური სტრუქტურის გარეშე, ან სისტემა, სადაც ამ სტრუქტურებმა მარცხი განიცადეს. ფრაქციებს შორის შეჯიბრი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ნორმალურ მოვლენად არის ქცეული.

სინქრონული ანალიზი: ანალიზის ტიპი, რომელიც დამახასიათებელია სტრუქტურული ფუნქციონალიზმისა და ფრანგი სტრუქტურალისტებისთვის. მიდგომა საზოგადოებებს განიხილავს ისე, თითქოს ისინი დროის მიღმა არსებობენ. აქ იგულისხმება ისტორიული კონტექსტის სრული გაუთვალისწინებლობა.

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი: 1930-იანებსა და 1940-იან წლებში ბრიტანულ ანთროპოლოგიურ წრეებში დომინანტური თეორიული მიმართულება. სინქრონული ანალიზი, ჩვეულებრივ იმ ჯგუფების, რომლებიც ჩაკეტილ სისტემებად განიხილება, აჩვენებს თუ სხვადასხვა შემადგენელი ინსტიტუტი როგორ უწყობს ხელს მთელის წონასწორობის შენარჩუნებას.

სფერო: კვლევის ძირითადი ერთეული პროცესუალურ მიდგომაში. ადრინდელი მკვლევრები ისეთ კონკრეტულ ჯგუფზე ახდენდნენ ფოკუსირებას, როგორიცაა ტომი ან თემი. სფერო, რომელსაც ახლებურად განსაზღვრავს ყოველი მკვლევარი, შესაძლოა კვეთდეს სხვადასხვა ჯგუფის საზღვრებს და იცვლებოდეს დროის მიხედვით. ბეილის თამაშის თეორიაში "სფერო" უფრო სპეციფიურად განსაზღვრულია, როგორც არენა, რომელშიც მტრული პოლიტიკური სტრუქტურები ურთიერთქმედებენ, მაგრამ არ არსებობს მათ შორის თანხმობა თამაშის წესების შესახებ. პიერ ბურდიესთვის "სფერო" - ესაა კონკრეტული კულტურული კაპიტალისთვის წარმოებული კონკურირებადი ბრძოლის არენა.

ტელეოლოგია: (ბერძნულად teleos) – დასრულება, მიზანი. ესაა იდეალისტური სწავლება მიზნისა და მიზანმიმართულების შესახებ. ტელეოლოგია ეძებს მიზეზს - რისთვის, რა მიზნით ხდება ეს თუ ის მოქმედება და მას ბუნებრივ პროცესებს მიაწერს. მოცემული იდეის ავტორი

და ერთ-ერთი წარმომადგენელია არისტოტელე, რომელიც თვლიდა, რომ როგორც ადამიანის მოქმედებას აქვს გარკვეული მიზეზები, ასევე ბუნებაშიც ყოველ პროცესს თავისი მიზანსწრაფულობა და მიზეზი აქვს. ეს თვისება არისტოტელეს მიხედვით, პრიმიტიული დონეებიდან უფრო სრულყოფილ ფორმებამდე განვითარების საშუალებას იძლევა.

ტვირთის კულტი: რევიტალიზაციის მოძრაობის ტიპი, რომელიც ცდილობს ზებუნებრივი ძალების დახმარებით მოიპოვოს ხელმისაწვდომობა დასავლურ სავაჭრო საქონელზე ("კარგო" პიჯინურ ანუ ინგლისურ-ჩინურ ჰიბრიდულ ინგლისურში).

ტომი: ნაკლებად განსაზღვრული ტერმინი. იგი გამოიყენება იმ მრავალფეროვანი სოციალური ორგანიზების ფორმების გამოსახატავად, რომელიც არსებობს შემგროვებლობა – მონადირეობაზე დაფუძნებულ რაზმებიდან ცენტრალიზებულ სისტემებამდე. ასოცირებულია მებაღეობასა და მეცხვარეობას, ქარიზმატულ ლიდერობას, ერთხაზოვან ნათესაობას და პანტომობრივ საძმოებთან.

ტრანსნაციონალიზმი: პროცესი, რომელიც შესაძლებელი გახდა გლობალიზაციის პირობებში და რომელიც გულისხმობს ერთდროულად ორ ან მეტ ქვეყანაში ცხოვრებას. ემიგრანტები არ ასიმილირდებიან ახალ ქვეყანაში, მაგრამ ინარჩუნებენ მჭიდრო კულტურულ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ კავშირებს მშობლიურ ქვეყანასთან რეგულარული მოგზაურობის, მედიის, იმეილის, ინტერნეტის და ფულადი გზავნილების საშუალებით.

ფრაქციები: არაფორმალური, ლიდერის მიმდევრობაზე დამყარებული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ორგანიზებულია კონკრეტული მიზნისთვის და იშლება მოცემული მიზნის მიღწევის ან მიუღწევლობის შემთხვევაში. იხილეთ ასევე საყოველთაო (პერვესიული) ფრაქციონალიზმი და სეგმენტული ფრაქციონალური პოლიტიკური სისტემა.

ჩიკანო: შეერთებული შტატების სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ლათინოამერიკული მოსახლეობა, რომელიც მოცემულ ტერიტორიებზე XVI-XIX საუკუნეებში, ამერიკის ესპანელების მიერ კოლონიზაციის პერიოდში სახლდება. მიუხედავად მიწების მასობრივი კონფისკაციისა, ჩიკანოებმა შესძლეს საკუთარი კულტურის და ენის შენარჩუნება.

ძალაუფლება: ყველაზე ფართო მნიშვნელობით "ესაა უნარი, ზეგავლენა მოახდინო სხვების ქცევაზე/ან მოიპოვო ზეგავლენა ღირებულ ქმედებებზე." (კოენი, 1970:31). ტერმინის წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობით, მსგავს ზეგავლენას ზღუდავს საჯარო სფერო. ეს ამორფული ტერმინი უკეთ იქნება განხილული, თუ მას დავშლით ნაწილებად. კონსენსუალური

ძალაუფლება, დამოკიდებული ძალაუფლება, დამოუკიდებელი ძალაუფლება, ლეგიტიმურობა და მხარდაჭერა.

ძალაუფლება/ცოდნა: მიშელ ფუკოს ნაშრომებში ძალაუფლება არსებობს ყველა დისკურსის ფარგლებში. ინსტიტუტები განსაზღვრავენ რა არის ნორმალური და რა არა. სპეციალიზირებული ცოდნა, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ექიმების ან მეცნიერების, წარმოქმნის კლასიფიცირების, ანალიზების, დაკვირვების, ექსპერიმენტირების ძალაუფლებას და, შესაბამისად, განსაზღვრავს თუ რა არის ჭეშმარიტი და რა ყალბი.

ძღვენზე დამოკიდებული ელიტები: წარმოების, ბანკების და ვაჭრობის მფლობელები და მენეჯერები პერიფერიებსა და ნახევრადპერიფერიულ ქვეყნებში, რომლებიც, რეალურად, წარმოადგენენ ცენტრის ინტერესებს. იხ. მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა.

წარმოების საშუალება: კარლ მარქსისთვის ესაა წარმოების, განსაკუთრებით კი შრომის ორგანიზების გზა. ანთროპოლოგ ერიკ ვოლფის რეინტერპრეტირაციის თანახმად, არსებობს წარმოების სამი ძირითადი ტიპი: ნათესაობის მიხედვით მოწყობილი წარმოება, რომელიც დამახასიათებელია რაზმების, ტომებისა და საბელადოებისთვის. ხარკზე დამოკიდებული წარმოება, რომლის დროსაც ელიტა მოითხოვს შრომის პროდუქტს, როგორც "ხარკს" და კაპიტალისტური წარმოება, რომელიც პირდაპირ ყიდულობს და ყიდის ადამიანთა შრომას.

ჰაბიტუსი: პიერ ბურდიეს მიერ შექმნილი ტერმინი. საზოგადოების ფარგლებში არსებული ობიექტური ნორმების და წესების დიდწილად არაცნობიერ დონეზე გათავისება, რომელიც გვკარნახობს, როგორ შეგვიძლია ვიმოქმედოთ ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში.

ჰიბრიდულობა: სინკრეტიზმი ან სხვადასხვა კულტურული შტრიხის დანაწევრება (კომპარტმენტალიზაცია) თვითიდენტობად ან სოციალურ იდენტობად.

ჰიდრავლიკური თეორია - კარლ ვიტფოგელის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოს წარმოშობის თეორია. არხებით ირიგაცია მოითხოვდა კლასობრივ დაყოფას მუშებად და ადმინისტრატორებად და ხელს უწყობდა ძალაუფლების კონცენტრირებას იმ ადამიანების ხელში, რომლებიც აკონტროლებდნენ წყლის მატებას, რაზეც დამოკიდებული იყო თემის არსებობა.